

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი
**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

13 ივნისი, 2014, გორი, საქართველო
სამეცნიერო კონფერენციის მასალები



GORI STATE TEACHING UNIVERSITY
Educational Scientific Center of the Georgian Language and Literature
The Second International Scientific Conference
Dedicated to Iakob Gogebashvili

June 13, 2014, Gori, Georgia
ARTICLES OF THE CONFERENCE

წინამდებარე კრებული მოიცავს 2014 წლის 13 ივნისს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი (კომიტეტის თავმჯდომარე);
- გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ქეთევან ბარბაქაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამული კომიტეტი:

- ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (კომიტეტის თავმჯდომარე);
- გიორგი გოგოლაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ავთანდილ არაბული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- ვაჟა შენგელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- მანანა მიქაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მამია ფაღავა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- როინ ჭიკაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- იოსებ ჭუმბურიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- სოსო სიგუა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია:

- გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, დოქტორი
- გიორგი გოგოლაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი
- ავთანდილ არაბული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- ვაჟა შენგელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- მანანა მიქაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მამია ფაღავა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- როინ ჭიკაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **თეიმურაზ დოიაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- **ლევან ბრეგაძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- **იოსებ ჭუმბურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- **სოსო სიგუა**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- **ქეთევან ჭკუასელი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შპს „ჯეოპრინტი“
თბილისი 2015 წელი

ISBN 978-9941-0-7836-1

The presented collection covers the articles of the Second International Scientific Conference after Iakob Gogebashvili held by the Educational-Scientific Center of the Georgian Language and Literature on June 13, 2014 at Gori State Teaching University.

ORGANIZATION COMMITTEE:

- **Giorgi Sosiashvili**, Gori State Teaching University (Head of Committee)
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University
- **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University
- **Ketevan Barbakadze**, Gori State Teaching University
- **Ana Imnadze**, Gori State Teaching University
- **Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University
- **Levan Midodashvili**, Gori State Teaching University

PROGRAME COMMITTEE:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- **Vazha Shengelia**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University
- **Ioseb Chumburidze**, Gori State Teaching University
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

EDITORIAL BOARD:

- **Giorgi Sosiashvili**, Gori State Teaching University
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University
- **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- **Vazha Shengelia**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University
- **Teimuraz Doiashvili**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
- **Levan Bregadze**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
- **Ioseb Chumburidze**, Gori State Teaching University
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შინაარსი CONTENTS

ვიანორ ახალაია – იაკობ გოგებაშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – 9

Vianor Akhalaia – IAKOB GOGEBASHVILI AND SOCIETY FOR SPREADING LITERACY AMONG THE GEORGIANS – 9

გიორგი გოგოლაშვილი – იოსებ ყიფშიძე იაკობ გოგებაშვილის შესახებ – 12

Giorgi Gogolashvili – IOSEB KIPSHIDZE ABOUT IAKOB GOGEBASHVILI – 12

როინ ჭიკაძე – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელდების ისტორიიდან – 14

Roin Chikadze – FROM DENOMINATE HISTORY OF IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY – 14

ენათმეცნიერების სექცია Section of Linguistics

ლევან ბრეგაძე – ქარგონში ლინგვისტური ეკონომიის კანონის ერთი გამოვლინების შესახებ – 16

Levan Bregadze – ON A MANIFESTATION OF THE LINGUISTIC ECONOMY PRINCIPLE IN SLANG – 16

რეუვენ ენოხი – ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობის საკითხისათვის – 20

Reuven Enokh – THE ESSENCE OF THE ISSUE OF GEORGIAN JEWS SPEECH – 20

ვახტანგ იმნაიშვილი – გეოგრაფიული სახელების მრავლობითი რიცხვის შესახებ – 24

Vakhtang Imnaishvili – ABOUT THE PLURAL OF GEOGRAPHIC NAMES – 24

მარიამ კობერიძე – ბატოვანი სიტყვა-თქმანი შოთა ქურდაძის „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონში“ – 37

Mariam Koberidze – FIGURATIVE-EXPRESSIONS IN „IAKOB GOGEBASHVILI SMALL DICTIONARY FOR PEDAGOGICAL TERMINOLOGY“ BY SHOTA KURDADZE – 37

ნანა ლოლაძე – არსებობისა და მდებარეობის ზმნათა მიმართებისათვის ქართველურ ენებში – 41

Nana Loladze – EXISTENCE AND LOCATION VERBS' RELATION IN KARTVELIAN LANGUAGES – 41

თამარ ლომთაძე – ქართველ-ებრაელთა დიალექტი თუ ყოფილი ლინგვისტური კონტინუუმის განაპირა კუნძულაკი? – 44

Tamar Lomtadze – GEORGIAN-JEWISH DIALECT OR MARGINAL ISLE OF FORMER LINGUISTIC CONTINUUM – 44

ნუგზარ მგელაძე – კოლხური (მეგრულ-ლაზური) ნათესაობის ტერმინთა შედარებითი ანალიზისათვის – 48

Nugzar Mgeladze – TOWARDS COMPARATIVE ANALYSIS OF COLCHIS (MEGRULI-LAZ) KINSHIP TERMS – 48

ნიკოლოზ ოთინაშვილი – ლექსიკურ-ეტიმოლოგიური ტერმინები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მიხედვით – 60

Nikoloz Otinashvili – LEXICAL-ETYMOLOGICAL TERMS ACCORDING TO IAKOB GOGEBASHVILI'S WORKS – 60

იზოლდა რუსაძე – ლექსიკოგრაფიული საქმიანობა ქუთაისში XIX-XX საუკუნეების 20-იან წლებში – 63

Izolda Rusadze – FEST PUBLISHED DICTIONARIES IN KUTAISI (XIX CENTURIES, EARLY TWENTIES) – 63

ნათელა ფარტენაძე – ერთი ძველი კავშირის შესახებ თანამედროვე ქართულში – 66

Natela Partenadze – THE OLD CONJUNCTION „რამეთუ“ (BECAUSE, BECAUSE OF) IN MODERN GEORGIAN LANGUAGE – 66

მამია ფაღავა – ქართული ენისა და კულტურის კუნძულები მეთურქულე კლარჯეთში – 69

Mamia Paghava – ISLANDS OF GEORGIAN LANGUAGE AND CULTURE IN TURKISH-SPEAKING KLARJETI – 69

მამია ფაღავა, ნუგზარ მგელაძე – ხატილა'ს მნიშვნელობისა და ისტორიისათვის – 75
Mamia Paghava, Nugzar Mgeladze – REGARDING THE DEFINITION AND THE HISTORY OF “KHATILA” – 75

გიორგი შავგულიძე – ადამის ენა – 77
Giorgi Shavgulidze – LINGUA ADAMICA – 77

ნანა ცეცხლაძე – ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულში – 81
Nana Tsetskhladze – PHRASES EXPRESSING TALK IN GEORGIAN – 81

გიორგი ცოცანიძე – მე-3 ობიექტური პირის პრეფიქსის ალომორფთა დისტრიბუცია ქართულ დიალექტებში – 86
Giorgi Tsotsanidze – 3RD PERSON PREFIX OBJECTIVE ALOMORPHS' DISTRIBUTION IN GEORGIAN DIALECTS – 86

ხატია ხატიაშვილი – ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების ეროვნულ-სპეციფიკური მახასიათებლები – 88
Khatia Khatiaishvili – NATIONAL AND SPECIFIC SIGNS OF BIBLE PHRASEOLOGICAL UNITS – 88

მზია ხახუტაიშვილი – ქრისტიანული აღმსარებლობის ელემენტები ქობულეთელ მუჰაჯირთა მთამომავლებთან – 93
Mzia Khakhutaishvili – ELEMENTS OF CHRISTIAN FAITH IN MUHAJIRS – 93

ელენე ხოჯევანიშვილი – ენა, როგორც ერის არსობრივი რაობა და იაკობ გოგებაშვილის წერილი „ბურჯი ეროვნებისა“ – 96
Elene Khojewanishvili – LANGUAGE AS THE ESSENTIAL POINT ACCORDING TO JACOB GOGEBASHVILI'S LETTER “THE SUPPORTER OF THE NATIONALITY” – 96

ლიტერატურათმცოდნეობის სექცია Section of Literature Studies

ქეთევან ბარბაქაძე – იაკობ გოგებაშვილის სახე ვასილ ბარნოვის მოგონებებში – 102
Ketevan Barbakadze – DEPICTION OF IAKOB GOGEBASHVILI IN THE MEMOIRS OF VASIL BARNOV – 102

ელენე გეგეშიძე – საოჯახო ლიტერატურული სალონები (ქუთაისის კულტურული ცხოვრებიდან XIX ს. II ნახევარში) – 104
Elene Gegeshidze – FROM THE HISTORY OF HOME SALONS IN KUTAISI – 104

თამარ გოგოლაძე – იაკობ გოგებაშვილი სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებსა და საარქივო მასალებში – 109
Tamar Gogoladze – IAKOB GOGEBASHVILI IN THE MEMORIES AND ARCHIVE MATERIALS OF SOPROM MGALOBlishvili – 109

ნატო გულუა – ლევან გოთუას „იმედის სანერგე“-ს პარატექსტუალური ანალიზი – 112
Nato Gulua – PARATEXTUAL ANALYSIS OF LEVAN GOTUA'S “HOPE NURSERY” – 112

თეიმურაზ დოიაშვილი – გალაკტიონ ტაბიძის უადრესი ეპიკური ცდები – 118
Teimuraz Doiashvili – THE EARLIEST EPIC EXPERIMENTS OF GALAKTION TABIDZE – 118

ანა იმნაძე – ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული რეალობა ნაირა გელაშვილის რომანის „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მიხედვით) – 122
Ana Imnadze – FACT AND LITERARY REFLECTION (THE GEORGIAN REALITY IN THE 90S OF THE XX CENTURY ACCORDING TO THE NOVEL BY NAIRA GELASHVILI) – 122

მედეა კვარაცხელია – „თავნება ბოჰემა“ (ნიკო სამადაშვილი) და მისი საბავშვო ნაწარმოებები – 127
Medea Kvaratskhelia – CHILDREN'S VERSES AND STORIES OF NIKO SAMADASHVILI – 127

- ნანა კუცია** – ქართველი მწერლები და კრიტიკოსები ვასილ ბარნოვის ნოველისტიკის შესახებ (ესკიზი) – 133
Nana Kutsia – *GEORGIAN WRITERS AND SCIENTISTS ABOUT VASIL BARNOV'S SHORT STORIES* – 133
- მაია მელანაშვილი** – რეალური და ირეალური სამყარო არჩილ სულაკაურის პროზაულ ნაწარმოებებში – 136
Maia Melanashvili – *THE REAL AND THE SURREAL WORLD IN ARCHIL SULAKAURI PROSE WORK* – 136
- ციალა მესხია** – მარტოობის ტაძარი – 139
Tsiala Meskhia – *TEMPLE OF SOLITUDE* – 139
- მურად მთვარელიძე** – რას ნიშნავს „სისხლის ცრემლები“ „ვეფხისტყაოსანში“ – 144
Murad Mtvarelidze – *WHAT DOES TEARS OF BLOOD MEAN IN "VEPHKHISTKAOSANI" ("KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN")* – 144
- ალექსანდრე მღებრიშვილი** – გორი XIX საუკუნის რუსულენოვან პერიოდიკაში – 148
Aleksandre Mgheshvili – *GORI IN THE RUSSIAN JOURNALS OF THE XIX CENTURY* – 148
- ივანე მჭედელაძე, ნათია ამირეჯიბი** - ფუტურიზმი და (პოსტ)საბჭოთა კულტურული სივრცე საქართველოსა და უკრაინის გამოცდილება – 156
Ivane Mchedeladze, Natia Amirejibi – *FUTURISM AND (POST) SOVIET CULTURAL SPACE IN THE EXPERIENCE OF GEORGIA AND UKRAINE* – 156
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში – 163
Avtandil Nikoleishvili – *THE QUESTION OF GEORGIA'S POLITICAL ORIENTATION IN VASIL BARNOV'S WORKS* – 163
- სოსო სიგუა** – ტრილოგია „ბელადის“ ბედი – 169
Soso Sigua – *TRILOGY 'LEADER'S FATE* – 169
- თამარ სიდამონიძე** – ანტიკურობა გალაკტიონის ლირიკაში – 174
Tamar Sidamonidze – *ANTIQUITY IN GALAKTIONI LYRIC* – 174
- ნათია სიხარულიძე** – გალაკტიონის ადრეული ლირიკიდან („ელეგია“ და „მახსოვს“) – 177
Natia Sikharulidze – *FROM GALAKTIONI'S EARLY LYRIC ("ELEGY" AND "REMEMBER")* – 177
- ლუარა სორდია** – გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ლიცენციების სამყაროში – „რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“ – 183
Luara Sordia – *IN THE WORLD OF POETRY LICENSE GALAKTION TABIDZE* – “THAT THIS SNOW IS MY HOMELAND” – 183
- თინა შიოშვილი** – კლარჯული ხალხური საკვნო ლექს-სიმღერები – 187
Tina Shioshvili – *KLARGIAN FOLK LULLABIES* – 187
- მალხაზ ჩოხარაძე, მანანა თავდგირიძე** – სარფი და ორად გაყოფილი სოფლის სევდა მამია ვარშანიძის შემოქმედებაში – 191
Malkhaz Chokharadze, Manana Tavdgiridze – *SARPI AND THE MELANCHOLY OF THE VILLAGE SPLIT INTO TWO PARTS IN THE WORKS OF MAMIA VARSHANIDZE* – 191
- მარინე ცერცვაძე** – ერთი ისტორიული ფაქტის ლიტერატურული ფიქცია: იაკობ გოგებაშვილთან - (მეცხრამეტე საუკუნე), გრიგოლ აბაშიძესთან - (მეოცე საუკუნე), დათო ტურაშვილთან - (ოცდამეერთე საუკუნე) – 195
Marine Tsertsvadze – *LITERARY FICTION OF ONE HISTORICAL FACT: WITH IAKOB GOGEBASHVILI (XIX CENTURY), WITH GRIGOL ABASHIDZE (XX CENTURY), WITH DATO TURASHVILI (XXI CENTURY)* – 195
- ნელი ჭამპურიძე** – იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიური ისტორია“ – 199
Neli Champuridze – *"BIBLICAL HISTORY" BY IAKOB GOGEBASHVILI* – 199

მანანა ჭიჭინაძე – „შეკვეთილი მუზის“ საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში – 202
Manana Chichinadze – ISSUES OF "ORDERED MUSE" IN THE WORKS OF MIKHEIL JAVAKHISHVILI – 202

გიორგი ხორბალაძე – პოსტმოდერნისტული ტენდენციები გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში „მიჯაჭვული რაინდები“ – 205
Giorgi Khorbaladze – POSTMODERN TENDENCIES IN GODERDZI CHOKHELI'S SHORT STORY "CHAINED KNIGHTS" – 205

ეკა ჯავახიშვილი – იაკობ გოგებაშვილი და რუსეთის პოლიტიკა საქართველოში – 208
Eka Javakhishvili – IAKOB GOGEBASHVILI ABOUT RUSSIAN POLICY IN GEORGIA – 208

პედაგოგიკის სექცია Section of Pedagogics

ნათელა ადუაშვილი – იაკობი, როგორც უდიდესი თანამედროვე და მისი თვალით დანახული ვარიანი – 212
Natela Aduashvili – IAKOB - AS THE GREATEST CONTEMPORARY AND VARIANI, SEEN THROUGH HIS EYES – 212

მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე – ზნეობრივი აღზრდის სპეციფიკა – 216
Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze – SOME SPECIFICATIONS OF MORAL UPBRINGING – 216

ნაზიკო ბერიკაშვილი – კრიტიკული აზროვნება - პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი სტრატეგია – 218
Naziko Berikashvili – CRITICAL THINKING - ONE OF THE STRATEGIES FOR SOLVING OF PROBLEMS – 218

რუსუდან გოგოხია – უცხოური ენის შესწავლის სტრატეგიების დეფინიციები და კატეგორიზაცია – 222
Rusudan Gogokhia – DEFINITIONS AND CATEGORIZATION OF FOREIGN LANGUAGE LEARNING STRATEGIES – 222

ხათუნა დოლიაშვილი – ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება – 226
Khatuna Doliashvili – INTEGRATED TEACHING OF THE SUBJECT AND THE LANGUAGE – 226

მანანა მიქაძე, – ზმნის ზოგიერთი კატეგორიის (პირთა რაოდენობის) სწავლება ბაკალავრიატში – 229
Manana Mikadze – TEACHING PERSON OF THE GEORGIAN VERB – 229

ლელა სარალიძე – იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ – 231
Lela Saralidze – IAKOB GOGEBASHVILI ABOUT TERRITORIAL INTEGRITY OF GEORGIA – 231

ზურაბ ტიელიძე – იაკობ გოგებაშვილი ბუნების კანონებისა და მოვლენების შესახებ – 234
Zurab Tielidze – IAKOB GOGEBASHVILI ABOUT LAWS OF NATURE AND NATURAL PHENOMENA – 234

გვანტა ღვინჯილია – ისტორიზმის პრინციპი ალექსანდრე რაზმაძის სახელმძღვანელოში „მუსიკის ისტორიის ნარკვევები უძველესი დროიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე“ – 240
Gvantsa Ghvinjilia – PRINCIPLE OF HISTORICISM IN A TEXTBOOK BY ALEKSANDRE RAZMADZE "MUSIC HISTORY ESSAYS FROM ANCIENT TIMES TO MID-19TH CENTURY" – 240

დარეჯან ჩხიროძე, მანანა ბანძელაძე – ეკოლოგიური განათლება და განათლების ეკოლოგიზაცია – 245
Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze – ECOLOGICAL EDUCATION AND ECOLOGY OF EDUCATION – 245

გულნარა ჯიოშვილი – იაკობ გოგებაშვილი და თანამედროვეობა – 247
Gulnara Jioshvili – IAKOB GOGEBASHVILI AND MODERNITY – 247

იაკობ გოგებაშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

აკაკი წერეთელი წერს: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ის ქართველი, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას.“

იცოდნენ ფასი ერთმანეთისა!.. იტყვის გოგი გოგოლაშვილი და, მართლაც, ქართველი ერისათვის უდიდესი ბედნიერება იყო ის, რომ XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი მოგვივლინა ღმერთმა; დიახ, ნებისმიერი ერის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ისტორიას დაამშვენებდნენ ისინი; მით უმეტეს, ისეთი მცირერიცხოვანი და მძიმე ისტორიის ერისათვის არის ჭეშმარიტი ღვთის წყალობა მათი არსებობა... XIX საუკუნე გამორჩეული იქნებოდა ჩვენს ისტორიაში, ერთ-ერთი მათგანიც რომ მოვევლინა ღმერთს... ჩვენ დიდი სამეული „მეოხად ჩვენდა ქრისტემან მოგუანიჭა“... ჭეშმარიტად, განუსაზღვრელია მათი როლი ჩვენი სინამდვილისათვის. (1,5)

იაკობმა ილიას „სამ ღვთაებრის საუნჯეს“ მეოთხე ფენომენი – ეროვნული სკოლა – მიამატა და შეგვაგონა, რომ ჩვენს ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს, ოთხი „ეროვნული (ნაციონალური) ძალა“ ამოძრავებს: მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება.

იაკობის შექმნილია ტერმინი „დედაენა“, „დედაბოძის“, „დედამიწის“, „დედაარსის“ და სხვათა ანალოგიით. 1876 წელს გამოსული „დედაენა“ იქცა ერთადერთ და შეუცვლელ საანბანე სახელმძღვანელოდ ქართულ სკოლაში. დღეს „დედაენას“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შექმნის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

როგორც გოგი გოგოლაშვილი, იაკობის ღვაწლის დამფასებელი და შემფასებელი, მისი მემკვიდრეობის დამცველი, წერს, „იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში“ და, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანმა“ XII საუკუნიდან მოყოლებული.

შემდეგ „ბუნების კარი“ – ეს მართლაც უნიკალური ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეს ქართული ენასა და ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ფოლკლორზე, გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიაზე აძლევს ისეთ მყარ ცოდნას, რასაც, სამწუხაროდ, თანამედროვე სკოლა უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს.

იაკობ გოგებაშვილი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ქართული ენისა და ქართული სკოლის მკვდრეთით აღდგომის უმძიმეს საქმეს რომ შეეჭიდა, მხოლოდ სახელმძღვანელოების შექმნა არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ამ სახელმძღვანელოების მოსახლეობამდე მიტანა მთელ საქართველოში. და, აი „დედაენის“ გამოსვლიდან სულ მალე, 1879 წლის 15 მაისს, თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში იაკობ გოგებაშვილთან ერთად ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ბესარიონ ლოლობერიძის ინიციატივით შედგა საერთო კრება 7 წევრის შემადგენლობით: დ. ყიფიანი (თავმჯდომარე), ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ნ. ცხვედაძე, ი. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი, რომელმაც სამირკველი დაუდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას.

საზოგადოებამ შექმნის დღიდანვე მიზნად დაისახა ქართული სკოლების დაარსება და მათთვის კადრების მომზადება, ქართული სწავლების შემოღება, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და სცენისმოყვარულთა თეატრების შექმნა, სტამბის დაარსება და ქართული წიგნების გამოცემა (პირველ რიგში სასკოლო სახელმძღვანელოების) და გავრცელება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდებაში ვკითხულობთ: იგი „თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებსა.“

იაკობ გოგებაშვილი, აფასებს რა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების როლს, წერს: „ამისთანა მაღალმნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერედ არ დაბადებულა. მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უმვირვასესი საუნჯე ადამიანისთვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთს რომელსაჲმ წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იდებს ზრუნვას მთელს ერზედ... იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობასა. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნჭულით, - მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო - კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით, თითქოს მთელი სამეფო თამარისა.“

თავდაპირველად საზოგადოებას უსახსრობის გამო ძლიერ უჭირდა, რადგანაც საზოგადოების დამფუძნებელთა და წევრთა მხოლოდ საწევრო გადასახადი არ ყოფნიდა. მაგრამ თანდათანობით, ფულისა და ნივთების შეწირვებით განმტკიცდა მისი ეკონომიკური მდგომარეობა. თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება შესწირეს საზოგადოებას ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, დ. ჩუბინიშვილმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა, ნ. ლოღობერიძემ, ალ. ხახანაშვილმა, დ. სარაჯიშვილმა, ა. წერეთელმა, კ. აბაშიძემ და სხვებმა.

დაარსების დღიდან, მიუხედავად სიძნელეებისა, საზოგადოებამ ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღა. თუ თავიდანვე 245 წევრი ჰყავდა, 1913 წელს მათმა რიცხვმა 2.883-ს მიაღწია. 1914 წელს საზოგადოების ქონების საერთო ღირებულება 800.000 მანეთს აღემატება, ხოლო საბრუნავი თანხა 123.437 მანეთს უდრიდა. იგი „კრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს: ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ხუროთმოძღვრების ნაშთებს, ძველ ქართულ მონეტებს, ფოლკლორულ მასალებს, სცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს, მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს, ხალხურ სიმღერებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, მოსწავლე ახალგაზრდობას და ქართულ კულტურულ დაწესებულებებს“ („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შ. ჩხეტიას და ა. იოვანის რედაქციით, 1953, გვ. XIX)“.

საზოგადოების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გიორგი წერეთელი, თედო ჟორდანია, იონა მეუნარგია, ივანე გამყრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, დავით კარიჭაშვილი, გიორგი თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები. საზოგადოებამ ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, იქ, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. წესდების შესაბამისად საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველებისათვის ჩამოაყალიბა თავისი განყოფილებები: ბაქოში, ერევანში, განჯაში, კავკავში (ორჯონიკიძეში), ტუაფესა და სხვაგან.

მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორიის მქონე ქართველი ერი ამჟამად კულტურული ძეგლებით, ხელნაწერებითა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის ნივთებით. ვის არ ხიბლავს და არ იტაცებს ჩვენი ხალხის ხუროთმოძღვრებისა და არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები, იშვიათი ფრესკები და სხვა. საზოგადოება თავიდანვე შეუდგა ძველი ისტორიული და არქეოლოგიური წყაროების და ნუმიზმატიკური ნიშნების შეგროვებას და ამით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ჩვენი ისტორიის შესწავლას.

საზოგადოების მრავალ სხვა საქმიანობასთან ერთად უნდა აღინიშნოს ხელნაწერების გამოვლინება - შეგროვება. ამ საზოგადოებამ თავისი არსებობის პირველი 10 წლის მანძილზე შეაგროვა 1000-მდე ხელნაწერი და დაბეჭდილი წიგნი.

იმისათვის, რომ დაეცვათ ეკლესია-მონასტრებში არსებული საეკლესიო წიგნები, შეიქმნა საეკლესიო მუზეუმების კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც დიმიტრი ბაქრაძე იყო, წევრები კი თედო ჟორდანია, ი. ელიაშვილი და ნ. მთვარელიშვილი, აღნიშნულმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია. შეაგროვა უამრავი ძველი ხელნაწერი წიგნი. ნ. მთვარელიშვილმა 1891 წელს „ივერიაში“ მიმოიხილა საღმრთო და საეკლესიო წიგნების მდგომარეობა, დაათარიდა და აღწერა ისინი.

1915 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმებში ინახებოდა 11. 733 ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. სიგელ-გუჯრებისა და სხვა დოკუმენტების რაოდენობა 17341 ცალს შეადგენდა, ნუმიზმატიკური კოლექცია 5.340 ცალს აღწევდა (პროფ. ტრ. ხუნდაძე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ე. თაყაიშვილის მოღვაწეობა. მან საზოგადოების ხელნაწერები აღწერა რუსულად, რითაც არაქართველ მკითხველსაც გააცნო მათი მრავალფეროვნება და შინაარსი. 8 წიგნად გამოცემული ორი დიდი ტომი შეიცავს არა მარტო ხელნაწერების აღწერას, არამედ უმნიშვნელოვანესი ადგილების პუბლიკაციასაც. ამ ნაშრომისათვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ე. თაყაიშვილი დააჯილდოვა ოქროს დიდი მედლით.

საზოგადოების წიგნსაცავში არსებული ხელნაწერებისა და წიგნების აღწერა და მათზე კატალოგის შედგენა მკვლევარმა 1912 წელს დაასრულა.

საზოგადოება მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ, ხელმოკლე, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდებს. იგი სტიპენდიას უნიშნავდა, ერთდროულად დახმარებას აძლევდა მოსწავლეებს. ამ გზით არა ერთ ახალგაზრდას მიეცა შესაძლებლობა უმაღლესი განათლების მიღებისა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. მათგან ბევრი ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მოღვაწე გახდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგამომცემლო საქმის განვითარებას საქართველოში. მას ჰქონდა სპეციალური საგამომცემლო სექცია, რომელიც ბეჭდავდა უმთავრესად საბავშვო, საყმაწვილო, სახალხო და სასწავლო-პედაგოგიური ხასიათის წიგნებს, სასკოლო სახელმძღვანელოებს. დაარსებიდან 1920 წლამდე საზოგადოებამ 253 სახელწოდების წიგნი გამოსცა. ეს მაშინდელ პერიოდში დიდი საქმე იყო.

გამოცემასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წიგნების გავრცელებას მოსახლეობაში. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა წიგნის საწყობები, მაღაზიები და სამკითხველოები. გასული საუკუნის დასასრულს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით თბილისში მუშაობდა სამი სამკითხველო, ხოლო 1916 წელს - 86 ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აქ იყო თავმოყრილი თითქმის ყოველგვარი ქართული პერიოდული გამოცემები და წიგნები, აგრეთვე რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და უცხოური გამოცემები.

საზოგადოება პრემიებს ანიჭებდა პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებებს, ისტორიისა და ფილოლოგიის დარგში დაწერილ მეცნიერულ ნაშრომებს. პირველად გ. დადიანის სახელობის პრემია 1911 წელს მიენიჭა პ. ჭარაიას „ქართულ-მეგრული“ შედარებითი ლექსიკონის შედგენისათვის. ნ. ერისთავის პრემია - ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ 1917 წელს და სხვა.

1893 წელს საზოგადოების ინიციატივით ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან საქართველოში გადმოასვენეს და მშობლიურ მიწას მიაბარეს.

ეროვნული კადრების აღზრდის, განათლების, ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს აღორძინებაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უდიდესი როლის აღიარების დასტური იყო მისი შედარება მეცნიერებათა აკადემიასთან. ი. გოგებაშვილი, ეხებოდა რა ცნობილ ენათმეცნიერ ს. ხუნდაძესთან სადაო საკითხებს, წერდა: „მსგავს საკითხებს რუსეთში სწყვეტს მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი სამეცნიერო აკადემია არის „წერა-კითხვის საზოგადოება“ („სახალხო გაზეთი“, 1911 წ. №477)

ეს თვალსაზრისი გვიჩვენებს, თუ რაოდენ მაღალი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პრესტიჟი. მოკლე სტატიაში ძნელია ჩამოთვლაც კი იმ დიდი საქმიანობისა, რომელსაც ეს საზოგადოება ეწეოდა.

როცა სწავლა-განათლების, ქართული ენისა და კულტურის დაცვა სახელმწიფომ იკისრა, ასეთი საზოგადოების არსებობას აზრი აღარა ჰქონდა. მან თავისი დიდი მისია შეასრულა ჩვენი ერის წინაშე. 1927 წელს საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა.

„...სწორედ „დედაენის“ ქართული იქცა სალიტერატურო ენის ნორმად. ეს იყო ის ქართული, რომელიც წიგნის ენად მოევიდნა სრულიად საქართველოს. აქ არის სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უდიდესი როლი. მისი მეშვეობით სრულიად საქართველო მოიფინა ორი და ოთხკლასიანი სასწავლებლებით, სადაც I-II კლასებში ქართული იაკობის „დედაენით“ ისწავლებოდა, III-IV კლასებში - იაკობის „ბუნების კარით“. ამას გულისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: გოგებაშვილმა თავის „დედაენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთი ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეშვეობით ქართული ენა ეფინება“. ან „დედაენა“ ამაფეთქებელი ნადმოსნით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში - თუშეთსა და სვანეთში, მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულისა“ (შალვა დადიანი) (2,84-85).

სიმბოლურად გვეჩვენება ისიც, რომ, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა 1927 წელს ამ საზოგადოების კუთვნილი წიგნსაცავი, მუზეუმი და არქივი, ჩვენი კულტურის და განათლების დედაბოძს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა.

და ბოლოს, „ფაქტობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაქსაქსული სასკოლო ქსელი ერთიან საგანმანათლებლო სისტემად აქცია - ერთიანი ეროვნული სასკოლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით. ეს არის იაკობ გოგებაშვილის იდეის გამარჯვება, მისი ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება (1,16). ამ იდეის გავრცელებასა და გამარჯვებაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუფასებელი წვლილი მიუძღვის.

ლიტერატურა:

1. გ. გოგოლაშვილი, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, თბ., 2013.
2. გ. გოგოლაშვილი, ქართული ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა, თბ., 2013.

Vianor Akhalaia

Gori State Teaching University

IAKOB GOGEBASHVILI AND THE SOCIETY FOR THE SPREADING OF LITERACY AMONG GEORGIANS RESUME

Iakob Gogebashvili's most influential work "Mother Tongue" was first published in 1876 and along with another of his major works "The Door to Nature" it has become an unique and indispensable manual in Georgian schools. Iakob Gogebashvili devoted his efforts to the hardest job of resurrection of the Georgian language and the Georgian school; he knew that only authoring educational manuals would not be enough but it was necessary to bring it to the people as well. This mission was taken and coped brilliantly by the Society for the Spreading of Literacy Among Georgians having been founded in 1879.

გიორგი გოგოლაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იოსებ ყიფშიძე იაკობ გოგებაშვილის შესახებ

მუხრან მაჭავარიანს აქვს ასეთი ჩანაწერი: ადამიანს შეუძლია მხოლოდ საკუთარი თავი დაახასიათოს, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა იგი სხვას ახასიათებს. ამ ჩანაწერში არის საინტერესო ჭეშმარიტება: ადამიანი როცა სხვას ახასიათებს, ამით იგი უპირველესად წარმოაჩენს საკუთარ თავს: რამდენად ობიექტურია იგი, რამდენად ძალუძს სწორად დაინახოს, შეაფასოს სხვისი ღირსებები და, რაც მთავარია, გულწრფელად აღიაროს სიდიდე თანამედროვისა.

სხვათა შორის, ერთ თავის ჩანაწერში რევაზ ინანიშვილმა დაიწივლა: „ნუთუ მართლა არაფერს კითხულობენ ერთმანეთისას ჩვენს სამშოში? და, თუ კითხულობენ, ნუთუ არაფერი აღაფრთოვანებთ?“.

როცა ამ ჩანაწერებს ვკითხულობ, უპირველესად ჩვენი კლასიკოსების მაგალითები დამიდგება თვალწინ: ილია, აკაკი და იაკობი. საერთოდ, სხვისი სიდიდის შემჩნევა და, რაც მთავარია, აღიარება დიდუცაობაა, ნიჭიერი ადამიანის თვისებაა. ეს უნიჭოები გაურბიან სხვათა დამსახურებისა თუ სიდიდის აღიარებას... ორიოდ მაგალითი დიდუცაობა გაკვეთილებიდან.

ილია ჭავჭავაძის ლექსი „პოეტი“ რომ წაუკითხავს ახალგაზრდა აკაკი წერეთელს, აღტაცება ხმამაღლა გამოუთქვამს: „აი, რას ამბობს პოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი, რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობა!“ აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვები ხომ კლასიკური მაგალითია დიდი თანამედროვის შეფასებისა... სწორედ ამ სიტყვის წაკითხვის შემდეგ უთქვამს ილია ჭავჭავაძეს: „კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა – აზრს, თუ აზრი – სიტყვას; ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან...“ და ა. შ.

იაკობ გოგებაშვილის იუბილეს გადახდა მოისურვეს; ცივი უარი მიიღეს იაკობისაგან – ჯერ ილიასა და აკაკის ეცით ღირსი პატივი და მერე იფიქრეთ ჩემზე... აკაკიმ სხვაგვარად გამოხატა თანამოდგაწის პატივისცემა: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას...“

ყოველივე ეს დიდი გაკვეთილებია ჩვენი კლასიკოსებისა და თითოეული მათგანის შეფასება თანამოკალმისა საკუთარი სიდიდის წარმოჩენა...

ის, რაც მოგახსენეთ, ცნობილია. მე ამჯერად მსურს ვისაუბრო ერთ უცნობ ჩანაწერზე. თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფესორ იოსებ ყიფშიძის არქივში აღმოჩნდა ჩანაწერი იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

1912 წლის 10 ივნისს თბილისში, დიდუბის პანთეონში ქართულ მიწას მიაბარეს იაკობ გოგებაშვილი. ახალგაზრდა (27-28 წლისა) იოსებ ყიფშიძე იმჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტია. 12 ივნისს მას ლექცია ჰქონია უნივერსიტეტში. ლექციის თემა იყო: „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“. სანამ უშუალოდ თემაზე საუბარს დაიწყებდა, იოსებ ყიფშიძეს ასე მიუმართავს აუდიტორიისათვის:

„ქალბატონებო და ბატონებო, გუშინწინ, კვირას, მთელმა საქართველომ თავის დედა-ქალაქ თბილისში მიწას მიაბარა ერთი საუკეთესო თავისი შვილი იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი.

ღვაწლი იაკობ სიმონის ძისა, ამ მთელი საქართველოს მასწავლებლის, მასწავლებელთა მასწავლებლის, მწერლის და გულმხურვალე მამულისშვილის, იმდენათ დიდია, რომ მას ქართველი ერი, სანამ კი ცოცხლობს, ვერ დაივიწყებს. კერძოთ, ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სახარებასთან ერთად იაკობის „დედა-ენაც“ იყო და არის ის ცემენტი, რომელიც აერთებდა გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ენათა სხვადასხვაობით დაყოფილ საქართველოს მკვიდრთა: კახელს, ქართლელს, იმერელს, გურულს, მეგრელს, სვანს და თუ სახარება აჭარა-ჭანეთში კარგა ხანია დადუმდა, და ძნელიც არის მისი იქ კვლავ ამეტყველება, მე იმედი მაქვს, რომ „დედა-ენა“ ადრე თუ გვიან აქაც გასჭრის და აჭარლებს და ჭანებს, ვითარცა ცხოვართა წყმედულთა, კვლავ საქართველოს საერთო უშიშარ ბაკში მოუყრის თავს.

დღეს კი გთხოვთ იაკობის ხსოვნას და მის ჯერ კიდევ გაუციებელ სამარეს ფეხზე ადგომით პატივისცემით. გთხოვთ დაბრძანდით“.

იაკობ გოგებაშვილის იოსებ ყიფშიძისეულ შეფასებაში რამდენიმე მომენტს მინდა მივაპყრო ყურადღება.

იაკობი – საქართველოს მასწავლებელი, მასწავლებელთა მასწავლებელი

ასეთი შეფასება მანამდე იაკობისთვის არავის მიუცია; მერე – კი!

იოსებ ყიფშიძის მიერ იაკობის „დედაენის“ შედარება პირველად მოხდა სახარებასთან – „გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ენათა სხვადასხვაობით დაყოფილ საქართველოს მკვიდრთა“ გამაერთიანებელ ძალასთან. დღეს ვამტკიცებთ, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში „დედაენამ“ ისეთივე როლი შეასრულა, როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის შემთხვევაში სახარებამ. როგორც ვხედავთ, ეს აზრი პირველად იოსებ ყიფშიძეს გამოუთქვამს!

ახლადშემოერთებული აჭარა-ჭანეთის კვლავ ერთიანი საქართველოს კულტურულ სივრცეში დაბრუნებას სწორედ „დედაენამ“ უნდა შეუწყოსო ხელი; სამწუხაროდ, სახარება იმ მხარეში იმჟამად ძალადაკარგული იყო... ამიტომ სწამს იოსებ ყიფშიძეს „დედაენის“ ეს საღვთო მისია: „რომ „დედა-ენა“ ადრე თუ გვიან იქაც გასჭრის და აჭარლებს და ჭანებს, ვითარცა ცხოვართა წყმედულთა, კვლავ საქართველოს საერთო უშიშარ ბაკში მოუყრის თავს“.

ასე ზუსტად, ღრმად და საფუძვლიანად შეფასება იაკობ გოგებაშვილის ღვაწლისა და „დედაენის“ მნიშვნელობისა იმდროისათვის იშვიათი იყო. ეს მიანიშნებს სწორედ იოსებ ყიფშიძის სწორ ეროვნულ პოზიციაზე, სხვისი ღვაწლის დანახვისა და შეფასების უტყუარ ალღოზე. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ დროისათვის იოსებ ყიფშიძე 27-28 წლის ახალგაზრდა იყო.

დღეს, როცა „დედაენას“ მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, კიდევ უფრო საცნაური ხდება, თუ რამდენად ზუსტი იყო იოსებ ყიფშიძისეული შეფასება იაკობის ღვაწლისა – იაკობ გოგებაშვილი „იმდენად დიდია, რომ მას ქართველი ერი, სანამ კი ცოცხლობს, ვერ დაივიწყებს...“

იოსებ ყიფშიძის, როგორც პიროვნების, დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის, დამახასიათებელია ის ბოლო ფრაზები: გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივისცემით. გთხოვთ დაბრძანდით“. ასეთი შემთხვევისათვის ეს ტრაფარეტული ფრაზები შეიძლება არც მიეწერა, ზეპირად ეთქვა, მაგრამ სცენარივით ყველა დეტალი გაითვალისწინა!..

საინტერესოა ისიც, რომ ეს ტექსტი, ასე შეიძლება ვთქვათ, ერთჯერადი გამოყენებისაა: არქივში შემორჩენილ ხელნაწერში იგი გადახაზულია. დატოვებულია ლექციის ტექსტი. ლექციის ტექსტი („მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“) – ცხადია მრავალჯერადი გამოყენებისა იყო...

Giorgi Gogolashvili
Gori State Teaching University
IOSEB KIPSHIDZE ABOUT IAKOB GOGEBASHVILI
RESUME

An interesting manuscript has been discovered in the archive of one of the founders of Tbilisi State University - Ioseb Kipshidze. In this manuscript I. Kipshidze underlines Iakob Gogebashvili's role and contribution in the

development of the educational system of Georgia. The manuscript is dated by June 10, 1912. It should be noted that young I. Kipshidze evaluated Iakob Gogebashvili's works and activities in a precise and correct manner.

როინ ჭიკაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელდების ისტორიიდან

„სწავლა, ცოდნა და მეცნიერება! აი, ამამაღლებელი ადამიანისა!“
(იაკობ გოგებაშვილი)

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავზე, 1940 წლის 28 ოქტომბერს, თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტს მიენიჭა დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის **იაკობ გოგებაშვილის** სახელი. ამ სახელდების ინიციატორები იყვნენ პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე და მეცნიერ-პედაგოგი გიორგი თავზიშვილი. „თქვენი ინსტიტუტი მე მიყვარს და მინდა იცოდეთ, რომ ის თავის დროზე მე და გიორგი თავზიშვილმა მოვნათლეთ იაკობ გოგებაშვილის სახელზეო“ - მოსალოცი ბარათით იტყობინებოდა გიორგი ლეონიძე ინსტიტუტის 25 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ ეწოდა თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტს იაკობ გოგებაშვილის სახელი? მისი ცხოვრება და მოღვაწეობა უშუალოდ ხომ არ ყოფილა დაკავშირებული თელავთან? უპრიანი ხომ არ იქნებოდა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტი ყოფილიყო იაკობ გოგებაშვილის სახელობისა? თუმცა კი ამ მხრივ თავდაპირველად თბილისისა და თელავის სასწავლებლებთან ერთად გორის პედაგოგიური სასწავლებლებიც დაუკავშირდა იაკობ გოგებაშვილის სახელს. კერძოდ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის **იაკობ გოგებაშვილის** დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა:

1. თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტს;
2. გორის პედაგოგიურ სასწავლებელს;
3. თბილისის პირველ პედაგოგიურ სასწავლებელს;
4. გორის რაიონის სოფ. ვარიანის არასრულ საშუალო სკოლას.

ამასთანავე, გორსაც და თელავსაც უცნაურად დაეხდა ახლო წარსულის თითქმის ერთნაირი საგანმანათლებლო ტრადიცია:

გასული საუკუნის 30-იან წლებში გორსა და თელავში ფუნქციონირებდა ორწლიანი სამასწავლებლო სასწავლებლები, რომლებიც 1939 წელს გადაკეთდა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებად; გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი, ხოლო თელავისას იაკობ გოგებაშვილის სახელი. 1999 წელს ორსავე პედაგოგიურ ინსტიტუტს მიენიჭა **სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი**.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მემკვიდრეა საკმაოდ შთამბეჭდავი ახლო თუ შორეული საგანმანათლებლო წარსულისა. ამ უნივერსიტეტის უშუალო წინაპარი გახლდათ თელავის პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელიც გაიხსნა 1924 წელს. სწორედ ამ პედაგოგიური სასწავლებლის ბაზაზე დაფუძნდა თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ნიშანდობლივია, რომ პედაგოგიური ინსტიტუტი 1973 წლამდე განთავსებული იყო მეფე ერეკლე მეორის სასახლეში; იმ ერეკლე მეფისა, რომელმაც ანტონ კათალიკოსთან ერთად შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი. ამ პროექტის მიხედვით განათლების ცენტრებად იქცეოდა თბილისი, გორი და თელავი.

მართალია, ანტონ პირველი კათალიკოსი გულმტკიცუნეულობდა: „მოვიცალე სხუათა ყოველთა კეთილთაგან და არა მოვიცალე საქართველოსა მსახურებისაგან“-ო, მაგრამ მან, როგორც მწიგნობარმა და განმანათლებელმა, მაინც „მოიცალა“ „ყოველთა კეთილთაგან“ და ერეკლე მეფის თანხმობითა და ხელშეწყობით 1758 წლის 28 ოქტომბერს თელავში გახსნა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სკოლა,

რომლის პირველი რექტორი გახლდათ ანტონ კათალიკოსის თანამოაზრე, ფრიად განსწავლული პიროვნება ფილიპე ყაითმაზაშვილი. სკოლამ იარსება 1782 წლამდე; ამავე წლის 28 მაისს კი ამ სკოლის რეორგანიზაციის შედეგად არქიმანდრიტ გაიოზის თაოსნობით სახეიმოდ გაიხსნა სასულიერო სემინარია. აღნიშნული სასწავლებლის მადლმოსილებას ეზიარნენ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი, პირველი ქართველი აკადემიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი, ერეკლე მეორის სამეფო კარის მსახური სოლომონ ლიონიძე, საყოველთაოდ აღიარებული მწიგნობარი დავით ფანასკერტელ-ციციშვილი და სხვა.

ასე რომ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიულად საკმაოდ მძლავრ საგანმანათლებლო ბალავარზეა დაშენებული.

მართლაც ფასდაუდებელია მეფე ერეკლესი და ანტონ კათალიკოსის საგანმანათლებლო ინიციატივები, რასაც შემდგომ გვირგვინი დაადგეს დავით და გაიოზ რექტორებმა. სწორედ ერეკლე მეფისეულ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სასწავლებლიდან ამოიზარდა თელავის პირველი საჯარო სკოლა, რომლის ძირძველ კედლებში დაფრთიანდნენ სახელოვანი მამულიშვილები: ქართული მწერლობის მშვენიერ ვაჟა-ფშაველა, პოეტი იროდიონ ევდომილი, პედაგოგი და მწერალი დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი), კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, მსოფლიოში ცნობილი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი...

ამ სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა შესანიშნავი ქართველი მწერალი ვასილ ბარნოვი.

გიორგი ლეონიძე დიდად აფასებდა დავით რექტორის ღვაწლს; იგი თელავის ინსტიტუტის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს დავით რექტორის მემკვიდრეებად სახავდა და ერთ-ერთი კერძო წერილით შემოუთვალა:

„სალამი დავით რექტორის მემკვიდრეებს...

სიტყვამ მოიტანა და რაღა გყავთ მიგდებული დავით რექტორი... თელავის პირველი რექტორი, - განმანათლებელი, თავისი დროისათვის ძალზე ცნობილი ფიგურა... ჩაუჯექით ვინმე და დაწერეთ მის შესახებ ნაშრომი. ამას გარდა, დაახატონეთ მისი სურათი და თქვენს ინსტიტუტში, დარბაზში ჩამოჰკიდეთ.

არ გეპატიებათ... თორემ ასი წლის შემდეგ თქვენც ასე დაგივიწყებენ.”

მართლაც არ გეპატიება დიდი წინაპრების ღვაწლის დაუფასებლობა. ჩვენი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, გაუფრთხილდეთ მათ სახელებსა და ნაღვას, „რომ წინ წარგვიდგეს ჭეშმარიტება, უკან რჩეს კვალი განათლებული”.

და ეს კვალი ნათელი ნიშანსვეტად დაედგა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს 1940 წლიდან, როცა ღირსევეს იაკობ გოგებაშვილის სახელებისა. თუმცა ისიც კარგად გვაქვს გათავისებული, რომ იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის ასპარეზი შეუდარებლად ვრცელია და ფართო; როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას”. ამიტომაც იყო, რომ ეროვნული მეობის გადასარჩენად იაკობ გოგებაშვილმა ილიასეულ სამ ღვთაებრივ საუნჯეს - მამულს, ენასა და სარწმუნოებას - ამოუყენა მეოთხე ბურჯი - ეროვნული სკოლა. „იაკობის აზრით, ჩვენს ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს, ოთხი ეროვნული (ნაციონალური) ძალა ამოძრავებს: მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება... იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ისაა, რომ მან ქართველობას გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა ამ ოთხი ეროვნული ბურჯისა და პირადი მაგალითი უჩვენა მათი უანგარო, თავდადებული მსახურებისა” (გოგოლაშვილი, 2012, 6).

მართალია, „სახარება”, „ვეფხისტყაოსანი” და „ქართლის ცხოვრება” იყო შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს იდეურ - პოლიტიკური საყრდენი” (მეტრეველი, 2014), მაგრამ ამ წმინდა წიგნებს თამამად შეიძლება ამოვუყენოთ მეოთხე საყრდენი - „დედაენა”, ვინაიდან „იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ” ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქართული ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში” (გოგოლაშვილი, 2012, 10).

მამასადამე, ქართველი ხალხის ეროვნულობას განამტკიცებს გოგებაშვილისეული ოთხი ბურჯი: მამული, ენა, ეროვნული სკოლა, სარწმუნოება და ოთხი საყრდენი: „სახარება, „ვეფხისტყაოსანი”, „ქართლის ცხოვრება”, „დედაენა”.

და, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო იზრდება გოგებაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობა; ახლახანს, 14 აპრილს, „დედაენის დღეს”, კულტურის სამინისტრომ გვამცნო, რომ **ქართული საანზანე სახელმძღვანელოს შექმნის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია მიენიჭება**, რაც ეფუძნება ამ მეთოდის საყოველთაო აღიარებას, როცა 2013 წელს გოგებაშვილის ამ მეთოდს მიენიჭა **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი**.

ამიტომაცაა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას ამ წმინდა სახელის წინაშე და გათავისებული აქვს დიდი იაკობის შეგონება: „სწავლა, ცოდნა და მეცნიერება ღონეა იმისათნა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ დაუდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის“. თელავის უნივერსიტეტი ამაყობს, რომ მას დაენათლა ქართული პედაგოგიური აზროვნების მესამიკვლის იაკობ გოგებაშვილის სახელი და ეწოდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ლიტერატურა:

1. **დარეჯან გამტკიცულაშვილი**, თელავის პირველი საჯარო სკოლის 255-წლიანი ისტორიის ფურცლები, (ხელნაწერის უფლებით), თელავი, 2013.
2. **გიორგი გოგოლაშვილი**, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012.
3. **მამია დარჩია**, გაიოზ რექტორი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1972.
4. **როინ მეტრეველი**, „ქართლის ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, #16, 2014.
5. **ალექსანდრე ფოცხიშვილი**, ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოებრიობა, გამომცემლობა „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1996.
6. **როინ ჭიკაძე**, ნალეწი განმად დაშთების, ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი, 2013.
7. **ალექსანდრე ხახანაშვილი**, კათალიკოს ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა, საღვთისმეტყველო კრებული - „ანტონ პირველი ბაგრატიონი“, გამომცემლობა „საქართველოს საპატრიარქო“, თბილისი, 1991.

Roin Chikadze

Iakob Gogebashvili Telavi State University

FROM DENOMINATE HISTORY OF IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY RESUME

I. Gogebashvili 100th anniversary, on October 28, 1940, at the State Pedagogical Institute received a great teacher and public figure I. Gogebashvili Name. Naturally, the question arises: Why was named the university in Telavi Jacob Gogebashvili's name? It was not directly related to his life and work in Telavi. The answer is clear; Firstly, this time was Telavi Institute of Pedagogical profile of higher education, and secondly, it was established on the Teachers' College base. Basically, yet even in 1924 opened the Pedagogical Institute, which basis in 1939 the Pedagogical Institute was founded, and thus created a pedagogical education and teacher training proper conditions.

ენათმეცნიერების სექცია Section of Linguistics

ლევან ბრეგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ჟარგონში ლინგვისტური ეკონომიის კანონის ერთი გამოვლინების შესახებ

ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში მრავლად გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ენაში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმებისა თუ იდიომების „ფრაგმენტებს“ წარმოადგენენ. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

1. თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში მეტად გავრცელებულია ზმნა „გაუსწორა“ („ასწორებს“, „გაუსწორდა“), რაც ნიშნავს: „ასიამოვნა, კარგი გუნება-განწყობილება შეუქმნა“:

„ლეო, გინდა გაგისწორო და „პოლიტექსტუალურ ველში“ ჩაფლულ-ჩანანავებულმა განვაგრძო ჩვენი მიმოწერის განზომილებებში შებუთქუნება?“ (ვაჩნაძე 2003: 46);

„თაფლისფერი თვალები კი მაგრად ასწორებს, ხალხნო!“ (პლენცდორფი 1982: 45);

„ზარემა დავინახე თუ არა, ეგრევე გამისწორდა“ (პლენცდორფი 1982: 80).

„გაუსწორა“ ზუსტად იმავე მნიშვნელობის სალიტერატურო გამოთქმის „ხასიათი გაუსწორა“-ს შემოკლებით არის მიღებული:

„ოცდამეერთე საუკუნემ გალაკტიონს ხასიათი გაუსწორა: დაარსდა ალმანახი „გალაკტიონოლოგია“ (რუხაძე 2002);

„ანიც დაჯდა მაგიდაზე და ბიჭებს ხასიათი გაუსწორა, მათთან ერთად რამდენიმე ჭიქა დალია“ (ვებგვერდი POEZIA.IN);

„შეიძლება საერთოდ არ გაინტერესებდეს ფეხბურთი, მაგრამ საყვარელ ადამიანს ერთხელ მაინც გაუსწორო ხასიათი და მის გატაცებას სრული იგნორირება არ გაუკეთო, ხომ შეიძლება?“ (ვებგვერდი „ფსიქეას ბლოგი“).

2. სალიტერატურო ქართულში არსებობს ხატოვანი გამოთქმა „ფეხებზე ჰკიდია“. თედო სახოკია მას ასე განმარტავს:

„ფეხებზე მკიდია - დარდი არა მაქვს, არა ვზრუნავ, რაც უნდა მოხდეს, ჩემთვის სულერთია. „ხშირად კნახავდით იმას ყრილობაში და გაიგონებდით მის საყვარელ სიტყვებს: „თქვენ, ჩემო ძმაო, ყველა თავის ცეცხლს უკეთებთ, სხვა ფეხებზე გკიდიათ!“ (ვაჟა).

ასეთი გამოთქმა წარმომდგარია, ალბათ, იქიდან, რომ, როგორც ფეხზე დაკიდებული მცირე რამე ფეხს არ ამძიმებს, სიარულს არ უშლის და ადამიანისათვის უმნიშვნელოა, ისე ისიც, ვისზედაც ლაპარაკია, ყოველს მნიშვნელობას მოკლებულია, ყურადღების ღირსი არ არის“ (სახოკია 1979: 649).

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში ეს გამოთქმა გვხვდება სიტყვა-სტატიაში „ფეხი“, ხოლო მისი განმარტების სანახავად გვაზავნიან სიტყვა-სტატიასთან „ჰკიდია“, მაგრამ ასეთი სიტყვა-სტატია ქეგლ-ში არ არის).

ამ გამოთქმის შემოკლებით არის მიღებული ჟარგონში ამჟამად მეტად გავრცელებული „ჰკიდია“ / „დაიკიდა“:

„მაგრად მიტყდება რომ ყველაფერი მკიდია, მაგრამ მაინც მკიდია!“ (სასიყვარულო საიტი);

„პუპას მაგრა გაუსწორდა, კახამ დაიკიდა და მე კიდე იზმენებში ვარ, ტო - არა ვგავარ და რანაირად ვარ ევროპელი!“ (მოსულიშვილი 2001: 142).

3. ჟარგონში „ახეხინეს“/„ხეხა“ ნიშნავს - ხანგრძლივ პატიმრობაში ამყოფეს/იმყოფებოდა:

„ხმა არ გაუღია - ვაითუ დამაჭერინონ და ისევ იქით გამამგზავრონ, სადაც 16 წელი მახეხინესო“ (ჩარკვიანი 2000: 4);

„ციხე უკვე ხუთჯერ ვხეხე“ (დავლიანიძე 1984: 102).

ეს არის შემოკლება სამსიტყვიანი ლიტერატურული გამოთქმისა „ციხის კედლები ახეხინეს“. ჰიპერბოლური ხატოვანი გამოთქმაა - იმდენ ხანს მჯდარა, რომ ციხის კედლები მრავალჯერ მიყრდნობისა თუ შეხების შედეგად გაუხეხავს:

„არადა ამ დისიდენტებს, რომელთაგან მრავალს, საბჭოთა რეჟიმმა საკმაოდ ახეხინა ციხის კედლები, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მეტიც - ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები ჰქონდათ“. (სანადირაძე, სანებლიძე 2012).

4. „შეეკრა“ ჟარგონში ნიშნავს - საიდუმლო კავშირით დაუკავშირდა (უპირატესად შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს). მისგან იწარმოება მიმღეობა „შეკრული“, რაც საიდუმლო კავშირით დაკავშირებულს ნიშნავს:

„მას იმ დათარსულ წელიწადს შეეკარი, ოდესაში იტალიური ოპერა რომ ჩაფლავდა“ (ზაბელი 1977: 37);

„სისხლს უშრობდა გიგანტს [გალაკტიონ ტაბიძეს] მთავრობასთან „შეკრული“ პოეტი-ფუნქციონერი“ (ლევანიძე 1990: 14);

„არადა, ვინც შეკრულია, ხშირად სწორედ ის უკრავს ხაზგასმითა და მონდომებით ტაშს“ (იმედაშვილი 1998: 6);

„...საბაზი არავისთვის მიგვიცია, რომ ჩვენთვის „შეკრულობა“ დაეწამებინათ. ან რას ნიშნავს ეს ჟარგონი? რომელ „სიტყვის კონაში“ მოიძიეთ?“ (ჯავახიშვილი 1990: 6).

ეს არის ფრაგმენტი ლიტერატურული გამოთქმისა „ფიცით შეეკრა/შეკრული“ ან „პირობით შეეკრა/შეკრული“ (მდრ. ხალხური „ხიდისთავს შავკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანი“).

ქეგლ-ში ვკითხულობთ: „**ფიცით, პირობით შეგვეკრება** - ფიცს მისცემს, პირობას დაუდებს“, და საილუსტრაციოდ დამოწმებულია ბაჩანას სტრიქონები: „და რომ არ გაგვთქვამ, მაზედაც უნდა **შეგვეკრა ფიცითა**“ (ტ. 7, სვ. 748); ხოლო „**ფიცით შეკრული**“ ასეა ახსნილი: „პირობით, ფიცით დაკავშირებული, შეერთებული“, და ნიმუშად მოხმობილია ფრაგმენტი ივანე მაჩაბლის თარგმანიდან: „**ფიცით** გახლავარ მე **შეკრული** და ფიცს ვერ გავტეხ!“ (ტ. 7, სვ. 876).

5. „**გაარტყა**“ ჟარგონში ნიშნავს - „გამოიცნო“ (უფრო ალალბედზე მინდობით):

„უნდა ვაღიარო, რომ ბევრ რამეს **გაარტყი**, ლეო“ [ნიშნავს: ...ბევრი რამე გამოიცანი, ლეო] (ვაჩნაძე 2003: 60);

„ზვიადი ამბობდა: მე თუ წავედი, ბანდიტები და ყაჩაღები მოვლენო.

გვარდიელები და მხედრიონელები ამბობდნენ: ჩვენ რომ წავიდეთ, მოვა შევარდნაძე და ესენგეში შეგვიყვანსო.

შევარდნაძე ამბობდა: მე კი წავალ სახლში, მაგრამ მიშა ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, მოგენატრებათ მამათიო.

მიშა ამბობდა: მე თუ წავედი, რაც ამ ქვეყანაში ნაგავია, ყველა ისევე ამოტივტივდებაო.

ჰოდა, აქამდე ხომ ყველამ **გაარტყა** და ახლა კი ბიძინა ამბობს: მე რომ წავალ, ყველაფერი კარგად იქნებაო და, ეგება და, თვალი არ ეცეს, თვალი!..“ (ზურაბიშვილი 2013).

„გაარტყა“ ნაშთია ლიტერატურული გამოთქმისა „მიზანში/მიზანს გაარტყა“, რომელიც პირდაპირი გაგებითაც იხმარება (სპორტში) და გადატანითი მნიშვნელობითაც - სასურველი შედეგის მიღებას ნიშნავს (ჟარგონში „გაარტყა“ მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება):

„ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი მიითვალა, საჯარიმოს ხაზზე კი 7-ჯერ დადგა და 6 სროლა **მიზანში გაარტყა**“ (კალათბურთი 2009);

„კლუბში გაწევრიანება ყველას შეუძლია, აქ მთავარი მონდომებაა და სურვილი იმისა, რომ ზუსტად **გაარტყა მიზანს**“ (სალუქვაძე 2012);

„ლალა მოროშკინა არ მალავს, რომ **მიზანში გაარტყა** და ასეთი სათაური (ლალა მოროშკინას წიგნის სათაურზეა ლაპარაკი. - ლ. ბ.) ერთგვარი პიარია“ (ირემაშვილი 2011).

6. „**ჩაავლო**“ ახალგაზრდულ ჟარგონში ნიშნავს - „დაიჭირა“, „გამოიჭირა“:

„შენ ის ჯეელი არა ხარ, გუშინ ჰონომ და სემმა რომ **ჩაავლეს**?“ (ბრეჰტი 1986: 22);

„...გამოსაძიებელ საქმეთა ნახევარი გაუხსნელი რჩება, მერე ვინმე განტყევის ვაცს **ჩაავლებენ** და ყველაფერს შეტენიან“ (სამადაშვილი 1988: 58).

ჟარგონული „ჩაავლო“/„ჩაავლეს“ ნაშთია ლიტერატურული გამოთქმისა „ხელი ჩაავლო“/„ხელს ჩაავლეს“, რაც ქეგლ-ში ასეა განმარტებული: „მაგრად ჩაჰკიდებს, ჩასჭიდებს (ხელს...)“. დამოწმებულია ვაჟა-ფშაველა: „[დარეჯანს] ხელი ჩაევლო ორი ბალღისთვის და სახელეწილი ელაპარაკებოდა ჯავარას“ (ტ. 8, სვ. 8).

მაგალითების გამრავლება შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია.

ყველა განხილულ შემთხვევაში მყარი ლიტერატურული გამოთქმებიდან, ფრაზეოლოგიზმებიდან, ჟარგონში დარჩა მხოლოდ ზმნა, ხოლო გამოთქმის შინაარსი არ შეიცვალა ან მცირედ მოდიფიცირდა.

აშკარაა, საქმე გვაქვს ლინგვისტური ეკონომიის კანონის გამოვლინებასთან ლექსიკურ დონეზე.

ლინგვისტურ ეკონომიას უწოდებენ „მოლაპარაკის მისწრაფებას დაზოგოს ძალისხმევა მეტყველებისას, რაც ენის ცვლილების ერთ-ერთი მიზეზია“ (როზენტალი 1976).

შემთხვევები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, წაგავს ელიფსისს, მაგრამ ელიფსისი არ არის. ელიფსისი ასე განიმარტება: „პოეტური ფიგურა, სტილისტიკური ხერხი, როდესაც წინადადებაში ამოღებულია ან გამოტოვებულია ადვილად მისახვედრი სიტყვა. მისი ამოღება ხელს არ უშლის აზრის ზუსტად გადმოცემას, გამოტოვებულის მაგივრობას ასრულებს ტირე“ (ჭილაია 1984: 80).

არავითარი ტირე განხილულ ნიმუშებში საჭირო არ არის, რადგანაც გამოტოვებული სიტყვ(ებ)ის მიხედვრის საჭიროება არ არსებობს. ჟარგონული გამოთქმა მისი მშობელი ლიტერატურული გამოთქმისაგან დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს.

რატომ ან რა შემთხვევაში გადაიქცევა მყარი ლიტერატურული შესიტყვება შემოკლებისას, ზმნამდე დაყვანისას, ჟარგონად? ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს. მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მყარ შესიტყვებათა უმეტესობას ასეთი რამ არ ემართება. ავიღოთ სამაგალითოდ გამოთქმები „თავი მოიჭრა“ და „თავი გაართვა“. შეუძლებელი ჩანს, რომ ესენი ზმნამდე რედუცირდეს და ამის შედეგად მათი მნიშვნელობა არ შეიცვალოს. კიდევაც რომ მოხდეს ასე, ანუ მართლ „მოიჭრა“ და „გაართვა“ დარჩეს, ძნელი წარმოსადგენია ესენი ჟარგონებად ჩაითვალოს.

დამოწმებანი:

ბაბელი 1977: ბაბელი, ისააკ. მარია. თარგმნა თამაზ კვაჭანტირაძემ. თბილისი: „ნაკადული“, 1977.

ბრეჰტი 1986: ბრეჰტი, ბერტოლტ. პიესები. თბილისი: „ხელოვნება“, 1986.

დავლიანიძე 1984: დავლიანიძე, ჯემალ. ჟ. „ცისკარი“, 1984, #5.

ვაჩნაძე 2003: ვაჩნაძე, დიანა. ნატა ანუ ახალი ჟიული. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003.

ვებგვერდი POEZIA.IN: <http://poezia.in/index.php?newsid=8282>

ვებგვერდი „ფსიქეას ბლოგი“: <http://psiqea.wordpress.com/2013/03/18/daqalebi/>

ზურაბიშვილი 2013: ზურაბიშვილი, დავით. <http://www.tabula.ge/ge/verbatim/74128-davit-zurabishvili-aqamde-xom-kvelam-gaartka>

იმედაშვილი 1998: იმედაშვილი, კობა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, #37.

ირემაშვილი 2011: ირემაშვილი, ეკა. „ლალ მორომკინა ახალი სკანდალით იმუქრება“. გაზ. „ახალი თაობა“, 2011.04.23. <http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2011&art=5737>

კალათბურთი 2009: საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდი. <http://www.gbf.ge/news.php?m=news&date=2009-10&id=1835>

ლებანიძე 1990: ლებანიძე, მურმან. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, #48.

მოსულიშვილი 2001: მოსულიშვილი, მიხო. ფრენა უკასროდ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2001.

პლენცდორფი 1982: პლენცდორფი, ულრიხ. ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი. გერმანიიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1982.

როზენტალი 1976: Розенталь Д. Э., Теленкова М. А.. Словарь-справочник лингвистических терминов. Изд. 2-е. - М.: Просвещение, 1976. <http://dic.academic.ru/dic.nsf/lingvistic/1858/экономика>

რუხაძე 2002: რუხაძე, მაია. „გალაკტიონოლოგია“ - „ლოგიების“ ბრწყინვალეობა და სილატაკე. გაზ. „ახალი 7 დღე“, 2002.12.06, #44. <https://open.ge/index.php?m=28&y=2002&art=10794>

სალუქვაძე 2012: „რეპორტაჟი „ნინო სალუქვაძის ტირიდან“. <http://www.itv.ge/?m=16&CID=20672>

სამადაშვილი 1988: ჟ. „მნათობი“, 1988, #12.

სასიყვარულო საიტი: <http://4love.ge/statusebi/print:page,1,67251-.html>

სანადირაძე, სანებლიძე 2012: სანადირაძე, გურამ; სანებლიძე, ნიკოლოზ. „საქართველო ჩვენზე უნდა ემართოს და გადავარჩინოთ დისიდენტები და მათი თაყვანისმცემლები“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2012.01.10. <http://open.ge/index.php?m=12&y=2012&art=94>

სახოკია 1979: სახოკია, თედო. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი: „მერანი“, 1979.

ჩარკვიანი 2000: ჩარკვიანი, ჯანსუღ. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2000, #33.

ჭილაია 1984: ჭილაია ა., ჭილაია რ.. ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

ჯაველიძე 1990: ჯაველიძე, ელიზბარ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, #27.

ON A MANIFESTATION OF THE LINGUISTIC ECONOMY PRINCIPLE IN SLANG
Levan Bregadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian
 Literature Chief Scientist
RESUME

Georgian youth slang abounds in the words representing “fragments” of phraseology and idioms spread throughout the literary language. One example of this is a verb “gaustsora” that is widespread in the contemporary Georgian youth slang language. It means: To please someone, to put somebody in a good mood. That word is obtained by shortening of the literary phrase “khasiat’i gaustsora” having the same meaning. In this paper, it is analyzed similar phenomena that can be considered as particular manifestations of the overall principle of linguistic economy.

Such economy seems to be a very productive way of creating slang phrases from those belonging to a literary language.

ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობის საკითხისათვის

ებრაელთა ენების კვლევის ერთ-ერთი პიონერი, სახელგანთქმული ისრაელი მეცნიერი ხაიმ რაბინი თავის ფუძემდებლურ ნაკვლევში ამ ენათა რაობის შესახებ დანახებით აღნიშნავდა: "ზევრ შემთხვევაში ებრაელთა ენის შესწავლა მხოლოდ მაშინ დაიწყეს, როცა ამის გაკეთება თითქმის ძალიან დაგვიანებული იყო."¹ ამ მხრივ არც ქართველ ებრაელთა მეტყველების კვლევაა გამონაკლისი. სანამ იმ საკითხს შევხებოდეთ, რა არის გაკეთებული ამ მიმართებით (ე. ი. ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლის თვალსაზრისით), უპირანი იქნება მოკლედ მაინც ვიმსჯელოთ საკმაოდ უცხო ტერმინის შესახებ - "ებრაელთა ენები".

ყველაზე მარტივი განმარტებით, ებრაელთა ენები ის ენებია, რომლებზეც ებრაელები ლაპარაკობდნენ დიასპორის ქვეყნებში. ლოცვისა და ღვთისმსახურების რიტუალების შესასრულებლად ყველა ამ ქვეყანაში იყენებდნენ "წმინდა ენას" - ანუ ბიბლიის ებრაულს - თანამედროვე ტერმინოლოგიით - ივრითს, ხოლო სალაპარაკო ენად - ე. წ. ებრაელთა ენებს,² რომლებიც, როგორც ხ. რაბინი აღნიშნავს, "როგორც წესი, განვითარება ან სპეციფიკური ფორმა იმ ქვეყნების ენებისა, სადაც ებრაელები სახლობდნენ, ან საიდანაც მოვიდნენ ამ ქვეყნებში".³ მაშასადამე, ებრაული ენები ადგილობრივ ენებს ეფუძნება, მაგრამ მათგან განსხვავებაც თვალში საცემია.

გამოყოფენ ებრაულ ენათა ორ ჯგუფს: 1. ენები, რომლებიც ფაქტიურად დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენენ, როგორებიცაა იდიში ან ლადინო (ანუ ჯუდეზმო, ესპანურ-ებრაული) და სხვ. 2. გაებრაულებული ენები, რომლებიც ადგილობრივ ენათა განსაკუთრებული ფორმაა და არა იმდენად დამოუკიდებელი ენა, როგორც არაბულ-ებრაული.

მაგრამ იმ განსაკუთრებული ფუნქციების გამო, რომლებიც ამ ენებს მოეპოვებათ, მათ ყველას აერთიანებენ ებრაულ ენათა ჯგუფში.

ცხადია, რომ ტრადიციულ ენათმეცნიერულ კლასიფიკაციათა მიხედვით (გენეალოგიური, მორფოლოგიური) ვერ მოხერხდება ენათა ასეთი ჯგუფის გამოყოფა. ეს ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წარმოშობის მიხედვითაც, მორფოლოგიური აგებულების თვალსაზრისითაც და ტიპოლოგიურადაც.

მაგრამ უკანასკნელ ხანს შეინიშნება დამატებითი საკლასიფიკაციო ნიშნების შემოტანა. მაგალითად, ლაპარაკობენ კონტაქტისმიერი ენების თაობაზე, რომლებიც ენათა შეხვედრის საზღვარზე იქმნება, როგორც, მაგალითად, ინგლისურისა და ფრანგულის კონტაქტის შედეგად კანადაში, მონრეალში, და სხვაგანაც.⁴ მიუთითებენ, რომ სწორედ ასევე შესაძლებელი ჩანს ებრაელთა ენების გამოყოფაც რიგი გამაერთიანებელი ნიშნის არსებობის გამო.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ისინი განირჩევიან მხოლოდ სარწმუნოებრივი თუ ეთნიკური ნიშნით, მაგრამ, როგორც პროფ. ბარ-აშერი აღნიშნავს თავის წინამორბედთა ნაშრომებზე დაყრდნობითა და საკუთარი კვლევის შედეგად, "არსებობს რიგი ურდული, რომლებიც მჭიდროდ აკავშირებენ ებრაელთა ენებს ან მათს უმეტესობას მაინც ერთმანეთთან და წარმოგვიდგენენ მათ, როგორც თავისთავად ენობრივ ჯგუფს... ებრაელთა ენების გამოყოფის მყარი საფუძველია ის ფაქტი, რომ მათ აქვთ საზიარო კულტურული მემკვიდრეობა, რის შედეგადაც მათში ვლინდება ხელშესახები ენათმეცნიერული სამანები".⁵

¹ ხ. რაბინი, რა აერთიანებს ებრაელთა ენებს, "ფე'ამიმ", 1, 1979, გვ. 39.

² ცხადია, ფრიად საინტერესო საკითხია, რატომ სალაპარაკო ენადაც არ იყენებდნენ ივრითს? ხ. რაბინი განმარტავს, რომ ეს ვითარება იმან განაპირობა, რომ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულისათვის, გაფანტვამდე ცოტა ხნით ადრე და თვით გაფანტვის ეპოქაში ებრაელებმა სხვადასხვა, დღეისათვის ცნობილი თუ უცნობი, მიზეზების გამო დაკარგეს ივრითი, როგორც სალაპარაკო ენა და ფაქტიურად თან აღარ წაუღიათ დიასპორაში (იქვე, გვ. 40).

³ იქვე. ხაზგასმა იმისა, საიდანაც მოვიდნენ ამ ქვეყნებში, ფუძემდებლური ხასიათისაა, რადგანაც მთელი აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობა იდიშზე ლაპარაკობდა, რომელიც გერმანულს ეფუძნება, ესე იგი იმ ქვეყნის ენას, საიდანაც ებრაელები მოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში (უფრო დაწვრილებითა და ზუსტადაც შეიძლება ამ საკითხის განმარტება, მაგრამ ეს სცილდება წინამდებარე საკვლევ თემას).

⁴ იხ. მოშე ბარ-აშერი, ენები, ტრადიციები, ჩვეულებანი, იერუსალიმი, 2010, გვ. 221.

⁵ იქვე, გვ. 222-223.

ვფიქრობთ, უმჯობესია ამ სპეციფიკურ ნიშნებს ქართველ ებრაელთა მეტყველების მონაცემთა განხილვისდა კვლად შევხვით.

ამიტომ ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ამ (ქართველ ებრაელთა) მეტყველების შესახებ. ებრაელები საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ. როგორც წესი, ლაპარაკობენ ორიათასექვსასწლიანი პერიოდის შესახებ - მოყოლებული 586 წლიდან, როცა, ტრადიციული შეხედულებით, პირველი ებრაელები მოვიდნენ საქართველოში - დღემდე,¹ თუმცა არსებობს სხვა თვალსაზრისებიც. ასეა თუ ისე, საქართველოში ებრაელთა ცხოვრების პერიოდი აშკარად ორ ათასწლეულზე მეტს მოითვლის. ამ ხნის განმავლობაში ქართველი ებრაელები, თავიანთი ყველა სხვა თანამოძმის მსგავსად, განაგრძობდნენ რელიგიური კულტისათვის წმინდა ენის გამოყენებას, სალაპარაკოდ კი ქართული ენა შეითვისეს.

ისმის შეკითხვა, არის თუ არა ეს ენა ზუსტად ისეთივე ქართული, სალიტერატურო ენად ან დიალექტებად რომ ვიცნობთ, თუ აქვს თავისი სპეციფიკური ნიშნები? ბოდიშს ვიხდით ერთ-ერთი საკუთარი ნაშრომიდან გრძელი ციტატის დამოწმებისათვის, მაგრამ, კვადნიერდებით და წარმოგიდგენთ, რაკი იგი ზუსტად ასახავს არსებულ ვითარებასაც და ჩვენს თვალსაზრისსაც: "შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ყოველთვის, ხალხურმა სიბრძნემ კარგად დაიჭირა ქართველ ებრაელთა მეტყველების განსხვავებულობა და მას შესაბამისი სახელებიც მოუწახეს: **ურიული** (გავიხსენოთ თუნდაც აკაკი წერეთლის "ურიული მოთქმით ტირილი" - უნდა ითქვას, რომ დიდი აკაკის ლექსში ამ ტერმინს უფრო ფართო გაგება აქვს, ვიდრე მხოლოდ მეტყველება ებრაელებისა, მაგრამ უწინარესად იგი სწორედ მეტყველებას გულისხმობს), **ყივრული** (ებრაული სიტყვიდან 'ever, რომელიც ებრაელს აღნიშნავს და რომელსაც თვით ებრაელებიც და ამის შედეგად ქართველებიც იყენებდნენ ებრაელთა აღსანიშნავად - გავიხსენოთ, მაგალითად, ხალხური ლექსი - "ყივერ-ყივერი ბიჭები სანადიროდ მიდიანო"). თვით ქუთაისის ებრაელებსაც ჰქონდათ დამატებითი ტერმინები თავიანთი მეტყველების გამოსარჩევად: **ჩვენებურული** (ჩემ მიერ 1976 წ. ქუთაისში ჩაწერილ მასალაში არის ასეთი წინადადება: შენე ჩვენებურულათ ლაპარაკობ თუ ქართულათ), **ზეითქურული** (ებრაელები "ზეითქურას" უწოდებდნენ ზედა

¹ ჩვენი ნაშრომის თემა სცილდება საქართველოში ებრაელთა დასახლების შესახებ არსებულ შეხედულებათა შეფასება-განხილვას. ვიტყვით მხოლოდ, რომ თვალსაზრისი 2600 წლის წინათ ებრაელთა მოსვლის შესახებ ერთადერთი არ არის. როგორც ვთქვით, ყველაზე უფრო ფხიშვნიკებულია შეხედულება, რომ ეს მოხდა დაახლოებით 2600 წლის წინათ, როცა იერუსალიმის პირველი ტაძრის აოხრების შემდეგ (დაახლოებით 586 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სამშობლოდან ლტოლვილი ებრაელები მცხეთას მოადგნენ, რის შესახებაც მოგვითხრობს მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 15-16); მეორე თვალსაზრისით, ებრაელები თითქმის 130 წლით ადრე მოვიდნენ საქართველოში, როცა ასურელების თავდასხმას გამოექცნენ (722 წ. ჩ. წ-მდე), და ისინი ებრაელთა დაკარგული ათი ტომის შთამომავალნი არიან. ამ შეხედულების მომხრენი ეყრდნობიან თვით ებრაელთა შორის გავრცელებულ ლეგენდებსა და ვახუშტი ბატონიშვილის ერთ შენიშვნას (რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელია ამ ლეგენდებს ეფუძნებოდეს), რომ 586 წელს ებრაელები **ისევ** (ხაზი ჩვენი - რ. ე.) მოვიდნენ საქართველოში (ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 53). მამასადამე, ისინი უფრო ადრეც მოსულანო აქ, ეს ადრე კი სწორედ მერვე საუკუნე უნდა იყოს ჩვენს ერამდეო. ზოგი მეცნიერის დაზუსტებით (გ. ბენ-ორენი და სხვ.), შესაძლებელია ებრაელები საქართველოში მოვიდნენ არა მცირე პირველი ტაძრის აოხრების შემდეგ, არამედ უფრო მოგვიანებით იმავე მეექვსე საუკუნეში ჩვენს ერამდე, როცა საქართველოს ტერიტორია უკვე სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა. მეცნიერულად ყველაზე დასაბუთებული ჩანს ის შეხედულება, რომელიც "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველ ტომშია წარმოდგენილი (რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი, თბილისი, 1970, გვ. 452-453) და რომლის მიხედვითაც ებრაელთა საქართველოში დამკვიდრება უნდა მომხდარიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში, კერძოდ, 169-166 წლებში. პროფ. ე. მამისთვალისიშვილი აზუსტებს ამ თარიღს (თუმც კი არ არის დაწმუნებული, რომ სწორედ ამ დროს დამკვიდრდნენ ებრაელები) და აღნიშნავს, რომ, თუ მართლა ამ დროს მოხდა ეს აქტი, მაშინ ზუსტი თარიღი იქნებოდა 136 წ. ჩვენს ერამდე (ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995, გვ. 22). პროფ. კ. ლერნერმა, რომელიც ახლა იერუსალიმის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, ახალი საბუთებით გაამართლა გ. მელიქიშვილისეული დასკვნა (თხზულება "ქართლის ცხოვრება", ისტორიულ-ენათმეცნიერული ანალიზი, იერუსალიმი, 2003, გვ. 40 - ივრითზე; Евреи в Грузии, от Эллинизма до позднего феодализма, იერუსალიმი, 2008, გვ. 68). ებრაელთა შემოსვლის ტალღები შემდეგ საუკუნეებშიც იყო.

ჩვენ აქ მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოვადგინეთ საკითხის ირგვლივ არსებული ნაშრომებისა. როგორც ჩანს, ეს მეცნიერული დავა ვერ ახდენს გავლენას ტრადიციად დამკვიდრებულ რწმენაზე, რომ ებრაელთა და ქართველთა მეგობრობა 26 საუკუნეს ითვლის. ეს თარიღი აღინიშნა 1998 წელს და მიმდინარე წელს ხელახლა ვიზეიმებთ (რაკი წელს სრულდება ზუსტად 2600 წელი იერუსალიმის აოხრების შემდეგ), რაც კიდევ ერთი გამოხატულებაა იმ განსაკუთრებული კავშირისა, რომელიც ქართველთა და ებრაელთა შორის არსებობს.

და ქვედა სალოცავებს შორის და მიმდებარე უბანს). ცხადია, ეს ტერმინები უეჭველი მოწმეებია იმისა, რომ ხალხმა მშვენივრად იცოდა, რომ ებრაელთა მეტყველება განსხვავდება საერთო ქართულისგან.¹¹

მივადევით ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობის გარკვევის ცდისას:

1. რა განაპირობებდა ამ განსხვავებულობას, შეიძლება თუ არა იმ ნიშნების გამოყოფა, რომლებიც ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებას ქმნიდა?

2. ქართველი ებრაელები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სახლობდნენ და, მაშასადამე, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტების წარმომადგენლებთან ჰქონდათ შეხება. ქართველ ებრაელთა მეტყველებას ამ სხვადასხვა დასახლებაში ჰქონდა თუ არა გამაერთიანებელი ნიშან-თავისებურებანი თუ უპირატესად სათანადო დიალექტების თავისებურებანი დაჩნდებოდა სხვადასხვა ადგილას?

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ზუსტი პასუხი ამ კითხვებზე, რამდენადაც ქართველ ებრაელთა მეტყველება არ არის სათანადოდ შესწავლილი. რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ მხრივ არაფერი არ არის გამოკვლეული. როგორც არაერთხელ აღვნიშნავს,¹² გვაქვს როგორც საქართველოში ქართველ და ებრაელ მეცნიერთა მიერ შესრულებული გამოკვლევანი, ისე ისრაელში გამოქვეყნებული ნაშრომები საქართველოდან ამოსული თუ იქაური მკვლევრებისა. კერძოდ, საქართველოში ამ საკითხებს იკვლევდნენ ნ. ბაბალიკაშვილი,³ ი. გაგულაშვილი,⁴ კ. დუმბაძე,⁵ ა. კრიხელი,⁶ თ. ლომთაძე,⁷ ე. მამისთვალაშვილი,⁸ მ. მამისთვალოვი,⁹ გ. წერეთელი,¹⁰ კ. წერეთელი¹¹ და სხვები. ისრაელში ამ სფეროში მოღვაწეობენ ვ. მოსკოვიჩი და გ. ბენ-ორენი.¹² ამ უკანასკნელმა თავისი სადოქტორო დისერტაცია ქართველ ებრაელთა მეტყველებას მიუძღვნა.¹³ ამ სტრიქონების ავტორიც მუშაობს აღნიშნულ საკითხებზე როგორც საქართველოში ცხოვრებისას,¹⁴ ისე ისრაელში ამოსვლის შემდეგ.¹⁵ და მაინც უნდა გავიმეოროთ, რომ ის, რაც შესწავლილია, აბზაცის დასაწყისში დასმულ

¹ რეუვენ ენოხი, მიმართება სალიტერატურო ქართულს, იმერულ კილოსა და ქუთაისის ებრაელთა მეტყველებას შორის ანუ ქართველ ებრაელთა მეტყველება ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის შესაყარზე, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა", ქუთაისი, 2013, გვ. 169-170.

² იქვე, გვ. 171. იქვე წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიაც, მაგრამ საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტთათვის კიდევ ერთხელ ვაქვეყნებთ მას რამდენიმე დამატებით.

³ ნ. ბაბალიკაშვილი, ქართველ ებრაელთა ებრაული წარმოთქმა, ლეონენუ, 44,1, 1979, გვ. 66-70 (ივრითზე); Нисан Бабаликашвили, Еврейские эпиграфические памятники в Грузии /XVIII-XIX вв./, Автореферат на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилисский государственный университет, 1971.

⁴ ი. გაგულაშვილი, საკუთარი სახელები: ებრაულ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993.

⁵ კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯავანმარდი, 2, 1979, გვ. 28-37.

⁶ Арон Крихели, «Исторический обзор пребывания иногородных (русских и европейских) евреев на Кавказе», *Труды Историко-этнографического музея евреев Грузии* 3 (1945), გვ. 135-166; მისივე, ქართველი ებრაელები მათს მეზობელთა გარემოცვაში, ჰათფუცა: აღმოსავლეთ ევროპა, იერუსალიმი, 1976, გვ. 121-125.

⁷ თ. ლომთაძე, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ენობრივი მიმოხილვა: ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005, გვ. 19-22.

⁸ ე. მამისთვალაშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995.

⁹ მ. მამისთვალოვის ნაშრომთა მიმოხილვა იხ.: მ. დანიელაშვილი, მორდეხ მამისთვალაშვილი, თბილისი, 1996.

¹⁰ სამწუხაროდ, სახელგანთქმული აღმოსავლეთმცოდნის გ. წერეთლის ნაშრომი საჩხერის ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ გამოუქვეყნებელი დარჩა.

¹¹ კ. წერეთელი, ქართულში ტერმინ "ივრითის" ხმარების გამო. უცხოური ტერმინი მშობლიური ქართულის ნაცვლად, მენორა, ნოემბერი, 1998, გვ. 2; მისივე, ქართულ-ებრაული ურთიერთობისათვის, საქართველოს რესპუბლიკა, 8-9-9, 1998, გვ. 2.

¹² Wolf Moskovich & Gershon Ben-Oren, "The Hebrew-Aramaic and Georgian Components in the Spoken Language of Georgian Jews", *Proceedings of the Eighth World Congress of Jewish Studies*, Division D, Jerusalem 1982, გვ. 19-24; მათივე, ებრაელ ვაჭართა არგო საქართველოში აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ვაჭართა არგოსთან შედარებით, მესოროთ, 8, 1985; მათივე, ქართველ ებრაელთა ენის მახასიათებლები, ფ'ეამი, 31, 1986, გვ. 95-119.

¹³ გ. ბენ-ორენი, ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენის სპეციფიკური თავისებურებანი, სადისერტაციო ნაშრომი ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი, 1993.

¹⁴ რ. ენუქაშვილი, ქართველ ებრაელთა მეტყველების სპეციფიკური თავისებურებანი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოს ებრაელები და საქართველოს კავშირი ისრაელის ქვეყანასთან", ბენ-ცვის სახელობის აღმოსავლეთის თემების კვლევის სამეცნიერო ინსტიტუტი, იერუსალიმი, 1990 წ. 11-12 დეკემბერი.

¹⁵ Reuven Enoch, "Peculiarities of the Georgian Jews' Speech, 2", International Scientific Conference "Tbilisi – Jerusalem 2", Academy of Sciences of Georgia, Tbilisi 1998, Theses Summaries, pp. 65-66; მისივე, ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენის სპეციფიკური თავისებურებანი. ქუთაის-ბანძის რეგიონის ებრაელთა მეტყველების მიხედვით, მორემეთ ისრაელ, 2, 2005, გვ. 153-182; Reuven Enoch, "Ein Sonderfall der Pluralbezeichnung des Objekts in georgischen Dialekten (am Beispiel der Sprechweise der georgischen Juden)", *Georgica, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens* 28 (2005), გვ. 109-122; მისივე, ივრითული სიტყვები ბიბლიის ქართველ ებრაელებისეულ ტრადიციულ ზეპირ

კითხვებზე სრული პასუხის გაცემის შესაძლებლობას არ იძლევა. განსაკუთრებით თვალში საცემია განსახლების ადგილების მიხედვით ებრაელთა მეტყველების ნიმუშების თითქმის არარსებობა. ამიტომაც ძნელი გადასაჭრელია პრობლემა, რას წარმოადგენს ქართველ ებრაელთა მეტყველება, არის თუ არა იგი ერთ-ერთი ებრაული ენა¹ თუ ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტი ან სულაც თქმების წყებაა მხოლოდ.

და მაინც, რამდენადაც არსებულ შეზღუდულ შესაძლებლობათა ფარგლებშია მოსახერხებელი, შევეცდებით ძალიან მოკლედ გავაანალიზოთ ქართველ ებრაელთა მეტყველება იმ ზოგადი სპეციფიკური ნიშნების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც ხდება ამ ენების გამოყოფა. მიუთითებენ ოთხ ძირითად მახასიათებელს,² რომელთაგანაც თითოეულის შესახებ რამდენიმე სიტყვით ვიტყვი:

1. ბიბლიისა და სხვა სალოცავი წიგნების თარგმნა ამ ენაზე. ქართველ ებრაელთა ენაზე არსებობდა ასეთი თარგმანები - თავსილის სახელწოდებით. ისინი ზეპირი გზით საუკუნეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მათ ფართოდ იყენებდნენ სალოცავებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი მეცნიერულად შესწავლილი და გამოქვეყნებული არ ყოფილა, ქართული ფილოლოგიისათვის ქართული ენის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები უცნობი გახლდათ, მხოლოდ უკანასკნელ წლებში შევძელით ზოგიერთი მათგანის გამოკვლევა და გამოქვეყნება,³ მაგრამ დიდისაგან დიდი უმეტესობა ისევ ელის მზის სინათლეს.
2. მეტყველებაში ბიბლიიდან და სალოცავი წიგნებიდან ამოღებული ციტატების ჩართვა. ჩვენ წილად გვხვდა (დიდი ვარლამ თოფურიას მითითებითა და ხელდასმით) ქართველ ებრაელთა ნიმუშების ჩაწერა სხვადასხვა დროს და დღესაც, როცა ქართველ ებრაელთა წრეში ვტრიალებთ, ადვილი შესამჩნევია, რომ მათი საუბარი სავსეა ასეთი ციტატებით (მაგალითად, ებრაელ "მამათა სწავლანის" ერთ-ერთი ცნობილი გამოთქმა, "გამ ზე ლეტოვ" ივრითზეც ხშირად ითქმის ხოლმე და მის გვერდით ქართული თარგმანის სხვადასხვა ვარიანტსაც უმაღლესი იყენებენ: "ყველაფერი სასიკეთოა", ან "ესეც კარგია" და სხვ.
3. ივრითული შემადგენლის არსებობა. მხედველობაშია ივრითული სიტყვა-გამოთქმები და სინტაქსურ-მორფოლოგიური კალკები. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებულ დასახელებულ ტრადიციულ თარგმანებში, მაგრამ მათი გავლენით საკმაოდ არის გადმოსული ყოველდღიურ მეტყველებაშიც (მაგ., უშემასმენლო წინადადებანი⁴).
4. არქაიზმების სიმრავლე ენაში. ისევ და ისევ შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა ტრადიციული თარგმანები არქაულობის ბეჭდით არის დაღდასმული. ეს არც არის გასაკვირი, რაკი ეს თარგმანები, ჩვენი დაკვირვებით, თავდაპირველად მე-11 საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული, მაგრამ მათ ლამის ყოველდღიურად იყენებდნენ ქართველი ებრაელები უკანასკნელ ხანებამდე (სამწუხაროდ, დღეს ცოტა ვინმე თუ იცის ისინი სათანადოდ) და ამიტომ ეს არქაიზმი მათს მეტყველებაშიც აისახებოდა.

ამასთან ერთად მიუთითებენ, რომ ებრაელთა ენების უმეტესობისათვის ივრითულ დამწერლობას იყენებდნენ, რაც ერთგვარად ხაზს უსვამდა ეროვნულობისა თუ ეთნიკურობის მომენტს, მაგრამ ეს,

თარგმანში, საერთაშორისო კონფერენცია ებრაელთა ენებისა და ივრითის შესახებ, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი, 26-29.06.2006; მისივე, "Elements of the old Georgian Language in the *Tavsil*", *The Kartvelologist, Journal of Georgian Studies* 14 (Autumn 2007), გვ. 44-73; მისივე, მოახდინა თუ არა ივრითმა გავლენა ქართულზე, მესოროთ, 2007, გვ. 13-24; მისივე, თავსილი. ქართველ ებრაელთა ტრადიციული ზეპირი თარგმანი თორისა, იერუსალიმი 2008; მისივე, დაკვირვებანი ბერეშითის (= შესაქმის) თავსილზე, იერუსალიმი, 2009; ებრაელებსა და ებრაელობასთან დაკავშირებული ადგილის სახელები საქართველოში, მორეშეთ ისრაელ, 9, 2011, გვ. 82-92; მისივე, ქართველ ებრაელთა საკუთარი სახელები, წიგნში "და აი ესაა სახელები", ბარ-ილანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 13-31; მისივე, ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებული ტრადიციული თარგმანი ფესახის აგადისა, იერუსალიმი, 2014.

¹ეს საკითხი სადავოა ებრაელთა ენების სპეციალისტებისათვის. მაგალითად, პირველ საგანგებო შეკრებაზე, რომელიც ებრაელთა ენების რაობის განსაზღვრას მიეძღვნა, ქართველ ებრაელთა მეტყველება თექვსმეტიდან ერთ-ერთ ასეთ ენად იყო გამოცხადებული (იხ. ფე'ამიმ, 1, 1979 - აქ გამოქვეყნებულია შეკრების ვრცელი ანგარიში, რომელსაც ერთვის 16 ებრაელთა ენის მოკლე დახასიათება, მათ შორისაა ქართველ ებრაელთა ენაც). შემდგომ პროფ. ბარ-აშერმა უკვე დასახელებული ფუნდამენტური ნაშრომი გამოაქვეყნა ებრაელთა ენების შესახებ, სადაც აღნიშნა, რომ "ქართველ ებრაელთა ენა არ არის ჩართული ებრაულ ენათა კატეგორიაში" (გვ. 240). ჩვენთვის დიდად საამაყოა, რომ იქვე სახელგანთქმული მკვლევარი მაინც შენიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს დაიძრა ქართველ ებრაელთა ენის კვლევა და ასახელებს ჩვენს ორ წიგნს. ბარ-აშერის წიგნის პარალელურად გამოქვეყნდა უაღრესად საინტერესო და განმაურებული კრებული "ებრაელთა ენები და ლიტერატურა ამ ენებზე" (იერუსალიმი, 2009), რომლის რედაქტორიც ამ ენების ცნობილი მკვლევარი პროფ. დ. ბუნისია და რომელშიც ქართველ ებრაელთა ენას სპეციალური ნაკვეთი მიეძღვნა, სადაც პროფ. კ. ლერნერისა და ამ სტრუქტურის ავტორის სტატიებია შეტანილი. ასე რომ, ქართველ ებრაელთა ენის საკითხი არც ებრაელთა ენების სპეციალისტებისთვის არის საბოლოოდ გარკვეული.

² ისინი წარმოდგენილია ბარ-აშერის დასახელებულ წიგნში, გვ. 226-234.

³ ეს წიგნები მითითებულია ზემოთ წარმოდგენილ ბიბლიოგრაფიაში.

⁴ ამჯერად ვერ შევხებით ამ ტიპის წინადადებათა წარმომავლობასა და ისტორიას ძველ ქართულში, თუმცა კი, როგორც ჩანს, ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ძეგლების შუქზე ამ მხრივ ბევრი რამ არის საკვლევი და იქნებ გადასახედიც.

ცხადია, ენობრივი მახასიათებელი არ არის. ქართველი ებრაელები არ მიმართავდნენ ამ დამწერლობას, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისინი საერთოდ არ წერდნენ თავიანთ თარგმნილ წმინდა წიგნებს, არამედ ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას და არც ასოების გამოყენების საკითხი დამდგარა. რა თქმა უნდა, შეიძლება სხვადასხვა ვარაუდი გამოითქვას, რატომ არ წერდნენ ქართველ ებრაელთა სულიერი მოძღვრები თავიანთ ქმნილებებს, მაგრამ ეს უკვე სხვა ნაშრომის თემაა.

Reuven Enokh

Ariel University (Israel)

THE ESSENCE OF THE ISSUE OF GEORGIAN JEWS SPEECH RESUME

More than two thousand years Jews live in Georgia. They pray and worship will continue to enforce the use of the sacred language (the language of the Bible, the modern terminology - ivrit), while addressing everyday language to be Georgian. But is this not entirely Georgian if it has its specific features, which are some kind of super special attention to this speech?

If you have the common speech of Georgian Jews distinctive character and literary language and how they dialects. The report will be presented at the attempt of the analysis of these problems.

ვახტანგ იმნაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გეოგრაფიული სახელების მრავლობითი რიცხვის შესახებ

განსახილავი საკითხი მოიცავს გეოგრაფიული სახელების მრავლობით რიცხვს, კონკრეტულად, მათს **ებ-სუფიქსიან** ფორმებს.

თუ გეოგრაფიულ რუკებს ყურადღებით დაათვალიერებთ, თვალში მოგხვდებათ, რომ ერთი და იმავე სახელდების მქონე ორი ან მეტი გეოგრაფიული ერთეული ზოგჯერ რამდენიმე ათეული ათასი კილომეტრითაა ერთმანეთს დაშორებული, ზოგჯერ კი ერთმანეთის უშუალო მეზობლობაშიც გვხვდება. ხშირ შემთხვევაში ეს გარკვეულ უხერხულობას იწვევს, რადგან შეიძლება ისინი ერთმანეთში აგვერიოს.

დავაზუსტოთ, რა იგულისხმება გეოგრაფიულ სახელებში. აკაკი შანიძის მიხედვით, ესაა “სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ქვეყნებს, მხარე-კუთხეებს, ხეობებს, ტბებს, მდინარეებს, ქალაქებს, სოფლებს, უბნებს, მთებს, ბორცვებს, ტყეებს, სამოვრებს, მინდორ-ველებს დაბლობებსა და სხვ.”¹. ამათ შეიძლება უფრო დიდი ერთეულებიც – კონტინენტებიც – დავუმატოთ.

აკაკი შანიძე საგანგებოდ შენიშნავს: “გარკვეული ჯგუფის სიტყვებს მრავლობითი აკლია; ასეთებია: საკუთარი სახელები (გარდა გვარებისა), აბსტრაქტული სახელები და ნივთიერებათა სახელები” (“საფუძვ.”, გვ. 50). ცხადია, გეოგრაფიული სახელები საკუთარ სახელთა დიდი ჯგუფის ერთ, თავისებურ ნაწილს წარმოადგენს.

თუ, ვთქვათ, **ახალდაბა** მინიმუმ 6 სოფელს ჰქვია, ხოლო **ახალსოფელი** ორ ათეულამდეა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაბნეული და ერთმანეთს დიდად არც არის დაცილებული, საპირისპიროდ **ლონდონი** დიდ ბრიტანეთშიც არის და კანადაშიც, **როსარიო** და **კორდოვა** – არგენტინაშიც და ესპანეთშიც, **ვალენსია** – ესპანეთშიც და ვენესუელაშიც, **ჰამილტონი** – ახალ ზელანდიაშიც და კანადაშიც, **ბრესტი** – საფრანგეთშიც და ბელარუსშიც, **ალექსანდრია** – ეგვიპტეშიც და უკრაინაშიც, **კონსეფსიონი** ბოლივიაში, პარაგვაისა და ჩილეში, **სან-ხუანი** – არგენტინაში, პურტო-რიკოსა და დომინიკელების რესპუბლიკაშიც...

არავის არევია ისინი ერთმანეთში და ერთის მაგივრად მეორეს არავინ სწვევია. ზოგჯერ დამთხვევის უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, იდენტურ სახელწოდებათა გასამიჯნავად რაიმე განმასხვავებელი ნიშანი სულაც არაა საჭირო, სწორედ ამიტომ არავინ ცდილობს, წყვილის

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 52.

რომელიმე ცალს დამატებითი მიმანიშნებელი ელემენტით გაურთულოს სახელწოდება სხვათაგან გამოსარჩევად.

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით კომპაქტურ ტერიტორიაზე არის სამი ციხისძირი, ოთხი გომი, ოთხი პანტიანი, ოთხი ვანი, ხუთი ვარდისუბანი, ხუთი ტბეთი, ექვსი ახალდაბა, ცხრა ეწერი, ახალსოფელი კი თითქმის ოცამდე, მდინარეებიდან რამდენიმეს ჰქვია “ცივი” და ა.შ., არავის შემოუღია მათს განსასხვავებლად რაიმე დამატებითი საშუალება. სხვადასხვა ნიუანსის წყალობით ერთნაირად სახელდებული ქალაქები თუ სოფლები არაერთ ქვეყანაში არის დაფიქსირებული, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან და იშვიათად თუ აერევა ვინმეს..

თუმცა გვაქვს ერთი განსაკუთრებული შემთხვევა. ევროპაში არის. ორი **მაკედონია**: ერთი საბერძნეთის ოლქია, მეორე – იუგოსლავიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ახალი რესპუბლიკა (სიზუსტისთვის, კიდევ ერთი ნაწილი – მართალია, გაცილებით მომცრო – ადრინდელი მაკედონიისა დღეს ბულგარეთის შემადგენლობაშიც შედის). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული მაკედონია მხოლოდ და მხოლოდ ოლქია, იუგოსლავიისა კი – დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ბერძნები ჯიუტად არ აძლევენ მოპირისპირეს უფლებას, რომ მათაც ანალოგიური სახელი ერქვას. ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ, როგორ აიცილონ ეს არასასურველი დამთხვევა. რაკი ორივე მხარეს უნდა, თვითონ ერქვას “მაკედონია”, ხოლო მეორეს რაღაც დანამატი ჰქონდეს, დავა გაჭიანურდა და ამჟამად სლავების ქვეყანას “ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია” ჰქვია (უნდა ვიფიქროთ, დროებით).

მაგრამ ყოველთვის როდია ასე. თავის დასაზღვევად ერთნაირად სახელდებულ გეოგრაფიულ ერთეულებს მეტწილად მაინც უმატებენ რაღაცით მისთვის დამახასიათებელ შტრიხს, რაღაც მისთვის ნიშანდობლივ, მიმანიშნებელ მახასიათებელს, გამოსარჩევ საშუალებას, რაც გვიადვილებს ზუსტად ორიენტირებას, ხატოვნად რომ ვთქვათ, ომონიმებით აზვირთებულ ზღვაში.

მაგალითებისთვის შორს რომ არ წავიდეთ, ვნახოთ, საქართველოში ერთმანეთისაგან გამოსარჩევად როგორი გამმიჯნავი წყვილები იხმარება:

ზემო და ქვემო (ალვანი, მაჩხაანი, ბაგები. შუხუთი...)

ზედა და ქვედა (აგარა, ბზვანი, ილემი)

დიდი და პატარა (ატენი, ჯიხაიში, თონეთი)

ახალი და ძველი (მარაბდა, ბურღული, ოსები)

პირველი და მეორე (ბალდა, გუდავა, ოზჩა)

გალმა და გამოღმა (ბოსლევი, ნოღა)

პირაქეთა და პირიქითა (ხევსურეთი)

წინა და უკანა (მხარი, უბანი)

პატარა და ძველი (ქანდა)

ზემო და შუა (ფარცხმა, სურები)

მარცხენა და მარჯვენა (კაპი, პტიში, რკვია, ხეორი)

აღმოსავლეთის და დასავლეთის (გუმისთა)

შიგნი და გარე (კახეთი)...

ზოგჯერ ორზე მეტი მინიშნებაა გამოყენებული:

აღმოსავლეთის, შუა და დასავლეთის ფრონე

ზემო, ქვემო და ახალი ნიჩბისი

პირველი, მეორე და მესამე ბალდა.

პირველი, მეორე და ახალი სვირი

ზედა, ქვედა, პატარა, მაღალი და დაბალი ეწერი

დაბოლოს, ერთგვარად ჩახლართული – **გამოღმა პირველი ხორგა, გაღმა პირველი ხორგა, გამოღმა შუა ხორგა, გაღმა შუა ხორგა** (ხობის მუნიციპალიტეტში).

იშვიათად წყვილის ორივე სახელს კი არა აქვს ზედმეტი განმარტება (მინიშნება) დამატებული, არამედ მხოლოდ ერთს (ისე, უნიშნობაც ხომ ერთგვარი ნიშანია:: მაგალითად: ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვას დღეს არანაირი ნიშანი არა აქვს სახელობითში და სწორედ ამით უპირისპირდება იგი სხვა ბრუნვებს).

ცემი და პატარა ცემი; ლესიჭინე და მეორე ლესიჭინე; პანტიანი და ახალი პანტიანი; აბასთუმანი და ახალი აბასთუმანი; სიმონეთი, ზედა სიმონეთი და ქვედა სიმონეთი; ალაზანი, პირიქითის ალაზანი და ჩადმის ალაზანი. შეადარეთ სხვა ქვეყნების მონაცემებიც: **ბელგოროდი** (რუსეთში) და **ბელგოროდ-დნესტროვსკი** (უკრაინაში), **ტიროლი** (ავსტრიაში) და **სამხრეთ ტიროლი** (იტალიაში), **ვირჯინია** და **დასავლეთ ვირჯინია** (აშშ-ში), **იორკი** (ბრიტანეთში) და **ნიუ-იორკი** (აშშ-

ში), **ორლეანი** (საფრანგეთში) და **ახალი ორლეანი** (აშშ-ში). **უელსი** (დიდ ბრიტანეთში) და **ახალი სამხრეთ უელსი** ავსტრალიაში, **ათონი** (საბერძნეთში) და **ახალი ათონი** (საქართველოში)...

ამგვარი დამატებითი მინიშნებები ხელს უწყობს სასურველი გეოგრაფიული ერთეულის სწრაფად და მარტივად იდენტიფიცირებას.

როდესაც რამდენიმე **ეწერი**, **ფრონე** (მინიშნებებით), **ახალდაბა**, **ახალსოფელი** (მინიშნების გარეშე) და მათთანანი არსებობს, ეს ხომ, კაცმა რომ თქვას, ერთგვარი მრავლობითია, რაკი ძირეული სახელი მეორდება (ერთზე მეტია, მრავალია), მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ერთი სახელის მატარებლები კი არიან, მაგრამ ეს მრავლობითი არაა ჩვეულებრივი მრავლობითი – ეს არაა ერთი ერთეულის რამდენჯერმე გამეორება, ანუ, კონკრეტულად, ვთქვათ, თიანეთის სიონი, მარნეულის სიონი და ყაზბეგის სიონი ერთი და იგივე სიონი როდია!! ხუთი **სანტიაგო** ცნობილი (ვგულისხმობ დიდ, რამდენიმეათეულათასიან დასახლებებს მაინც), მაგრამ ერთმანეთისგან განსასხვავებლად მათ ერთვის საგანგებო მინიშნება, რომელიც იმ ქვეყანაზე მიუთითებს, სადაც მრავალთაგან ერთი, ჩვენთვის საინტერესო, კონკრეტული, ქალაქი მდებარეობს: Santiago de Chile (ჩილეს დედაქალაქი), Santiago de Compostela (გალიციაში, ესპანეთში), Santiago de Cuba (კუბაზე), Santiago del Estero (არგენტინაში), Santiago del los Caballeros (დომინიკელთა რესპუბლიკაში).

ფრანკფურტი ორია გერმანიაში და სწორედ ამიტომ, რაკი ამ შემთხვევაში “ქვეყანა” ვერ გამოდგება ქალაქების გასამიჯნავად, სხვა მახასიათებელი მოიშველიეს – მდინარე, რომლის ნაპირზეცაა ქალაქი გაშენებული, და ასეც იცნობენ მათ: **მაინის** ან **ოდერის** ფრანკფურტად. სხვა პარამეტრებითაა გამიჯნული რუსეთში **დონისა** და **იაროსლავლის** როსტოვები. სამაგიეროდ, **გრინვიჩს**, ლონდონის გარეუბანს, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ მასზე გადის ნულოვანი მერიდიანი, მარტო ამერიკის ოთხ შტატში (კონექტიკუტში, ნიუ-ჯერსიში, ნიუ-იორკსა და ოჰაიოში) მოეძიება ოთხი სეხნია¹ და არცერთ მათგანს არა აქვს რაიმე განმასხვავებელი დანამატი სხვათაგან გამოსარჩევად.

ერთ სახალისო ცნობასაც გაგაცნობთ: “პოლონეთში მთელი რიგი დასახლებული პუნქტია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნისა თუ ცნობილი ქალაქის სახელს ატარებს. კერძოდ, 19 დაბასა თუ სოფელს კორეა ჰქვია, 18 - ამერიკა, 13 - უნგრეთი, 10 - აბსინია, 9 - კანადა, 5 - ბრაზილია, 3 - იტალია, 3 – ჩინეთი, 2 - ბულგარეთი.

გარდა ამისა, პოლონეთში ასევეა 12 - ბეთლემი, 8 - ალექსანდრია, 7 - ვენეცია, ოთხ-ოთხი - პრალა და კიევი, ორი ბაბილონი და ერთი ბელგრადი. ვარშავა კი პოლონეთში სულაც ... 21 ყოფილა!²

აკაკი შანიძე აღნიშნავს: „გეოგრ. სახელებს მრავლობითი რიცხვი არა აქვთ, ამიტომ, საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო, ეს სახელები გრამატიკული რიცხვის გაგებას მოკლებულია“³.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ერთნაირად ჟღერადი გეოგრაფიული სახელების სიმრავლე დამატებითი ლექსიკის მოშველიებით ქმნის მრავლობითის შთაბეჭდილებას, ეს, ასე ვთქვათ, ლექსიკური მრავლობითია, ბატონი აკაკი დაუშვებლად მიიჩნევს გეოგრაფიულ სახელთა მარტოდენ **გრამატიკულ** მრავლობითს.

ახლა მივდევით მთვარ სათქმელს: აქვს თუ არა გრამატიკული მრავლობითი გეოგრაფიულ სახელებს – ისეთი, როგორიც სხვა არსებით სახელებს ამ ფუნქციით აღჭურვილი სუფიქსების გამოყენებით?

გეოგრაფიულ სახელებში მრავლობითობის მაჩვენებელი სუფიქსის სამივე სახეობა არის დადასტურებული: **ებ** (ნიდერლანდები, ფილიპინები, კორდილიერები, ბაგები, კოშკები, წყლები, ხიზნები⁴...), **ნ** (რკონი, თოთიაურნი...), და **თ** (მოწამეთა, ჩხიკვთა, ბუჩუკურთა, ცაბაურთა, წყაროთა, ჯალაურთა, ბინდაურთა, ბოსელთა...). მათი ხმარების სიხშირე არაა თანაბარი, უკანასკნელი ორი სახეობა ძალზე იშვიათია.

აკაკი შანიძე შენიშნავდა: “**ებ**-იანი მრავლობითი გვხვდება მრავალი სოფლის სახელში: ჩიტაურ-ებ-ი, ზარნაძე-ებ-ი, დვალიშვილ-ებ-ი და სხვ.”⁵. ეს არ ეწინააღმდეგება ბატონი აკაკის ზემოთ

¹ იხ. “გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება” (შემდგენლები: გ.გებტმანი, ნ.გებტმანი, გზა-რდალიშვილი, ე.მესხი), 1965, გვ. 45.

² დაიჯესტი: “საქართველოს რესპუბლიკა”: 11.05.2011): ქართული პრესის ელექტრონული არქივი: OPEN.GE: opentext.org.ge...

³ ა.შანიძე, იქვე.

⁴ აქ და ქვემოთ ქართულ გეოგრაფიულ სახელთა დამოწმებისას ვეყრდნობი “საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონს (მეორე გამოცემა, 2009).

⁵ ა.შანიძე, იქვე, გვ. 137.

ხსენებულ სიტყვებს. ვთქვათ, “ჩიტაურები” არ ნიშნავს “რამდენიმე ჩიტაურს”. ეს არის სოფლის სახელწოდება, რომელშიც მეტწილად **ჩიტაურები** ცხოვრობენ. შდრ. ლესიჭინე, ლექაჯაიე, ლეხინდრაჟო და მსგავსნი. ამათ შეიძლება დავუმატოთ: გელაძეები, გეგელიძეები, დიაკონიძეები, დუდაურები, ვაშაყმაძეები, თაბაგარები, თეთრაულები, იაკობიძეები, იარაჯულები ირემაძეები, ლაზაიძეები, მწითურები, ჯერვალიძეები, შარაბიძეები, ჯაბნიძეები, ტუნაძეები, ტუშურები, ხიდემ-ლები... (შდრ. ჭონქაძე, ჯორჯიაშვილი...).

ზემოთ აღნიშნულია, რომ მრავლობითი რიცხვი საკუთარი სახელებიდან მხოლოდ გვარებს ეწარმოება, მაგრამ იშვიათად საკუთარ (ადამიანის) სახელებშიც გვხვდება, როცა განზოგადება, აბსტრაგირება გვაქვს, ვთქვათ, **ლუარსაზები, ტარიელები, ნესტან-დარეჯანები**.

ვნახოთ ორიოდ ნიმუში:

“ქაჯებმა შური ავტორზე იმიეს” (**ტარიელები და ავთანდილები აღარ არიან**) (“კვირის პალიტრა” – შეურჩიეთ ფოტოს სათაური” : kvispalitra.ge; 28.09.2013).

“ამ ქვეყანას მოუკლეს **ტარიელები**, მართლა შეყვარებული ბიჭები, ამ ქვეყანას არც **თინათინები** დაუტოვეს და არც **ნესტან-დარეჯანები**” (აკა მორჩილაძე – მეფე ად მე”: “ზურუსი”: burusi.wordpress.com. 24.11.2009).

“დღევანდელი **ლუარსაზები** და **დარეჯანები** ჩვენ ვართო” (თ. ბუზალაძე, “ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!”, როცა პერსონაჟი ილიას ეკამათება”: “საქართველოს რესპუბლიკა”: OPEN.GE: opentext.org.ge. 24.01.2009).

“აკაკიები, ბაკაკიები, რიონელები, გოგიტელები” (გ.ორბელიანი, “გამოცანების პასუხი”).

რაც შეეხება გვარებსა და ფსევდონიმებს, აქ ორგვარი ვითარებაა:

“რუსეთში ყოველთვის ცოტანი იყვნენ **ჩერნიშევსკები, დოსტოევსკები, ტოლსტოები** და ძალიან ბევრი იყო **კატოვები** და სლავიანოფილები” (Internet.ge: internet.ge: 4.112.2008).

„აღარ არიან უკვე ამ ცხოვრებაში **ვაშინგტონები, ლინკოლნები, სტალინები** და თუნდაც **ჰიტლერები**” (“ახალი პოლიტიკური ელიტა” – [Rustavi 2 Forums](http://Rustavi2Forums) > forum.rustavi2.com > *ქართული პოლიტიკა* > 20.05.2004).

ცხადია, ამგვარი მრავლობითი განსხვავდება **ძმები კენედების, ლევ და ალექსეი ტოლსტოების** ან **ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეების** ტიპის მრავლობითისაგან, რაკი ლინკოლნიც, დოსტოევსკიც და ჩვენს შემთხვევაში ლევ ტოლსტოიც (სწორედ ის იგულისხმება ტოლსტოებში) ერთი იყო და მათი გვარია განზოგადებული, მეორე შემთხვევაში კი, როცა ერთი გვარის მქონე რამდენიმე პირია გაერთიანებული, განზოგადება არა გვაქვს, ის ბატონი აკაკის მიერ მოხსენიებულ ჯგუფს განეკუთვნება

ერთი შენიშვნა მინდა გავაკეთო: მათაა ზოგიერთი სისტემა მრავლობითის ფორმით იხმარება: **ალბები, ანდები, კორდილიერები, აპალაჩები, აპენინები, კარპატები, პირენეები, ტატრები (მაღალი ტატრები და დაბალი ტატრები), ჰიმალაები**....

არგენტინისა და ურუგვაის სუბტროპიკულ სტეპებს **პამპასები** ჰქვია, სრუტეს აფრიკასა და აზიას შორის – **ბაბ-ელ-მანდები** (რაც “გოდების კარიბჭეს” ან “ცრემლების ჭიშკარს” ნიშნავს), მაგრამ ცოტა უცნაურია ქვეყნის სახელწოდებათა მრავლობით რიცხვში გაფორმება. ამათში არ ვგულისხმობ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს, სადაც, დიახა, მრავლობითი უნდა იყოს, მაგრამ მათ გვერდით გვაქვს **ფილიპინები**. და **ნიდერლანდები**. უკანასკნელს შეიძლება ერთგვარი გამართლება მოეძებნოს. ეს ქვეყანა რამდენიმე პროვინციისაგან, ანუ მიწისგან, “ლანდისგან” შედგება – სწორედ ამიტომ არის “ლანდები”. რაც შეეხება **ფილიპინებს**, ამ მრავალკუნძულოვანი ქვეყნის სახელწოდება ერთგვარად კურიოზულია: ადრე ამ კუნძულებს **მაგელანია** ერქვა (რადგან ფერნანდო მაგელანმა აღმოაჩინა), მოგვიანებით მას ესპანეთის ტახტის მემკვიდრის (მომავალი მეფე ფილიპე II-ის) პატივსაცემად **ფილიპეს კუნძულები** უწოდეს. **ფილიპინები** კი უცხოური სახელწოდების (ტაგალურად Pilipinas, ინგლ. Philippines) უხეირო თარგმანია.

ეს გეოგრაფიული ერთეულები სხვათაგან იმიტომ გამოვყავი, რომ ისინი საერთოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით არიან დამკვიდრებულნი: ალბი, კორდილიერი, ანდი მხოლოდობითში არც გვხვდება, თუმცა ზოგიერთი ზოგჯერ შეიძლება მხოლოდობითშიც შეგვხვდეს (ჰიმალაი, აპენინი, აპალაჩი...).

ჩემი განხილვის საგანია **ებიან** მრავლობითში ჩამდგარი გეოგრაფიული სახელები. ცხადია, ყველა სახეობას ვერ გავწვდები, ამიტომ უფრო გავრცელებულსა და დამახასიათებელ შემთხვევებს წარმოგიდგენთ.

A. ქალაქები

პირველ რიგში ქალაქები ვნახოთ. ეს ჯგუფი რიცხობრივად საგრძნობლად აღემატება დანარჩენს:

“მე მივდივარ 2 დღით. ისევ დასავლეთის გზები. ისევ **ბათუმები**, ისევ **ქობულეთები**, ისევ **ფოთები**, ისევ **ქუთაისები**” (“ჩვენი სურათები”: iveria-tv.ge/forum.5.06.2012.- irakliandghuladze).

“როსტოვში ვართ, **მოსკოვები და დონეცკები** შემოვიარეთ” (“ჩემი პირველი მანქანა – Audi Club Georgia, გვ. 3L audiclub.ge > ზოგადი საუბრები: 17.09.2010).

“შეადარე ეხლა საქართველოს რეგიონებს - **ჩხოროწყუებს, წალენჯიხებს და ლანჩხუთებს**” (“ყველანაირი ინფორმაცია” - > forum.ge > თემატური ფორუმი > არსენალი. 7.01.2011).

“სარკმლების მიღმა – გაყინული ტბის ზედაპირი. სიზმარში – გული, განგმირული ბასრი რაპირით, ცხადში – დამწვარი **სოხუმები და ცხინვალები**” (რაულ ჩილაჩავა და მისი ლექსები დაუბეჭდავი წიგნიდან: DRONI.GE: droni.ge.7.12.2011).

“იმედია, **ბორჯომებს და ახალციხეებს** ისეთი საფეხბურთო ქალაქები ჩაანაცვლებენ, როგორიც თუნდაც სამტრედიია” (“სამტრედიია”: Goli.Ge: goli.ge > ეროვნული ჩემპიონატი. 5.05.2009).

“გილოცავ მშაო! სულ **რიგები, ოდესები, კიევეები, ვილნიუსები და სოჩები** მივულოცოთ დაბადების დღე ერთმანეთს” – Conference.ge...: conference.ge > ბიზნეს დისკუსია. 7.07.2006).

“**ლონდონები, პარიზები, ბარსელონები** და სხვა "დერსკეე" ქალაქებს მირჩევნია ციურიხი, ჟენევა ან ლოზანოს ან ტიჩინოს მხარის ნებისმიერი” (“რომელ ევროპულ ქალაქში იცხოვრებდით?": forum.ge:საერთო ფორუმი: General Discussion. 18.01.2011).

“**ბოლნისებში და რუსთავეებში** დადის თამაშებზე და რა შორს ეგ იყო” (Goli.Ge > ბალუს თასი 2012: goli.ge > ეროვნული ჩემპიონატი. 31.05.2012).

“რა ქობულეთი! ჯერ ჩემთან მივდივართ! და **ქობულეთები** და ზღვები მერე იყოს! (“მე, შენ და სხვა არაფერი... (ნაწილი პირველი)” 4Love.Ge: 4love.ge).

“მთაწმინდის ზევით ზამთარში საყინულეა, **წყნეთები** გადავსებულია” (“სად აიშენებ სახლს?: forum.ge > მშენებლობა და რემონტი. 6.03.2012).

“რალა ეხოს მერე მომინდომე სუფთა ჰაერი და **აბასთუმნები**” (“მშობელთა და მომავალ დედათა კლუბი” – AVERSIFORUM: aversi.ge> შეკითხვა ექიმს. 2.03.2012).

“შენდებოდა **რუსთავეები, ჭიათურები, ქარხნები, ფაბრიკები**” (“გაქართულების საზაფხულო ბანაკი”: forum.ge > Georgianisation. 7.03.2007).

“**როსტოვები... დონეცკები... მოსკოვები... კიევეები...** ისე აქაც მინახია, გარეთ უნდა იარო და შეხვდები სადმე” (“მომხიზღვლელი გოგო სად ვნახო?": Answers.ge: answers.ge/question. 18.01.2011).

“მოილიეთ ეხლა ესპანეთის ზღვისპირა კურორტები, **ბადენბადენები, სოჩები**” (“გამარჯვება ნებისმიერ ფასად”: forum.ge. 21.08.2012)

ამგვარი მაგალითები ასობითაა. ისევ პირველ ნიმუშს მივუბრუნდეთ: “**ბათუმები, ქობულეთები, ფოთები, ქუთაისები**”.

ხომ ყველამ იცის, რომ დასახელებული ქალაქების დუბლიორები არ არსებობს. მაშ, რაზე მიუთითებს მათი მრავლობითი? – **ბათუმები** ნიშნავს “ბათუმსა და მისთანებს, მის მსგავსებს”, “ბათუმისნაირებს”.

“აქ მინდა ძველი ქართულის ერთი თავისებური სიტყვათმწარმოებელი საშუალება გავიხსენო. საქმე ეხება ადამიანთა სახელების მრავლობითი რიცხვის, ეგრეთწოდებული კოლექტიური მრავლობითის, გამოხატვას. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია¹. ლაპარაკია **ეთ** სუფიქსის შესახებ, რომელიც ძველ ქართულში ამ ფუნქციით საერთოდ იშვიათად იხმარება, თუმცა ზოგიერთი ხელნაწერისთვის დამახასიათებელია. მაგალითად, ჩემ მიერ გამოცემულ XI საუკუნის ქართულ ხელნაწერში, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული, ამგვარი ფორმები საკმაოდ გვხვდება. ვნახოთ ორიოდ მაგალითი: “მამინ **ნონოსეთ** წიგნი მიუწერეს მთავარებისკოპოსსა პეტრეს სიტყვათ თეოდორქსითა” (“მამათა ცხორებანი”, გვ. 121,6); “და ვითარცა აღვიდოდეს აბზა **კონონეთნი** კოსტანტინეპოლისა, თითოსახენიო ჭირნი შეაჩუენნა მათ ასკიდა” (იქვე, გვ. 124,11). **ნონოსეთ** და

¹ **კ. დონდუა**, “ლიპარიტეთ”-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში: თუმ, ტ. 33, 1948, გვ. 133–166; **კ. კეკელიძე**, “ეთ” სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში: “ეტიუდები”, III, 1955, გვ. 116–119; **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 385–391; **ა. ჯიშიაშვილი**, ეთ დაბოლოებიან გეოგრაფიულ სახელთა წარმომავლობისათვის ქართულში: თბილისის უცხო ენათა პედაგოგიკის შრომები, ტ. I, 1958, გვ. 451–456; **ვ. იმნაიშვილი**, ენობრივი შენიშვნები: “მამათა ცხორებანი” (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), 1975, გვ. 403–404.

კონონეთ ფორმები დამოწმებული ადგილების უშუალო მეზობლობაში გაშიფრულია კიდევ ამნარიად: “ნონოს და მისთანათა” (121, 16,24); “კონონ და მისთანათა” (124,18).

“ნონოსეთ” აღნიშნავს ნონოსს და მასთან მყოფთ, მის მიმდევრებს, თანამოაზრეებს. ასეთივე შინაარსი აქვს მსგავს ფორმებს საერთოდ. რაც შეეხება მრავლობითობის აღმნიშვნელი **ეთ** სუფიქსის გვერდით ზოგჯერ ნახმარ **ნ** სუფიქსს (ბურდისანეთნი, აროზეთნი, ელიაეთნი...), ფიქრობენ, რომ იგი “მერმინდელი დანამატია. ის შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ გაჩენილიყო, როცა საკმაოდ დაბნელებული იყო **ეთ**-ის ფუნქცია და მის გვერდით ნარის არსებობა უხერხულობას აღარ იწვევდა”¹.

დღევანდელ ქართულში გავრცელებული **ბორჯომები, ქუთაისები, ბათუმები**, შეიძლება ითქვას, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ “ნონოსეთ” და მსგავს ფორმათა გამოძახილია. მაგალითისთვის, “ბათუმები” სწორედ ბათუმსა და მისნაირ, მის მსგავს ქალაქებს აღნიშნავს.

ჩვენს შემთხვევაში **ბათუმებში** მხოლოდ “ქალაქი ბათუმი” და მისნაირი ქალაქები იგულისხმება. მომდევნო ნიმუშში მოხსენიებული **მოსკოვები** ამ კონკრეტულ შემთხვევაში “ქალაქ მოსკოვსა” და მისნაირ ქალაქებზე მიუთითებს და მასში არ შეიძლება ვივარაუდოთ **მდინარე** “მოსკოვი”, **სასტუმრო** “მოსკოვი” ან კინოთეატრი “მოსკოვი”! არამც და არამც! – მხოლოდდამხოლოდ **ქალაქი მოსკოვი!!** თუმცა ერთი შენიშვნა წინასწარ უნდა გავაკეთო: როგორც ქალაქების, ისე ქვეყნების, მხარეების, მდინარეების, მწვერვალებისა და სხვა გეოგრაფიული ერთეულების მრავლობითი რიცხვი ზოგჯერ გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. მათზე ქვემოთ საგანგებოდ მექნება მსჯელობა.

ზოგჯერ ანალოგიურობის, მსგავსების ხაზგასასმელად **დამატებით არის** მოშველიებული საგანგებო სიტყვები – **ასეთი, ეგეთი, მსგავსი...**

“**მოსკოვების და კიევის** დრო წავიდა, ახლა **პარიზებს, ბერლინებს, რომებს და ეგეთებს** ვაწევებით” (“ვინც უცხოეთში ხართ”: forum.ge. 18.04.2014).

“აბა, ჩვენო მამებო, „იმ კაი დრო“ რომ მოიარეთ **მოსკოვები, დონეცკები, ლენინგრადები, ხარკოვები, ნოვგოროდები** და კიდევ ბევრები **ეგეთები**” (“ქალიშვილობის ინსტიტუტი, როგორც... – მე რეპორტიორი: ireporter.ge/qalishvilobis-instituti-2. 5.03.2011).

“ვერ გამიგია, რატომ ხვდები **კოსტარიკებს, კოლუმბიებს** და მსგავს მაჩანჩალა გუნდებს” (6–Forum.ge: forum.ge. თემატური ფორუმი > სპორტი > ფეხბურთი. 26.01.2008).

“თქვენც რა ტვინი წაიღეთ ამ დასავლეთი-აღმოსავლეთით, **ევროპა-აზიებით და ასეთებით**” (“განქორწინების ზოგადი მიზეზები” > თბილისის ფორუმი: forum.ge.21.10.2013).

“იუტას ახლა **პორტლენდები** და **ასეთი** უფრო სუსტი გუნდები ჰყავს” (“კობიშ საკრამენტოსთან შეიძლება ვერ ითამაშოს”: NBA.GE: nba.ge).

“სანაკრებო შესარჩევსაც ვერ ვუყურებ სამხრეთ ამერიკულს, **ეკვადორები, პერუები და ეგეთი** გუნდები თუ ქვეყნები ჩემთვის არ არის საინტერესო” (“ინტერს” “იბრასგან” მწარედ მოხვდა”: worldsport.ge: 15.11. 2010).

“**ნიგერიები, ზიმბაბვეები და ეგეთებიც** მანდ კონკურენციას ვერ გვიწვევენ” (MarineCargoGeorgia: ავტომობილები USA-დან-> forum.ge.14.01.2014)

თავისუფლად შეიძლება აქ ავტორს “ასეთები” და “ეგეთები” საერთოდ არ ეხმარა, რადგან ამგვარ გარემოცვაში ეს სიტყვები თავისთავად იგულისხმება.

ახლა უფრო მსხვილ გეოგრაფიულ ერთეულებს გადავხედოთ:

ბ. მხარეები, ქვეყნები, კონტინენტები...

“ჩვენი მომავალი, პირტიტველი გოგო-ბიჭები, **თურქეთებში, საბერძნეთებში, იტალიებში, ესპანეთებში და კვიპროსებში** ხშირად მონური შრომის და საზღაურის გარეშე მუშაობისთვის მიემართებიან” (“აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი... მია მარქსის”: presa.ge/new. 6.04.2011).

“რა შუაშია აქ **კორეები და ირანები? ინგლისები და ისრაელები?** ჩვენ... კონკრეტულად ვილაპარაკოთ” (დ.ლაბაძე, ივანიშვილის “აბაროტი” ალასანიას –რას უმზადებენ თავდაცვის მინისტრს” (პრესა.ge: presa.ge. 23.07.2013).

“რა თქმა უნდა, გირჩევნია იკითხო, რატომ ევროპაო და **კამბოჯების და სინგაპურების** მაგალითები მოიყვანო” (3 - TBILISIS FORUMI: forum.ge: თემატური ფორუმი > პოლიტიკა. 16.05.2011).

“მარცვლეულის ფასში **კანადებს და უკრაინებს** ვერ შევეჯიბრებით” (“ეროვნული პროდუქტი”: forum.ge > ბიზნესი და ეკონომიკა > აგრობიზნესი. 12.02.2009).

¹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება, გვ. 387-388;

“ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად და ეს ამერიკები და ევროპები ხომ საერთოდ” (“ქართული საფიქვრო: “მომენატრა”: sapikhvno.org/viewtopic..1.04.2005).

აქაც მსგავსი ვითარებაა. “ამერიკები და ევროპები” – ვინმეს შეიძლება ეგონოს ამერიკებში ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკები იგულისხმება. ცხადია, საერთოდ, ამგვარი მაგალითებიც გვაქვს¹, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასე არაა. ევროპა ხომ ერთია! აქ ზოგადად ამერიკის ერთიანი კონტინენტი და ევროპა იგულისხმება და მათნაირები.

“მიყვარს ჯუნგლებში ტროპიკული წვიმის ქვეს გათეული ღამეები და მყვინთა მაიმუნები და პატაგონიები” (“მე კიდევ ლურჯი მქვია”: “ვეებერთელა მე”: geelkaap.wordpress.com).

“თავისი 21 წლის თავს ის ჰავეებზე შეხვდა” (“მრგირეისი/Maggie Grace: lovstory.ucoz.com/news. 25.01.2010).

“მშენიერი ყვავილები ჰავეებს სიგრძე-სიგანით თავიანთი სურნელებით ატკბობენ” (დაიჯესტი: “საქართველოს რესპუბლიკა”: 11.05.2011); ქართული პრესის ელექტრონული არქივი: OPEN.GE: opentext.org.ge.. აქ “ჰავეები” ჰავაის კუნძულებს გულისხმობს.

სხვათა შორის, “ზამიანის” ქართულ თარგმანში გვხვდება ქვეყნის სახელწოდება ნარიან მრავლობით რიცხვში: “ფარემუზ შურის მეძიებელმან, რომე სრულნი ინდოეთნი დაიჭირნა, ესე ორნი ფალავანნი ძმანი ცეცხლისაგან იკსნნა და ორთავე გული გაამკიარულა” (შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, III (გამოსცა დ.კობიძემ), 1974, გვ. 536).

C. მდინარეები, ტბები, ჩანჩქერები...

“იყვნენ ენგურები, რიონები, მტკვარები, ალაზნები” (ერი, ერის ერთობა და თვითმყოფადობა: GOL.GE Forum - Page 10 : forum.gol.ge. 15.11.2008).

“ვინ დაივიწყებს იმ გრიგალებს და ნიაგარებს? (გ. ტაბიძე, თქვენი ბინა).

“და ატან ქარებს, ნიაგარებს... სიყვარულს უღევს, წმინდა კუნძულზე იფერფლები გვირისტად უფლია” (გიორგი ბუნდოვანი, მამა ერმოლაოსს, სულიდან: სიახლეები: “ათონი და საქართველო”: ermolaos.ge. 30.03.2014).

“ვიწრო ტეხურები დიად მდინარეებს შორდებიან” (9 აპრილი – URAKPARAKI: urakparaki.com. 9.04.2011).

“მოკლედ, შევეშვათ ჯანდარებს და კუმისებს”: (Guns.ge: forum.guns.ge. ნადირობა > მონადირე. 13.01.2009).

მიაქვთ მიწები, კოდორ-რიწები” (“ბიძინა და მიშა ამერიკულ პარახოდზე” (forum.ge. 12.08.201).

D. მწვერვალები

“რა მოიფიქრე ჩემს წინადადებაზე, ჯომოლუნგმებს შეეშვი და უშბებს დაუბრუნდი მეთქი” (20 - Forum.ge: forum.ge. 7.04.2009)

“გილოცავ, სულ მწვანეზე გევლოს იალბუზების დაპყრობაში” (Subaru Club Georgia > ჩვენი შესახებ > ჩვენი ავტოდრომი. 10.10. 2012).

“მაგარი კაი სახელი ქონდა... და მოიარა მთელი კილიმანჯაროები” (თორთლაძე: forum.ge. 17.10.2007).

“ჯომოლუნგმები უფრო ადვილი დასაპყრობია, ვიდრე მონზლანები” (“გოგომ რო, PM მოგწეროთ...”: forum.ge; 3.05.2009).

“ჭიუხებიდან მე მონზლანებს არ ვებლოტები” (ვ. კოტეტიშვილი, „ჩვენს ახალგაზრდებს“: arilimag.ge. 30.01.2008).

აქამდე ისეთ გეოგრაფიულ სახელებს გავეცანით, როცა ქალაქი ქალაქის მნიშვნელობით იყო ნახმარი, ქვეყანა – ქვეყნისა, მდინარე – მდინარისა და ა.შ. ახლა ისეთი შემთხვევები ვნახოთ, როდესაც მათ გადატანითი მნიშვნელობა აქვთ.

ქალაქები

“თუ ასეთი გუნდი გვყავს, რომ ფენერბახჩესთან არ აგებს, მაშინ რა ვიცი მე, როგორღა ხდებოდა ზესტაფონები და რუსთავეები ჩემპიონები” (FC Dinamo TBILISI...Facebook: facebook.com)

¹ “შავი და ფშავის არაგვები დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინება” (“საქართველოს რკინიგზა: forum.ge. 1.06.2010); “თეთრი (მთიულეთის) და შავი (გუდამაყრის) არაგვების შესართავი” (ავტოსტოპი-თეთრი და შავი არაგვი? Facebook it-it.facebook.com/permalink); “ანჯელა მადსენს... ჩრდილოეთის ზღვა, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეები აქვს გადაცურული” (მზაბუნაშვილი, “კატამარანით ატლანტის ოკეანე გადავცურეთ და გინესის წიგნშიც მოვხვდით”: “კვირის პალიტრა”: kvispalitra.ge. 16.05.2011); “კონტინენტს გარს აკრავს ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანე, წყნარი, ატლანტის და ინდოეთის ოკეანეები და მათი ზღვები” (“კონტინენტები”-SlideBoom: slideboom.com)..

ჩვენს შემთხვევაში **ზესტაფონი** და **რუსთავი** ქალაქს კი არ მიუთითებს, თავისი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ არის ნახმარი, არამედ გადატანითი მნიშვნელობის მატარებელია და ხსენებული ქალაქების **საფეხბურთო გუნდების** სახელწოდებაა.

ამგვარი მაგალითებია:

“გუნდი **ბარსელონებს** და **მილანებს** და **იუვენტუსებს** ნიჩიებს უგორებდა და თან 2–2 გოლი გაქონდა” (“ქვილითაიამ “დიორში” ითამაშა”: მსოფლიო სპორტი: worldsport.ge. 4.02.2013

“სადაც **ზუგდიდები** და ვიტჯორჯიები და ასე შემდეგ გამოდიან, მაგ ჩემპიონატში ბეზიაჩემიც აიღებდა თასს (“დინამოს” პირველი მეტოქე პოლონური “პოდბესკიძია”: worldsport.ge. 28.01.2014). დაუკვირდით კომბინაციას – **ზუგდიდი** ქალაქია, **ვიტ-ჯორჯია** ქალაქი არაა, ის გუნდის სახელწოდებაა.

“ახალკაცს კიდევ უნდა თელავი, მესტია და სენაკი გადმოიყვანოს უმაღლესში... რად გვინდა ეგ **ქუთაისები, თელავები და სენაკები**” (“ქუთაისის ტორპედოს ფანკლები” : forum.ge > სპორტი > ქართული სპორტი. 11.06.2005)

“ბოლო წლებში მოძლიერებული “დორტმუნდის” გარდა ერთი ნაგავია ყველა: **შტუტგარტები, ლევერკუზენები, ჰამბურგები, ვოლფსბურგები**” (“გერმანული ფეხბურთის ფანკლები” > თბილისის ფორუმი: forum.ge. > თემატური ფორუმი > სპორტი > ფეხბურთი. 19.02.2014).

“სად არიან თქვენი **შტუტგარტები და ლევერკუზენები**?” (“ზაიერნმა” გამოიზამთრა და მოიგო”: მსოფლიო სპორტი: worldsport.ge. 25.01.2014).

ჩრდილო ამერიკის “ნაციონალური ჰოკეის ლიგის” (NHL) გუნდები ხშირ შემთხვევაში საბაზო ქალაქების ან შტატების სახელწოდებებს ატარებენ:

“**ტორონტოებს** და **ვაშინგტონებს** პლეიოფში არაფერი ესაქმებათ...” (deroit11.com » იმედის ფსონი: imedispsoni.ge/prognozi. 28.11.2013).

“იქ კალგარები და კოლორადოები არ იქნებიან და ვის მოუგებენ სხვას?” (**NHL -> Forum.ge: forum.ge. 29.01.2013**) =კოლორადოს ჰოკეისტა გუნდი **ტორონტოები, ვაშინგტონები, კალგარები და კოლორადოები** შესაბამისად, ნიშნავს ამ ქალაქების /უკანასკნელის შემთხვევაში კოლორადოს შტატის ქალაქ **კოლორადო სპრინგსის/** ჰოკეის გუნდებს, რომლებიც ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში (NHL) არიან გაერთიანებულნი, და მათ მსგავს, მათნაირ კოლექტივებს.

მსგავსი ვითარებაა ამერიკელ **კალათბურთელებთანაც**. ქვემოთ მოხსენიებული ამერიკული ქალაქების მრავლობითი რიცხვი მიუთითებს დასახელებულ ქალაქთა კალათბურთის გუნდებსა და მათნაირი ქალაქების კოლექტივებზე:

“ეგ ატლანტა კიდევ ფორმაში და **მემფისები და მინესოტები**” (“თბილისის ფორუმი >საერთო ფორუმი > General Discussion: forum.ge. 20.12.20,,3)

“**მემფისებს** და **კლივლენდებს** რომ იმახი, მაგათთან ერთი თამაშის მოგება ბულისთვის წარმატება და სალაპარაკოა” (ტოტალიზატორი > თბილისის ფორუმი: Forum.ge:forum.ge> საერთო ფორუმი. 2.02.2014).

“კობი უგდებს 40 ქულეს **კლივლენდებს** და **ვაშინგტონებს**” (“ჰოვარდი და ბრაიანტი ლიდერობენ” –მსოფლიო სპორტი: worldsport.ge/ge. 20.01.2012).

სულ სხვა ვითარებაა მომდევნო შემთხვევაში.

“როდესაც მთავრობის სტრუქტურები სცოდავენ, მაგას უნდა საპროტესტო რეაგირება, თუ სხვამ არ იმუშავა. ეხლა მაინტერესებს, ის სხვა ბოლომდეა ამოწურული? **სტრასბურგები**?” (“რას ფიქრობთ 9 აპრილის აქციაზე?": თბილისის ფორუმი > თემატური ფორუმი > პოლიტიკა: forum.ge. 9.03.2009).

“მიშა თუ ჰააგას იმსახურებს, მის ქვემოთ მდგომებმაც არ დააკლეს ხელი და მათაც პატარ-პატარა “**ჰააგები**” თუ არა, ქართული სასამართლოს წინაშე მაინც არ უნდა აგონ პასუხი?!” (ბამაშუკელი, ყოფილი: “საერთო გაზეთი” –OPEN.GE: georgian-press.net: 9.06.2010)

“მერე საქართველოს მოქალაქეობის აღდგენაზე შეიტანს განცხადებას, რაზეც სამი თვის მერე... უარს ეტყვიან და მერე დაიწყება **სტრასბურგები, მასბურგები**” (“ზიძინა თუ ბრიტნი სპირსი...არ დაიღალეთ?: forum.ge.17.10.2011)

აქ “**ჰააგები**” და “**სტრასბურგები**” **საერთაშორისო სასამართლოებზე** მიუთითებს, რომლებიც ამ ქალაქებშია განთავსებული..

ბაქო–სუფსები და **ჯეიხანებიც** მან დაიწყო” რომელს ირჩევთ რუსეთთან მიმართებაში: forum.ge > თბილისის ფორუმი > თემატური ფორუმი > პოლიტიკა. 5.11.2013)

ივარაუდება **ნავთობსადენი** (სუფსა სოფელიც არის და მდინარეც. აქ სოფელია ნაგულისხმები.

მხარეები, ქვეყნები, კონტინენტები, მსოფლიოები

“როცა ჩვენ საქართველოს პირველ ლიგაში ჰერეთებს და მესხეთებს ვეპაექრებოდით, ყაზახები წლიდან წლამდე ევროპაზე თამაშობდნენ” (Goli.Ge > ს.კ. ქუთაისის ტორპედო: goli.ge > ეროვნული ჩემპიონატი. 6.07.2012).

“მაგ პარაგვაიმ ბრაზილიელები და არგენტინელები წამოჭიმა და კიდევ ბევრს გაამწარებს” (“ფეხბურთი III – რა? სად? როდის? ფორუმი: gametv.ge > ზოგადი განყოფილება. 16.06.2010).

“პიდინკი დაიბადა იმისთვის, რომ ავსტრალიელები და რუსეთელები მსოფლიოზე ათამაშოს” (Manchester United Supporters Association: forum.ge >...> სპორტი > ფეხბურთი. 2.10.2007).

“პლეიოფში ბელგიელები და კამერუნელები ხომ არ იქნებოდა?” (“ბრაზილიური ფეხბურთის ფანკლუბი”: ფორუმ.გე > თემატური ფორუმი > სპორტი > ფეხბურთი. 6.12.2013).

“შესარჩევებზეც ჰქონდა პრობლემები გუნდს დაცვაში, ბელგიელები და ავსტრალიელები 2-3 გოლს გვითმობდნენ” (7 - TBILISIS FORUM: forum.ge > სპორტი, ფეხბურთი. 23.06.2012)

“დაგვაიწყდა, სად ვიყავით 2 წლის წინ, ისლანდიელები და ავსტრალიელები რომ გვიგებდნენ ხალხო” (“საქართველო – ბულგარეთი”: forum.ge > ...> სპორტი > ქართული სპორტი. 5.09.2011).

“შესარჩევებში ჩილეებს და ურუგვალებს აგერ კობიაშვილიც უტანდა გოლებს” (INTERNAZIONALE FC : forum.ge. 14.07.2009)..

“ინგლისი ახლა ვერ მოიგებს. ჰოლანდია ხომ არაა, ზედიზედ მსოფლიოები და ევროპები მოიგოს” (“ინგლისი 1:0 უკრაინა” > გვერდი 26 > FCI.ge - Football Club .. fci.ge/page,1,25. 19.06.2012).

“რუსეთის ჩემპიონატი დიდი ხუთეულის მერე, ერთ-ერთი საუკეთესოა, ჩეხეთებს და ჰოლანდიელებს კი ჯობია მგონი” (“ჯანო ანანიძე: forum.ge.> სპორტი > ქართული სპორტი. 1.11.2009).

“ბრაზილიამ და ესპანეთმა მესი დაასახლეს, ნუ საბერძნეთებს, ჩეხეთებს და რუსეთებს აღარ ჩამოვთვლი (ანუ საშუალო დონის ქვეყნებს)” (მეტის ნახვა: worldsport.ge. 20.05.2006)

“მინიმუმ ფინალში ვართ და ბრაზილიაში მინიმუმ ფინალში გადაგვერტყან ის ბრაზილიელები, ესპანეთელები და არგენტინელები” (“ჰოლანდიური ფეხბურთის ფანკლუბი”: forum.ge >> სპორტი > ფეხბურთი. 26.03.2011).

“ეხლა ვის თამაშს ვუყურო, ჩილეების, ურუგვალების და პერუების?” (“ტოტის და პეროტას ენრიკეს ფილოსოფია მოსწონთ: worldsport.ge. 17.07.2011).

“კლასის ამბავია, რომ ვერ გავიდნენ მერე პერუელები, ჩილეელები” (“გერმანული ფეხბურთის ფანკლუბი”: forum.ge > სპორტი > ფეხბურთი. 29.06.2012).

“ფალკომ ბოლივიებს ეკვადორებს და სხვა 3 კლასებს 5 გოლი გაუტანა” (“კოლუმბიამ ფინალი და პირველობა გაინაღდა”: worldsport.ge: 11.07.2011).

“მათ მაგივრად პარაგვაებს და ამერიკებს დავეჯახეთ.... .პარაგვაის ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოუგეთ” (მიუნხენის ბაიერნი: forum.ge > სპორტი > ფეხბურთი. 15.09.2006).

“ამერიკებს, იაპონიებს და გერმანიებს რომ ვბაძავთ, იმიტომ მიდის ჩვენი საქმე ესე” (“კვირის საუკეთესო გოლები > გვერდი 20: FCI.ge - Football Club Info: fci.ge/page. 13.04.2012)

“აბა თქვენ როგორ გინდოდათ, პლეიოფებში ბელგიელები და კამერუნელები ხომ არ იქნებოდა?” (“ბრაზილიური ფეხბურთის ფანკლუბი!”: forum.ge.> თემატური ფორუმი > სპორტი > ფეხბურთი. 6.12.2013)

“სხვა ყველამ, თავისი იტალიელების, საფრანგეთების, ესპანეთების, ინგლისების თუ გერმანიების ჩათვლით, მინიმუმ ერთი მარცხი მაინც იწვნია” (“გია გურული: “აცადეთ ქეცბაიას”: 24saati.ge: 19.11.2010).

“რუსები იმიტომ გვასწრებენ, რომ ჩვენ კლასიან გუნდებთან წავაგეთ თამაშები, მაგათ კი ბელგიელები და პორტუგალიელები აფარჩაკეს” (“ჯვაროსნებო, შაბათს არგენტინა”: forum.ge. 14.11.2009).

“გულაგებსა და ციმბირებში გაზრდილი და დაღუპული პატიმრები” (ზ. ჯიშკარიანი, “სხვა ისტორია”: TBCARTAREA.GE: ARTICLES: tbcartarea.ge/old/articles/view).

“საღამოს მოვისმენ ფანტასტიკურ ეპიკურ ისტორიებს ქურდებზე, რომლებიც ზონებს “ამუშავებდნენ” “ციმბირებში” (შალვა რამიშვილის “ციხური” ისტორია: 24.07.2013: Mediamall. GE - Blog: blog.mediamall.ge).

“ამერიკის ციმბირებში” (Populist Manifesto No. 1 | ბიო-ბლოგი: bioblog.me. 16.02.2011)

ციმბირი გადასახლების ადგილია, სადაც, ჩვეულებრივ, მძიმე კატორღულ სამუშაოს ასრულებდნენ სასჯელმოსახდელებს

ახლა რაგბის სფეროში გადავინაცვლოთ:

“ესპანეთი ნახეთ? პორტუგალიას რა უყო! ჩვენ კიდევ გადავუარეთ ესპანეთს. ბადალი არ გყავს ამ დონეზეც. დროა, შევუერთდეთ დიდ რაგბს. ახალზელანდიებს და სამხრეთ აფრიკებს

მივეჩვიოთ” (“ერთა თასისთვის” 20 წუთიც საკმარისი აღმოჩნდა: მსოფლიო სპორტი. worldsport.ge. 13.03.2011). ცხადია, **სამხრეთ აფრიკა** აფრიკის სამხრეთ ნაწილს არ ნიშნავს, ესაა “სამხრეთ აფრიკის რეესპუბლიკა”.

“ჩვენ გუნდს ახალი **ზელანდიელები** უკეთესად ქომაგობდნენ, ვიდრე ქართველები (“ქართული რაგბი”: (Facebook:mbasic.facebook. 0.11.2012))

“19 წლამდე ნაკრებში დუბაიში **მსოფლიოზეც** ვიყავი, მერე შვიდცაცაში ამიყვანეს და ძალიან ბევრი ტურნირი ვითამაშე. **მსოფლიოები, ევროპები და ა.შ.**” (“წარმატებული რაგბისტის ექსკლუზიურად პირადი” ptpress.ge: ptpress.ge: PrimeTime, №1, 2014).

ჩვენს შემთხვევაში **ახალზელანდიელები (ზელანდიელები), სამხრეთ აფრიკები** ნახმარია ჩამოთვლილი ქვეყნების რაგბის ეროვნული გუნდების მნიშვნელობით, ხოლო **მსოფლიოები და ევროპები** ნიშნავს მსოფლიოსა და ევროპის პირველობებს რაგბიში.

სხვა შემთხვევაში “მსოფლიოები” შეიძლება ფეხბურთში ან ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი:

“აღარ ველოდები **მსოფლიოებზე და ევროპებზე** ოუნების, რონალდინიოების და ასე ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელების გამოჩენას” (“ფალკაო მუნდიალზე თამაშის იმედს არ კარგავს” (“მსოფლიო სპორტი”: worldsport.ge. 24.01.2014).

“ვილას წინა **მსოფლიოებზე** გოლი აქვს გატანილი?” (“ესპანური ფეხბურთის ბრიგადა”: vol.11: თბილისის ფორუმი: forum.ge. 5.07.2010)

“მაან მაგარი მწვრთნელია ეს კაცი, რა გუნდით გადის **მსოფლიოებზე და ევროპებზე**” (“ფერნანდო სანტუმი: საქმე ჯერ სანახევროდაა გაკეთებული”: (“მსოფლიო სპორტი”: worldsport.ge. 16.11.2013).

“გუჯეჯიანმა მოგებით ვერ მოიგო, მაგრამ მეორე და მესამე ადგილები დააგროვა **მსოფლიოებზე და ევროპაზე** (“მიუდოცა, კაცო?!”: “ქართული საფიხვნო” > ფიზკულტურა და სპორტი: sapikhvno.org. 24.09.2007)

“ბოლო მსოფლიოს შედეგები აიღე და შეადარე წინა **მსოფლიოების შედეგებს**” (“ჭიდაობა. VIII ნაწილი. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული”: forum.ge: თემატური ფორუმი > სპორტი > ქართული სპორტი.. 2.04.2014).

“თქვენ რა გინდათ, **ევროპა-მსოფლიოებზე** ჭიპმოჭრილი რუმინეთი ევროპის გარეშე დარჩეს?” (სანდრო ბითაძე: „საქართველოს ნაკრებში საბრძოლო განწყობაა”: მსოფლიო სპორტი: worldsport.ge. 30.09.2011).

უკანასკნელ მაგალითში **მსოფლიოები** წყალბურთში მსოფლიო ჩემპიონატს გულისხმობს.

კალათბურთის გუნდები იგულისხმება მომდევნო მაგალითში.

“რა, გვყავს დასაკარგი კალათბურთელები? 2 წლის წინ **ავსტრიებს და ისლანდიებს** ძლივს ვუგებდით ან ამ კოკოშკოს რა გავუხურეთ” (“საქართველო ფავორიტია და დაცვითი ტაქტიკით ითამაშებს”: worldsport.ge. 26.08.2010)

“ლეიკერსი – ბოსტონი იქნება, ჩემი აზრით, კლასიკა კალათბურთის! არავითარი **მაიამები და ოკლაჰომები**” („NBA Georgia - LA - Denver 103 – 88: ka-ge.facebook.com. 29.04.2012).

ჩრდილო ამერიკის **ჰოკეის ნაციონალური ლიგის** გუნდები ივარაუდება ქვემოთ მოხმობილ ნიმუშებში:

“ნიუ-იორკ აილენდერსმა **პიტსბურგები** ამოტენეს” (“თბილისის ფორუმი > თემატური ფორუმი > სპორტი > ჰოკეი: NHL: forum.ge. 20.03.2012)

“ამ სამი პროგნოზიდან, შენი აზრით, რომელი უფრო რეალურია, რომ დაიდოს ფსონი??? **ტორონტო თუ კოლორადოები**”: “ტოტალიზტორი”: თბილისის ფორუმი > თემატური ფორუმი > სპორტი. 7.08.2008)

დასასრულ, კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი:

“რაჭაში რომ ვანახე ეს **კოლორადოები** იქაურ სოფლის ქალებს, მითხრეს: “უი, ესენი კი ამოწყდნენ ერთიანადო” (GRAF.GE > Gallery> Viewing image:graf.ge. 21.11.2009).

უკანასკნელ მაგალითში **კოლორადოებში** იგულისხმება კოლორადოს ხოჭო, ასე რომ, ამ შემთხვევაში ეს საჩვენო მაგალითი არაა..

მდინარეები, ჩანჩქერები

ნიაღვრები, მძლავრი ნაკადები იგულისხმება მომდევნო ნიმუშებში:

“ქარი წეწავს იის სათუთ კონას, ვერ ვერევი მომსკდარ გრძნობის **არაგვებს**” (URAKPARAKI: ellit.ge..4.10.2013)

“სხვას უღიმოდით, ატყუებდით, ცრემლის **რიონებს** ეფიცებოდით” (ლაშა ჯაიანი, ბოლო დღეს: ლექსები სიყვარულზე და სიხარულზე: 4love.Ge/leqsebi: 4lovege).

“ჩემი განცდების **ალაზნები** მიედინება გულზე კახეთის, ვარ კალაპოტი”(ნატალია ქადაგიძე – Page 3 –არმური: armuri.4forum.biz.: 25.07.2010)

“მთებმა ჩამოიწურეს თვალებიდან **თერგები**, თავზე გადაიცურეს ლურჯი აისბერგები” (გოგიტა არაბული –Page 1: არმური: armuri.4forum.biz. 25.10.2011).

“რიბერის ოფლის **ნიაგარები** მოსდის მეორე ტაიმის მაგ დროისთვის და დოდის ცხენით სუნთქავს ხოლმე თამაშის ბოლოსკენ” (“ლუკა ტონი (მიუნხენის ბაიერნი)”: forum.ge: თემატური ფორუმი > სპორტი > ფეხბურთი. 17.04.2008)

“გადამცემი ხაზები, **პალიასტომები** და ჩაქვი რომ მიწასთანაა გასწორებული, მარტო აჭკესი გვიშველის?” (“აჭარას უშველეთ”: თბილისი ფორუმი > თემატური ფორუმი > პოლიტიკა. Pages - Forum.ge: forum.ge. 10.12.2013).

“14 დეკემბერს გვიან ღამით, დასრულდა 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „პალიასტომი-2“, ხოლო 15 დეკემბერს, საღამოს 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „პალიასტომი-1“ სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა” (**პალიასტომი-1 და პალიასტომი-2 აღდგენილია**: სსე (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა: gse.com.ge/new/16.12.2013).. აქედან ჩანს, რომ **პალიასტომები** ელექტროგადამცემი ხაზებია

“დილები, ზესტაფონები, **ჩიხურები**, მერანები და სხვ. რომ არიან, მიტომ მიდის ჩვენი ფეხბურთის საქმე ასე კარგად” (“დილამ” ნახევარფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა”: worldsport.ge. 22.02.2014).

“ფეხბურთის განვითარებას ხელს ნუ შეუშლით. საქართველოში თვითონ გულშემატკივრობენ ლაციოებს, ბარსელონებს და **დურუჯებს**” (98–Forum.ge: forum.ge.: >სპორტი > სპორტის ბრიგადა. 3.12.2008) (“დურუჯი” ფეხბურთელთა გუნდია)

ჩიხურები და დურუჯები საფეხბურთო კლუბებია.

დაბოლოს, “საქართველოში **ბაზალეთები** რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა არ გაერთიანდებოდა” (“გიორგი სააკაძე”: forum.ge. > საზოგადოებრივი მეცნიერებები. 9.05.2011).

“ქართველო, გესმის, დავივიწყოთ **ბაზალეთები**” (ჯ.ჩარკვიანი, არცა პარასკევს).

ორივე შემთხვევაში ივარაუდება **ბრძოლა** თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძეს შორის 1626 წელს, ბაზალეთის ტბის სიახლოვეს. მაშასადამე, **ბაზალეთი** შინაომის სიმბოლოა.

მწვერვალები

“თუნდაც **იალბუზები** დამცენ თავზე, ამ ლექსს მაინც არ გავუშვებო, და “ზებერი ძალი” კრებულიდან ამოაგდო” (“წადი, მარტინოვ! პოეტები ცუდად ისვრიან...”–პრესა.გე; presa.ge/new.16.04.2011).

.”ნაყინის **იალბუზები**. და შოკოლადის ქედები... თავს ადგა ბალი ზღვისპირა, ტალღის ხმა, ზეცის სიგანე, უნაბის ხეზე მიბმული. თავისი თეთრი თიკანი...” (“ქუჩა, სიცხე, ბავშვი”: Litklubi.ge: litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi).

“მე ვარ მთები და **იალბუზები** საქართველოსი, შენ კი მდინარე, რუ ხარ ანკარა, ჩემო სინაზევ” (“თავისუფლება”: თბილისის ფორუმი > თემატური ფორუმი > პოლიტიკა: forum.ge. 23.12.2011)

იალბუზები ნახმარია მთების, გროვის, სიმრავლის, სიმძიმის მნიშვნელობით.

“თქვენც ასულიყავით საკუთარ **“ევერესტებზე”**, ჩემო მეზობელო და საყვარელო ჩოჩხათელო ბავშვებო” – ამბობს ევერესტის დამპყრობი, “თოვლის ჯიქად” წოდებული ბიძინა გუჯაბიძე” (“ჩოჩხათის სკოლა (ლანჩხუთი)”: idg-georgia.org.ge/scola/chocha/scola.html

“მთელი ცხოვრების **ევერესტები**. მიღწევები, დამსახურებები, სურათები კედლებზეა. მედლები. ორდენები, მაგრამ დღეს, შიშველი ხელებით შეებრძოლა ვეფხვს” (“რაცა ღმერთსა აარა სწადდს, არა საქმე არ იქმნების”; vaskagegelia.blogspot.com. 25.11.2013).

“ის შეიძლება ეცვათ, პატიმრებსაც, გოჭებსაც და „სასოწარკვეთილ დიასახლისებსაც“ [რა მაღალი სტილია, ეთიკის როგორი **ევერესტები!**]” (“თავდასხმები ჟურნალისტებზე” /სოლომონის ფიქრები: solomonternaleli.wordpress.com. 21.05.2012).

“თქვენ უფრო გიზიდავთ **“ევერესტები”** ანუ ძნელად მისაღწევი გოგოები” (3 - GOL.GE Forum: forum.gol.ge › .ფორუმის არქივი; 9.10.2006).

ევერესტი სინონიმია დიდი სიმაღლისა, ძნელად მისაღწევისა, ძნელად დასაპყრობისა, ერთგვარად მიუღწეველისა.

“ეს **კილიმანჯაროები** და ასეთები კი საერთოდ. არა აქვს მნიშვნელობა, მოხუცს სპენსერ ტრეისი თამაშობს თუ ენტონი ქუინი”: 3:10 to Yuma: “ცხელი შოკოლადი”: shokoladi.ge).

აქ კილიმანჯარო, აფრიკის უმაღლესი მწვერვალი, გახმაურებული კინოფილმის სათაურია.

F. არათანაზომიერ ერთეულთა შეწყვილება

როცა რამდენიმე გეოგრაფიული ერთეულია ჩამოთვლილი, ზოგჯერ არათანაზომიერი სიდიდეებია შეწყვილებული: სხვადასხვაა რიცხვი, მასშტაბი ქვეყანა და ა.შ.

რიცხვი:

“ამოვიდა ყელში. გადააკვდნენ ამ ბათუმსა და ბაკურიანებს და თბილისში აღარ გაუკეთებიათ წესიერი არაფერი” (განახლებული ფუნქციური forum.ge > თემატური ფორუმი > თბილისი. 4.06.2010).

“სპექტაკლი დადგას და ერთმანეთის მიყოლებით პანათინაიკოსი, ცრვენა ზეზუდა, ციურიხები და ბარსელონები გამოაგდოს გათამაშებიდან” (forum.ge: თემატური ფორუმი > პოლიტიკა. 29.07.2009).

“ისინი არიან “გამევეებული” და გაკრეფილი სამშობლოდან სარჩოს საძიებლად საბერძნეთებში, თუქეთებში, რუსეთში, იტალიებსა თუ ესპანეთებში” (“გაბრაზებული მოქალაქეები “ერისიონისთვის” სახელმწიფო ანსამბლის სტატუსის მოხსნას ითხოვენ”: ამბები. ge :ambebi. ge/kulturashoubiznesi.5.03.2014).

ქალაქი/ რეგიონი.შტატი:

“არ მინდა ეს ინდიანები, ფილადელფიები და კლიპერსები ფინალში”(“პითმა “ მოედანი დათმო, “სპურზს” ვერავინ აჩერებს”: მსოფლიო სპორტი: .worldsport.ge. 16.05.2012). /kalaTb.)

“იქ კალგარები და კოლორადოები არ იქნებიან და ვის მოუგებენ სხვას?” (NHL -> Forum.ge: forum.ge. 29.01.2013). “კოლორადოები” კოლორადოს შტატის ჰოკეისტთა გუნდია.

“მსოფლიოზე, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე... სანაკრებო წარმატებაა საჭირო, თუნდაც მოუგე ტრინიდადებს და ავსტრალიებს” (“მეტის ნახვა” worldsport.ge. 17.12.2012).

“მოვიარე ბათუმები და სოჩები და კახეთები” (“ზეთები და სხვ.: Off-Roaders Club Georgia. off-road.ge > ... > ტექნიკური საკითხები. ბოქსები. 9.09.2011).

“ეხლა დაიწყება ისევ მოსკოვები, ტამბოვები, ციმბირები, 7 მანეთად გადაფრენები” (“არჩევნები საქართველოში, ანუ ვიქნები თუნდაც...”: droni.ge .3.10.2012).

კონტინენტი/ სამყარო

“თქვენ რა გინდათ, ევროპა-მსოფლიოებზე ჭიპმოჭრილი რუმინეთი ევროპის გარეშე დარჩეს?” (სანდრო ბითაძე: საქართველოს ნაკრებში საბრძოლო განწყობა”: მსოფლიო სპორტი: worldsport.ge. 30.09.2011).

ზოგჯერ გეოგრაფიული ერთეულები ერთმანეთთან დეფისით არის შეერთებული;

“ყველას თუ ასე ჩამოურიგეს კოჯორ-აბასთუმნები, კულაკობა განახლებულა და ეგაა” (ნინო ბურჯანაძე forum.ge: თემატური ფორუმი > პოლიტიკა. 7.07.2008

“გალმართლა იტალიას, რომ უკრაინა-ავსტრალიებს შეხვდა” (“ნახევარფინალში ნახევარი გუნდით”: worldsport.ge. 6.07.2010).

“ნიგერია-კორეა-საბერძნეთ-მექსიკები პაჩკობით გამოიყვანონ” (“არგენტინის ნაკრების ფან-კლუბი”: forum.ge > სპორტი > ფეხბურთი. 6.07.2010.)

დასასრულ, ორიოდე კურიოზსაც გავეცნოთ:

“საბჭოთა კავშირის დროს შუა აზიების რესპუბლიკებიდან ევროპის საზღვრებამდე გადაიჭიმა ნავთობისა თუ გაზის მილები” (გ.შარაშენიძე, 21 საუკუნის რუსეთ-კავკასიის ომის შედეგი: არა რუსეთს: 01.02.2013. facebook.com/permalink.)

“შუა აზიის” განზოგადება და მისი ჩაყენება მრავლობითში ჩვენს შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ამ კონტექსტში სწორედ მხოლოდდამხოლოდ შუა აზია იგულისხმება (მასში შემავალი რესპუბლიკებით) და არავითარ შემთხვევაში კიდევ მისთანანი. სწორი ფორმა იქნებოდა “შუა აზიის რესპუბლიკები”

“რაგბის რუკაზე უელსი სულ ჩანს, სულ პირველფლანგელებთან დარბის, ზელანდიებს და უილკინსონებს არ ემალება” (I'm a GAY - 24 Hours: 24hours.ge/Weekend/story.0.11.2011). უილკინსონი ინგლისელთა საუკეთესო მორაგბეა, ამდენად, მისი შეწყვილება ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებთან, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

ასევე, ერთმანეთშია არეული ქალაქი, ქვეყანა და პიროვნება.

“შენ ეხლა გაიგე უკრაინა, უკრაინელები, ხარკოვები და დონეცკები რომ მევასებიან?” (UEFAEURO 2012 - ფორუმი teen.ge – გვერდი 26: teen.ge > სხვადასხვა > სპორტი).

რა შეიძლება ითქვას ამ ფენომენის შესახებ? თავიდან ვერ წარმოვიდგენდი, რომ გეოგრაფიულ სახელთა მრავლობითის აქ განხილული ტიპების შესახებ ამდენი სახის მასალა მოგროვდებოდა. განსაკუთრებით – გადატანითი მნიშვნელობით. ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. სხვათა

შორის, არც მიცდია, მომეძია მსგავსი ხასიათის აქამდე გამოქვეყნებული სტატიები, მაშინ შეიძლება მათი გავლენის ქვეშ მოვქცეულიყავი. როდესაც ამა თუ იმ ქალაქის მრავლობითი ფორმის ხმარებისას მართლაც ქალაქი იგულისხმება, ეს ერთი შემთხვევაა, მაგრამ რაოდენ მრავალფეროვანი გამოჩნდა მათი გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, შინაარსობრივი დიაპაზონი, ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი.

უნდა ითქვას, რომ მოძიებული ნიმუშები ყოველთვის არაა ოფიციალური პრესიდან ამოკრეფილი, არაიშვიათად სხვადასხვა სახის ფორუმის მონაწილეთა მეტყველებაც არის დამოწმებული ინტერნეტსივრიდან. ეს დღევანდელი ქართული მეტყველების ერთგვარ ასახვასაც წარმოადგენს და მას ანგარიში უნდა გავუწიოთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ილია წერს: ხალხია ენის კანონმდებელი და არა ანბანთ თეორეტიკაო. ამდენად, ზემოთ ნახსენები ტიპის სიტყვები, უბრალო ხალხური ლექსიკა, ვერ დარჩება ჩვენი ყურადღების გარეშე. გავა გარკვეული დრო და ამგვარი ფორმები თანდათან დაიმკვიდრებს თავს სალიტერატურო ენაშიც.

გეოგრაფიულ სახელთა გადატანითი მნიშვნელობის მქონე ფორმებს აქ მოტანილი ნიმუშებისას, რა თქმა უნდა, არა აქვს საკითხის ამომწურავად გაშუქების პრეტენზია, წარმოდგენილი მასალა, ალბათ, წვეთია ზღვაში, იმდენად მრავალფეროვანია მათი გამოყენების დიაპაზონი. მაგალითად, “მსოფლიოები” შეიძლება კაცმა იხმაროს მსოფლიო ჩემპიონატის მნიშვნელობით ყველა სახის სპორტულ შეჯიბრებასა თუ მსოფლიო მასშტაბის ამა თუ იმ ღონისძიებაში.

გეოგრაფიული სახელების მრავლობითის ფორმების გადატანითი მნიშვნელობით ხმარების ამოუწურავი მასალა შეიძლება მოგროვდეს, მაგრამ, რაც განვიხილე, ისიც საკამრისია საკითხის არსის წარმოსაჩენად.

საგულისხმოა ერთი ვითარება: რა გრამატიკული საშუალებით გადმოიცემა გეოგრაფიულ სახელთა მრავლობითი – უპირატესად ეს არის **ებ** სუფიქსი, შემდეგ მოდის **თა** სუფიქსიანი ფორმები (ცაბაურთა, მოწამეთა...), ხოლო ნარიანი, მართლაც, თითზე ჩამოსათვლელია – თითო-ოროლა მაგალითია დაფიქსირებული (რკონი, თოთიაურნი...). კაცმა რომ თქვას, ეს არის მრავლობითის წარმოების დღევანდელი ვითარების ანარეკლი – დღეს ხომ მრავლობითობის გამოსახატავად უპირატესად **ებ** სუფიქსი გამოიყენება, **თა** გარკვეულ შემთხვევაში იხმარება (მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა ყრილობა, დედათა მონასტერი, ბავშვთა საავადმყოფო, პიონერთა სასახლე, ხელბურთელთა გუნდი, პრეტენდენტთა ტურნირი, საბჭოთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, ვაჟთა გიმნაზია, ცხოველთა სამყარო, თემთა პალატა...)

ეს ვითარებაა არეკლილი გეოგრაფიულ სახელებშიც.. რა ტენდენციაც არის ენაში ფესვ-გადგმული, ის რეალიზდება ჩვენს შემთხვევაშიც...

Vakhtang Imnaishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABOUT THE PLURAL FORM OF THE GEOGRAPHICAL NAMES RESUME

Geographical names, the names of certain species, do not have a plural form and it is clear .. However, geographical names can still be found in the plural, in all three forms: In suffix *s* (the Netherlands, Bugs, Towers ...), in *nariani* (Rkoni, Totiaurni ...) and also in *taniani* (Motsmeta, Tsabaurta...).

Most often cities are in plural form (Batumis, Madrids ...) and villages (Akhalsopeli, Etseri ...), countries (Italy, Argentina ...), to a lesser extent - rivers, lakes, ridges, peaks, even continents ...

What is the plural? - Batumis means 'Batumi and the similar things'.

Geographical names are often used in the plural in a figurative sense.

ხატოვანი სიტყვა-თქმანი შოთა ქურდაძის „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონში“

იაკობ გოგებაშვილმა, როგორც პედაგოგმა, შექმნა ისეთი სულიერი ღირებულებები, რომელთაც დრო ვერას აკლებს და მომავალ თაობებზე ზემოქმედების მარადიულ ძალას ინარჩუნებს. „სწორედ ამიტომ სულმნათის ისტორიული, პატრიოტულ-ინტერნაციონალური შედეგები, მართალია, წარსული ცხოვრების სხვია, მაგრამ მომავლის მანათობელი ლამპარაცაა“ (ვ. რამიშვილი, 1982, გვ. 430).

სამშობლოს მამულიშვილის აღსაზრდელად იაკობ გოგებაშვილი მნიშვნელობას ანიჭებდა, ერთი მხრივ, გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათის თხზულებათა შექმნას, მეორე მხრივ კი, პატრიოტული შინაარსის კრიტიკულ-ლიტერატურული სტატიების წერას. პატრიოტული გრძნობის აღზრდის ყველაზე ხელსაყრელ მასალას იძლევა ქართველი ხალხის ეროვნული თავისებურებების გაცნობა, ქართველი ერის ისტორიის შესწავლა, ნაწარმოების მდიდარი, მიმზიდველი და ხალისიანი ენა. არაემოციური მასალა უინტერესოა ბავშვებისათვის და საზოგადოებისათვის.

ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობას ამდიდრებს ხატოვან თქმათა სიმრავლე. „ქართული ზეპირსიტყვიერება უხვ მასალას აძლევს ჩვენს მწერლობას ენის მეცნიერული შესწავლისათვის. სიტყვა-თქმანი ძირითადად ხალხური წარმოშობისაა, ამიტომაც ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის ზნე-ჩვეულებას, ისტორიას“ (ა. თაყაიშვილი, 1961, გვ. 40).

იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობიდან დღემდე ჩვენ ვიცნობთ პროზაულ ნაწარმოებთა მცირე ლექსიკონებს. აქედან პირველი, პატარა ლექსიკონი - ამერ-იმერ ერთაზროვანი სიტყვებისა, სინონიმებისა შეადგინა იაკობ გოგებაშვილმა (ტ. 5, 1957, გვ. 592-595), ხოლო მეორე მცირე ლექსიკონი ვალერიან რამიშვილმა (1982, გვ. 217-220; 442-443). მაგრამ, ჩანს, კვლევა-ძიება ამ თვალსაზრისით გასაგრძელებელი იყო. მართლაც, პროფ. შ. ქურდაძის წინამდებარე შრომა „მშვენიერი ცდა აღმოჩნდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის შესწავლის გზაზე“ (გ. ბურჭულაძე, 2004, გვ. 3).

შოთა ქურდაძის წიგნი ორჯერ გამოვიდა: პირველად 1995 წელს პროფესორ ალ. ღლონტის რეცენზიით, მეორედ - 2004 წელს, პროფესორ გენადი ბურჭულაძის რეცენზიით. ცალკეა გამოყოფილი ხატოვანი ანუ მეტაფორული პედაგოგიკური ტერმინოლოგიური მასალები.

შოთა ქურდაძის „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონი“ გაწყობილია ანბანთრიგზე, განსამარტავი სიტყვა თუ სინტაგმა ყველგანაა ილუსტრირებული და დოკუმენტირებული. თითოეული ტერმინი ახსნილია შესაბამისი დარგობრივი ლექსიკონებით და ტექსტშივე მოცემულია მათი დასახელება.

ამ ლექსიკონში წარმოდგენილია იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურ წერილებში გამოყენებული ქართული ენის ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ერთი მნიშვნელოვანი სექტორი, ისეთი სიტყვა-თქმები, რომელთაც დაკარგული აქვთ თავდაპირველი მნიშვნელობა და ჩვენი ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე სხვა, განზოგადებული მნიშვნელობა მიუღიათ, იდიომატურ თქმებად დამკვიდრებულან. ასეთი ხატოვანი სიტყვა - თქმანის დიდი ნაწილი მწერალს სწორედ ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან აქვს შერჩეული. მაგ.: **ერთ ტაფაში დაწვა**. გადატ. ორივე ხალხის თუ ერის ერთ მდგომარეობაში ყოფნა. „ორივე ის ხალხი, ქართული ანდაზისა არ იყოს, ერთ ტაფაში იწვოდა“ (ტ. 4, 301).

თითის განძრევა. გადატ. „სრულებით არაფრის კეთება, უსაქმურობა, უდარდელობა, უზრუნველობა“ (თ. სახოკია). „თვითონ არსებითად თითი არ გაუნძრევია“ (ტ. 1, 114).

კუს ფეხის გამოყოფა გადატ. არაპროფესიონალის ახირებული ამბიციები. „ჩიხო-მახო ანბანის შემდგენელი პედაგოგების საქციელი მოგაგონებთ ქართულს ანდაზას: კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო“ (ტ. 5, 730).

პირ-კატის ცემა გადატ. მოულოდნელი გაკვირვება, ელდის ცემა. „ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ენა წიგნისა გვექო, მაგრამ, როდესაც ამ განსაზღვრით გადავიკითხეთ წიგნი, პირ-კატა გვეცა“ (ტ. 8, 389).

კუდზე ფეხის დადგმა გადატ. ტენდენციური მოკამათის იოლად გამტყუნება, მხილება. „ბ-ნ გაბიჩვამეს დაჰვიწყებია, რომ ბ-ნს გოგებაშვილის დედაენის ხუთი ათასი ეგზემპლარი უკვე მოეფინა ქართველს საზოგადოებაში და ყველა მკითხველს ადვილად შეუძლიან გადაფურცლოს იგი და ჩვენს მოზაასეს კუდზედ ფეხი დაადგას“ (ტ. 5, 691).

პირში ჩალის გამოვლება გადატ. „მოტყუება, წართმევა, ცარიელზე დასმა, დაუკმაყოფილება“ (თ. სახ.). აქ: გავამტყუნოთ, არ მივიღოთ ჩვენი მოწინააღმდეგის აზრი. „ყველა, ვინც კი წინააღმდეგია ამ

განმაცხოვრებლის პრინციპისა, დღეის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ჩავაჩუმოთ, პირში ჩალა გამოვალთ წინამძღვრიანთ-კარის სკოლაზედ მითითებით" (ტ.2, 203).

თითის განძრევა გადატ. „სრულებით არაფრის კეთება, უსაქმურობა, უდარდებლობა, უზრუნველობა" (თ. სახოკია). „თვითონ არსებითად თითი არ გაუნძრევია".

ორი კურდღლის მდევრობა გადატ. ორი სასწავლო ამოცანის ერთდროულად შესწავლა. „როცა თქვენ ერთის ასოს მაგივრად ორ ასოს მოაქცევთ გაკვეთილში, ბავშვს გამოუყენებთ ერთსა და იმავე დროს ორს კურდღელსა" (ტ. 5, 729).

ქართულ ენაში ბევრია ისეთი სიტყვა-თქმანი, რომელთაც დროთა ვითარებაში გადატანითი მნიშვნელობა მიუღიათ და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად დამკვიდრებულან მეტაფორული სახეცვლილების გზით. ასეთ სიტყვა-თქმებს პირდაპირი მნიშვნელობით აღარ ვხმარობთ, დავიწყებულია მათი თავდაპირველი შინაარსი. ასეთი სიტყვების გადატანითობა პირველ რიგში კონტექსტის საფუძველზე იქმნება. იაკობ გოგებაშვილი ამა თუ იმ პედაგოგიკური შინაარსის გამოსახატავად საკმაოდ ხშირად იყენებს მეტაფორიზაციას. „ეს ლექსიკური მასალები, მართალია, მთლიანად ვერ თავსდება წმინდა პედაგოგიკური ტერმინოლოგიის ჩარჩოებში თავისი ფორმის გამო, მაგრამ რაკი გარკვეულ კონტექსტში გვეხმარება კარგად შევიცნოთ ავტორის პედაგოგიკური მრწამსი, ემოციურად გამოხატავს მის მგზნებარე შეხედულებებს და ხატოვნად გადმოგვცემს სათქმელს" (შ. ქურდაძე, 2004, გვ. 134). საყურადღებოა შემდეგი სიტყვა-თქმანი:

პედაგოგიის ბოძები - სასწავლო საქმის ხელმძღვანელობა. „ჩვენი პედაგოგიის ბოძები კი სრულიად უკუღმა მოიქცენ" (ტ. 1, 193).

პედაგოგიური ბარტყი - იგულისხმება ბ-ნ ზახაროვის პედაგოგიური დამოკიდებულება ქართული ენის სწავლებისათვის. „ვის ბუდეში გამოიჩეკა და წამოიჩიტა ეს პედაგოგიური ბარტყი" (ტ. 1, 134).

პედაგოგიური ჩხირები გადატ. უსაფუძვლო პედაგოგიური თავის მართლება. „ჩვენი მობაასე ცდილობს, პედაგოგიური ჩხირები შეუდგას ირიბ ხელსა" (ტ.5, 686).

პედაგოგიური ცა გადატ. პედაგოგიური ასპარეზი, სარბიელი. „ნოზათი" -კუდიანი ბჟუტა ვარსკვლავით გაჩნდა ჩვენს პედაგოგიურ ცაზედა" (ტ.2, 194).

პედაგოგიური ჭირი გადატ. მძიმე პედაგოგიური შეცდომა, უკანონობა. „პედაგოგიური ჭირი, დაბადებული სასწავლებელში, ძლიერ ადვილად გადაედება ხოლმე სასწავლებლებს" (ტ. 4, 390).

იაკობ გოგებაშვილმა ხელი შეუწყო, საერთოდ, ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და, კერძოდ, ახალი პედაგოგიკური აზროვნების შესატყვისი ტერმინოლოგიის დახვეწას, შექმნასა და პრაქტიკულად დანერგვას. ამიტომ თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ამ სფეროში მისი დამსახურება ისევე დიდია და საპატიო, როგორც საზოგადოდ ილია ჭავჭავაძისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. ეს საკითხი იაკობის მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ნაკლებადაა გამოვლენილი და შესწავლილი. შოთა ქურდაძემ ამ მიმართულებით წარმოაჩინა ის ცალკეული ასპექტები, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი ასე ფართოდ იყენებდა პედაგოგიკური ტერმინოლოგიის შემუშავებისას, მისი ცალკე სახეობად დაყოფისას, ახალი ტერმინოლოგიის შინაარსის მნიშვნელობისა და, ბოლოს, მისი ახსნა-განმარტებისას (შ. ქურდაძე, 2004, გვ. 7).

საყურადღებოა, იაკობისეული პედაგოგიკური ტერმინოლოგია:

გონებრივი და ფიზიკური შრომის ნაცვალ-გახდომა - გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობა (ტ. 3, 350).

გონივრული კითხვა - შეგნებული, გაცნობიერებული კითხვა. „თავდაპირველად გონივრულ კითხვას მიეჩვიონ" (ტ. 5, 641).

თვალსაჩინო ელემენტი - ანბანის სწავლებისას სურათების გამოყენება. „რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინო ელემენტს, რანაირად აადვილებს სწავლას და რავდენად ახალისებს ბავშვებს სწავლაში" (ტ. 8, 365).

თვალსაჩინო მეთოდი - რუსული ენის სასწავლო მეთოდი. „სწავლება რუსული წიგნისა და ენისა სწარმოებს თვალსაჩინო მეთოდით თარგმნის დახმარებით" (ტ. 3, 307).

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი „იბრძოდა იმისათვის, რომ მასობრივად შეეგნოთ ქართველებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედაენას, ანუ მშობლიურ ენას, ერის მთლიანობის დაცვის, განმტკიცებისა და კულტურული ამაღლების საქმეში და მოეპოვათ უფლება ამ ენაზე სწავლისა" (ი. მეგრელიძე, 1973, გვ. 22). იაკობ გოგებაშვილის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ წერილებში ხშირად ვხვდებით ისეთ ხატოვან სიტყვა-თქმებს, რომელიც დედაენას, ქართულ ენას ეხება. მაგ.: **ენის კბილის გაშინჯვა** გადატ. ქართული ენის ცოდნის შემოწმება. „ჩვენ ხატრს გაუწევთ ბ-ნს დოდაშვილსა და მის ენას კბილს გაუწინჯავთ ეტიმოლოგიის მხრივ" (ტ.2, 404).

ენის კოჭლობა გადატ. ლექსის ენის დახვეწა იგულისხმება. „ენა წინანდელს ლექსშიაც კოჭლობდა და აქაც კოჭლობს" (ტ. 2, 27).

ენის სუფევა გადატ. ქართული ენა ყველგან თავისუფლად გამოიყენებოდა. „ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ეს ენა სუფევდა, ყველას გლეხის საუბარი ესმოდა" (ტ.1. 300).

ენის ფეხის ჩადგმევინება გადატ. ქართული ენის სავალდებულო სასწავლო გეგმაში შეტანა. „არავის არ ვედავებით -- თქვენის ქვეყნის სასწავლებლებში ფეხი ჩადგმევინე ჩვენს ენასაო" (ტ.1,372).

ქართული ენის კალაპოტი გადატ. ქართული ენის სპეციფიკური მხარე, თვისება. „რამდენადაც სახელმძღვანელოს ავტორი... უნდა ერიდოს იმისთანა ფრაზებს რუსული ენიდან, რომელიც ჩამოსხმულნი არიან წმინდა რუსულის კალაპოტზე და ეწინააღმდეგებიან ქართული ენის კალაპოტს" (ტ. 8. 388).

ქართული ენის შავი მაზარა გადატ. ქართული ენა არ სარგებლობს კანონიერი სწავლების უფლებით. „საწყალი ქართული ენა... კი ისევ იმ შავს მაზარაშია გახვეული, რომელიც მას ოცდაათის წლის წინად წამოასხეს" (ტ. 3, 535).

ქართული ენის ფრთების შეკვეცა გადატ. ქართული სასწავლო ინტერესების იგნორირება, ხელის შეშლა. „ქართულ ენას კი ფრთები ეკვეცება, რადგან ქრისტიანულ სკოლებში ჩამორთმეული აქვს ყოველი უფლება" (ტ. 1, 193).

გარანდული ენა გადატ. დიალექტური მეტყველებისაგან გასუფთავებული, სალიტერატურო ენა იგულისხმება. „მოციქული პავლე, რომელმაც მშვენივრად შეისწავლა პროვინციალური ლათინური დიალექტები და რომელთანაც იგი ხმარობდა ქადაგებაში ნაცვლად ვირგლის და სენეკას გარინდული ლათინური ენისა" (ტ. 1, 374).

იაკობ გოგებაშვილის მეტაფორულ გამონათქვამებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ პერიოდის განათლების მდგომარეობის დასახასიათებლად. მაგ.:

განათლების უფესვობა გადატ. განათლება, ცოდნა აკლია ფართო მასებს. „სწავლა და განათლება უფესვოა იქ, სადაც უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის ხარისხსა" (ტ.1, 170).

განათლების ფეხის მოდგმა გადატ. განათლების დამკვიდრება, ფართოდ გავრცელება. „ქეშმარიტმა განათლებამ მოიღვას აქ ფეხი" (ტ. 1, 138).

განათლების ჩაქრობა გადატ. „სწავლა-განათლების გარეგანი ძალით შეწყვეტა. „ქართველების ერთობა მოისპო მასუკან, როცა განათლება ჩაქრა ჩვენს ქვეყანაში ველურ მტერთა ხანგრძლივი მბრძანებლობის გამო" (ტ. 6, 693).

განათლების წმინდა პედაგოგიურ ფეხზე დაყენება გადატ. განათლების მეცნიერულ საფუძველზე დაყენება „სახალხო სკოლა, წმინდა პედაგოგიურ ფეხზე დაყენებული, ჩვენს ერს გონებასაც გაუნათლებს და გაუმდიდრებს ცოდნით" (ტ. 4, 326).

საინტერესოა გონებასთან დაკავშირებული სიტყვა-თქმები: **გონების აუზის ავსება**- შეძენილი ცოდნის გამდიდრება. „ყმაწვილი, რომელმაც ცოდნა იგემა, ცდილობს აავსოს აუზი თავის გონების ახალის შინაარსით" (ტ. 2. 461).

გონების აფრაკობა - გონების არამართებულად განვითარება, თავქარიანობა. „აი, სად უნდა ვეძებოთ მიზეზი იმ გონების აფრაკობისა" (ტ. 1, 450).

გონების გააღმასება: გონების განვითარება, სწავლების გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება. „სკოლა მისცემს თავის მოწაფეებს სრულ განათლებას დაბალის ხარისხისას.. რადგანაც წინად დასრულებული ექმნებათ პატარა სკოლის კურსი და გონებაც გააღმასებული საგნების სწავლებით დედაენაზე" (ტ. 4, 76-77).

გონების გაღვიძება: ბავშვის გონებრივად განვითარება, ბავშვის ანბანის შესასწავლად მომზადება. „როდესაც ამ გვარი ვარჯიშობით ყმაწვილებს გონებას გაუღვიძებს, შემდეგ მასწავლებელი შეუდგება ანბანის სწავლებასა" (ტ. 5, 639).

გონების ჭირი გადატ. გადამიელის დაბალი პედაგოგიური მომზადება იგულისხმება. „რომელსაც სურს თავისი საკუთარი სენი, თავისი გონების ჭირი მასაც შეჰყაროს მკითხველის თვალში" (ტ.1, 304-305).

გონებრივი ყანა გადატ. ახალგაზრდობის გონებრივი ინტერესები, სურვილები. „ეს უჩინარნი მხვნელნი და მთესველნი ყანისა არა ჯილდოვდებიან არც ნივთიერად და არც ზნეობრივად" (ტ. 3, 198).

ლექსიკონში წარმოდგენილია იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოყენებული უცხოენოვანი ტერმინები ქართული შესატყვისი შინაარსით. მაგ.: **ესენცია** - სახარების მაღალი სწავლა. „სპირტით დამზადებული ხილის, ყვავილების ან ფოთლების ცხარე ნაყენი, -არომატული ნივთიერების ნაყენი" (ქეგლ, 3, 1436). „მათთვის დანიშნულს ეგზემპლიარებს დამატებული აქვს ბოლოში ვრცელი სარწმუნოებრივი განყოფილებანი, სადაც მოქცეულია ესენცია ქრისტიანული ეთიკისა და სახარების მაღალი სწავლისა" (ტ. 5, 749).

ინფლოენცია (ინფლუენცა იტალ. გავლენა) მედიცინაში იგივეა, რაც გრიპი. აქ ეს ტერმინი გამოყენებულია გადატ. გიორგი წერეთლის ქცევის დასახასიათებლად. „აიღეთ ხველა-სურდო, ზედ

დაუმატეთ ციება, დაურთეთ მათი სუნთქვის ორგანოების ანთება და გამოვა სრული ინფლოენცია. აიღეთ მეექვსედი ისტორიკოსისა, შეაზავეთ კომერსატის მეექვსედით და თქვენ წინ იქნება გამოჭიმული ბატონი გიორგი წერეთელი" (ტ. 3, 66).

რეტროგიდობა (ლათ.) ე.ი. რეტროგრადობა, პროგრესის მოწინააღმდეგე. „ამ რეტროგიდობაში როგორღა ვარდება ჩვენი ულტრა პროგრესისტი" (ტ. 4, 447).

იაკობ გოგებაშვილი ამა თუ იმ ტერმინში ასახული შინაარსის მოტივაციისას ხშირად მიმართავს სიტყვააწარმოებას. ლექსიკონში ცალკე უნდა გამოიყოს ასეთი ნაწარმოები სიტყვები. მაგ.: **ანორმალური გამგებლობა** - არასაკმარისი ხელმძღვანელობა კავკავის სკოლისა. „თქვენი ანგარიშები კი - ხმამალა ღაღადებენ ამ სკოლის ანორმალურს გამგებლობას" (ტ. 3, 268). **მემუნჯენი** - ისინი, ვინც მუნჯურ მეთოდს იჭერენ. „ეხლა რეაქცია მძვინვარებს, მუნჯურმა მეთოდმა ისევ თავი წამოჰყო, შელცელი და მისი მსგავსნი მემუნჯენი აწამებენ ჩვენს ნორჩ მოსწავლეებს" (ტ.4, 446).

მესტატისტიკი - სტატისტიკოსი. „სატახტო ქალაქების მესტატისტიკენი რომ უვიცნი ყოფილიყვნენ, თავის ცნობებში იმდენს ნაციას გამოიყვანდნენ" (ტ. 4, 379).

ლექსიკონში ცალკე უნდა გამოიყოს რთულფუძიანი სიტყვა-თქმანი: **მეთოდის ცალბილიკობა** (ტ. 3, 352); **წერილის პურძვირობა** (ტ. 2, 91); **დრინგან - დრინგით სწავლება** (ტ.1, 214); **ნაცვალგახდომა** (ტ.3, 350).

ამრიგად, შოთა ქურდაძის „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონში" წარმოდგენილი ხატოვანი სიტყვა - თქმანი კიდევ უფრო წარმოაჩენს იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ახალი პედაგოგიკური აზროვნების შესატყვისი ლექსიკის დახვეწაში, შექმნასა და პრაქტიკულად დანერგვაში.

ლიტერატურა:

ბურჭულაძე გ., იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის შესწავლისათვის: შ. ქურდაძე, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონი, გორი, 2004.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 1, თბილისი, 1955.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 2, თბილისი, 1954

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 3, თბილისი, 1954.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 4, თბილისი, 1954.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 5, თბილისი, 1957.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 6, თბილისი, 1958.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 7, თბილისი, 1960.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 8, თბილისი, 1961

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 10, თბილისი, 1965.

თაყაიშვილი ა., ფრაზეოლოგიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1961.

მეგრელიძე ი., იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, სახელმძღვანელოები, გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1973.

ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991.

ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი, 1993.

რამიშვილი ვ., წინასიტყვაობა, მიმოხილვა და ლექსიკონი: იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, თბილისი 1982.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბილისი, 1953.

ქურდაძე შ., იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონი, გორი, 2004.

Mariam Koberidze

Gori State Teaching University

FIGURATIVE-EXPRESSIONS IN „IAKOB GOGEBASHVILI SMALL DICTIONARY FOR PEDAGOGICAL TERMINOLOGY" BY SHOTA KURDADZE RESUME

The observation on the vocabulary, presented in „Iakob Gogebashvili Small Dictionary for Pedagogical Terminology" by Shota Kurdadze, clearly shows rich and diverse vocabulary by Iakob Gogebashvili in fiction and journalistic publications.

The certain part of figurative expressions was selected in common public speeches, for instance: „pirshi chalis gamovleba" („deceive"), „titis gandzreva" („idleness")....

არსებობისა და მდებარეობის ზმნათა მიმართებისათვის ქართველურ ენებში

არსებობის, კუთვნილებისა და სივრცული ლოკაციის სემანტიკური კატეგორიების კავშირი ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულ ენებში დასტურდება, რომ ზოგიერთი ავტორი მას ენობრივი უნივერსალიადაც კი მიიჩნევს (ჯ. ლაიონზი, 1978, 411-414).

მთავარი საკითხი, რომელიც “არსებობის” ზმნათა ფუნქციური ანალიზისას დაისმის, არის ამ ზმნების ორმაგი მნიშვნელობა. კერძოდ, უნდა განსხვავდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე “არსებობის” ზმნა და ზმნა, რომელიც დამხმარედ გამოიყენება.

დამოუკიდებელი “არსებობის” ზმნის მნიშვნელობაში ორი კომპონენტი გამოიყოფა. პირველია სინამდვილისადმი მიკუთვნება, როდესაც აქცენტი კეთდება არსებობის იდეაზე ზოგადად. მაგ. “ტროა იყო” და მეორე – ობიექტის (არაგრამატიკულის) არსებობა სივრცეში, ამასთან, სივრცე გაგებულია ფართოდ [ლ. ლუხტი, 1977, 135]. ენებში პირველი მნიშვნელობით “არსებობის” ზმნის გამოყენება შედარებით იშვიათია. ზოგ ენაში (მაგ. ინგლისური) თითქმის შეზღუდული.

ქართულში *არის* ზმნა ორივე მნიშვნელობით გამოიყენება

რისთვის *ვიყავ*, რისთვის *ვარ* და რა გამიკეთებიაო. [ი. ჭავჭავაძე, IV, 227].

რაც შეეხება ძველ ქართულს, ილია აბულაძე *არს* ზმნას მეშველი ზმნის კვალიფიკაციას აძლევს, საპირისპიროდ *ჰგის* დამოუკიდებელი ზმნისა, რომელიც ნიშნავს “ყოფნას”, “არსებობას”, “დგომას” [ი. აბულაძე 1973, 38]. *ჰგის* ზმნა მართლაც მხოლოდ დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით გამოიყენება:

რომელი *ჰგის* ცხოვრებად საუკუნოდ. ი. 6,27.

არამედ *ჰგის* და ღმერთებსა თანა შეერთებულ არიან. სინ. მრ. 51, 20.

მტკიცედ *ეგენით* სიყვარულსა მას ჩემსა ი. 15,9.

არს ზმნა კი ტექსტებში გვხვდება როგორც დამხმარე, ისე დამოუკიდებელი ზმნის მნიშვნელობით. დამოუკიდებელი მნიშვნელობისაა *არს* ზმნა შემდეგ შემთხვევებში:

მცირედ ჟამს თქუენ თანა ვარ. ი. 7, 33

რომელი ხარ ცათა შინა. მ. 6,9.

და არიან რომელნიმე, არა ჭამედ ჭამადთა.. სინ. მრ. 113,28.

ამ მნიშვნელობით იგი ენაცვლება *ჰგის* ზმნას:

შენ, უფალო, უკუნისამდე *ჰგის* (ხარ). ფს. 101, 13

როგორც უკვე ითქვა, არსებობის სემანტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საგნის მდებარეობა-მოფარების აღნიშვნა, მისი სივრცული ლოკალიზაცია. ამდენად, ბუნებრივია არსებობისა (*არის*) და სივრცული ლოკალიზაციის პრედიკატთა (*დგას*, *წევს*, *ძევს/დევს* და *ზის*) ურთიერთთავსებადობა..

სივრცული ლოკალიზაციის ზმნისათვის დამახასიათებელია არსებობა-მოფარებისა და კუთვნილების სემანტიკით გამოყენება. ამ ზმნების ერთ-ერთ მნიშვნელობად არსებობა-მოფარება გამოყოფილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: *დგას* 4. ცხოვრობს; დაბანაკებულია; იმყოფება. მინდორში ჯარი დგას. 8. არის (როგორიმე ამინდი). სიცხე დგას. იმაზე (ან ამაზე) დგას – იმ (ამ) აზრისაა. იმ (ამ) აზრს იზიარებს [ქეგლ, 1990, გვ.458]; *ზის* 3. არის იმყოფება. უსაქმოდ ზის. სახლში ზის 4. (საუბ.) ციხეშია, დაპატიმრებულია. ხულიგნობისათვის ზის 5. ადგილსამყოფელი აქვს (მეფეს, პატრიარქს) რომის პაპი ვატიკანში ზის. [ქეგლ, 1990, I, 504].

კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ეს ზმნები არსებობა-მოფარებისა და კუთვნილების სემანტიკით ძველ ქართულში, მაგ.:

დგას

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე დგეს *ი* 12, 34 *C*

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ეგოს *ი* 12, 34 *DE*

ძევს

ყრმაჲ ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაჰსნილი მ. 8, 6 *C*

მოწაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული მ. 8, 6 *DE*

ამ შემთხვევებში არსებობის სემანტიკის ზმნა (*არის*, *იყო*) გვიანდელ ტექსტებში ენაცვლება მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს. კიდევ უფრო ხშირია შემთხვევები, სადაც ეს შენაცვლება არ ხდე-

ბა, მაგრამ ზმნები აშკარად სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება. ამ მხრივ აღსანიშნავია *ძეს* ზმნა: რაჲ *ძეს* შენი და ჩემი, დედაკაცო, ი. 2,4 C

ამ მხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული ენის დიალექტები და ქართველური ენები. ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ **არის** და **დგას** ზმნათა მიმართების საკითხს. არის, იმყოფება, მდებარეობს **დგას** ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებშიც:

წუხელ ოლადაურზე **იდექით?** - გვკითხეს ზემო აჭარაში ექსპედიციის დროს.

დადემელი კაცი სად **დგას?** (სამცხე-ჯავახეთი / ახალქალაქი / ქილდა (ახლანდელი ოკამი))¹

მარტო თუმურაგებ არიან დამრჩლები² რაკი შიშიანობაჲ, ის რაჲმ **დგას** კოკლაგთას (თუმური/ ახმეტა / ზემო ალვანი)

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **დგას** ზმნის გამოყენება არსებობის მნიშვნელობით ინგილოურში:

ორ ქალისა – ერთი მოკდო, ერთი **დგას**. მე გაზარდელა ჩემ დედა დამხმარებიან, სხოგნი აიმანაც არ, იგრე. (აზერბაიჯანი / საინგილო / ზაქათალა / ალიაბადი)

მაზლის ცოლებ არ. მაზლის ცოლებ, ი მინადორა **დგას** ერჟე, ისენ დაჯოცნენ დაა. (საინგილო / კახი / ალიბეგლო)

ყარაზ ჩემ დედაძე ხუთ გადაჲ ქნილ, ოთხ ქალ ქნივართ. აი ბაიყუმ მე ვარ, **დგავარ**. ერ გადაჲ **დგას**, ე ზმაჲ პატრაჲ, ეინგ პატრა, ბოლო ზმას. უგეს **დგას**, ერთიც მე **დგავარ**. ამი ბებრაჲ ორმოზდაცამეტ წლის დალუპა. (საინგილო / კახი / ალიბეგლო)

ლადო ღდეღ ეყო, ჰემან ცხოვროვდავ. – ჰეგავ **დგასავ** შიო? – მე მამკითხა. მეთქი: **დგას** სკოლაჲ ჰემან, უკვე ანხლაც მოქმედევამიდა. თქო: ჩონ ბინას ჰე სახლ, ჩონ სახლი, ეკლესიაც ჩემ ზმა ეყოავ. ეგ ივანიჩკა – ვერა ზმა. აინხლა ნათელა **დგას**, მაგი ერ იმეც არის, ნორა, არ ვი ჰეგ სა გათხოულა, მეორე ქალიშული ჰყავს, ნათელა კი ცოცხალი, კაკშიდა. თათრიზე გაჰყოლოდა, **დგასა** ემე კაც, **დგასა** – არ **დგასა**, ვერ ვიცი. (აზერბაიჯანი / საინგილო / ზაქათალა / ალიაბადი)

როგორც ჩანს, ინგილოურში **დგას** ზმნის არსებობის სემანტიკით გამოყენების არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და მდებარეობის გარდა არსებობა-მოყოფობის აღსანიშნავადაც გამოიყენება, რაც სხვა დიალექტებისათვის უცხო ჩანს.

რაც შეეხება **დგას** ზმნის გამოყენების ასეთ შემთხვევას:

დაა: ჰა, საყდარზე გაასლეღ ერ ღდეღ **დგას** თქმაში ვაკრავდით წითელ ლავაჲ, ღმზავდით კმრცხევს. (საინგილო / კახი / მემზაშში)

დგას ზმნა ამგვარ კონტექსტში სხვა დიალექტებისათვისაც არ უნდა იყოს უცხო.

ბუნებრივია, არსებობისა და მდებარეობის ზმნები დიდ სიახლოვეს გვიჩვენებს სხვა ქართველურ ენებშიც. ამ კონსტრუქციებს შორის ქართულის მსგავსი მიმართებაა, თუმცა საგულისხმო განსხვავებებიც დასტურდება. თუ ქართულში მდებარეობის ზმნები გამოიყენება არსებობის სემანტიკით, მეგრულში საპირისპირობო ვითარებაა, კერძოდ, სულიერის ვერტიკალური მდებარეობის (ვერტიკალური პოზის) აღსანიშნავად გამოიყენება არსებობის ზმნა რე, კერძოდ, ფორმა გერე, რაც “ზედ მოყოფობას” ნიშნავს, ხოლო უსულო საგნის ვერტიკალური მდებარეობის აღსანიშნავად მეგრული იყენებს **დეგ** ფუძეს (რ. გერსამია, მ. ლომია)². ქართულში, სვანურსა და ლაზურში “დგომის” აღმნიშვნელი ზმნა გამოიყენება.

ქართ.: კაცი დგას

მეგრ.: კოჩი გერე

ლაზ.: კოჩი დგინ

სვან.: მარე ლგგ

მაგრამ

ქართ.: ძროხა დგას

მეგრ.: ჩხოღ გერე

ლაზ.: ფუჯი დგინ

სვან.: ფჷირ ლგგ

¹ დიალექტური მასალა დამოწმებულია ქართული ენის დიალექტების ელექტრონული კორპუსიდან.

² Lomia Maia, Gersamia Rusudan, Die primären und sekundären Prädikate zur räumlichen Verortung im Kartvel-sprachen, წაკითხულია მოხსენებად ემპირიული და შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოველწლიურ საერთაშორისო სემინარზე იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში (მაინის ფრანკფურტი, გერმანია), 12 დეკემბერი, 2013 წელი წაკითხულია მოხსენებად ემპირიული და შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოველწლიურ საერთაშორისო სემინარზე იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში (მაინის ფრანკფურტი, გერმანია), 12 დეკემბერი, 2013 წელი.

ყურადღებას იქცევს სვანურში **დგას** ზმნის გამოყენება ფრინველების, მწერების მყოფობის აღსანიშნავად. ამ კონტექსტში ქართულში, მეგრულსა და ლაზურში ზმნა **ზის** და მისი ეკვივალენტები გამოიყენება: ჩიტი **ზის** (გეხუ).

სვან.: ქათვარ მეგემჟი ხაგზ (ბქ.) “ქათმები ხეზე სხედან (ადგანან)”

ლელჟს მერ ხაგ (ბქ.) “ზორცს ბუზი აზის (ადგას)”

ყუაჟილს ჭრელი პარპოლ ხაგ (ბქ.) “ყვავილს ჭრელი პეპელა აზის (ადგას)”¹

ამდენად, არსებობისა და მდებარეობის ზმნათა მიმართება ქართველურ ენებში მსგავს ტენდენციებს ავლენს, თუმცა შეინიშნება საგულისხმო განსხვავებებიც. ვფიქრობთ, ქართველური ენების სემანტიკური ანალიზი, ამ ტიპის მიმართებების, კონცეპტების ლექსიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტების კვლევა მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ ქართველური ენების შესწავლის, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

შემოკლებანი

ასათ. – ირ. ასათიანი ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.

ო. – იოანეს სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979.

მ. – მათეს სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979.

ლ. – ლუკას სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979.

ი. ჭავჭ. – ი. ჭავჭავაძე, თხზ., ატომიკური, თბ., 1059 – 1961.

ქეგლი, – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომიკური, თბ., 1950-1964.

სინ. მრ. – სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959.

ფს. – ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, თბ., 1960.

ლიტერატურა:

ი. აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ჯ. ლაიონზი, 1978 – Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, М, 1978.

ნ. ლოლაძე, 2004 – ნ. ლოლაძე, არის ზმნა ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბ., 2004.

ლ. ლუხტი, 1977 – Л. Лухт, Категория бытия и обладания (французско-румынские параллели), Категория бытия и обладания в языке, М, 1977.

Nana Loladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

EXISTENCE AND LOCATION VERBS' RELATION IN KARTVELIAN LANGUAGES RESUME

Georgian language uses several predicates for localization of a thing (an object) in space, they are: **dgas** – *stands*, **tsevs** – *lies*, **dzes** – *reposes* / **devs** – *is placed*, **zis** – *sits*. Among them the verb **tsevs** denotes the location of an animate object, and **dzevs** / **devs** that of an inanimate object. The verbs in question have the semantics of existence and possession.

For all these verbs it is typical to be used with the semantics of existing-being and belonging. In the Explanatory Dictionary of Georgian Language (EDGL) existing-being is underlined as one of the meanings of these verbs. e.g.: **Dgas** 4. *lives; is camped; is*. Mindorshi jari dgas (The army stands in the field). 8. It is (any kind of weather). *sitskhe* dgas (It is hot). Imaze (an amaze) dgas (He stands on that (or this) = he insists on this(that), adheres to this (that) opinion)). Shares that (this opinion) [EDGL, 1990, p. 458]; **Zis** (sits) 3. *aris, imkopeba* (Is, there is). Usaqmod zis. (Sits idle) – Sakhlschi zis (sits at home). 4. (colloq.) [He] is in prison, is imprisoned. Khulignobistvis zis (Sits for disorderly conduct). 5. (King, patriarch) has residence- Romis papi vatikanschi zis (The pope sits in the Vatican). [EDGL, 1990, I, p.504].

More widely these verbs are used with the semantics of being-existing and possession in old Georgian. e.g.:

Dgas

Vitarmed Kriste ukunisamde dges J 12, 34 C

¹ მაგალითები მოწოდებულია მ. საღლიანის მიერ.

Vitarmed Kriste ukunisamde egos (that Christ abideth for ever) J 12,34 DE

Dzes

Krmay chemi dzes sakhlisa shina chemsa dakhsnili M, 8,6 C

Monay chemi datsemul ars sakhlisa shina chemsa ganrghueuli (my servant lieth at home sick of the palsy, grievously tormented.) M, 8,6

In these cases the verb with semantics of existing (aris, iko – is, was) in the later texts replaces the verbs with the meaning of disposition. More frequent are the cases where this replacement does not take place, but the verbs are used apparently with special meaning. From this point of view the verb *dzes (lies)* is worthy to be noted: *Ray dzes sheni da chemi, dedakatso, Woman, what have I to do with thee? J 2,4 C*

Relation among the semantic categories of existing, belonging and location in space is evidenced in the languages, so different from each other, that some authors consider them as linguistic universals (J. Lyons). From this point of view the dialects of Georgian language and Kartvelian languages show us an interesting picture.

თამარ ლომთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველ-ებრაელთა დიალექტი თუ ყოფილი ლინგვისტური კონტინიუმის განაპირა კუნძულაკი?

ებრაელებს საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნიათ. გასული საუკუნის დასასრულამდე თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სინაგოგას მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი კომპაქტურ დასახლებას ქმნიდნენ. ცხოვრობდნენ თბილისში (დედაქალაქი, აღმოსავლეთ საქართველო), ქუთაისში (დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ცენტრი), სოხუმში (აფხაზეთი), ონში (რაჭა), ცხინვალსა და ქარელში (შიდა ქართლი), ბათუმში (აჭარა), ყვარელში (კახეთი), ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი), ლაილაშში (ლეჩხუმი), ვანსა თუ ხონში, სამტრედიასა, ზესტაფონსა თუ საჩხერეში (იმერეთი), სენაკში, ბანძაში, სუჯუნასა და ფოთში (სამეგრელო), ოზურგეთში (გურია), ასევე გარდამავალ ზონებში: სურამი (ზემოიმერეთისა და ქვემოიმერეთის საზღვარი), კულაში (იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარი).

მართალია, საუკუნეების განმავლობაში ებრაელებმა დაივიწყეს საკუთარი ენა და საურთიერთოდ ქართულს იყენებდნენ, მაგრამ წირვა-ლოცვა სინაგოგებში ყოველთვის ებრაულ ენაზე აღესრულებოდა.

სარწმუნოებასა თუ ადამ-წესებთან ერთად, ქართველ ებრაელებს სხვებისაგან განსხვავებული მეტყველებაც ახასიათებდათ, როგორც შენიშნავს რეუვენ ენოხი: „ხალხმა მშვენიერად იცოდა, რომ ებრაელთა მეტყველება განსხვავდება საერთო ქართულისაგან, მაგრამ რით, რატომ - ეს დღემდე არ არის სათანადოდ გარკვეული, რადგანაც ამ მეტყველების შესწავლას სერიოზული ყურადღება, სამწუხაროდ თავის დროზე არ მიქცევია“ (რ. ენოხი, 2013, 173). არ არის გამორიცხული, რომ ამ ფაქტს გარკვეული კანონზომიერებაც ჰქონდა, რადგან საბჭოთა პერიოდში ებრაელთა მეტყველების ანალიზის საკითხი არც შეიძლებოდა დამდგარიყო სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში.

სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ მრავალრიცხოვან ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ტენდენციები კვლევის საგნად იქცა ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ. მეცნიერები სწავლობენ და იკვლევენ ებრაელი დიასპორების მეტყველებებს და ანიჭებენ მათ შესაბამის სტატუსებს. ებრაულ-ბერძნულ, ებრაულ-იტალიურ, ებრაულ-ფრანგულ, ებრაულ-არაბულ, ებრაულ-ესპანურ და სხვა ოდენობებთან დაკავშირებით, ნაწილს სრულფასოვან ენობრივ სისტემებად განიხილავენ (მაგალითად, იდიში და იუდო-ესპანური), ნაწილს ამა თუ იმ ენის დიალექტურ ნაირსახეობად (მაგალითად, ებრაულ-იტალიურს, ებრაულ-არაბულს), ხოლო აზერბაიჯანში, დადესტანსა თუ ტაჯიკეთში შემორჩენილ მეტყველებას ყოფილი ენობრივი კონტინიუმის ნაშთებად მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ კლასიფიკაციისათვის არ არის გამოყენებული ერთიანი ნიშანი. მაგალითად, ზოგი ნაირსახეობის გამოყოფისას გამოყენებულია მკაცრი ესენციალისტური (თვისობრიობა, ის არსებით თვისებები, რომელთა გარეშეც იგი ვერ იქნებოდა), მიდგომა, ნაწილი კი - ნაკლებად ესენციალისტური უფრო დიფერენციალური მიდგომის საფუძველზეა გამოყოფილი (ვაინრაიხი, 1980).

რა ოდენობად უნდა მივიჩნიოთ საქართველოში მცხოვრები ებრაელების მეტყველებრივი ნაირსახეობა - ოდნავ განსხვავებულ დიალექტად დიალექტების მხრივ ფრაგმენტირებულ მხარეებში თუ ყოფილი ლინგვისტური კონტინიუმის გარეთ არსებულ დიალექტურ კუნძულადად? - ამას მასალის ენობრივი ანალიზის შედეგად უნდა გაეცეს პასუხი. ნიმუშები არცთუ ბევრი გვაქვს. ანალიზისათვის შეიძლება გამოვყავდეთ რ. ენოხის მიერ ჩაწერილი „თავსილის“ ტექსტი, კ. დუმბაძის „ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში“, თ. ლომთაძის „ქუთაისური ქართული“, „ქუთაისური ჟარგონი“ და „თანამედროვე ქართული სოციოლექტები“.

რ. ენოხის თავსილის ტექსტი, როგორც თავად ავტორი მიუთითებს, ჩაიწერა სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელი რაბინებისაგან: „ტექსტები ჩაიწერა რაბინ აბრამ გაგულაშვილისაგან, რომელიც სენაკიდან ისრაელში წავიდა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში და შემდგომ ბეერ-შევის ქართველ ებრაელთა სალოცავის რაბინი გახლდათ, სწორედ მისგან ჩაიწერა მთელი შესაქმის ტექსტი, მეორე მთხრობელი გახლავთ აშდოტის ქართველ ებრაელთა რაბინი, კულაშიდან წასული რაბინ სიმონ ელიშაყაშვილი, ხოლო მესამე ქუთაისელი შალომ ხენი, რომელიც იერუშალაიმის ქართველ ებრაელთა სალოცავის რაბინი იყო (რ. ენოხი, 2007).

თავსილის ტექსტის ჩაწერა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემოდა, დიდი მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ ქართველ ებრაელთა მეტყველების, ქართული დიალექტოლოგიისა და ქართული ენის ისტორიის შესასწავლად. „რამდენადაც ეს არის იშვიათი ცოცხალი მოწმე საუკუნეების წინანდელი სამეტყველო ქართულისა, რა თქმა უნდა, იმ შესაძლებელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც მან საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გზით გადმოცემის ვრცელ გზაზე გაიარა, თუმცა კი ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ებრაელთა სულიერი მოძღვარნი მაქსიმალურად ცდილობდნენ პირვანდელი ტექსტის შენარჩუნებას. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თავსილის კვლევას, საერთოდ, ძველი აღთქმის თარგმანების, განსაკუთრებით კი თარგმანის ზეპირი ტრადიციების საკვლეად და ე. წ. ებრაული ენების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლის საქმეში“ (რ. ენოხი, 2007, 44-45). აქედან გამომდინარე, ტექსტი შესაძლებელია თავისუფლად გამოვიყენოთ ებრაელთა ზეპირმეტყველების ფორმების შესასწავლად და მისი საიმედოობა ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ნიმუშებს, რომელიც გამოყენებულია მონოგრაფიებში „ქუთაისურ ქართული“ და „თანამედროვე ქართულ სოციოლექტები“, გახლავთ 1990-იან და 2006 წლებში ქუთაისში ჩაწერილი მასალები.

აღნიშნული ჩანაწერების გაანალიზების შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველ ებრაელთა სხვა მოსახლეობისაგან განსხვავების ერთ-ერთი ძირითადი იყო ენა. ქართველ ებრაელთა მეტყველება გახლავთ ქართული ენის ნაირსახეობა, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა ქართული ენის არც ერთ დიალექტს. ის წარმოადგენს სხვადასხვა დიალექტში პოვნითი ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების კონგლომერატს შეზავებულს ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით.

ეს მოვლენები გახლდათ ტონური მახვილი და გრძელი ხმოვანი, პაუზის წინ თანხმოვნის მომდევნოდ ე ხმოვნის გაჩენა, ხმოვნის დისიმილაცია ლაბიალურ თანხმოვანთა შორის. ო:ა დისიმილაცია მ-მ თანხმოვნებს შორის, თანხმოვანთა ნაზალიზებული სახით წარმოდგენა, თანხმოვანთა დაკარგვა, განვითარება, სუბსტიტუცია და სხვა.

მორფოლოგიიდან აღსანიშნავია სახელობით ბრუნვაში ზოგიერთ ხმოვანფუძიან სახელთან -ი დაბოლოება (ბიცოლაი მოვიდა, რებეკაი სახშია?), მიცემითი ბრუნვის ს-ს დაკარგვა თანხმოვანფუძიან სახელებთან (საჰმელ ჭამს), -ებ მრავლობითი ნიშნის დართვისას კვეცის მოდუნება (გვარიშვილობაეები, შემცოდაები, ძმეები), სტატიკურ ზმნებთან -ი დაბოლოება (ჟდია, გდია),

-ავ თემის ნიშნის ნაზალიზაცია (ხატამს, ძერწამს), ხშირია პარონომაზიის შემთხვევები (ხემწიფობით დახემწიფთები, დაკვლით დაკალით, ჩამოსვლით ჩამოვდით) და სხვა.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში შეიმჩნევა ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომელთა უმეტესობას თეოლოგიური ტერმინოლოგია შეადგენს და რომელიც საფუძველს ბიბლიური ტექსტებიდან იღებს: აგადა-ლეგენდა, ზღაპარი; აბელი-გლოვა, ტირილი; ადო-ნაი-ბატონი, პატრონი; ბათ-ქალიშვილი; ბარ-კაცი; დადიანი-გოგოს ხელის მომკიდე; თალმუდი-მოდვრება, სწავლება; თეფილინი-ლოცვა; თორა-მოსეს ხუთწიგნეული; მეზუზა-კარზე მიკრული პატარა ყუთი, რომელშიც დევს პერგამენტში გახვეული ლოცვის ტექსტი; რაბინი-უფროსი, მასწავლებელი; ტარიფა-საჰმლად უვარგისი; ფესკა-ქუდი; ფურუმი-დღესასწაული; ქაშერი-ვარგისი; ქეთუბა-საქორწილო ხელშეკრულება; ქიფური-მიტევება, პატიება; შოშპინი-მეგობარი, ხელის მომკიდე; შაბათი-დასვენება; ხახამი-ჭკვიანი, ბრძენი...

თავსილიდან შეგვიძლია დავასახელოთ დამატებით: უყაბულა გვ. 102, უკინჭილე გვ. 82, მოიკუტა გვ. 92, გამჩენი 102, გამითავსილე გვ. 128, მაზალი გვ. 126, ჯამარებსა გვ. 144, ხუნჯულობა გვ. 148.

ებრაულთან ერთად ზოგჯერ ქართული სიტყვებიც გამოიყენება ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად, მაგალითად, *ჯამათი*. ეს სიტყვა ქართველებთან შედარებით იშვიათად გვხვდება, ხოლო ებრაელებთან სალოცავში შეკრებილი თერთმეტკაციანი ჯგუფი ყოველთვის ჯამათად მოიხსენიება: *სალოცავში ჯამათი იყო შეკრებილი*. ხშირია ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მოფერებით-ალერსობითის მნიშვნელობით *დაგენაცვლე* და *ოქრო* სიტყვების გამოყენება.

ლოცვისა და წყევლის ფორმებიც ქართული და ებრაული სიტყვების ნაზავია: *შენ საქაფროდ წავედი; შენ დაგენაცვლე; გეტაკა ქარეთი*;

საუკუნის დასაწყისამდე ეს მოვლენები საერთოებრაული, უფრო სწორად, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ებრაელებისათვის საერთო იყო. ამდენად, ზემოაღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ის ნიშნები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებას ქმნიდა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ აღმოსავლეთ საქართველოში დასახლებული ებრაელების მეტყველების თავისებურებებზე, რამდენადაც ჩვენ არა გვაქვს სათანადო მასალა. თუმცა ზეპირი გამოკითხვისა და გადმოცემის მიხედვით ამგვარ ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს ტონური მახვილი და გრძელი ხმოვანი, მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, ე-ს დართვა ნაცვალსახელებზე და თემის ნიშანთა ნაზალიზაცია. ამიტომ ეს პროცესები, პირობითად შეიძლება ჩავთვალოთ სხვადასხვა არეალში დასახლებულ ებრაელთა გამაერთიანებელ თავისებურებად.

გასათვალისწინებელია სოციალური სტატუსიც, მაგალითად, განათლებულ ებრაელთა მეტყველებაც შედარებით განსხვავებულია. ტელეეთერებიდან კარგად გვახსოვს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გამოსვლები, ყოფილი გენერალური პროკურორის, ანზორ ბალუაშვილისა და სხვათა მეტყველება, რომლებსაც ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენება ნაკლებად ახასიათებთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველ ებრაელთა მეტყველება აშკარად ქართულის ნაირსახეობაა, შეზავებული ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით.

რადგან სხვადასხვა არეალში მცხოვრებ ებრაელებს ჰქონდათ გამაერთიანებელი საერთო ნიშნები, ქართველ ებრაელთა მეტყველებას შეიძლება ვუწოდოთ ებრაული კოინე.

სამეცნიერო ლიტერატურაში კოინე განმარტებულია როგორც მეტყველების ზედიალექტური ნაირსახეობა, რომელიც რამდენიმე დიალექტისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს აერთიანებს და, ამდენად, დიალექტთაშორისი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს, ანუ: კოინე (ზედიალექტი) არის სტიქიურად გამომუშავებული მეტყველება, რომელშიც მეტ-ნაკლებად ნიველირებულია ამა თუ იმ დიალექტისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკური მოვლენები და ამიტომ ერთნაირად გასაგებია და მისაღები სხვადასხვა დიალექტის მფლობელთათვის. (ბ. ჯორბენაძე, 1989, 147).

აღსანიშნავია, რომ ებრაულმა კოინემ ასახვა ჰპოვა მხატვრულ ლიტერატურასა თუ კინომატოგრაფიაში და აქაც ყურადღება გამახვილებულია იმ საერთოზე, რომელიც ყველა კუთხის ქართველ ებრაელისათვისაა დამახასიათებელი. შედარებისათვის შეიძლება დავასახელოთ ფილმები „დათა თუთაშხია“ და „უკარაჩა“ (პირველში სამეგრელოში მცხოვრები ებრაელი პერსონაჟი მორდუხაი, ხოლო მეორეში - თბილისელი ებრაელი ისხაკი და რებეკა). ეს პერსონაჟები ებრაული ინტონაციითა და სპეციფიკური ფორმებით ჰყავს ამეტყველებული რეჟისორებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ-ებრაელთა მეტყველება შესაძლებელია ჩავთვალოთ ოდნავ განსხვავებულ დიალექტად, დიალექტურად ფრაგმენტირებულ მხარეებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვემოიმერელი ებრაელის მეტყველება ოდნავ განსხვავებული ნაირსახეობა გახლავთ ქვემოიმერულისა, ბათუმელი ებრაელის მეტყველება - აჭარულისა და ა. შ.

დაახლოებით ამგვარი სურათი იხატება, თუ დავეყრდნობით ზემოაღნიშნული მასალის ანალიზს, რომელთა უმეტესობა გასულ საუკუნეშია ჩაწერილი.

თანამედროვე საქართველოში მდგომარეობა არსებითად შეცვლილია.

2013 წელს მომიწია ტექსტების ჩაწერა ებრაელებთან. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში შემორჩენილი ებრაელები განმასხვავებელ ფორმებს, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, თითქმის აღარ იყენებენ.

ისრაელში გაკეთებული რეპორტაჟები გვამცნებს იმის საშუალებას, კვლავ მოვისმინოთ გასულ საუკუნეში საქართველოში გავრცელებული ქართველ ებრაელთა მეტყველება, თუმცა როგორც მიუთითებენ, ეს მეტყველება უმცროსი და ახალგაზრდა თაობისათვის უცხოა, შემოინახა ის საშუალო და ძველმა თაობამ, თუმცა სპეციფიკურ ფორმათა ნიველირების პროცესი იქაც მაღალია.

აქედან გამომდინარე, ხომ არ არის მისაღები ქართველ ებრაელთა მეტყველება, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩაითვალოს ყოფილი ენობრივი კონტინუუმის განაპირა კუნძულადა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მასალის ჩაწერა ისრაელში, აუცილებელია მასალა დახარისხდეს საქართველოში მათი განსახლების მიხედვით, საერთო მოვლენების აღმოჩენა მოგვცემს საშუალებას საერთოებრეულის ნიშან-თავისებურებების გამოყოფისას, ხოლო ნივთიერების ხარისხი კითხვაზე პასუხს - არის ეს მეტყველება ქართული ენის განსხვავებული დიალექტი თუ განაპირა კუნძულადა?

ლიტერატურა:

კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯეჰანმარდი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

რ. ენოხი, „თავსილი“, იერუსალიმი, 2008.

რ. ენოხი, მიმართება სალიტერატურო ქართულს, იმერულ კილოსა და ქუთაისის ებრაელთა მეტყველებას შორის ანუ ქართველ ებრაელთა მეტყველება ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის შესაყარზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ 2, ქუთაისი, 2013.

Weinreich, Max. History of the Yiddish Language, Chicago-London, The University of Chicago Press, 1980.

თ. ლომთაძე, ქუთაისური ქართული, ქუთაისი, 2005.

თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005.

თ. ლომთაძე, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბილისი, 2010.

ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.

Tamar Lomtadze

Akaki Tsereteli State University

GEORGIAN-JEWISH DIALECT OR MARGINAL ISLE OF FORMER LINGUISTIC CONTINUUM RESUME

Jews have a long history of living in Georgia. Despite the fact that the difference between Georgian Jews' speech and the standard Georgian speech is evident, the questions regarding how they differ and why remained unanswered for a long time. This fact can be accounted for by the Soviet era ideological restrictions by which the analysis of the Jewish speech could not be included in the scientific research agenda.

Jewish community differs from the rest of the population not only by religion and customs but by language as well. Georgian Jews' speech is a variety of Georgian language but it does not match completely with any of the Georgian dialects. It is a kind of conglomerate of phonetic and grammatical forms from various dialects mixed with ancient Hebrew lexical units. The Georgian Jews' speech can be considered a slightly different dialect in the dialectically fragmented areas. This means that the speech of Kvemo (Lower) Imeretian Jews is a slight variation of Kvemo Imeretian dialect and the speech of Batumi Jews – that of the Adjarian dialect.

Today the situation has substantially changed. The process of neglecting specific, distinctive forms has become highly intensified.

Therefore, taking into consideration the existing reality, would it be acceptable to regard the Georgian Jews' speech as a marginal isle of the former lingual/linguistic continuum?

To address this question properly it is necessary to record materials in Israel and classify them according to the Jewish community settlement areas in Georgia they belong to. The identification of common linguistic patterns will enable us to trace down general characteristics of the Georgian Jews' speech and to find out whether it is a dialectic variation of Georgian language or a marginal isle.

კოლხური (მეგრულ-ლაზური) ნათესაობის ტერმინთა შედარებითი ანალიზისათვის

კოლხთა კულტურული მემკვიდრეობა მეტ-ნაკლებად ასახულია საქართველოს შავიზღვისპირეთის მოსახლეობაში – მეგრელებისა და ლაზების ისტორიაში, ენაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორში. უმთავრესად იგი საქორწინო ტრადიციებსა და საოჯახო ყოფაში, სამგლოვიარო რიტუალში, ბავშვის დაბადებასა და აღზრდა-სოციალიზაციაში, ჩვეულებით სამართალში, სამეურნეო ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაში და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ლექსიკაშია წარმოდგენილი. დღეს ენათა კვლევის ფორმალური მეთოდები დიაქრონულ პრიზმაში სამყაროს კონცეპტუალიზაციის, სტრუქტურებისა და მოდელირების საშუალებას იძლევა. იგი არსით ინტეგრალური ხასიათისაა და მიაჩნიათ, რომ ადამიანური ყოფის ისეთ სოციოკულტურულ სფეროებს მოიცავს, როგორებიცაა ენა, ხელოვნება, რელიგია, მეურნეობა, ეთნოტრადიციული ადათ-წესები, კულტურა-ცივილიზაცია ფართო გაგებით. არაერთი მკვლევარი თვლის, რომ ფორმალური მეთოდებით სრულიად დასაშვებია ფუძე-ენისა და მისი დიაქრონული განვითარების სურათის რეკონსტრუქცია, საიდანაც შეგვიძლია ხალხთა გენეტიკური კავშირების, მათი პირველსაცხოვრისისა და ისტორიული მიგრაციების მიმართულებების შესახებ ინფორმაციის მიღება (დაწვრ. იხ.: ასათიანი, 2011:19). გარდა ამისა, ქართულ ენათმეცნიერებასა და ეთნოლოგიაშიც ჩამოყალიბდა საერთო აზრი იმის შესახებ, რომ ნათესაობის სისტემების შესწავლა დაკავშირებულია თავად სისტემის სტრუქტურასთან და ტერმინთა სემანტიკასთან და მოიხმარს რა ნომენკლატურას საზოგადოებაში ადამიანები, რადგან ნათესაობის ტერმინებით ინდივიდებს შორის არსებული მიმართებები აღინიშნება, ბუნებრივია ჩნდება განცდა ამგვარი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის კვლევის. ნათესაობის ტერმინოლოგია ნებისმიერი ენობრივი საზოგადოების სოციალური არქიტექტონიკის საფუძველია (იხ.: მგელაძე, 2011:290-318). ნათესაობის ტერმინებში, როგორც ამაზე მკვლევრები ერთსულოვნად თანხმდებიან, აისახება ენობრივი კოლექტივის კულტურულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები, რაც არსებული ფენომენისადმი განსაზღვრავს კიდეც არამარტო ლინგვისტთა, არამედ ეთნოლოგთა დიდ ინტერესს. ჩვეულებრივ, უკვე გაამართლა მეთოდმა, რომელიც ნათესაობის ტერმინთა ფიქსაციისას შედარებისა და შეპირისპირების მიზნით ისეთი მეტაენის არსებობას ითვალისწინებს, რომელიც კონკრეტულ ბუნებრივ ენაზე არაა დამოკიდებული. რეალურად, ერთი ენიდან მეორეზე ნათესაობის ტერმინთა ზუსტი თარგმანი შეუძლებელი ხდება. მეტაენა კი რიგი სირთულის დაძლევის წინაპირობა ხდება (დაწვრ. იხ.: სოსელია, 2011:55).


საქართველოს შავიზღვისპირეთის მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობა ისტორიული კოლხეთის ეთნიკურ არეალშია აღმოცენებული. არქეოლოგიური მასალები, ასურული, ურარტული, ბერძნულ-რომაული, მათ შორის, ბიზანტიური, ქართული და სომხური წერილობითი და სხვა ტიპის, განსაკუთრებით, ემპირიული, სამეცნიერო-ანალიტიკური თუ ნივთიერი, კულტურის აღწერილობაზე დაფუძნებული წყაროები მიუთითებს, რომ ეს ტერიტორიები ქართველურ ტომთა უძველესი საბინადრო იყო, უფრო ზუსტად, იგი ერთ-ერთი სატომო გაერთიანების – კოლხების (ზანების) იმ სხვადასხვა ეთნოგრაფიული განშტოების სამოსახლოებს წარმოადგენდა, რომლებიც ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში სხვადასხვა მონათესავე პოლიტიკურ გაერთიანებებში შედიოდა, თუმცა შავიზღვისპირეთის ბარსა და მთაში დიაოხელების მიერ კონტურმოხაზულმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა წარმონაქმნმა ძვ. წ. XI-IX საუკუნეებიდან ინტენსიურად დაწყებულ კონსოლიდაციურ ეთნიკურ პროცესში უკვე ძვ. წ. VIII-V საუკუნეებში ეთნოპოლიტიკურ მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებული უმნიშვნელოვანესი ფაქტი გამოკვეთა: აქ მოსახლე ცალკეული დაჯგუფება თანმიმდევრულად კოლხთა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ გაერთიანებებად ჩამოყალიბდა და, საბოლოოდ, იბერიულ-მესხურ წარმონაქმნებთან ერთად ქართველთა ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

საქართველოს მიწა-წყალზე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უხსოვარი დროიდან – დიაოხელთა მოღვაწეობის ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი, რაც ანტიკურ ეპოქაში კოლხეთის სამეფოსა და, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, ქართველური სუპერეთნოსის იბერიულ-ქართული თუ ქართულ-მესხური სუბეთნოსის მსგავსად მონათესავე ქართულ-კოლხური (ქართულ-ზანური) და, ასევე, სვანური სუბეთნოსის წარმოქმნით დასრულდა, რომლებიც, თავის მხრივ, შემდეგში, სხვადასხვა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფებად დაიყვნენ. განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, განსაკუთრებით, ანტიკურ და ელინისტურ პერიოდებში ზანური (კოლხური) სუბეთნოსის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ დანაყოფებს ადრე ჭანები (სანები), მაკრონები და სხვა მსგავსი

დაჯგუფებები, შესაძლებელია, ბიძერები და მიდრიტებიც, გვიან კი – ლაზები და მეგრელები წარმოადგენდნენ. ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე, საერთო კონიუქტურიდან გამომდინარე, ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფის ეთნოპოლიტიკური მნიშვნელობა გაფართოვდა, ხოლო სხვების დავიწროვდა. დროთა განმავლობაში ამ ჯგუფთაგან დიდი ნაწილი ერთმანეთს შეერწყა და თანამედროვეობას ლაზებისა და მეგრელების სახით შემორჩა, როგორც ქართველური ეთნოლინგვისტური ოჯახის ორგანული ნაწილები. შესაბამისად, ეთნოპოლიტიკური პროცესები ეთნოლინგვისტურ პროცესებსაც შეეხო. ამდენად, როცა ქართველური ენა **ქართულს**, ზანურსა და სვანურს აერთიანებდა, მაშინ ენის განვითარება, გარკვეულწილად, ეთნოსისა და ეთნოპოლიტიკური ორგანიზმის განვითარებასთან შესაბამისობაში მიმდინარეობდა, თუმცა ენის დიფერენციაციის, ისე, როგორც უნიფიკაციის პროცესი მხოლოდ ეთნოსოციალური და ეთნოპოლიტიკური სტაბილურობით არ იყო განპირობებული, მაგრამ მაინც თუ ენა, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი, გარკვეულ სოციალურ არსებობდა და ადამიანის ყოფიერების ყველა სფეროს მოიცავდა, მაშინ, ბუნებრივია, მართებულია აზრი იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ ბიოსფეროში ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფთა პასიონარული განწყობის, როგორც კულტურულ-ისტორიულ ერთობის, როლი განსაკუთრებულად დიდი იყო. უნიფიკირებას განიცდიდა არა მარტო გარკვეულ სივრცეში არსებული ყველასათვის გასაგები ერთიანი საზოგადო ენა, არამედ მისგან დიფერენცირებული დიალექტი. მიმდინარე პროცესებში აუცილებელი პირობა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა იყო, თუმცა ჩვენ ვიცით რომ ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდშიც ყველა ქართველსათვის ქართული ენა სახელმწიფო, საეკლესიო და სამწერლობო ენა იყო. აქედან გამომდინარე ენათმეცნიერები ასკვნიან, რომ ამგვარი საყოველთაოება არა ლინგვისტური, არამედ ორგანიზებული პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებით განისაზღვრებოდა. შესაბამისად, აზროვნება ენის შესახებ, როგორც არნოდ ჩიქობავა ფიგურალურად ფიქრობდა, ენათმეცნიერებად ისტორიულმა თვალსაზრისმა აქცია. სწორედ ამიტომ, ქართველ ტომთა ენობრივ არეალს კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით უნდა მივუდგეთ, რადგან მათ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროცესში ერთიანი ქართული ენისა და ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება შეძლეს (ენის ფუნქციის შესახებ დაწვრ. იხ.: **ქუთელია**, II, 2011:149).

დღეს მეგრული და ლაზური (ჭანური) ზანურის ქვეჯგუფებს განეკუთვნებიან. ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ზანური, ისე, როგორც სვანური და საკუთრივ **ქართული** ქართველურ ფუძე-ენასთან მიმართებაში, დიალექტებად გამოიყურება იმდაგვარად, როგორც დღეს ლაზური (ჭანური) და მეგრული ზანურის დიალექტებად განიხილება, ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილის მიხედვით, **ქართული**, სვანური და ზანური ქართველური ფუძე-ენიდანაა მიღებული და დამოუკიდებელ ენებად განვითარებული (პრობლემის ირგვლივ არსებული მოსაზრებების შესახებ ზოგადად იხ.: ნიკო მარის, გიორგი კლიმოვის, არნოდ ჩიქობავას, თამაზ გამყრელიძის, ვიაჩესლავ ივანოვის, გივი მაჭავარიანის, იოსტ გიპერტის და სხვათა ნაშრომები). თავის მხრივ, თანამედროვე ლაზური სამ დიალექტადაა დაყოფილი: ათინურად, ვიწო-არქაურად და ხოფურად, მეგრული კი – დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული და დღეს, უმთავრესად, ცხენისწყალსა და აფხაზეთს შორის არსებულ ტერიტორიაზეა განფენილი. იგი ორ დიალექტს მოიცავს: სენაკურსა (სენაკურ-მარტვილურს) და სამურზაყანოულ-ზუგდიდურს (შდრ. ალექსანდრე ცაგარელი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, სერგი ჟღენტა, ვარლამ თოფურია, მიხეილ ქალდანი, ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, გურამ კარტოზია, ოთარ ქაჯაია და სხვები). ენობრივ კლასიფიკაციასთან შესატყვისობაში ქართველურმა წინარე სუპერეთნოსმა ქართველი ხალხის – ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებამდე ხანგრძლივი გზა გაიარა. საბოლოოდ, ქართული ეთნოსი ისტორიულ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით სტრუქტურულ-იერარქიულად სამ დიდ ჯგუფად – სამ სუბეთნოსად დანაწილდა: 1. **ქართულად** (იბერიულად), უფრო ზუსტად, იბერიულ-მესხურად 2. ზანურად (კოლხურად) და 3. სვანურად. ზანური სუბეთნოსი, თავის მხრივ, ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფად გაიყო: მეგრულად და ლაზურად (ჭანურად). შემდგომში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა, რაც როგორც მეგრულის, ისე ლაზურის კილო-კავებად დიფერენციაში გამოიხატა. დიფერენციაციის ანალოგიურ გზას ქართთა სუბეთნოსიც დაადგა, რომელიც ქართული ეთნოსის ფარგლებში მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფისა და დიალექტის ჩამოყალიბებით დასრულდა. თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურ ლიტერატურაში ქართველური ენების ნათესაობა და მათი საერთო წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკამათოა მათი დიაქრონული განვითარების გზების განსაზღვრის საკითხი. ამიტომაც, სპეციალურ ლიტერატურაში ქართველთა ლინგვისტური წარმომავლობისა და დინამიკის – სტრუქტურული არქეტეპტიკის რამდენიმე პარადიგმული ვერსია არსებობს (მათ შესახებ იხ.: **ასათიანი**, I, 2011:19-20).

რაც შეეხება ქართველთა ეთნოლინგვისტურ აგებულებას, იგი დიაგრამაზე პირობითად შემდეგნაირად გამოიყურება:



ადრე საქართველოს ტრადიციული ყოფა მთისა და ბარის ურთიერთშეპირისპირების ფონზე კულტურის, როგორც ზოგადეთნიკური (ზოგადქართული), ისე, ცალკეულ ვითარებაში, ლოკალურ-ეთნოგრაფიული (სახეობო და ტომობრივ-ეთნოგრაფიული) ელემენტებითაც ხასიათდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის ელემენტთა არქაული ფორმების რეკონსტრუქციით არაერთი მკვლევარი იყო დაკავებული, მაინც, სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციული ყოფის უძველესი ეთნიკურ-ეთნოგრაფიული პლასტებისა და ამ პლასტებისათვის ნიშანდობლივი კულტურული შრეების გამოვლენასა და ისტორიული ფრაგმენტების აღდგენას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ბუნებრივია, ამ პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებული მიდგომის გარეშე შეუძლებელია. ვფიქრობთ, მისი განხორციელება იბერიულ-მესხური და კოლხური კულტურის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საფუძველზე უნდა დაიწყოს. სტრატეგიაში და ისტორიულ-შედარებითი მიდგომა იბერიულ-მესხური და ზანურ-სვანური კულტურული შრეების დიფერენცირებულად შესწავლის საფუძველზე საშუალებას მოგვცემს ამა თუ კულტურული ელემენტის არა მარტო წინარე ქართველური საერთო ფესვები დავადგინოთ, არამედ კულტუროლოგიური საკლასიფიკაციო ნიშნებით თანამედროვე ქართული ეთნოსის ზოგადეთნიკური და ამ ეთნოსის სტრუქტურულ სამხარეო დანაყოფთა ლოკალურ-ეთნოგრაფიული თავისებურებები გავარკვიოთ.

ისტორიოგრაფიაში უკვე შესამჩნევი მასალა დაგროვდა და ამას არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამ შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ცოტა რამ ვიცით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველეს გაერთიანებათა კულტურის, სოციალური წყობისა და, საერთოდ, სოციალური მოდელის, სამეურნეო ყოფის, პოლიტიკური სტრუქტურისა და ენობრივი თავისებურებების შესახებ. წერილობითი წყაროებით ამ ხარვეზის სრულად შევსება საგრძნობლად რთულდება და ფაქტიურად არც ხერხდება. ამ ამოცანის ერთ-ერთ დამატებით საშუალებად კოლხთა შთამომავლების ეთნოგრაფიული ყოფის სხვადასხვა ასპექტით – სოციალური სტრუქტურა, მატერიალური კულტურა, სამეურნეო ყოფა, რელიგია და მითოლოგია, ტოპონიმია – შესწავლა მიგვაჩნია.

ამჯერად, ყურადღებას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის იმ უძველესი მოსახლეობის – მეგრელებისა და ლაზების ნათესაობის სისტემის პრობლემებზე შევაჩერებთ, რომლებიც კოლხთა შთამომავლებად მიიჩნევიან და დასავლეთ საქართველოსა და თურქეთის შავიზღვისპირეთის (სარფი-ხოფა-რიზე-ტრაპიზონი...) მთისწინა და მთიან ზოლში არიან განსახლებულნი. ისინი ქართული ეთნოსის ზანურ გაერთიანებებში შედიან.

ნათესაობის სისტემასთან დაკავშირებული სოციალური, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიური მოდელი უაღრესად კონსერვატული ბუნებით გამოირჩევა, რაც კულტურულ ფასეულობათა რეკონსტრუქციის საშუალებას გვაძლევს. ამდენად, დასმული პრობლემის სწორედ ამ კუთხით შესწავლა ჩვენ გამართლებულად მიგვაჩნია.

ნათესაობის ტერმინთა სისტემის კვლევა სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. შესაბამისად, პრობლემის შესწავლის მეთოდიკაც სპეციფიკურია. სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, ნათესაობის ტერმინთა ჩაწერისა და ანალიზის გენეალოგიური (იხ.: **Mopran**, 1934; **Rivers**, 1900; **Notes and queries on anthropology...** 1912; შდრ. **Barnard, good**, 1984:41-42) და ფორმალური (იხ.: **Токанев**, 1952:189; **Goodenough**, 1956; **Lounsbury**, 1956; **Hammel**, 1965; **Крюков**, 1972; **Членов**, 1973) მეთოდებია ცნობილი.

ნათესაობის ტერმინთა მნიშვნელობის გაგებისათვის აუცილებელია მათი სპეციალური ნიშნებით კოდირება, რაც სისტემის სტრუქტურულ, ფუნქციურ და ტიპოლოგიურ ანალიზს აადვილებს. ჩვენს ნაშრომში ერთდროულად ინგლისურ და რუსულ ანბანს: ასო-ნიშნებს ვიყენებთ, რადგან როგორც ევროპაში, ისე რუსეთში ფორმალური მეთოდის გამოყენებით არაერთი საუკეთესო ნაშრომია შექმნილი, შესაბამისად, ტრადიციულ კულტურებთან მიმართებაში კოდური სისტემაც აპრობირებულია. კოდი მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება. მაგალითად:

A – სქესი: A¹ – მამაკაცი, A² – ქალი, A – სქესი არაა გამოყოფილი;

B – თაობა: B¹ = +2 თ; B² = +2 თ; B³ = 0 თ; B⁴ = - 1 თ; B⁵ = - 2 თ.

C – ლინეალობა: C¹ – პირდაპირი ხაზი, C² – პირველი გვერდითი ხაზი, C³ – მეორე გვერდითი ხაზი;

D – მაკავშირებელი ნათესავის სქესი: D¹ – მამაკაცი, D² – ქალი, D – სქესი არაა გამოყოფილი;

E – ego-ს სქესი: E¹ – მამაკაცი, E² – ქალი, E – სქესი არაა გამოყოფილი;

F – მამა, M – დედა, P – მშობელი;

B – ძმა, S – და;

V – ცოლი, H – ქმარი; V+F – ცოლ-ქმარი;

Š – შვილი (სქესი არაა გამოყოფილი): D – ქალიშვილი, S – ვაჟი;

ŠŠ – შვილიშვილი;

ŠŠŠ – შვილიშვილის შვილი.

სისხლისმიერი და მოყვრობითი ურთიერთობების აღმნიშვნელი
მეგრულ-ლაზური (კოლხური) ნათესაობის ტერმინოლოგია

მეგრული			ლაზური (სოფელი სარფი)		
№	კოდი	ტერმინი	№	კოდი	ტერმინი
1	FPPŠ	პაპა (პაპუ)			–
2	MPPŠ	პეპი (პეპუ/ტატი)			–
3	FPŠ	ბაბუ	1	FPS	პაპული
4	MPŠ	ბები (დადი)	2	MPS	ნანდიდი (დიდნანა)
5	FH+V	მუანთილი	3	FH+V	მთი
6	MH+V	დიანთილი	4	MH+V	დამთირე
7	PV+V	ზახალი (/ზახლები)	5	PH+V	მზახალი (მზახლები)
8	F	მუმა (ბაბა)	5	F	ბაბა
9	M	ნანა (დიდა)	6	M	ნანა
10	BP HSP	ჯიმადი (ჯიჯი) ბიძია	7	BP HSP	ჯუმადი (ჯიმადი)
11	SF	მამდა (მამი)	8	SP	დადი
12	SM	დეიდა (დეი)	9	VBP	ნუსადია
13	VBP	ბიცო (ბიცი)	10	B	ჯუმა (ჯიმა)
14	B	ჯიმა	11	S	და
15	S	და	12	ŠBP	ჯუმადიში ბე(რ)ე
16	ŠBP	ჟიმადისკუა (ჯიჯისკუა/ბიძისკუა/ბისკუა)	13	ŠSF	დადიშ ბე(რ)ე
17	ŠSF	მამდასკუა (მამიდასკუა)	14	V	ოხოჯა
18	ŠMS	დეიდასკუა	15	H	ქიმოლი
19	V	ოსური (ჩილი/ოჯახობა)	16	BV	ოხასკირი (ოხაშკირი)
20	H	ქომონჯი	17	SV	ოხასულე
21	ŠPF+V	ოხოლასკირი (ოხოლასკირი)	18	VSF+V	ნისაღა
22	HSV	სინჯაჰა (ქვისლი)	19	HSV	ბაჯანაღი (ბაჯანაღიფე)
23	HS	სინჯა (სინდა)		HB	სიჯა

24	VB VŠ	ნოსა	20	VB VŠ	ნისა (გელინი)
25	Š	სკუა	21	Š	ბე(რ)ე
26	Š	სკუა	22	S	სკი(რ)ი
27	S	ქომოისკუა (ქომოლისკუა)	23	D	ოსური (ბოზი)
28	D	ოსურსქუა (ცირასქუა)	24	Š B	ჯუმამ ბე(რ)ე (ჯიმასკვა)
29	ŠBB	ჯიმასკუა (ჯიმასკვა)	25	SŠ	დამ ბე(რ)ე
30	SŠ	დასკუა	26	ŠŠP	ანიმსე
31	ŠŠ	მოთა (სკუაში სკუა)	27	ŠŠ	მოთა
32	ŠŠŠ	მოთამ სკუა (მოთაში სკუა)			-

სოფელ სარფში ჩაწერილი ნათესაობის ტერმინოლოგია, მეგრულისაგან განსხვავებით, +3 თაობაში ნათესაურ კატეგორიებს არ გვიდასტურებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზოგადად ლაზურში იგი არ ვლინდება. ეთერ სოსელია ასეთ ტერმინთა არსებობას მამის და დედის პაპისა და დიდედის აღმნიშვნელად ავლენს. ასეთებია, მაგალითად, **დიპაპუ** და **დინანა**. სოფელ სარფის მოსახლეობაში მათი არარსებობა, ბუნებრივია, მიზეზის გარკვევას მოითხოვს (სოსელია, 2011:64).

ნათესაობის ტერმინთა სისტემის შინაგანი თვითგანვითარების ზოგადი კანონზომიერების დადგენა ცალკეული კატეგორიის დეზიგნაციებისა და დენოტაციების ისე, როგორც დეზიგნაციებსა და დენოტაციებს შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრას მოითხოვს. ამიტომ, ნათესაობის ტერმინთა ფორმალიზაცია დიფერენციალური ცვლადების (სქესი, თაობრივი დონე, ლინეალობა) ზოგადი კომპონენტების დადგენის გზით განვახორციელებთ. ქართული ნათესაობის სისტემის შესასწავლად საკმარის პირობად ჩავთვალებთ დიფერენციალური ცვლადების ქვემოთ მოტანილი კომპონენტების გამოყენება, რომლებიც სხვადასხვა საფუძვროებრივი დონეებითაა წარმოდგენილი:

1. A – alter-ის სქესი: A₁ – მამაკაცი; A₂ – დედაკაცი; A – სქესი გამოყოფილი არაა;
2. B – ნათესაურ კავშირთა ხასიათი: B₁ – სისხლით ნათესაობა; B₂ – მოყვრობითი ურთიერთობები;
3. B – alter-ის თაობა: B₁ = +2_თ; B₂ = +1_თ; B₃ = 0_თ; B₄ = -1_თ; B₅ = -2_თ;
4. C – ლინეალობა: C₁ – პირდაპირი ხაზი; C₂ – პირველი გვერდითი ხაზი; C₃ – მეორე გვერდითი ხაზი;
5. F – მაკავშირებელი ნათესავის სქესი (შუალედური რგოლი): F₁ – მამაკაცი; F₂ – დედაკაცი; F – არადიფერენცირებული სქესი;
6. D – ნათესაობის ლინეალობა: D₁ – მამის ხაზი; D₂ – დედის ხაზი;
7. E – ego-ს სქესი: E₁ – მამაკაცი; E₂ – დედაკაცი;
8. Ж – alter-ის შეფარდებითი ასაკი: Ж₁ – შეფარდებითი ასაკი რელევანტურია; Ж₂ – შეფარდებითი ასაკი არარელევანტურია;
9. 3 – ტერმინის ლინგვისტური დონე: 3₁ – ელემენტარული ტერმინი; 3₂ – შედგენილი ტერმინი; 3₃ – აღწერილობითი ტერმინი;
10. И – ტერმინის სოციალური განზომილება: И₁ – ინდივიდუალური ტერმინი; И₂ – ჯგუფური ტერმინი; И₃ – კლასიფიკატორული ტერმინი.

ოპერაციები სემანტიკური ცვლადების კომბინაციის გზით შემდეგნაირად ხორციელდება.

**მეგრული ნათესაობის ტერმინოლოგიის დიფერენციალური ცვლადები და მათი
სემანტიკური კომბინაციები**

№	ტერმინი	კოდი	დიფერენციალური ცვლადები
1	პაპა (პაპუ)	FPPS	$A_1B_1BC_1ГДЕЖ_1З_1И_3$
2	პეპი (პეპუ/ტატი)	MPPS	$A_2B_1BC_1ГДЕЖ_1З_1И_3$
3	ბაბუ	FPS	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
4	ბები (დადი)	MPS	$A_2B_1B_1C_1ГД_1ЕЖ_1З_1И_3$
5	მუანთილი	FH+V	$A_1B_2B_2C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
6	დიანთილი	MH+V	$A_2B_2B_2C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
7	ზახალი//მზახალი (ზახლები//მზახლები)	PH+V	$AB_2B_2C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
8	მუმა (ბაბა)	F	$A_1B_1B_2C_1ГДЕЖ_1З_1И_1$
9	ნანა (დიდა)	M	$A_2B_1B_2C_1ГДЕЖ_1З_1И_1$
10	ჯიმადი (ჯიჯი) ბიძია	BP HSP	$AB_1B_2C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
11	მამდა (მამი)	SF	$A_2B_1B_2C_1ГД_1ЕЖ_1З_3И_2$
12	დეიდა (დეი)	SM	$A_1B_1B_2C_2ГД_2ЕЖ_1З_1И_2$
13	ბიცო (ბიცი)	VBP	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
14	ჯიმა	B	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
15	და	S	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
16	ჯიმადისკუა (ჯიჯისკუა/ბიძისკუა/ზისკუა)	ŠBP	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_2И_3$
17	მამდასკუა (მამიდასკუა)	ŠSF	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
18	დეიდასკუა	ŠMS	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_2И_3$
19	ოსური (ჩილი/ოჯახობა)	V	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
20	ქომონჯი	H	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_2И_3$
21	ოხოლასკირი (ოხორასკირი)	ŠPF+V	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_2И_3$
22	სინჯაჰა (ქვისლი)	HSV	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
23	სინჯა (სინდა)	HS	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
24	ნოსა	VB VŠ	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
25	სკუა	Š	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
26	სკუა	Š	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_2И_3$
27	ქომოისკუა (ქომოლისკუა)	S	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_2И_3$
28	ოსურსკუა (ცირასკუა)	D	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_3И_3$
29	ჯიმასკუა (ჯიმასკვა)	ŠBB	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_3И_3$
30	დასკუა	SŠ	$A_1B_2B_2Г_2ДЕЖ_1З_1И_1$
31	მოთა (სკუაში სკუა)	ŠŠ	$A_2B_2B_2ГЕЖ_1З_1И_3$
32	მოთაშ სკუა (მოთაში სკუა)	ŠŠŠ	$A_2B_2B_2Г_2Е_1Ж_1З_1И_1$

ნათესაობის ტერმინოლოგიის დიფერენციალური ცვლადები და მათი სემანტიკური კომბინაციები

11	ბები	РжР	$A_2B_1BC_1ГДЕЖ_1З_2И_3$
13	ბაბუა (ბაბუ)	РжР	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
20	ნანდიდი/ანა	РжР	$A_2B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_2И_3$
23	პაპული (პაპუა)	РмР	$A_1B_1B_1C_1ГДЕЖ_1З_1И_3$
31	მიმთილ/მუანთილი/მთი	РмС	$A_2B_2B_2ГЕЖ_1З_1И_3$
33	დიმთილ/დიანთილი/დამთირე	РжС	$A_2B_2B_2ГЕЖ_1З_1И_3$
36	მძახალი/მზახალი/მზეხალი/ ზახალი	РС	$AB_2B_2ГЕ З_1И_3$
40	მუმა (ბაბა)	Рм	$A_1B_1B_2ЕЖ_1З_1И_1$
44	ნენა/ნანა/ანა	Рж	$A_2B_2ЕЖ_1З_1И_1$
48	ჯიმადი (ჯუმადი)	ДмРР См ДжРР	$A_2B_1B_2C_2ГДЕЖ_1З_1И_3$
51	მამდა	ДжРРм	$A_2B_1B_2C_2Г_1Д_1Е_2Ж_1З_3И_2$
57	ნუსადია	СжДмРР	$A_2B_2 В_2Г_1Е_2Ж_1З_2И_3$
58	ბიძისცოლი/ბიძის ცოლი/ ბიცოლა/ბიცო/ბიცი	СжДмРР	$A_2B_2B_2Г_1Е_2Ж_1З_3И_3$
66	ჯიმა (ჯუმა)	ДмР	$A_1B_1B_3C_2Д_1ЕЖ_2З_1И_2$
67	და	ДжР	$A_2B_1B_3C_2Д_1ЕЖ_2З_1И_2$
78	ჯიმადისკუა	ДДмРР	$AB_1B_3C_2Г_1ДЕЖ_2З_3И_3$
79	ჯუმადიში ბე(რ)ე	ДДмРР	$AB_1B_3C_2Г_1ДЕЖ_2З_3И_3$
80	მამიდაშვილი	ДДжРРм	$A_1B_1B_3C_2Г_1Д_1ЕЖ_2З_3И_2$
81	მამდასკუა	ДДжРРм	$A_1B_1B_3C_2Г_1ДЕЖ_2З_3И_2$
83	დეიდასკუა	ДДжРРж	$AB_3C_2Г_2Д_2ЕЖ_2З_3И_2$
86	ოსური/ჩილი/ოხორჯა	Сж	$A_2B_3Е_1З_1И_1$
87	ქმარი	См	$A_2B_3Е_1З_1И_1$
99	ოხოლიასკირი	ДРС	$AB_3C_2ГЕЖ_2З_2И_3$
100	ოხასკირი	ДмРС	$A_1B_3C_2ГЕЖ_2З_2И_3$
101	ოხასულე	ДжРС	$A_2B_3C_2ГЕЖ_2З_2И_3$
105	სიჯა/სინჯა/სინდა	СмДжР СмДж	$A_1B_3(B_4)Г_2ЕЖ_2З_1И_3$
109	ნოსა (ნისა)	СжДмР СжДм	$A_2B_3(B_4)Г_1ЕЖ_2З_1И_3$
113	ნისაჟა	СжДмРСм	$A_2B_3Г_1Ж_2З_1И_2$
118	ბე(რ)ე	Д	$AB_1B_4C_1Д_1ЕЖ_1З_1И_2$
119	სკუა	Д	$A_1B_1B_4C_1Д_1ЕЖ_1З_1И_2$
122	ქომოისკუა/სკი(რ)ი	Дм	$A_1B_1B_4C_1Д_1ЕЖ_1З_2И_2$
129	ასული	Дж	$A_2B_1B_4C_1Д_1ЕЖ_1З_1И_2$
130	ოსური (ბოზი)	Дж	$A_2B_1B_4C_1Д_1ЕЖ_1З_1И_2$
131	ოსურსკუა (ცირასკუა)	Дж	$A_2B_1B_4C_1Д_1ЕЖ_1З_3И_2$
139	ანიმსე	ДДР	$AB_1B_4C_2ГДЕЖ_2З_1И_2$
146	მოთა	ДД	$AB_1B_5C_1ГДЕЖ_1З_1И_2$
147	სქუაში სქუა	ДД	$AB_2B_5C_1ГДЕЖ_1З_3И_2$
150	მოთაშ სქუა (მოთაში სქუა)	ДД Д	$AB_1B_6C_1ГДЕЖ_1З_3И_2$

დიფერენციალური ცვლადების სოციალური პროცედურებისა და სემანტიკური კომბინაციების საფუძველზე, ასევე, დადგინდა მეგრულისა და ლაზურის სტრუქტურული პრინციპები, მათი განმასხვავებელი და მსგავსი ნიშნები დადგინდა.

**ნათესაობისა და მოყვრობის აღმნიშვნელ ტერმინთა სისტემის სტრუქტურული პრინციპი
სამეგრელოში**

C ₁				C ₂				
A ₁		A ₂	A ₁	A ₂	A ₁	A ₂	A ₁	A ₂
B ₁			B ₂		B ₁		B ₂	
B	პაპა (პაპუ)	პეპი (პეპუ/ტატი)	—		—		—	
B ₁	ბაბუ	ბები (დადი)	—		—		—	
B ₂	მუმა (ბაბა)	ნანა (დიდა)	მუანთილი	დიანთილი	ჯიმადი (ჯიჯი/ ბიბია)	მამდი (მამი)	ჯიმადი (ჯიჯი/ ბიბია)	ბიცო (ბიცი)
			ზახალი			ეიდი (დეი)		
B ₃	Ego		ქომონჯი	ოსური (ჩილი/ ოჯახობა)	ჯიმა	და	ქვისლი (სინჯა აო)	
			ოხოლიასქირი (ოხორასქირი)					
					ჯიმადიშისკუა (ჯიჯისკუა/ ბიბისკუა/ ისკუა)		სინჯა (სინდა)	ნოსა
					მამდასკუა (მამიდასკუა)			
		დეიდასკუა						
B ₄	სკუა		—		ჯიმასკუა (ჯიმასქუა)			
	ქომოისკუა (ქომოლისკუა)	ოსურსკუა (ცირასკუა)			დასკუა			
B ₅	მოთა (სკუასი სკუა)		—				—	
B ₆	მოთაშ სკუა (მოთაში სკუა)		—		—		—	

ლაზური ნათესაობისა და მოყვრობის აღმნიშვნელ ტერმინთა სისტემის სტრუქტურული პრინციპი

C ₁				C ₂					
A ₁		A ₂	A ₁	A ₂	A ₁	A ₂	A ₁	A ₂	
B ₁			B ₂		B ₁		B ₂		
B ₁	პაპული	ნანდიდი (დიდი ნანა)	–		–		–		
B ₂	ბაბა	ნანა	მთი	დამთირე	ჯუმადი (ჯიმადი)	დადი	ჯიმადი (ჯუმადი))	ნუსადია	
			მზახალი						
B ₃	Ego		ქომოლი	ოხორჯა	ჯიმა (ჯუმა)	და	ქვისლი (სინჯა ^{??} აო)		
			ოხასკირი	ოხასულე					
					ჯუმადიში ბე(რ)ე		სიჯა	ნისა (გელინი)	
					დადიშ ბე(რ)ე				
B ₄	ბე(რ)ე		–		ჯუმაშ ბე(რ)ე (ჯიმასკვა)				
	სკი(რი)	ოსური (ბოზი)			დამ ბე(რ)ე (დასკუა/ ანიმსე)				
B ₅	მოთა		–				–		

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული სოციალური სტრუქტურები წარმოდგენილია ნათესაობის რამდენიმე ტიპით, მაგრამ ტერმინოლოგიურად მათი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ნათესაობის სისტემის ტიპოლოგიზაციის მიზნით მკვლევრებმა დაამუშავეს განსაკუთრებული მიდგომა ლექსიკურ-ენობრივი მასალის ზუსტი ფიქსაციისა და კლასიფიკაციისათვის, რაც, ერთგვარად, გახდა საფუძველი, რათა აბსტრაქტულ-ტიპოლოგიური მოდელის ჩამოსაყალიბებლად მომზადებული საკმაოდ მყარი სამეცნიერო ბაზა.

მეგრული და ლაზური ნათესაობის ტერმინთა გენეალოგიური სქემები სტრუქტურული თვალსაზრისით გარკვეული სახით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგალითად, სამეგრელოში ნათესაობის ტერმინთა შვიდთაობიანი ეგოცენტრული სისტემა ფუნქციონირებდა, ლაზებში კი ხუთთაობიანი სისტემა ფიქსირდება.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული სოციალური სტრუქტურები წარმოდგენილია ნათესაობის რამდენიმე ტიპით, მაგრამ ტერმინოლოგიურად მათი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ნათესაობის სისტემის ტიპოლოგიზაციის მიზნით მკვლევრებმა ლექსიკურ-ენობრივი მასალის ზუსტი ფიქსაციისა და კლასიფიკაციისათვის განსაკუთრებული მიდგომა დაამუშავეს, რათა, ერთგვარად, აბსტრაქტულ-ტიპოლოგიური მოდელის ჩამოსაყალიბებლად მყარი სამეცნიერო ბაზა მომზადებულიყო.

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველურში საერთო ლექსიკურ წრეს ლაზური და მეგრული ქმნის, თუმცა თაობრივ სტრუქტურაში აქ განსხვავება იკვეთება, რადგან თუ მეგრულში +3 თაობის [მაგალითად, პაპა: პაპუ – PMPP; पेपी (pepu/tati) – PжPP] ტერმინები დასტურდება, იგი სარფელთა ნომენკლატურაში საერთოდ არ მონაწილეობს.

რაც შეეხება ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას, ამ თვალსაზრისითაც, მეგრული და ლაზური ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავდება და ამაზეც გავლენას არა მარტო თაობრივ სტრუქტურაში სხვაობა წარმოადგენს, არამედ ცალკეული ტერმინის ტიპოლოგიური მნიშვნელობები თუნდაც ისეთი როგორიცაა მეგრული ოხოლიასქირი და ლაზური ოხორასქირი (იხ. **მგელაძე**, 1991:18-25). მეგრულ-ლაზური ნათესაობის ტერმინთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ საერთო ეთნიკური წრის არეალში სოციალური ცხოვრებით განპირობებული ტერმინოლოგიური მოდელები მიუხედავად გრამატიკული თანაწყობისა ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ამაში გადამწყვეტ როლს უმთავრესად კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები, მთისა და ბარის სოციალური ყოფის მეტ-ნაკლებად განსხვავებული დონეები თამაშობდა. ამიტომაცაა, რომ საერთო ენობრივი წარმომავლობის ნათესაობის აღმნიშვნელი ესა თუ ის ტერმინოლოგიური ტიპი, სხვადასხვა ეთნიკურ, უფრო ზუსტად, ეთნოგეოგრაფიულ და ეთნოპოლიტიკურ, ისე, როგორც ლინგვოკულტურულ თუ სოციოლინგვისტურ გარემოში, სხვადასხვა შინაარსის მატარებელი იყო. განსაკუთრებით ეს ლაზურ ტერმინოლოგიას ეხება, რომელიც ძირითადად თურქეთის ფარგლებშია წარმოდგენილი და საუკუნეების მანძილზე გენეტიკურ – ენობრივ სამყაროს მოწყვეტილი იყო, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი საკმაოდ კონსერვატული აღმოჩნდა. ლაზურ ტერმინოლოგიურ ტიპში არაერთი სიტყვა სოციალური ცხოვრების, კერძოდ, საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების ძველ პლასტებს ასახავს. საბოლოო ჯამში, ნათესაობის ტერმინოლოგიურ მოდელებზე, როგორც ჩანს, ზემოქმედებდა არა ერთი რომელიმე კონკრეტული ფაქტორი, არამედ ფაქტორთა ჯგუფი: პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ლინგვისტური, ეკონომიკური, დასახლების თავისებურებები, ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტი და მათთან დაკავშირებული ჩვეულებები – ეგზოგამია, ენდოგამია, ლევირატი, სორორატი...

ჩვენ მიზანს წარმოადგენდა კოლხური (მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკის სტრუქტურული დახასიათება, ფორმალური მეთოდით მათი სქემატიზირებული ანალიზი, ფორმალიზაციის გზით ნათესაობის მოდელებში ტერმინთა სემიოტიკური შინაარსის გამოვლენა. რაც შეეხება კოლხურის, კერძოდ, მეგრულ-ლაზური ნათესაობის ნომენკლატურის სემანტიკურ ანალიზსა და ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებებს, ეს კვლევის ცალკე თემაა და, ბუნებრივია, ამის შესახებ მომდევნო სტატიებში ვისაუბრებთ.

ლიტერატურა:

ასათიანი, 2011 – რ. ასათიანი. ქართველური დიალექტების დიფერენციაცია დიაქრონიაში.- "ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი", I, ბათუმი, 2011.

Barnard, good, 1984 – Alan Barnard, Anthony good. Research practics in the Study of Kinship, London, 1984.

Goodenough, 1956 – Ward H. G. Goodenough. The Componential Analysis and the Study of Meang.-"leanguage", vol. 32, №1, 1956.

Крюков, 1972 – М. В. Крюков. Система родства китайцев (эволюция и закономерности), Москва, 1972.

Lounsbery, 1956 – F. G. Lounsbery. A Semantic Analysis of the Pavnee Kinship Usage.-"leanguage", vol. 32, 1956.

მგელაძე, 1991 – ნ. მგელაძე. **ოხოლიასქირი** ს/ოხორასქირი ს ნათესაური ბუნებისათვის მეგრულსა და ლაზურში.-,ძიებანი საქართველოს ეთნოგრაფიაში (ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კრებული)", თბილისი, 1991.

მგელაძე, 2011 – ნ. მგელაძე. ქართველი ხალხის ტრადიციული საზოგადოების სოციალური აგებულებისათვის (განზოგადებული კვლევის ცდა).- "კულტუროლოგიური ძიებანი", II, ბათუმი, 2011.

Морган, 1934 — Л. Г. Морган. Древнее общество, Москва, 1934.

Notes and Queries on Anthropology... 1912 — Notes and Queries on Anthropology.-4th ed. Edited for the British Association for the Advancement of Science by a Committee of Section H. London: Royal Anthropological Institute, 1912.

Rivers, 1900 — W. H. R. A Genealogical method of Collecting Social and Vital Statistics.-Journal of the Royal Anthropological Institute, №30, 1900.

სოსელია, 2011 — ე. სოსელია. ნათესაობის ტერმინთა სემანტიკის ფორმალიზაცია და კომპონენტური ანალიზი (ქართველურ ენათა ნათესაობის ტერმინთა სისტემები).-”კულტუროლოგიური ძიებანი”, II, ბათუმი, 2011.

Токарев, 1952 — С. А. Токарев, К вопросу о методике изучения терминологии родства.-Вестник МГУ, историко-филологическая серия, Москва, 1952.

ქუთელია, 2011 — ნ. ქუთელია. მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმომართებისათვის.-”კულტუროლოგიური ძიებანი”, II, ბათუმი, 2011.

Членов, 1973 — М. А. Членов. Формальные методы изучения системы родства современной американской этнографии.-«Этнологическое исследование за рубежом», Москва, 1973.

Hammel, 1965 — E. A. Hammel. A Transformational Analysis of Comanche Kinship Terminology.-`American Anthropologist (Formal Semantic Analysis. Special publication. Edited by E. Hammel), vol. 67, №5, part 2, 1965.

Nugzar Mgeladze

Batumi Shota Rustaveli State University

TOWARDS COMPARATIVE ANALYSIS OF COLCHIS (MEGRULI-LAZ) KINSHIP TERMS RESUME

On the basis of formal (componential) method, the article deals with the Colchis (Megruli-Laz) kinship terminology. Through the comparative approach the structure and the main characteristic features of the terminological model have been determined.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლექსიკურ-ეტიმოლოგიური ტერმინები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მიხედვით

ქართველობისათვის ყოველთვის წმინდა კანონად დარჩება გიორგი მერჩულესეული ფორმულირება „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართული ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ადრინდელ საუკუნეებში შედგენილი ეს „წმინდა კანონი“ მთელი ძალით მეცხრამეტე საუკუნეში აამოქმედა დიდმა ვარიანელმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა.

მისი სახელმძღვანელოები არის და ყოველთვის დარჩება მშობლიური ენის პირველ საუნჯედ, რომელსაც ტოლს ვერავინ დაუდებს.

იაკობის სახელმძღვანელოები და საყმაწვილო ლიტერატურა ენის სიწმინდეს, მის განვითარებას ემსახურებოდა და ეხლაც ასეა. ენის აგებულების ღრმა ცოდნა მას საშუალებას აძლევდა საფუძვლიანად განეხილა მთელი რიგი მოვლენები, რაც ქართველთა ცხოვრებაში მოხდა წარსულში და ხდებოდა იმჟამად. ის დიდად ზრუნავდა იმისთვის, რომ მისი სახელმძღვანელოების ენა და სტილი ნათელი, გასაგები ყოფილიყო ყმაწვილთათვის.

იაკობი წერს: „ენა თხოულობს მუდმივ ზრდას, განვითარებას. შეაჩერეთ მისი ზრდა და იგი დაჟანგებას იწყებს. უკან-უკან წავა, გადატაცდება, დაჰკნება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქმნელ ერსაც. ჩააყენეთ იგი ნორმალურ მდგომარეობაში, შექმენით მისი ზრდისთვის ნორმალური პირობები და იგი განვითარდება, აყვავდება, გამდიდრდება ლექსიკონით და ფორმებით“ (ი. გოგებაშვილი, გვ. 213).

მის შემოქმედებაში მრავალმხრივი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური საკითხები ქმნის თავისებურ სტილს, რომელიც გამართლებულია ისტორიულად და ენობრივ-გრამატიკული თვალსაზრისით. ბევრი

ლექსიკური მასალა შერჩეული აქვს სხვადასხვა კუთხეში და გვთავაზობს სინონიმურ ერთეულებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულის კუთვნილება უნდა გახდეს. ბევრი გახდა კიდეც.

ყოველივე ამის შესახებ იგი წერს: „საქართველოს ზოგიერთა კუთხეში იხმარებიან იმისთანა გამოთქმანი, რომელნიც ზედ გამოჭრილნი არიან საგანზედ, აზრზედ და რომელნიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენ კუთხეში. პირველმა საკითხავმა წიგნმა უნდა გაავრცელოს ეს მოხერხებული გამოთქმანი მთელ საქართველოში და გამარჯვება დაუმკვიდროს არსებით ბრძოლაში“ (ი. გოგებაშვილი, გვ. 216).

წინა, 1913 წლის ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე განვიხილეთ რამდენიმე ლექსიკური ერთეული, ამჯერადაც იმავე საკითხებზე გავაგრძელებთ კვლევას.

„დედა ენის“ მეორე ნაწილში, რომელიც არის საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ, 232-ე გვერდზე დაბეჭდილია პატარა სტატია სათაურით „კახეთი“. სტატიაში მოკლედ განხილულია საქართველოს აღმოსავლეთი მხარის, კახეთის, გეოგრაფიული დახასიათება, ჩამოთვლილია კახეთის ქალაქები: თელავი და სიღნაღი, ასევე მოკლედ დახასიათებულია თვით კახელებიც.

ამ მხარის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი. მისი თხზულების მიხედვით, კახელები, ასევე კუხები ქართლოსის ჩამომავალნი არიან. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსისა, რამეთუ შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან მეთა თვისთა ქართლოსის წილი ქვეყანა და მისცა კუხოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი, სამხრით სამზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ხევი, ვიდრე კავკასამდე, დასავლით მთა კუხეთისა, რომელსაც განჰკვეთს ერწო-თიანეთის იორის მდინარე და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი და ჩრდილოთ მთა კავკასი და ამათ შორისი ქვეყანა არის კახეთი, წილი კახოსისა და მისი სახელის გამო ეწოდა ამას სახელი, არამედ არ უწოდებენ ფშავ-ხევსურსა“ (ვახუშტი, გვ. 87).

კახის და კუხის ტერმინების ზუსტ განსაზღვრას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც ტექსტიდან ჩანს, კახი და კუხი მომდინარეობს ეთნარქი სახელებიდან – კახოსი, კუხოსი.

იაკობი გურიის შესახებ წერს (გვ. 229): გურია მთაგორიანი კუთხეა საქართველოში, რომელიც უსწორმასწორო და ოღრო-ჩოღროიანია.

ვახუშტი ბატონიშვილი გურიის შესახებ აღნიშნავს: „ხოლო გურია არა წილი ეგრისისა არს, არამედ ქართლოსისა. ენა მათი რომელსაც უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ. არამედ მზღვრის ამას გურიას, აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხრე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამხრით ჭოროხის მდინარე“ (ვახუშტი, გვ. 175).

ტერმინ „გურიას“ პირველი ახსნა ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონს: „განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს „გურიობით განდგომილნი“ თედო სახოკია კი წერს, რომ გურია მეგრულ „გურს“ (გულ) უკავშირდება.

სამეგრელოს შესახებ (გვ. 228) „დედა ენაში“ აღნიშნულია, რომ „ის არის საქართველოს მეოთხე ნაწილი, რომელიც ვეებერთელა ვაკე ადგილია. მეგრელები ნიჭიერი, მოხერხებული ხალხია“.

სახელწოდება სამეგრელო მომდინარეობს ეგურის (ეგრისიდან), რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV–XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდა. XII საუკუნიდან ტერმინები მეგრელ-სამეგრელო, თანამედროვე ვითარებით ლოკალიზდება, უწოდებენ ოდიშსაც. მეგრულის ძირითადი კილოკავებია ზუგდიდური და სენაკური.

„დედა ენის“ შედგენის დროს იაკობ გოგებაშვილი ლექსიკური ერთეულების დახასიათებისას ფართოდ იყენებდა სემანტიკურ პრინციპს. აქ გათვალისწინებული ჰქონდა ყველა კუთხის დიალექტური მასალა, სიტყვების მნიშვნელობა, რომლებიც გასაგები იქნებოდა ბავშვებისათვის.

ყველა სიტყვა კონკრეტულ რეალობაზე მიუთითებს, სადაც კარგად ჩანს სიტყვის მნიშვნელობა. ერთ-ერთ თავის წერილში ი. გოგებაშვილი წერს: „რაც შეეხება დედა ენას“, მეორე ნაწილსა, აქ ჩვენ თვით ტექსტში აკაკისვე დახმარებით (აკაკი წერეთელი) ამერს ტერმინებს გვერდში ამოვუყენებთ იმერი სინონიმები“. ასეთი მაგალითები დიდ პედაგოგს მოთხრობილი აქვს: ფილთაქვა ანუ ქვასანაყი, ჩურჩხელა ანუ ჯანჯუხი, ლოქო ანუ ღლავი, კორიანტელი ანუ ბდღვირი და როგორც თვითონ აღნიშნავს ეს ფორმა უფრო ადვილია ბავშვებისათვის, რომლებიც რაწამს წაიკითხავენ უცხო სიტყვას, იქვე ამოიკითხავენ მის ამხსნელ სინონიმს.

ავტორს სიტყვის მნიშვნელობის გაგებისათვის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია შესაფერისი სინონიმის მოყვანა, რამაც დიდი გამართლება ჰპოვა პრაქტიკაში.

ამ მიმართებით ი. გოგებაშვილის ზემოხსენებულ „დედა ენის“ მეორე ნაწილში ყოველი ოთხი-ხუთი გვერდის შემდეგ არის „სასაუბრო“ ნაწილი, სადაც მოცემულია სიტყვები თავისი სინონიმური მნიშვნელობით.

გვერდი 12. სიმინდის ფქვილის გამონაცხავს რა ჰქვია? მჭადი, ქერისას? – ჯინჯილი. აქვე განმარტებულია, რომ თეფში იგივე საინია. თხუნელა ანუ მუდო, ამ უკანასკნელი სიტყვის შესახებ ს. საბას ლექსიკონში განმარტებულია, რომ „მუდო თავგია დიდი და სხვარიგი“ (ს. საბა გვ. 526). ბაღლინჯო ანუ კედლის ტილა, ხეკაკუნა ანუ კოდალა, ნეკერჩხალი ანუ მეკენჩხალი.

ზემოხსენებულ „დედა ენას“ დართული აქვს ლექსიკონი სათაურით: ამერ-იმერ ერთ-აზროვანის სიტყვებისა, სინონიმებისა. აქ განმარტებულია ქართლური და იმერული სიტყვები, მაგალითად: კომში – ბია, ნარი – ეკლიანი ბალახი, რეჰანი – შაშრა, შამველაგი, როდინი – ხის ფილო – სანაყავი, საური – ბალიშის პირი, ულო – დაწული ღეროები ყანისა ძნის შესაკრავად, ჩოჩორი – შვილი ვირისა, ბარტყი – მწყრისა, ძეხვი – კუპატი, ჯონჯოლი – საწნილო მცენარეა – კაპარი.

ასეთივე განმარტებითი ლექსიკონი დართული აქვს დიდი პედაგოგის ნაშრომს სათაურით „საგანძური“.

ი. გოგებაშვილი ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ ყოველი გაუგებარი სიტყვა ამოეგდოთ ტექსტიდან, ყოველივე ამის შესახებ აღნიშნავდა: განა მოსაწონი იქნება, გამოვაკლოთ წიგნიდან ეს ლექსი იმ მიზეზით, რომ ერთი სიტყვის გაგებისათვის ბავშვს მოუწევდა ჩაფიქრება ან მასწავლებლის დახმარება? ეს ხომ დიდი საუნჯის დაკლება გამოვა პატარა დაბრკოლების თავიდან აცილებისათვის (თხ. ტ I). ასევე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია იმგვარი წიგნის გამოცემა, რომ მასში არ გამოერიოს ზოგიერთი სიტყვა, იშვიათად სახმარი საქართველოს რომელსამე კუთხეში, მაგრამ აუცილებელიც არის და შესაძლებელიც მისი კონტექსტით მიწოდება. ერთ-ერთ სტატიაში იგი წერს: ერთმა იმერმა ჩვენის თხოვნით გულდადებით გადაიკითხა „დედა ენა“, დაგვისახელა იმერელთათვის გაუგებარი სიტყვები და ჩვენ ისინი, საცა კი შეიძლებოდა, შევცვალებოდა, შემცვალეთ იმისთანა სიტყვებზედ, რომელნიც იხმარებოდა იქით და აქეთ საქართველოში. კარგად ჩანს, რომ ი. გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებში შესატან ლექსიკურ ერთეულებს გულდასმით არჩევდა, რომლებიც გასაგები იქნებოდა ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ბავშვებისათვის და მარტივად შეჰქონდა კონტექსტში და სხვებისაგანაც მოითხოვდა მათ დაცვასა და გავრცელებას.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ამა თუ იმ სიტყვის სინონიმურ პარალელს და ტექსტშივე იძლეოდა მათ განმარტებას. როგორც დრომ აჩვენა, მისი მოყვანილი ლექსიკური ერთეულები ღირსეულად არის დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში.

მის სახელმძღვანელოებში კარგად გამოჩნდა ქართული ენის ლექსიკური მარაგის დიდი სიმდიდრე დარგობრივი მნიშვნელობითაც. ყოველივე ამით წარმოჩენილია მთელი მეურნეობის, ქართველი კაცის საქმიანობის თითქმის ყველა სფერო, რომლებიც დღესაც აქტიურად არის ჩართული ქართული ენის მოხმარების სფეროში.

ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე დედა ენის შექმნას, ქართულ სიტყვას, მის ფუნქციონირებას შესწირა. იგი თითქმის მარტო ებრძოდა რუსეთის ველურ იმპერიას, თავისი სამშობლოს ინტერესების დასაცავად, რომ ქართველს თავის მშობლიურ ენაზე წიგნი ჰქონოდა და სკოლა გაეხსნა. ეს მისი მხრიდან ეროვნული გმირობა იყო, რომელიც უკვდავი სახელმძღვანელოების შექმნით დაგვირგვინდა.

იაკობი თავისი დროის სახელოვან სამოციანელებთან ერთად დიდი ქართული ენის ახალი მებაირახტრეა, რომლის ღვაწლიც მზესავით ჩაუქრობელია.

ლიტერატურა:

1. დედა ენა, მეორე ნაწილი, შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ, თბ., 1912.
2. იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1982.
3. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997.
4. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University

LEXICAL-ETIMOLOGICAL TERMS ACCORDING TO IAKOB GOGEBASHVILI'S WORKS RESUME

Iakob Gogebashvili's text-books, all his works served to develop the Georgian language and its purity. He used to say „The language demands Constant development, Stop its growth and it will begin to stop, will get poor, old, will die together with its nation. But if you form a normal condition for its development, it will grow, flourish and enrich with forms and lexicology“.

In the second part of the book „Deda Ena“ (Mother Tongue), page 223 you can see an article by name „Kakheti“. Here is described the geographical description of Kakheti, a part of Eastern Georgia, its towns. So can be said about other parts of Georgia such as Guria and Samegrelo. The letter as Gogebashvili says another name as well – Odishi.

In the text-books by Iakob Gogebashvili we clearly see that each word given there has its concrete meaning. He pays great attention to the meaning of words. For the realization of words he widely uses synonyms and by means of them he gives the meaning of words which help children to understand the word correctly and truly. In the text-book after the fourth-fifth pages we can meet a conversation where the words are given by helping the synonyms. And there are given a number of examples to prove this statement for this purpose.

Iakob Gogebashvili was against using the words which were difficult to understand for children. He writes: „One of Imeretians, the residence of Imereti, West Georgia at our request, read the text-book thoroughly and named some words which would be difficult for the children, of Imereti to understand and we changed those words with the ones which the children would easily understood throughout Georgia. From this example we can judge that Gogebashvili chose the words thoroughly and tried to be understandable for children of West of East Georgia“.

Iakob Gogebashvili together with the great 60s was a distinguished public leader and defender of the Georgian language.

იზოლდა რუსაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლექსიკოგრაფიული საქმიანობა ქუთაისში XIX-XX საუკუნეების 20-იან წლებში

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების შედგენა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო. ლექსიკოგრაფიული მუშაობის წამოწყება, თავისთავადი აუცილებლობის გარდა, ქართული ენის ღირსებისა და უფლებების დაცვის ინტერესებითაც იყო განპირობებული და მიმართული იყო იმ რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის გატარებასაც 1881-1885 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელი მმართველი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი ცდილობდა.

პირველი, ვინც ლექსიკონის შედგენის პრინციპები შეიმუშავა, იყო რაფიელ ერისთავი. მან თავისი მოსაზრებანი ლექსიკონის შედგენის საკითხებზე გაზეთ “ივერიაში” (№144) 1880 წელს გამოაქვეყნა.

ამ პერიოდიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა ლექსიკოგრაფიული საქმიანობა. ქართველი ინტელიგენციის ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა ქუთაისმა.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული ქუთაისში XIX-XX საუკუნეების 20-იან წლებამდე გამოცემულ ლექსიკონებზე.

1887 წელს ქუთაისში ვ. ზედგენიძისა და პ. ფერაძის სტამბაში დაიბეჭდა “ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია”. წიგნი შეადგინეს და გამოსცეს XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისში ჩამოყალიბებული ქართული მწერლობის მოყვარულთა ჯგუფის წევრებმა: კირილე ლორთქიფანიძემ, თომა მთავრიშვილმა, სილოვან ხუნდაძემ, სიმონ ყიფიანმა, პლატონ კვიცარიძემ და სხვებმა. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ცნობილი პედაგოგი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ქართული მწერლობის მოყვარულთა ჯგუფის აქ ჩამოთვლილი წევრები, ყველანი, იყვნენ ქართულ გიმნაზიაში მოღვაწე ინტელიგენტები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საქველმოქმედო საზოგადოებაში.

“ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიას”, რომელიც 22 გვერდზეა გაშლილი, წამმდვარებული აქვს ს. ხუნდაძის ვრცელი წერილი “ქართული ენის მასწავლებელთა საყურადღებოდ”. ამ წიგნში თავმოყრილია ის ტერმინები, რომლებიც გამოყენებული იყო მაშინდელ გრამატიკულ ლიტერატურაში. ზოგი მაშინდელი ტერმინი დღესაც გამოიყენება. მართალია, ტერმინების უმრავლესობა თარგმნილია რუსულიდან ან რუსულის მემკვიდრით, მაგრამ შესატყვისები ზუსტად აქვთ მიწერილი. “ ამ წიგნში მოცემულია ენათმეცნიერული ტერმინები დეფინიციის გარეშე რუსული შესატყვისებით,” – წერს პროფ. რ. შამელაშვილი.

“ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია” გრამატიკის დარგების მიხედვით არის დაყოფილი: ეტიმოლოგია და სინტაქსი. I ნაწილში ვხვდებით ისეთ ფონეტიკურ ტერმინებს, როგორიცაა ხმოვანი, თანხმოვანი, ხორხისმიერი, სასისმიერი, ენისმიერი, კბილისმიერი, ყრუ, მაგარი, რბილი, სისინა, შიშინა. შემდეგ ჩამოთვლილია ცხრა მეტყველების ნაწილი. დასახელებული არ არის ნაწილაკი.

სინტაქსში შეტანილია წინადადება, წინადადების როგორც უმთავრესი, ისე მეორეხარისხოვანი ნაწილებიც. აქვე საუბარია წინადადების შედგენილობაზე, დამოკიდებულ წინადადებათა სახეებზე, სიტყვათა შეკავშირების სახეებსა და სხვა. ცალკეა გამოყოფილი თანასწორი და უთანასწორო წინადადებები.

“ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია” დაცულია რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკაში, თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში, სალტიკოვ – შჩედრინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, სანკტ – პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

“ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია” ვრცლად გაანალიზებული აქვს ლეილა კვანტალიანს (იხ. ლეილა კვანტალიანი, სილოვან ხუნდაძის გრამატიკული შრომები, თბ., 2009, გვ. 4-8).

1910 წელს ქ. ქუთაისში, ივ. კილაძის სტამბაში, გამოიცა პეტრე ჭარაიას “დედაენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება”.

პეტრე ჭარაია ქართული კულტურის დიდი მოჭირახულე იყო. მისი მოღვაწეობა მრავალ სფეროს მოიცავდა. მან სახელი გაითქვა, როგორც სახალხო განათლებისათვის დაუღალავმა მებრძოლმა, ეთნოგრაფმა, ისტორიკოსმა, ფილოლოგმა, ლექსიკოგრაფმა, მთარგმნელმა. ის იყო ცნობილი პედაგოგი, მშობლიური ენის სიწმინდისათვის მებრძოლი, საზოგადო მოღვაწე. დიდია მისი დამსახურება ქართველური ენების კვლევის საქმეში. პეტრე ჭარაიას ენათმეცნიერულ შრომებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ზემოთ დასახელებულ ლექსიკონს, რომელიც 54 გვერდია და არის იაკობ გოგებაშვილის “დედაენის” ლექსიკონი. ძირითადად განკუთვნილია სამეგრელოსა და სამურზაყანოს სკოლებში მომუშავე პედაგოგებისა და მათი მოსწავლეებისათვის. აქ 800-მდე ქართული სიტყვა ავტორს განმარტებული აქვს ქართულადვე გასაგებად. ზოგ გაუგებარ სიტყვას კი მიწერილი აქვს მეგრულად.

ავტორი წერს, რომ ყველა სიტყვა (“დედა ენა” შეიცავს დიდ ლექსიკურ მარაგს), რომელიც გამოყენებულია “დედა ენაში”, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ქართველისათვის ერთნაირად გასაგები არ არის. ამან განაპირობა ასეთი წიგნის შექმნა. გარდა ამისა, სამეგრელოსა და სამურზაყანოს იმ სოფლის მასწავლებლებს, რომლებსაც განათლება მიუღიათ ისეთ სასწავლებლებში, სადაც ქართულად არ ასწავლიდნენ, საკმაოდ უჭირთ “დედა ენის” ლექსიკური მარაგის რიგიანი ახსნა-განმარტება სკოლებში. მართლაცდა, როცა დასაშვები გახდა შრომა მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელების მისაღწევად, უამრავი წინააღმდეგობა აღიმართა ქართველ მოღვაწეთა წინაშე. სრულიად მოუშადადებელი იყო ერი ეროვნული სწავლების შემოღებისათვის. არ იყო სახელმძღვანელოები. არ იყვნენ ეროვნული განათლების მქონე პირები. “მთელს საქართველოში ერთი მასწავლებელი არ მოიძებნება ისეთი, რომელსაც ეროვნული განათლება მიეღოს და მაშასადამე, ძალუძს მოსალოდნელ ეროვნულ სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლების წარმოება”, – წერდა ჟურნალი “განათლება” (1910, №10, გვ. 495) სტატიაში “თანამედროვე გიმნაზიები ჩვენში”. 1971 წლის 13 თებერვალს გაზეთ “ქუთაისში” აღნიშნულ ლექსიკონთან დაკავშირებით სტატია “ქუთაისში გამოცემული ერთი უნიკალური წიგნი” გამოქვეყნებული აქვს პროფ. რაფიელ შამელაშვილს, რომელსაც ორი მაგალითი მოჰყავს იმ სიტყვებიდან, რომლებიც ასახსნელად აქვს აღებული წიგნის ავტორს. დავიმოწმებ ერთ-ერთ მაგალითს. ერთ-ერთი სიტყვაა “სერი”, რომელსაც საქართველოში ყველგან გორაკის მნიშვნელობით ხმარობენ, მაგრამ სამეგრელოში ეს სიტყვა ღამეს ნიშნავს. ძველ ქართულშიც ის დაღამებას, ვახშობას (სერობას) ნიშნავდა, მაგრამ იმდროინდელ რუსულ სკოლაში აღზრდილ და ქართულის ცოდნაში გაუწვრთნელ მეგრელ თუ აფხაზ მასწავლებელს იმდენი ცოდნა სად ჰქონდა, ამიტომ ფრაზაში “სერზე მიდის სამი მგელი”, ბავშვებს “სერს” ასე უხსნიდნენ: ღამით მიდიოდა სამი მგელიო. მართლაც მეგრულში ხომ სერი ღამეს ნიშნავს. ამგვარი კურიოზები საკმაოდ გვხვდება იმ პერიოდის სკოლის პრაქტიკაში.

აქედან გამომდინარე, სწორად აულია პეტრე ჭარაიას იაკობ გოგებაშვილის “დედა ენიდან” ასახსნელად სიტყვები, რომლებიც ნამდვილად საჭიროებდნენ გაანალიზებას.

პეტრე ჭარაიას “დედა ენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება” დაცულია ქუთაისში ისტორიულ მუზეუმსა და ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. აგრეთვე, ლენინის სახელობის საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ სააზიო მუზეუმის ბიბლიოთეკაში, სანკტ-პეტერბურგში.

პეტრე ჭარაიას “დედა ენის ზოგიერთ სიტყვათ განმარტება” განმეორებით დაიბეჭდა ისევ ქუთაისში 1918 წელს ივ. კილაძის სტამბაში.

1916 წელს ქ. ქუთაისში წიგნის გამომცემლობა “ამხანაგობამ” (თომა მთავრიშვილის გამოცემა) დაბეჭდა ვასილ წერეთლის “ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით”. თვით იოვანე პეტრიწს უთარგმნია ბერძენი ნემესიოს ემესელის წიგნი “ზუნებისაგან კაცისა”, რომელიც 1914 წელს გამოსცა ს. რ. გორგაძემ და დაურთო მას ლექსიკონ-საძიებლები. წიგნი ნემესიოს ემესელს შეუდგენია IV საუკუნის II ნახევარში. იმ პერიოდისათვის ეს წიგნი ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ადამიანის ზუნებისა და მედიცინის საფუძვლების დაუფლებისათვის. შემდეგ უთარგმნია ის იოვანე პეტრიწს და XX საუკუნის დასაწყისში ამ წიგნიდან ამოკრებილი ტერმინოლოგიით შეუდგენია ლექსიკონი ვასილ წერეთელს.

ვასილ წერეთლის წიგნი 48 გვერდია. ის დაცულია თბილისის საჯარო და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში (ქართული წიგნი, ტ. I, 1629-1920, თბ., 1941, №5003). ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი ინახება ინახება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. ამ წიგნს აქვს მეორე გამოცემა. ისიც ქუთაისშია დაბეჭდილი გამომცემლობა “მერანის” მიერ 1919 წელს, სტამბა მ. ხელაძისა. ინახება თბილისის საჯაროში, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გოგებაშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში (ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, დამატებითი ნაკვეთი, ტ. I, თბ., 1969, №631).

ვ. წერეთლის აღნიშნული წიგნის 1916 წლის გამოცემის შესახებ არსებობს რ. შამელაშვილის რეცენზია: “ქუთაისში გამომცემული კიდევ ერთი წიგნი”, რომელიც მოთავსებულია გაზეთ “ქუთაისში” (1971, 26 მაისი, №105, გვ. 3).

ამ წიგნს ახლავს ავტორის, ვ. წერეთლის, წინასიტყვა.

1916 წელს გამომცემული წიგნი, რომელიც დაცულია ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, დაზიანებულია. აკლია მე-16 და მე-17 გვერდები. ამიტომ ამ წიგნში მხოლოდ 956 განსამარტავი სიტყვა დადასტურდა. ყოველი მათგანი ალფავიტზეა დალაგებული და მიწერილი აქვს შესაფერისი სიტყვა რუსულად.

ლექსიკონში მოთავსებულია ფილოსოფიური, სამედიცინო, არითმეტიკული, გეომეტრიული, ფსიქოლოგიური, ასტრონომიული, ფიზიოლოგიური ტერმინები.

იმიტომ, რომ ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარება ეროვნული ტერმინოლოგიის საკითხს აყენებდა, ვ. წერეთელს იოვანე პეტრიწის ნათარგმნი ბერძნულიდან მომდინარე ტერმინებისათვის ალაგ-ალაგ ახლანდელიც დაუპირისპირებია, რომ ძველი თანამედროვე საჭიროების მიხედვით შეეცვალა და შეესწორებინა. ავტორი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინების შექმნას, დახვეწასა და დამკვიდრებას.

ვასილ წერეთლის მიერ გამომცემულმა ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებას.

1919 წელს ქუთაისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში (გამოცემა “განათლების” ამხანაგობისა), დაიბეჭდა ექიმ ევსევი გიორგის ძე ლოსაბერიძის მიერ შედგენილი “საექიმო მეცნიერების ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონი”. ამ წიგნში მოცემულია მასალები საექიმო და საზუნებისმეტყველო ტერმინოლოგიისათვის. წიგნი 80 გვერდია.

წიგნი დაცულია პალატაში, – მითითებულია ქართული წიგნის დამატებით ნაკვეთში, ტ. I, გამომცემლობა “განათლება”, 1969, გვ. 76.

წიგნის ერთი ეგზემპლარი საკუთარ მფლობელობაში აქვს ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორს, ბ-ნ მერაბ კეზევაძეს.

ლექსიკონი ორენოვანია. ამასთანავე განმარტებითიცაა, რადგან ქართულ სიტყვებს გადათარგმნამდე ახლავს ახსნა ქართულადვე.

წიგნს ბოლოს ერთვის ავტორის მცირე მოცულობის წერილი, სადაც ე. ლოსაბერიძე ამ ლექსიკონის შექმნის აუცილებლობის შესახებ მოუთხრობს მკითხველს.

ლექსიკონი იმითაც არის საყურადღებო, რომ ბევრ შემთხვევაში ინახავს ეროვნულ ტერმინოლოგიას. აქ კარგად ჩანს ამა თუ იმ დაავადების სახელი ტერმინის ჩამოყალიბებამდე. ასეთი ტერმინებია: მხოტრავი, საორმოცო, საოფლე, ჭყურტი, შეუვალობა, ქანაწიპი, ნაჭდევი, მთვრალობისაგან გამონიჭება და ა. შ.

ამავე ლექსიკონში სამედიცინო ტერმინოლოგიის გარდა ვპოულობთ მასალებს საზუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან. აქვეა ქიმიური და გეოლოგიური ტერმინებიც.

ამ ლექსიკონში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა ამდიდრებს ქართული ენის ლექსიკის ფონდს, მედიცინისა და ზუნებისმეტყველების სიტყვიერ მარაგს. ამავე დროს შთამომავლობას

უნახავს ეროვნულ ტერმინოლოგიას მედიცინის კუთხით. ეს წიგნი საჭირო და აუცილებელია დარგობრივი ტერმინოლოგიის ისტორიის შესასწავლად.

ევსევი ლოსაბერიძის “საექიმო მეცნიერების ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონი” განმეორებით 2009 წელს გამოსცა ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, იზოლდა რუსადემ, რომელმაც ამ წიგნს დაურთო წინათქმა და ექიმ ევსევი ლოსაბერიძის ცხოვრების გზა (ფოტოსურათებით). წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

ამგვარად, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე ქუთაისში გამოიცა ოთხი ლექსიკონი. ამ ლექსიკონების გამოცემით ქუთაისის ინტელიგენციამ, რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელთა საწინააღმდეგოდ, დაამტკიცა, რომ ქართულ ენაზე მეცნიერების სხვადასხვა დარგში იყო ტერმინოლოგია.

ამ ლექსიკონებს დღეს მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვთ, რადგანაც ისინი დღევანდელი აკადემიური ლექსიკონების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენენ. თავის დროზე ამ ლექსიკონებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველი ახალგაზრდების აღზრდის საქმეში და, გარდა ამისა, სახელმძღვანელოებთან ერთად ლექსიკონების შედგენა ეროვნული მოძრაობის გამარჯვების საწინდარიც იყო.

ლიტერატურა:

ევსევი ლოსაბერიძე, საექიმო მეცნიერების რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი, ქუთაისი, 1916.

ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია ქართული სიტყვიერების მოყვარულთაგან შედგენილი და გამოცემული სილოვან ხუნდაძის წინასიტყვაობით, ქუთაისი, 1887.

შამელაშვილი რაფიელ, ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1975.

წერეთელი ვასილ, ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ქუთაისი, 1916.

ჭარაია პეტრე, დედა ენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება, ქუთაისი, 1910.

Izolda Rusadze *Akaki Tsereteli State University* **FEST PUBLISHED DICTIONARIES IN KUTAISI** **(XIX CENTURIES, EARLY TWENTIES)** **RESUME**

Four dictionaries were published in Kutaisi from the end of nineteenth till the beginning of twentieth century.

Today, these dictionaries have only historical value, still they carry fundamental function for recently issued dictionaries.

In their time these books played a big role in upbringing young generation.

ნათელა ფარტენაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთი ძველი კავშირის შესახებ თანამედროვე ქართულში

ბოლო პერიოდში ქართულ დისკურსში გამოიკვეთა ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი კავშირის – „**რამეთუ**“ მოჭარბებული და ზოგჯერ უჩვეულო გამოყენების შემთხვევები, ეს განსაკუთრებით ხშირია საჯარო გამოსვლებსა და პუბლიცისტურ ტექსტებში, რომელთა მიზანია მსმენელზე ემოციური ზემოქმედება. „**რამეთუ**“–ს თანამედროვე ქართულში იყენებენ ძირითადად **რადგან** და **რომ**, იშვიათად, **ვინაიდან** კავშირების ნაცვლად.

რამეთუ/რომ: ჩემს გამოსვლებში არაერთხელ აღმინიშნავს და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, **რამეთუ** ერთეული პიროვნებების დაპირისპირებამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა; მისთვის

წარმოდგენილი ფაქტია, **რამეთუ**, მისი აზრით, ახალგაზრდებშია ახალი ძალა; მადლობა ბიძინას, **რამეთუ** ბედნიერი ბავშვობა გვაქვს!... საზოგადოებას შეიძლება გაუჩნდეს პრეტენზია, **რამეთუ** პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ამაღლდეს...

რამეთუ//რადგან: გმადლობთ, **რამეთუ** თქვენი მჭვრეტეველური სტრიქონებით გაგვახსენეთ ისინი...; დანიშვნა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში შეუძლიათ, **რამეთუ** არასაარჩევნო დროს ამისთვის არ სცალიათ; ის აზრიც გამოვთქვი, რომ პრეზიდენტი და მთავრობა სასახლეში უნდა გადასულიყვნენ, **რამეთუ** ეს ყველას სურვილია; აუცილებლად იაქტიურეთ, **რამეთუ** ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა; ...იმსახურებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, **რამეთუ** გულწრფელია; ეს მტკნარი სიცრუეა, **რამეთუ** საეკლესიო კანონების უბეში დარღვევაა; ეს პროაფხაზური მიდგომა იყო, **რამეთუ** ომის შეჩერება მათ უფრო აძლევდა ხელს; არ ვერჩი სტატიის ავტორს, **რამეთუ**, ვფიქრობ, რომ იგიც ადამიანია; მე ამის სურვილი არ გამაჩნია, **რამეთუ** ძალიან მიყვარს მოულოდნელი კითხვები; მეტყველების დისკურსი უნდა შეცვალოს გრამატიკამ, **რამეთუ** ის გრამატიკა ამას უნდა ითვალისწინებდეს; თანამედროვე პოლიტიკაში, უბრალოდ, ძნელია ამ კითხვაზე პასუხი, **რამეთუ** არ არსებობს ზუსტი განმარტება...; განაწყენებულმა ჯაფარიძემ უარი თქვა ელჩობაზე, **რამეთუ** ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი აზრსაც არ გამოთქვამს; ცუდი არაა, **რამეთუ** დემოკრატიული მოდელის კოპირებაა, მაგრამ არც სიახლე, განსაკუთრებით კი ბიზნესის...; რეგიონებში სიტუაცია რთულადაა, გამოსავალი ვერ ვნახეთ, **რამეთუ** მთავრობას უფლება არ აქვს ჩაერიოს ადგილობრივ თვითმმართველობებში; ვანო ამტკრევს ღია კარს, **რამეთუ** დახურულის შემტვრევის თავი აღარ აქვს...

რამეთუ//ვინაიდან: თავს უფლებას ვაძლევ, **რამეთუ** ვერ ვნახე ღირსეული შეფასება ვერცერთი ჟურნალისტისგან; სიტყვა გეკუთვნით თქვენ, **რამეთუ** თქვენი დავიწყეთ; ახალი ორგანიზაციის ყურადღების ცენტრი იქნება ეკონომიკა, **რამეთუ** საზოგადოების ხერხემალი გახლავთ მაღალი პროფესიის მქონე, დასაქმებული მოქალაქე; საჭიროა დაფუძნდეს არასამთავრობო ორგანიზაცია, **რამეთუ** მათი დიდი ნაწილი ფინანსდება...

მოყვანილ მაგალითებში „**რამეთუ**“ გამოიყენება **რომ**, **რადგან**, **ვინაიდან**... კავშირების ნაცვლად. ზოგჯერ კი საერთოდ არ შეესაბამება ფრაზას. მაგ.: გიგი უგულავა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭს იყრის, **რამეთუ** მთელმა საქართველომ იცის მისი ბიზნესების „კავშირების“ ამბავი; მე მინდა ჩაგვეკითხოთ, **რამეთუ** არის თუ არა ეს ღალატი; ვკითხე, რის საფუძველზე ასკვნით, **რამეთუ** არცერთ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა; თქვენ გაქვთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა, **რამეთუ** ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ...

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **რამეთუ** კავშირის ხმარებისას ნაკლებად, მაგრამ მაინც იკვეთება ქართულ ენაში გავრცელებული საერთო ტენდენციის ერთი ასპექტი – მიზეზისა და მიზნის აღრევა. „**რამეთუ**“ გვხვდება მიზნის გამომხატველ კონსტრუქციებშიც: კარების მტვრევა მიდის, **რამეთუ** ვიღაცებს პირადული წარმოჩენა სურთ; ჩვენ მედიის ხარისხის ამაღლებას შევუწყობთ ხელს, **რამეთუ** არსებული ჟურნალისტები იგრძნობენ ყურადღებას; ჩვენ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა უნდა შევიძინოთ, **რამეთუ** ჩვენი სამშობლოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ; განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი შეხვედრა, **რამეთუ** რამდენიმე კვირის შემდეგ ერთი წელი უსრულდება ჩვენს ხელისუფლებას;

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ეს ტენდენცია სრულიადაც არ არის გამართლებული და აუცილებლობით გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფორმები თითქმის არ გვეხვამის ცოცხალ მეტყველებაში, ჩვეულებრივი საუბრის დროს (სასაუბრო სტილში), ის უფრო მეტად პოლიტიკური და მედია დისკურსისთვის არის დამახასიათებელი (პუბლიცისტურ სტილში). როგორც ჩანს, ამგვარ ფრაზებს შთაბეჭდილების მოსახდენად იყენებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „**რამეთუ**“ ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი კავშირია. აღნიშნული კავშირი ქველ–ში ასეა განმარტებული: „**რამეთუ**“ – რადგანაც, ვინაიდან, იმიტომ, რომ, იმის გამო, რომ... (ქველ, ტ. VI, 362). ილია აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ კი ასე განმარტავს: „**რამეთუ**“ – რომ, რადგან, ვინაიდან... (1973, 345). ალ. ღლონტისა და მ. კეკელიძის ნაშრომებში დასაბუთებულია, რომ **რამეთუ** უნდა ვიხმაროთ მხოლოდ **რადგან** კავშირის ფუნქციით (ღლონტი, 1984, 37).

შ. მიძიგური (მიძ., 1959: 332) **რამეთუ** კავშირის სამ ძირითად ფუნქციაზე (1. ობიექტური, 2. მიზეზობითი, 3. განსაზღვრებითი) საუბრობს და აღნიშნავს, რომ მისი გავრცელების არე მხოლოდ ძველი ქართულია. ავტორი წერს: „მიზეზობითი კავშირი „**რამეთუ**“ დამახასიათებელია ძველი სალიტერატურო ენისათვის ყველა ტიპის ზმნასთან... ჰე, უფალო, შენ ხიცი, **რამეთუ** მიყუარ შენ...; იცოდეს, **რამეთუ** უფალი თვთ იგი არს; ... და ვითარცა ესმა, **რამეთუ** არქელაოს მეფობს ჰურიასტანსა...“. აქვეა მოყვანილი უამრავი მაგალითი ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლებიდან. ავტორი აღნიშნავს, რომ „კავშირი „**რამეთუ**“ საშუალო ქართულისათვის არაა დამახასიათებელი, მიუხედავად

იმისა, რომ იგი შესაძლოა შეგვხვდეს უმთავრესად სამეცნიერო ენაში“ (მიდიგური, 1973, 179). აღნიშნული კავშირი კარგად ესადაგებოდა ძველი ქართულის ლექსიკასაც, სინტაქსსაც და სტილსაც. ის ძველი ქართულისთვის ბუნებრივიც და აუცილებელიცაა. რისთვის და რა მიზნით იყენებენ ახალ ქართულში არქაიზმებს? მათ განსხვავებული ფუნქცია ეკისრება მხატვრულ ლიტერატურაში. არქაიზმს მწერალი წარსული დროის აღსადგენად, მისი კოლორიტის შესაქმნელად მიმართავს. „არქაიზმი მწერალს იმაში ეხმარება, რომ დაკარგული თუ მოძველებული საგნებისა და მოვლენების სპეციფიკა და მათი დრო უფრო მკვეთრ ფერებში ასახოს და მკითხველს გაუადვილოს ასახული ეპოქისა და მოვლენების ცხოველმყოფელი აღქმა“ (ზანდუკელი, 1960:220). იქმნება თუ არა არქაიზმის გამოყენების აუცილებლობა სასაუბრო მეტყველებაში? ნებისმიერი ლექსიკური ერთეულის, მხატვრული ხერხის, გამოყენების საჭიროება დგება მაშინ, თუ მას ეკისრება სტილისტიკური ფუნქცია. არქაიზმს იყენებენ მაშინაც, როცა არ იციან მისი ახალქართული შესატყვისი. აქ აღნიშნული ნიუანსი არაა გასათვალისწინებელი, თუმცა, მთქმელს ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ მისთვის მთავარია შთაბეჭდილების მოხდენა, ექსპრესიულობა, ემოციურობა. ამას კი ხშირად მივყავართ მნიშვნელობის გაფართოებამდე და გაბუნდოვნებამდე კი, რასაც ეწირება სემანტიკა.

ბატონმა თამაზ ებანოიძემ თანამედროვე ქართულში გამოყო ორი უფრო ე.წ. „ჩამძირავი“ სიტყვებისა და ხომ არ შეიძლება გავაფართოოთ აღნიშნული ორი უფრო და კავშირსაც მივცეთ ექსპრესივის კვალიფიკაცია. „ექსპრესივები პრესის ენაში ხშირია და ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, ყოველთვის ვერ არის დაცული ზომიერება მათს გამოყენებაში და არაა გათვალისწინებული სიტყვის სემანტიკური შესაძლებლობანი. ამდენად, სათქმელის „მხატვრულად“ გადმოცემისა და მკითხველზე თუ მსმენელზე ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენის ცდა ამაოა“ (ღვინაძე, 1980:19).

აქვე ისმება კითხვა: საერთოდ არ უნდა გამოვიყენოთ ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი კავშირი ახალში? – მხოლოდ თავის ადგილას და საჭიროების შემთხვევაში, როცა ძველ ეპოქასა და ძველ ტექსტებზე ვსაუბრობთ, ან იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნულ კავშირს სტილისტიკური ფუნქცია გააჩნია.

ძველი ქართული ენის მარაგიდან ამა თუ იმ სიტყვის შემოტანა და აქტიურად გამოყენება მაშინ არის გამართლებული და მისაღები, როცა ის არსებული სინონიმების მარაგს ამდიდრებს და მეტყველებიდან არ დევნის ახალს. ჩვენს შემთხვევაში „რამეთუ“ ენაცვლება „ვინაიდან“, „რადგან“, „იმიტომ, რომ“... კავშირებს და ეს მოწინააღმდეგეობა ზოგჯერ იმდენად ხელოვნურ ხასიათს ატარებს, რომ მას ენისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

ლიტერატურა:

1. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონში, თბ., 1973.
2. ქეგელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960.
3. ლლონტი ალ., ისევ „რამეთუს“ გამო: ჟურნალი „დროშა“, 1984, №4.
4. თ. ღვინაძე, ლექსიკურ ნორმათა დარღვევები თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, წიგნი მესამე, თბ., 1980.
5. მ. ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ., 1960.
6. შ. მიდიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973.
7. შ. მიდიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბ., 1959.

Natela Partenadze

Batumi Shota Rustaveli State University

THE OLD CONJUNCTION „რამეთუ“ (BECAUSE, BECAUSE OF) IN MODERN GEORGIAN LANGUAGE RESUME

The usage of a conjunction „რამეთუ“ (because, because of), peculiar to the Old Georgian, has become more frequent recently. A speaker uses it to tell something too important or just to show off himself. This tendency is neither justified nor caused by necessity. It should be noticed that such forms are typical to the speech of journalists, politicians and famous people while having official speeches or interviews.

The Old Georgian conjunction „რამეთუ“ corresponds to „ვინაიდან“, „რადგან“, „იმიტომ, რომ...“, „იმის გამო, რომ...“ (because, because of, as if) in the Modern Georgian. The transference of any word from the Old Georgian into the Modern Georgian and its active usage are justified and accepted only when it enriches the existing stock of synonyms and does not substitute the new ones. In our case „რამეთუ“ replaces the conjunctions „ვინაიდან“, „რადგან“, „იმიტომ, რომ“... and conveys such an artificial character that it harms the language.

ქართული ენისა და კულტურის კუნძულები მეთურქულე კლარჯეთში

ისტორიული კლარჯეთის ერთი ნაწილი მექართულეა, მეორე - მეთურქულე¹.

მექართულე კლარჯეთში, - მურღულის, დევსქელის, ქლასკურის ხეობები, ბორჩხა, ხეზა, მარადიდი (ზემო და ქვემო), კირნათი, მირვეთი გადარჩენილია ქართული ენა და ქართული კულტურის სხვა ნიშნები: მეურნეობა, ტრადიციები, მატერიალური კულტურის ძეგლები...

მეთურქულე კლარჯეთში დაკარგულია ქართული ენა, მასთან ქართული კულტურის სხვა ელემენტები, თუმცა დაკვირვებული თვალი აქაც შეამჩნევს ქართველი კაცის ნაკვალევს, კერძოდ:

1. ქართულ ლექსიკას მეთურქულე კლარჯეთა თურქულ მეტყველებაში;

2. ქართულ ტოპონიმებს, რომელიც კლარჯეთის მკვიდრი მოსახლეობის ლექსიკის აქტიური ნაწილია;

3. ქართულ ფენას აქაურთა ყოფაში;

4. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომლებიც მეთურქულე კლარჯეთში მრავლადაა...

ქვემოთ შევხებით ქართული ენისა და კულტურის „კუნძულებს“ მეთურქულე კლარჯეთში².

* * *

17 აპრილს კარჩხალას ხეობაში ავიარეთ. აღვნიშნავთ, რომ კარჩხალას ხეობა ზოგადად მეთურქულეა, ქართულად მოლაპარაკეა ოდენ ხეობის ბოლო სოფელი - **კარჩხალა** (ახლა - ჩერმუქი), სადაც სახლობენ ბაზგირეთიდან (იმერხევის ხეობის ზემო სოფელია, გამეშეთს ქვემოთ) გადმოსახლებული თორმეტი ოჯახი. არც კარჩხალა და არც ჩერმუქი არაა დატანილი კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე (პაგირევი, 1913).

ისმაილ სარიშმა გვიმასპინძლა თავის ოცი წლის ვაჟთან, მასინთან ერთად.

ისმაილ სარიში გვეუბნება, რომ მისი ძველი, ქართული გვარი **სარიშე** ან **სალარიშეა**. ჩანს, აღნიშნული გვარ-სახელი გვიანაა „შერქმეული“, „გვიანაა მონახული“, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია აქაური კაცის ეროვნული იდენტობის შესაფასებლად. უპირველესად ამ მეთურქულე ხეობის გეოგრაფიული სახელები გვაინტერესებს: **ნახრაკი, ბრანზგა** (<ბრანძვა?!), **შუა ვერხვები, ნალიები³, ზემო ყანა, პატამ (პაწამ ყანა), ჯანჯირი ღელე/ჩიქუნეთი ღელე/კარჩხალა ღელე, კარზე ყანა, ეზო (დერეფანი), შაინ ახო, კახაბერი, ნაყორავი, მერე, გოგა, დიდვენახი, ვერანა ზაღები, ხაროთი/ხაროტი, წყაროსთავი.**

ჯანჯირი ღელე/ჩიქუნეთი ღელე/კარჩხალა ღელე სამი ჰიდრონიმი დაგვისახელეს ერთი მდინარის თუ ხეობის აღსანიშნავად. საქმე იმაშია, რომ როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, აქაც მდინარეებს სახელი არ აქვს, ამიტომაც მდინარეს თუ ხეობას არქმევენ იმ სოფლის სახელს, რომელსაც ჩამოუდის, ან მთის სახელს, საიდანაც მდინარე იღებს სათავეს. ამიტომაც დაერქვა ერთ მდინარეს სამი სახელი: **ჯანჯირი მაილა** და **ჩიქუნეთური მაილა** ის სამოვრებია, რომელთაც ჩამოუვლის აღნიშნული მდინარე, ხოლო **კარჩხალა**, როგორც აღვნიშნეთ, ხეობის თავი სოფელი.

ყურადღებას იქცევს ასევე ტოპონიმი **მერე**. ივარაუდება, რომ იგი უკავშირდება გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნახსენებ **მერეს**, სადაც განთავსებული იყო დედათა მონასტერი. დღეს მხოლოდ გეოგრაფიული სახელია დარჩა. დედათა მონასტრის კვალი მთლიანად წაშლილა. ბარემ ვიტყვი, რომ

¹ ტერმინები **მექართულე, მეთურქულე** ჩვენია, შემოვიღეთ იმის აღსანიშნავად კლარჯეთის ამ ნაწილში შენახულია თუ არა ქართული ენა.

² სტატიაში გამოყენებულია 2014 წლის 17-20 აპრილს ართვინის გუბერნიაში სავლე ქესპედიციის დროს შეკრებილი მასალები. ქესპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: პროფესორი მამია ფაღავა, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი მახარაშვილი, მემედ ალი ქესკინი (ბისონიძე), ბსუ დოქტორანტი, წარმოშობით შავში, ბაზგირეთის ზემო უბნიდან, გამეშეთიდან.

³ ისმაილ სარიში რამდენიმე საინტერესო შენიშვნას მოაყოლებს ჩამოთვლილ ტოპონიმებს: ნალიები - „**წულდია ქი ღვარ, დამწალა ნალიები**“. ამ ტოპონიმის შესახებ სხვა დროს სხვა ინფორმატორისაგან ჩავიწერეთ ასეთი გადმოცემა: „**მარტო ჩვენი მაილის იქეთიდან და ხემწრული მაილის უკნეიდან ერთი ჩვენი რუ არი, იმის წინეიდან თორმეტი ცალი ფევი არი (სახლი ჩასადგამი ალაგები). ეიდა, გაგონილი გვაქ: ჩხოვობიხან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობია წასლიხან, ამოსლიხან ღვიორო დევნახო, ყურბანიდა დავეკლო... ავა ქი, ღმერთის თერეფიდან ემეი არ დაფარებულა, ისევ ანთია... მაშინ ტილობა ბევრი იყო. ამოიღო უბიდან ტილი და ავა ყურბანიო და... ღმერთსა ეწყინა და... აბა ღმერთი ხომ თვალში თით არ გკრავს. წამოიღენ. მემრე ზამთარში წამოვდა ქარიშხალი და ერთი ბუქი და წამეიღო ისინი და ევი ღელეში ჩეიტანა. დარჩა ფეგები**“ (იხ. შავშეთი, 2011:499).

კარჩხალას ხეობა ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ აქ ფეოდალურ ხანაში რამდენიმე სამონასტრო კომპლექსი დაარსეს, კერძოდ: *ხანძთა*¹ (ახლანდელი *ნუკას საყდარი*. იხ. მარი 2012; ფაღავა, 2007; ფაღავა, 2011), *მიძნაძორი*, *წყაროსთავი*. იქვე ახლოს მდებარეობდა *დაბა* და *ჯმერკი*, მთის უკან - *ფორთა*. მოგვითხრობენ, რომ ძველად ხეობა მჭიდროდ იყო დასახლებული, იმდენად მჭიდროდ, რომ თხა *ლეკობანში* ყავარზე (სახურავზე - ავტ.) რომ შეაგდეს, *დიდვენახამდე „ყავრიდან ყავარზე ხტომლით ჩასულა, იმდენი სახლი ყოფილა“*. ჩანს, ხეობაში დაწინაურებული იყო მევენახეობა, აქედან ღვინო გაჰქონდათ სხვა რეგიონებშიც. კარჩხალას ხეობაში გადიოდა საქარავნე გზა, დასტურად მდინარეზე დღემდე გადაჩენილი სამი თაღოვანი ხიდიც კმარა...

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ხეობაში სომხებს (ერმენებს) *თიხიანოზებს* ეძახიან, რომლებიც დაბლა ცხოვრობდნენ, სადაც *„საყურძნე ბაღებია“*.

შევნიშნავთ, რომ ამ კუთხის ქართველებში გავრცელებულია აზრი, რომ აქ ძველად ერმენები ცხოვრობდნენ, რომ ისინი მოსულები არიან. და მეორეც, სადაც „საყურძნე ბაღებია“, იქ სომხები ცხოვრობდნენ. ეს იმიტომ, რომ ყურძნთან ღვინო ასოცირდება, ღვინო/შარაბი კიდევ მიუღებელია მუსულმანისათვის...

შაინ ახოში ჩამოვედით. ქართული აქ აღარ იცინა. ჰილმი ავჯისთან გაგვგზავნეს, აქაურობის კარგი მცოდნეაო.

ჰილმის წინაპარი, ჩანს, ქართველი იყო. მას უჭირს ქართული ტოპონიმების სწორად გამოთქმა, თუმცა იცის ქართული გეოგრაფიული სახელები: *აქოფ* (იაკობი?), *ადალარი* (ადა - კუნძული), *საწუთხე დერესი*, *მალარა ბოღაზი*, *ნახრაკინ დერესი*, *სადათვია დერესი*, *დედამიან დერე*, *აკობინ ბაში*, *ნაშობინ დერესი*, *კაკლოვან დერე*, *ნაყორავი*, *გორგითავი*²; აღვნიშნავთ, რომ *კახაბერში* იგივე ტოპონიმის განსხვავებული ფორმა, - *გოგითავი* ჩავგაწერინეს (ეგრემ ჩელიქმა): შდრ. ქვემოთ - *გოგა* (*გოგა მაილა* ხუთვერსიანი რუკით. იხ. პაგირევი, 1913), ზემოთ - *გოგითავი*. ჩანს, გოგი უნდა იყოს სწორი ფორმა.

ეგრემ ჩელიქი (კახაბრელი) უკეთესად გამოთქვამს ქართულ სიტყვებს: *შაინ ახო*, *კაკლოვან*, *შაქუშეთი* (*//შაქუჩეთი*, ნუკას გამოღმა), *კარჩხლის ცხალ*, *დიდი ვენახი*, *ვერანა ბაღი*³, *ქილისელარ* (იგულისხმება *მიძნაძორი*), *ჯიბუხი*, *ნაშობ დერე*, *კაკლოვან სუ*, ზემოთ - *ჩერმუქი/ჩერმუკი*, ჩერმუქის მარჯვნივ - *ჩავლიეთი*. ეგრემმა ისიც იცის, რომ ფორთის ბაღებთან თამარა დედოფლის ქვაა: *„დედოფალის გზის ზემოდან ღელეა, იმას ზემო - ქვა“*. კარჩხალას ხეობელთა რწმენით, დედოფალი საჭმელს უზიდავდა მშენებლებს. აჟდაჲ (გველეშაპი) მივიდა, დედოფალმა დეინახა, გაქვავდა. ასე გაჩნდა აქ დედოფლის ქვა...

ეგრემი ამტკიცებს, რომ მისი წინაპრები ახალციხიდან არიან მოსული, ქართული არ იცის თავად, არც მისმა ბებიამ და ბაბუამ იცოდა. ჩვენთან საუბარში რამდენიმე ქართული სიტყვა გამოთქვა: *წყალი*, *გოგო*, *მომე*, *ახლა რა ვქნა?*

კარჩხალელთა მეხსიერებას შეუნახავს ქართული ყოფის ფრაგმენტები: იცინა, რომ ბერთა ყველაზე გვიან გამუსლიმანდა, მას შემდეგ, რაც *„ხეზრეთი ალი მოვიდა, ხმალი რომ დაჰკრა მთას და ხეობა გააკეთა, შეშინდნენ და გამუსლიმანდნენ“*. ბუნებრივია, ბერთელთა გამუსლიმანების ამბავში დროში დიდი ცდომილებაა, ხეზრეთი ალი მუხამედ წინასწარმეტყველის თანამედროვეა, მაგრამ ეს სხვა ამბავია. შიშით გამუსლიმანდა ბერთა, ერთი ფორთული გადმოცემით, შიშით გამუსლიმანდა თამარა დედოფალიც.

ვაგრძელებთ ქართული კუნძულების ძიებას მეთურქულე კლარჯეთში. 14 აპრილს ართვინი-იუსუფელის გზის 21-ე კილომეტრზე მარჯვნივ ავუხვიეთ და სოფელ *მელოში* ავედით. მელოს უბნებია: *გულდიბი/გაოლდიბი*⁴, *ნატაზრევ/ნატაზევ* (<ნატამრევი), *ბრინქი*.

ჯელალ ოზდემირი (30 წლის მელოელი) გვაწერინებს მელოს ტოპონიმებს: *სარსიხევ* (<ცარცხევი?), *შიქაშარ*, *ფეშვეთი*, *გურგანეთი*, *იმლიეთი*, *ქურდაზე* (<ქურდაძე?), *გორგოთი*, *ჩისხელხევ/ჩისლეხევ*, *ხოჯაგილი*, *აჯიგილი*, *აზნაური*, *ბაგათი*, *დოხჩინეთი*.

მოყვანილი ტოპონიმების უმეტესობა ქართულია, რამდენიმე (შიქაშარ, ხოჯაგილ, აჯიგილ) - თურქული.

მელოში ქართული არ იცინა, ბინათში ლაპარაკობენო ქართულად, გვაცნობეს თახსინ დემირჯიმ და ირქან ბექერმა, 36 წლის მამასახლისმა. კლარჯეთის ამ უბანში ქართულის მცოდნე სოფელი ჩვენთვის

¹ ტოპონიმი ხანძთა არ დასტურდება კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე. დატანილია გეოგრაფიული სახელი ხანძი (<ხანძი) ოლთისში (იხ. პაგირევი, 1913).

² აქ ეკლესია ყოფილა, ქვემოთ წყალი გამოდის ხმაურიანი. ეკლესიის კედლები შენახულია, ორ მეტრამდე იქნება. საყურადღებოა, რომ გორგითავი მერესთან ახლოსაა.

³ ხუთვერსიანი რუკით ნანგრევი ციხით. ვერანა ბაღებში ციხის ნანგრევები არაა, აქ *მიძნაძორის* მონასტრის ნანგრევებია.

⁴ *გულდიბი/გაოლდიბი* - ამოსავალი ფორმა უნდა იყოს *გაოლდიბი*, ტბის ძირი.

მნიშვნელოვანი სიახლეა. ჩვენი ვარაუდით, ამ კუთხეში ქართული დიდი ხანია აღარ ისმის. კიდევ რამდენიმე გეოგრაფიული სახელი ჩავიწერეთ: *წარო* (*წყარო?), *დეირმან ბაში* (<დედირმან ბაში - წისქვილის თავი), *ცინგარო* (*წინწარო<წინწყარო?), *ჯულაგეთი, ოქეჩა, ფეშლარი, დიდგაკე, ნადიკვარი, გირგოწინდა* (*გიორგიწმინდა?), *ფოსო, შარა, სოჩდიბი* (<სოჭდიბი?), *აზახლე*...

აქაურ ქართულ ტოპონიმთა აშკარად ეტყობა თურქული გამოთქმის კვალი, რაც ბუნებრივია.

მელოელთა თურქულში რამდენიმე ქართული სიტყვაც დავაფიქსირეთ: *მერეგი* (საბძელი. იხ. ნიჟარაძე, 1971), *გოდორი, ჯიმჭარი, ღაღო, ანწლი, ლეკი*... ბარემ ვიტყვით, რომ ქართული ლექსიკა (ზოგადად ქართული ელემენტი) ჭოროხის აუზის თურქულში (ზოგადად ყოფაში) ცალკე კვლევას მოითხოვს. ბუნებრივია, კულტურათა ხანგრძლივი დიალოგის შედეგად ქართული უკვალოდ არ გამქრალა, იგი დაილექა იდენტობადაკარგული ქართველობის ყოფაში. სწორედ ამის ძიებაა საჭირო სამომავლოდ...

მოვდივართ მელოდან, გეზს ბანათისაკენ ვიღებთ. „ბინათში ქართულად ლაპარაკობენო“ ჩაგვესმის თახსინ დემირჯის ხმა...

ართვინი-იუსუფელის გზის 24-ე კილომეტრზე მარჯვნივ „*დოქუზოდლუ*“ - ბინათის გადასახვევია. გზიდან ხუთ კილომეტრში მთის ფერდობებზე შეფენილი მოზრდილი სოფელია ბინათი.

ბინათში შუადღისას ავედით. შუადღის ლოცვა (ევლაჰ - ავტ.) ჯერ არ ელოცათ მორწმუნეებს, ჯამიკარზე შეკრებილნი ეხანს ელოდებოდნენ...

მივედით ბინათლებთან, გავცვანით. ავუსხენით ჩვენი აქ მოსვლის მიზეზი, ისიც ვუთხარით, არ ვფიქრობდით, ამ კუთხეში მქართულე სოფელი თუ იყო.

- *ჩვენთან ყველა ლაპარაკობს გურჯულად*, - მეუბნება კასიმ ერენი და გვთავაზობს, ძელსკაშზე ჩამოვსხდეთო.

ბატონი კასიმი გვაცნობს აქაურ ვითარებას:

- *იმხან ისე იყო. ჩვენზე პატარაები არ იციან [ქართული]. აქ მოსულა სამი ძმა ბევრი წინა, ბათუმიდან, საქართველოდან¹. ბოლქვაძე გვარი ბევრი არი, ჭედლიშვილი, ზალუმოღლი [არი]...*

კიდევ ერთი სიახლე გველოდებოდა, ამჯერად აქ, ბინათში: „*მთის უკან ქედა არი, ჭილჭიმი, ახალი ჯევიზლი*“.

- სად არის ჭილჭიმი? - ვეკითხები კასიმს.

- *იმ მთის უკან!* - ხელით მაჩვენებს მთას, სოფლის სამხრეთით.

შემატყო რა ჭილჭიმით (ჭიმჭიმით) დაინტერესება, განაგრძო: „*ზათენ ჭილჭიმი და ჩვენ - ძმები გაყრილან, ნახვარი აქ ჩამოსულან, ნახვარი იქ დამჩალა*.“

- ჭიმჭიმელები თუ თქვენი ძმები არიან, გამოდის, ისინიც ლაპარაკობენ ქართულად!

- *ძველი ბერები მოკდეს, ახლებმა არ იციან [ქართული]*, - მპასუხობს კასიმი.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. კარგა ხანია ამაოდ ვეძებთ ჭიმჭიმს. სხვადასხვა წყაროდან ვიცოდით, რომ ჭიმჭიმი ჭოროხის ხეობის სადღაც ამ უბანშია, მაგრამ სად, დღემდე ვერ მივაკვლიეთ.

დღეს აუცილებლად ვნახავთ ჭიმჭიმს...

- კასიმ ბატონო, აქაური ადგილის სახელები ჩამაწერინე რამდენსაც გაიხსენებ.

- *სოღმაზი კარი, მუსხოლი კარი, ქ/კ/აცი კარი, სხალათი (იმას კარი არ აქ - შენიშნავს კასიმი. შდრ. სხალთა), პეტეთკარი (პეტეტკარი - პეტრები ჩამოსულან აქ - მთქმელის შენიშვნა), შოგარა (მეზრე), ქარახელი (მეზრე), მურტიეთი (მეზრე), ჟომოსმანი (გამოსაზამთრებელი ადგილი), ბაირხა, პარტახი, ბაირამიანკარი, ჰაჯიანი კარი, ჭედლიანი კარი, საზამზე, კალოდელე, ტლავის წვერი, კაკლი დელე, ნაშალი ხევი, საპათხევი, რუითავი, საბზელოთი, ესკანთი, წითელარი...* ორმოცი და ათი სახლი ვართ აქ.

კასიმის მონათხრობიდან ჩანს, რომ ბინათის გადაღმა ყოფილა რუსეთ-თურქეთის საზღვარი:

- *ამ თერეფში ჩვენ ვყოფილვართ, ღელის იქეთვე ერმენები ყოფილან. აქ ერმენები ჩამოსულან. ყალე თურქების ყოფილა, გაღმა - რუსი ყოფილა. მელოს იქეთვე რუს ვერ მუუვლიან... ჭილჭიმ ყოფილა რუსი... რუსები ჩვენ, თურქებმა გავაქციეთ. ხალით ფაშა ყოფილა, ათათურქის კომანდარი ყოფილა...*

ამ პატარა ნაწყვეტში ბევრი საყურადღებო ნიუანსია, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით...

კიდევ ერთ ფაქტს მივაქცევ ყურადღებას, კერძოდ, კასიმის „ლინგვისტურ დაკვირვებებს“:

- *ქობაკის და ჩვენი ქართული სხვადა: ერთმანებ ეწყობა, ჰამა მაინც სხვაა: ამბობს მიხტები, შენ ვერ გითქვია. შავშური სხვაა, ბორჩხული სხვაა... ჩვენი შავშეთისას გავს... ჩვენ მეღებები ვართ: ნახვარი ქართული, ნახვარი - თურქი. ჰამა ტამარი ქართულია.*

საინტერესო საკითხს შეეხო რესპოდენტი. ქობაკი (ქობად, ქობად კარი) ტაოს მექართულე სოფელია. აქ მოსულებს, ბუნებრივია, გაგვიჩნდა კითხვა, ბინათი კლარჯული სოფელია თუ ტაოური? მართალია,

¹ ბათუმიდან მოსულანო ჩვენი წინაპრები ამბობენ ტაოშიც, სხვა კუთხეებშიც.

კასიმის „დაკვირვებით“ ბინათელთა მეტყველება „შავშეთისას გავს“, მაგრამ გამორიცხულია, ეს შავშური სოფელი იყოს.

ადგილობრივებმა არც ტაო იციან და არც - კლარჯეთი, შავშეთი იციან. მნიშვნელოვანია, სად გადიოდა კლარჯეთისა და ტაოს საზღვარი. ერთადერთი წყარო, საიდან სხვა აღმოჩნდება, ბინათელთა მეტყველებაა, მასზე დაკვირვებამ შეიძლება მოგვცეს დასკვნის საშუალება.

პირველადი დაკვირვებით ბინათი ტაოს უნდა მიეკუთვნოს. ამის თქმის უფლებას უპირველესად გვაძლევს „კარით“ ნაწარმოები ტოპონიმები, ისეთივე, როგორც ტაოში გვხვდება.

ტაო: *დეესაკარი, დიდი მთიკარი, დოლეკარი, ვაჩეკარი, კრავეკარი/კრაეკარი, ონორეთკარი, ტაშკარანი („ჭვის კარანი“), ცუცეკარი, წითლიეკარი/წითლეკარი, ჭედლიანკარი, ხუცეკარი*¹.

ბინათი: *სოლმაზიკარი, მუსხოლიკარი, ქქცაციკარი, პეტეთკარი, ბაირამიანკარი, ჰაჯიანკარი, ჭედლიანკარი...*

კარი აქ *ეზოს, კარ-მიდამოს* ნიშნავს.

შევნიშნავთ, რომ საგეოგრაფიო სახელი „ჭედლიანკარი“ დასტურდება როგორც ტაოში, ისე - ბანათში.

გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, კვლევა გრძელდება და პასუხიც გაეცემა დასმულ კითხვას. ჩვენ მაინც ტაოს მივაკუთვნებთ ბინათს.

მოვიყვანთ ბინათელთა მეტყველების ნიმუშებს:

„ქორწილი ჩვენ გაგაკეთავთ: ენწინ დევნიშნავთ, ნიშან გაგაკეთავთ. იმის მერე დევნიწყოებით², რახანსა გაგაკეთოთ დუგუნი... დუგუნს გაგაკეთავთ. გოგოძს სახში წევალთ, ავართვამთ, წამულათ, ბიჭის სახში იქნება დუგუნი. ენწინ ორი-სამი დღე იყო. ათაბარი, დუზხორონი, ქობაკი, დელიხორონი, დუზბარი, ბასია, ჯილველომ... ისამებენ:

*გუგუმი ასწი, მოდი,
წყალზე წადი და მოდი,
ქომრობაში რა იჯები,
ახ, გულო, ჩემთან მოდი.
გაღმით სერზე ფრინვალე,
იქით-აქეთ მეარე,
თამ უკნივე გავლიხან
გაჰკივლე და გეძარე...*

ბექთაშოღლის ბიჭი ჩემი მამამთილია (ამბობს კაცი - ავტ.), მე ბექთაშოღლებისი სიძე ვარ.

ქომოდა ჩეხედიე... ერთ საათზე გეხვალ ჭილჭიმში. იქიდან ჩვენკე მოვა, ჩვენგან - იქეთ. ჩემი ნენეი ჭიმჭიმულია. ჩემ ნენემან არ იცოდა ქართული, აქ უსწავლია, იცის.

ძველათ პატიკამ ზგამთ (sic) წევდოდით ჭილჭიმს. იქ ძმები ერთმანეთიდან გახელეზულან. ორი ძმა აქ მოსულან, პეტრეთები იქიდან მოსულან და, პეტრეთი არ დამჩალან, აქ ვართ...

სოფელი ძველია, ორასსამოცდაშვიდი წლის ჯამაა.

ხოჯა იყვირებდა, პეტრეთები ნამაზი არ იცოდენ, ვირი ყროყინებსო, ზღავისო... [იტყოდენ]. ოთხი ძმა მოსულა ქრისტიანები, ოთხი ძმა მუსლიმანი... იმის მერე გამუსლიმანდენ ის ხალხიცო. "

ჩვენს საუბარში ხოჯამ ეზანი „დეფვირა“ და მოუხმო მორწმუნეებს სალოცავად. ბინათლები ჯამეში შევიდნენ შუადღის ნამაზის შესასრულებლად...

ჩვენი წამოსვლის დროა. ჯერ შუადღეა, კიდევ მოვასწრებთ ჭიმჭიმში ასვლას. დღეს მნიშვნელოვანი მიგნებების დღე გვაქვს. ჩვენთვის აღმოჩენაა კლარჯეთის ამ სექტორში ქართულად მოლაპარაკე სოფელი. აღმოჩენაა ჭიმჭიმიც, კარგა ხანია ამაოდ რომ ვცდილობდი მის ნახვას. ბოლოს ვიფიქრე, დაიკარგა-მეთქი ქართული სახელი სახელგამოცვლილი სოფლისა. საბედნიეროდ, ასე არ არის, ახლა გვაქვს შანსი ვნახოთ ჭიმჭიმი და გავიცნოთ ჭიმჭიმელები. ბინათლებს ვუმაღლით ჭიმჭიმის ნახვას, მემედ ალი ქესკინს - ბინათის ნახვას.

ართვინი-იუსუფელის გზის ორმოცდამეშვიდე კილომეტრზე მარჯვნივ ხუთი სოფლის შესახვევია, მათ შორის *ჯევიზლის* (ძვ. *ჭიმჭიმის*).

ჭიმჭიმი თურქულად მოლაპარაკე სოფელია, ქართული დიდი ხანია დაუვიწყიათ ჭიმჭიმელებს. ქართულია ჭიმჭიმისა და მისი შემოგარენის ტოპონიმია: *ხუმხალი* (ნარლაკი), *ნიგ ზევანი* (დემირქოძე), *წოვა/ზოვარ* (ზადემქოძე), *ხავისკარი, მუსუნჯური* (ჩამლიჯა), *ბედაზორი, ქედა, შედროღოლი, პერეთი* (ჯამი მაჰალე), *ჩიტაზე (ჩიტაძე - ავტ.), იფნი ყანა/ხანა, ვარდანეთი...*

¹ ტაოს ტოპონიმია ჩაწერილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ექსპედიციის მიერ 1995 წლის აგვისტო- სექტემბერში. იხ. ფაღავა...2005:146-175.

² აქ შევთანხმდებით.

ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ჭიმჭიმი იუსუფელს ეკუთვნის, ბინათი – ართვინს, თუმცა ეს არ ცვლის ისტორიულ ვითარებას, ორივე – ტაოს სოფლებია.

ნეჯათ ილმაზმა, 76 წლის ჭიმჭიმელმა სხვა გეოგრაფიული სახელებიც ჩაგვაწერინა: *ვენახი, მანაზორი* (*მანადორი, შდრ. მიმნადორი), *ვაკეათი, წონწკუთი, ხაჯარეთი, ლაშაგარა*.

ბ-ნი ნეჯათისაგან შევიტყვეთ, რომ „*დედემ და ნენემ ლაპარაკობდენ*“ [ქართულად].

- ჩვენი დედები ლაპარაკობდნენ: სამი კაცი მოვიდა, ერთი ჩიტამე, მეორე – პეტრო, მესამე – შედრო. ამ სამი კასიც ჩამომავლები უნდა ვიყოთო, - გვეუბნება რესპოდენტი.

ამ ხეობებში კიდევ ერთ სიახლეს შეამჩნევს მოგზაური: გზის მაჩვენებელ აბრაზე ახალთან ერთად დასახლებული პუნქტის ძველი სახელიც აღუნიშნავთ: *ჯევიზლი ქოა* (ჩილჩიმი)...

დიდი, მშვენიერი სოფელია ჭიმჭიმი, მთის ფერდობზე შეფენილი, ხილითა და ყანა-ბაჩხებით...

ჭიმჭიმს გაღმა მთის ველზე გაშენებულია ასევე მშვენიერი სოფელი *ხავისკარი*. ჩვენი მასპინძელი გვაწერინებს აქაურ ტოპონიმებს: *ყალე დიბი* (*ციხისძირი?), *ლიმონა, ჩანთარევი, ზანიეწერი, ხარმანი სირთი, სასვენი, ნამოვარი, ტახლარი, ნეზიგილი, გომდაგარა/გომნაგარა, გიდაზორი* (*გიდაძორი?), *ხავისკარ დერესი, კათხევ* (*კოთხევ?) *დერესი*...

კარგა ხანს გავჩერდით ჭიმჭიმში...

ჭიმჭიმს შემდეგ მდინარის გაღმა, ჭოროხის მარჯვენა მხარეს გადავვდით, შარბიეთს ქვემოთ *ბაქეთში* (<*ბაკეთი*) ავედით. მაშარ ბუდუქ დაალი გავიცანით, საშუალო ასაკის მამაკაცი.

ერთი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა მაშარმა: *ხოდში* (ზედა მადენში) ქართულად ლაპარაკობენო.

ღირდა ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად ბაკეთში ამოსვლა.

ხვალ, 19 აპრილს, ხოდს ვეწვევით.

დილით ადრე ხოდისაკენ წავედით. ართვინი-იუსუფელის გზიდან მარცხნივ გადავუხვიეთ და ვიწრო ხეობაში შევედით. ღრმა ხევში პატარა მდინარე მიედინება. გზა მდინარის პირებს მიუყვება. გადასახვევიდან 8 კილომეტრი ვიარეთ და ქვემო ხოდში (ქვემო მადენში) ავედით.

მდინარის ორივე ნაპირზეა გაშენებული *ქვემო ხოდი*. ძველი და ახალი დროება ირევა აქ: ერთი მხრივ კლდეზე ნაგები ძეგლები, მეორე მხრივ, ახალი, ქვითკირის სახლები ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე..

ცამეტი უბნისაგან შედგება მადენი: *უსქუთი, არიქენი, ჩათაქი, ჯამიკარი, მირზიგილი, დოლიშოღლუ, მისირლი, დინდაროღლუ, კანჭიგილი, პანკიზორ, კუიტარლარ, ოღნიკელი, პეტრიეთი*.

ცამეტი უბნიდან უმეტესის სახელი თურქულია.

რამდენიმე ქართული მიკროტოპონიმი ჩავიწერეთ ალი ოზთურქისაგან: *წიწეთი, ოგეჩა, აღმართი*... მოგვიანებით სხვა გეოგრაფიული სახელებიც გაიხსენეს: *აზატევი, თავკალო, გუმიშგილი, ვაქყანა/ვაქკანა* (*ვაკყანა<ვაკყყანა), *წოწოლაზორი, საფენი, მიშნათახი, თუქესთორი/თუქესტორი*... *ბესერა, თილაზერლარი, გაბუგეთ, ქილისე, ნოდლარი, ყაფითარლა, ჩაქიეთი, ნუსახარა, კატნაკარა, ავუსეთი, ოხუთი, ჰაშუთი, ხოზაგარა, ტანზექი, ხავნაგარა, ქოფაყე, ეგრიტაში, თუქაზეთი, ევლია, მაყასლი ტაშ, ბაღლი ყადა, ბაშუთ მაილა*.

ქვედა მადენში გვითხრეს, ჩვენი ბაბუები ქართულად ლაპარაკობდნენ, ჩვენ არ ვიცითო. „რუსტემ ოზთურქმა, ხალით ფაშასთან ერთად იბრძოდა, ოთხმოცდათექვსმეტი წლის გარდაიცვალა 1969 წელს, ქართული იცოდაო. სხვებმაც იცოდნენო გურჯული“.

იუსუფ დემირჯიმაც გვითხრა, ბაბუამ იცოდაო ქართული, მამამ – არაო.

შეიძლება ვთქვათ: გასული საუკუნის 50-60-იან წლებში *ქვემო ხოდში* ქართულად ლაპარაკობდნენ, თანამედროვე უფროსი თაობის ბაბუებმა და ბებიებმა იცოდნენ ქართული.

ზემო ხოდში ორი ციხე ყოფილა მიუვალი, ერთია *ტანზეგარა* (**ტანძეგარა*<*ტანძაგარა*? შდრ. *ტანძია, ტანძოთი*...).

ქვემო ხოდს ზემოთ *პეტრიეთია*.

ავედით *ზემო ხოდში*, მაღლა ხეობაში.

ომერ დოქური (66 წლის), მეჰმედ ალქანი (72 წლის) და ყაპრამან უსტა (75 წლის) გავიცანით. ამ სოფელში გასული საუკუნის სამოციან წლებში უმუშავია იუსუფ ქესკინს, რომლის ვაჟიც, მემედ ალი ქესკინი ჩვენთან ერთადაა ექსპედიციაში. ტელეფონით ვესაუბრეთ ბატონ იუსუფს, რომელმაც ჩვენს კითხვაზე, თქვენი აქ მუშაობის პერიოდში იცოდნენ თუ არა ამ სოფელში ქართულიო, გვოპასუხა: *ჩემ დროში ყველამ იცოდა ქართველი ვარო. ყველა ამბობდა, ჩემმა დედემ იცოდა ქართულიო*.

სხვებმა კიდევ ასეთი ცნობები მოგვაწოდეს:

¹ ხუთვერსიან რუკაზე დატანილია *ხოდ-ულაია, ხოდ-სუფლია, ხოდ-სუფლია* - საგუმზაგო და *ხოდი* - მეზრე (პაგირევი, 1913). ჩანს, რუკის შედგენისას ხოდი მნიშვნელოვანი დასახლება იყო.

- მე მახსოვს, მოხუცები რომ მოდიოდნენ, ქართულად ლაპარაკობდნენო, - გაიხსენა ომერ დოქტორმა.

- დედაც ქართველი იყო და მამაც. ორივე ლაპარაკობდა ქართულად, - იხსენებს აზიზ ოზჯანი, 85 წლის ხოდელი.

დასკვნა: დღეს ხოდში ქართულად აღარ ლაპარაკობენ. ტყუილი გამოდგა ინფორმაცია, ზემო ხოდში ქართულად ლაპარაკობდნენო.

ზემო ხოდის ციხეზე უნდა ავიდეთ: ყუდრეთ ყალე, ასე უწოდებენ დღეს. ციხე საკმაოდ მაღლაა, ხეობაში განმარტოებით მდგარ ბუნებრივი სვეტის თავზეა აშენებული. შორიდან ერთ კოშკს ვხედავთ. მაღლა ავდივართ, ყიშლებში. სერზე გავედით და ზემოდან დავადექით ციხეს. ჩემს ქვემოთ, ფრიალო კლდის თავზე, საკმაოდ დიდი ციხეა ქონგურებით. ოთხივე მხრიდან სიმაგრე მიუვალა. ციხის ზომები დაახლოებით ასეთია: 50 X 70 მეტრი. კედლის სისქე 0.5 მეტრამდეა, სიმაღლე კარგად არ გაირჩევა. გადარჩენილი კედლების სიმაღლე სამიდან ოთხ მეტრამდეა, ჩრდილო-აღმოსავლეთით - ორი-ორნახევარი მეტრი.

ციხის კედლები დაუმუშავებელი ქვითა და დუღაბითაა ნაშენი.

ხოდის ციხე ზემოდან გადაჰყურებს ხეობას: ხედავს დაბლა გაშენებულ ზემო და ქვემო ხოდს, ზემოთ - მეზობელ ხეობასაც.

ართვინიდან ციხემდე 85 კილომეტრია.

20 აპრილს ბერთაში (ახლა ორთაქოიში) წავედით. ართვინიდან 28 კილომეტრია ორთაქოიმდე.

დიდი სამონასტრო კომპლექსია ბერთა. მაღალი მთის ფერდობზე ხელოვნურად ამოშენებულ ბაქანზე დგას ტაძარი და ზემოდან დაჰყურებს ხეობას. ბერთის მნახველი დაფიქრდები ადამიანის ბუნებაზე: დიდი გაბედულება და ღრმა რწმენა უნდა გქონდეს, აქ, ამ სიმაღლეზე, რომ გადაწყვიტო და ააგო ამხელა სამონასტრო კომპლექსი, იმავე ადგილას ახალ დროში ჯამე რომ ააშენო, ესეც კადნიერებაა დიდი. ორივე ქართველი კაცის ნახელავია...

ბერთას მონასტრის ბედში საქართველოსა და ამ კუთხის ისტორია იკითხება.

სანთლები დავანთეთ ტაძრის გადარჩენილ კედლებზე.

ემინ ოზქანი, 66 წლის მოვიდა ჩვენთან. განმისამაძიებლები ვგონივართ ალბათ როგორც ყველა, ვინც სიძველეებით დაინტერესდება, ამიტომაც ეჭვით გვიყურებს ბერთელი. გამოველაპარაკეთ. ჩვენი მოსვლის მიზეზი ვუთხართ, ადგილის სახელები გამოვკითხეთ:

- მაღლა ხეზრეთი ალის მთაა, დაილებია ახლა იქ. ზემოთ ადგილია ერთი ხაზაბეთური ქვია (შდრ. ხოზაბავრი/ხაზაბავრი). ადგილი, სადაც ტაძარი დგას ნიკაურია.

ემინ ოსქანისაგან ასეთი ამბავიც მოვისმინეთ: ბერთას ძველი სახელი ბედვააო. თურმე ხეზრეთი ალი გველვეშაპზე (აჟდაზე - ჩამწ.) ნადირობდა. ჯარისკაცები სოფელში დატოვა, მარტო მოვკლავო ურჩხულს. ადგილობრივებს თხოვა, მიხედეთ ჩემს ხალხსო. გველვეშაპის ძებნასა და ნადირობაში რამდენიმე დღე გასულა. ბერთელებმა იფიქრეს, უწმინდურმა მოკლაო ხეზრეთი ალი და მისი კაცები დახოცეს. მალე გამარჯვებული მონადირეც დაბრუნდა გველვეშაპის თავით. სთხოვა ადგილობრივებს, დამიბრუნეთო ჩემი ხალხიო.

უთხრეს, მოსვლა რომ დააგვიანე, ვიფიქრეთ, გველვეშაპმა მოკლაო და დავხოცეთ შენი კაცებიო.

ხეზრეთი ალიმ დაწყევლა ბერთელები: ამ სოფლის მცხოვრებნი წინ არ წავიდნენო, სახელმწიფოსთან ჰქონდეთ პრობლემები ბერთელებსო.

დღესაც დადიან ბერთელები მთავრობაში...

ემინ ოზქანი ამბობს, რომ ძველი ქართველები ვართ, ოღონდ ახლა აღარ ვიცით ქართულიო.

ბერთის გაღმა გელაურია, იმის ზემოთ - დაბჯილეთი.

სხვა ადგილების სახელებიც ჩაგვაწერინა ოზქანმა: ყვანთა, ზაქერელი, დუგანაღა, სალაუთი, დიდი გარა, წანდილაური, სახვეწელი, ჯორასა, ჭალახეთი (მდინარე), ჭედლიანი, ჰეჟიმოღლარი, იმაგილი, ისტამბოლღე.

სურათები გადავიღეთ ბერთას სანახებში. შუაღდე გადავლილი იყო ნიკაურიდან რომ წამოვედით.

ბერთაში მეტად შეიგრძნობა ქართული ელემენტი: ახსოვთ ბერთელებს, რომ ძველი ქართველები არიან, ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული გეოგრაფიული სახელებიც...

* * *

მეთურქულე კლარჯეთში რამდენიმედღიანი ძიების შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი გამოვაკლინეთ:

ა. ჩავიწერეთ ქართული გეოგრაფიული სახელები, ბევრი ისეთი, რომელიც არც კავკასიის ხუთვერსიან რუკაზეა დატანილი, არც სხვა წყაროებში იხსენიება.

ბ. ვნახეთ ძველი საქართველოს მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი ჭიმჭიმი (ჭილჭიმი).

გ. ზემო ხოდს ზემოთ დავაფიქსირეთ ადრეფეოდალური ხანის უსახელო ციხე, რომელსაც ყუდრეთ ყალეს უწოდებენ. ციხე საფორთეფიკაციო დანიშნულებისაა.

დ. კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზე მივაკვლიეთ ქართულად მოლაპარაკე სოფელს - ბინათი, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა ისტორიული სამხრეთ საქართველოს კვლევის საქმეში. წინასწარი დაკვირვებით, ბინათი ტაოს უნდა მიეკუთვნოს.

მეთურქულე კლარჯეთში ქართული ენისა და კულტურის კუნძულების ძიება მომავალშიც გაგრძელდება.

ლიტერატურა:

მარი, 2012 - ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი.

ნიჟარაძე, 1971 - შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

ფაღავა..., 2005 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, ელგუჯა მაკარაძე, რეზო დიასამიძე, ლილე თანდილაძე, ტაოური მეტყველების ნიმუშები (ლექსიკონითურთ). კრებული, 4, ბათუმი.

ფაღავა, 2007 - მამია ფაღავა, ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟ. მნათობი, 1, თბილისი.

ფაღავა, 2010 - მამია ფაღავა, კვლავ ხანძთის ლოკალიზაციის საკითხისათვის. კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, მეორე, ბათუმი.

პაგირევი, 1913 - Д.Д. Пагирев, Алфавитный Указатель к Пятиверстной Карте Кавказского края. Издания Кавказского Военно-Типографического Отдела, Тифлис.

შავშეთი, 2011 - მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტყარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

Mamia Paghava

Batumi Shota Rustaveli State University

ISLANDS OF GEORGIAN LANGUAGE AND CULTURE IN TURKISH-SPEAKING KLARJETI RESUME

The article deals with the remains of the Georgian language and Culture in the Turkish speaking part of historical Klarjeti, namely, the Georgian toponymy, monuments of material culture. And what is the most important, there has been discovered a Georgian speaking village of **Binati** at the border of Tao and Klarjeti as well as the place of **Chimchimi**, famous from old Georgian sources.

მამია ფაღავა, ნუგზარ მგელაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხატილა'ს მნიშვნელობისა და ისტორიისათვის

ხატილა ხეობაა ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მახლობლად. ხატილელებმა დაივიწყეს ქართული ენა, მაგრამ დღემდე ახსოვთ ქართული ტოპონიმები, ხატილელებმა შემოინახეს ქართული სამყაროს ხსოვნა, რაც გამოიხატება ტრადიციული კულტურის ზოგიერთი ელემენტის დაცულობაშიც. აქვე აღვნიშნავთ, რომ მუჰაჯირმა ხატილელებმა¹, ცუდად, მაგრამ მაინც იციან ქართული ენა.

¹ ხატილელები ხენდეკის/ჰენდეკის ილჩეში დასახლებულან, საქარიას ილში. ორი მაჰალესაგან შედგება ხენდეკის ხატილა – ქვემო ხატილა (თ. ინამიე) და ზემო ხატილა (თ. იქრამიე). მოვიყვანთ მუჰაჯირ ხატილელებთან ჩვენი შეხვედრის ზოგიერთ დეტალს: „ქვემო ხატილაში ავედით. მშვენიერი სოფელია, ფერდობზე გაშენებული, კლარჯეთის ხატილადან მოსული გურჯებით დასახლებული. ..მოენეს ვემებთ, ეგებ ჩავიწეროთ რამე. ბევრი ვერაფერი ვნახეთ. სერვეთ დურსუნოღლის ეზოში მიგვიწვიეს, რამდენიმე ფრაზა მოვისმინე ქართული: „დეჰანზე, ჩეკითხე... ზოგიები არ რიგდება, ჰამა...“

შემდეგ ზემო ხატილაში წავედით. ოსმან ყონდახჩი გავიცანით.

- თქვენი ძველი გვარი რა იყო?

საყურადღებოა ერთი გარემოება: ხენდეკის ილჩეში ახალ საცხოვრისს ხატილადან გადასახლებულებმა **ხატილა** დაარქვეს და ამით შეინახეს პირველსაცხოვრისის ხსოვნა.

ნაშრომში შევხებით **ხატილა**-ს სემანტიკისა და ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

უპირველესად იბადება კითხვა: რას ნიშნავს **ხატილა**? სახელურ ფუძეში **ხატილა** გამოიყოფა **ხატი** ძირი და **-ილა** სუფიქსი. **ხატი** იგივე ძირია, რომელიც გვხვდება *ხატში*, *ხატვასა* და *დახატულაში*. **დახატულა** გეოგრაფიული პუნქტია ოპიზასთან ახლოს, ოპიზასა და ფორთას შორის. დახატულა ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ დღემდე აქ შემორჩენილია კედლის მხატვრობის ნიმუშები (იხ.: **ფაღავა**, **მგელაძე**, 2013).

ხატილა ქართველური ლექსიკის უძველეს ფენას უნდა ეკუთვნოდეს. მისი ფონეტიკური ვარიაციები, როგორც ჩანს, ადრეული ხანის სატომო გაერთიანებებს უკავშირდება. ვფიქრობთ, იგივე ფუძე გამოყენებულია XI საუკუნის ბიზანტიურ წყაროში, კერძოდ, გიორგი კედრენეს „ისტორიულ მიმოხილვაში“, სადაც დავით კურაპალატის დროინდელი ამბავი სომეხ ისტორიკოსზე, ასოდიკზე, დაყრდნობითაა აღწერილი. ბარემ აღვნიშნავთ, რომ გიორგი კედრენე XI საუკუნის ქრონოგრაფისაა. მის შრომას, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, მოკლედ „ისტორიული მიმოხილვა“ ეწოდება, სრულად კი – „ისტორიული მიმოხილვა, დაწყებული ქვეყნის გაჩენით, ვიდრე ისააკ კომნენის მეფობამდე, შედგენილი უფალ კედრენეს მიერ სხვადასხვა წიგნების მიხედვით“. ამ ვრცელი სათაურის მიხედვით, ბიზანტიელი ავტორის შრომა ქვეყნის გაჩენიდან 1059 წლამდე მსოფლიო ისტორიას წარმოადგენს (**კედრენე**, 1963:7-82).

გიორგი კედრენეს ცნობით, XI საუკუნის საქართველოში, დავით კურაპალატის დროს, დიდი ბრძოლები მომხდარა. ამბები სომეხ ისტორიკოსს, ასოდიკს აღწერია. ავტორი ეხება ბარდა სკლეროსის აჯანყებას და დავით კურაპალატის როლს მის ჩაქრობაში. კერძოდ, ბიზანტიის მეფემ ბასილ კეისარმა საქართველოში გაგზავნა ათონელი ბერი იოანე-თორნიკე, დავით კურაპალატის მხედართმთავარი, რომ სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიისათვის საქართველოს მეფეს დახმარება აღმოეჩინა, სამაგიეროდ ნადავლს ჰპირდებოდა, ასევე იბერიას გადაეცემოდა შემდეგი მიწები: **ხალტოარიჭი**, **კლესურა**, **ჩორმაირი**, **კარინი** (არზრუმი), **ბასიანი**, **ციხე სევუგი**, რომელიც მარდალში იყო, აგრეთვე **ჰარქი** და **აპაჰუნისი** (**კედრენე**, 1963:სქ.:44).

დასახლებული ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტი ჭოროხის ხეობაში ან მის მეზობლად მდებარეობს, კერძოდ: ჩვენი აზრით, **კლესურა** ისტორიულ კლარჯეთში აწინდელი **ქლასკური** უნდა იყოს, ფონეტიკურად სახეცვლილი უცხოელის მიერ ჩაწერისას. **ხალტოარიჭი** მიგვაჩნია, რომ კომპოზიტია, მისი პირველი ნაწილი – **ხალტო** ხალტაა, იგივე **ხატილა** უცხოელის მიერ გაგონილ-ჩაწერილი. **ჰარქი** იგივე **ხართი**ა, მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში, კერძოდ, სპერში (**ჯანაშია**, 1952:94). **ხართი**ს სიმონ ჯანაშია **ქართა**ს ადარებდა (**ჯანაშია**, 1952:94), ფუძე, რომლისგანაც, როგორც ჩანს, ეთნონიმი **ქართული** (**ქართველი**) იწარმოა. ამავე კონტექსტში ყურადღებას მურღულის ხეობაში სოფლის სახელწოდება **ქართლა** (**კარტლა**) იქცევს (**მგელაძე**, 2013:38-40).

საუკუნეების განმავლობაში ისტორიული სამხრეთ საქართველო, მათ შორის, ჭოროხის აუზი, მოწყვეტილი იყო ქართველურ სამყაროს. არადა, ჭოროხის ხეობა ის კულტურული სივრცეა, სადაც ქართველთა ეთნოგენეზის რთული პროცესი მიმდინარეობდა, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ სახელმწიფოებრიობას. ცნობილი მიზეზების გამო, ეს კუთხე ქართველ მეცნიერთაგან შეუსწავლელი დარჩა. ვინც იკვლევდა ჭოროხის ქვეყნებს, ეყრდნობოდა ბერძნულ-რომაულ, ბიზანტიურ, ქართულ-სომხურ წყაროებს, კავკასიის ხუთვერსიან და სხვა რუკებს (**სიხარულიძე**, 1985), მაგრამ მასალები, ბუნებრივია, საკმარისი არ იყო. ჭოროხის ხეობაში მოწყობილმა კომპლექსურმა ექსპედიციებმა საშუალება მოგვცა ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული მასალები მოგვეპოვებინა, შეგვედარებინა იგი არსებულ წყაროებთან და ბევრი რამ ახლებურად, ქართული თვალთახედვით აგვეხსნა.

ეთნიკურ ნომენკლატურათა რიგში მოვიაზრებთ წყაროებში მოხსენებულ **ხალტო**ს – ართვინის სიახლოვეს „დაფიქსირებულ **ხატილა**ს და მურღულის ხეობაში სოფლის სახელწოდებას **ქართლა** – **კარტლა**ს. ვფიქრობთ, ერთი **ხატი** (**ხატი/ხალდი**) ფუძიდან ნაწარმოებია ქართველური ეთნოსის სეგმენტების

- *ყონდახი*, - *იქიდან მოსული ლაყაბი ასე დარჩა, სოაღი...*

ექრემ დურუმ ჩაგვაწერინა ზოგიერთი რამ:

„მაჭახლიდან მოველი/მეცე ბოროხა ქალაქშიო, ათასხუთასი კვერცხი, ქათამა დებს ბუჯერშიო... უკანაა შენ თქვი!

ჩვენებური იყოს და ტალახიდან იყოს. აახ, რა ლამაზი ვარო და ხატილელი ვარო!

ერთი ბიჭი დააშეკებულა მურღულის გოგოზე; გოგოს უთქმია, დეა ლამაზი ხარ, ხატილელი ხარო.

გველი მარილ დათესავს, ყველა ძერზე მიამზღვესო...“

ყველაფერი მოვიყვანე, რაც ზემო ხატილაში ჩავიწერე. სხვებმაც ჩაიწერეს მწირად. ბუნებრივია, თავს მოვუყრით ყველაფერს და გამოვაქვეყნებთ კიდევ. საქმე იმაშია, რომ ართვინის ხატილაში, ხატილას ხეობაში ქართულის მცოდნე აღარავინაა, დავიწყეს ხატილას ხეობაში ქართული, ხატილური ქართული მეტ-ნაკლებად შემორჩა ხენდეკის ხატილაში... ასე რომ ფასეულია ჩვენს მიერ დღეს ჩაწერილი მასალა“ (**ფაღავა**, 2013).

უძველესი სახელწოდებანი. ამავე კონტექსტში ყურადღებას პროხეთური ეთნიკური სახელწოდება **ხათი** იქცევს, რომელმაც ანატოლიის ტერიტორიაზე უძველეს ეპოქაში ცნობადი კულტურა შექმნა (**ქავთარაძე**, 1985). ამავე წრეში ექცევა ძველი **ხალდეა** (**ხალდა**) და **ხალდე**ები, **კარდუხ**ები (**ქართუხ**ები), **ხალიბ**ები და მრავალი სხვა, რომელიც უკავშირდება **ქართ** ფუძეს (შდრ. **ჯანაშია**, 1952:22, 94, 335, 338...; **Меликишвили**, 1959: 37,76,77, 86, 170-173, 276, 316...).

ამრიგად, ისტორიული სამხრეთ საქართველო წარმოადგენს ცოცხალ ეთნოლინგვისტურ ლაბორატორიას, სადაც ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიის ფურცლები იკითხება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭოროხის აუზი ქართველურ-კავკასიური სამყაროს წინააზიურთან დამაკავშირებელი ხიდი იყო, მაშინ ცხადი გახდება ქართული მეცნიერებისათვის ჭოროხის ქვეყნების შესწავლის მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

კედრენე, 1963 – გიორგი კედრენე. „ისტორიული მიმოხილვა“. - „გეორგიკა“ (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტომი მეხუთე, თბილისი.

მგელაძე, 2013 – ნ. მგელაძე. კლარჯული კარტლას (**ქართლას**) მნიშვნელობისათვის. - „რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები“ XXXIII, თბილისი.

Меликишвили, 1959 – Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тбилиси.

სიხარულიძე, 1985 – ი. სიხარულიძე. ნიგალი (ლივანა) - საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი.

ფაღავა, 2013 – ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის 2013 წლის კლარჯ მუჰაჯირებთან კომპლექსური ექსპედიციის დღიურები (ხელნაწერი).

ფაღავა, **მგელაძე**, 2013 – მ. ფაღავა, ნ. მგელაძე. მითოლოგიური პერსონაჟი – **წარაქვეთა** და წერის უძველესი იარაღი – **წერაქვი**. - ხელნაწერი (იბეჭდება), თბილისი.

ქავთარაძე, 1985 – გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბილისი.

ჯანაშია, 1952 – ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. - „შრომები“, II, თბილისი.

Mamia Paghava, Nugzar Mgeladze
Batumi Shota Rustaveli State University

REGARDING THE DEFINITION AND THE HISTORY OF “KHATILA” RESUME

The article studies the definition and some questions of history of “Khatila”. The authors emphasizes the stem **Khat** and relate it to **khaltoi** kept in the old historical sources. According to their opinion the oldest names of segments of Georgian ethnic group are derived from the stem **Khat** (**Khald**).

გიორგი შავგულიძე
ქუთაისის ეროვნული უნივერსიტეტი

Lingua adamica

სამყარო ინტელიგიბელური რომ არ ყოფილიყო, არც ღმერთის არსებობას ექნებოდა აზრი. სამყაროს შემოქმედი, მისი ანი და ჰოე (საწყისი და სასრული) არა მხოლოდ ქმნიდა სამყაროს ექვს დღეს, განსჯიდა კიდევ. მთელი სინამდვილის ხილული თუ უხილავი აზრის განსჯა ენის საშუალებით ხდება. იოანე პეტრიწის მიხედვით, სიტყვა (ენა) ღმერთის თანაზიარია: „ვინაი თუ სიტყვა მამისა ღმერთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ აწ მათი, მაგრამ თანამებუნებე მათდა და ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი, და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამისშორისი, რომელ არს დასაბამი თვისი - შორისისასიტყვისაი, ვითარ დისკოი, თუალი მზისაი შარავანდედად“ (1:219). ქრისტიანული მოძღვრება, სამყაროს ღვთაებრივ ერთიანობას თავის თავში მოცემული სამი იპოსტასის ურთიერთდამოკიდებულებაზე აფუძნებს, მამა-ღმერთის (უსაწყისო საწყისის), ძე-ღმერთის (ლოგოსის, სიტყვის)

და სულიწმიდის (სიცოცხლის შემქმნელის, შემოქმედის). ტრინიტეტი სამყაროს შექმნაში მონაწილეობს შემდეგი ფორმულით: ყველაფერი მამა-ღმერთიდან მომდინარეობს, მან შექმნა ყოფიერება ძე-ღმერთის გავლით, რომელიც არის აზრობრივი გაფორმება მთელი სინამდვილისა. ქრისტიანობის თანახმად, სამება არის ერთარსება, სამებაში არ ხდება ერთმანეთისადმი დაქვემდებარება. ამიტომ სამყაროს შექმნაში მამა--ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა ერთნაირად იღებენ მონაწილეობას, როგორც ერთარსება. ამდენად ლოგოსი, სიტყვა არის ქრისტიანობაში ამასთანავე პირველადი, შემოქმედი, **„პირველთაგან იყო სიტყუა, და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი“ (ახალი აღთქმაში, სახარება იოვანესი, თავი I. 1; 2; 3).** ღმერთის ქმნადობით ენა და სამყარო ურთიერთ ღრმა თანაზიარობას განიცდის და ენის უმთავრესი დანიშნულებაა „მოგვცეს ნიშანი“, რომელიც რაიმესაც აღნიშნავს და ამავე დროს მის გარშემო სხვა ნიშნებსაც განათავსებს.

ბიბლიის თანახმად, **„ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თვისსა“ (ბიბლია, თავი I, 27).** გამომდინარე აქედან, ქმნილსა და მის შემოქმედს შორის აუცილებლობით განთავსდება არ იგივეობის, არამედ **მსგავსების** ნიშანი. აღნიშნული საკითხი, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ „ადამიანობის“ იდეა იყოს გამოყენებული ღმერთისათვის, მის გასაპიროვნებლად, არამედ თვითონ ღმერთი არის ერთადერთი სრულყოფილება, წმინდა პერსონა. ის, რასაც ადამიანი ეწოდება, არის მხოლოდ მსგავსი ღვთაებრივის. და ამდენად, მსგავსმა მსგავსი უნდა შეიმეცნოს, სხვაგვარად შემეცნება ვერ განხორციელდება. წარმოდგენილი თეზისი ნეოპლატონური ფილოსოფიის გნოსეოლოგიური თეორიის ქვაკუთხედიანია. მსგავსება უდაოდ სხვა არაფერია თუ არა მინიშნება ერთი საგნის მეორეზე, ნიშანი არ არსებობს მსგავსების კატეგორიის გარეშე.

მსგავსება (ფუკოსეულ მხატვრულ განზომილებაში) სამყაროს დიდი მდუმარე სარკეა, რომელიც მიგვანიშნებს და გვლაპარაკობს, სამყარო უკიდევანოდ გადაშლილი წიგნია, რომელიც გადატვირთულია გრაფიკული გამოსახულებებით, მთელი ფურცლები დაფარულია უცნაური ფიგურებით, ხაზებით, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ და ზოგჯერ მეორდებიან, მხოლოდ მათი გაშიფვრაა საჭირო. „ნუთუ ჭეშმარიტება არ არის, ის რომ ყველა ბალახი, ხე და სხვა, რაც მიწის წიაღიდან აღმოცენდება, თავისთავად არის წიგნი და მაგიური ნიშანი“ (Crolus, Traité des signatures); „სამყარო შეიძლება შევადაროთ ადამიანს, რომელიც ლაპარაკობს, როგორც მისი (ადამიანი) გაგების ფარული მოძრაობები ვლინდება ხმაში, ისე ბალახებიც, თითქოს ესაუბრებინან ცნობისმოყვარე ექიმს, თავიანთი ნიშნებით უხსნიან მას თავიანთ შინაგან სასიკეთო თვისებებს, რაც დაფარულია ბუნების სიჩუმის საფარველქვეშ“ (3:60). სამყარო თავისი ენით მეტყველებს, „რაც კი რამ დაუბადია, უფალს სულიერ უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს არა ყოფილა ურჯულო“ (6:300). ნიგვზის კაკალსა და ადამიანის თავის ტვინს შორის ანალოგია არსებობს. ნაყოფის ნაჭუჭი ისე ფარავს კაკლის გულს, როგორც თავის ტვინის ძვალი. ნაჭუჭის მწვანე წენგო „თავის ქალის ძვლის საზრდელას ჭრილობებს აშუშებს“, ხოლო თავის ტკივილებს თავად კაკლის გული კურნავს, „რომელიც ფორმით ზედგამოჭრილი ტვინია“ (3:61). მსგავსების ნიშანი და ის, რაც მას ხდის ხილულს, უბრალოდ ანალოგიაა, ამოცნობის შიფრი პროპორციაში ძვეს.

მაცხოვრის სამოდღრო ენა მოწაფეებთან სიმბოლური ნიშნებით არის გაჯერებული, ამით უფალი ადამიანებს იმასაც ეუბნებოდა, რომ სამყარო ერთი მთლიანობაა, რომ ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს და არც ჰგავს, ზეცა დედამიწის სარკეა და დედამიწა - ზეცის, ისინი ერთმანეთს აირეკლავენ და ადამიანს სიმბოლო-ნიშნის სახით ეცხადებიან, ანუ როგორც ფუკო იტყვის, სამყარო მსგავსებისა და განსხვავების ნიშნით მიმდინარეობს. მაცხოვარი ადამიანებს ალეგორიებით ესაუბრებოდა, როცა ერთის თქმა მეორესაც გულისხმობს და სხვა რამეზე მიგვანიშნებს. ალეგორიული საუბარი კი სიმბოლო-ნიშნის გამოყენების გარეშე არ ხდება. **„და მოუხდეს მოწაფენი (ქრისტეს) და ჰრქუეს მას: რაისთვის იგავით ეტყვი მათ?“ (მათე, 13:10).** **„ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობა საიდუმლოი სასუფეველისა ღმრთისა-ი, ხოლო სხუათა - იგავით, რაითა ხედვიდნენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისხმან ყონ“ (ლუკა, 8; 10),** ეს არის ის, რასაც თანამედროვე ფილოსოფია ხილულის ღრმა უხილავობას უწოდებს (3:47). ლაიბნიცის მიხედვით, „ღვთაებრივი სრულყოფილებანი ყველა საგანშია მოცემული ფარული სახით, მაგრამ მხოლოდ მცირედდნენ თუ უწყიან, მათში იპოვონ ისინი“ (5:261).

უფლის ათორმეტ მოწაფეთ უფლისმიერი სამყარო უშუალო განცდაში, მისტიურ ხედვაში ეძლევა, მოკვდავთათვის სამყარო მყოფობაა, რომლის გამოსაცნობად ღმერთმა, შემოქმედმა ყველაფერს გარეგნული და ხილული ნიშნები დაუწესა. ღმერთი ყველგანაა და ყველაფერში იცნობების „... სოფელსა შინად, სოფლისა გარეთ, სოფლისა ზემთად, ზემთაცად, ზემთაარსებისად, მზედა, ვარსკვლავად, წყლად, ქარად, ცუარად, ღრუბლად, ლოდად და კლდედ, ყოვლად“ (2:12). და ამიტომ „ყოველივე არსთა შინა ყოფიი მისი ითქმის“, მაგრამ, ამავე დროს, ღმერთი როგორც პირველმიზეზი, ზეადმატებულია შედეგზე; როგორც შემოქმედი - ზეადმატებულია ქმნილზე და მის მიღმა სუფევს. ამიტომ იგი „არარაი არს არსთაგანი, არცა რა-ის არსთაგანისა შორის იცნობების“ (2:72).

ფსევდო-დიონისე არეოპაგელს პირველმიზეზის ჭეშმარიტი არსის განსაზღვრად შემოაქვს ცნება „ზემთაუცნაური“. ამ ტერმინში ჩადებულია ადამიანის სიბრძნის უკანასკნელი მარცვალი. ეს არის ენის შესაძლებლობის მიჯნა, რომლის იქით დუმილია მხოლოდ. ზემადღებულის, ზემთაუცნაურის რაობასთან შერწყმა, საცნაურისა და უცნაურის, ერთიანობა უსრულესად გაცხადდა იესოს განსხეულებაში.

XVI საუკუნეში, იტალიური ნატურფილოსოფიის წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ სამყაროში არსებულ საგნებზე დასკვნების გაკეთება ანალოგიით იყო შესაძლებელი. ბუნება, - წერდა კამპანელა, - არის წიგნი, რომელშიც ღვთაებრივმა გონებამ თავისი აზრები გამოხატა. იგი ცოცხალი სარკეა, რომელშიც ღვთაების სახეა არაკლილიო (7:27). როგორ ირეკლავს ბუნების ცოცხალი სარკე ღმერთის აზრებს და როგორი იყო, ან ეხლა როგორია აზრების მატარებელი ენა. ღმერთმა ჩვენი გონიერების განსავითარებლად ბუნება თავიდანვე სისტემებში განწყობილი ნიშნებით ადავსო და შემდეგ ისტორიულ ცვალებადობათა პირბადე გადააფარა, რასაც ჩვენ ადამიანები კულტურას ვუწოდებთ.

ადამის ენას (Lingua adamica) XVI საუკუნის მისტიკოსი იაკობ ბოემე იკვლევდა. ფილოსოფოსის მამუკა ბიჭაშვილის თანახმად „ადამის ენის გამოთქმების ბგერითი ფორმა ახორციელებს პირდაპირ რეფერენციას საგანთა არსებაზე. ამიტომ ყოველგვარი ხელახალი სახელდება, გულისხმობს საგნებისათვის საფარის ჩამოხსნის მისტიკრიას და დაბრუნებას „ბუნებრივ ენასთან“. საგნობრივი სამყაროს ყოველი ნივთი, ფენომენი არის მხოლოდ ნიშანი და აღნიშვნა შინაგანი ესენციალური (აუცილებელი) სამყაროსი და, თუ მოხერხდა გარეგანი საფარის გარღვევა, შედგენა შინაგან ესენციალურ არსებობის წესთან, ამით ვეზიარებით ენას, რომელზეც ლაპარაკობდა ღმერთი. ეს ენა, როგორც ამას იუწყება ბიბლია და ფსალმუნი, ამჟამად ცოცხალია და მას იცნობს ბუნების ყველა ქმნილება ადამიანის გარდა, რომელმაც ბაბილონის შემდეგ, საკუთარი ცოდვების გამო მიივიწყა ეს ენა“ (5:158).

ბოემეს მიერ ადამის ენის აღმოჩენის მცდელობასა და მის რესტავრაციას საექვოდ განიხილავდა ლაიბნიცი: „თუკი ვინმე იპოვნის ამ ენას, იგი იპოვნის ბუნების საიდუმლოებასაც და საგანთა თვისებასაც. მაგრამ არავის, ეპარება ეჭვი, რომ ეს აშკარა ილუზიაა“ (5:158). მიუხედავად ლაიბნიცის მიერ გამოთქმული ეჭვისა, მას მაინც მიაჩნდა, რომ ენის წარმოშობის საკითხის გადაჭრას თავისთავად მოჰყვებოდა ენასთან დაკავშირებული სხვა პრობლემის გადაწყვეტაც. მაგრამ ზოგადი შემეცნების თეორიული თვალსაზრისით, ეს იყო მაინც დაუსაბუთებელი ჰიპოთეზა, რადგან გნოსეოლოგიური თეორია ერთმანეთისაგან მკაცრად მიჯნავს, გენეზისურ და სისტემატურ პრობლემას. ფილოსოფია ვერ დასჯერდება და შემოიფარგლება მხოლოდ მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის ამსახველი ფაქტების ცოდნით. შემეცნება პლატონისეულ განსაზღვრებას უნდა ითვალისწინებდეს, რომლის თანახმად, ფილოსოფიური მეცნიერება მუდამ „არსის“ შემეცნებაა და არა „ქმნადობის“. და ამდენად, ფილოსოფიის ისტორიაში, თუ გვსურს ვიპოვოთ არიადნის ძაფი, რომელიც ენის ლაბირინთებში გაგვატარებს და მოახდენს „გარეგანი საფარის გარღვევას“, ეს უპირველესად შესაძლებელია პარმენიდეს მომღვრებით, რომლის თანახმად „არსი არის“ და „არ არსი არ არის“. პარმენიდე ამტკიცებდა, - ყველაფერი არის ერთი, ერთიდაიგივეა აზრი და არსი, არსი და ღმერთი, ღმერთი და აზრი, ე.ი. ყველაფერი არის ერთი (8:105-109). დილსის მიერ წარმოდგენილი პარმენიდეს ფილოსოფიის მე-5 ფრაგმენტის (H. Diels, Die Fragmente der Vorsokratiker) თანახმად, **„ერთი და იგივეა ის, რაც გაიაზრება და ის რაც არის“**, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ, პარმენიდეს აზრით, რაც მოიაზრება არის არსი და არსი მოიაზრება. არსი არის ის რაც აზრით მიიწვდომება. მე-8 ფრაგმენტის მიხედვით, **„აზროვნება და ის, რისთვისაც აზრი არსებობს, ერთი და იგივეა“**. არისტოტელე იონელების ფილოსოფიას პარმენიდესაგან განასხვავებდა იმით, რომ იონელები იკვლევდნენ საგანთა არსს „ნივთიერების მიხედვით“, პარმენიდე კი ეძებდა საგანთა არსს „აზრის მიხედვით“, მამასადამე, პარმენიდეს არსი, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული აზრია, რომელსაც ჩვენი აზრი წვდება. პარმენიდეს დამსახურება იყო ის, რომ მან ბერძნები აბსტრაქტული აზროვნების გზაზე გაიყვანა, გაათავისუფლა გონება გარეგან ფაქტებზე მიმართულობისაგან და მისი აზროვნების შედეგები გრძნობად აღქმაზე მალა დააყენა.

კვლავ მოვუბრუნდებით მე-17 საუკუნის ფილოსოფოსებისა და მისტიკოსების მცდელობას აღმოეჩინათ ადამის ენა და აღვნიშნავთ, რომ ენის ჭეშმარიტ ერთიანობას თუ დავუშვებთ და მივანიჭებთ არსებობას, მაშინ იგი ფუნქციონალური უნდა იყოს და არა სუბსტანციონალური, რაც გულისხმობს ფორმალურსა და არა მატერიალურ იდენტობას. ფუკოს მიხედვით, დრო რომელიც წარმოშობს ენას, ილექება მასში და ცვეთს მას, იგივე დრო მეტყველებას გარდაქმნის დისკურსად, ვიდრე მას ადამიანი წარმოთქვამდეს. ენა ერთბაშად იძენს საკუთარ არსებობას და სწორედ ეს არსებობა შეიცავს იმ კანონებს, რომლებიც ენას მართავენ¹. „ღმერთი ჩვენივე ფრაზების წიაღშია დავანებული; და თუ დასავლეთის ადამიანი ღვთისაგან განუყოფლად გრძნობს თავს, ეს არა დაუძლეველი სწრაფვის გამო, გადალახოს ცდისეული ზღვრე-

¹ აქ, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ენის გრამატიკული წესები და კანონები. XII-XVIII საუკუნის ფილოსოფიურმა გამოკვლევებმა ყურადღების მიღმა დატოვა ენის ის ღირებულებითი მხარე, რომელსაც პირველად ფილოსოფიაში ფენომენოლოგიის სახით ვხვდებით.

ბი, არამედ იმიტომ, რომ თავად მისი ენა მასში გამუდმებით აღვიძებს ღმერთს თავისივე (ენისავე) კანონების კალთებქვეშ. XVI საუკუნეში სამყაროს (საგნების და ტექსტების) ინტერპრეტაცია მიემართებოდა ღვთიური სიტყვისაკენ, რომლის საშუალებით იშიფრებოდა ეს ყოველივე; ჩვენი ინტერპრეტაცია კი, ყოველ შემთხვევაში ის, რაც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, მიემართება ადამიანიდან, ღმერთიდან, შემეცნებიდან ან ქიმერებიდან სიტყვებისაკენ, რომლებიც მათ შესაძლებელს ხდიან; და ის, რაც ამგვარ პროცესში აღმოჩნდება, იქნება არა პირველადი დისკურსის სუვერენობა, არამედ ის ფაქტი, რომ ჩვენ რაიმე სიტყვის წარმოთქმამდეც ვემორჩილებით და გამსჭვალული ვართ ენით". (3:361)

ანუ, როგორ შეუძლია ადამიანს მოიაზროს ის, რაზედაც არ ფიქრობს, რაც უსიტყვოდ (უპირობოდ) იჭრება მის გონებაში და იმ ადგილს იკავებს; როგორ შეუძლია ადამიანს ყოფნა იმ შრომად, რომლის მოთხოვნილებები და კანონები თავს ეხვევა, როგორც გარეგანი იძულება; როგორ შეუძლია ადამიანს იყოს სუბიექტი ენისა – მის დაბადებამდე ათასობით წლით ადრე უიმისოდ შექმნილის, რომლის სისტემა მის გონებას უსხლტება, აზრს კი ღრმა ძილით სძინავს სიტყვებში; სწორედ მის წიაღში (სისტემაში), მისდა უნებურად, იძულებულია მოათავსოს თავისი სიტყვა და აზრი – ლექსის, ლეგენდის, ზღაპრის თუ მეცნიერული თეორიის სახით.

ამგვარად, თანამედროვე კრიტიკა კომენტარის გამოყენების უცნაურ გზას გვთავაზობს: ყოველი ახსნა, კომენტარი მიემართება არა ენის არსებობის კონსტანტაციიდან იმის აღმოჩენისაკენ, რასაც იგი აღნიშნავს, არამედ აშკარა დისკურსის განვითარებიდან ენის გამოვლენისაკენ მისსავე საკუთარ არსებობაში" (3:361-362).

ამით აიხსნება ის, რომ XIX საუკუნეში ენობრივი არსის კვლევა ორი მიმართულებით წარიმართა აზრის ფორმალიზაციისა და არაცნობიერის აღმოჩენისაკენ, რომლის სათავეში ბერტრან რასელი და ზიგმუნდ ფროიდი დგას. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ფენომენოლოგიური სწრაფვა წმინდა ფორმათა (არსის) გამოსავლენად, რომლებიც ჯერ კიდევ ყოველგვარ შინაარსამდე იძულებით ეხვევა თავს ჩვენს არაცნობიერს. სწორედ აქ პოულობს სტრუქტურულიზმი და ფენომენოლოგია საერთო სივრცეს და ადგილსამყოფელს. და ამდენად, ენის ფორმალიზმებული კვლევის შედეგად „ენა“ მყარად დამკვიდრდა ფილოსოფიურ სივრცეში და „ენა“ უკვე აღარ იყო მხოლოდ ლინგვისტების, გრამატიკოსების ანუ იგივე ფილოლოგების კვლევის საგანი, სემიოტიკური დისპოზიციიდან ლიტერატურამ საკუთარი ენა შეიძინა ჩამოყალიბებული როგორც სისტემა (გმირთა და პერსონაჟთა მიმართებათა სისტემა დაყოფის ერთი საფუძვლით, ან მეტაფორათა სისტემა).

ლიტერატურის დაბადება უდაოდ ჰომეროსის სახელს უკავშირდება და ამაზე არც არავინ დავობს, მაგრამ „თავად ეს სიტყვა „ლიტერატურა“ გაცილებით გვიან წარმოიშვა, ვინაიდან არც თუ დიდი ხნის წინ ჩვენს კულტურაში მოხდა გამოცალკავება ისეთი განსაკუთრებული ენისა, რომლის ნამდვილი მოდალობა „ლიტერატურად“ მყოფობაა (3:363). ლიტერატურა, მართალია, ფილოლოგიის ტყუპისცალია, მაგრამ ამავე დროს, როგორც ფუკო აღნიშნავს, მისი მწვავე ოპოზიციაცაა, იმ აზრით, რა აზრითაც მოიაზრებს სტრუქტურალიზმი „ლიტერატურას“. ფილოლოგიას „ენა დაჰყავს გრამატიკიდან წმინდა სამეტყველო ენამდე, სადაც გრამატიკა სიტყვათა ველურ და გაბატონებულ მყოფობას აწყდება“ (3:363). ამდენად, მწერლობა მარტო მხოლოდ გრამატიკული წესების გამოყენება არ არის ან სიტყვის „მოთვინიერება“, იგი უფრო თავის მყოფობაში ღმერთთან მისსავე ენაზე საუბარია.

„ენა“ ეთნოგრაფიაში (ეთნოლოგია) – მითების, ჩვეულებების, ტრადიციების, საკულტო წესების „ენაა“, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრულ სოციალურ-კულტურულ სისტემას, რომელშიც ჩადებულია განსაზღვრული ინფორმაცია: სახვით ხელოვნებაში კი „ენა“ – გამოსახვის გადაცემის სისტემაა, რომელიც გამოიყენება ფერწერის, გრაფიკულ ან სკულპტურულ ნაწარმოებში.

და ამდენად ფილოსოფიურ-სტრუქტურალისტურ სივრცეში ენა წარმოადგა მთელი თავისი ორიგინალური ფორმით და წარმოადგენს ლიტერატურული, მითოსური, ფოლკლორული, საზოგადოებრივ-სოციალური ყოფის მრავალფეროვანი ტექსტის ოქროს გასაღებს, „სწორედ მაშინ ჩნდება ნებისმიერი მეტყველების საყოველთაო ფორმალიზაციის ან სამყაროს მთლიანი განმარტების თემატური პროექტები, რაც იმავდროულად მისი სრული დემისტიფიკაცია ან ნიშანთა ზოგადი თეორია იქნებოდა; ასევე, ჩნდება პროექტი შეუწელებელი ტრანსფორმაციისა, მთელი ადამიანური მეტყველების სრული, ინტეგრალური ჩატევისა ერთ სიტყვაში, ყველა წიგნისა – ერთ ფურცელში, მთელი სამყაროსი – ერთ წიგნში“ (3:367). და, ეს ერთი წიგნი ბიბლიაა, რომლის ენას ბუნების ყველა ქმნილება იცნობს ჯერჯერობით ადამიანის გარდა.

ლიტერატურა:

1. პეტრიწი იოანე, შრომები, ტომი II, თბილისი, 1937.
2. იბერიელი პეტრე (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამომცემლობა „მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი, 1961.
3. ფუკო მიშელ, „სიტყვები და საგნები“, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2004.

4. გოგბერძენი მოსე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტომი IV, გამომცემლობა თსუ, თბილისი, 1978.
5. ბიჭაშვილი მამუკა, ლაიბნიცის მეტაფიზიკა და ენის ფილოსოფია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005.
6. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.
7. ბაქრაძე კოტე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტომი VI, გამომცემლობა თსუ, თბილისი, 1972.
8. წერეთელი სავლე, ანტიკური ფილოსოფია, გამომცემლობა თსუ, თბილისი, 1968.

Giorgi Shavgulidze
Kutaisi National University
LINGUA ADAMICA
RESUME

Saussure's work "*Course in General Linguistics*" draws attention to the distinction between the language and speech and outlines language as a system of signs, which obeys its own order, the entire theory is logically derived from this basic thesis.

Thus, language is a system of symbols, whose needs and laws dictate the one's will as an external compulsion, and how can people be the subject of the language, that was created without it, thousands of years before its birth.

According to Christianity, Trinity is oneness. Therefore, in the creation of the universe, God the Father, the Son and the Holy Spirit are equally participated as oneness. Thus the Logos, or Word in Christianity is here with the first, the Creator "the Word was first, the Word present to God, God present to the Word. The Word was God, in readiness for God from day one." (New Testament, the Gospel of John, Chapter I, 1; 2; 3) With the creation of God language and the world experience the deep sociability and the main purpose of language is "to give us a sign", that denotes and at the same time sets other signs. According to the Bible, "So God created man in His own image, in the image of God created He him; male and female created He them." (Bible, Chapter I, 27). Due to the creature and the creator not identity, but the sign of likeness is necessarily set.

Similarity (in Fuko's dimension of art) is the great silent mirror of the world, which points out and speaks to us. The world is a wide open book, which with an analogy and similarity points out and speaks to us. There is an analogy between the human brain and nut "the green pericarp heals the wounds of the cranial bone in groin" "every object in the universe can transform from the closed, silent existence into the verbal condition".

Where should we seek for the first meaningful language of Adam (Lingua adamica), which was researched by Jakob Bohme in the XVIth century?! Lingua Adamica is the direct reference about the existence of things. Thus, every new denomination implies the return to the "natural language". Every object, phenomenon of the universe is only the sign and denotation of the internal essential world.

If we accept and concede the veritable unity of the language then it must be functional and not substantial. Thus, every explanation, remark is directed from the statement of language existence not to explore what it denotes, but from the obvious development of discourse to reveal the language in its own existence.

ნანა ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულში

სამეტყველო აქტივობა თავისი სტრუქტურითა და მრავალგვარი სემანტიკური ასპექტით თუ სტილისტიკური ნიუანსით რთული, მრავალასპექტიანი მოვლენაა. მეტყველება საინტერესოა ლინგვისტებისთვის, როგორც აქტიური, დინამიკური ქმედება, რომელსაც ლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური, სოციოკულტურული საფუძვლები აქვს. **მეტყველების, ლაპარაკის** აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულში მეტად მრავალფეროვანია. ის ქმნის ექსპრესიულ ენობრივ საშუალებათა რთულ სისტემას, რადგან დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. ესენია: საუბრის ხანგრძლივობა, ტემპი, მიზეზშედეგობრიობა, ემოცია, კომუნიკაციის მიზანი, ინდივიდუალური თავისებურებანი და ბევრი სხვა...

ლაპარაკის აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიაში თავს იყრის სხვადასხვა საფუძველზე აგებული და განსხვავებული სტრუქტურის გამოთქმები. ყოველივე ეს ერთიან ლექსიკურ-სემანტიკურ ველს ქმნის. მათში საერთოა მეტყველების სემა და ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან დიფერენციალური ნიშნებით. ლექსიკურ ერთეულთა გაერთიანება ველებად სინონიმურ რიგებზე უფრო ფართოა და სტილისტიკური ნიუანსებიც ბევრად მკვეთრად გამოხატული.

I. ლაპარაკის დაწყება გადმოიცემა შემდეგი მყარი გამოთქმებით:

ენის ამოდგმა: გათამამება, გაკადნიერება; „კახურმა წითელმა დასძლია ჩვენს ბებერსა, ამოიდგა მარადის გაუჩერებელი ენა“ (ლ. არდ);

ენის ახსნაც ანალოგიურია: „როცა დუქანში ჩამოვხტებოდით... მაშინ სულ აეხსნებოდა ენა“ (ს. მგალ).

მეტად საინტერესოა პირის ქარის აშლა-ალაპარაკება, ენის ამოდრავება: „მკითხავს... შეუძლია... გამოიწვიოს სულები და პირის ქარი ააშლევინოს“ (ვაჟა).

ენა აეცრა – დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო: „დაწყვილდა ახალგაზრდობა, აღტაცებულ ქალ-ვაჟს ენა ასცროდათ და თავისუფლად უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ოცნებას თუ გულის ძგერას“ (ვ. ბარნ).

სიტყვის, ლაპარაკის გაბმა–დაწყება ერთი ასეთი გამოთქმაა. „იმან კი გამიცრუა ყველა იმედებით... გააბამს და დასასრული აღარ ექნეს მის ამისთანა წუწუნს“ (სახოკია, 1979: 66).

II. გაუთავებელი, დაუსრულებელი ლაპარაკი ქართულში არაერთი ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა.

ზოგიერთის დაუსრულებელი ლაპარაკის დაწყება შედარებულია **აბრუნებულ წისქვილთან**, რომელმაც, რაკი ერთხელ დაიწყო ტრიალი, მერე თავისით ვეღარ გაჩერდება (სახოკია, 1979: 5); „კაია, ნულარ გამახსენებთ, თუ ღმერთი გწამთ!, – **აბრუნა ამან თავისი წისქვილი!** – ღიმილით მიამახა არისტომ“ (დ. კლდ.).

არსებობს გამოთქმა **ფეიქრის ქსელივით გაბმა** – რა დაგემართა ადამიანო? **ფეიქრის ქსელივით** გააბი და აღარ დამთავრე ლაპარაკი.

ეს **გრძელი სიტყვა... იმიტომ გავაბი**, რომ ჩვენი მსჯელობისათვის ფეხმოსაკიდებელი საგანი აგვეჩინა (სახოკია, 1979: 583).

ლაპარაკად გადაქცევაც დიდხანს, დაუსრულებლად ლაპარაკია.

კოდალას ენა ჰამა – ბევრს ლაპარაკობს; **ენად არის გაკრეფილი**. ძველი რწმენით, თუ პატარას კოდალას ენა აჭამეს, ენასაც ამოიდგამს და საუცხოო მოლაპარაკეც იქნებაო.

კრუხის თავი უჭამია – ბევრი, დაუსრულებელი ლაპარაკი იცის: კრუხი, როცა წიწილებს ზრდის, მუდმივად უხმობს, კრიახებს, რომ მტერი დააფრთხოს და წიწილებს არაფერი დაუშავდეს.

კრუხის თავის შეჭმა, თანახმად ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობისა, ადამიანს უვითარებს ლაპარაკის უნარს და აალაპარაკებს. ეს საერთოქართველური ფრაზეოლოგიზმია და ნიშნავს ცუდ ხასიათზე ყოფნას: მოჰვამ დუდი აფუ ნაჰკომა... (გულუა, 2004: 30).

ზოგჯერ სათქმელი ირონიულადაა გადმოცემული: **პირი დაუობდა სიჩუმით** (მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობს, არ შეუძლია გაჩერება. „-რა ქნას მაშ?რა სთქვას?პირი დაუობდა სიჩუმით (ეკ. გაბ.)

პირის გაცდენა – უსაფუძვლო ლაპარაკია: მაშ, ჩემო ქეთევან, ტყუილად **პირს იცდენ!** (ნ. აზიანი).

ღორის ქონით მოქნა ყბებისა ბევრ ლაპარაკს, ყბების დაუყენებელივ ლაქლაქს ნიშნავს: კარგი,დედაკაცო,ღორის ქონით ხომ არა გაქვს ეგ ყბები მოქნილიო (ნ. აზიანი).

ყბების ჩამოცვენა, ყბედად ქცევა, ყბის დაღება, ენით ჯარას დატრიალებაც – ბევრი ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებია: კიდევ ეს პატოსანი დედაბრები **დატრიალებდნენ ენით ჯარასა** (ილია).

გამუდმებით ერთსა და იმავე თემაზე ლაპარაკი ასე გადმოიცემა: **ენაზე აკერია** „... რაც გულში მქონდა, ის ენაზე მეკერა“ (აკაკი). ამავე სემანტიკისაა **ენაზე დგომა**: „იქ ყველას ილო და თამრო ადგა ენაზე“ (ე. ჩერქ.).

III. ტყუილი, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი გადმოიცემა შემდეგი გამოთქმებით: **აქედან და აშურიანიო** „შენი ნათქვამი, ჩემო ძმაო, რომ იტყვიან–აქედან და აშურიანიო! სწორედ ის არის მეტად მიკიბულ-მოკიბული და სიმართლეს ძალიანაა დამორებული: შორავს, გირჩევ, მოკლედ მოსჭრა.“

აშურიანი დიდი საერისთავოა გორს ქვემოთ, მტკვრის ქვემოთ მტკვრის მარცხენა მხარეს. აშურიანი სიშორის სინონიმად დარჩა მტკვრის მარჯვენა მხარის მცხოვრებთათვის.

თუ ვინმე სიმართლის თქმის ნაცვლად მიკიბ-მოკიბვას შეუდგება, ეტყვიან: **აშურიანზე ნუ წახველიო**.

შორს გადაგდება სიტყვისა – მართლა ძილში ლაპარაკობდი: **შორს გადაუგდო სიტყვა** გიორგიმ, სულ იმას იძახდი: ღმერთო მიხსენ! ღმერთო მიხსენიო (ილია).

ამავე ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურული ვარიანტია **ბანზე სიტყვის აგდება** – პირდაპირ პასუხის მიუცემლობა რაიმე ნათქვამზე, ლაპარაკის საგნის მიფუჩეჩება, თავიდან აცილება პირდაპირი პასუხისა, განგებ დაბნელება აზრისა თუ ნათქვამისა: თუ ანას იტყვის, ამისათვის ხელი გავიწვდინე და ვერ მივწვდით, **ეგ ბანზედ სიტყვის აგდება იქნება** (ილია).

მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არის არეული ლაპარაკი: „სულ დაგავიწყებ ერთიან **მიკიბულ-მოკიბულ შარებსა** (შ.მღვიმ).

„რის **წნელების გრება**, რის **ფლავი**, რის **ბოზბაში**! ლაპარაკის საგანს რას აბნელებ! მე რას გელაპარაკები და შენ რას ამბობ? საიდან სადაო (სიტყვას ბანზე ნუ ისვრი, და! რა თვალები, რა ჭრელი? რის ფლავი. რის ბოზბაში?...“ (რ. ერისთ.).

სიტყვის გაკვრა-გამოკვრით ლაპარაკი და წაღმა-უკულმა ლაპარაკი სინონიმურია: „ჩვენ კი ვამბობთ, ამ წაღმა-უკულმა ლაპარაკში იმას ვხედავთ, რაც წინათ დავინახეთ“ (ილია).

გაფაჯა და დადვა, დაცემამდე ილაპარაკა, - იტყვიან გაუთავებლად მოლაპარაკის შესახებ ჩვენებურები.

IV. დაულაგებელი, ლოგიკას მოკლებული ლაპარაკი გადმოიცემა შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით:

აბდაუბდა-გადასკუპდა–„ეს წყნარი და ტკბილი მოუბარი ყოფილა აბდაუბდისა და გადასკუპდისა–წამოდგა (ილია).

თ. სახოკია წერს: ზოგიერთი ადამიანი ერთ რამეზე რომ დაიწყებს ლაპარაკს, მეორე უცნაურ, საკვირველ, დაუჯერებელ ამბავს გამოაბამს კუდივით, რომელსაც პირველთან კავშირი არ აქვს: მეორე ამბიდან მესამეზე გადასკუპდება, მოჰყვება ამ მთისას, იმ მთისას, გამოიბამს ძაღლის ყბას, დაგიმძიმებს სმენას და სათქმელს მაინც ვერ გეტყვით, ასეთ კაცს ეტყვიან: „შენ ჩემო ძმაო, აბდაუბდა-გადასკუპდა ხომ გაგიგონია? (სახოკია, 1979: 5–6).

აბდაუბდა ფუმეგაორკეცებული კომპოზიტია, **აბდა** ნიშნავს უცნაურს, საკვირველს, დაუჯერებელს მოჭორილს.

უაზრო ლაპარაკი გადმოიცემა სხვა ფრაზეოლოგიზმითაც: „აქაოდა, კარი ღია არის, ვისაც რა მოხვდება, **არახუნებს მოშლილი წისქვილივით**“ (ილია).

ენა წინ უსწრებს – დაუფიქრებელი ლაპარაკი იცის: „ეს კარგად უნდა ახსოვდეს იმათ, ვისაც ენა წინ უსწრებს ცოდნასა“ (ილია).

ენის წაგრძელება – მოურიდებლად, უშიშრად, დაუფიქრებლად ლაპარაკი, იმის თქმა, რის შესახებ საუბარიც აკრძალულია.

ლაგამწამოყრილი ლაპარაკი უთაკილო, მოურიდებელი დაუფიქრებელი ლაპარაკია: გაგონილა ასეთი **ლაგამწამოყრილი ლაპარაკი** სამეცნიერო საგნებზედ? (ილია).

უაზრო, უთავბოლო ლაპარაკი, მიდებ-მოდება სამხრულ დიალექტებში რამდენიმე ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა.

ინეგოლში (კერძოდ, თუფეჩი ქონაქში) მკვლევარმა შ. ფუტკარამემ ჩაიწერა გამოთქმა **კატა დაამტრია**: „**ქალმა ლაპარიკში ბარსამჯელ დაამტრია კატა, შაატყე, ხომ?** კატის დამტრევა ნიშნავს მოუზომავი ლაპარაკით ვიღაცის წყენინებას ან საიდუმლოს გაცემას (ფუტკარამე, 1993:482). ეს ფრაზეოლოგიზმი მაჭახლურშიც დაადასტურა მ. შაჰინმა. მაჭახელშიმ. შაჰინმა ჩაიწერა უთავბოლო, უაზრო ლაპარაკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები: **წინ-უკან ლაპარაკობს და კაჭა-კუჭაია ლაპარაკობს. წაღმა-უკულმა ლაპარაკი** თურქულის კალვია (მამულია, 2006: 169) სიტუაციის შეუსაბამო ლაპარაკზე მუჰაჯირები იტყვიან, **ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლიაო**.

„დაამტრია ქალმა ჯიხრიკი, ყველამფერი გააგონა მამამთილსა“: დაუფიქრებელი სიტყვა თქვა, მოურიდებლად ილაპარაკა, უნებურად საიდუმლო გასცა. ამ უკანასკნელ გამონათქვამში დომინირებს ის სემანტიკა, რომ რძალმა ისეთები თქვა, რაც მამამთილს არ უნდა გაეგონა, უბრალოდ უნდა მორიდებოდა. კატის დამტრევაში იგულისხმება **ვიღაცის წყენინება**. ამავე სემანტიკისაა **კატის გაგლეჯაც**. მოგეხსენებათ, როცა ოჯახში რძალი შედის, თუ დედამთილმა მაშინვე გამოამჟღავნა თავისი ხასიათი, რძალს არ მოერიდა, იტყვიან **კატა თავიდან გაგლიჯაო**, ამრიგად, ორივე ფრაზეოლოგიზმისათვის საერთოა საიდუმლოების გაცემის სემანტიკა, მაგრამ ისინი სტილისტიკურად მარკირებულია - ჯიხრიკი მოურიდებელი, ხმაურიანი საუბარია, კატის დამტრევა კი - წყენინება. პირველი მათგანის სინონიმია **„ხოშრად დაგვახუნება“** (ცეცხლაძე, 2009: 143).

მაჭახლურში დადასტურდა მეტად საინტერესო ფრაზეოლოგიზმი: **(რ)მემგადმეიარა**, არა აქ რაც ნიშნავს ასაკის გამო გაუთავებელ, უთავბოლო, სიტუაციის შეუსაბამო ლაპარაკს (ცეცხლაძე, 2009: 143).

V. მამებლობა მეტად საინტერესო სემანტიკური ჯგუფია, რომელშიც ჩანს სამეტყველო ქმედების მიზანი:

გუნდრუკის კმევა გამორჩენის მიზნით ვისიმე ქება-დიდება, მლიქვნელობა, პირმოთნეობა, მაცდურობა, პირფერობაა.

მთელი ეს მეთაური იმ აზრზეა აკინძული, რომ დაამტკიცოს ივერიის კონსერვატორობა ... თავად აზნაურობისთვის მის მიერ **გუნდრუკის კმევა** და სხვა ამისთანები (ილია).

გუნდრუკი ანუ მამალი საკმეველი სურნელოვანი ფისია, რომელიც სხვადასხვა ხეს გამოუდის. ის სუნს გამოსცემს, როცა გაღვივებულ ნახშირზე დაყრიან და ისიც აკვამლდება (სახოკია, 1979:125).

ენით გალოკვა – „როცა ეს გამოაცხადა მამასახლისმა, თავიდან ფეხებამდის ენით გალოკეს“ (ცხოველებმა იციან თავიანთი შვილების გალოკვა ენით და ამგვარად თან ასუფთავებენ მათ და ეალერსებიან) (სახოკია, 1979: 174).

ენისა და პირის დაშაქრვა – „შენ პირი და ენა დაიშაქრე და მე მომეხმარე, –დაიწყო სადილზე გმირისეულმა (ს. მგალ.).

მოთაფლული ენა აქვს, - ტკბილი ლაპარაკი იცის, მლიქვნელია.

მოკალული სიტყვა – გარეგნულად ლამაზი, მომხიბლველი სიტყვა „ვამ თუ ლომსა ესე მოკალული სიტყვები მართალი რამე ეგონოს და საფერებელი ტყუილი გულის სიწრფელით დაიჯეროს“ (სახოკია, 1979:416).

პირში ჩადნობა - ვითომ მეტად ტკბილი, საალერსო სიტყვა: აი, ვინც შენ დაგიქნევდა ხელსა, შენმა მზემა, **პირში ჩაადნობდი...** (ს. მგალობ.).

ხიდან ყვავს ჩამოაგდებს, ისეთი ენა აქვს–მეტად მოქარგული ლაპარაკი იცის: ვის არ შეაცდენს მაგისი ენა, ყველას მოატყუებს, მეტად ეშმაკია. ეს ფრაზეოლოგიზმიც საერთოქართველურია და გვხვდება მეგრულ-ჭანურშიც (გულუა, 2004: 30).

VI. გაურკვეველი ლაპარაკის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში გამოსჭვივის კონკრეტული მიზეზი, ტემპი, ხმის სიდაბლე, გაბრაზება.

კევის ღეჭვა უგემურად, გაურკვეველად, გაუბედავად ლაპარაკია: მისი საუბარი ერთი რაღაც უგემურად **კევის ღეჭვა** (ილია); **რა კევი ჩაგიდვია პირში?** – რა გაუგებრად ლაპარაკობ!

კევის - საღსაღაჯის ღეჭვა იმიტომ ასოცირდება უნდომ ლაპარაკთან, რომ როცა ადამიანი ღეჭავს და ამავდროულად ლაპარაკობს ნელა, გაუბედავად, ზღაზვნით.

ამავე სემანტიკისაა **გვერდელა ლაპარაკიც**. იმის გვერდელა ლაპარაკისგან ადამიანი ვერც თავს გაიგებს, ვერც ბოლოს. ასეთი ლაპარაკი მოსაუბრისადმი უპატივცემულობას ნიშნავს, ლაპარაკის ნაცვლად ლუღლუღი გამოდის, ტუჩებს ზანტად ამოდრავებს (სახოკია, 1979: 92).

ონოფრე ბერივით ბუტბუტი გაურკვეველი, დაბალ ხმაზე საუბარია, **წვერმოტეხილი ენით ლაპარაკი**-გაჭირვებით ლაპარაკი: „–რა ვქნა,–ამოთქვა აფშინამ წვერმოტეხილის ენითა“ (ვაჟა).

ჭიანჭველანაჭამი დათვივით ბუტბუტებს გამწარებული, გაანჩხლებული ლაპარაკია (დ. მჩხ.).

ჭიანჭველა შეიცავს ერთ შხამიან მჟავას, რომელიც ადამიანს სხეულზე მოქმედებს, როგორც მწვავე ნივთიერება. ამ მჟავამ ჩაყოლა იცის თავლის საშუალებით, იმავე გზით ჩადის ხოლმე დათვის მუცელში, ნაწლავს დაუწვავს და ფაღარათს მართებს ცხოველს.

VII. მედიდურობა, თავის გამოჩენის მიზნით მაღალფარდოვანი სიტყვებით საუბარი ასე გადმოიცემა:

სიტყვის გაბრტყელება არის ნათქვამისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება, მედიდურობა, თავის გამოდება: ტასიამ **სიტყვა გააბრტყელა** (სახოკია, 1979:66)

ბრტყელ–ბრტყელად მოუბარი მოურიდებლად, ტრაბახით, თავის ქებით მოლაპარაკეა: „მოდით და გაიგეთ, ამ ხუთში რომელი მართალი ჩვენი **პტყლა–პტყლად მოუბარი** მეცნიერი“ (ილია).

VIII. ენატკბილობა, მჭვრეტეველება არაერთი ასეთი მყარი გამოთქმით გადმოიცემა: **გავისენოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: სიტყუამ მისი შეზავებულ იყო მარილითა მადლისადათა.**

მოქარგული ენა აქვს, პირიდან შაქარი//თაფლი გადმოდის ამავე სემანტიკის გამოთქმებია.

ენამახვილობა, მოსწრებული სიტყვა ასე გადმოიცემა: **ბერს ცოლს შეართვევინებს** ლაპარაკი–ძალიან მოხერხებული ლაპარაკი იცის, ყველას შეაცდენს: „იმისი ტოლ–ბადალი არ გაუჩენია ღმერთსა, რომ მოინდომოს, **ბერს ცოლს შეართვევინებსო**. საეკლესიო კანონით ბერად შემდგარის ცოლის შერთვა მომაკვდინებელი ცოდვაა.

ენაზე ჭალი არ მოედება - კარგი მოლაპარაკეა, რაც უნდა ჰკითხე ყველაფერზე მოგიგებს–ჩემ მაკრინეს სატანაც ვერ დასტყუებს, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ვითომ ენაზე ჭალი მოედება თუ (გ. ერისთ.).

სიტყვისათვის ჯიბეში ხელს არ იყოფს – ეს ფრაზეოლოგიზმიც ამავე სემანტიკისაა.

ენა უჭრის – კარგი მოლაპარაკეა.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას დაუცავს მეტად იშვიათი გამოთქმები:...**ფატყუმა ნენე, ფირუზა ნენე დეილაპარიკებდენ, ხორთლადი ადგებოდა** (ჩვენებ. 84).

ხორთლადი (hortlak) თურქული სიტყვაა და ვამპირს, მოლანდებს, საფლავიდან ამდგარ მიცვალებულს ნიშნავს (ფუტკარაძე, 199: 675).

მუჰაჯირთა შთამომავლები იტყვიან, იმფერი კად მოლაპარიკე იყო, **სიტყუაში არ დეიმტრეოდა, სიტყუაში ვერ დააბემდიო.**

IX. ავეიაობა: მერალა ამოსდის პირიდან–შურიანია, ცუდი სიტყვებისა თქმა ემარჯვების. მერალი ბალახია საშინელი მერალი სუნის გამომშვები; ხატოვნად იტყვიან მოშურნენი ბოროტი ენის ადამიანზე (სახოკია, 1979: 38). იგივე სემანტიკა ჩანს სიტყვა „ყიამყრალში“. **პირღნიოშიც** ლაქლაქა, ყბედია. **პირშენახული** – საიდუმლო ფრთხილი ლაპარაკი ვინც იცის (შდრ. **ენამოვლილი, ვინც სიტყვის თქმის ადგილი, მოზომილი საუბარი იცის**). ამავე სემანტიკისაა: **მიწაში გველს მოკლავს. აჭარულში გავრცელებულია გამოთქმა: სტამბულში კაცს მოკლავს, ისეთი ენა აქვსო.**

ამრიგად, ქართულში **მეტყველების, ლაპარაკის** აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები იყოფა სხვადასხვა საფუძველზე აგებულ, სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ გამონათქვამებად, რომელთა სისტემაც ერთიანია და ასახავს განსხვავებულ სემანტიკურ თუ სტილისტიკურ ნიუანსებს.

ლიტერატურა და წყაროები:

1. გულუა 2004: გულუა ნ., ფრინველებთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი მეგრულ-ლაზურში არნოდ ჩიქობავას საკითხავები, თბ. XV. 2004;
2. მამულია 2006: მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამომც. „ცისარტყელა“, თბ.;
3. მაჭ. _ მაჭახელა. მ. შაჰინი“, Macacheli net, dejimler;
4. ნიჟარაძე 1975: ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი;
5. ორდულ მუჰაჯირთა მეტყველება, 2012 წლის ექსპედიციის მასალები;
6. საბა – სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული თბ. 1991 ...
7. სახოკია 1979: სახოკიათ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი თბ.;
8. ცეცხლაძე 2009: ფრაზეოლოგიური ვარიანტები იმერხელში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებანი ინფორმაციულ საზოგადოებაში I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი;
9. ხახუტაიშვილი... 2009: ხახუტაიშვილი მზ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური კილოკავის მასალები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კრებული VI.
10. ჩვენებ.: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი 1993.

Nana Tsetskhladze

Batumi Shota Rustaveli State University

PHRASES EXPRESSING TALK IN GEORGIAN

RESUME

Phrases depicting speech and talk are diverse in Georgian. Its semantic field is a complex system of expressive means depending on various factors – duration, speed, goal of communication, etc.

Idioms showing start of conversation are the following: *enis gadzvra, enis amokhsna, krichis gakhshna//piris gakhshna*.

Endless talk – *tsiskvilis abruneba, feikris kselivit gabma, enit jaras triali/enis atsra, krukhis tavis//kodalas enis chama*, etc.

Thoughtless talk – *lagamtsakrili laparaki, ena tsin ustsrebs, piri chishkari aqvs*.

Vague talk – *kevis ghechva* (slow talk), *onopre berivit butbuti* (low voice); *chianchvelanachami datvivit butbuti* (angry talk).

Illogical talk – *abda-ubda gadaskupda, chvavis chiboni da tiknis davli*.

Obsequious talk - *pirshi chadnoba, motapluli ena, mokaluli sityva, xidan yvavis chamogdeba*.

Straightforward talk – *lekuri sityva, ketit gadaubrunebeli sityva, chinchshi gamosakrivi sityva, tskali ar guava sitkvas*.

Thus, phrases expressing speech and talk create a complex system. Differentiated signs are expressed with different structure as well.

მე-3 ობიექტური პირის პრეფიქსის ალომორფთა დისტრიბუცია ქართულ დიალექტებში

ქართული ენის ზმნურ სიტყვაფორმებში წარმოდგენილი აგლუტინაციური საშუალებებიდან ყველაზე კოლორიტულად გამოკვეთილი, და ამდენად, საინტერესოც, ობიექტური პირის ანუ, სინტაქსურად, დამატების ექსპონენტების დისტრიბუციაა. ე. ი. ობიექტური პირის მორფემების (პირდაპირი და ირიბი) ალომორფული გამოვლინებები და მათი განდასება მორფოლოგიური და ფონოლოგიური სიტუაციების გათვალისწინებით.

საკითხი ქართულ დიალექტოლოგიაში ძველთაძველია. მას პირველად შეეხო და საფუძვლიანად შეისწავლა აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 10-იან წლებში. გამოქვეყნდა კი 1920 წელს როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი მონოგრაფიისა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. მე-3 ობიექტური პირის ზმნის ფორმაში ასახვის საკითხი ამ შრომაში წარმოდგენილია ყველა ქართული კილოს მონაცემების გათვალისწინებით (მე-2 სუბიექტური პირის პრეფიქსთან ერთად). ნაშრომის ძირითად ნაწილში უაღრესი სკრუპულოზურობით გამოკვლეულია საკითხის არსი და მდგომარეობა ძველ სამწერლობო ქართულ ენაში. დადგენილია, რომ ძველ ქართულში მე-3 ობიექტური პირის ნიშანი ზმნის ფორმაში აფიქსით აისახება იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში დამატება მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, არა აქვს მნიშვნელობა იგი პირდაპირი დამატებაა თუ ირიბი. ეს არის ძირითადი წესი. ცხადია, დასტურდება ახსნადი გამონაკლისებიც. დიალექტების მდგომარეობა ამ ფონზეა განხილული, ასე რომ ძველი ქართული ენა, ამ შემთხვევაში, ერთგვარი ეტალონის როლს ასრულებს.

ქართულ დიალექტურ მეტყველებაში O_3 -ის პირის ზმნაში ასახვის სურათი მთლიან სამეტყველო სივრცეში ზოგადად ასეა წარმოდგენილი: ქართული ხალხური მეტყველების გავრცელების მთელი სივრცე ორ ძირითად არეალად განიყოფება: დასავლურ არეალად, სადაც O_3 პირი ზმნაში აფიქსით არ აისახება. ასევე არ აისახება S_2 პირიც. ასე რომ ამ გეოგრაფიულ არეალში (ლიხს იქით) არც S_2 და არც O_3 პირებს ზმნის ფორმაში მორფოლოგიური წარმომადგენელი არ მოეპოვებათ. მეორე არეალი აღმოსავლეთ საქართველოა, სადაც O_3 -ის მორფმა ზმნაში აისახება. ამ მორფემის ალომორფები ყველა დიალექტში უაღრესი სიზუსტით დაადგინა აკაკი შანიძემ.

აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ძირითადი სინტაქსური წესი, რომ ზმნაში, ძველი ქართულის მსგავსად, უჭველად აისახება მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი დამატება, სისტემებრ არის გატარებული. დიალექტებს შორის ინოვაციები ალომორფების რაოდენობასა და მათს დისტრიბუციაში მდგომარეობს, რომელთა ძირითადი ნაწილი აკაკი შანიძემვე დაადგინა. ეს სხვაობები აღმოსავლურ დიალექტურ არეალში სამ ქვეარეალს გამოგვაყოფინებს: ბარის დიალექტები – ქართლური და კახური, სადაც O_3 -ის მორფმა ერთიმეორესთან დამატებით დისტრიბუციაში მყოფი ორი \emptyset და α - ალომორფითაა წარმოდგენილი; მთის დიალექტები, ე. წ. „ფხოური კილოები“ – თუშური, ხევსურული, მოხეური – სადაც აგრეთვე კომპლემენტარულად ერთმანეთს ენაცვლება შვიდი ალომორფი \emptyset , ზ-, ს-, ჟ-, მ-, α -, ხ-. ამათ შორისაა გარდამავალი არეალი – ფშაური და მთიულური, სადაც აგრეთვე პოზიციურად შეპირობებული სამი ალომორფი – \emptyset , ს-, ჰ- ენაცვლება ერთმანეთს.

O_3 პირის მორფემის ალომორფების განაწილების თვალსაზრისით არეალური სხვაობები დოკუმენტურად კარგად ჩანს ერთ კახური წარმომავლობის ხალხური სასიმღერო ლექსის კუთხურ ვარიანტებში, რომელიც უაღრესად პოპულარული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეთა შორის. თვალსაჩინოებისათვის ვნახოთ ეს ვარიანტები:

კახური ვარიანტი (დოკუმენტური)

შირაქში ერთმა მეცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძა α უამბო, ბიძა რო **ყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო და ნიავი, **მოფლიჯა** ჩვენი ფარები, ზეცა **გაჟონდა** გრიალი. ან მე მოვკვდები ამ სამ დღით, ან ცხვარ მოუა რიალი. ადექ, ფირუზ, და შინ წადი, იქ

ხომ არა გაქ ზიანი. ყველა მწყემსებ დაუმახე, ვისიც რა **ყვანდა** ზიარი. ყველა თავისი გაუყო, **დარჩა** ცხრაათსიანი. მეჯოგე ჯოგში **გაგზავნე**, ლურჯა **მოფგარე**, ტიალი მეჯოგემ ლურჯა **მოფგარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

თუშური ვარიანტი (დოკუმენტური)

შირაქში ერთმა მემცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძას უამბო, ბიძა რო **ხყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო და ნიავი, **მოღლიჯა** ჩვენი ფარები, ზეცას **გახქონდა** გრიალი. ან მე მოვკვდები ამ სამ დღით, ან ცხვარს მოუვა რიალი. ადექ, ფირუზი, შინ წადი, იქ ხო არა გაქვ რიალი. ყველა მწყემსებს დაუმახეს, ვისიც რა **ხყვანდა** ზიარი, ყველას თავისი გაუყო, **დარშჩა** ცხრაათსიანი. მეჯოგე ჯოგში **წაღლლაღეს**, ლურჯა **მოღგვარეთ**, ტიალი, მეჯოგემ ლურჯა **მოღგვარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

ფშაური ვარიანტი (დოკუმენტური)

შირაქში ერთმა მემცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძას უამბო, ბიძა რო **ჰყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო და ნიავი, **მო ჰგლიჯა** ჩვენი ფარები, ზეცას **გა ჰქონდა** გრიალი. ან მე მოვკვდები ამ სამ დღით, ან ცხვარს მოუვა რიალი. ადექ, ფირუზი, შინ წადი, იქ ხო არა გაქვ რიალი. ყველა მწყემსებს დაუმახეს, ვისიც რა **ჰყვანდა** ზიარი, ყველას თავისი გაუყო, **დაჰშჩა** ცხრაათსიანი. მეჯოგე ჯოგში **გა ჰგზავნეს**, ლურჯა **მო ჰგვარეთ**, ტიალი, მეჯოგემ ლურჯა **მოჰგვარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

დასავლურქართული ვარიანტი (დოკუმენტური)

შირაქში ერთმა მეცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძას უამბო, ბიძა რო **ყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო და ნიავი, **მოგლიჯა** ჩვენი ფარები, ზეცას **გაქონდა** გრიალი. ან მე მოვკვდები ამ სამ დღით, ან ცხვარს მოუვა რიალი. ყველა მწყემსებს დაუმახეს, ვისიც რა **ყვანდა** ზიარი, ყველას თავისი გაუყო, **დარჩა** ცხრაათსიანი. მეჯოგე ჯოგში **გაგზავნეს**, ლურჯა **მოფგარეთ**, ტიალი, მეჯოგემ ლურჯა **მოფგარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

როგორც ვხედავთ სურათი ერთობ ნათელია და O₃ პირის ზმნაში ასახვის საკითხი შეიძლება გამოყენებული იყოს ქართული ენის დიალექტური არეალების ძირითად სადემარკაციო იზოგლოსად. მას მხარს უმაგრებს, ცხადია, ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებათა იზოგლოსების კონნები.

როგორც ვხედავთ, ამ მორფემის ალომორფთა რაოდენობაც და მათი დისტრიბუციის წესებიც ყველა დიალექტში აკაკი შანიძის მიერ თავიდანვე ისეთივე სიზუსტითაა დადგენილი, რომ შემდგომი დროის მკვლევრები მას ვეღარაფერს უმატებენ, დასამატებელი არაფერია. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები მაინც ჩნდება, რომლებზე პასუხებიც ან არ არსებობს, ან ნაკლებად დამაჯერებელია.

1. რატომ აისახება ზმნურ ფორმაში წინადადების სამი სხვადასხვა წევრი (მეორე პირით გამოხატული ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება) ერთი აფიქსით. აქ აფიქსების ომონიმის ვარაუდობენ. ალბათ ასეა.

2. რატომ აისახება ერთი მნიშვნელობა, ანუ წინადადების ერთი წევრი, პირდაპირი დამატება, ორი მორფემით: სახელობითბრუნვიანი – O-ით, ხოლო მიცემითბრუნვიანი – პოზიციურად შეპირობებული ჰ-, ს- ალომორფებით? ეს აგლუტინაციის წესის დარღვევაა. რა აქვს მიცემით ბრუნვას ისეთი, სახელობითისაგან განსხვავებული, რაც ზმნაში წარმომადგენელს აჩენს? ამას ორნაირი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ან სახელობითბრუნვიანი ობიექტი და მიცემითბრუნვიანი ობიექტი სხვადასხვაა, ან მეტყველს სიღრმულ ცნობიერებაში აქვს მიმართება, რაც ზედაპირზე არ ჩანს და ეს მიმართება მიცემითი ბრუნვით გამოიხატება. რეალურობასთან ახლოს მყოფი მეორე ახსნა გვგონია, მით უმეტეს, რომ ეგვე მიმართება სხვაგვარადაც გამოიხატება: შდრ. მოსტება – მოატება, მოჰგლიჯა – მოაგლიჯა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიცემითი ბრუნვით გამოიხატება არა მხოლოდ ობიექტური, არამედ რაღაც სხვა, ერთგვარი სივრცითი ან ვერსიული მიმართებაც. ამის

მანიშნებლად გვეჩვენება O_3 -ის ზმნაში ასახვის ხევსურული წესი, როცა აწმყოს წყების უზმნისწინო მწკრივებში აფიქსი არ ჩანს და ზმნისწინიანებში კი იგი დაჩნდება:

ჭრის – მაშჭრის,
ტებს – გასტებს, მასტებს,
ჭამს – შაშჭამს,
კლავს – მახკლავს,
ლევს – დალლევს.

ზმნისწინის უმთავრესი ფუნქცია ხომ მოქმედების სივრცითი მიმართების დამყარებაა.

საგულისხმოა ზმნათა ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფის, ე. წ. **დაჰზადა** ტიპის ზმნების ჩვენებაც. ეს ორპირიანი გარდამავალი ზმნებია, რომლებშიც აფიქსი სახელობითბრუნვიან ობიექტებს შეესაბამება, ე. ი. აფიქსი თავს იჩენს აორისტის წყების ფორმებშიც. ეს მოვლენა განსაკუთრებით ცხადად ჩანს მთის დიალექტებში – თუშურსა, ფშაურსა, ხევსურულსა და მოხეურში.

ფური ხბოს **ღზადებს** – ფურმა ხბო **დაღზადა**;

ღგლეჯს ბალახს – **დაღგლიჯა** ბალახი;

შჭრის ხეს – **მოშჭრა** ხე;

სთესს ქერს – **დასთესა** ქერი.

არის ამავე აღნაგობის ზმნები, სადაც პირის ნიშანს მხოლოდ მიცემითი ბრუნვა აჩენს, სახელობითთან იგი გამორიცხულია. ლინგვისტი აქ რაიმე კანონზომიერებას ვერ აღმოაჩენს, მაგრამ მოსაუბრეს იგი არ შეეშლება. **ხკლავს** ირემს, მაგრამ **მოხკლა** ირემი გამორიცხულია, იტყვის **მოკლა**. **ღგლეჯს** ბალახს – **დაღგლიჯა** ბალახი, მაგრამ **ღგლეჯს** ხალათს – **დაგლიჯა** ხალათი. **დაღგლიჯა** ხალათი გამორიცხულია. როგორ ასხვავებს მოსაუბრე ამ ორნაირ „დაგლეჯას“ ერთმანეთისაგან, გაუგებარია. მაგრამ ფაქტია, რომ ის ასხვავებს. გავიმეორებთ ზემოთ ნათქვამს, რომ მოსაუბრის სიღრმეულ სტრუქტურაში არის რაღაც განსხვავებული მიმართებები, რაც ზედაპირულ სტრუქტურებშიც იჩენს თავს.

George Tsotsanidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

3RD PERSON PREFIX OBJECTIVE ALOMORPHS' DISTRIBUTION IN GEORGIAN DIALECTS RESUME

1. 3rd objective indication of a mark in the verbal form of the Georgian dialects are divided into two main groups: a) Western dialects, where the person is not marked and affix b) Eastern dialects, where O_3 shall affix the proper verb.
2. East of dialects in turn distributed in three groups: a) plain dialects, Kartlian and local, where one person O_3 - o - alomorphi is presented; B) mountain dialects - Tush, local, where O_3 person feel comfortable - s alomorpi six phonetic positions, z -, sh -, zh -, h -, gh - alomorphs represent and c) the transition dialects - Pshavian, entertained, - where the person two - s - and h - alomorphi is represented.

ხატია ხატიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების ეროვნულ-სპეციფიკური მახასიათებლები

ქართული და რუსული ენები სხვადასხვა ენობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან და ბიბლიის თარგმნის მათ უკვე დიდი, მყარი ტრადიციები გააჩნდათ, რომლებმაც, ფონეტიკურ თავისებურებებთან ერთად, ფრაზეოლოგიზმების სტილზე და ლექსიკურ გაფორმებაზეც იქონიეს გავლენა. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

რუსული ფრაზეოლოგიზმი краугольный камень და ქართული ქვაკუთხედი ერთი მნიშვნელობის – “საფუძველი, არსებითი ნაწილი, დედა-აზრი” – მატარებელია.

თავდაპირველად *ქვაკუთხედი* ეწოდებოდა ქვას, რომელიც ეტანებოდა შენობის კუთხის სამირკველში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მისი სიმყარის უზრუნველყოფაში. მაგრამ, როგორც ჩანს, თავისთავად აღნიშნული რელია არ ქცეულა რუსული ფრაზეოლოგიური კონსტრუქციის პირველწყაროდ. იგი გაჩნდა ბერძნული ენიდან კალკირების (ლიტკოს აკროგონიასის) შედეგად ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმნისას. რუსულ ენაში ამ ფრაზეოლოგიზმის წყაროდ უნდა მივიჩნიოთ შემდეგი სტრიქონი ბიბლიიდან: «Я полагаю в основание на Сионе камень, камень испытанный, краеугольный, драгоценный, крепко утвержденный» (ესაია წინასწარმეტყველის წიგნი, 28:16).

გამონათქვამის *краеугольный камень* ფრაზეოლოგიზაცია თანდათანობით მოხდა. მისი მყარ შესიტყვებად აქტუალიზაციასა და რუსული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში გადასვლას, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეში ჰქონდა ადგილი. XIX საუკუნეში აღნიშნულ კონსტრუქციას უკვე პუშკინის შემოქმედებაში ვაწყდებით. სიამოვნებით მიმართავდნენ მას გერცენი, პისარევი, ჩერნიშევსკი (ვარიანტული ფორმით *краеугольное основание*), აქტიურ ფუნქციონირებას განაგრძობდა იგი XX საუკუნეშიც.

ბიბლიის ქართულ თარგმანში მოცემული მონაკვეთი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: „აჰა ესერა დავსდებ საფუძველთა სიონისათა ლოდსა ფრიად პატიოსანსა, რჩეულსა, თავსა კიდურასა, პატიოსანსა, საფუძველთა მისთა“. მაშასადამე, რუსულ გამონათქვამს *камень краеугольный* ქართულ ტექსტში შეესაბამება *ლოდსა თავსა კიდურასა*. თუმცა ქართული გამონათქვამი, რუსულისაგან განსხვავებით, არ შესულა ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში. ეკვივალენტი *ქვაკუთხედი* გვიანდელი წარმონაქმნია. ლექსიკოგრაფიულად იგი პირველად ქართული ენის რვატომეულ განმარტებით ლექსიკონშია დაფიქსირებული. არც ერთ წინა გამოცემაში იგი არ დასტურდება. ამ კომპოზიტს იყენებდა უკვე ილია ჭავჭავაძე, მას ხშირად მიმართავენ აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომლის მიხედვით, წიგნის ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელი სიტყვა *ქვაკუთხედი*-ს წარმოქმნასა და აქტუალიზაციას ხელი შეუწყო რუსულმა ფრაზეოლოგიზმმა *краеугольный камень*.

არსებობს აღნიშნული ცნების განსხვავებული გაგებაც: კალატოზები ამ სიტყვით, როგორც სინონიმით, აღნიშნავენ *კუთხის ქვას*, ანუ ქვას, რომელიც შენობის კუთხეს აყალიბებს.

ანალოგიური წარმომავლობა და მნიშვნელობა რუსულ ენაში გააჩნია ისეთ მყარ შესიტყვებას, როგორიცაა *ставить во главу угла* (*კუთხის სათავეში ჩადება/დადება*) – “ჩათვალო ძირითადად, მიაწიკო განსაკუთრებული მნიშვნელობა”. აღნიშნულ გამონათქვამს საფუძველად უდევს ბიბლიური ფრაზა: «Камень егоже не въ ряду сотвориша зиждущии, сей быть во главу угла» (Камень, который отвергли строители, тот самый сделался главою угла) (მათე, 21:42).

ფრაზის ქართული თარგმანი იგივენაირად ჟღერს: “ლოდი, რომელ შეურაცხევს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ საკიდურთა” ვარიანტული ფორმით “იგი იქმნა თავ კიდეთა”. როგორც ჩანს, ეს ადგილი დაედო საფუძველად კომპოზიტს *თავკიდური* – “საწყისი, კიდური” – რომელმაც, თავის მხრივ, გამოიწვია ანტონიმის *ბოლოკიდური* წარმოქმნა.

დ. ჩუბინაშვილთან დაფიქსირებული *თავკიდე* და *თავსაკიდარი* – “ქვა, რომელიც ჩატანილია შენობის კუთხის სამირკველში” – როგორც ჩანს, გვიანდელი წარმონაქმნია და იგი გამონათქვამის *краеугольный камень* გავლენით ჩამოყალიბდა. საინტერესოა, რომ არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ არის შესული ი. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში”.

მაშასადამე, ბიბლიის ერთი და იგივე ფრაგმენტის რუსული და ქართული თარგმანი თანამედროვე გამონათქვამების *краеугольный камень*, *во главу угла* და *თავკიდური* ეტიმონებია, თუმცა ამ ორ ენაში მათი სემანტიკური ტრანსფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა, რის შედეგადაც განსხვავებული, არათანხვედრი სემანტიკური ერთეულები წარმოიქმნა.

გამონათქვამის *тьма кромешная* ქართული ეკვივალენტი *უკუნი ბნელი* ასევე გარკვეული სემანტიკური ძვრების შედეგად გაჩნდა.

ძველ ქართულ ენაში სიტყვას *უკუნი* აქვს მნიშვნელობა “მარადიული, მუდმივი, უსასრულო”.¹ ეს სიტყვა სათავეს იღებს *უკუნ* ფორმიდან, რომელსაც “ისევ, თავიდან” მნიშვნელობასთან ერთად აქვს ეტიმოლოგიური კავშირი სიტყვასთან *უკან*. იგივე მნიშვნელობის მატარებელია კომპოზიტი *მართლუკუნ*, რომლის შემადგენელიც არის ფორმა *უკუნ*. შედ., მაგალითად, ოთხთავში, მარკ., 8:33 – უკუნ იქეც ჩემგან (C რედაქცია), წარვედ მართლუკუნ ჩემგან (PE რედაქცია). ფორმა *უკუნ* ისეთი კომპოზიტების შემადგენელი ნაწილია, როგორიცაა *გარეუკუნ*, *ზეუკუნ*, *წინაუკუნ* და სხვ.

აღნიშნული ფორმა განსაზღვრავს აგრეთვე ეტიმოლოგიას სიტყვისა *საუკუნე*, შედ.: “უკუნითი უკუნისამდე” – «во веки веков».

სიტყვა *უკუნე*-ის სემანტიკამ საკმაოდ ადრეულ პერიოდში განიცადა ძვრა და “ძალიან მუქი, ბნელი”-ს მნიშვნელობა შეიძინა. ამ მნიშვნელობითაა გამოყენებული იგი შოთა რუსთაველის პოემაში: “უკუნი გარდაჰფენოდა; უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია; უკუნსა ჰგვანდის სინათლე დღისისა”.

სიტყვის ეს მნიშვნელობა შენარჩუნებულია თანამედროვე ქართულ ენაშიც, მაგრამ მისი ვალენტობა და დისტრიბუტორული გამოყენება ძალზე შეზღუდულია. *უკუნი*, ძირითადად, შერწყმულია სიტყვასთან *ღამე*, ან გამოიყენება აღნიშნულ ცნებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში. ამასთან ერთად, გაჩნდა მყარი შესიტყვება *უკუნი ბნელი* “წყვედიადი”-ს მნიშვნელობით, რაც რამდენადმე აფართოებს სიტყვის სიტუაციური გამოყენების არეალს (იხ. შესაბამისი სტატიები “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში”).

ამრიგად, გამონათქვამი *უკუნი ბნელი* წარმოადგენს პლეონასტურ შესიტყვებას, რომელშიც სიტყვა *უკუნი* თავის თავში მოიცავს ცნებას *ბნელი*.

როგორც რუსულ კონსტრუქციაში *тьма кромешная*, ისევე მის ქართულ ეკვივალენტში *უკუნი ბნელი* ფრაზეოლოგიურობის მაჩვენებლად არქაული კომპონენტები გვევლინებიან, რომლებმაც შეიცვალეს თავისი თავდაპირველი ლექსიკური შინაარსი.

რუსულშიც და ქართულშიც ძირითადი კომპონენტი, რომელიც დიფერენციალური ნიშნის სახეს ატარებს, არის *кромешный* – *უკუნი*. როგორც რუსული *кромешный*, ასევე ქართული *უკუნი* – არქაული სიტყვებია. ამასთან, ორივე შესიტყვება იდენტური მნიშვნელობისაა. ეს მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს გამონათქვამით «деспросветная темнота» – “წყვედიადი”.

გამონათქვამი *тьма кромешная* პირველ ჩვენამდე მოღწეულ ძველი რუსული მწერლობის ძეგლში – ოსტრომირის სახარებაში (1056-1057) – ფიგურირებს. იმდენად, რამდენადაც ხსენებული ძეგლი ძველი სლავური ორიგინალიდანაა გადაწერილი, მოტანილი გამონათქვამიც, როგორც ჩანს, ძველ სლავურ ენას უნდა მივაკუთვნოთ. ამ უკანასკნელში იგი ბერძნული ენიდან კალკირების შედეგად მოხვდა – *το σκοτος το εκστέρον*. თავდაპირველი მნიშვნელობა სიტყვისა *кромешный* ემთხვევა ბერძნული სიტყვა *εκστέρος* – “კიდური, უკიდურესი, კიდეგანი, გარე, გარეგანი” – მნიშვნელობას. ზედსართავი *кромешный* ნაწარმოებია სიტყვიდან *кроме*, რომელიც, თავის მხრივ, სიტყვის *крома* ადგილობითი ბრუნვის (ლოკატივის) ფორმაა მხოლოდით რიცხვში და “კიდე, ნაპირი” მნიშვნელობის მატარებელია.

“გარე, გარეგანი”-ს მნიშვნელობით სიტყვა *кромешный* XI საუკუნის ძველ რუსულ წერილობით ძეგლებშია დაფიქსირებული და ერწყმის სიტყვას *страна*: «Отъ кромешньихъ странъ приходящихъ». თუმცა, როგორც წესი, იგი სიტყვის *тьма* ნაწილია.

ოთხთავის ქართულ რედაქციებში აღნიშნული ადგილი ბერძნული ორიგინალიდანაა თარგმნილი და შერწყმულია კომპონენტთან, რომელიც ასევე ბერძნულიდან კალკას წარმოადგენს. P რედაქციაში კალკა ტავტოლოგიურ ხასიათს ატარებს, რადგან გართულებულია სიტყვით *გარე-გარე ბნელსა მას გარესკნელსა*. კომპონენტი *გარესკნელი* დერივაციული რიგის წევრია (*გარესკნელი*, *ზესკნელი*, *ქესკნელი*, *უკანსკნელი*), რომელიც გარკვეული მოდელის მიხედვით ჩამოყალიბდა: *გარე-სკნელი-ი*. ამ ნიმუშის მიხედვით გამოიყო აღნიშნული რიგის სხვა წევრებიც, რაზეც გავლენა იქონია *უკანსკნელი*-ს სინქრონულმა ფორმამ.

თუმცა, ბერძნულიდან კალკირებული *тьма кромешная*-საგან განსხვავებით, რომელიც რუსული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში შევიდა, ქართულმა კალკამ *ბნელსა მას გარესკნელსა* ვერ დაიმკვიდრა ადგილი ქართული ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში.

როგორც კალკას ბერძნულიდან, კონსტრუქციას *тьма кромешная* ჰქონდა *გარე უკუნის* მნიშვნელობა და, როგორც ჩანს, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ კი, ჯოჯოხეთზე წარმოდგენასთან. შედ.: გამონათქვამი *ад кромешный* (*ჯოჯოხეთური სიბნელე*) თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ჯოჯოხეთს უკავშირდება.

დროთა განმავლობაში სიტყვამ *кромешный* თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა (“გარე, გარეგანი”) დაკარგა და გადატანითი, ზოგადი ექსპრესიული მნიშვნელობა შეიძინა (აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობა).

გარდა სიტყვებისა *тьма* (*წყვედიადი*), *ад* (*ჯოჯოხეთი*), რომლებთან შერწყმითაც კომპონენტი *кромешный* მყარ შესიტყვებებს წარმოქმნის, თანამედროვე რუსულ ენაში *кромешный* შეიძლება შეგვხვდეს სიტყვებთან *ночь* (*ღამე*), *жизнь* (*ცხოვრება*, *სიცოცხლე*), *мука* (*ტანჯვა*), *пьянство* (*ლოთობა*), თუმცა ასეთი შესიტყვებები ფრაზეოლოგიური ერთეულები არიან.

შესაბამისად, სიტყვის *кромешный* ვალენტობა თანამედროვე რუსულში შეზღუდულია.

რუსული გამონათქვამი *На седьмом небе* შეესაბამება ქართულ (მეშვიდე) ცას ეწია. ორივე კონსტრუქცია “თავს გრძნობდე უზომოდ ბედნიერად, იყო უსაზღვროდ ბედნიერი, ნეტარებას განიცდიდე” მნიშვნელობის მატარებელია. როგორც რუსულ, ისევე ქართულ ენებში შესაძლებელია ისეთი ფორმების არსებობა, რომლებსაც არ გააჩნიათ რიცხვის აღმნიშვნელი კვანტიტატიური კომპონენტი: *на небе* – *ცას ეწია*. ამ კომპონენტის ფაკულტატიურობა იმაზე მეტყველებს, რომ ძირითადი, მისგან ნაწარმოებ კონსტრუქციებში, არის ზეცის ცნება და არა მისი რაოდენობრივი განსაზღვრა. თუმცა, რუსულში ასეთი შეკვეცილი ფორმა უფრო ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე ქართულში, რაც თვრამეტომეულ აკადემიურ განმარტებით ლექსიკონშია დაფიქსირებული, მაშინ როდესაც ქართული *ცას ეწია* ლექსიკოგრაფიულად ძალზე გავრცელებულია.

ცისა და ბედნიერების (ნეტარების) ცნებები ადამიანის უძველეს წარმოდგენასთან ასოცირდება “ციურ მყარზე” – ზეცის ნეტარ მკვიდრთა სასუფეველზე. ითვლებოდა, რომ ადამიანს ჭეშმარიტი ბედნიერებისა და ნეტარებას განცდა ზესკნელში, ანუ ზოგადად ცაში შეუძლია.

დროთა განმავლობაში “ციური მყარი” სფეროებად დაიყო, რომელთა რაოდენობაც, მაგალითად, არისტოტელესთან, დაკავშირებულია “მთარული” მნათობების – მზის, მთვარის და ხუთი პლანეტის – რაოდენობასთან, მერვე სფეროს განეკუთვნებიან უძრავი ვარსკვლავები. ამ სფეროთაგან თითოეულს ცა ეწოდება: მთვარის ცა, მერკურის ცა და ა.შ. ამგვარად, როგორც არისტოტელესეული, ისევე პტოლემეოსისეული სამყაროს გეოცენტრული სისტემა დაკავშირებულია რვა “ცასთან”, რომელთა მიღმაც შუასაუკუნეების ღვთისმეტყველები ღმერთს, ანგელოზებსა და სხვა ზეციურ მკვიდრთ ათავსებდნენ.

როგორც ჩანს, კვანტიტატიური კომპონენტი გამონათქვამში *на седьмом небе* გაჩნდა “ცათა” რაოდენობის მიხედვით, რაც მყარ შესიტყვებებშიც დამკვიდრდა. იგი ათვლის ძველ, შვიდეულ სისტემას ეფუძნება და არა ციური სფეროების “მწიგნობრული” აგებულების ფრაზეოლოგიურ აღქმას საფუძველზე. სფეროების რიცხვი რვას აღწევდა და აჭარბებდა კიდევ ამ ციფრს. შედ., მაგალითად, გერმანულში გვხვდება *ин сиебенгелн иммелу кейр*. შვიდი ცის შესახებ, რომელთაგან უკანასკნელის მიღწევისას ადამიანი უკიდურეს ნეტარებას განიცდის, საუბარია ისლამის სწავლებაშიც, თუმცა საეჭვოა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული წყაროს მიხედვით ჩამოყალიბებულიყო და გავრცელებულიყო აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი ევროპულ ენებში. უფრო სავარაუდოა, რომ ისლამური “შვიდი ცა” დაკავშირებულია ათვლის ძველ სისტემასთან. ამდენად, ისლამშიც, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს პარალელურ წარმონაქმნთან. ცათა რაოდენობის სპონტანურობაზე აღნიშნულ გამონათქვამში ახალი აღთქმის შემდეგი გამონათქვამიც მიუთითებს: *восхищен был до третьего неба* – *აღიტაცა ვიდრე მესამედ ცამდე* (მეორე კორინთელთა მიმართ, 1:2).

ცათა ასტროლოგიურ რიცხვს შეიძლება ცხრამდე მიეღწია. სწორედ ეს რიცხვი, შვიდთან ერთად, აღნიშნულია შოთა რუსთაველის პოემაში: ნუმცა ცხრითავე ვზი ცათა.

ამრიგად, ციურ სფეროთა რიცხვის ერთიანი ასტროლოგიური აღმნიშვნელის არარსებობის გამო, გართულებულია გამონათქვამის *на седьмом небе* კვანტიტატიური კომპონენტის იდენტიფიკაცია მოცემულ რიცხვთან. ამგვარი იდენტიფიკაციის ერთადერთ საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს ძველ დროში შვიდი “მთარული” მნათობის გამოყოფა. თუმცა, გამონათქვამში *на седьмом небе* კვანტიტატიური კომპონენტი ცის სფეროების რაოდენობასთანაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი ძველი ხალხების წარმოდგენაში არ შეესაბამება “მთარული” მნათობების რაოდენობას. ამიტომ ყველაზე უფრო სავარაუდოა, როგორც უკვე ითქვა, აღნიშნული კომპონენტის კავშირი ათვლის ერთ-ერთ ძველ ტიპთან. ეს ვარაუდი იმითაც დასტურდება, რომ ქართულ ენაში ბევრად უფრო გავრცელებულია ფორმა *ცას ეწია* კვანტიტატიური ელემენტის გარეშე. ეს მოვლენა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ქართულში ძველად გავრცელებული იყო ცხრიანებით და არა შვიდეულებით ათვლა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ზოგადად ცაზე (ციურ სფეროზე) მიმანიშნებელი კონსტრუქციის დამკვიდრებას მისი რაოდენობრივი აღნიშვნის გარეშე. რუსულში, სადაც გაცილებით უფრო გავრცელებული შვიდეულებით ათვლა იყო, გამონათქვამი ფრაზეოლოგიზმის სახით დამკვიდრდა, რომელშიც კვანტიტატიური კომპონენტიც ფიგურირებს და ამ უკანასკნელის გარეშე გამონათქვამი აღიქმება, როგორც ძირითადი კონსტრუქციის შემოკლებული ვარიანტი.

ფრაზეოლოგიზმის ეტიმოლოგიის ამგვარი გაგება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქართული ფრაზეოლოგიზმის *მეშვიდე ცას ეწია* აქტუალიზაციას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო რუსულ ენაში გამონათქვამის *на седьмом небе* არსებობამ.

აღნიშნულ პროცესს ყველა ქრისტიანულ ენაში ჰქონდა ადგილი და ამიტომ ვხვდებით როგორც ანალოგებს, ასევე განსხვავებებს. ანალოგების არსებობა ადვილად აიხსნება იდეებისა და ენობრივი მასალის საერთოობით, რამაც სხვადასხვა ენაში გამონათქვამების გასაოცარი ლექსიკური

და სემანტიკური მსგავსება გამოიწვია. თუმცა ის ენები, რომლებზეც ბიბლიური წიგნები ითარგმნებოდა, ხშირად ძალიან განსხვავდებოდნენ როგორც ერთმანეთისაგან, ასევე ამოსავალი ენისაგან. განსხვავებულობა აღინიშნებოდა ენების როგორც ლექსიკურ, ასევე ფონეტიკურ და სინტაქსურ შესაძლებლობებში. ამიტომაც მთარგმნელები (ისინიც ხომ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავისი ერუდიციით, კულტურითა და ენების ცოდნის დონით) ყოველთვის ერთნაირი წარმატებით ვერ უმკლავდებოდნენ წამოჭრილ სირთულეებს, რის გამოც იქმნებოდა თარგმანები, რომლებიც რაღაცით მაინც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან – ან უმნიშვნელოდ, ან სერიოზულად, ლექსიკურად, სტილისტურად ან შინაარსობრივად. როგორც ცნობილია, წმინდა მამები განსაკუთრებული გულმოდგინებით თარგმანის შინაარსობრივ მხარეს ეკიდებოდნენ. თუმცა ენობრივი უზუსტობანი ხშირად ამუხრუჭებდნენ ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური ერთეულის ფართოდ გავრცელების პროცესს. ზუსტი და მოქნილი თარგმანი სწრაფად მკვიდრდებოდა საერთო სახალხო ლექსიკონში, ხოლო ხელოვნურად გართულებული თარგმანი ასევე სწრაფად დავიწყებას ეძლეოდა ან პასივში გადადიოდა. ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბებისა და გავრცელების შესწავლამ კიდევ ერთი გარემოება დაადასტურა: ოდესღაც წარმატებული თარგმანი შეიძლება მოძველდეს და ხმარებიდან გამოვიდეს, რადგან, როგორც ცნობილია, ენის განვითარების შედეგად მისი ძველი ფორმულები გაუგებარი ხდება და ენის მატარებელი ხალხი წყვეტს მათ აქტიურ გამოყენებას.

ლიტერატურა:

1. დობორჯგინიძე ნ., ბიბლიის თარგმანთა ენისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისებები, ჟურნალი “ენათმეცნიერების საკითხები”, №4, თბილისი, 1983.
2. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბილისი, 1950.
3. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი ტ. II, თბილისი, 1954.
4. წიბახაშვილი გ., თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი, “კრიტიკა”, თბილისი, 1975.
5. Дубровина К.Н., Библийская мудрость в русской речи. Словарь библийской фразеологии русского языка. М., 2002.
6. Матвеева И.П., Макаров В.И., Словарь-справочник библеизмов русского литературного языка // Русская словесность, М., 1993-1996.
7. Матвеева И.П., Макаров В.И., Библеизмы в русской словесности // Русская словесность. М., 1993-1995.
8. Мелерович А.М., Мокиенко В.И., Фразеологизмы в русской речи. Словарь., М., Русские словари, 1997.

Khatia Khatishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

NATIONAL AND SPECIFIC SIGNS OF BIBLE PHRASEOLOGICAL UNITS RESUME

Languages on which translated Christian books, at times strongly differed and from each other, and from language-source. Differed both lexical, and phonetic and syntactic possibilities. Therefore translators (after all they too differed from each other the erudition, culture and knowledge of languages) not always equally successfully coped with arising difficulties. Owing to it transfers which something differed from each other - either slightly turned out, or is serious, lexical, stilistical or under the maintenance. These processes occurred, as have shown our supervision, both in Russian, and in Georgian languages.

ქრისტიანული აღმსარებლობის ელემენტები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებთან

ქართველები ერთ-ერთი მსხვილი ეთნიკური ჯგუფია მრავალეთნიკურ თურქეთში, რომელთა ნაწილი ცხოვრობს თურქეთის პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე – ტაო-კლარჯეთში, ნაწილი კი გაბნეულია ქვეყნის შიგა პროვინციების ქალაქებსა და სოფლებში.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა დიდ ნაწილს ბუნდოვანი ან არასწორი წარმოდგენა აქვს საკუთარ ისტორიაზე, საკუთარ სამშობლოზე. ბევრმა აღარ იცის მშობლიური ენა, რასაც ვერ ვიტყვით თურქეთის, ფაცის რაიონში, ქობულეთიდან მუჰაჯირად გახიზნულთა შესახებ. ისინი დღემდე ფაცის მიმდებარე სოფლებში კომპაქტურად ცხოვრობენ. ენა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები მამა-პაპისა აქვთ. იციან თავიანთი ქართული გვარებიც. მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშებისა და ყოფითი ტრადიციების გაცნობა საგულისხმო მასალაა ქართველოლოგიისათვის.

მიგრირებულ მოსახლეობაში ქართული ტრადიციული მენტალობის უმთავრესი ელემენტები, მათ შორის ქრისტიანული მოტივებიც, ხშირად შენიღბულია, მაგრამ მაინც არსებობს და, გაუცნობიერებლად შემონახული, ატყვია გვიან გამუსლიმანებულთა ყოფას. საყურადღებოა, რომ ქობულეთელ მუჰაჯირთა მენტალობაში იკვეთება ქრისტიანული კულტურის არაერთი ელემენტი – ქრისტიანული სიმბოლიკა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, ჩანს ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაულისა და წეს-ჩვეულების ანარეკლი, ეთნოგრაფიული ფაქტები.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო, მეორე ნახევრიდან კი აჭარა მიიტაცეს. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა ოსმალთა მიერ ძალით თავსმოხვეულ მაჰმადის სჯულს. დამპყრობლები ცდილობდნენ აჭარლებში მიემიწებინათ ეროვნული გრძნობა, დაევიწყებინათ ყველაფერი, რაც მათ მამა-პაპასთან, ქართველობასთან აკავშირებდათ. ქართული წყაროები გვაუწყებს: „ყოველ აჭარელს, შავშელს, ლივანელს, მაჭახელს და სხვათაც მეტად დიდი სისხლი აქვსთ ოსმალთ წინაშე დაღვრილი სჯულისა და ქვეყნის გულისთვინ“. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, 1879 წლის გასახლების, მუჰაჯირობის შემდეგ ქობულეთში ორი ათასი მცხოვრებიდან ხუთასამდე დარჩა, მახლობელი სოფლები კი სრულიად გავერანდა და გაპარტახდა (ჭიჭინაძე 1912: 7). მუჰაჯირობის გამო ძირძველი ქართული მხარეები დაცარიელდა, მათ შორის „ქობულეთის ქვეყანაც“. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ: გირესუნში, ფაცაში, ორდუში, ფერშემშეში, უნიეში, სამსუნსა და სინოპში. მოსახლეობის დიდი ნაწილი დღესაც კარგად ფლობს ქართულ ენას. ისინი დიდი რუდუნებით უფრთხილდებოდნენ მშობლიურ ქართულს და უვნებლად შემოინახეს დღემდე: „ჩემი დიდნენე ქართულა დევლაპარიკებდით, ქართული არ დაავიწყდონო, სულ იმას ექცეოდა“- გვიყვება საბაკათინ გოქსუ (გოგიტიძე). თუმცა იქვე დასძენს, რომ ახალგაზრდობამ თითქმის აღარ იცის ქართული, „ახლა თურქზეც გათხოვდენ, ჩვენ ასიმილიედ გავხდით. იაშარ ხახუტაიშვილმა კი სიამაყით გვითხრა, რომ: სკოლაში შესვლამდე თურქული არ ვიცოდითო. მათი ლოცვის ენა ქართულია. „ჩემი ბაბაანე (ბებია) ემინე ბეჟიაფხე ლოცვის დროს ქართულა ლაპარიკობდა, ქართულ ენაზე ლოცვილობდა: ღმერთო, ყაბული გიმინხადე ამ ჟამის ლოცვაო“(საბიე ქათამაძე). ცხადია, რომ ხალხური დალოცვის ფორმებში აუცილებელ კომპონენტად წარმოდგენილია ღმერთი ან მისი სინონიმი: გამჩენელი.

ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ოსმალთა მიერ ქობულეთ-ჩაქვის გამაჰმადიანების შემდეგ მოსახლეობის ერთი ნაწილი განერიდა თურქთა ბატონობას, ისლამის რელიგიას და თავშესაფარი ჰპოვა ქრისტიანული საქართველოს სხვა კუთხეებში (გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი) (თაყაიშვილი, 1991:216). ზოგიც კათოლიკობას ღებულობდა. „მოსახლეობის დიდი ნაწილი რომ მტკიცედ იდგა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ოსმალთა მძიმე გადასახადებით შევიწროებული (არამუსლიმანი უფრო მეტს იხდიდა, ვირე მუსლიმანი), იძულებული ხდებოდა გამუსლიმანებულიყო და დათმობის ფასად თავი გადაერჩინა სასტიკი ანგარიშსწორებისაგან. თუმცა მოსახლეობის ეს ნაწილიც იოლად როდი თმობდა ქრისტიანულ ტრადიციებს და სხვადასხვა ფორმით ცდილობდა მის დაცვასა და შენარჩუნებას“(კახიძე, 2009:9).

ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე ქობულეთ-ჩაქვის გამაჰმადიანების შესახებ. იგი 1889 წელს გაემგზავრა ქობულეთში, სადაც 120 წლის აჭყვისთაველი ქამჯარაძისგან (ქავჭარაძისგან) შეიტყო, რომ 6-10 წლის იქნებოდა (1778-79 წწ.), როცა ოსმალები ბათუმს აქეთ წამოვიდნენ და ციხისძირს მოადგნენ. მათ აიღეს ქობულეთი, ნახევარი ჩაქვი და ქობულეთი გურიაში გაიხიზნა, რადგან გამაჰმადიანებისა ემინოდან... ამ დროს აჭარა უკვე გამაჰმადიანებული იყო.

„რამდენიმე ხანში ოსმალთ კინტრიშ-ქობულეთის მამაკაცები ერთ ადგილას დაიბარეს და გამაჰმადიანება გამოუცხადეს. წინააღმდეგობის გამო დღე და ღამე ხოცვა-ჟლეტა ატყდა. ...ჭახათისკენ ქვის სარჩობელა და თავსაკვეთი გააკეთეს, ძლიერ ბევრი ხალხი ჩამოარჩეს. ...აქ აღარავის უშვებდნენ, რომ ქრისტიანად დაშთენილიყვნენ... ისე, რომ აღარსად სოფელში კაცი არ დარჩენილა გაუთათრებელი, მოხუც ქალების გარდა. მეც მაშინ გავმაჰმადიანდი 16-17 წლისა.“ ქამჯარაძე ყვება, რომ ფარულად ეთაყვანებოდნენ ხატებსა და ეკლესიებს. მოახლოებული საშიშროების ჟამს კი ეკლესიის მახლობლად მიწა გათხარეს და სიწმინდეები ჩამარხეს, ზემოდან ხეები დააყარეს და ღობე შემოავლეს (ჭიჭინაძე, 99).

დ. ბაქრაძის ცნობით, „ხინოში იჯდა „ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთის ჭოროხამდე“. ისინი ხინოწმინდელებად იწოდებოდნენ. დ. ბაქრაძისავე ცნობით: ერთი სიგელი, რომელიც გურიაში ვიპოვე, ცხადყოფს, რომ ხინომ, სადაც ეპისკოპოსი იჯდა, მაჰმადიანობა მიიღო 1780 წლამდე ცოტა ხნით ადრე. თუმცა აჭარასა და ჩურუქსუში ქრისტიანული ტაძრები დიდი ხანია დაანგრეს, მაგრამ მოსახლეობა მათ შიშითა და კრძალვით ეპყრობა და მათ გარშემო კორომები ხელშეუხებლად მიაჩნია. ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით მოხუცები, თავის ძველ ხატებზე ლოცულობენ თავისთავისა და თავისი ავადმყოფებისათვის, მსხვერპლად სწირავენ ცხვარსა და ქათამს, უნთებენ ცვილის სანთლებს და სხვა. ისინი ახლაც ყვებიან, სად და რომელი წმინდანის პატივსაცემად იყო აგებული ეკლესია, ვინ და რომელი გვარიდან იყო მისი უკანასკნელი მღვდელი, სად წაიდეს ხატები.

სწორედ ჯერ კიდევ ვერშეღებული ქრისტიანულ რწმენას, ორი იმპერიის ზრახვებს შეწირული ქობულეთელები საუკუნე-ნახევრის წინ მტანჯველ გზას გაუდგნენ. მათმა შთამომავლებმა კი დღემდე მოახერხეს ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება. მართალია, თურქეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრების წესმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ ეთნიკურად მათი დიდი ნაწილი მაინც ქართველებად დარჩა. ძირითადად ქართულია მათი ტრადიციულ-ყოფითი კულტურა.

მუჰაჯირთა შთამომავლების ნაწილმა (თუმცა ამგვარნი ერთეულები არიან) მეტ-ნაკლებად იცის წინაპართა ისტორია. ისლამის რელიგიის ბატონობის მიუხედავად, თამამად საუბრობს თავის ქრისტიან წინაპრებზე საბაჰათთინ გოქსუ (გოგიტიძე): „ჩემი დიდი ბაბუა ქრისტიანი ყოფილა ტარიელი, იმის შვილია ალიად, ჩემი ბაბუაჲს მამა, ის მუსლიმანი გამხდარა“.

სამშობლოდან ლტოლვილთათვის ქართველობა, „ჩვენებურობა“, „ჩურუქსულობა“ (თურქ. დამპალი წყალი - ასე უწოდებდნენ თურქები ქობულეთს) უდიდესი სიამაყეა, გრძნობა კი- ძალიან ღრმა: „სუნთელს მისი თავი უხარია... ღმერთს მადლობა, რუმე ქართველი დევბადე“ (ჯეიჰან ცეცხლაძე); „მე თურქეთში გეგზარდე, მარა ქართველი ვარ, მიხარია“ (ათენი გოგიტიძე).

ქობულეთელ მუჰაჯირებს სამშობლოდან თან გაჰყვათ ტრადიციები, მეტყველება, ფოლკლორი. თვით შელოცვებიც იმ სახითაა შემონახული და დაცული მათი შთამომავლების მეხსიერებაში, რა სახითაც საუკუნე-ნახევრის წინათ იცოდნენ მათმა წინაპრებმა. ისევე, როგორც ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრს, შელოცვასაც ნათლად ატყვია ბრძოლა რელიგიურ მსოფლმხედველობათა შორის. მუჰაჯირთა შელოცვებში ნათლად ჩანს ორწმენიანობის კვალი. „შელოცვები ქრისტიანობას გადაუნათლავს და თავისი ბეჭედი დაუტყვია... უწინდელს შელოცვაში კერპებს სთხოვდნენ უბედურების მოშორებას, ეხლანდელში კი - სამებას... (უმიკაშვილი, 1964: 186-187). წარმართულ-ქრისტიანულ დანაშრევებს მუსულმანური რელიგიის დანაშრევიც ემატება, უმთავრესად შელოცვათა დასაწყისის ფორმულაში (ღვთაებისადმი მიმართვა არაბულად). ქობულეთელ მუჰაჯირთა შელოცვაში, ზოგადქართულის მსგავსად, დომინირებს ქრისტიანული სამება, ქრისტიანული წმინდანები. შელოცვათა უმრავლესობა იწყება, სწორედ, მიმართვით ქრისტიანული სამებისადმი ან უფლისადმი: „სახელითა, ხტითა და მამითა ძითა... სახელითა ხტითა, ლოცვა თვალცემულისა... ეს კი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ელემენტია არქაულ ჟანრში შეჭრილი. საზოგადოდ, ქრისტიანული დასაწყისი მითითება იყო იმის შესახებ, რომ ეს ლოცვა ღვთიური ძალისაა, ამდენად, წმინდაა და მისი ცოდნა ღვთიური ნიჭით თუ ძალით მომადლებულ პირთა ხვედრია (ი. გაგულაშვილი, 1986, გვ. 122).

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებამ სიტყვიერი ფოლკლორის ამ უძველეს ჟანრში შეძლო თავისებურად შემოენახა ქრისტიანული აღმსარებლობის ბევრი ნიშანი. საგულისხმოა, რომ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ჩაწერილი ბევრი შელოცვა ტექსტუალურად მსგავსია ქართული ხალხური შელოცვებისა, თუმცა რიგ შელოცვაში აშკარად შესამჩნევია ცვლილებები. ბიბლიური „სოლომონის ბეჭედი“ და მასთან დაკავშირებული სასწაულები კარგად იყო ცნობილი მსოფლიოს ყველა ხალხის თქმულება-გადმოცემებში. მუსლიმური რელიგიის აღმსარებლობის მიხედვით სულთან სულეიმანი ოკულტურ სიბრძნეს ფლობდა. ექვსკიმიანი ვარსკვლავით, რომელიც სულეიმანის ბეჭდის სიმბოლოა, იგი ბეჭდავდა თავის ბრძანებებს ჯინებისა და შაიტნებისათვის (თ. შიოშვილი, სულთან სულეიმანი (სოლომონ ბრძენი), ჟურნ. „ჭოროხი“, №1, 2009). სულეიმანის ბეჭედი („სოლომანთის ბეჭედი“), როგორც ბოროტი ძალების დათრგუნვისა და ავადმყოფობის განკურნების უტყუარობის სიმბოლო, მოიხსენება მუჰაჯირთა შელოცვებში. ამ მხრივ საინტერესოა ე. წ. „ბეწვის შელოცვა“: „ადასა და

მადასა, ბეწვო გამოდ ფაჭასა; გამოდ და გამიეფინე ამ მუხის ფაჭასა. ელემენტი ხარ მელემენტი ხარ, **სოლომანთის ბეჭედი** ხარ, ასიანის ფრთაჲ ხარ, გველის ფხაჲ ხარ, გამოდ და გამიეფინე ამ მუხის ფაჭასა“ (პაველ ანანიძე, 82 წლის, სოფელი ქორღანი).

ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავლების ისტორიულ მეხსიერებაში ჯერ კიდევ მყარია ქრისტიანული ელემენტები. ამ მხრივ საინტერესოა მუჰაჯირთა საცხოვრისში არსებული ბუხრის სარტყლის მოხატულობების ნიმუშები, აგრეთვე, სხვა ყოფით პასაჟებში გამოვლენილი ქრისტიანული მოტივები, რომელიც დღეს უკვე მიმქრალია, თუმცა რელიგიური შეხედულებების ერთგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობასაც იძლევა. ბუხრის სარტყლის - ქემერის წარწერა ქობულურ-აჭარული, დედაბრული ხელითაა შესრულებული. ფაცაში ნაპოვნი ბუხრის ორნამენტები რელიეფურია, რომელიც ზოგადქართული, ქრისტიანული ელემენტებით ხასიათდება: წრიული დისკო, სიცოცხლის ხე. აქ წარმოდგენილია მრგვალი წრე-დისკოების კომბინაცია. სიმბოლო-ნიშანი მზის გამოსახულებაა. ორნამენტირებული არშია ქემერს ირგვლივ შემოუყვება. მზებორჯღალათი მზისა და ცეცხლის მსგავსება იყო გამოხატული (ტუნაძე 2002: 133). მნიშვნელოვანია მცენარეული მოტივიც. სამი ამოზრდილი რტო წრე-დისკოთი ბოლოვდება, რაც ძველი ქართული ქრისტიანული სარწმუნოებისადმი პატივისცემის გამოძახილია.

საუკუნეების მანძილზე შრომითი საქმიანობის პროცესში რელიგიური აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყალიბდებოდა აგრარულ წეს-ჩვეულებათა სისტემა, რომელშიც აისახა მოსახლეობის მსოფლალქმა და წარმოდგენა გარე სამყაროზე. მეცნიერების აზრით, აგრარული წეს-ჩვეულებანი ადრინდელი რწმენა-წარმოდგენების ერთ-ერთ უადრეს საფეხურად ითვლება და საწარმოო პროცესში ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების საინტერესო და მრავალფეროვან გამოვლინებას წარმოადგენს. იგი გარკვეულად ადვილებს და ნათლად წარმოაჩენს ადამიანის სამეურნეო და სულიერი სამყაროს განვითარების თანაფარდობას. ამ ციკლში მთავარი ადგილი სამეურნეო კეთილდღეობის და უზემოსავლიანობის უზრუნველყოფისადმი მიმართულ რელიგიურ ქმედებებს უჭირავთ (ეთნ. 2010:).

ხალხის რწმენით, წლის პირველი დღე განსაზღვრავს მთელი წლის ბედს, ამიტომ სწორედ ამ დროს, სრულდებოდა რიტუალები, რომელთა დანიშნულება მომავალი სამეურნეო წლის ნაყოფიერებისა და უზემოსავლიანობის დაბედება იყო. ეს, პირველ ყოვლისა, კარგად ჩანს მეკვლეობის ტრადიციაში, რომელშიც თავს იჩენს აგრარული ინტერესები. დილით განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდნენ ახალი წლის მიგებების წესებს, რაზეც, მათი რწმენით, დიდად იყო დამოკიდებული დოვლათი და მოსავლიანობა. საინტერესოა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში შემორჩენილი „ახალი წლის“ რიტუალებთან დაკავშირებული ტრადიციები: „ახალ წელიწადში სახლების ფერხვა იყო. საქონელს, ქათმებს... - ახალ წელწად დღეს საქონელს ზრუგზე ხელს არ წუჟსმიდენ, დეიმატლვისო. ახალ თვარეზე მოჰოს არ დააჟდუმლებდენ. სავსე თვარეზე ვარგობდა. სავსეზე დარგავს ყანაში ხაპს...(ჯემალ ცეცხლაძე, ფაცა).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამოყენებულ თვეთა სახელწოდებანი ნასესხებია. ძველი რომაული (წარმართული) თვეთა სისტემა ჩვენში ბერძნულის გზით (ბიბლიურ თხზულებათა თარგმნის შედეგად) V საუკუნის შემდეგ დამკვიდრებულა. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებსა (V – VII ს.ს.) და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ საკუთრივ ქართულ სისტემა (აპანი, სურწყუნისი, მირკანი, იგრიკა, ვარდობა და ა.შ.).

თვეთა სახელდების ტრადიცია (თვეთა სახელდების წარმოება მთავარი საკულტო დღეების მეშვეობით) წარმართული ხანიდან ქრისტიანულ ეპოქაშიც გადმოვიდა:

„ასე, დღე იოანეს შობისა 24 ივნისს, აქედან „ივანობის თვე“, დღეობა „კვირიკობა“ – აქედან „კვირიკობის თვე“, დღეობა „მარიამობა“ – აქედან „მარიამობის თვე“, დღეობა „ენკენია“ – აქედან „ენკენის თვე“, დღეობა „გიორგობა“ – აქედან „გიორგობის თვე“, დღე „ქრისტეს-შობა“ – აქედან „ქრისტეს-შობის თვე“. საუკუნე-ნახევრის წინ დედასამშობლოს მოწყვეტილმა ქართველთა მეხსიერებამ წელიწადის თვეთა სწორედ ამგვარი სახელდება შემოინახა: „მაისი, ივანობისთვე, კვირკობისთვე, მარიობისთვე, ენკენისთვე, წიფობისთვე, გერგობისთვე, ქრიშობისთვე, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი-მიედიტ მაისთან, დასწერე?“ (ჯემალ ცეცხლაძე, ფაცა).

ფაცაში მცხოვრებ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებს არსებითად არ ესმით ქრისტიანული ადათის არსი, მაგრამ წინაპართაგან სმენიათ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალი: „კვერცხს ღებვენ 7 მაისის დღეს, ერთმანებს ატეკვებენ, კვერცხს ხახვის ფურცლებით ღებვენ“. რაც შეეხება შვიდმისობის რიტუალს, იგი ამინდის მართვის წეს-ჩვეულებებს უკავშირდება. ცხადია, რომ ჩვენებურთა ყოფაში დღემდე შემონახულია არქაული ელემენტები, წარმართული, ქრისტიანული და ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი თავისებურებების სინთეზი, ძველისა და ახლის სიმბიოზი.

ამრიგად, საუკუნე-ნახევრის წინ გახიზნული ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავლების მენტალობაში დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული კულტურის არაერთი ელემენტი. ისინი ხშირად შენიღბულია, მაგრამ მაინც არსებობს და, გაუცნობიერებლად შემონახული, ატყვია გვიან გამუსლიმებულთა ყოფას.

ლიტერატურა:

1. **თაყაიშვილი 1991** - თაყაიშვილი ექვთიმე, სამუსლიმანო საქართველო - ემიგრანტული ნაშრომები, ტ. I, თბილისი, 1991.
2. **გაგულაშვილი 1986** - ქართული მაგიური პოეზია, თბილისი, 1986.
3. **ზ. ჭიჭინაძე** - მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913
4. **კახიძე 2009** - კახიძე ნოდარ, ფარულ ქრისტიანთა საკითხისათვის ჭოროხის ხეობასა და აჭარაში, „ჩვენი სულიერების ბალავარი“, სამეცნ. კონფერენც. მასალები, ბათუმი, 2009.
5. **ხახუტაიშვილი... 2009**: ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური მასალები//რსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, ტ. VI, ბათ., 2009.
6. **უმიკაშვილი 1964** - უმიკაშვილი პეტრე, ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, თბ., 1964.
7. **ეთნ. 2010** - საქართველოს ეთნოლოგია/ეთნოგრაფია, როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2010.
8. **ტუნაძე 2002** - კერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ კულტურაში (აჭარული კერა), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2002.

Mzia Khakhutaishvili
Batumi Shota Rustaveli State University
ELEMENTS OF CHRISTIAN FAITH IN MUHAJIRS
RESUME

Georgians is one of the largest ethnic groups within poly-ethnic Turkey. Part of them lives on the own ethnic territory within the Turkish political borders – i.e. Klarjeti whereas others are dispersed within the cities and villages of the internal provinces of the country. The city of Patsa in Ordu region is one among these populated by the Muhajirs from Kobuleti.

The majority of the population still speaks in Georgian quite well today. The memory of the descendents of the Muhajirs from Kobuleti has specifically preserved many signs of Christian faith. Although they scarcely understand the essence of Christianity and the rituals of Easter holiday, they proudly narrate about everything they had heard from their ancestors.

Ancestral traditions connected with New Year rituals that have been preserved in the memory of the Muhajirs' descendants are also of significant interest. Common Georgian as well as Christian elements are also found in the dwelling places and fireplace ornamentations of the Muhajirs' descendants.

ელენე ხოჯეევანიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ენა, როგორც ერის არსობრივი რაობა და იაკობ გოგებაშვილის
წერილი „ბურჯი ეროვნებისა“

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის შესწავლას არაერთი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა. მიუხედავად ამისა, მისი სულიერი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შეფასებული, დრომ კი დაასაბუთა, რომ მის მრავალმხრივ შემოქმედებას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა არ აქვს და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. იაკობმა ქვეყნის, ერის, მშობლიური ენის და სწავლა-განათლების მსახურება დაისახა ცხოვრების მიზნად, ერის არსობრივ რაობად ენა გამოაცხადა, ერის მეობის მფარველად აღიარა და ქართული ენისთვის საბედისწერო ჟამს უწოდა მას დედა-ენა.

იაკობ გოგებაშვილის მდიდარ პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში გამორჩეულია მისი წერილი „ბურჯი ეროვნებისა“¹, რომლის ტევადი და სახიერი სათაური ხატოვან განზოგადებას იძენს და მიგვანიშნებს, რომ პუბლიკაცია ეროვნების საიმედო საყრდენს და საფუძველს - ენას - უნდა ეხებოდეს, თუმცა მასში არაერთი საგულისხმო მოსაზრებაა გამოთქმული საქართველოს ისტორიის, ზოგადი პედაგოგიკის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის თუ სხვა საკითხების შესახებაც. წერილის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი შინაარსი, სტრუქტურა და განხილულ საკითხთა სიღრმე სცილდება პუბლიცისტიკის ფარგლებს.²

იაკობი წერილის დასაწყისში ტურგენევის მოსაზრებას გვაცნობს რუსული ენის სიმდიდრის და სისრულის შესახებ და დასძენს, რომ ქართული ენა თავისი თვისებებით არცერთ სხვა ენას არ ჩამოუვარდება და იგი „ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია“.³ აქვე ერთგვარი სიამაყით შეგვახსენებს, რომ ლინგვისტები თუ ენისმეტყველნი ენის ღირსებად მიიჩნევენ ქართული ენისთვის დამახასიათებელ არა ერთ ისეთ თვისებას, როგორიცაა მაგალითად ბრუნვების სიმტკიცე, გრამატიკული სქესის უქონლობა, თანდებულთა მოქცევა სიტყვის ბოლოში, სიტყვათა ხმოვნით დაბოლოება, მახვილის თავისებურება, ზმნის ფორმათა მრავალფეროვნება და მოქნილობა, სინონიმთა და ზოგადად ლექსიკის სიმდიდრე...

წერილში ნათლად ჩანს, რომ ავტორის გულისტკივილს იწვევს საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეალების დევნა და ქართული ენის დამცირება ცარიზმის რუსეთის მხრიდან, იაკობი ვერ ეგუება მშობლიური ენის უფლებობას, მაგრამ იმაზე უფრო მეტად წუხს, რომ იგი მხოლოდ სასწავლებლებიდან კი არ იდევნება რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით, არამედ „მოდას აყოლილ“ ქართულ ოჯახებშიც პატივაცირილია. იაკობის ღრმა რწმენით, რაკი არაფერი ისე არ აერთიანებს ერსა და სახელმწიფოს, როგორც ენა, სწორედ ქართულ ოჯახში უნდა მეფობდეს დედა-ენა უპირველესად. რეალობა კი სხვაა: „ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“⁴ მაგანთაგან უარყოფილი და დაკნინებული, გადატაკებული და დამგვანებია მშვენიერ ფოლადის სახნის, რომელიც დაჟანგებული უგნური პატრონის ხელში - ასეთ ხატოვან სურათს მოიშველიებს ავტორი მკითხველზე მეტი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით და მოღალატეებად მიიჩნევს იმ მშობლებს, რომლებიც დედაენის გვერდის ავლით ზრდიან შვილებს და ამით ისინი ერთის მხრივ „უკარგავენ თავისს ქვეყანას მამულიშვილებს“, წყვეტენ რა კავშირს მათსა და სამშობლოს შორის, მეორეს მხრივ კი „თავისივე ხელით უთხრიან სამარეს თავისი შვილების ჯეროვანს განვითარებას და მომავალს“.⁵

პუბლიკაციაში დამაჯერებელი მსჯელობით და შთამბეჭდავი მაგალითებითაა დასაბუთებული, რომ მშობლიურ ენას ისე აქვს გამდგარი ფესვები ერის ბუნებაში, მის ძვალსა და რბილში, რომ მისი ჩანაცვლება სხვა ენით უმტკივნეულოდ არ ხდება. იაკობი მშობლიურ ენაში ხედავს უდიდეს აღმზრდელობით ძალას, რადგან დედა-ენა ის „ძვირფასი საღაროა“, რომელიც ბავშვს ერის სულთან და ხორცთან, მის წარსულ ცხოვრებასთან აკავშირებს. სწავლა-აღზრდაში კი მის უარყოფას ადამიანის ყოველმხრივი დაქვეითება მოსდევს.

მწერალ როსტომ ჩხეიძეს იაკობის ამ პუბლიკაციის პათოსი ჯონათან სვიფტის პამფლეტის - „მორიდებული წინადადება ირლანდიელ ბავშვებზე“ - სტრიქონებს შორის ამოკითხულ, სარკაზმის საბურველში გახვეულ იმ განწყობას მოაგონებს, ირლანდიელთა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ რომ მიუმართავს ავტორს და მწერლის თვალთახედვით ამ ორი პუბლიკაციის სულიერი მუხტი და სწრაფვა საოცრად ეთანადება ერთმანეთს.

იაკობს სწამს, რომ მხოლოდ დედა-ენაზე შეიძლება ილოცო გულმხურვალედ, რადგან უცხო ენა უძლურია სარწმუნოებრივ გრძნობამდე ამაღლებული სულის მოძრაობას შესწვდეს, რომ მშობლიური ენის მადლს მოკლებული ადამიანისთვის გაუგებარი იქნება ღრმა და ფაქიზი გრძნობის გამომხატველი ფილოსოფიური აზრით გაჯერებული ისეთი სიტყვები, როგორიცაა მაგალითად „შენი ჭირიმი“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“... ეს ის სიტყვებია, რომლებითაც საუკუნეთა განმავლობაში იხედნებოდა ქართველთა სმენა და გონება, და ამ წერილის დაწერიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც ნატრობს გიორგი ლეონიძე.

¹ * წერილი 1890 წელს იაკობ სვიმონისძის ფსევდონიმით გამოქვეყნდა გაზეთებში „ივერიასა“ და „მწყემსში“ სათაურით: „ძირითადი უკუღმართობა“, ხოლო 1903 წელს შეცვლილი სახელწოდებით - „ბურჯი ეროვნებისა“ - ცალკე წიგნად გამოიცა.

² * პუბლიკაციის სტრუქტურა თავისებურია: მასში გამოყოფილ თოთხმეტ თავს ქვესათაურები აქვს წამდვარებული ერთგვარი თეზისების სახით, რომლებშიც ნათლად ჩანს წერილში განხილული საკითხების სიმწვავე და აქტუალობა

³ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. II. თბ., 1954, გვ. 205

⁴ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 207

⁵ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 207

იაკობმა მერჩულის სამი სიწმინდის მთლიანობას - ქართლი (საქართველო), ქართული ენა და სარწმუნოება, ილიას ცნობილ ტრიადად გარდასახულს - „მამული, ენა, სარწმუნოება“ - „მეოთხე ფენომენის სახით ეროვნული სკოლა დაუმატა“,¹ რადგან, მისი აზრით, სწორედ მშობლიურ ენაზე უნდა დაფუძნებულიყო ეროვნული სკოლა და დედა ენაზე წარმოთქმული მრავლის დამტვევი ფრაზით - „აი ია“ - გაძლიერდა მოზარდებს ქართულ ენობრივ სამყაროში შესაღწევად. „სკოლა... უნდა ეპყრობოდეს ქართულს ენას სრული პატივით“² - ასე სწამდა იაკობს და ამიტომაც გახდა სასწავლებლის გაქართულება მისი უპირველესი საზრუნავი.

გოგებაშვილი არა მხოლოდ იცნობს პროგრესულად მოაზროვნე რუს და ევროპელ მკვლევართა და პედაგოგთა - შლეიხერის, უშინსკის, ვესსელის, ფოხტის, პოტეზნიასა და სხვათა - მოსაზრებებს, არამედ ხშირად, მავანთა დასარწმუნებლად, მარჯვედ იმოწმებს მათ მშობლიურ ენასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას.

„ისე კარგად არაფრით იცნობება ერი, როგორც ენით“³, მშობლიური ენა არის ენა ლოცვის, პოეზიის, ზნეობრივის და მოქალაქეობრივის მოვალეობისა“,⁴ „დედა ენა არის უდიდესი მოძღვარი ერისა“,⁵ „ხალხს რომ დედა-ენა არ ვასწავლოთ, ეს იქნება აკრძალვა ხალხის აზრის გახსნისა, მისი სულიერი ნიჭიერების განვითარებისა“,⁶ „თუ ხალხი თავისს დედა-ენას სცვლის სხვა ენაზე... იგი ვერ აიცილებს თავიდან გონების დაჩაგვრას, დამდაბლებას“,⁷ „ენა უბრალო ხმების კრება კი არ არის, არამედ თვით აზრია ხალხისა, თვით სულია მისი“⁸.

ვ. ჰუმბოლტის ლინგვისტური კონცეფციის ძირითადი პრინციპის თანახმად ენა, სულიერი აზრით, ერს გულისხმობს: „ხალხის ენა არის მისი სული და ხალხის სული არის მისი ენა - მნელია წარმოვიდგინოთ რაიმე უფრო თანაბარფასეული“⁹. სწორედ ამ დებულებას ეთანადება იაკობის მოსაზრება, როცა იგი მშობლიურ ენას სულის ენად მიიჩნევს და აცხადებს: „დიად, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა“.¹⁰ რაკი ენა სასიცოცხლო ძაფებით არის დაკავშირებული ერის არსებობასთან, ერის მთლიანობის უმთავრესი შემწე და მისი ერთცნობიერ ერთობად განმტკიცების საფუძველია, იაკობის მიერ ახალ ცნებად დატოვილი ანდერძი - „გიყვარდეს ერი შენი უმეტეს თავისა შენისა“¹¹, კიდევ ერთი მოწოდებაა მშობლიური ენის და ერის დაცვისაკენ.

ის, რომ იაკობი კარგად იცნობდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების იმდროინდელ მიღწევებს, ნათლად ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: „ჩვენი ქართული ენა ერთს ისეთს განსაკუთრებულს მოვლენას შეადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში, ისე ნაკლებად ჰგავს სხვა ევროპულს ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან აღიარონ იგი განცალკევებულ თავისებურ ენად“¹².

სწორედ ქართული და ევროპული ენების სტრუქტურებს შორის არსებული დიდი სხვაობის გამო მიაჩნია გოგებაშვილს რთულად ევროპულ ენათა შესწავლა ქართველთათვის, იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ენათა შესწავლის საფუძველი მშობლიური ენა არ იქნება. ამასთან დაკავშირებით მოუხმობს იაკობი სახარებიდან მაცხოვრის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს: „მიეცით ღმერთისა ღმერთსა და კეისრისა კეისარს“.

იაკობ გოგებაშვილი წერილში არც სამშობლოდან სხვადასხვა მიზეზით უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს ივიწყებს და მათ ბედს ხატოვნად მშობლიურ ნიადაგს მოკლებულ იმ ვაზს ადარებს, სამშობლოდან შორს რომ გადაურგავთ და ამიტომ მისთვის ჩვეული, გემრიელი ღვინის ნაცვლად მხოლოდ წყალწყალა და მჟავე ღვინოსდა იძლევა; შემოქმედს ისე ღრმად ჩაუდგამს ეროვნების საძირკველი ადამიანების ბუნებაში, რომ ხშირად მეათე თაობაც ვერ შეხორცებია უცხო ქვეყანას: „ადამიანი, მოკლებული დედა-ენის ცოდნას და მკვიდრს სულიერ კავშირს თავისს სამშობლოსთან და

¹ გიორგი გოგოლაშვილი, - იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა, თბ., 2011. გვ. 11

² იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 240

³ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 210

⁴ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 210

⁵ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 211

⁶ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 212

⁷ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 213

⁸ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 213

⁹ В. Гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влияния на духовное развитие человеческого рода. В книге В. Звегинцева, История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях, ч. I. М. 1964. Стр. 89.

¹⁰ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 210

¹¹ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 207

¹² იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 218

ერთან, მიემსგავსება საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გააჩნია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზედ“¹.

იაკობი თავდაუზოგავი ღვაწლით, გამოქვეყნებული სტატიებით, მსჯელობითა და შთამბეჭდავი მაგალითებით ცდილობდა შემოეკრიბა საზოგადოებრივი აზრი დედა-ენის დასაცავად და ენის ბუნებრივი კალაპოტის მოწესრიგებას მისი იდუმალი მადლისა და

ცხოველყოფილობის სამწერლო ენის ნორმებთან შეთანადებით ცდილობდა.² პუბლიკაციის ერთ-ერთი მთავარი თემა დედა ენისა და უცხო ენის სწავლების ურთიერთმიმართების საკითხია. მნიშვნელოვანია, რომ მშობლიურ ენაზე აღზრდის აუცილებლობასთან ერთად იაკობი უცხო ენათა შესწავლის მნიშვნელობას კი არ აკნინებს, არამედ მათი ცოდნა, მშობლიური ენის საფუძველზე, ერის წინსვლის აუცილებელ პირობად მიაჩნია: „პირველს სულიერს საზრდოს დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვს და როდესაც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონებას, მაშინ დედა-ენა უნდა გახდეს საძირკველად, რომელზეც აშენდება უცხო ენათა გონივრული შეთვისება“.³ განსაკუთრებულ როლს კი იაკობი ევროპული ენების შესწავლას ანიჭებს. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად იმპერატორ კარლოს მეხუთის სიტყვებს გაიხსენებს: „როდესაც რომელსამე ახალს ენას ვსწავლობ, მე ისე ვგრძნობ ჩემს თავს, თითქოს ახალი სული მიდგებოდესო“.⁴ აქვე მოიშველიებს გოეთეს სენტენციასაც: „ვინც დედა-ენის გარდა არა ენა არ იცის, მან რიგაზად არც დედა-ენა იცისო“⁵ და თავად ასე დასძენს: მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს, ზურგი შეაქციონ უცხო ენებს და მხოლოდ დედა-ენის ამარა დარჩნენ, რაც შედეგად გაადარბებდა ქართულ აზრს, გააღატაკებდა ქართულ მეცნიერებას, დაავიწროვებდა გონების ჰორიზონტს, შეაჩერებდა პროგრესსა და წარმატებასო.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს გოგებაშვილი ქართველთათვის რუსული ენის შესწავლასაც და ამას რამდენიმე გარემოებით ასაბუთებს: თავის დროზე (დაახლოებით 7 წლიდან) ამ ენის შესწავლა მრავალმხრივ იქნება სასარგებლო: მოზარდს შემოქმედებით ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, მეხსიერებასაც განუმტკიცებს და შედარებით ნიჭსაც გაუვარჯიშებსო - ბრძანებს. ყოველივე ამის შემდეგ, შეუძლებელია იაკობს თვისტომთა ინტერესების მხოლოდ ქართული ენით შემოზღუდვის მცდელობა დასწამოს ვინმემ. მის თეორიულ თუ პრაქტიკულ შემოქმედებაში ერთმანეთს არასოდეს დაპირისპირებია ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებანი. მან კარგად უწყოდა, რომ განათლების სოციალური ღირებულება საკაცობრიო ცოდნის დაუფლებაშია, მხოლოდ, ამ ცოდნისაკენ მიმავალი გზა ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობაზე გადის, ხოლო დედა ენა ის გასაღებია, რომელიც კაცობრიობის სულიერ ფასეულობათა თანაზიარად გვაქცევს.

პუბლიკაციაში კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს ეხება ავტორი: რა ხდება მაშინ, როდესაც მოზარდს რამდენიმე უცხო ენას ერთდროულად ასწავლიან მშობლები და ამას მათი წარმატებული მომავლის საწინდრად მიიჩნევენ? სამწუხაროდ შედეგს საპირისპიროს იღებენ, რადგან ასეთ შემთხვევაში ენები ხელს უშლიან ერთმანეთს, რის გამოც სრულყოფილად ვერც ერთს ვერ ითვისებს და ბავშვი „ლატაკი მეტყველების პატრონი“ ხდება, ფერხდება მისი აზროვნება, ამასთან უცხო ენა ვერასოდეს გაუწევს დედაენასავით ერთგულ სამსახურს ადამიანის გრძნობას და ამიტომ იგი იქნება უსარგებლო წევრი საზოგადოებისა. მშობლიური ენისთვის ზურგის შექცევა ყოველთვის გაუმართლებლად მიაჩნია იაკობს, განსაკუთრებით კი ისეთი „განვითარებული, გაშლილი, კულტურული, მდიდარი“⁶ ენისათვის, როგორიც ქართულია: „ზურგის შექცევა დედა-ენისა დიდად ვნებს ხალხსა, აქვეითებს და უკან სწევს“.⁷ იაკობი ასაბუთებს, რომ უცხო ენაზე გაზრდილი ბავშვი ვერასოდეს განიცდის აღტაცებას ხალხური პოეზიის, მშობლიური ლიტერატურის მადლიანი ქმნილების, ერის სიხარულის თუ ნაღველის შემცველი ჰანგის მოსმენისას. აქვე იმ აზრსაც იშველიებს, რომ „მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან პროგრესის გზაზე იაროს, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს თავის დედა-ენაზე...“⁸ და მოსწრებულად იმასაც ბრძანებს, რომ იმ არისტოკრატულ გვარებს შორის, რომლებმაც ქართულ ენას ზურგი აქციეს, დიოგენეს ფარნითაც კი ვერ იპოვი ვერც ერთს, ვინც რაიმე ღირებული შექმნა თავისი ერისთვის, ხოლო ჩვენი ერის საამაყო შემოქმედნი - დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ივანე მაჩაბელი და სხვანი - რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ერის ისტორიაში, - სათანადოდ აფასებდნენ ქართულ ენას, ქართულ

¹ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 238

² რ. ჩხეიძე, „ბურჯი ეროვნებისა“, თბ., 2007, გვ. 92

³ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 222

⁴ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223

⁵ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223

⁶ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 217

⁷ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 225

⁸ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228

საუნჯეს, დიდი სიყვარულით ეპყრობოდნენ მას და მხოლოდ მის საფუძველზე ამყარებდნენ სხვა ენათა („რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის და ნემეცურის“)¹ ცოდნას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ი. გოგებაშვილის მსჯელობა „სამეტყველო შემოქმედებითი ნიჭის“ შესახებ. იგი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ მხოლოდ დაბადებიდან ჩასახული დედაენა ხსნის ადამიანში ენის ალღოს და აძლევს მას საშუალებას გრამატიკული კანონების დაცვით, ქვეცნობიერად, ისეთი სიტყვები და ფრაზები შეთხზას, რომელნიც არასდროს არავისგან არ გაუგონია და უსწავლია. სწორედ „ენის ალღო გახლავთ ერთადერთი წმინდა წყარო ენის გამდიდრებისა, მისი გაფურჩქვნისა, განვითარებისა, მრავლის თავისებურის სტილისა“, ხოლო თუ ადამიანებს ეს ნიჭი მოაკლდებათ, „ერის ენის სიცოცხლე შესდგება, შეჩერდება, გაქვავდება და დაშრება წყარო ცოცხალის მეტყველებისა.“² იაკობს სწამს, რომ არც ერთ უცხო ენას არ შეუძლია ავარჯიშოს ენის ალღო, რადგან იგი ბუნებრივი კი არ არის ადამიანისთვის, არამედ გარედან შედის მეხსიერების საშუალებით. ამიტომ უწოდებს მშობლიურ მეტყველებას იგი სულის ენას, სხვა ენების ცოდნას კი მეხსიერების მონაპოვრად თვლის და ეს მიაჩნია უპირველეს სხვაობად უცხო ენასა და დედა ენას შორის: „დედა ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა.“³ ენის ჰარმონიას და მეტყველების მუსიკის საიდუმლოს კი მხოლოდ მშობლიური ენა - ენა გრძნობისა და გულისა - აძლევს ადამიანს. მეხსიერების ენა კი ამ უნარს მოკლებულია. ამ გარემოებათა გათვალისწინებით ხსნის იაკობი იმას, რომ არც ერთ მწერალს, რომელიც უცხო ენაზე წერს, არ შეუქმნია თავისებური სტილი, რადგან ისევ და ისევ მხოლოდ მშობლიური ენა აძლევს ადამიანს „სამეტყველო შემოქმედებით ნიჭს“, ასეთ ნიჭსა და ალღოს მოკლებულ ადამიანთაგან შემდგარი საზოგადოება კი დაქვეითების, დაცემის, აღმოფხვრისა და გაქრობისთვისაა განწირული.

წერილს იაკობი ისტორიულ წარსულზე მეტად საინტერესო და საგულისხმო მსჯელობით ასრულებს: რატომ არის, რომ მაშინ, როდესაც სხვა მცირერიცხოვანი სახელმწიფოები თავისი წარსულის, ღვაწლის, ღირსების გამოაშკარავებით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ღირსნი არიან დაცულნი იყვნენ თავისი ენითა თუ ლიტერატურით, ჩვენში პირიქით ხდება და „საარაკო უკულმართობის გამო ყოველს ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დავმალეთ, უარვყოთ ყოველივე მისი თავისებურება და ღვაწლი, გავათახსიროთ, დავამციროთ, მიწასთან გავასწოროთ, ამით გამოვუთხაროთ ძირი ჩვენს აწმდგომსა და მომავალს.“ ამ ყველაფრის დასტურად კი ქართველთა მიერ უცხო ენაზე დაბეჭდილი ის მცდარი და მავნე მოსაზრებანი მოჰყავს, რომლითაც გაუფერულებულია საქართველოს ისტორია, სპარსულიდან უნიჭო თარგმანადაა გამოცხადებული ქართველთა სიამაყე - „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ნიჭის დასტური - „სიბრძნე სიცრუისა“ - ნასესხებად, ხოლო ძველი ქართული მწერლობა სომხურიდან ნათარგმნადაა მიჩნეული. იაკობი წუხს, რომ ასეთი ცილისწამებანი ერის და მისი თვითმყოფადობის სრული განადგურების მცდელობად არ აღიქმებოდა ქართველთა შორის და არ შესწევდათ ძალა სიმაღლის გამოაშკარავებისათვის. თვითონ კი იმ რუს და ევროპელ მწერალთა და მკვლევართა შეხედულებებს მოუხმობს, რომლებიც სათანადოდ აფასებენ ქართულ კულტურას და მის ერთგვარ ქომაგად გვევლინებიან, როცა წერენ, რომ სწორედ საქართველოს ისტორიაა ისეთი ღრმა და დაუსრულებელი დრამა, რომელსაც შექსპირიც ვერ ამოწურავდა, რომ ძველმა ქართველებმა მსოფლიო ისტორიაში პირველებმა ააფრიალეს კაცთმოყვარეობის დროშა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ნაწარმოებია, მისი მსგავსი არ მოიპოვება სპარსულ ლიტერატურაში და მასში გამოთქმული დიდებული აზრები „ღირსნი არიან მოიფინონ მთელს სამყაროში.“⁴ ვფიქრობ, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება იაკობის ამ სიტყვებზე ჩაფიქრება.

ნაშრომში, „ბურჯი ეროვნებისა“, სრულად ჩანს ი. გოგებაშვილის შორსგამხედვარე მოსაზრებათა მთელი არსი. მისი შინაარსი, სტრუქტურა და განხილულ საკითხთა სიღრმე სცილდება პუბლიცისტიკის ფარგლებს და დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. მიიჩნევდა რა დედაენას ეროვნების მთავარ ბურჯად და უკავშირებდა მას ერის, ქვეყნის ბედსა და მომავალს, თავდაუზოგავად იბრძოდა ენის უფლებების დაცვა-აღდგენისათვის და მისი წერილიც მშობლიურ ენასთან დაკავშირებული ყველა იმ პრობლემის სხვადასხვა კუთხიდან შეფასებას და განსჯას ეძღვნება, საიდანაც კი საფრთხე ელოდა მას.

მოუხედავად იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილი არ იყო ენათმეცნიერი, უტყუარი ალღო და ქართული ენის შინაგან კანონზომიერებებში ზუსტი წვდომა ქვეყნისთვის ძნელბედობის ჟამს ამარჯვებინებდა მას ენის ინტერესების დაცვისათვის უთანასწორო ბრძოლაში, რამაც, ერთის მხრივ, ქართველთა ენობრივი და ეროვნული მთლიანობის შენარჩუნების საფუძველი შექმნა, მეორეს მხრივ კი თავად იაკობის სახელის პირველობა განსაზღვრა ქვეყნის მხსნელთა დასში.

¹ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 231

² იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 219

³ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 210

⁴ იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 234

იაკობი თავისი ნააზრევით მყარად უდგას საიმედო ბურჯად ქართულ ეროვნულ ცნობიერებასა და ღირებულებებს, ამიტომაც არ ეგების მის ნააზრევს დავიწყება და მით უმეტეს განქიქება მავანთა მხრიდან.

„ბურჯი ეროვნებისა“ და მასში განხილულ საკითხთა აქტუალობა კიდევ ერთხელ მიგვაბრუნებს დიდი შემოქმედის მოღვაწეობის ჭეშმარიტი არსისკენ. იაკობს არ ჭირდება ჩვენი ქომაგობა, იგი თავადაა ჩვენი შემწე, მთავარია სწორად შევძლოთ მისი სულიერი მემკვიდრეობის დანახვა და შეფასება.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. II. თბ., 1954.
2. გოგოლაშვილი გიორგი, იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა, თბ., 2011.
3. გოგოლაშვილი გიორგი, ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2013.
4. გოგოლაშვილი გიორგი, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, თბ., 2012.
5. იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული, თბ., 1960.
6. იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.
7. კანდელაკი ნიკოლოზ - იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1979.
8. ჩხეიძე როსტომ, „ბურჯი ეროვნებისა“, თბ., 2007.
9. В. Гумбольдт, о различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человеческого рода. В книге В. Звегинцева, История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях, ч. I. М. 1964.

Elene Khojevanishvili

Gori State Teaching University

LANGUAGE AS THE ESSENTIAL POINT ACCORDING TO JACOB GOGEBASHVILI'S LETTER "THE SUPPORTER OF THE NATIONALITY" RESUME

The essence of the foreseeing opinions of Jacob Gogebashvili is completely shown in his proceeding "The Supporter of the Nationality." The content, structure and the depth of the discussed items diverge the limits of publicism. It does not carry historic meaning only and still gains actuality.

Jacob considered the unity of the language, – the main supporter of the nationality which was tightly correlated with the fortune and future of his home-country. He selflessly struggled for preserving and restoration of the rights of the language and the above mentioned letter is dedicated to all the problems, assessed and discussed from different points of view, dealing with the native language as danger threatened its survival endlessly.

The analyses of the paper shows that Gogebashvili knew not only the opinions of progressive Russian and European researchers, but he often witnessed them while discussing the items referring to the Mother Language, as well. His idea about regarding Mother Language as the language of soul, coincides with V. Humboldt's main principle of the linguistic conception.

The most important point of view of Gogebashvili is that only the Mother Language can arise the linguistic feeling and in "the talent of creative speech" in a human being and through this, he considers it the only opportunity of enriching and developing and establishing of original style.

However, Jacob Gogebashvili was never been a linguist, but his authentic instinct to protect the Georgian Language together with its unusual, mysterious inner structure and mixing of the characteristic features of the written language, always made him win in struggling for the Mother Language during the hard times of his home-country, which on the one hand established the bases of storing the unity of the language and nationality of the Georgian people, and on the other hand, it defined the priority of Jacob's name in the group of the rescuers of our country.

იაკობ გოგებაშვილის სახე ვასილ ბარნოვის მოგონებებში

ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის შესახებ არაერთი მოგონება (თ. სახოკია, ალ. მიქაბერიძე, ი. მანსვეტაშვილი, ს. მგალობლიშვილი) არსებობს. ამჯერად ჩვენ ცნობილი რომანისტის ვ. ბარნოვის თვალთახედვით დანახულ იაკობ გოგებაშვილზე ვისაუბრებთ.

როგორც ცნობილია, 1864 წელს ი. გოგებაშვილი დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად. სწორედ ამ პერიოდს უნდა ეხებოდეს ვ. ბარნოვის ერთ-ერთი მოგონებაც, სადაც დიდი პედაგოგი გვევლინება იმ პერიოდის სააღმზრდელო დაწესებულებაში გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლად: „გოგებაშვილი სასწავლებლის ზედამხედველად რომ მოვიდა, მესამე კლასში ვიყავი. მაშინ ჯერ შხეპლა ისევ მეფობდა. დაბალ კლასებში, საცა წვრილფეხობა იყო, ყველა გაკვეთილზე გაისმოდა ზღაღილი და ღრიალი. დღის განმავლობაში ნახევარი კლასი მაინც დაიშხეპლებოდა. რაც კლასი უფრო ზევით იყო, იმდენი იშვიათად იცემებოდა, თუმცა სულ ზემოთ კლასსაც დანაშაულის დროს არ ასცდებოდა ეს. კონების მოტანა დავალებული ჰქონდა იმ შეგირდებს, რომლებიც განაპირას ცხოვრობდნენ, ბაღების ახლო. იმ ბაღებიდან იპარავდნენ წიკვლებს და კლასში მოჰქონდათ, იქვე ინახებოდა მერხებში. შიშით ვინ ახლებდა ხელს. ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცემა, რომ თუნდაც ეგზარხი მოსულიყო კლასებში დასავლელად, მასწავლებლები თავისას არ იშლიდნენ”. (ბარნოვი, 1964: 358) ასეთ პირობებში სწავლება-სწავლა სცილდებოდა თავის პედაგოგიურ დანიშნულებას, და ამ დროს თითქოს როგორც სინათლის შუქი ბნელ სამეფოში გამოჩნდა იაკობ გოგებაშვილი. თავის პირველ შთაბეჭდილებებს მწერალი ასე გადმოგვცემს:

„გოგებაშვილი, გოგებაშვილი! - გაისმა ხმა, - ჩვენ ზედამხედველად რომ დანიშნეს, ისაა! წარმოსადეგი კაცი გამოდგა. ბეწვის საყელიანი გვაბანაკი ესხა... უთქვამს, ვერ მოვითმენო, რომ შეგირდებს ლახამდეთო”. (ბარნოვი, 1964: 358)

ბარნოვისეული მოგონებიდან კარგად ჩანს როგორ ასრულებდა ი. გოგებაშვილი დანაპირებს: „მართლაც, იმ დღიდან შესწყდა კლასში მოსწავლის გალახვა. დაჩოქებით დასჯასაც უკვე ერიდებოდნენ მასწავლებლები, ალბათ ამასაც არ იყაბულებსო.

ისე ერთბაშად გადავარდა ფიზიკური დასჯა, როგორც წისქვილს წყალი გადაუგდო და ბორბალი შედგეს. წარმოიდგინე, დაშინდა მასწავლებლობა.

- კაცო ამბობენ, რასაც იტყვის გველის ხერელში გამძვრება და აასრულებს კიო.

ესე დალოცვილი გახდა მის შემოსვლის დღე”. (ბარნოვი, 1964: 358-359)

მოგონებებში გამოკვეთილია გოგებაშვილის, როგორც ერთ-ერთი ნოვატორი მეთოდისტის სახე: „თვითონ კარგი მასწავლებელი გამოდგა. აქამდინ ყველაფერს ზეპირად ვსწავლობდით და მასწავლებლებსაც წინ გაშლილი სახელმძღვანელო ედო, რომ მოწაფეს, პასუხის დროს არაფერი აერივნა, ან შეეშალა. ეხლა გაკვეთილის მიცემის დროსაც და მოსმენის დროსაც თვითნებულ სიტყვას გვიხსნიდა თვითონ, მასწავლებელსაც ესე სთხოვდა”.

იაკობისეული მეთოდი მდგომარეობდა შემდეგში: „ყველა კლასიდან ამოარჩია საუკეთესო მოწაფეები, სადილს უკან, დანიშნულ დროს ავდიოდით იმის ბინაზე და ის დაგვასწავლიდა მოცემულ გაკვეთილს, მოგვისმენდა. ჩვენ უნდა ეს გაკვეთილი კლასისთვის გვესწავლებინა, ჩვენი ჯგუფებისათვის. თუ შეგირდმა გაკვეთილი ვერ იცოდა მეორე დღეს, მიზეზს ჩვენ გვკითხავდა, თუ რომელიმე მშველელი არ გამოდგებოდა, შესცვლიდა სხვა მოწაფით. მართლაც, ამ ფანდმა მუშაობა გააძლიერა და ამას თავისი სახეირო შედეგი ჰქონდა”. (ბარნოვი, 1964: 359)

ცნობილი რომანისტი აღწერს ერთ ჩვეულებას, რომელიც იმ პერიოდში ყოფილა დამკვიდრებული: „მაშინ მიღებული იყო - მასწავლებელს ბავშვის ჭირისუფალი მოიკითხავდა, მოართმევდა ხილს, ნამცხვარს, თუ მაგისთანა სხვა რამ საიასალოს. ეს ქრთამად არ ითვლებოდა. მასწავლებელს სახლში მიართმევდნენ. იაკობი ამაზე უარს არ ეტყოდა, ჩამოართმევდა, გადასდებდა, დამატებითი გაკვეთილის შემდეგ მოსაკითხს ჩვენ დაგვირიგებდა. ძალიან გვიხაროდა. როცა ვნახავდით, ფანჯარაზე ეწყო ჩურჩხელების კონა, ვაშლები, მსხალი, ნაზუქი, ვიცოდით გაკვეთილის გათავებისას ჩვენ გაგვინაწილებდა, ვხალისობდით”. (ბარნოვი, 1964: 359)

როგორც ჩანს მხოლოდ სწავლა-განათლება არ იყო ი. გოგებაშვილის საზრუნავი, იმავდროულად ის ზრუნავდა მოსწავლეთა ჰიგიენური ნორმების დაცვაზეც, რაც საერთოდ, სიახლე იყო XIX საუკუნის სწავლებაში: „მაშინ პანსიონებიც იყო სასწავლებელთან, მაგრამ საშინელი უწმინდურობა და ჭუჭყი სუფევდა. გოგებაშვილმა მოსპო ეს მწვერი. თითონ დაივლიდა, გასიჯავდა ყველა ლოგინს, საცვლებს და როგორც შეიძლებოდა, ისე ასუფთავებინებდა. ზედმეტი ფულიც გამოაღებინა ამ საგნისათვის სამღვდელოებას.

ციაგი შემოგვარდა მის მოსვლით საწყალ, დაჩაგრულ შეგირდობას და დიდ პატივსაც ვცემდით, ვეთაყვანებოდით”. (ბარნოვი, 1964: 359)

პირადი ცხოვრება იაკობ გოგებაშვილს თითქმის არ ჰქონია. მისი მთელი საზრუნავი გადადიოდა თავის სანუკვარ საქმეზე. ვასილ ბარნოვი ერთგვარად ხაზს უსვამს იმ სინანულსაც, რასაც თავად იაკობი განიცდიდა პირადი ცხოვრების მოუწყობლობის გამო:

„ცოლ-შვილს არ მოეკიდა, დრო აღარ მექნება, ჩემ არჩეულ საგანს, პედაგოგიკას, შევსწიროო ჩემი შრომაც და ჩემი დროცაო. ბოლოს კი ნანობდა ამას. ამაყ კაცს ხანდისხან უთქვამს ჩემთვის:

- შეცდომა მომივიდა, რომ ესე უჩამომავლოდ ჩავიარეო”. (ბარნოვი, 1964: 359-360)

თუმცა იაკობი არ დარჩენილა შეუმჩნეველი ქალთა საზოგადოებაზე. ამასაც გვამცნობს მოგონებებში ვასილ ბარნოვი:

„შეჰყვარებოდათ იაკობი, რატომო, მოსულ-მოსული წაბლა ვაჟკაცი, რიხიანად მოუბარი.

ზის ერთხელ გოგებაშვილი ქაშვეთის ბაღში დიდ შადრევანთან, ჩამოუარა ერთმა ქალმა.

- ნება მომეცით, ერთი-ორი სიტყვა მოგახსენო.
- ინებეთ, სათხოვარი გექნებათ რამე.
- სათხოვარი კი არა, სახვეწარი კი მაქვს, მხოლოდ მრცხვენთან, ენა ვერ გამომიგვნია.
- არა უშავს რა, ბრძანე, ქალო.
- შემომეხედეთ, გაიგებთ, თქვენზე ამბობენ, გულთმისანიაო.
- აი ეხლაც დიდად ხარ ღელვილი, მითხარ, უსათუოდ გიშველით რასმე.
- იაკობ, მიყვარხარ! უშენოდ ვერ გავძლებ.
- ჰოო?! მაგის წამალს ვიშოვი მე.

ქალს ნათელი გადაეფინა და დაჟინებით დაუწყო მზერა კაცს.

- შენ იმას გაუჯავრებინარ, რომ დაბალი ადგილი გიჭირავს, შეცვლით, შეძლება არის.
- ბატონო იაკობ, შენ ვერ გამიგე ღელვის მიზეზი.
- გავიგე, გავიგე საალერსოს მეუბნები. მე კი მაგისთვის სრულებით არ მცალიან. - წამოდგა იაკობი, გაიბერტყა გვაბანაკის კალთა და ზურგი შეაქცია ქალს.

ქალი ერთხანს იდგა გაშეშებული, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა.

სად? არ ვიცი? ის კი ვიცი, რომ მასწავლებელი ქალი გარდაცვლილიყო, თავი მოეკლა”. (ბარნოვი, 1964: 366-367)

ვ. ბარნოვი დანაწევრებით, გულისტკივილით, მაგრამ პორტრეტისტის მოხდენილი კალმით აღწერს ი. გოგებაშვილის ბოლო წუთებს:

„ბოლოს ვნახე, როცა ის მძიმე ავადმყოფი იყო, მითხრა: - რაც აზრი მქონდა, ავასრულე, ქართულ სკოლას საფუძველი ჩავუყარეო!

ვუპასუხე: - ძვირფასი შრომაა სკოლა გაქართულდა მაგ შრომით, მაგრამ სულ ყველაფერი ვერ აასრულე.

- რაღა დამრჩა გასაკეთებელი?

სცადა რიხიანად სიტყვის შემობრუნება. თავი ისევ ბალიშზედ დაუვარდა.

მე გავიღიმე:

- ის დაგრჩა, შენი ნაშრომები მთლიანად არ გამოვეცი, რომ მაღაზიაში შევსულიყავი, მეთქო: გოგებაშვილი! იმასაც დიდტანიანი ერთი წიგნი გადმოეღო.

- მართალს ამბობ მაგას კი! აზრადაცა მქონდა, მაგრამ არ დამცალდა.

- მაშ, როცა მოიხდი ამ ავადმყოფობას, აასრულე. შენი თხზულებები შენზე კარგ გამომცემელს ვერ იშოვიან”. (ბარნოვი, 1964: 360)

მოგონებები ი. გოგებაშვილზე საინტერესოა ვ. ბარნოვის, როგორც მოსწავლის პირველი შთაბეჭდილებებიდან ისე დახელოვნებული მწერლის მახვილი თვალით დანახული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პორტრეტის აღქმა-წარმოსაჩენად.

ლიტერატურა:

ბარნოვი, 1964: ვასილ ბარნოვი, თხზულებანი, ტომი 10, თბ., 1964.

Ketevan Barbakadze
Gori State Teaching University
DEPICTION OF IAKOB GOGEBASHVILI IN THE MEMOIRS OF VASIL BARNOV
RESUME

There are quite many reminiscences of (T. Sakhokia, Al. Mikaberidze, I. Mansvetashvili, S. Mgaloblishvili) about a famous public figure and a teacher, Iakob Gogebashvili. This time, the depiction of Iakob Gogebashvili is given from the point of view of a well-known Romanist Vasil Barnov.

Vasil Barnov's memoirs about I. Gogebashvili are interesting both from his first impressions as a pupil and from the impressions of an experienced writer, whose sharp eye perceived and presented the portrait of the teacher and public figure.

ელენე გეგეშიძე
ქუთაისის უნივერსიტეტი

საოჯახო-ლიტერატურული სალონები
(ქუთაისის კულტურული ცხოვრებიდან XIX ს. II ნახევარში)

სულიერების საფუძველს, ეროვნების ბურჯს საქართველოში ოდითგანვე ოჯახი წარმოადგენდა. ის ინახავდა ერის საუკეთესო ტრადიციებს, ავითარებდა ეროვნულ კულტურას. თუკი რამ კარგი შემოინახა ხალხმა, ის, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის წყალობით მოხდა. ოჯახებმა გადაარჩინეს და გააძლიერეს ქართული ხელოვნება მით უფრო მაშინ, როცა საქართველო არ იყო განებივრებული კულტურული დაწესებულებებით, თეატრებით, შემოქმედებითი კავშირებით, საზოგადო საკრებულოებით.

ქუთაისში ყოველთვის მძლავრობდა ოჯახის ინსტიტუტი. ქართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა შეკრებების ყველაზე სტაბილური ადგილები იყო ტრადიციული ქართული ოჯახები, რომლებიც ერთგვარ ლიტერატურულ სალონებს წარმოადგენდნენ. ქართული პერიოდული პრესის სიმცირისა და სიღარიბის გამო კულტურისა და მწერლობის მოყვარულნი თავიანთ შემოქმედებასა და აზრებს ერთმანეთს უზიარებდნენ შინაურ სადამოებზე. ასეთ შეკრებებზე უმეტეს შემთხვევაში ეცნობოდნენ ჯერ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, მსჯელობდნენ ეროვნული კულტურის საერთო საჭირობოტო საკითხებზე.

მე-19 ს. II ნახევარში ქუთაისი იყო ქართული საზოგადოებრივი და ინტელექტუალური მოძრაობის ცენტრი. ახალი პოეტური სიტყვის აკვანი. ქუთაისში საოჯახო-ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა ღოღობერიძეების დიდი ოჯახი, რომელმაც აღზარდა ხუთი საუკეთესო მამულიშვილი: გიორგი, ნიკო, დავითი, ანეტა და სიმონი. ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ხუთივე ქუთაისში იყო აღზრდილი და დიდი საზოგადოებრივ საქმეს ეწეოდა. ოჯახის უფროსი შვილი, ლიტერატურული სალონის წარმმართველი, ქართული კულტურის დიდი ქომაგი და მეცენატი იყო პირველი უმაღლეს დამთავრებული კაცი იმერეთში, იურისტი გიორგი ღოღობერიძე, პირველი კაცი ჩვენში, რომელმაც ევროპულ ყაიდაზე წვერულვაშგაპარსულმა გაბედა საზოგადოებაში გამოსვლა.

გიორგი ღოღობერიძის სახლი დღესაც დგას ე. წ. „ბჟოლებში“, გალაქტიონ ტაბიძისა და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. ამ სახლში რამდენიმე თვე უცხოვრია ილია ჭავჭავაძეს მეუღლითურთ, როცა ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან მსახურობდა საგანგებო მინდობილობათა მოხელედ (1864). ეს სახლი მასპინძლობდა ქართული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს – აკაკის, სერგეი მესხს, ნიკო ნიკოლაძეს, დიმ. ბაქრაძეს, სოლომონ ლეონიძეს და სხვ., რომლებიც საუბრობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, პოლიტიკაზე, კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. ამ სახლში ჯერ კიდევ 1858 წელს გიორგი ღოღობერიძისა და დიმ. ბაქრაძის თაოსნობით გამართულა ქუთაისში პირველი ქართული წარმოდგენა, გ. ერისთავის „გაყრა“, სანამ შეიქმნებოდა პროფესიული თეატრი. მწერალი შალვა დადიანი ღოღობერიძეების ოჯახის შესახებ წერს: „ეს ოჯახი იყო მაშინდელი ცენტრი იმერეთისა, მოწინავე აზრთა მატარებელი.

ამ ოჯახში გაისმოდა საუბარი და სჯა-ბაასი მაშინდელ საზოგადოებრივ საჭირობოროტო საკითხებზე, პოლიტიკაზე, ეკონომიურ საკითხებზე, სამეცნიერო საგნებზე, საქართველოს ისტორიულ წარსულზე, თანამედროვე სავალალო მდგომარეობაზე, სტამბაზე, გაზეთზე, ბანკზე, ყველა ამეების დაარსების საჭიროებაზე და სხვა. ღოღობერიძეებს ჰქონდათ უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რითაც სარგებლობდნენ მათ ოჯახთან დაახლოებული პირნი.” [1.265]. გიორგი ღოღობერიძის ლიტერატურული სალონის შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველ მწერალთა ცნობილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია: „სამოციანი წლების ბოლოს ქუთაისში რამდენიმე ოჯახი იყო, საცა თავს იყრიდა იმ დროს ქართული საზოგადოება. ქართული მწერლობის და საქმეთა მოყვარე საზოგადოება, ის, რასაც ეძახიან ქართულ ინტელიგენციას, იკრიბებოდა გიორგი ღოღობერიძესთან, რომელსაც კვირაში ერთი დღე ჰქონდა დანიშნული და ამ დღეს, სადამოშობით, მის სახლში ეს საზოგადოება მართავდა სალიტერატურულ საღამოს, საცა იკითხებოდა ჩვენი მწერლების ახალი ნაწარმოებები. სხვათა შორის ამ საღამოებში ხშირად კითხულობა თავის ლექსებს მამია გურიელი. დანიშნულ დღეს აქ შეხვდებოდა კაცი: აკაკის, დიმიტრი ბაქრაძის, პეტრე ნაკაშიძის, სოლომონ ლეონიძის, ერთ-ერთ სიღამონოვ-ერთისთავს, დავით ბაქრაძეს, დათა ერისთავს, გერასიმე კალანდარიშვილს და სხვათა, რომელთაც, ჩვენი მწერლობის სიყვარული გულში ჰქონდათ დანერგილი. აქ ნახავდა კაცი, თუმცა იშვიათად, გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს და სერგეი მესხს.

თავის დროზე ამ საღამოებმა კარგი ზეგავლენა იქონიეს ქუთაისის ახალგაზრდობაზე, „მოზარდი თაობა უფროსის კლასებისა, თუ საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი, აქედან სწავლობდნენ, რომ არა პურიტა მხოლოდ შეეძლო კაცს ცხოვრება, რომ მამულისშვილთათვის, გარდა საგნების შესწავლისა და სამსახურის ერთგულებისა საჭირო იყო ეროვნული გრძნობის აღზრდა და განმტკიცება, სიყვარული ქართული ენისა, მწერლობისა, ისტორიის, კულტურის.” [2.367].

ზემოთ მოყვანილი მოგონებებიდან კარგად ჩანს ის დიდი ღვაწლი, რაც გიორგი ღოღობერიძის ოჯახმა დასდო მე-19 ს. 60-იან წლებში ქართული კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის აღორძინების საქმეს, სწორედ მსგავსმა საოჯახო სალონებმა მოიტანეს ჩვენამდე გარდასულ ეპოქათა სუნთქვა, შეგვინარჩუნეს არაერთი ლიტერატურული შედეგის შექმნის ისტორია, წვლილი შეიტანეს არაერთი ქმნილების საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბების საქმეში, უფრო მეტიც, ეს ოჯახები წარმოადგენდნენ მორალურ საყრდენს-საზრდოს სულიერი თუ ეკონომიური კრიზისის პირობებში მყოფ შემოქმედთათვის.

სწორედ ამ აზრის გამოხატულებას წარმოადგენს აკაკის სიტყვები, მისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან „ჩემი თავგადასავალი“, რომელშიც ის მე-19 ს. 60-იანი წლების ქუთაისის ორ დიდებულ ოჯახს იგონებს: „არა მარტო პურიტა ცოცხალ არს კაცი: სულიერად საზრდოვ, სულიერი თანაგრძნობაც იყო საჭირო და ისიც მალე მოვიპოვე იაკობ ნიკოლაძის და ბესარიონ ხელთუფლიშვილის ოჯახებში, ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა, გულს იკეთებდა და მეც უფრო შეუპოვრად და გაბედვით მივდიოდი ჩემი გზით მომავლის მოლოდინში” [3.96].

აკაკი მაშინ აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“. ის ქუთაისიდან ახალ-ახალ კორესპოდენტებს უგზავნიდა გაზეთის რედაქტორს სერგეი მესხს. „ცხელ-ცხელი ამბების“ (ასე ერქვა იმ კორესპოდენტებს) შექმნას სწორედ ნიკოლაძისა და ხელთუფლიშვილის ქალიშვილები აქეზებდნენ.

ქალებმა მთხოვეს, რომ ერთი ფელეტონი დამეწერა და დამეხეჭვინებინა „დროებაში“ და მეც ავისრულე მათი რჩევა” [3.98].

ნიკო ნიკოლაძის დების სახლი მდებარეობდა თეთრ ხიდთან ახლოს. როგორც შალვა დადიანი იგონებს, ეს იყო „ორსართულიანი სახლი საუცხოო ბაღით და ეზოთი” [1.118]. მე-19 ს. 90-იან წლებში (1892 წ.) ეს სახლი დაიქირავა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო დადიანმა (შალვას მამამ). მოცულობით საკმაოდ დიდი ყოფილა: კაბინეტი ბიბლიოთეკით, დიდი დარბაზი სტუმრებისათვის, სასადილო და სხვა ოთახებიც. ერთ-ერთ ოთახში კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ მწერლობითა და ლიტერატურით დაინტერესებული გიმნაზიელები, რომელთა შორის შ. დადიანი ასახელებს პარმენ გოთუას, სიმონ ჯაფარიძეს, გიორგი ავალიანს, სოლომონ გაბუნias, საშა წულუკიძესა და ნიკო ლორთქიფანიძეს. ამ შეკრებაზე წამოჭრილა აზრი, რომ გიმნაზიელების ხელნაწერი ჟურნალი და შ. დადიანის „მოზარდი“ გაერთიანებულია, მაგრამ შემდეგ ეს ვერ მოუხერხებიათ [1.119]. მსგავს შეხვედრებზე სხვა მოწინავე ოჯახებში ახალგაზრდები მართავდნენ დისკუსიებს და ზოგჯერ წარმოადგენდნენ რეფერატებსაც დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის თუ სხვათა შემოქმედების ირგვლივ, იმართებოდა საუბარი ქართული ენის სიწმინდის დაცვის შესახებ. ამ

დისკუსიებში მონაწილეობდნენ ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები: გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), დავით მიქელაძე (მეველე), სიმონ ქვარიანი, გრიშა აბაშიძე და სხვ. [1.121-122].

უფრო ადრე, თვით ნიკო დადიანთან, საღამოობით იკრიბებოდნენ ძველი ქართული ლიტერატურითა და სიტყვიერებით დაინტერესებული ადამიანები, მათ შორის ალექსანდრე და იასონ ლორთქიფანიძეები (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმები, შ. დადიანის დეიდაშვილები), ნიკო მარი, პეტრე მირიანაშვილი და სხვ. ისინი საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ძველ ქართულ სიტყვებზე, თარგმნიდნენ ან აქართულებდნენ უცხო სიტყვებს და ხშირად ოხუნჯობდნენ კიდეც. შ. დადიანი წერს: „აქამდე მახსოვს სირტყვა „ენდალმა“, რაც ქართულად ნიშნავდა დიპლომს. ამაზე მახსოვს ერთი მათგან შეთხზული სახუმარო ლექსი: „შენი ენდალმა წაიღო წყალმა, გონს ვერ მოგაგო სამშობლოს ვალმა“ [1.150-151].

ქუთათური ინტელიგენციის თავმოყრის ადგილს წარმოადგენდა მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახი. „ეს იყო ერთი მოწინავე ოჯახი, სადაც საღამოობით ეკრიბებოდნენ ქუთათური ინტელიგენტები და ჰქონდათ სჯა-ბაასი და კამათი იმ დროს საქართველოს საჭირობოტო საკითხებზე“ [1.150].

ოჯახის დიასახლისი, ელპიტე წულუკიძე-ლორთქიფანიძისა, განსახიერება იყო ნამდვილი ძველებური ქართველი ქალის ტიპისა“. ოჯახის უფროსი – მერაბ ლორთქიფანიძე (მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად), ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცი, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მათ აღზარდეს 5 ქალი და 3 ვაჟი, რომელთაც სათანადო განათლება მიაღებინეს. უფრო ვაჟები, ალექსანდრე და იასონი, ამშვენებდნენ ქართველ ინტელიგენტთა წრეს სხვადასხვა საზოგადოებრივ სამსახურით“ [1.150]. ამავე ოჯახში აღიზარდა უფროსი ვაჟი, ნიკო, მე-20 ს. ქართული პროზის დიდოსტატი, ბრწყინვალე ნოველისტი, ქართული იმპრესიონისტული სკოლის მამამთავარი.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე პოეზიის ასპარეზზე გამოვიდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ახალგაზრდებისა, რომლებიც თითქმის სრულყოფილად ფლობდნენ გარეგან პოეტურ ხერხებს, ეძებდნენ ახალ ფორმებსა და მეთოდებს, ცდილობდნენ გარეგნული ფაქტორით-ჩაცმულობითა თუ მანერებითაც პოეტის სახელი დაემკვიდრებინათ, მაგრამ მათ საკმეველში ჩამქრალი იყო „ის ცეცხლი, ის ცხოველი ნაკვერცხალი, რომელიც პოეტის ლოცვას თავისი უმაღლესი მისამართით აღავლენს“ [4.59].

იმ მრავალრიცხოვან მასაში მკვეთრად გამოირჩა ხმა ჭეშმარიტი პოეტებისა, რომლებიც, სრულიად ჭაბუკნი, ეზიარნენ პოეტურ შემოქმედებას. ისინი ახლებური განცდებით, უდიდესი ალტაცებით, სრულიად ახალი ფორმით მოვიდნენ ქართულ პოეზიაში და მოიტანეს უდიდესი ტკივილის ფასად შექმნილი „მეწყერივით მოვარდნილი“ ლექსები დიახ, ეს იყო უახლესი ქართული პოეზიის მესამირკველთა თაობა, საერთო ესთეტიკური შეხედულებებისა და მრწამსის მქონე ქართველ სიმბოლისტ პოეტთა ლიტერატურული ჯგუფი „ცისფერი ყანწები“.

„ცისფერი ყანწების“ გამოჩენაც სავსებით კანონზომიერი იყო იმ დროში, როცა პორველ მსოფლიო ომში ჩათრეული ძველი სამყარო უკანასკნელ მიჯნაზე იდგა და მომავალი რევოლუციების ქარტეხილი ძალიან მოახლოებული იყო. ასეთ გარემოში, ბუნებრივია, რომ ბევრი რაიმეს გადაფასება იწყება და მწერლობაც, ეს საოცრად მგრძნობიარე სეისმოგრაფი, ახალი გზების ძებნას იწყებს და თავისი განცდების ახლებურად წარმოსახვას მიმართავს“ [5.32].

ახალმა პოეტურმა სკოლამ უდიდესი როლი ითამაშა ქართული ლექსის ახლებური ჟღერადობის შეძენის საქმეში. გაამდიდრა ქართული ვერსიფიკაცია, შეიქმნა პირველი ქართული სონეტები, ტერცინები, ტერიოლეტები, რითმას მიეცა ახალი გასაქანი, ახლებურად გამოიყენეს ალიტერაციები და ასონანსები. პირველად ითარგმნა ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგის პოეზია [6.89].

ცისფერყანწელთა ლიტერატურული სკოლა 1915 წელს ჩამოყალიბდა ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და ვალ. გაფრინდაშვილის თაოსნობით. ამ ჯგუფს წარმოადგენდნენ ახალგაზრდა პოეტები: სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა კარმელი, გიორგი ლეონიძე.

„ერთი გარემოება დიდად გვაბრკოლებდა და ხელს გვიშლიდა: ახალგაზრდებს არ გაგვაჩნდა კუთხე, სადაც შევძლებდით თავის მოყრას, დაწერილი წაგვეკითხა და ერთმანეთისათვის აზრი გაგვეზიარებია. სხვა ადგილი რომ არა გვქონდა, შევიყრებოდით ხოლმე ქალაქის ბაღში ან სადმე რესტორანში და იქ ვაცნობდით ერთმანეთს ჩვენს შემოქმედებას“ [5.37]. ცისფერყანწელთა ორიგინალობა მარტო მათი პოეტური თქმის ორიგინალობაში არ გამოიხატება. ისინი ორიგინალური იყვნენ შეკრების ფორმითაც. ახალგაზრდა პოეტები ხშირად ქუთაისის სხვადასხვა საცხოვრებელი

სახლების სადარბაზოებში ხვდებოდნენ ერთმანეთს და ღამის მილით მოცული ქალაქის სიმყუდროვეს იქ გამართული პოეზიის საღამოებით არღვევდნენ. „სადარბაზოებში შეხიზნულნი, აბეზარ ყოველდღიურობას და უფასურ სინამდვილეს განშორებულნი, ჩვენ სულ სხვა სამყაროში ვგრძნობდით თავს, ვსაუბრობდით იმაზე, რაც, ალბათ, არცერთ ქუთაისელს არ დაესიზმრებოდა“ [7.5].

ზოგჯერ პოეზიით მთვრალნი ქალაქგარეთ გადიოდნენ. სერგო კლდიაშვილი იგონებს. 1919 წელს პაოლო იაშვილის თაოსნობით როგორ გაემართნენ ქუთაისის აღმოსავლეთით, წყალწითელაზე გადებული ძველი ხიდისკენ, როგორ აირჩიეს ერთი განაპირა წისქვილი, გაცივებული მეწისქვილის თანხმობით ჩამოსხდნენ ფქვილიან ტომრებზე და ააბრიალეს ქართული ლექსის ხანძარი.

აი, ასეთი „ლიტერატურული საღამოებიც კჰონდათ „ცისფერყანწელებს, თუმცა „ამ სიტყვასთან შეერთებულა წარმოდგენა მდიდრულად მორთულ დარბაზზე, სადაც თავს იყრიდნენ მაღალი წრის ადამიანები და სადაც ზოგჯერ ლიტერატურისა და პოლიტიკის ბედიც წყდება“ [5.53-54].

ცისფერყანწელები სალონურ შეკრებებს უფრო ხშირად მართავდნენ ერთმანეთის ოჯახებში. ტიცინი ქუთაისში ბალახენის ქუჩაზე ცხოვრობდა, შედარებით ვიწროდ, ამიტომ მასთან სტუმრობა არ ხერხდებოდა. სამაგიეროდ, მათ შეხვედრები ჰქონდათ პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, დია ჩიანელთან, სანდრო ცირეკიძესთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან [5.71].

„1916 წლიდან ჩვენ, პოეტები, ხშირად ვიკრიბებოდით ერთმანეთთან. თითქმის ყველა ჩვენგანის სახლი ერთგვარ „სალონს“ წარმოადგენდა. ვსაუბრობდით, შემოქმედებით საკითხებზე იყო კამათი, ახალი ლექსებისა და პროზაული ნაწარმოებთა კითხვა, მათი შეფასება“, – წერს ნადირაძე [7.46]. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, 1919 წ., დია ჩიანელის სახლში ტიცინი ტაბიძისა და სანდრო ცირეკიძეს ქართული ლიტერატურული მუზეუმის დაარსების იდეა წამოუყენებიათ.

ვალერიან გაფრინდაშვილის ოჯახში კი, ბალახენის ქუჩაზე, დეკემბრის ერთ თოვლიან საღამოს შეიკრიბნენ თვით მასპინძელი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, რომელმაც იმ დღეს პირველად წაიკითხა ნოველა „ბებრები“ და იქვე გადასცა სანდრო ცირეკიძეს ცისფერყანწელთა ჟურნალ „მშვილდოსანში“ დასაბეჭდად. ამ ნოველამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. სუფრიდან წამოვიჭერით და ექსპრომტად ხელმეორედ შევსვით ნიკოს სადღეგრძელო. ჩვენი „საიდუმლო სერობა“ გათენებამდე გაგრძელდა.

დაუვიწყარი საღამო, დაუვიწყარი ღამე, [8.10]. – იგონებს კ. ნადირაძე, რომელსაც ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვა ის დიდი სიბოლო და ქართული ოჯახის სტუმართმოყვარეობის მაღლი, რაც ახალგაზრდობაში ასე უხვად იგემა მეგობართა წრეში გამართული საოჯახო ლიტერატურული შეკრებებიდან. ის განსაკუთრებული სინაზით იგონებს პაოლო იაშვილის მშობლებს, და დია ჩიანელის მეუღლეს ფაცინო გორგოძეს, რომელთა მასპინძლობა არა ერთხელ უგემნიათ „ცისფერყანწელ“ ძმებს.

დია ჩიანელის (დავით ჩხეიძის) სახლი ქუთაისში მეტად კოლორიტულ ადგილას, თეთრ ხიდთან, მდებარეობდა. ეს მშვენიერი უბანი ყოველთვის პოეტთა განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. კოლაუ წერს: „გარდა სტუმართმოყვარე, გულწრფელი მეგობრობისა, ჩვენ გვიზიდავდა მისი ეზო, დამშვენებული მეტად ღამაზი მაგნოლიას ხით, რომლის დიდი თეთრი ყვავილები სურნელებას აფრქვევდნენ ირგვლივ. გვიზიდავდა დიას ბინის დიდებული აივანი. იგი ამაყად გადმოჰყურებდა რიონის მშფოთვარე, ძლიერ ტალღებს, მათ თეთრ ქაფად ქცეულ ჩქერებს“ [9.22].

დია ჩიანელის სახლის შესანიშნავ აივანზე იმართებოდა საოცარი საღამოები, სადაც კამათობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე. დიას ვაჟი, კინორეჟისორი რ. ჩხეიძე, იგონებს: „ასე მგონია, სიზმრიდან მოდიოდნენ გალაკტიონი, ტიცინი, პაოლო იაშვილი, უშანგი ჩხეიძე, შალვა დადიანი, კოტე მარჯანიშვილი და ბევრი სხვა...“ [8.10].

ამ ოჯახის სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ დემნა შენგელაია, გრიგოლ რობაქიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, დავით მესხი, გიორგი ჯიბლაძე, სრულიად ახალგაზრდა - მამია ასათიანი, ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი, ვიქტორ გაბესკერია, ბონდო კეშელავა, ნიკა აგიაშვილი, გიორგი სამხარაძე, გ. ნაფეტვარიძე, მიხ. ალავეძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სიმონ ხუნდაძე, გიორგი ავალიანი და სხვა.

დიას მეუღლე, ფაცინო გორგოძე, იგონებს: „ცხოვრობდით რიონის პირად დიდ აივანიან სახლში, დია უზომოდ სტუმართმოყვარე კაცი იყო. ამ საქმეში მეც გვერდით ვიდექი. დღესაც მახსოვს ჩვენს აივანზე გაშლილი სუფრა და მის ირგვლივ ქართველი და რუსი ინტელიგენტების ჯგუფი გართული კამათსა და ლექსების კითხვაში. კაცმა რომ თქვას, ჩვენი სახლი მაშინ თავისებურ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა ქუთაისში. სტუმრები ხშირად დიას საყვარელი სოფლის –

დიმის მოსანახულებლად დაგვყავდა. ქუთაისში ჩამოსული ვლადიმერ მაიაკოვსკის დების მასპინძლებიც ჩვენ ვიყავით. მერე კი ერთად გავწევდით ბაღდადისაკენ” [8.10].

მე-20 ს. დასაწყისის ქუთაისზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი კორიფე ვერიკო ანჯაფარიძე, რომლის მამა, ივლიანე ანჯაფარიძე, მაშინ ქალაქის ნოტარიუსად მუშაობდა და ცხოვრობდა წმინდა ნინოს სასწავლებელთან.

„ჩვენს ოჯახში, – იგონებს ვ. ანჯაფარიძე, – ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწენი, მსახიობები, მწერლები, პოეტები. „ცისფერყანწელებიც” ხშირად გვესტუმრებოდნენ. ჩვენთან გავიცანი ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გოგლა ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და მათ შორის ტიციანი, ყოველთვის აგზნებული და აფორიაქებული, აძლევდნენ ეშხს იმდროინდელ ქუთაისს” [9.150].

მაშინდელი ქუთაისი იყო ქართული საზოგადოებრივი და ინტელექტუალური მოძრაობის ცენტრი, ახალი პოეტური სიტყვის აკვანი. აქ თავმოყრილი იყო ქართული გონებრივი სამყაროს წამყვანი ძალა – საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, თეატრალური, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ წარჩინებულ ოჯახებში, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ლიტერატურულ ნაწარმოებებს კითხულობდნენ, ერთი სიტყვით, სულიერ საზრდოს იღებდნენ.

ეს ოჯახები, ბუნებრივია, ცნობილ ინტელიგენტთა ოჯახები იყო. ერთ-ერთი მათ შორის გახლდათ ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ნაზარიშვილის ოჯახი.

დიმ. ნაზარიშვილის ქალიშვილები, ელო და ისია, ცისფერყანწელებთან მეგობრობდნენ. ტიციანმა ლექსიც უძღვნა უმშვენიერეს ისიას, რომელსაც ახალგაზრდობაში ეტრფოდა. შალვა აფხაიძე წერს:

„რომანტიკული გატაცებით და გზნებით, ტიციანის პოეტური ხმის დამახასიათებელი რაღაც შინაგანი ტკივილით, მძაფრი განცდით არის დაწერილი ლექსი „ისია ნაზაროვას”, რომელიც ქუთაისის აპრილივით ჰყვავდა და თვით ხორცშესხმულ მშვენებას წარმოადგენდა, ჩაივლიდა და ქუჩებს სილამაზით ანათებდა [9.155].

ვიგონებ დამწვარ ამ ათ წელიწადს,
პირველ სიყვარულს, გულს რომ მიწგრევდა,
შენც ხომ ცხოვრების გრიგალი გწეწავს,
ორივეს დაგვრჩა უძირო სევდა.
უცოდველ ბავშვის გემინა ძილით,
ერთად გვესიზმრე დაღლილ პოეტებს,
სიყვარულს ვერ ძლევს წელთაგან ძილი
და ძილშიც სიზმრად წამოიშფოთებს.”

ქართული კულტურის მოღვაწეთა შეკრებებით არაერთი ოჯახი იყო ცნობილი ქუთაისში. სალონური ცხოვრება ჩქეფდა გოკიელების, ხერინაშვილების, მიქელაძეების, იოსელიანების და სხვათა ოჯახებში. ოჯახებმა გადაარჩინეს და გააძლიერეს ქართული ხელოვნება. მით უფრო მაშინ, როცა საქართველო არ იყო განებივრებული კულტურული დაწესებულებებით, თეატრებით, შემოქმედებითი კავშირებით, საზოგადო საკერულობით.

ლიტერატურა:

1. შ. დადიანი, „რაც გამახსენდა“, თბ., 1959.
2. ქართული ლიტერატურის ისტორია, საქ. მეცნ. აკადემია, ტ. IV, თბ., 1974.
3. ა. წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“, „თხზულებანი“, ტ. III, თბ., 1989.
4. გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, ტ. ტაბიძე, თბ., 1988.
5. ს. კლდიაშვილი, „როცა წარსულისაკენ გავიხედავ“, თბ., 1969.
6. ტ. ტაბიძე, ავტობიოგრაფია, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985.
7. კ. ნადირაძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1984.
8. დ. ბრეგაძე, „არდავიწყება მოყვრისა“, ქუთაისი, 1990.
9. ვ. ანჯაფარიძე, „წითელი მიხაკის ლეგენდა“, თბ., 1985.

Elene Gegeshidze
Kutaisi University
FROM THE HISTORY OF HOME SALONS IN KUTAISI
RESUME

A family has been the pillar of the nation, the basis of the spiritual life in Georgia. The Family, saved Georgian culture as it was the place where writers public figures got together to discuss different problems of literature, politics, economics and social life.

Kutaisi was famous for its home (literary) salons, namely those of the Ghoghoberidzes, Lordkipanidzes, Nikoladzes, Kheltuplishvilis. Dadianis, Iahvilis, Chkheidzes, Nazarishvilis Kheltuplishvilis, Gokielis, Mikeladzes and others.

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი სოფრომ მაგალობლიშვილის მოგონებებსა და საარქივო მასალებში

ცნობილი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) ცხოვრება-მოღვაწეობა არაერთგზის გამხდარა მკვლევართა შესწავლის საგანი. ამჯერად ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა ი. გოგებაშვილის თანამედროვის, ხალხოსანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, სოფრომ მაგალობლიშვილის (1851-1925) „მოგონებანი“ და ის საარქივო მასალა (მიმოწერა), რომელიც ინახება საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში. მისი ძირითადი ნაწილი გამოუქვეყნებელ-შეუსწავლელია (ჩვენს ხელთ არსებული პუბლიკა-ციებიდან გამომდინარე).

უკვე 1994 წელს მწერალი ეგნატე ნინოშვილი თავის ერთ კერძო ბარათში მიუწერს იაკობ გოგებაშვილს: „ვინ იქნება დღეს წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ კი არ გიცნობდეს? განა ყველანი თქვენგან შედგენილ სახელმძღვანელოებზე არ აღვიზარდეთ? თქვენგან შედგენილ სახელმძღვა-ელოებში ვისწავლეთ ქართული წერა-კითხვა, თქვენ შეგვაყვარეთ სამშობლო და მისი ენა“ (ნინოშვილი, 1935:117).

და მაინც ოცდაათიოდე წელი იყო გასული ამ წერილის დაწერიდან. ეს კი მაშინ, როცა ქართული ენა აღარ ისწავლებოდა სასულიერო თუ საოსტატო სასწავლებლებსა და სემინარიებში: „ეხლაც კი, ამ მოხუცებულობის ჟამსა, ტანში გამაჟრჟოლებს და ციებ-ცხელება ამიტანს ხოლმე, როდესაც წარმოვიდგენ ძველს სკოლასა, თვისის განუმორებლის ატრიბუტებით: როზგი (წკეპლა, სახაზავი, დუქნის დარაბად წოდებული, დაჩოქება კენჭებზედ, სილა, ყურების წიწკნა, თმის გლეჯა და ათასი სხვა ჯანდაბა)“ (მაგალობლიშვილი, 1938:35).

„სწავლება რა ენაზე მიდიოდა, ღმერთმა უწყის: არც რუსული იყო და არც ქართული, რაღაცნაირი ენათა შერევნა იყო. რუსული არავის გვესმოდა, ძალაუნებურად ქართულად გველაპარაკებოდნენ; ითარგმნებოდა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. თვით ქართული ენა საგნად არ იყო მიჩნეული“ (მაგალობლიშვილი, 1938:38).

ამიტომაც, რომ მწერალმა რამდენიმე ნაწარმოებში დახატა ის ტრაგიკომიკური სურათი, რაც მაშინდელ სასწავლებლებში სუფევდა („წარსულიდან“, „აღარ შემოდლიან!“, „მოგონებანი“).

სწორედ ამ დროს, 1863 წელს, სასწავლებელში მოვიდა იაკობ გოგებაშვილი, სრულიად ახალგაზრდა პედაგოგი, რომელიც პირველად გორის სასულიერო სასწავლებელში თავის მამასთან, სვიმონთან, ერთად მობრძანებულა: „იაკობს თან მოჰყვა ლამაზი სახის მღვდელი, რომლის სახეს უფრო ალამაზებდა და აბრწყინებდა ლამაზი თეთრი წვერი“ (მაგალობლიშვილი, 1938:40). სამწუხაროდ, ბედმა არ არგუნა იმ დროს ს. მაგალობლიშვილს მისი მასწავლებლობა, რადგან იაკობი ტფილისის სემინარიაში დაინიშნა. ამ მოვლენას ს. მაგალობლიშვილი ბნელ განათლების სისტემაში პირველი სხივების შეჭრას ადარებს და ნ. პიროგოვის იდეების რეალურ ხორცმესხმას ხედავს. მის ღვაწლზე „მოგონებების“ VI თავში კიდევ მსჯელობს: „ვიტყვი მხოლოდ, რომ გოგებაშვილის სახლი იმ ჟამად იყო ისეთივე სახლი ტფილისის მაშინდელ ინტელიგენციისათვის, როგორც სტანკევიჩის რუსეთის მწერალთათვის. იაკობს ეჭირა სემინარიის ზემო სართულში ბინა, აწინდელი ღორის-მელიქოვის ქუჩის მხრივ. აქ, ამ სახლში, იაკობთან დაიარებოდნენ ტფილისში მყოფნი მწერალნი და ინტელიგენტნი: ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ.

იოსელიანი, თ. ტურიაშვილი, ა. ფურცელაძე, ლ. მღებროვი, ნ. ყიფიანი და სხვა და სხვ...“ (მგალობლიშვილი, 1938: 46).

სხვაგან უფრო აზუსტებს იაკობთან, სახლში, გამართულ საღამოების შინაარსსაც: „ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ მასთან; ჩვენ, სემინარიის შეგირდები, ზურას მცხოვრებნი, იაკობის სადგომის პირდაპირ ოთახებში ვცხოვრობდით. იაკობთან დაიარებოდნენ სემინარიის უფროსი კლასის მოწაფენიც. იმათ გამოჰქონდათ იაკობის სახლში აღმრული კითხვების შინაარსი. მთელი მათი აზრი ტრიალებდა სამშობლო ქვეყნის, ენის, ლიტერატურის გარშემო“. (მგალობლიშვილი, 1938:189).

ქართველი მასწავლებლებიც გააქტიურებულან იაკობის ძალისხმევით, შეჰქონდათ კლასში ახალი წერილები მაშინდელი მწერლებისა, გამოდიოდა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“.

სწორად აქ ჩაეყარა საფუძველი იმ ადამიანების ჩამოყალიბებას, როგორიც იყვნენ: ნიკო ლომოური, იოსებ ბაქრაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვა, მაგრამ ეს შეხვედრები არ დარჩენილა შეუმჩნეველი მთავრობისათვის და ამას მოჰყვა როგორც შეგირდების დათხოვნა, ისე იაკობის გათავისუფლებაც.

ცალკე წერილს უძღვნის ს. მგალობლიშვილის ი. გოგებაშვილს ამავე სახელწოდებით და აქ განსაკუთრებით გამოკვეთს მის ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა პედაგოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიჭი.

საინტერესოა, რომ ს. მგალობლიშვილი ერთგვარ მსგავსებას პოულობს ივანე მაჩაბელსა და იაკობ გოგებაშვილს შორის. მწერლის მახვილი თვალით, „იაკობი მაჩაბლისეზური პიროვნება იყო: ისეთი ფხიზელი, სწრაფად მოლაპარაკე, ცქვიტი, პირუთენელი, მტყუანის კარებამდე მიმყოლი, უმაღლესი პატრიოტი და მამულიშვილი. სამშობლოს წინააღმდეგ თუ რამე დაისტამბებოდა რუსეთის თუ ტფილისის დროგამოშვებით გამოცემებში, მაშინვე მეხივით დაეძგერებოდა“. (მგალობლიშვილი, 1998:188).

იაკობის, როგორც მგზნებარე პოლემისტის სახელზე, ს. მგალობლიშვილი საინტერესო მოგონებებს გვთავაზობს, თუ როგორ ებრძოდა დ. კეზელს („ზოილის“ ფსევდონიმით) რომელიც „ყოველივე ქართულს დაწყობილებას ჰკიცხავდა რუსულ გაზეთებში“. დავით კეზელი (1854-1906) ჟურნალისტი იყო, წერდა ბევრ იმდროინდელ რუსულ-ქართულ ჟურნალსა თუ გაზეთში „არაგველის“, „ზოილის“, „დავით სოსლანის“ ფსევდონიმებით. ხშირად აკრიტიკებდა „ჩვენს მოწინავე კაცებსა - ილიას, აკაკის და გოგებაშვილს, თვისს ნამასწავლებლარს“. „კეზელმა რამდენჯერმე გაილაშქრა იაკობის სახელმძღვანელოების და „კონას“ წინააღმდეგ, მათ უნიჭოდ და უგვანოდ შედგენილები უწოდა. იაკობმა არაერთხელ გასცა მას პასუხი. ერთი წერილი რუსულად არ გამოქვეყნებულა და ს. მგალობლიშვილთან ინახებოდა თურმე.

სწორედ ზოილის წერილზე სასტიკად განრისხებული იაკობ გოგებაშვილი და 1884 წლის ენკენისთვის 13-ში მიუწერია ბარათი ს. მგალობლიშვილისათვის: წერილის მხოლოდ პირველი ნაწილია შემონახული ლიტერატურულ მუზეუმში ხ. №16993. ხელნაწერს ბოლო აკლია. ასევე აკლია დასაწყისი 1905 წლის წერილს.

ამ წერილში ი. გოგებაშვილი ეხება დ. კეზელის მაქინაციებს: „კეზელის ბრიყვულმა და უღირსმა განცხადებამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა აქა, უფრო უარესი თვალით შეუხედნიათ პროვინციებში, როგორც ეს ჩანს იქაური წერილებიდან და ამბობენ, მაგრამ ყველა ამაზედ კეზელისათვის ის არის ცუდი და საერ..., რომ რედაქციის სახელიც შერცხვა. გაზეთის ხელმძღვანელს, ჩემი სტატია უ-2 მტრობის სიკვდილის შესახებ არ წაეკითხნათ და კეზელს მოეტყუებინა ისინი, როცა გაიცნეს, დარწმუნდნენ, რომ ეს უსირცხო ბაშიბუზუკი რაღაც სამარცხვინო და უსინდისო განზრახვას გაუტაცნია და ცოცხალი სიცრუე დაუროშავს. ამასთან რაღაც მხდალი, ლაჩარი ყოფილა. მე იმავე დღეს, როდესაც მისი წერილი გამოვიდა, პასუხი მივარბენინე რედაქციაში. როდესაც მე შემხვდა ის გზაზედ და პასუხის მოიტანა გაიგო, გაზუნზულუს ქათამს დაემსგავსა და ეშმაკობაზე შკოლნიკსავით (ხაზი მისია) შეძრწუნდა: „სრულიად არ მოველოდი, რომ თქვენ მაგდენს ყურადღებას მიაქცევდით ჩემს წერილს და პასუხი გამაცემინეო“ მითხრა. ტყუილად მიფიქრნია, დამნაშავეს ყოველთვის გაროზგვა მოუხდება, ზოგს ფიზიკური და ზოგს ზნეობრივი-მეთქი, ვუთხარი. უფრო უმეტესი სილაჩრე გამოიჩინა, პასუხის ბეჭდვის დროსა. რაჭველი ღრეჭიასავით ეხვეწებოდა იზმაილოვს, პასუხიდგან ოთხი ადგილი ამომიღე და აღარაფერს დავუწერო, პოლემიკას მოსვპოზო. სამწუხაროდ, იზმაილოვმა ნახევრობით შეიწყნარა მისი ხვეწნა და ორი ადგილი ამოშალა ჩემი პასუხიდგან. ამ ადგილებში კეზელი გამოყვანილი იყო, როგორც სულელი ჩიჩიკოვი, რომელსაც არც გულში და არც თავში არც ერთი განსაზღვრული გრძნობა და აზრი არ უჭყავის. და რომელს რადაქციიდანაც მოდის, იქაურს ქუდს იხურავს და ამას ეძახის: „доказал престиж“-ო მეორე ნახევარში ჩემს პასუხს აშკარად ეტყობა, გაუტკბა“. როგორც ს. მგალობლიშვილი აღნიშნავს, პოლემიკა დ. კეზელთან უბრალოდ წყლის ნაყვა იქნებოდაო. და, ალბათ, ამიტომაც წერილი „უკანასკნელი ანდერძის აგება დ. კეზელს“ აღარსად დაბეჭდილა, თუმცა, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნებოდა მისი პუბლიკაცია სადღეისოდ.

აღნიშნული წერილი ხ. №16 992 დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში და საინტერესოდ ახასიათებს როგორც იაკობ გოგებაშვილის ყოფილი შეგირდისა და შემდგომ კოლეგისადმი ღრმა პატივისცემას და სიყვარულს, ისე მის საქმიანობას პუბლიცისტიკაში, რომ მან ორი წერილი მოამზადა რუსულ ენაზე ჟურნალში „Русская мысль“ გამოსაქვეყნებლად. გარდა ამისა აქვე ნაჩვენებია, რომ იაკობი ზოგჯერ სტატიას „სანდო პირს“ გადააწერინებდა ხოლმე, რადგან თავს შეუძლოდ გრძნობდა: „მე თვითონ არ დავიზარებდი მის გადაწერას; მაგრამ ეს ორი კვირა გული ძლიერა მტკივა და ბევრის წერას, მეტადრე მეხანიკურს ვერიდები. მეტი გზა არ არის, უნდა დამეხმაროთ ამ საქმეში და რომელსამე განვითარებულს და სანდო პირს, რომელსაც კარგი რუსული ხელი აქვს, გადააწერინოთ ხვალ სადამომდის“ (ლ.მ.ფ.ხ. 16992-ხ). ამავე დროს იაკობი სთხოვს ს. მაგლობლიშვილს, ბევრს არ გააგებინოს ამ წერილების შესახებ, სურს „ავტორი უცნობი დარჩეს მთავრობისათვის - საქმის სარგებლობისათვისაა საჭირო“.

ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც 1923 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ლომისში“, ს. მაგლობლიშვილი ყურადღებას ამახვილებს, მის პიროვნულ თვისებებზე, რომ თავადებული დადიოდა იაკობი და ამაყ შეხედულებას სტოვებდაო, მაგრამ მეგობრებთან იგი „მდაბიო კაცი იყო, უყვარდა საჭირ-ბოროტო საგნებზე ლაპარაკი, უყვარდა სადილზე შექცევა, ლხინი, სიმღერა, ერთს ზაფხულს აგარაკად იყო სურამში; ვეწვიეთ მე და ვანო მაჩაბელი, სურამში შეგვხვდა აკაკი და არისტო ქუთათელაძე. იაკობს ძალიან გაუხარდა, გაგვიმართა სადილი ფონას სადგურთან, მშვენიერს ჭალაში; ფონა არის სამზღვარი ამერ-იმერეთისა. მაშინ რკინისგზა ფონაზე მიდიოდა. სადილზე ბევრი ვილხინეთ, „მრავალ-ჟამიერს“, „კურდღელას“ და სხვა სიმღერებს თვით იაკობი იწყებდა და ჩვენ მოძახილს და ბანს ვეუბნებოდით. ჩვენს ოცნებას საქართველოს მომავალ ბედზე საზღვარი არ ჰქონდა. ყველა, ღვინისგან ცოტა შეხურებულნი, ვწინასწარმეტყველებდით სამშობლოს დახსნას რუსეთის მონარქიის ბრწყალებიდან“ (მაგლობლიშვილი, 1938:192) - სიამოვნებით იხსენებს მწერალი.

აქვე ერთ დეტალსაც აქცევს ყურადღებას მემუარისტი: „იაკობზე ამბობდნენ ნათესავებისადმი გულცივიყო, მაგრამ ტყუილად - პირიქით, იგი არც ნათესავებს ივიწყებდა, ძმის და დისწულები დაზარდა სასწავლებლებში თავისი ხარჯით, ხელს უმართავდა გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებსა, ასე გასინჯეთ ძმის და დის სიძეებსაც კი არ ივიწყებდა“. (მაგლობლიშვილი, 1938:192). ამის დასტურად გამოდგება ს. მაგლობლიშვილისადმი, როგორც ი. გოგებაშვილის ანდერძის აღმსრულებელთა წევრისადმი, იაკობის ძმისშვილის, შალვა გოგებაშვილის, ერთი წერილი (დათარიღებული 1912 წლის 6 ივლისით) №15 885, რომელშიც იგი აღწერს იაკობის უკანასკნელ დღეებსა და მის უკანასკნელ სურვილებს: „26 მაისს, როდესაც ექიმებმა იმედი მოგვცეს, რომ მიაკარგად შეიქმნებოდა, მე ცოტა ხნობით ჩემი საქმეებისათვის დავეთხოვე. სამი დღე დავრჩი გორში. ამ ხნის განმავლობაში მძის აღუთქვი სტუდენტ ს. ირემაშვილისათვის, რომელსაც ერთი წელიწადი თავისი ხარჯით ინახავდა, დახმარება გაეგრძელებინა შემდგომ წლებშიც გათავებამდე (3 წელიწადი). აი ბიძაჩემის სიტყვებიც: შალიკო რომ ჩამოვა, გადავცემ საჭირო ფულს (300 მანეთს) და ეს თვითურათ მოგაწოდებს თითო თუმანს, მია ამ ხნის განმავლობაში მოუთმენლათ მელოდებოდა ამის და სხვა საქმეების შესასრულებლად. მე ჩამოვედი გორიდან ოთხშაბათს 30 მაისს სადამოთი. იმ დამეს სულ სოფლელების შესახებ და სხვა შინაურ საქმეებზე მელაპარაკებოდა, მეორე დილას დამიბარა და მითხრა, რომ ჩევი დამეწერა და ფულიც გამომეტანა და ჩემს სახელობაზე შემენახა. მე თვეობით მეძლია თითო თუმანი ირემაშვილისათვის. ეს იყო ნაშუადღევს 2 საათზე. მე ის უნდა დამემოწმებინა ჩევი, რომ მამ მითხრა - ცოტას დავისვენებ და ჩევი შემდეგ დავწეროთო. ძილის შემდეგ ხუთ საათზე განსვენებულს ლაპარაკიც აღარ შეეძლო. იმ დამეს სულ გვერდით უჯექი, ვეღარ ლაპარაკობდა და გრძნობაც დაკარგა და ამნაირად ვეღარც შეასრულა თავისი სურვილი“.

შემდგომ შალვა სთხოვს სოფრომს, რომ იმ ნაღდი ფულიდან მათ ნათესავებში რომ აქვს განაწილებული, გასტუმრების შემდეგ აუცილებელი იქნება დარჩენილი თანხით ბიძამისის უკანასკნელი სურვილის აღსრულება: ირემაშვილისათვის ფულის გადაგზავნა. ეს წერილი კიდევ ავსებს შალვა გოგებაშვილის იმ მოგონებებს („მოგონებით ბიძაჩემის - იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან“), რომლებიც შესულია „იაკობის სამრეკლოში“ (1990 წ.). „უკანასკნელ წამებშიც კი მხოლოდ ერთდაერთი სამახსოვრო პირადი მოვალეობა დამიტოვე. შენი უკანასკნელი სურვილი იყო ჩემის საშუალებით ერთ ცოლშვილიან და ღარიბ სტუდენტი-ათვის, რომელსაც წელიწადი შენი ხარჯით ინახავდი, გადაგეცა 300 მან. დახმარება. მაგრამ ამ შენი უკანასკნელი სურვილის განხორციელება ვეღარ შეიძლე; წყეულმა სიკვდილმა ენა მოგკვეთა, გონება წაგართვა და წყნარად და მშვიდად გამოგასაღმა წუთისოფელსა“ („იაკობის სამრეკლო“, 1990:583).

გარდა ამისა ს. მაგლობლიშვილის არქივში შემონახულია 2 წერილი იაკობ გოგებაშვილისა: ერთი უთარილო (ლიტ. მ.ფ.ხ.15 885) და, მეორე - 1911 წლის 1 თებერვალს მიწერილი (ლიტ. მ.ფ.ხ. 15856), რომლებიც კიდევ მეტ შტრიხს მატებს პიროვნების, მამულიშვილის, საზოგადო მოღვაწისა და დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სხივნათელ ხსოვნას.

ლიტერატურა:

1. იაკობის სამრეკლო, თბილისი, „განათლება“, 1990;
2. ლიტ. მუხ. ფ. ხ. №16 992, 16 993; 15 885; 15855; 158556;
3. მაგლობლიშვილი ს. „მოგონებანი“, ტფილისი, „ფედერაცია“, 1938;
4. ნინოშვილი ე., თხზ., ტ. 3. ტფილისი, „ფედერაცია“, 1935;

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University

IAKOB GOGEBASHVILI IN THE MEMORIES AND ARCHIVE MATERIALS OF SOPROM MGALOBlishvili RESUME

The life and creative work of I. Gogebashvili has become the subject of study for researchers many times and now the memories and archive materials of a writer and public man S. Mgaloblishvili, the contemporary of I. Gogebashvili, kept in the Museum of Literature of Georgia has become the subject of interest for us. The memories and correspondence and also the letter of I. Gogebashvili's nephew S. Gogebashvili, where he expresses his uncle's last will, clarifies and adds several points to the personality of this wonderful person.

I. Gogebashvili, a creative polemic man, the defender of the interests of the nation, a great teacher, who attracted the pupils' interests at first in the theological college and then in the theological seminary, his house where the youth of that period used to gather, a devoted friend-such is I. Gogebashvili presented in the presented article after studying the archive materials.

ნატო გულუა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევან გოთუას „იმედის სანერგეს“ პარატექსტუალური ანალიზი

ჩვენი სამეცნიერო კვლევის ობიექტია ლევან გოთუას ნოველა „იმედის სანერგე“, რომელიც თემატურად რეპრესირებულ ლიტერატურას მიეკუთვნება. მასში მწერალმა ასახა თავისი დროის ეპოქალური სინამდვილე, კიდევ ერთხელ გამოხატა კრიტიკული დამოკიდებულება ქვეყანაში გაბატონებული ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ, გააკრიტიკა საბჭოთა მთავრობის უსულგულო დამოკიდებულება ადამიანებისადმი და გვიჩვენა მომავლის მისეული ხედვა. ამ ნოველის დეიდეოლოგიზებული მიდგომით შესწავლა მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები დღემდე არ ქცეულა სამეცნიერო კვლევის ობიექტად. ჩვენი მიზანია „იმედის სანერგე“ განვიხილოთ, როგორც ისტორიული ფაქტი პარატექსტუალური და ასევე სტრუქტურულ-სემიოტიკური მეთოდის გამოყენებით. ტექსტის პარატექსტუალური ანალიზის თანამედროვე მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს შიგატექსტურ და ქვეტექსტურ აზროვნებას, ისტორიულსა და ქვეყნისმცოდნეობით ცოდნას, შესაძლებლობას მოგვცემს გავხსნათ ტექსტის აქამდე უცნობი პლასტები, რაც ნაწარმოების მაღალმხატვრულობას გაუსვამს ხაზს და ამგვარი მიდგომით უკეთ გავერკვევით საანალიზო ნოველის ძირითად არსში.

„იმედის სანერგე“ 1952 წელსაა დაწერილი, როცა ვორკუტის ციხეში მყოფი მწერალი საკუთარ თავზე ცდიდა სტალინის ეპოქის სისასტიკეს. მოთხრობაში, რომელშიც აირეკლა ავტობიოგრაფიული მომენტები, ორი ურთიერთდაპირისპირებული სამყაროა ნაჩვენები. ისინი, მიუხედავად მრავალი განსხვავებისა, მაინც ერთ მთლიანს წარმოადგენს; ესაა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ისტორიულ-კულტუროლოგიური სივრცე, რომლის ყველა კუთხეში თანაბარი სისასტიკით უსწორდებოდა კანონი ადამიანებს. ამ სამყაროს ორ სხვადასხვა სახეს წარმოადგენს **გარე სამყარო** და **მავთულხლართებიანი სამყარო**, ანუ **მავთულს იქეთა** და **მავთულს აქეთა** სივრცეები. ნოველაში მოქმედება მკაცრი რეჟიმის ციხეში ხდება, ნაწარმოების პერსონაჟები კატორღელები არიან, რომლებიც არც მკვდრებში და აღარც ცოცხლებში ითვლებიან. მათ შორის ბევრია უდანაშაულოდ დასჯილი, იგივე წამებული, რაც ასე მძაფრად არის დამახასიათებელი ტოტალიტარული

რეჟიმისათვის. ნოველაში აღწერილი გარემო ის მიკროსამყაროა, რომლის მიღმა მთელი საბჭოთა კავშირი უნდა წარმოვიდგინოთ, ციხის მკაცრი რეჟიმი – სახელმწიფოში გაბატონებულ რეჟიმად, თავისუფლებაწართმეული პატიმრები – “წითელი ზონის” მიღმა მცხოვრებ მოქალაქეებად.

ნაწარმოების მთავარი გმირი ყირიმელი აგრონომია, ალალ-მართალი და შრომისმოყვარე, რომელსაც ფანტიკურად უყვარს თავისი საქმე, მისი ხელით გამოყვანილი ჯიშები, მსხმოიარე მცენარეები. აღსანიშნავია, რომ სწორედ 1952 წელს გამოაქვეყნა სტალინმა თავისი ნაშრომი “სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში”, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტი მიანიჭა ქვეყანაში მძიმე მრეწველობის განვითარებას, რაც 30-იანი წლების განვითარების მოდელისაკენ მიბრუნებას ნიშნავდა (5, 102). ეკონომიკისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ სერიოზული ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას.

ნოველის მიხედვით, მნიშვნელობა არა აქვს მთავარი გმირის ეროვნებას, რაზეც მისი საქართველოდან წაღებული და ყირიმში გადანერგული ციტრუსებიც მეტყველებს. მისთვის ყირიმი ახალი კოლხიდაა, ე. ი. იქ, სადაც დარგავ და გააშენებ კულტურულ მცენარეს, იქაა შენი სამოთხე, ანუ კოლხიდა (საოცნებო, ზღაპრული მხარე). დედა-ბუნების მოყვარული პეტრო თანამოსაკნებსაც იმავეს უქადაგებს და ასწლოვანას სამკურნალო ტოტებს უანგაროდ ურიგებს მსურველებს, ასევე დაუნახებლად უნაწილებს მათ თავის ამანათს. მისი ამგვარი საქციელი ცოტა უცნაურადაც კი ეჩვენებოდათ “ათას დარიჯაგში გავლილ” პატიმრებს. იქ, სადაც მხოლოდ მავთულხლართები, ბომბები და საყარაულო ჯიხურები იზრდებოდა, უჩვეულოდ გამოიყურებოდა პეტროს მწვანეხორციანი და ეკლიანი მცენარეები. თვით პეტროც გამოირჩეოდა გატლანქებულ, მომავალდაკარგულ, გაცინიკოსებულ პატიმართა შორის.

პეტროს დამოკიდებულება სანერგესადმი იგივეა, რაც მწერლის თანამედროვეობის ამსახველი სხვა ნაწარმოებების პერსონაჟების: ბარათასა (“ნისლი ნახატარის ტყეში”) და გაგას (“ლეკვი ლომისა”) – ტყისადმი. სანერგეცა და ტყეც საზოგადო კუთვნილებაა, თუმცა პეტროს, ბარათასა და გაგას გაუთავისებიათ ისინი და საკუთარი შვილებივით უვლიან, მათ იციან დედა-ბუნების ფასი, იბრძვიან მათი გადარჩენისათვის, მომავალი თაობისათვის. რაც შეეხება ავტორს, სანერგესა და ტყეში იმაზე ბევრად მეტს გულისხმობს, ვიდრე ბუნების მშვენიერებაა; სამივე ნაწარმოებში აშკარად იგრძნობა ადამიანისა და ბუნების ერთიანობა, ლ. გოთუასათვის სანერგეცა და ტყეც ის სივრცეებია, სადაც უნდა გადარჩეს ადამიანის მოდგმა, რომლის წიაღშიც უნდა გაიზარდოს მომავლის ნერგი.

მართალია, პეტროს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ უსამართლოდ დასაჯეს, მაგრამ მაინც იმედით ცოცხლობდა, თუნდაც ეს იმედი “მავთულხლართებზე მოდებული ჟანგივით” პატარა და უმაქნისი იყოს, თუნდაც მის ალაღად მოთხრობილ ისტორიას პატიმრების დიდი ნაწილი სკეპტიკურად შეხედეს, მან იცის, რომ თავისი სიმართლე აქვს, ის ფარულად ებრძოდა მტერს იმით, რომ საკუთარ საქმეს თავგამოდებით აკეთებდა, ტანკებს წინ აღუდგა ეს მართლაც უცნაური “ციტრუს-მატროსოვი” და საყვარელი მცენარეები განადგურებისაგან იხსნა, ომისა და ოკუპაციის განმავლობაში კი, როცა მის ოჯახს ლუკმა-პური აკლდა, სანერგეს პატივსა და სასუქს არ აკლებდა. მართალია, რომ გერმანელებზე გამარჯვების შემდეგ საკუთარმა მთავრობამ პეტროს საქმიანობა სამშობლოს ღალატად მიიჩნია, მაგრამ ის არ გაბოროტებულა და ღიად არც გამოუთქვამს საყვედური იმ უგუნურების მიმართ, რომლებმაც ცხოვრება გაუნადგურეს, ბუდე მოუშალეს, ოჯახი დაუნგრეს, “ტყუილ-უხამსობაც” აკადრებინეს და 20 წლით ცოცხლად დამარხეს. თითქოს პეტრო არც ეძებს თავისი ტრაგედიის სათავეს.

ნოველაში მკვეთრადაა გამოხატული ყირიმელი პერსონაჟის კავშირი საქართველოსთან. ზოგ ეპიზოდში ლამისაა ვერ გაგვირკვევია, ესა თუ ის ამბავი საქართველოში ხდება, თუ ყირიმში, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ნაწარმოებში ნაჩვენები გეოგრაფიული გარემო ზოგადად საბჭოთა კავშირია, რომლის მცხოვრებლები ერთ ბედქვეშ არიან. მთავარი გმირი საქართველოდან ჩამოტანილ და ყირიმში გახარებულ ნერგებს **კოლხურ-ყირიმულ** ჯიშებს უწოდებს, რომლის ხსენებასაც ზედა ნარის “მველ პატიმრის” ჩვეული ირონია ახლავს თან. მას ოცნების კომპიდან რეალურ ჯოჯოხეთურ სინამდვილემდე ჩამოჰყავს პიმენევი, როცა მოაგონებს, რომ მისი **კოლხ-ყირიმულა** ჯიშების სანერგე როგორ გადაუქციეს **პოლარულ-ტუნდრულ** პლანტაციად. ნოველაში რამდენჯერმეა ნახსენები “კოლხიდა”, რადგან ის წარმოადგენს სააქცენტო სიტყვას და იმავდროულად გააჩნია მითოლოგიური დატვირთვაც. კოლხიდა მარადიული, დროის გარეშე არსებული სიმბოლური სამყაროა. მველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კოლხიდა და კავკასია წარმოადგენდა ძნელად მისაღწევ “ქვეყნიერების კიდეს”. სწორედ კოლხიდიდან ჩამოტანილი ნერგების გახარებისა და მოვლისათვის ეწამება პიმენევი. ადამიანი, რომელსაც თავის ამქვეყნიურ მისიად “მიწიერი

სამოთხის” შექმნა მიაჩნია, საწინააღმდეგო პოლუსზე – სხვა “ქვეყნიერების კიდეზე” - ციმბირში ამოყოფს თავს.

მავთულხლართებში გამომწყვდეული ადამიანებისათვის ციხე, თავისი წესებით, დაუწერელი კანონებითა და მობინადრებით, მეორე **ოჯახად** ქცეულა, რომელიც არანაკლებ რეალურია მავთულსმიდმა დარჩენილ ოჯახზე. ერთადერთი, რაც მათ გარე სამყაროსთან აკავშირებთ, ოჯახიდან გამოგზავნილი **ამანათი** და **გარეფოსტაა**. ამანათი “ოჯახური სარკმელია”, ორ სამყაროს შუა გადებული ხიდია. **ამანათიანი** პატიმარი **ოჯახიანსაც** ნიშნავს. **თამბაქო**, რომელიც ამანათის მეშვეობით აღწევს საპატიმროში, გარე სამყაროს ნაწილია. სწორედ თამბაქოს მეშვეობით იქცევა საპატიმრო კვამლში, ბოლში გახვეულ სამყაროდ, “ჩაბინდულ ბანაკად”, რომლის მიმართ ავტორს ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს: ერთი მხრივ, თამბაქოს ბოლი ტკივილებს უყუჩებს საპატიმროს ბინადრებს, ოცნების ბურუსში ხვევს მათ, მეორე მხრივ – “დაბინდული ბანაკი” იგივე ნახატარის ტყის თავზე გადაწოლილი ბინდია (“ნისლი ნახატარის ტყეში”), რომელიც მხედველობას ადუნებს და მიმხედურობას აჩლუნგებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს “კვამლისფერსახიანი” პატიმრების სივალაღეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციული გაგებით კვამლის გამოშვება გამოხატავს ადამიანის სულიერ სიახლოვეს ზებუნებრივ ძალებთან, შეიძლება ითქვას, რომ ციხის ბინადრები ღვთის ანაბარა დარჩენილი ხალხია. ისიც აღსანიშნავია, რომ პატიმართა შორის მყოფი ავტორი-ნარატორი, იგივე მწერალი, არ ეწევა, ე.ი. ფხიზლობს, ბურანს თავს არიდებს, რათა რეალურად შეაფასოს მოვლენები.

ნაწარმოებში ხაზგასმული ოპოზიცია: **წერილი/გარე წერილი**. პატიმრებს წელიწადში მხოლოდ ორი წერილის მიღება-გაგზავნის უფლება ჰქონდათ. საუბედუროდ, ეს წერილებიც სრულყოფილი სახით ვერ აღწევდნენ ბანაკამდე. სახელმწიფო მანქანა გულმოდგინედ დამუშავებულ წერილებს აწვდიდა ტუსაღებს; ამიტომ მათში სიტყვებიც გადაშლილი იყო და ზოგჯერ გადახეულიც, ისევე როგორც მათი ცხოვრება, რომელიც პატიმრის ბანაკში მოხვედრისთანავე წყვეტდა არსებობას. გარე ფოსტა შეძლებისდაგვარად ავსებდა ამ დანაკლისს. ამ საშუალებით გაგებული სიმართლე კი ზოგჯერ ძალიან მწარე იყო. ასე მოხდა პიმენევის შემთხვევაშიც: სწორედ **გარე წერილის** მიღების შემდეგ იწყება მისი გაორება და ისიც ორმაგ საუბარს იწყებს. თვით ისეთ პატიოსანსა და გულუბრყვილო ადამიანს, როგორიც პიმენევია, გარემო, შექმნილი ვითარება აიძულებს ითვალთმაცქოს გარშემომყოფებთან. ცოლყოფილის გრომოვზე გათხოვებამ მთავარ გმირს ის მავთულხლართებზე მოფართხალე იმედიც გადაუწურა, ოჯახის დაბრუნების იმედი, ვადის გასვლის შემდეგ დროის ათვლის განგრძობის იმედი. ის, რაც პიმენევის ოჯახში მოხდა, არ არის ნორმალური მოვლენა, თუმცა, სამწუხაროდ არც გამონაკლისია, რადგან ეპოქის მიერ იყო ნაკარნახევი. პიმენევ-ირინე-გრომოვის დამოკიდებულება არ გახლავთ ჩვეულებრივი **სიყვარულის სამკუთხედი**, “ეს ტრაგედიის მძიმე ხლართი და ჯადოქალია”, რომელ მხარესაც არ უნდა წახვიდე, ისევე საწყის წერტილთან რომ მიგიყვანს, ჩაკეტილი სივრცეა, საბჭოთა კავშირია. მიუხედავად იმისა, რომ გრომოვმა პიმენევის ცოლყოფილი შეირთო ცოლად, მან ოჯახში თავისი საკუთარი ადგილი დაიკავა და არა პიმენევის. თითქოს ოჯახი კიდევ ერთი გაუბედურებული წევრით შეივსო. რა მნიშვნელობა აქვს, თუ სად იმყოფება პიმენევი, რომელ გეოგრაფიულ წერტილში, თუ ოთხივენი (პიმენევი, გრომოვი, ირინე, ვადიმი) მაინც ერთ წრეზე მოძრაობენ? “თითოეულ ჩვეგანს გვაქვს ჩვენი ადგილი” - ასე განმარტავს გრომოვი ამ ოთხეულის უცნაურ ურთიერთობას. ერთი შეხედვით, ეს ანომალიაა, გადახრაა, მაგრამ ეპოქის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ნორმალური სოციალური დამოკიდებულებაა, რადგან ეს ყოველივე იმ ქვეყანაში ხდება, სადაც საზომებია წაშლილია: ვარამი საერთოა – ოჯახიც საერთოა – შვილიც საერთოა. ფაქტია, რომ ომგადახდილ და გამარჯვებულ ქვეყანაში ყველაფერი რიგზე ვერაა, ადამიანები თავს ვერ გრძნობენ გამარჯვებულებად და ბედნიერებად. ეს ის თაობაა, რომელმაც ომი მოიგო და ახლა მთავარი – მშვიდობა დარჩა მოსაგები. ეს ადამიანები ეპოქასთან ჭიდილში დამარცხდნენ, რადგან აირია მტერი და მოყვარე, როგორც მავთულს აქეთ, ისე მავთულს იქით. საზომის დაკარგვამ **ოცნება** და **სინამდვილეც** ერთმანეთში აურია, **გრძნობა** და **თანაგრძნობა** გამთლიანდა და ერთ ცნებად იქცა.

ნაწარმოებში მხოლოდ ერთხელ იკვეთება **ოცნება** და მისი როლი ტუსაღის ცხოვრებაში. პიმენევის ოცნებაა, რომ მისი ერთადერთი ვაჟი შორეული ცურვის კაპიტანი გახდეს. ეს ერთადერთი საშუალება იქნებოდა, რომ ვინმეს თავი დაედო ჩაკეტილი სივრციდან, გაეღწია სსრკ-ს საზღვრებიდან. შორეული ქვეყნებიდან ნერგების ჩამოტანა კი ჩაკეტილ საზღვრებს მიღმა არსებულ ცხოვრებასთან ზიარებაა, დაკარგული კავშირის აღდგენაა, გადარჩენის შანსია. ნაწარმოების ბოლოს ჩანს კიდევაც ამის პერსპექტივა, როცა ავტორი ყურადღებას ამახვილებს პიმენევის ვაჟის ნახიმოვის საზღვაო სკოლაში ჩარიცხვაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ გამოიკვეთა ცხოვრების შეცვლის პერსპექტივა, გაჩნდა იმედი.

ნაწარმოებში ორი პერსონაჟი გვევლინება ეპოქის მსაჯულებად: ზედა ნარზე მწოლარე პატიმარი და გრომოვი. ზედა ნარზე მწოლარე პატიმარი 1937 წელს დაპატიმრებულთა რიცხვს მიეკუთვნება, აშკარაა, რომ ის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისათვის იხდიდა სასჯელს. მან და მისნაირებმა, რომლებიც უხვად იყვნენ და ლპებოდნენ მაშინდელი მკაცრი რეჟიმის ციხეებში, უკეთ იცოდნენ ცხოვრების ავანჩავანი. ის თავისი ცინიკური შენიშვნებით ცდილობს, პეტროს თვალნათლივ დაანახოს სიმართლე, რომ იმ ეპოქაში ტყუილსა და მართალს ერთი ფასი აქვს, რომ ადამიანის გმირობას არ აფასებენ, კეთილს - ბოროტად გარდაქმნიან. სწორედ ამ პატიმრის საშუალებით გამოხატავს ავტორი თავის ირონიულ დამოკიდებულებას ეპოქალური სინამდვილისადმი.

რაც შეეხება გრომოვს, მისთვის მხოლოდ ორი დრო არსებობს: **წარსული** და **ახლანდელი**. ის პიმენევს **წარსულის** მკვიდრად მიიჩნევს, რადგან მისი რეალობა წარსულში დარჩა, დაპატიმრებისთანავე შეწყდა მისთვის **დროის** ათვლა და დაიწყო **ვადა**. ნოველაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება **დროს**, მის გაგებას. საპატიმროში, სადაც ყველა დღე ერთნაირია, დრო არ გადის, გაჩერებულია. აქ მხოლოდ “ვადა მიმდინარეობს, ცხოვრება გადის”. ამ გაგებით პიმენევი “მესამე მდგომარეობაში” მყოფი, “ზუნებრივ სიკვდილზე ადრე გათავებული კაცია”; ერთადერთი, რაც მას გააჩნია, თავმოყვარეობაა და რასაც ვერ თმობს – შვილია, მომავალია, იმედია. გრომოვი კი, რომელმაც ერთი ოჯახი დაკარგა და ახალი შექმნა, თავის თავს **ახლანდელ დროში** მცხოვრებად თვლის, მისთვის მხოლოდ აწმყოს აქვს აზრი და არა მომავალს. მისი აზრით, ეს დრო – **მომავალი** – შვილებს – ნერგებს უნდა დაუთმონ, რადგან იგი მისი თაობისათვის არ დადგება.

გრომოვი თვლის, რომ მათი ცხოვრება არის ამქვეყნიური ჯოჯოხეთი, სადაც მართლები იტანჯებიან. მისი აზრით, ამ ტრაგედიაში ნოველის გმირები კი არ არიან დამნაშავენი, არამედ “ვიღაც მეხუთე”. რიცხვი **ხუთი** ტრადიციულად ადამიანის ცოდვით დაცემას გამოხატავს. ამ ნოველაშიც ის უარყოფიც კონტექსტშია მოხსენიებული, მასში **მეხუთე** სახელმწიფო რეჟიმია, რომლის სიმბოლო სწორედ ხუთქიმიანი ვარსკვლავია, რომელიც “ასწლოვანა” ანუ დიდვადიანი პატიმრებისათვის თუ ბანაკს გარეთ მცხოვრებთათვის იმ წისკვილად ქცეულა, სადაც ყველა იღვრება, ყველა პატიმარია და განუსაზღვრელი ვადით იხდის სასჯელს. ნარატორიც კი, რომელიც იშვიათად აფასებს მოვლენებს და მხოლოდ თხრობით შემოიფარგლება, გაოცებით შენიშნავს, რომ “ამ კვანძში ყოველი მათგანი მართალი, პატიოსანი პიროვნება იყო”.

გრომოვი ცხოვრებას ფრონტთან, მიწისძვრასთან, სტიქიურ უბედურებასთან აიგივებს. “მე ყოფილი სამხედრო ვარ, ფრონტელი, თქვენ პატიმარი” – მიმართავს იგი პიმენევს, რითაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მთავარი გმირივით მანაც, დიდი დანაკარგი განიცადა ოჯახის დაკარგვით და ისინი, ორივენი, საერთო უბედურების მსხვერპლები არიან. “თქვენი პატიმრობა მარტო თქვენი პატიმრობა ხომ არ არის?” – კითხვას სვამს გრომოვი, რომლის პასუხი ნათელია: მავთულს აქეთ და მავთულს იქით ყველა მცხოვრები თავისებურად პატიმარია. ამ საკითხთან დაკავშირებით, მართებულად შენიშნავს ა. ნიკოლეიშვილი, რომ პეტროს ტრაგედია “ერთი ადამიანის ცხოვრებისეული ტრაგედიის ფარგლებს სცილდება და გარკვეულწილად მთელი ეპოქალური სინამდვილისადმი წაყენებულ ბრალდებადაც თავისუფლად შეიძლება იქნეს მიჩნეული” (4, 561).

ნოველის მიხედვით, იმ გარემოში, სადაც ნაწარმოების პერსონაჟები იმყოფებიან, დარღვეულია ყველა უნივერსალური კანონი; მათ შორის შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულებაც. შრომა – ეს არის ადამიანის უკეთილშობილესი ჩვევა და ის საბჭოთა ქვეყნის სინამდვილეში, მავთულს იქით თუ მავთულს აქეთ, ჯოჯოხეთურ საქმიანობად ქცეულა. სამყაროს ორივე კუთხეში, განსაკუთრებით კი ბანაკებში, დამკვიდრებული იყო ხელობათა და მოწოდებათა აღრევა. ამ ფაქტის აქცენტირებით, ავტორს ასოციაციით ბაბილონის გოდოლის მშენებლობის იგავთან მივყავართ, რომელიც რეალურ სამყაროში მახინჯი ფორმით განხორციელებულა. მართალია, სსრკ ენათა აღრევას კი არა, ერთენიანობას გულისხმობდა, სამაგიეროდ პროფესიათა და საქმიანობათა აღრევა მტკიცე საფუძველს უქმნიდა ძალმომრეობაზე დამყარებულ რეჟიმს: “...განზრახი და უგნური აღრევა ხომ სულ თიშავს და კლავს ადამიანის შემოქმედებით უნარს”. ნოველის ავტორი, ამ შემთხვევაში ნარატორის – მწერალის კაცი ელექტრომონტიორად მუშაობს (სინათლე მოაქვს). პიმენევი კი – აგრონომი – დურგლობს. გვარი პიმენევი წარმოდგარია სახელისაგან პიმენი, რაც ძველბერძნულად **მწყემსს** ნიშნავს. სახელი ხაზს უსვამს გმირის სიწმინდეს, პატიოსნებას, ასოციაციურად უკავშირდება იესოს – “კეთილ მწყემსს” და მის წინაპარს – დავითს, რომელიც მწყემსი იყო. ასტროლოგიური თვალსაზრისით პიმენის მფარველი ჭიანჭველაა – შრომისმოყვარეობის სიმბოლო. ასევე, იესოსთან მისი კავშირი ნათელი გახდება, თუ გავისხენებთ, რომ იესოს მამობილი, იოსებიც დურგალი იყო და ეს ხელობა მან იესოსაც აწავლა, რათა თავის რჩენა შესძლებოდა. ამიტომაც იესო ცნობილი იყო არა მხოლოდ “ხუროს ძე”, არამედ როგორც “ხურო” (მათე 13:55; მარკოზი 6:3) და რაც მთავარია,

პიმენევიც, ეს უცოდველი ადამიანი, როგორც მას ავტორი უწოდებს, “შიშველმართალი”, ტყუილუბრალოდ ეწამება ამ ჯოჯოხეთში.

გრომოვის ერთ-ერთ წერილში აშკარად საგრძნობია ირონია. უფრო სწორად, თანამედროვე მკითხველისათვისაა მწარე ღიმილის მომგვრელი ეპოქისა და იმ თაობის ამგვარი სულისკვეთება, თორემ გრომოვი, ისევე როგორც ყოველთვის, მაშინაც სერიოზული და პირდაპირია, როცა ამბობს: “ერთობლივ ჩვენ ხომ დიდი რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის გამარჯვების გზით მივალთ – აი ძირითადი!.. დანარჩენი კი წარმავალია და მხოლოდ საკუთარი მძიმე ბედის კუთხიდან ნუ შევყურებთ ზოგ მოვლენებს!” – ეს ტიპური საბჭოთა მოქალაქის აზროვნებაა, ამ ფრაზამ გამოაშკარავა მაშინდელი სახელმწიფოებრივი ხედვა, ცალკეული ადამიანებისადმი დამოკიდებულება; რეჟიმისათვის ისინი ინდივიდუალობადაცარგული არსებებია, მთელის უპიროვნო, უსახო ნაწილები.

მიუხედავად ზემოთქმულისა, გრომოვი იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შეძლებისდაგვარად სწორად შეაფასეს მოვლენები და არსებობის მიზანი და იმედი ჩაუსახეს გარშემომყოფთ (მის გვარიც არ უნდა იყოს შემთხვევით შერჩეული: გრომოვი წარმოდგება სიტყვისაგან Гром (გრუხუნი) და ძლიერ, ხმაურიან ადამიანს გულისხმობს). ის ამგვარად მოძღვრავს დაბნეულ პიმენევს: “სიღრმისეული და გულდაგული ჯანსაღად შემოვიანახოთ, ჯერ ამით ვისაზრდოთ, გავიგოთ და დავინდოთ ურთიერთი... წარმავალი კი – ვიმეორებ, - ყველგან და ყოველთვის წარმავალია. ეს ადამიანები ბოლომდე ვერც გარკვეულან, რომ მიუხედავად იმ დიდი მსხვერპლისა, თითოეულმა მათგანმა რომ გაიღო ომის მოსაგებად და თავისუფლების დასაცავად, რატომ გაჩნდა ქვეყნად ასეთი უნდობლობა და შიში, ან რისთვის გახდა საჭირო პეტროსნირების მსხვერპლად შეწირვა. ნათელი და გარკვეული მხოლოდ ის იყო, რომ ღირსეული, მართალი და პატიოსანი ადამიანები უბედურები იყვნენ, რომ ქვეყანაში დაიკარგა რაღაც საზომი, ურთიერთობებს მოერღვა მიჯნა, ომის მომგებ ხალხს გაუჭირდა მშვიდობიანობასთან გამკლავება.

ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა რომ ეს ხალხი ერთგვარად შეეჩვია ამგვარ ყოფას, რადგან ჩათვალა, რომ მაინც ვერაფერს შეცვლის; მათი ამქვეყნად ცხოვრების დრო ამოწურულია, მხოლოდ ვადალა დარჩა, “მესამე მდგომარეობაში” ყოფნის ვადა. “წარმოიდგინეთ, როგორ იცის მიჩვევა; თუნდაც ყოვლად უმსგავსო კუთხემ!” – შენიშნავს პიმენევი. გრომოვი კი მასავით გულუბრყვილო როდია! თუ პიმენევის მდგომარეობას შეჩვევა ჰქვია, გრომოვისათვის – გაძლება. მისი აზრით, მათი არსებობის მიზანი გაძლება, კაცთმოყვარეობის (და არა თავმოყვარეობის) შენარჩუნება და პიმენევის მიერ დარღული წერგის – შვილის – იმედის გაზრდაა. გრომოვმა უნდა დაასრულოს პიმენევის მიერ დაწყებული საქმე, რათა ოჯახი არ დაინგრეს, ქვეყანა ბოლომდე არ განადგურდეს, მომავალი არ დაიკარგოს. “ამ ქვეყნის ძლიერება ისევე წარმავალია, როგორც შიშით შექმნილი სიყვარული!” – გრომოვის ამ სიტყვებში აშკარად იკვეთება ავტორისეული პოზიცია, მისი ოპტიმისტური დამოკიდებულება მომავლისადმი. თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ფრაზა კიდევ ერთხელ გვხვდება მის ესეში (1, 140). გრომოვის წერილების გააზრების შემდეგ პიმენევის დროის მიმართ დამოკიდებულება რამდენადმე იცვლება: “მე ყველაფერი უმართებულოდ დავკარგე, მაგრამ საერთოდ კი თითქმის არაფერი არ დავკარგულა! დრო თავისი გზით მიდის”.

ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენ რთული და სარისკო იქნებოდა 1952 წელს საუბარი “შიშით შექმნილ სიყვარულზე”, რომელშიც “ვეფხისტყაოსნის” ცნობილი აფორიზმის – “შიში შეიქმს სიყვარულსა” – საბჭოური იდეოლოგიის მიერ გაუკუღმართებული გაგება იგულისხმებოდა. ყველა იმპერია ხომ ბრძნულ გამონათქვამებს თავის თავზე ირგებდა და ამგვარად ცდილობდა თავისი ტირანიის გამართლებას.

ავტორი რეალური სიმბოლოების გამოყენებით გადმოსცემს ტექსტის ღრმა აზრს. ნოველაში ამგვარ რეალურ სიმბოლოს წარმოადგენს ფოტოსურათი, რაც იგივე ოჯახი და სანერგეა ერთდროულად, იმიტომ, რომ ორივე ზედაა გამოსახული და მის მფლობელს ორივე მათგანს აგონებს. სურათი მფლობელისათვის ერთადერთი ძვირფასი ნივთია, კიდევ ერთი ძაფია, რომელიც მას ოჯახთან – წარსულთან აკავშირებს. როცა პერსონაჟი ჩათვლის, რომ მისი ოჯახი დაინგრა, პირველი, რასაც ის მოიმოქმედებს, სურათის ჩამოღება და კედელზე ცარიელი ჩარჩოს ჩამოკიდებაა. უსუსურ მდგომარეობაში მყოფი პიმენევი ამგვარად გამოხატავს თავის პროტესტს მომხდარის მიმართ. სასოწარკვეთილება, წარსულთან ანგარიშის გასწორება, ამანათის არ მიღება, ცოლის სურათის უკან გაბრუნების მცდელობა – პიმენევის სავსებით ბუნებრივი რეაქცია იყო ცოლის გათხოვებასთან დაკავშირებით. ცარიელი ჩარჩო დანგრეული ოჯახის ნივთიერი გამოხატულებაა: “მისი საშინელი სიცარიელე ლიბრგადაკრული ტუნდრის თვალივით უმზერდა პატიმრულ სამყოფელს და ყველას თავისი ცოლ-შვილი, გულის ფეთქებით, ამ უსურათო ჩარჩოში ელანდებოდა”. ამავე დროს, ცარიელი ჩარჩო ის ჩაკეტილი სივრცეა, რომელშიც თავად გმირი იმყოფება.

ნოველაში ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო მაინც **ჩიბუხია**. გრომოვის მიერ გამოგზავნილი ჩიბუხის ცარიელ ჩარჩოსთან ჩამოკიდებაც პროტესტის ერთგვარი გამოხატვაა. მას თავის ცხოვრებასავით ძველი, გაშავებული, დაღრღნილი ჩიბუხი უნდა და არა ახალი. აქ ავტორი შემთხვევით როდი მიმართავს ა. ჩეხოვის ცნობილი გამონათქვამის პერფერაჟირებას, როცა ჩიბუხს სცენაზე ჩამოკიდებულ დამბაჩას ადარებს, რომელიც ოდესღაც აუცილებლად გავარდებოდა. ამ ეპიზოდში ჩიბუხსაც იგივე დატვირთვა აქვს, რაც ცარიელ ჩარჩოს და ამიტომაც მოათავსეს ისინი გვერდიგვერდ. ორივე მათგანი დაკარგულ ოჯახს განასახიერებს. თუმცა ჩიბუხს ნაწარმოებში სხვა შინაარსიც გააჩნია. ის ეპოქის სიმბოლოდ გვევლინება, იმ ეპოქისა, რომელიც ჩიბუხიანმა სტალინმა შექმნა. **ჩიბუხების გაცვლა** - ჭირ-ვარამის გაზიარებაა, პრობლემის საყოველთაოობის გამომხატველი ჟესტია, ურთიერთგაგების დამყარების გამოხატულებაა, აქ ირღვევა გეოგრაფიული საზღვრები, რადგან ერთდება წარსული და აწმყო – პიმენევისა და გრომოვის დრო: “თითქოს ერთად ვაბოლებთ მშვიდობის ჩიბუხს”. ნოველის ბოლოს პატიმრების მიერ ერთმანეთისათვის მოკიდებული ჩიბუხის გადაწოდება იმედის გაზიარებაა. ამ ეპიზოდს ასოციაციით მივყავართ აცკეტების ცნობილ რიტუალთან, როცა მამრობითი სქესის ინდიელები ისხდნენ “მშვიდობის ხესთან” და მტერთან შერიგების ნიშნად რიგ-რიგობით აბოლებდნენ ჩიბუხს (7).

ის ფაქტი, რომ პიმენევი კედლიდან ჩამოხსნის გრომოვის ჩიბუხს და გააბოლებს, ნიშანია იმისა, რომ ეს ღირსეული ადამიანები, მეტოქეობის ნაცვლად, გაგებით მოეკიდნენ ერთმანეთის მდგომარეობას. მათი საქციელის ფონზე ნარატორი პირდაპირ უყენებს ბრალდებას ამა ქვეყნის ძლიერთ: “გარეთ იმდენი მიმხედურობა რომ ჰქონდეთ, როგორც უდანაშაულო პატიმართ, საპატიმროში უდანაშაულო არასოდეს აღარავინ მოხვდებოდა!” ამ ეპიზოდში გამოიკვეთა გმირების ქმედების შეპირიპირება სტალინთან, რომელმაც მიიღო, მაგრამ არ გააბოლა უ. ჩერჩილის ჩიბუხი.

ნოველას გამოკვეთილად ოპტიმისტური ფინალი აქვს: ვადიმს ეძლევა შანსი, რომ შორეული ცურვის კაპიტანი გახდეს და გაარდვიოს რეჟიმის მიერ შექმნილი ჩარჩოები, პეტროს მიერ სანერგეში გამოყვანილმა ნერგებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო – მომავლის იმედი წარმოშვა, იმედი, რომელიც აქამდე მხოლოდ მავთულხლართებზე მოდებულ ჟანგს ჰგავდა. “უფროს” და “უმცროს” მამებს საზიარო შვილი ჰყავთ და უფროსის (პიმენევის) მიერ დაწყებულ საქმეს უმცროსი (გრომოვი) აგრძელებს, ის, რაც წარსულში ვერ მოესწრო, აწმყოში უნდა დასრულდეს, რათა დადგეს მომავალი.

ნოველის პარატექსტუალურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს ნაწარმოები არის XX საუკუნის 50-იან წლებში მიმდინარე ისტორიული პროცესების გამომავალი. ავტორმა ამ ნოველით თავისებურად უპასუხა საბჭოთა პოლიტიკას, რომლის მიხედვით 1952 წლიდან ქვეყანა დაუბრუნდა 30-იანი წლების განვითარების მოდელს.

ლიტერატურა:

1. ლ. გოთუა, მატიაწური, “ლიტერატურა და ხელოვნება”, თბ., 1968;
2. ლ. გოთუა თბზ. კრ. ტ. IV, თბ., 1958;
3. ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში, მოთხრობები, თბ., 1963;
4. ა. ნიკოლეიშვილი მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, IV, 2003;
5. Конт Ф., Хронология российской истории, М.: Международные отношения, 1994;
6. Радугин А., История России, Россия в мировой цивилизации, М.: Центр, 1998;
7. <http://otvazhnyi.livejournal.com/175141.html>

Nato Gulua

Akaki Tsereteli State University

PARATEXTUAL ANALYSIS OF LEVAN GOTUA’S “HOPE NURSERY” RESUME

The subject of our scientific research is Levan Gotua’s short story “Hope Nursery” that thematically belongs to the repressed literature. In this novel the writer illustrated the epochal reality of his time and once more expressed his critical approach towards totalitarian regime reigning in our country, criticized the callous attitude of Soviet government towards people and demonstrated his own vision of the future. Our aim was to analyze “Hope Nursery” as historical fact using paratextual and structural semiotic methods, that enabled us to unlock previously unknown components of the text. This kind of approach helped us to understand the essence of analyzing work.

The paratextual analysis of the novel showed that “ Hope Nursery “ is the echo of ongoing historical processes of 20th century 50-ies. With the help of this short story the author responded Soviet politics in his own way, according to which from 1952 country returned to 30 years of the development model.

თეიმურაზ დოიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონ ტაბიძის უადრესი ეპიკური ცდები

1908 წლის სექტემბერში გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისიდან დედაქალაქში გადმოვიდა და თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა სწავლა. „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში“ იგი მოგვითხრობს:

„190... ტფილისში ჩამოსვლისთანავე ოცამდე დიდი „პოემით“, რამდენიმე ასეული ლექსითა და რომანტიკულ-დრამატიული ნაწერებით მიმაქვს მედგარი იერიშები ყველა რედაქციებზე“ (ტაბიძე 1975: 278-279).

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მერვე ტომში, სადაც პოემებია თავმოყრილი, 1915 წლამდე დაწერილი სულ ოთხი ნაწარმოებია შეტანილი: „მწყემსი“, „სატანა“, „საბედისწერო ფიქრი“ და „თასი“.¹ ამას უნდა დავმატოვო „მანზე“ (1910), რომლის ტექსტი დიდი დავიანებით, პოეტის გარდაცვალებიდან ორ ათეულზე მეტი წლის შემდეგ (1981) გამოქვეყნდა.

არსებობს ცნობები, რომ გალაკტიონმა მძიმე სულიერი განწყობილების ჟამს გაანადგურა თავისი სიყმაწვილის ხანის ნაწარმოებები. ნ. ტაბიძე ამ სამწუხარო ამბავს სემინარიაში სწავლის პერიპეტეებს უკავშირებს და 1910 წლის გაზაფხულით ათარიღებს: გალაკტიონი ხელნაწერებს ცეცხლში ყრის, შემდეგ კი მწარედ მოთქვამს – „ჯავრი ვიყარე... ვისზე? რაზე?“ (ტაბიძე ნ. 2000: 180).

მსგავსი ცნობა შემოუნახავს ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორის – იოსებ იმედაშვილის ზეპირ გადმოცემას (ლორთქიფანიძე 1965: 78) და გალაკტიონის ერთ გვიანდელ ჩანაწერსაც (1921): „დავკარგე ყველაფერი, რაც მიწერია ზავშვობიდანვე... სულ ყველაფერი. არასდროს არ მიგრძენია რაიმე მსგავსი გრძნობა: თითქო მომკვდარიყო ჩემი სიყმაწვილე, მრავალი გათენებული ღამე, მრავალი გრძნობა სიხარულისა, მუყაითი შრომის, ერთგული თავგამოდების... ჩემი დღიურები, ჩემი ლექსები... ვერასდროს მე მათ ვერ ვნახავ“ (ტაბიძე 2006: 63).

სავარაუდოა, რომ „ოცამდე დიდი პოემა“, რომელთა შესახებ გალაკტიონი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ლაპარაკობს, ცეცხლში ჩაიფერფლა, თუმცა შემორჩა ზოგიერთი რამ, რაც ჭაბუკი პოეტის უადრეს ეპიკურ ცდებზე საუბრის საშუალებას იძლევა.

სიჭაბუკის ხანის ეპიკურ თხზულებათა შორის ყველაზე ადრეულია „სამოცი გმირი“ (1907), რომელსაც პოეტი ერთ ნუსხაში პოემად მოიხსენიებს, რეალურად კი, სიუჟეტური გრძელი ლექსია. ამ ნაწარმოებით „გალაკტიონი ქართველ კლასიკოსთა ნიჭიერ შეგირდად წარმოჩნდება“ (ტაბიძე ნ. 2008: 217, 219).

ნ. ტაბიძისავე ცნობით, გალაკტიონმა 1909 წლის 22 ოქტომბერს დაასრულა პოემა „ქართველი ქალი“ და 14 ნოემბერს საჯაროდ წაიკითხა „საამხანაგო წრეში“ (ტაბიძე ნ. 2000: 166). ეს პოეტის ჩვენამდე მოღწეული პირველი ვრცელი ეპიკური თხზულებაა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელია. ნ. ტაბიძის წიგნში თავმოყრილი ფრაგმენტები და ცნობები ამკარად ცხადყოფს კავშირს დიდი სამოციანელების შემოქმედებასთან. უკვე საჯარო კითხვის მონაწილეებს აღუნიშნავთ პირდაპირი გავლენებისა თუ შემხვედრი ადგილების არსებობა ილიას „დედა და შვილსა“ და აკაკის „თორნიკე ერისთავთან“, რაც სავსებით ბუნებრივია: რა უნდა აედო ჭაბუკ გალაკტიონს ნიმუშად თავისი ეპიკური ცდებისათვის, თუ არა ბარათაშვილის, ილიას, აკაკის პოემები. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ამ დროისთვის მას გულდასმით ჰქონდა წაკითხული ბარათაშვილის

¹ „თასი“ ლირო-ეპიკური ნაწარმოებია ანუ ბალადა და არა პოემა. ამის შესახებ იხ.: თ. დოიაშვილი. კადნიერი ინტენცია („გალაკტიონოლოგია“, IV, 2008)

„თხზულებანი“, აკაკის „ნათელა“ და „თორნიკე ერისთავი“, ილიას მხატვრული ქმნილებანი... სხვათა შორის, იროდიონ ევდოშვილის პოემებიც („სისხლის აღება“, „ელენე“, „ლეკი ისმაილი“), რომელთაც ზუსტ კრიტიკულ შეფასებას აძლევს (ტაბიძე ნ. 2000: 111).

გალაკტიონის თვალსაწიერი მხოლოდ ეროვნული ტრადიციით არ იყო შემოფარგლული. სრული უექველობით შეიძლება ითქვას, რომ 10-იანი წლების მისადგომებთან იგი კარგად იცნობდა პუშკინისა და ლერმონტოვის პოემებს, უახლოვდებოდა რომანტიკული ეპოსის თავწყაროს – ბაირონს, კითხულობდა ს. ნადსონის, კ. ბალმონტის და სხვათა თხზულებებს.

გალაკტიონის „ქართველი ქალი“ თემატურად ვარიაციაა იმ ტრადიციული პოეტური პარადიგმისა, რომლის სათავეში ბარათაშვილის სოფიო დგას. პოემას ეპიგრაფად სწორედ სოფიოს სიტყვები უძღვოდა: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, / კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!“ ის, რომ გალაკტიონთანაც თხრობას მოხუცი მეფანტურე წარმართავს, ილიას კვალს („მეფანტურე“, „დიმიტრი თავდადებული“) ავლენს, „ქართველი ქალის“ ფაბულურ-სიუჟეტური მონახაზი კი თვინიერ ფინალისა ილიასავე „დედა და შვილის“ ქარგას იმეორებს. აკაკის ხელწერასა და ინტონაციას მოგვაგონებს თხრობაში ლირიკულ-პუბლიცისტური ჩართვები, ისტორიის პროეცირება თანამედროვეობაზე. ყოველივე ეს ადასტურებს ნ. ტაბიძის დასკვნას, რომ „გალაკტიონი ნამდვილად განიცდის ილიასა და აკაკის გავლენას“ (ტაბიძე ნ. 2000: 167).

პოემის ფორმასთან დაკავშირებით საყურადღებოა „საამხანაგო წრეში“ განხილვის ერთ-ერთი მონაწილის თ. იაკობაშვილის აზრი, რომ „ქართველი ქალი“, მიუხედავად დიდი მოცულობისა, ლექსია და არა პოემა (ტაბიძე ნ. 2000: 166). მთლიანი ტექსტის გაუცნობლად ძნელია რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება, მაგრამ, ეტყობა, გალაკტიონის თხზულებაში თხრობით-ეპიკური საწყისი შესუსტებული იყო, რაც ახალი, ლირო-ეპიკური ფორმის თუნდაც გაუცნობიერებელ გავლენად უნდა შეფასდეს.

არსებობს გალაკტიონის კიდევ ერთი გადარჩენილი პოემა – „ბუნებასთან“, რომელიც ასევე სასულიერო სემინარიაში სწავლისას დაიწერა. ცნობებს ამ გამოუქვეყნებელ პოემაზე კვლავაც ნ. ტაბიძე გვაწვდის. მკვლევარის პირველსავე ფრაზაში საგულისხმო ინფორმაციაა ჩადებული: „პერსონაჟთა მოქმედების მხატვრულ ლოგიკას დიდი ყურადღება არ ექცევა. ამბავიც უცნაურია“ (ტაბიძე ნ. 2000: 186-187). როგორც ჩანს, ამ პოემაში თხრობის კაუზალურ-ეპიკური კავშირები და უწყვეტობა შესუსტებულია, რაც უცნაურ ამბავთან ერთად ახალ ორიენტირზე, ლირიკულ-რომანტიკულ პოემაზე მიაჩნებოდა. ნაწარმოების ფაბულური აზრისი (თამარის მოტაცება ავაზაკების მიერ და ტყეში გადამალვა, ქალისა და მომტაცებლის ვაჟის – გელას სიყვარული, ვაჟის ავადმყოფური ეჭვიანობა, ქალის განხიზღვა და ახალი სიყვარული, თამარის მოკვლა გელასაგან), ვნებათაღელვის პრობლემატიკით დაინტერესება, სიყვარულისა და სიკვდილის შესახებ ლირიკულ-რეფლექსიური განსჯანი ცხადყოფს, რომ გალაკტიონმა რომანტიკული პოემების იდუმალ, მძაფრი განცდებით დამუხტულ სამყაროში შეაბიჯა.

პოემას „ბუნებასთან“, ჩემი აზრით, საკმაო მსგავსება აქვს პუშკინის „ბოშებთან“. იგულისხმება მსგავსება თამარისა და ზემფირას, გელასა და ალექსოს მხატვრულ სახეებს შორის, აგრეთვე, საფინალო სიუჟეტური სვლა – შეყვარებულის მოკვლა, როგორც რეაქცია გრძნობის ცვალებადობაზე. სიყვარულის არამდგრადობის, გრძნობის თავისუფლების მოტივი და მასთან დაკავშირებული კონფლიქტი შემდგომში გალაკტიონის სხვა პოემებშიც („სატანა“, „მანშე“, „მწყემსი“) გადადის.

საერთოდ პოემა „ბუნებასთან“ მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩანს გალაკტიონის შემოქმედებითი განვითარების თვალსაზრისით: აქ მოსინჯულია სიყვარულის წარმავლობისა თუ მარადიულობის დილემა, რაც მოგვიანებით „მესაფლავეს“ ზოგად კონცეფციაში იჩენს თავს, შემოტანილია სიკვდილის კონცეპტი და თემა, უმნიშვნელოვანესი პოეტის მსოფლმხედველობრივი ძიების გზაზე. პოემა მთავრდება „საზარი კითხვით“ – „რა ვართ ამ ქვეყნად?“ ეს კითხვა, სიცოცხლის საზრისის ძიება გალაკტიონის მუდმივი ფიქრის საგანი ხდება.

შეყვარებული წყვილის ტყეში ცხოვრება, თავად თხზულების სათაური – „ბუნებასთან“ სავარაუდოს ხდის რუსოისტული ნაკადის არსებობას, რაც რომანტიკული პოემებისთვის დამახასიათებელი მოტივია, თუმცა სრული ტექსტის მიუწვდომლობის გამო შეუძლებელია რუსოიზმის კონცეფციასთან ზუსტი მიმართების დადგენა, პრობლემის პოეტისეულ ინტერპრეტაციაზე საუბარი.

თერგდალეულებს, კერძოდ – ილიას „განდეგილს“ უკავშირებს ნ. ტაბიძე გალაკტიონის დაუმთავრებელ დრამატულ პოემას – „მონასტერში“, რომელიც საწყისი ვარიანტის ცალკეული ფრაგმენტების სახითაა მოღწეული (ტაბიძე ნ. 2008: 201-202).

„მონასტერში“ თემატურ-სიუჟეტურად ნამდვილად დავალებულია ილიას პოემით, მაგრამ ნაკლებად სარწმუნოა მკვლევარის აზრი გალაკტიონის ორიგინალურ მცდელობებზე. თუ ჭაბუკი

პოეტის დრამატულ თხზულებას მხოლოდ ეროვნულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში კი არა, უფრო ფართო ლიტერატურულ-ისტორიულ კონტექსტში აღვიქვამთ, ძალიან გათვალსაზიარებულ კავშირი რომანტიკული პოემის ტრადიციებთან (ბაირონი, პუშკინი, ლერმონტოვი). შემთხვევითი არაა, რომ პოემის ქალ პერსონაჟს **თამარი** ჰქვია და ის **გუდალის** ასულია, რომ დემონი ჰკლავს თამარის სატრფოს – მინდიას, რაც პირდაპირ ლერმონტოვის „დემონისაკენ“ მიგვიძღვის, მინდიას ცხოვრება და მონასტრიდან გაქცევა კი ამავე პოეტის „მწირის“ ასოციაციას იწვევს. თამარის აქტიურობაც სასიყვარულო ურთიერთობაში სხვა არაფერია, თუ არა რომანტიკულ პოემებში (ბაირონის „კორსარი“, პუშკინის „კავკასიის ტყვე“) აპრობირებული სიუჟეტური სვლა. ფართო კონტექსტის გათვალისწინებით იმ კითხვებსაც მოედებნება სავარაუდო ახსნა, რომლებზეც პოემის დაუმთავრებლობის გამო პასუხის გაცემა ჭირს.

„მონასტერში“ ეროვნული და უცხო ლიტერატურული ტრადიციების ეკლექტური გაერთიანების შთაბეჭდილებას ტოვებს. პოემას, გასაგები მიზეზების გამო, არც პრობლემის წვდომის ილიასეული სიღრმე და სიმწიფობე ახასიათებს და არც ლერმონტოვისათვის დამახასიათებელი გრძნობათა სიმძაფრე და ფსიქოლოგიზმი. თუ რაიმეთი საინტერესოა გალაკტიონის ეს ნაწარმოები, ცოდვით დაცემის სიუჟეტის განსხვავებული, არაილიასეური გადაწყვეტით (ბერი ნებდება ცდუნებას), რაც უცხოური კლასიკის (ლ. ტოლსტოის „მამა სერგი“, ე. ზოლას „აბე მურეს შეცოდება“) გავლენაც შეიძლება იყოს და ანარეკლიც ახალი დროისთვის დამახასიათებელი ვნების კულტისა.

სემიონ ნადსონის „იუდას“ გავლენით დაუწერია გალაკტიონს პოემა „კაენი“ (ტაბიძე ნ. 2000: 166), რომლის ტექსტი უცნობია. ეს ფაქტიც იმის მაცნეა, რომ გალაკტიონი გადის ეროვნული მწერლობის არეალიდან და ინტერესდება ნეორომანტიზმის თემებით და განწყობილებებით, რაც წინ უსწრებდა და ამზადებდა ნიადაგს „ახალი პოეზიისათვის“.

ნადსონის „იუდა“ ვრცელი ლექსია, რომელიც გამცემის სულიერ მდგომარეობას გადმოსცემს მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ. შუალამისას ქრისტეს ცარიელ ჯვართან უნებურად მისული იუდას ქვითინი ისმის, მაგრამ ეს არც მონანიების ცრემლია და არც დანაშაულის შეგნება, ეს ეჭვი და შიშია იმის გამო, რომ უფალი არასდროს მიუტევებს, არასდროს შეუნდობს მას დანაშაულს. იუდა თავს იკლავს, ტოვებს ამ ქვეყანას „Без примиренных слез, без сожалений и желаний“ (ნადსონი 1962: 103).

თუ გალაკტიონის „კაენი“ ნამდვილად რუსი პოეტის გავლენით დაიწერა, ცხადია, პოემის პროტაგონისტი ვერ იქნებოდა ბაირონის მეამბოხე კაენის ანალოგი. უფლის გამცემის სახეს გალაკტიონთან, სავარაუდოდ, ძველი აღთქმის ერთ-ერთი უდიდესი შემცოდის – კაენის სახე ჩანაცვლებია და, ნადსონის „იუდას“ გავლენით, ალბათ, მისი განცდები და რეფლექსიები მოექცეოდა ყურადღების ცენტრში. ისიც მნიშვნელოვანია, რომ გალაკტიონმა მთავარ პერსონაჟად არაორდინალური ინდივიდი – მორალის საზღვრებიდან გასული შემცოდე აქცია.

გალაკტიონის ერთ პირად წერილში, რომელიც 1912 წლის 22 ოქტომბრით თარიღდება, ნათქვამია, რომ ამ დროისთვის პოეტს დაწერილი ჰქონია კიდევ ორი პოემა – „ძველი კოშკი“ და „ალვის ხეები“, ემზადებოდა ვრცელი პოემის – „ქრისტე უდაბნოში“ დასაწერად (ტაბიძე 1975: 547).

„ძველი კოშკი“ პოემა „სატანას“ უკავშირდება, „ალვის ხეების“ კვალი კი არ ჩანს. გალაკტიონის დახასიათებით, ეს იყო „მისტიციზმით ავსებული“ ნაწარმოები, ამიტომ მას, შესაძლოა, რაღაც საერთო ჰქონოდა ცოტა მოგვიანებით დაწერილ მისტიკურ ლექსთან „ალვები თოვლში“ (1916).

რაც შეეხება პოემას „ქრისტე უდაბნოში“, თუ მას ხორცი შეესხა, ჩემი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო „მანფრედის“ ტიპის მხატვრული თხზულება, რამდენადაც ბაირონის რომანტიკული პერსონაჟი და ფილოსოფიური პრობლემატიკა ადრეული გალაკტიონისათვის ძალიან აქტუალურია. სახარების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი – ქრისტეს უდაბნოში განმარტოვება ღვთაებრივი მისიის აღსრულების წინ დიდ შესაძლებლობას იძლეოდა მისტიკურ-პოეტური ინტერპრეტაციისათვის, რომანტიკული მონოდრამის შესაქმნელად.

გალაკტიონს დაწერილი ჰქონდა ერთი პოემაც – „შუანეთა“, რომელიც დაკარგულად ითვლება. ეს თხზულება პოეტს 1913 წელს დაუმთავრებია, ლიტერატორთა წრეშიც წაუკითხავს და შემდეგ დაჰკარგვია. მიუხედავად მცდელობისა, – დაკარგვის ფაქტი პრესაში გამოქვეყნდა, – ძებნა შედეგი ვერ გამოიღო: ტექსტი პოემისა, რომელსაც თანამედროვე მსმენელთა აღტაცება ხვდა წილად გრძნობათა სიუხვის, შინაარსისა და ფორმის სიმშვენიერის გამო, გალაკტიონმა ვეღარ იპოვა.

პოემის სათაურის გათვალისწინებით გამოითქვა შეხედულება, რომ „შუანეთა“ დაღესტნის დიდი იმამის – შამილის მეუღლის შესახებ შექმნილი ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. ცნობები

რეალურ შუანეთაზე გალაკტიონს შეემლო აელო ანა დრანსეს გახმაურებული წიგნიდან „შამილის ტყვე ქალები“ (ერემეიშვილი 1990: 85).

ამ ჰიპოთეზის მცდარობა სრული უეჭველობით ცხადყო ნ. ტაბიძემ, რომელმაც დაკარგული პოემის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ნათელი მოჰფინა საკითხს (ტაბიძე ნ. 2000: 278).

„შუანეთაში“, როგორც ირკვევა, სამი მოქმედი პირია: თავად შუანეთა, მისი და – დონა და სიძე – ამილბარი. პოემის თემა სიყვარულია: ეჭვიანობა, გრძნობის წარმავლობა და ოცნება ტრფობის მარადიულობაზე. თხრობას უჩვეულობის ელფერს აძლევს უცნაური სიტუაცია – ამილბარისა (სიძე) და შუანეთას (ცოლის და) ურთიერთლტოლვის ამბავი, რაც ტრადიციული მორალის ნორმებს სცილდება.

მომაკვდავი დონა ქმარს თავის ეჭვს უმხელს, რომ მან, ამილბარმა, უღალატა სიყვარულის „დაურღვეველ ფიცს“ და სხვა ქალით – ცისფერთვალა შუანეთათი მოიხიბლა. იგი ევედრება მეუღლეს, მარადიული სიყვარულის სახელით უარი თქვას ახალ გრძნობაზე, რათა სიყვარულმა სიკვდილის აჩრდილი დაამარცხოს.

– არსებობს თუ არა მარადიული სიყვარული, რომელსაც სიკვდილის დამარცხება ძალუძს? – აი, ეჭვნარევი კითხვა, რომელიც მსჭვალავს პოემას. ეს არსებითი საკითხია გალაკტიონის მსოფლმხედველობრივი ძიებების გზაზე. ამიტომაც, რომ ნაწარმოების დრამატიზმი პერსონაჟთა ბედს კი არ უკავშირდება, არამედ იდეის, პრობლემის განცდას.

მარადიული სიყვარულის იდეას პოემაში დონა განასახიერებს. იგი იდეალური ფერებით ხატავს არამართო ამილბართან გატარებული წარსულის ბედნიერ დღეებს, არამედ ცდილობს, ეს გრძნობა სიკვდილის შემდეგაც გააუკვდავოს, თუმცა თავადვე შეჰპარვია ეჭვი მარადიული სიყვარულის არსებობაში. ამილბარის ფიცი მომაკვდავი მეუღლის წინაშე არ არის ცრუ ფიცი – იგი კარგა ხნის მანძილზე ერთგულია დონას ხსოვნისა, ამიტომ დონას ეჭვიანობას იმდენად კონკრეტული შინაარსი არა აქვს, რამდენადაც ზოგადი დაეჭვებაა მარადიული სიყვარულის არსებობაში.

საგულისხმოა ერთი უცნაური დეტალი პოემისა: დონას სურვილია, თუ ამილბარი ცოლის მოყვანას გადაწყვეტს, აირჩიოს... მისი და – შუანეთა! დები ისე გვანან ერთმანეთს, რომ შუანეთა გარდაცვლილი მეუღლის ცოცხალ ხატად, მკვდრეთით აღმდგარ არსებად ეხატება ამილბარს. სასოწარკვეთილი, დაეჭვებული დონას უცნაური სურვილის აზრი ისაა, რომ, თუნდაც ამ ფორმით გაახანგრძლივოს გრძნობა, გადაარჩინოს სიყვარულის უკვდავების ილუზია.

რომანტიკული სულის დონასაგან განსხვავებით ამილბარი ამა სოფლის, მიწის ბინადარია. მართალია, იგი დროთა მანძილზე იწარჩუნებს პირველი სიყვარულისადმი ერთგულებას, მაგრამ მასში ბუნება უფრო ძლიერია, ვიდრე სიყვარულის დაუმტკნარი იდეალი. შუანეთაში დონას ხატების დუბლირებით დროებით კი იქმნება სიყვარულის უწყვეტობის ილუზია, მაგრამ ამილბარის ფსიქოლოგიურად არამოტივირებული, თუმცა კონცეპტუალურად გასაგები უცაბედი ქორწინება უცნობ ქალზე ერთ რამეს ცხადყოფს: ბუნების შვილისთვის, ხორციელი არსებისათვის, მიუხედავად სურვილისა, მარადიული სიყვარულის იდეალი მიუღწეველია.

სახელი „ამილბარი“ უთუოდ გაგვახსენებს ნ. ბარათაშვილის ლექსს „ქეთევან“, სადაც ამილბარი წრფელი, უმანკო, „საუკუნო სიყვარულის“ უარმყოფლად ჩანს. გამორიცხული არაა, რომ ჭაბუკმა გალაკტიონმა პოემისათვის შემოქმედებითი იმპულსი ბარათაშვილის ამ ლექსიდანაც მიიღო.

პოემის ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟი შუანეთაა. ის ყმაწვილქალობიდანვე დაატარებდა გულში ამილბარის სიყვარულს, მაგრამ პირადი გრძნობა დის ბედნიერებას ანაცვალა. დის სიკვდილის შემდეგ შუანეთას უარი ამილბართან შეუღლებაზე უმწეო გაბრძოლებაა სიყვარულის მარადიულობის დასაცავად, სინამდვილეს კი თავისი მცაცრი, უღმრთელი განაჩენი გამოაქვს...

ახალ ეპოქაში სიყვარულს უკვე დაუკარგავს ჯადოსნური ძალა. ჰეგელის განმარტებით, სიყვარული საკუთარი თავის მოპოვებაა საკუთარ თავზე უარის თქმით, მისი გაქრობით სხვაში, ანუ ეგოიზმის სრული დაძლევა. გალაკტიონის პერსონაჟების – შუანეთასა და ამილბარის – შეუძლებელი ბედნიერების მიზეზი ის არის, რომ ქალ-ვაჟის ურთიერთობა სიყვარულისა და სიძულვილის ზღვარზე გადის, მათ სულში სიყვარულს სიამაყე სჯაბნის, რაც მარადიული ტრფობის არსებობას ერზავის ფორმითაც კი შეუძლებელს ხდის.

პოემის ფინალი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერთი რამის თქმა გადაჭრით შეიძლება: თექვსმეტმარცვლიანი მაღალი შაირით დაწერილი „შუანეთა“ შექმნის დროსვე (1913) ვერსიფიკაციულად ამორტიზებული იყო. სამაგიეროდ, ესაა ახალი სტრუქტურის პოემა – ეპიკა მოქმედებისა და ხასიათების მხატვრული მოტივირების გარეშე, რომელშიც პერსონიფიცირებული

იდებები, იდეა-პერსონაჟები ავტორის ნებას ემორჩილებიან და წინასწარ მოფიქრებული კონცეფციის, საზრისის კონსტრუირებაში მონაწილეობენ.

ნ. ტაბიძე „შუანეთას“ სრულიად სამართლიანად უკავშირებს „მესაფლავეს“ (ტაბიძე ნ. 2000: 279, 280, 285). გალაკტიონის ეს საეტაპო ლექსი, რომელიც არცთუ შემთხვევით აბოლოებს პოეტის პირველ კრებულს, უთუოდ ამ პოემის გათვალისწინებით უნდა გაანალიზდეს.

გალაკტიონის უადრესი პოემების, დაუმთავრებელი და არმოდწეული ეპიკური თხზულებების, აგრეთვე ჩანაფიქრთა მიმოხილვამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ პოეტის ცდანი ეპოსის ჟანრში „თერგდალეულთა“ ეროვნული ტრადიციის ათვისებით დაიწყო, თუმცა თავიდანვე იგრძნობოდა თხრობითი საწყისის თანდათანობითი შესუსტება, ორიენტაცია რომანტიკული პოემის ლირო-ეპიკურ ფორმაზე.

დამოწმებანი:

ერემეიშვილი 1990: ერემეიშვილი, იროდიონ. გალაკტიონის უცნობი პოემა. ჟ. „ქართული მწერლობა“, 1990, №2.

ლორთქიფანიძე 1965: ლორთქიფანიძე, იოსებ. გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები. თბ.: „მეცნიერება“, 1965.

ნადსონი 1962: Надсон, Семён. Полное собрание стихотворений. М.-Л.: „Сов. писатель“, 1962.

ტაბიძე 1975: ტაბიძე, გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

ტაბიძე 2006: ტაბიძე, გალაკტიონ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად. წ. XIII, თბ.: „ლიტერატურული მატრიანე“, 2006.

ტაბიძე ნ. 2000: ტაბიძე, ნოდარ. გალაკტიონი. თბ.: 2000.

ტაბიძე ნ. 2008: ტაბიძე, ნოდარ. სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი. თბ.: „უნივერსალი“, 2008.

Teimuraz Doiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

THE EARLIEST EPIC EXPERIMENTS OF GALAKTION TABIDZE RESUME

According to the existing information in the present paper is given the experiment of reconstruction and interpretation of the earliest epics, unfinished and unreached epic poems of Galaktion Tabidze.

ანა იმნაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული რეალობა ნაირა გელაშვილის რომანის „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მიხედვით)

გასული საუკუნის მიწურულის საქართველოში განვითარებული მოვლენების ლიტერატურულ რეფლექსიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ნაირა გელაშვილის შემოქმედებას. 2010 წელს ქართულმა საზოგადოებამ იხილა ავტორის მორიგი რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, რომელმაც იმავე წელს მიიღო ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდო „საბა“, როგორც წლის საუკეთესო პროზაულმა ნაშრომმა. საინტერესოა, რომ რომანი, როგორც თავად ავტორი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, 1992-94 წლებში შეიქმნა, მაგრამ, შექმნილ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სულიერ სიღუპის ფონზე ნაირა გელაშვილმა არ ისურვა, რომ რომანს დღის სინათლე ეხილა. სავარაუდოა, ე. წ. „დროის დისტანციის“ თეორიის მიხედვით, ავტორი ელოდა, გადაფასდებოდა თუ არა მის მიერ ნაწარმოებში გატარებული იდეები, მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ ავტორი იმავე პოზიციაზე დარჩა, რაც ჰქონდა 80-იანი წლების მიწურულში და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმართ.

ჩვენთვისაც სწორედ ამ კუთხითაა საინტერესო რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“. ტექსტი რთული კონსტრუქციისაა, მოიცავს 10 კარს, რომელშიც კიდევ ერთი რომანის ნაწილებია ჩართული და ამით უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ავტორის დამოკიდებულებაზე ზემოთ აღნიშნულ ეპოქასთან.

მკვლევარი ლელა კოდალაშვილი თხზულებას მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ჟანრს განაკუთვნებს: „მე არ ვიცი, თავად ავტორი რა ჟანრს მიაკუთვნებს თავის ტექსტს, მაგრამ „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მხატვრულ-დოკუმენტური რომანია, სადაც იგი ყოველგვარი დანდობის, მაამებლობისა და გულისაჩუყების გარეშე აწნავს სილას ქართველ ერს და ამსხვრევს კულტს მისი საუკეთესოობის, გამორჩეულობის შესახებ და ესაა ერის სამართლიანი, ობიექტური ხედვის რაკურსი“ [3]. მალხაზ ხარბედია კი თვლის, რომ „რომანი „პირველი ორი წრე“ არაა დოკუმენტური, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც დოკუმენტების, ასევე ავტორისეული ხედვებისა და ტკივილების ერთიანობა ახლიდან განგვაცდევინებს ჩვენი ქვეყნის არეულ თავგადასავალს“ [5; 11]. ჩვენ კი ვფიქრობთ, ეს რომანი გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველოს ისტორიის მხატვრული გააზრების კიდევ ერთი, ძალზე საინტერესო ცდაა. მკვლევარი მაია ჯალაშვილი ნაირა გელაშვილის შემოქმედებაზე საუბრისას შენიშნავს, რომ ავტორისთვის „მძვრდება სურვილი აღსარებისა, ერთგვარი გამომვლენისა - ყველა ნაკლისა და ხარვეზის წარმოსაჩენად“ [6; 164]. შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო აღნიშნული რომანის შესაქმნელად და შემდეგ ამდენი ხნის მანძილზე მისი არგამოქვეყნებისა.

ორიოდე სიტყვა სათაურის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ხშირად ხდება სათაურის დამახინჯება და არ მოიხსენიებენ მთავარს „ყველა სხვა“, „ამ რომანის სწორად წარმოთქმული სათაური უდიდეს იშვიათობად მექცა: უმთავრესად საბას პრემიის დღეებში ჩნდებოდა მედიაში ზეპირად თუ წერილობით და ყველაზე მანუგეშებელი იყო მისი რედუცირებული ფორმა: „პირველი ორი წრე“ (მაშინ, როდესაც „ყველა სხვას“ აქვს მნიშვნელობა)“ [5; 11]. ნაირა გელაშვილი ამ „ყველა სხვას“ ანიჭებს უპირატესობას, ამაზე აუცილებლად შევჩერდებით, თუ რას გულისხმობს ავტორი ყველა სხვაში. ერთი შეხედვით, „პირველი ორი წრე“ შეიძლება გავიგოთ, როგორც თარგმნის ურთულესი და უმძიმესი პროცესის შემადგენელი ნაწილი, ავტორის თქმით, „თარგმანი მკაცრად ორგანოზომილებიანი ხელოვნებაა და ორივე განზომილება ერთნაირად მთავარია“ [2; 535]. სამწუხაროდ, ჩვენ ერთსა და იმავე წრეში ვტრიალებთ და აქედან გამოსვლისათვის ჯერ საფუძველი არ შეგვიქმნია. თუმცა, თუ სწორად გავიგე, პირველ და მეორე წრეს თარგმანთან მიმართებაშიც ენიჭება მნიშვნელობა, იმ აზრით, რომ პირველი წრეა ტექსტის გაგება და მეორე - მისი გადატანა მეორე ენაზე.

ალექსანდრ სოლჟენიცინის ცნობილი რომანი „პირველ წრეში“ ჩვენში იწვევს ალუზიას, რომ შეიძლება გაუცნობიერებლად პირველი ორი წრე არა მარტო თარგმნის ხელოვნებას, ან გაუთავებლად პირველ ორ წრეში ტრიალს გულისხმობს, არამედ სოლჟენიცინის იმ ცნობილ „შარაშკას“, რომელიც მართალია ჯოჯოხეთშია შექმნილი, მაგრამ მაინც უფრო მსუბუქია და სასათბურე პირობებია, ვიდრე მთელ დანარჩენ სამყაროში. ალექსანდრე სოლჟენიცინის რომანი „პირველ წრეში“ გამოიცა 1991 წელს მოსკოვში და აღწერილია, თუ როგორ ცდილობს საბჭოთა ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოეთის სხვადასხვა ბანაკში მოძებნოს, ერთ დიდ ბანაკში შეკრიბოს და გაერთიანოს სხვადასხვა ბრალდებით დაპატიმრებული ინჟინრები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ქიმიკოსები, რადიოლოგები, გეოლოგები და ფილოლოგებიც. მათ ერთად შეკრებას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: უნდა ემუშავათ საიდუმლო, განსაკუთრებულ მასალაზე. ამისათვის კი ესაჭიროებოდათ (და შეუქმნეს კიდევ), სამხედრო და გადასახლებების ბანაკებისაგან განსხვავებული, სასათბურე პირობები (მაგალითად საკვები, რომელიც გულისხმობდა პურს - არა მარტო შავს, არამედ თეთრს, თუმცა განსაზღვრული ოდენობით, კარაქს, სიგარეტს). სწორედ ესაა ის პრივილეგია, რაც მთელი საბჭოეთის ინტელექტუალური ელიტისათვის გაიმეტეს, მაგრამ ეს ხომ მაინც ჯოჯოხეთი იყო, თუმცა ჯოჯოხეთის „პირველი წრე“, რომელსაც თავად ალექსანდრე სოლჟენიცინი ასე განმარტავს: „არა, პატივცემულო, თქვენ ძველებურად ჯოჯოხეთში იმყოფებით, მაგრამ დაწინაურდით და მიაღწიეთ მის საუკეთესო, უმაღლეს წრეს - პირველ წრეს. თქვენ მეკითხებით, რას ნიშნავს „შარაშკა“? თუ სიმართლე გნებავთ, „შარაშკა“ დანტეს გამოგონებაა. ის იტანჯებოდა - სად განეთავსებინა ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსები და მოაზროვნენი? ქრისტიანული მორალი ავალდებულებდა, რომ წარმართნი ჯოჯოხეთში დაეტოვებინა, მაგრამ სინდისი არ აძლევდა იმის უფლებას, რომ ანტიკური პერიოდის საუკეთესო წარმომადგენლები აღმოჩენილიყვნენ ჩვეულებრივ, რიგით ცოდვილთა გვერდით და მათთან ერთად გაეზიარებინათ ჯოჯოხეთური ყოფა. და დანტემ მათთვის მოიფიქრა განსაკუთრებული ადგილი ჯოჯოხეთში - პირველი წრე“ [7; 20]. ალ. სოლჟენიცინი იმის განმარტებასაც გვთავაზობს, საბჭოთა ხელისუფლებამ რატომ მოინდომა ამ ხალხისთვის „შარაშკის“ შექმნა, ისინი ხომ ვალდებულები იყვნენ და იმუშავებდნენ კიდევ უმძიმეს პირობებში: „მვირფასო ლევ გრიგორის ძე, მე კიდევ უფრო გარკვევით აგისხნით, რა არის „შარაშკა“. ამისთვის საჭიროა გაზეთ „პრავდის“ მოწინავე წერილები იკითხოთ: „დამტკიცებულია, რომ საუკეთესო ხარისხის მატყლი მიიღება მხოლოდ იმ ცხვრებისგან, რომლებსაც აქვთ კარგი მოვლა და

კვება“ [7; 21]. ასე რომ ცხვარს, იმისათვის, რომ საუკეთესო პროდუქტი მოგვცეს, მოვლა სჭირდება და შეყარეს გულაგებიდან არჩეული ცხვრის ფარა „შარაშკაში“ შედეგისთვის. ეს, რაც შეეხება პირველ წრეს, მეორე წრედ, ჩვენი აზრით, ნ. გელაშვილის რომანში ჩართული მეორე რომანის მთავარი იდეა იგულისხმება, უფრო ზუსტად - სტაციონარი „წიალი“ და მისი ბინადარნი, რადგან მათთვისაც თითქმის იგივე პირობებია შექმნილი; სულიერად დაავადებულ ადამიანებს არა თუ მკურნალობენ და ცდილობენ დააახლოვონ რეალობას, არამედ, პირიქით, სხვადასხვა ატრიბუტების დახმარებით, კიდევ უფრო უმყარებენ იმ ილუზიას, დაავადებულმა ტვინმა და ფსიქიკამ რომ დახატა. მათაც, როგორც ცხვრის ფარას, ისე ექცევა სტაციონარის ხელმძღვანელობა და მედპერსონალი. ასე რომ, „პირველი ორი წრე“ შეიძლება გავიგოთ, როგორც ჯოჯოხეთი და მისი შემადგენელი შრეები - პირველი, სასათბურე პირობები ინტელიგენციისთვის, რომელმაც პატრონისათვის სასურველი პროდუქტი უნდა შექმნას და მეორე, ფსიქიურად დაავადებულ ადამიანთა თავშესაფარი, სადაც მათზე განსაკუთრებული ექსპერიმენტი ტარდება, რათა კიდევ უფრო ჩაძირონ ილუზიის ჭაობში.

მაგრამ რას წარმოადგენს თარგმნის ცენტრი და რამდენად წააგავს სოლჟენიცისეულ „შარაშკას“? ამაზე პასუხი ტექსტშია: „ეს ორგანიზაცია 1973 წელს ჩამოყალიბდა ბატონ ოთარ არონდიას უშუალო ინიციატივით და ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის მხარდაჭერით. იგი დღემდე ერთადერთია მთელ საბჭოთა კავშირში“ [2; 264]. ქალბატონი ნაირა გელაშვილი ცენტრის შექმნის ისტორიის გახსენებისას ასეთ შეფასებას აკეთებს „ეს ყველაფერი კი ერთი შესანიშნავი პიროვნების, კულტურის ნამდვილი სტრატეგის - ოთარ ნოდისა წყალობით გახდა შესაძლებელი, რომელიც თავად ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა, მაგრამ შემოქმედებითი ფანტაზია და პატრიოტული გრძნობები მოსვენებას არ აძლევდა. მან ისე მიაწოდა ედუარდ შევარდნაძეს თარგმნის ცენტრის შექმნის აუცილებლობა, რომ ის დათანხმდა და ყველანაირად ხელს უწყობდა (ედუარდ შევარდნაძე, მოგეხსენებათ, ხელოვნებას და მეცნიერებას პატივს სცემდა და მათ კომპეტენციაში ან არ ერეოდა, ან უხალისოდ აკეთებდა ამას, როგორც ეს ამ საქმეში ჩახედული ხალხისგან მსმენია)“ [2; 210]. აღტაცება ისმის ფრაზაში „დღემდე ერთადერთი საბჭოთა კავშირში“. სავარაუდოდ, შექმნის მიზანიც ეს იყო, ეს სასათბურე პირობები, მთელ საბჭოეთში მხოლოდ ქართველ ინტელიგენციას სჭირდებოდა და შეუქმნეს, მომავალი საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელიც ტექსტის ბოლოს ნათლად ჩანს „მეფე-მელა ერთადერთია, ვისაც შეეძლო ეს დაშლილი ქვეყანა შეეკოწიწებინა და მერე ნემსის ყუნწიდან ნემსის ყუნწში გაეტარებინა. მაგრამ რად გინდა! 70 წლის კაცის მთელი ძალ-ღონე, დრო და ჭკუა-გონება საკუთარ ბანდიტებთან, საულისტ-დივერსანტებთან, დოღრიალა ოპონენტებთან ბრძოლასა და კალმასობას ხმარდება!.. და ხომ ვერ გააგებინებ ამდენ უმწიფარ კაცს, რომ დღეს სხვა არავინაა საქართველოში, ვისაც შეუძლია ოდნავ მაინც დააღაგოს ეს საგიჟეთი“ [2; 697], ისევ - ეგ. სხვა ვინ გეგულებს?.. [2; 708]. ცენტრმა შეასრულა ის სავარაუდო ფუნქცია, რომელიც მის, მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთობას გულისხმობდა. ის, საჭირო დროს, საჭირო ადგილას და პოზიციაზე აღმოჩნდა და ლეგიტიმაცია მისცა უკან დაბრუნებულ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს. სწორედ ამ სასათბურე პირობებში მოხვედრილი ხალხის დამოკიდებულებაა აღწერილი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით. რომანში წარმოდგენილია 12 თანამშრომელი (მე-13 თავად ოთარ არონდია, ცენტრის ხელმძღვანელი), აქაც ალუზია ქრისტეს 12 მოსწავლე-მოციქულზე, კაცობრიობის ხსნა რომ აქვთ დაკისრებული.

სწორედ ამ ხალხის დამოკიდებულება ჩანს ტექსტში წარმოჩენილ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც თარგმნის ცენტრში სადღაც გარე სამყაროდან შედის; ცენტრის თანამშრომლები ამ მოძრაობის არათუ წევრები, თანამგრძნობნიც არ არიან და მასში რაღაც ძალიან დიდ საფრთხეს ხედავენ.

რომანში სიუჟეტი ვითარდება „თარგმნის ცენტრის“ და მის გარეთ მიმდინარე მოვლენების ფონზე. თარგმნის ცენტრის თანამშრომელთა შემფოთება და ეჭვი გარეთ მიმდინარე მოვლენებისადმი თავდაპირველად ერთი, თითქოს უმნიშვნელო, ფაქტის გახმინებით იწყება, ესაა საერთო ინფანტილიზმი თუ უპასუხისმგებლობა, როგორც მოძრაობის ლიდერების მხრიდან, ისე მოსახლეობისაგან. „მთავარ სიმპტომად მაინც ის უნდა ჩაითვალოს, რომ პრინციპულად არ ნიშნავენ მიტინგებს სამუშაო დღის შემდეგ. ეს არის მთავარი და ყველაზე ცუდი სიმპტომი“ [2; 121]. ავტორი მომიტინგეებსაც ერთ მთლიან მასად წარმოადგენს, რომელსაც აზროვნება არ შეუძლია:

„ - ნუ, მიტინგზე აზროვნება შეუძლებელია.

- ჰო, მაგრამ მიტინგამდე უნდა აზროვნებდნენ...“ [2; 143]

რომანში წარმოდგენილ პრობლემათა შორის გამოვყოფდით მაჰმადიან მესხთა პრობლემას, რომელიც განხილულია ერთ-ერთი თანამშრომლის, ემა ვაჩნაძე-ჰასანოვას, ბიოგრაფიის მაგალითზე. მაჰმადიან მესხთა პრობლემა სათავეს იღებს გასული საუკუნის 40-იან წლებიდან, როდესაც ერთ ღამეში, გაფრთხილების და მომზადების გარეშე აჰყარეს მოსახლეობა აწყურის მიწებიდან და შორეულ უზბეკეთში გადაასახლეს. რომანის სიუჟეტური ქარგის მიხედვით გადასახლებულთა შორის იყო ემა

ვაჩნამე-ჰასანოვას ოჯახიც. მათი, ისედაც რთული ცხოვრება, კიდევ უფრო გართულდა 80-იან წლებში უზბეკეთში, გარეშე ძალების წაქეზებით, თუ ადგილობრივი მოსახლეობასა და ჩასახლებულებს შორის წარმოშობილი გაუგებრობის ნიადაგზე შექმნილი კონფლიქტით. დაიწყო ახალი წმენდა და შევიწროება. „მხოლოდ საქართველომ გაყარა უკან მშვიერ-მწყურვალე ლტოლვილი მოხუცები, ქალები და ბავშვები, სამი ავტობუსით რომ მოადგნენ საქართველოს, თუ არ ვცდები, წითელი ხიდიდან. არადა, საქართველო, თავიანთი სამშობლო ენატრებოდათ თურმე და არა რუსეთი და აზერბაიჯანი! აქ ელოდნენ თურმე გაშლილ მკლავებს, დაყვავებასა და გულიდან ამოსულ „მოხველ, ძმაო?“-ს“ [2; 666], ნაირა გელაშვილი დევნილ მესხთა არშემოშვებაში ზვიად გამსახურდიას და ეროვნულ მოძრაობას სდებს ბრალს, რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით, საქმე ის არის, რომ 1989 წელს, როდესაც ეს საშინელი რბევა-აწიოკება დაატყდათ თავს მაჰმადიან მესხებს, საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლება იყო და ეროვნული მოძრაობა და მისი ლიდერი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ ლტოლვილთა შემოსვლა-შემოშვებასა ან არშემოშვებასთან დაკავშირებით. 1989 წლის გაზეთ „ივერიაში“ (#10) სადაც ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებენ თურქ-მესხთა საკითხთან დაკავშირებით, იხსენებენ, რომ 70-იან წლებში სწორედ ზვიად გამსახურდია იყო ერთ-ერთი ინიციატორი და გამხმევანებელი თურქ-მესხთა პრობლემებისა და მათი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა. 1989 წელს გამსახურდიას პოზიცია ასეთია: „წმინდა ილია მართლის საზოგადოების პროგრამაში შედის ქართული ორიენტაციის მესხების ჩამოსახლება, იმათი, რომლებიც ქართველობენ და პასპორტში აღიდგენენ ქართულ გვარსა და ეროვნებას, ხოლო, ვინც თავის თავს თურქად თვლის, მათთან ვატარებთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, განვუმარტავთ განსხვავებას რელიგიასა და ეროვნებას შორის და, თუ ასეთი განმარტებები შედეგს არ გვაძლევს, მაშინ მათ თურქეთში ემიგრაციას ვურჩევთ [1; 3]. მიგვაჩნია, რომ მოტანილ ტექსტში ვინმეს გაყრის ან შევიწროებისკენ მოწოდება არ იკვეთება; ობიექტურადაც, 1989 წლის ივნისში ზვიად გამსახურდია არ ფლობდა ძალაუფლებას, რომ ვინმე შემოეშვა ან არ შემოეშვა საქართველოს ტერიტორიაზე.

რომანში ასევე აღწერილია სოფელ ბრეთში და იმერეთში თურქ-მესხთა დარბევის ამბავი, რომლებიც შევარდნამე და ქართულმა ინტელიგენციამ ჩამოსახლა საქართველოში 70-იან წლებში. რომანის პერსონაჟი, ემა ვაჩნამე (ჰასანოვა), რომელიც სიმბოლურად მესხთა პრობლემას განასახიერებს, შეეწირა „თარგმნის ცენტრის“ დარბევას. მას გული გაუსკდა. ავტორის დასკვნა კი, რომელსაც ახმოვანებს საქართველოდან საბერძნეთში გადახვეწილი ერთ-ერთი პერსონაჟი, ფლორა, ასეთია: „დარწმუნებული ვარ, ვიდრე არ გამოვისყიდით ამ ორპარკუჭიან კოლექტიურ ცოდვას - 1944 და 1989-91 წლებს, ანუ სტალბერისა და მეფე საულის ეპოქებს, რომელშიც ზოგი საქმით ვმონაწილეობდით, ზოგი სიტყვითა და ზოგი დუმილით (აღარაფერს ვამბობ 1937 წლის მასიურ დასმენებზე, წამებებზე, დახვრეტებზე), - მანამდე საქართველო ერთ პატარა ჯოჯოხეთად დარჩება“ [2; 665].

ზოგადად, მიგვაჩნია, რომ გასაანალიზებელ რომანში სრულად იკვეთება ავტორის დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის, მიტინგების, ქართველთა საერთო გამოცოცხლებისა და მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ. ცხადია, ეს დამოკიდებულება იკვეთება რომანის პერსონაჟების მეშვეობით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ახმოვანებენ ავტორის შეხედულებებს: პირველი, რაც არ მოეწონათ რომანის ზემოთ ჩამოთვლილ პერსონაჟებს, ესაა გაუთავებელი მიტინგები, რომელთა საშუალებითაც დაიწყო ხალხმა დაგუბებული პროტესტის, თუ წინააღმდეგობის გამოხატვა. ხალხს, რომელიც ამ მიტინგებს ესწრება, ასეთი შეფასებები აქვს:

„- ნგრევის წყურვილი დგას ატმოსფეროში.

- ჰო, სადაც გაივლიან, ყველაფერს ანადგურებენ - გაზონებს, სკვერებს, პარკებს, დარბაზებს!..

- ... ხალხს უხარია! ბავშვით ერთობა! მოსწყინდა ეს რუტინა! მასა ბავშვია! უზნეო და სასტიკი! [2; 121]. ერთ ყალიბშია მოქცეული ყველა. იმავეს ადასტურებს ეს ციტატაც „ენერგიულ, მამულიშვილურ ბოლთას სცემდა ნერვიული ნახტომისთვის მომზადებული კოჰორტა, რომელსაც ვიღაც უნდა გაეგლიჯა და ჯერ ზუსტად ვერ დაედგინა - ვინ [2; 220]“. ავტორი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს „მასის ნახტომს“ უწოდებს და ეს მასა კი: „ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუკი ხელისუფლება უეცრად დაემხო და ეს ნახევრად შეშლილი ხალხი ქვეყნის საჭესთან აღმოჩნდება“ [2; 227]. გამოკვეთა ხალხი, „მასა“, რომელიც იბრძოდა თავისუფლებისთვის. მაგრამ მასა ერთგვაროვანი არაა, მასა განსხვავდება ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ სად დგას, მთავრობის სასახლის თუ ტელევიზიის კიბეებთან. მთავრობის სასახლესთან შეკრებილი ხალხი მოიხსენიება, როგორც „ქაჯები, ვიგინდარები“ [2; 426], „ამ ღრიალში მიდის მთელი ენერგია! ან სხვა რა უნდა გააკეთოს მასსამ?!“ [2; 579], „გაშიზმის, ნაციონალ-ბოლშევიზმისა თუ ნეობოლშევიზმის ნიშნებმა იფეთქა (მიტინგი - აუტოდაფე:“ [2; 630], „ცხოვრების მიერ ვერგამოყენებული, გადაყრილი, ანუ ასოციალური ადამიანები“ [2; 647]. რომანის დასასრულს ეს ერთი მხარე, ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოქცეული, თუ გამოშვებული ხალხით ივსება. ავტორი შემდეგნაირად აღწერს ტელევიზიის წინ მიმდინარე მოვლენებს: „ახლა დგას მეფის მოწინააღმდეგე

განრისხებული ხალხი ტელევიზიის წინ ლამის მთელი დღე და მართავს მიტინგს და აფრქვევს სამართლიან აღშფოთებას. და იქ არის უკვე ორი ბეტეერი და იქ არიან შეიარაღებული, დაბნეული ახალგაზრდები. და დგანან მეფის განრისხებული მომხრეები მეფის სასახლის წინ და დაცემული აქვთ კარვები... კარვების ბინადარნი ნიშანდობლივად ეგზალტირებული ქალბატონები ბრძანდებიან, ყველა მათგანი - უმუშევარი, ზოგი ციხიდან თუ ნერვების კლინიკიდან ახლად გამოსული თუ საგანგებოდ გამოშვებული“ [2; 644]. თუმცა ტელევიზიისაგან განსხვავებით, აქ იარაღი და ბეტეერი არ ჩანს. აქ შეკრებილი ადამიანები უკვე „ხალხია“ და არა „მასა“. ტელევიზიის წინ შეკრებილთა მთავარი იდეოლოგი მერაბ მამარდაშვილია - ცნობილი ფილოსოფოსი. ავტორი აღტაცებითა და სინანულით საუბრობს მამარდაშვილის პიროვნებასთან დაკავშირებით: „ბატონი მერაბი სოკრატეს ტიპის ფილოსოფოსი გახლდათ: ცხოვრებაში მოქმედი“ [2; 622] „ოთხმოცდაათიან წლებში არსებითად ორი მოსე გამოიკვეთა ქართველი ხალხის ცხოვრებაში: ფილოსოფოსი, „ქართველი სოკრატე“ (როგორც მას უწოდეს) და ფილოლოგ-ოკულტიტი მეფე საული. პირველს სურდა სტერეოტიპების მონობიდან გამოეყვანა ხალხი და შინაგანი დისციპლინის უდაბნოს გავლით დამოუკიდებელი აზროვნების აღთქმულ ქვეყანაში შეეყვანა, მეორეს კი, პირიქით: სურდა და მიაღწია კიდეც, რომ სტერეოტიპების, ფიქციების, ფანტომების ჯუნგლები კიდეც უფრო გაახშირ-ჩაახვია და ქართველი საზოგადოება იქ აბესალომივით გახლართა“ [2; 648]. ასე დააპირისპირა ავტორმა ორი მოაზროვნე: მერაბ მამარდაშვილი და ზვიად გამსახურდია, განიხილავს რა მათ იდეურ უთანხმოებას, დაპირისპირებას ოთარ ჩხეიძე რომანში „თეთრი დათვი“ შემდეგი სახით გვაწვდის - წალენჯიხის ტყეში, მშვიერი და მოწამლული და უკვე სიკვდილმისჯილი გამსახურდია იდეურ მოწინააღმდეგესთან საუბარში იხსენებს მამარდაშვილს და ასეთ შეფასებას აკეთებს: „მამარდაშვილთან სხვაგვარად იყო: იმას არა სწამდა ერი, საერთოდ ერი და ქართველი ერი მით უფრო არა. თუმცა ეს მიკვირს: არა სწამდა ერი, მაგრამ ირჯებაო რუსეთისთვისა. ეს მიკვირს. არც მიკვირს. ახლა ის რომ იყოს შენს ადგილასა, ის მერჩივნა... მაგრამ მაინც საკამათოდ ის მერჩივნა“ [4; 184].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის სტრუქტურა რთულია და მოქმედება იშლება ორ შრედ ფსიქიატრიულ კლინიკასა და თარგმნის ცენტრში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩნდება ალუზია, რომ ავტორი ამ ფორით ცდილობს საზოგადოების მკვეთრ დიფერენცირებას და ორად გაყოფას - ერთი თარგმნის ცენტრი და იქ შეკრებილი ინტელიგენცია, რომელიც მკვეთრად უარყოფითადაა განწყობილი ეროვნული მოძრაობის მიმართ და მეორე ნაწილი, ესაა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტები, რომლებსაც ტექსტის დასასრულს ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერ მიტინგზე ვხედავთ. ამ ასპექტის ხაზგასმით ავტორი ნათლად გამოხატავს თავის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების ამსახველი ბელეტრისტიკა ისეთივე მრავალფეროვნებით და აზრთა სხვადასხვაობით გამოირჩევა, როგორც იყო თავად ეპოქა. შევეცადეთ წარმოგვედგინა, აღვნიშნული მოვლენებისადმი, სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი შემოქმედის დამოკიდებულება.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზ., გაზ. „თბილისი“, #7, 1989.
2. გელაშვილი ნ., თხზულებანი, ტ. IV, პირველი ორი წრე და ყველა სხვა, თბ., „კავკასიური სახლი“, 2010.
3. კოდალაშვილი ლ. ნაირა გელაშვილის ახალი რომანი ანუ ყველაფერი კარგად იქნება <http://lib.ge>
4. ჩხეიძე ო., თეთრი დათვი, თბ., „ლომისი“, 1999.
5. ხარბედია მ., წარსულის გაცნობიერება - ნაირა გელაშვილის ცდა, ჟურნალი „არილი“, #2 (217) 2013.
6. ჯალიაშვილი მ., ქართული მოდერნისტული რომანი, თბ., „წყაროსთვალი“, 2006.
7. Солженицын Ал., В круге первом, Москва, инком нв 1991.

Ana Imnadze

Gori State Teaching University

FACT AND LITERARY REFLECTION (THE GEORGIAN REALITY IN THE 90S OF THE XX CENTURY ACCORDING TO THE NOVEL BY NAIRA GELASHVILI) RESUME

While speaking about literary reflection of the events developed in Georgia at the end of the last century, it is impossible to avoid Naira Gelashvili's creative works. In 2010 the Georgian society saw the author's another novel "The First Two Circles And All the Other".

The structure of the novel is complex and the action spreads into two dimensions, they are a psychiatric clinic and a translation bureau. As it appears, the author attempts to make a sharp differentiation within the society and divides it into two parts: one is the intelligentsia gathered at the translation bureau whose attitudes towards the National Movement is sharply negative, and the second one is the psychiatric clinic patients that we see participating into the demonstrations in support of Zviad Gamsakhurdia at the end of the text.

By emphasizing this aspect the author clearly expresses her position to the current developments occurring in the country. It should be noted that the fiction which reflects the events developed in Georgia in the early 90s can be regarded to be as distinguished with diversity and divergence as it was the epoch.

In the paper we tried to present different figures' attitudes towards the above-mentioned developments in Georgia.

მედეა კვარაცხელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„თავნება ბოჰემა“ (ნიკო სამადაშვილი) და მისი საბავშვო ნაწარმოებები

ნიკო სამადაშვილის ძარღვიანი, დამუხტული სტრიქონები საოცარი ძალით ერთიანად გიპყრობს. თამაზ ჩხენკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მისი ბევრი ლექსი მე მაგონებს გაუცრელი თიხისგან გამომწვარ ასიმეტრიულ დოქებს, რომელთაც ამჩნევიათ კოჭრები და ზოგჯერ მომტვრეული აქვთ ტუჩი ან ყური, მაგრამ რომელშიც შეურყენელი მაგარი ძელგი ღვინოა ჩასხმული“¹.

იყო პოეტი, ეს ზეგარდმო ნიჭია, ზემთაგონება, რითაც ერთეულებს აჯილდოებს ბუნება. ერთხელ მუსიკოს თამარ ჩარეკიშვილთან, რომელსაც „ცრემლივით ქალი, ჰანგების დაფნა“ უწოდა, ნიკოს ასეთი რამ უთქვამს: „სწორედ ასეთი წარმომიდგენია ის ჩიტი, ჩემთან რომ მოფრინავს და ყურში მიჩურჩულებს. იქნებ ეს არის ჩემი მუზა, ალბათ დღეს თქვენთან რომ ვნახე, ალბათ, ახალ ლექსებს შთაბაგონებს. ლადო გუდიაშვილს თავის დროზე შველი სწყალობდა და რატომ არ შეიძლება, ჩიტმა მომანიჭოს პოეტური მუზა, მით უმეტეს, რომ მისი იერ-სახე ასე მომხიზვლეოდა“.

ამ „თავნება ბოჰემამ“, როგორც მას სიყრმის მეგობარი ქუჯი მიძიშვილი უწოდებს, 12 წლის ასაკიდან დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ ბედის ირონიით, იმ პერიოდის ყველა ნაწერი ცეცხლმა შთანთქა. უცნაური ლექსების ავტორმა ცხოვრების გზაც უცნაურად განვლო.

„გაიცანით, ეს არის დიდი პოეტი საქართველოსი“, – რუსთაველის პროსპექტს ებუზუნებოდა თურმე დიდი გალაკტიონი და ხშირად ასეთი შემახილებით უხერხულობას უქმნიდა ნიკო სამადაშვილს, მაგრამ ეს ხდებოდა გვიან. ადრე იყო ობლობა, გაჭირვება, იმედის გაცრუება, დიდი ტკივილი მამის და დის გარდაცვალების, გაჭირვების, დაპატიმრების და ადამიანთა უსულგულობის გამო.

სტუდენტობის წლებში შალვა ნუცუბიძის გამოცდიდან გამოსულს, მშვიერს გული წაუვიდა. ხელმოკლეობის გამო საგნები დროულად ვერ ჩააბარა და 1928 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ერთ წელიწადში დაც გარდაეცვალა. ამ უმძიმესი მდგომარეობიდან სოფელ სადგერის (ბორჯომი) სკოლაში მასწავლებლობისას მოსწავლეებთან ურთიერთობამ და მოსახლეობასთან დაახლოებამ გამოიყვანა, გუნება-განწყობა ცოტათი გაუხალისდა.

დაუდეგარი სულის პატრონი უფერულ სიცოცხლესა და მარტოსულობაზე ჩიოდა, რადგან ხეირიანი ადამიანი სანთლით სამეზარი გამხდარიყო.

„ო, რამდენი ფარდები, რამდენი საფრები, რამდენი ღურღუტანები, რამდენი ბექობები გააჩნია ამ ცარიელ, უფერულ სიცოცხლეს. ჯერ რამდენი ადამიანები – ეკალმეხუნძლული მომაკვდავები – უნდა მისწი-მოსწიო, რომ ერთ ხეირიან ადამიანს, არაჟანმოუხდელს, მიუახლოვდე...“

რამდენი უნდა იზღავლო და იქვითინო და თუ ფეხი დაგისხლტება, შენ მტერს, ისე გაგსრისავენ, რომ ყორნებსაც შეეზარებათ სავახშმოდ“.

მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, გაჭირვებისა თუ სულიერი ტკივილისა, ნიკო სამადაშვილი ქმნიდა უმშვენიერეს ნაწარმოებებს, რომლებიც მხატვრული სასავსითა და ფილოსოფიური სიღრმით ხასიათდება.

„თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე,

¹ თ. ჩხენკელი, „კაცი და პოეტი“, თბ., 1989

ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება“.

ასეთი სტრიქონები აუმრავია მის ლექსებში.

ამიტომაც შეადარა ზვიად გამსახურდიამ 1987 წლის 13 თებერვალს გამართულ ნიკო სამადაშვილის ხსოვნის საღამოზე იგი ნიცმეს. ზეცად ამაღლებულმა ირაკლი კოსტავამ კი არაჩვეულებრივი ლექსი უძღვნა.

„... რა კაციც იყავ, რითი ცოცხლობდი, მე არც კი ვიცი, ჭიხვინებს ლექსი, გაუხედნავი, ველური კვიცი“...

აკადემიკოსი გურამ ხარატაშვილი კი წერს: „ერთი „ტლუ“ ბიჭი იყო ხიდისთაველი ნიკო, რომელმაც დაბრძენებულმა თავისი ცითმონაბერი ნიჭით ქართული პოეზიის სვეტიცხოველი შეაზანზარა“.

სკოლაში მასწავლებლად მუშაობამ, ბავშვებთან სიახლოვემ, მათ სამყაროში წვდომამ გადააწყვეტინა, ალბათ, ნიკო სამადაშვილს მათთვისაც ეწერა, ამ გზითაც ეზრუნა მათ აღზრდასა და სულიერ ჩამოყალიბებაზე, რადგან როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“.

საბავშვო ლიტერატურას მჭიდრო კავშირი აქვს პედაგოგიკასთან. სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიური თავისებურება საყმაწვილო ლიტერატურის სპეციფიკურობას განსაზღვრავს.

ბავშვები ასაკის მიხედვით არიან დაყოფილნი სკოლამდელი, უმცროსი, საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მკითხველებად. მათთვის დაწერილი ლიტერატურა არსებითად ამის მიხედვით იცვლება და ვითარდება: მოცულობით, მხატვრული ფორმითა და შინაარსით. მხატვრული ფორმით და ლიტერატურული მიმართულებით საბავშვო ლიტერატურის კლასიფიკაციის ასაკობრივ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც საბავშვო მწერლობის წინაშე დაყენებული პრობლემატიკის სწორად გადაწყვეტისათვის (იდეური, შინაარსობრივი, მხატვრული, ენობრივი თვალსაზრისით), ისე ამ ფაქტორების განსაზღვრა-დაზუსტებისთვის.

არა აქვს მნიშვნელობა, იცნობდა თუ არა ნიკო სამადაშვილი საბავშვო ლიტერატურის ამ სპეციფიკურობას, მაგრამ მთავარია, რომ მისი ნაწარმოებები ბავშვებს შთააგონებს ზნეობრივ ღირებულებებს და მოწმობს, რომ, როგორც თავად ამბობს, „ლიტერატურისთვის არ არსებობს მეორე და მესამეხარისხოვანი საკითხები, არსებობენ მხოლოდ მეორე და მესამეხარისხოვანი ნაწერები, რომელნიც ავტორზე ადრე კვდებიან“. პოეტმა ყველა ნაწარმოებს უსწრო, მისი სიკვდილის შემდეგ კი ისინი უფრო პოპულარულები და ხელიხელსაგომანებელი გახდა.

საკუთარი ვაჟისადმი მიძღვნილ ლექსში – „იძინე, თამაზ!“ მამა შვილს მოძღვრავს, რომ იცოდეს ქვეყნად კაცის გარჩევა და მშობლის სახელი არ შეარცხვინოს. მანამდე კი:

„იძინა, თამაზ, არ გაგაღვიძებ,

ჩუმი ვიტყვებ, ჭირიმე შენი!

წარმომავლობას – შენ რას დაეძებ,

ღმერთო, ბავშვობა როგორა გშენის“.

ჩურჩულით ნათქვამი მამის ეს სიტყვები ტკბილად ჩაესმის მძინარე ბიჭუნას. მშობელს კი სჯერა, რომ იგი მომავალში აუცილებლად ყურად იღებს მის შეგონებას:

„ალბათ შენს თოთო ხელებს დარჩება

ჩემი ცხოვრების ყრუ მატთანე“.

პოეტი ახალგაზრდებს სამშობლოს ულამაზეს სურათებს უხატავს ლექსში „საქართველოს“. მისეული, განსხვავებული ხელწერით ესიყვარულება ის მამულს.

„ის დრო წავიდა, როცა უკუნეთს

მამად ახვედნენ ურმის ჭალებზე

და ქვატალახა საუკუნენი

ღრუბლიან გზებზე მიჭრიალებდნენ.

სიცოცხლეს ღრღნიდა შიში, კავკავი,

პირქუში ფიქრი, ძრწოლა, გოდება,

ფეხზე ძლივს იდგა კავკასიონი –

მარადისობის გამეორება“.

წასულის ფონზე, დღეს მხრებგამლილი და ძლიერი საქართველო იმზირება:

„რუკაზე სჩანხარ ირმის ყელივით,

მტკვარი გაყრია, როგორც ფაფარი,

ჩვენი ეპოქის დიდი მეკვლე ხარ,

ზურგზე ლამაზ რქებგადანაყარი,

შენი კაშკაშით ლაჟვარდა ჭერი,
კიდიტ-კიდედმდე დაითქორება,
ჩემო ივერო, ჭირიმე შენი!
ჩემო სამშობლო, ხუჭუჭყოთლებავ“.

არაჩვეულებრივი ლექსებიდან ნიკო სამადაშვილს პატარა მკითხველები ზღვის საოცრებათა სამყაროში გადაჰყავს პატარა მოთხრობებით, რომლებიც ერთი სათაურის ქვეშაა გაერთიანებული.

კრებული „ზღვის საიდუმლოებანი“ გამოიცა 1947 წელს საბავშვო ლიტერატურის უდიდესი ქომაგის, ანა ღვინიაშვილის რედაქტორობით. მასში შესული ნაწარმოებები: „მედუზა“, „მარჯნის პატარა მშენებლები“, „ღრუბელა“, „ანემონა და ზღვის ვარსკვლავა“. „გივის სიზმარი“ თემატურად ერთ მთლიანობას წარმოადგენს.

საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოთხრობებში მოქმედი პირები მკითხველის თანატოლებთან ერთად უფროსებიც არიან: მია სიკო, ბებო, დედა, მეზღვაური ლევან იოსელიანი...

კრებული გათვალისწინებულია საშუალო ასაკის მკითხველისთვის (ასე უთითებს ავტორი, მაგრამ დღევანდელი თვალთახედვით, ვფიქრობთ, ის უმცროს კლასელთათვის უფროა მისაღები (თუ რატომ, ვეცდებით გზადაგზა დავასაბუთოთ).

მოთხრობაში „მედუზა“ პატარა მკითხველი მია სიკოს დახმარებით ეცნობა, რომ ზღვაში მოცურავე „ქოლგა“ ზღვის არსებაა და მისი სხეული უმეტესწილად წყლისგან შედგება, რომლის დაკარგვის შემთხვევაში იგი იკუმშება. მას მედუზა ჰქვია და ძირითადად ზღვის ნაპირს ეტანება, უფრო მეტად უკუქცევსას. მათი უსაყვარლესი ადგილები ტროპიკებია.

„იქ თეთრი ფერის, თითქმის გამჭვირვალე მედუზა იცის. ამ მედუზებს ტანის შუა ადგილზე თითქოს აბრეშუმის ძაფით წითელი ლაქა აქვთ ამოკერილი. ხმელთაშუა ზღვაში მცხოვრები მედუზები უფრო ლამაზად არიან შეფერილნი, ვიდრე ევროპის სხვა ზღვებში მცხოვრებნი. მედუზები შავ ზღვაშიც მრავლად მოიპოვება“.

არაბები თურმე მედუზებს ზღვის ნათურებს ეძახიან, რადგან წყალში ერთ ადგილზე თავშეყრილები ვერცხლისფრად ანათებენ და იქაურობა სარკესავით ლაპლაპებს, ხოლო ამერიკაში ბაცი მწვანე ან ღია ღისფერი სხივებით მოლიცლიცე მედუზებია. ისინი მტაცებლები არიან. საცეცების საშუალებით ზღვის ბინადრებს იჭერენ, სუსხავენ და გაბრუებულს ყლაპავენ. ხშირად ღორმუცელობენ კიდეც. გადაყლაპულ მსხვერპლს (თევზს) ვერ ერევან და ილუბებიან. მედუზებს აქვთ თვალები, ე.ი. მხედველობა და წყალში თავისუფლად მოძრაობენ. ზღვაში ვხვდებით აგრეთვე უმოძრაო არსებებსაც, რომლებიც ერთ ალაგას არიან მიკრულნი და საცეცების საშუალებით იგებენ უცხო სხეულის მოახლოებას. მარტივი და რთული ცხოველები, რომლებიც წყლის უკიდევანო სივრცეებში ბინადრობენ, ულამაზეს სამყაროს ქმნიან, რომელთა შესახებაც სხვა თავებში საუბრობს მწერალი.

„მარჯნის პატარა მშენებლების“ მთავარი მოქმედი გმირი, გივი, მოწყენილი ზის ფანჯარასთან და თვალყურს ადევნებს წვიმის წვეთების თამაშს მინაზე. ოჯახში ყველა დაკავებულია, დედა საქმიანობს, ბებო ჩვეულებრივ კრუსუნებს, გივისთვის არავის სცალია, მაგრამ სტუმარი, რომელსაც მია სიკო მოიყვანს ოჯახში, ბიჭუნას გაახალისებს.

ცნობილი მეზღვაური ლევან იოსელიანი სუფრასთან მსხდომთ უყვება ინდოეთის მდიდარ ბუნებაზე, ავსტრალიის ფლორასა და ფაუნაზე, ევკალიპტის ტყეებზე, მარჯნის რიფებზე, მარჯნის კუნძულებზე, რომელიც ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1500 კილომეტრზეა გადაჭიმული.

იგი მსმენელებს უხსნის, თუ როგორ წარმოიშობა მარჯანი, რომ მისი პოლიპების სხეული ძალიან რბილია და ცილას ჰგავს. ის ცოცხალი არსებაა და იკვებება მარტივი ცხოველებით, პირის ხვრელის ირგვლივ ვარდის ფოთოლაკების მსგავსად განლაგებული საცეცების საშუალებით.

მარჯანი პოლიპებით მრავლდება, ახალ სიცოცხლეს იწყებს და უზარმაზარ რიფებს ქმნის. მია სიკოს მონათხრობმა პატარა გივი ისე დააინტერესა, რომ ბიჭუნა ცდილობს, მეტი გაიგოს გარემომცველ სამყაროზე.

მოთხრობაში „ღრუბელა, ანემონა და ზღვის ვარსკვლავა“ ამ მარტივი ცხოველების ცხოვრებაა ნაჩვენები.

ზემოთ დასახელებული ნაწარმოებების შინაარსი ნიკო სამადაშვილმა თითქოს შეაჯამა მოთხრობაში „გივის სიზმარი“. ბავშვი ძილში ნახულობს ყველა იმ ცხოველს და მცენარეს, რომლებზედაც ლევან იოსელიანმა მოუთხრო.

გივის ესიზმრება, რომ ის თითქოს მყვინთავია და ძალიან კმაყოფილია თავისი პროფესიით, რომლის წყალობითაც ახლოს ნახა მარჯანი, ღრუბელა, ანემონა, ზღვის ვარსკვლავა, აქტინა და მრავალი სხვა. ზოგიერთთან მიახლოება და მოფერება მოუწია. თეთრ-მიხაკისფერი, წითელფოჩება ყვავილის მოწყვეტა მოისურვა, მაგრამ, როცა მან, მარჯნის პოლიპზე დასკუპებულმა, საცეცები გამოუშვა, მაშინ

მიხვდა მყვინთავი, რომ ეს მცენარე კი არა, ცხოველი იყო. სიზმრიდან დედის თბილი ხელების შეხებამ გამოაფხიზლა. პატარა გვიმ ამ ღამეზე სიზმრის შემდეგ გადაწყვიტა, უკეთ გასცნობოდა და ღრმად შეესწავლა ის სამყარო, რომელიც სტუმარმა გააცნო მას.

როცა საჯარო ბიბლიოთეკაში ვეცნობოდი მოთხრობას „ზღვის საიდუმლოებანი“, შევნიშნე, რომ უცნობ მკითხველს (ალბათ, ბიოლოგს თუ ზოოლოგს) წიგნზე კომენტარი დაუტოვებია: „ტერმინი არასწორია, უნდა იყოს – საჭმლის მოსაწებელი და არა საჭმლის მომწებელი ორგანოები; უნდა იყოს ღრუ ნაწლავი და არა ნაწლავღრუ“ და ა.შ.

რომ არა წიგნისადმი პატივისცემა, კრებულზე მეც წავაწერდი ჩემეულ კომენტარს – წიგნი საინტერესოა, უმცროსკლასელთათვის გასაგებად დაწერილი და ზოგად წარმოდგენას უქმნის პატარა მკითხველს ზღვის მარტივ ცხოველებზე. ამდენად, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ღრუნაწლავი იქნება თუ ნაწლავღრუ ტერმინად გამოყენებული. ეს არ არის მეცნიერული ნაშრომი, ან თუნდაც სახელმძღვანელო. ეს არის ავტორის ცდა, გარე სამყაროს იდუმალებასა და მშვენიერებაში ჩაახედოს ბავშვები, რაც დასაფასებელია.

„დიდება იმ უბიწო მშობლებს, რომლებიც ბავშვებს ისე ზრდიან, რომ ხელს არ აკარებენ, ისე დაფათფათებენ თავიანთ შვილებს, როგორც მებაღე ხეხილს. არა მგონია, იმ ერმა, თავის ბაღებს ტყუილუბრად რომ აუხირდება, ორკეცი ქამრით უსწორდება და ცემა-ტყეპით ჰკლავს, საცოდავები ალერსის დროსაც რომ იბუხებიან, სათნო, კეთილშობილი ადამიანი წარმოშვას, გარდა მამაცი მტარვლებისა და პირუტყვი ჩაფრებისა“.

ამ პედაგოგიკურ შეხედულებას მწერალი ავითარებს ორიგინალურ მოთხრობაში „ნენეს ზღაპრები“.

როდესაც ნიკო სამადაშვილის კრებულს „წუთისოფლიდან უკვდავებამდე“ ვკითხულობდი, სათაურმა, „ნენეს ზღაპრები“ მიიქცია ჩემი ყურადღება. მასში იმ მარცვალს ვემბედი, რომელიც საბავშვო ლიტერატურასთან დამაკავშირებდა და, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ავტობიოგრაფიული მოთხრობა არაჩვეულებრივ სამსახურს გაუწევს უფროსი სასკოლო ასაკის მკითხველებს.

ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი თავად ნიკო სამადაშვილია. მწერალი სიუჟეტს მოხუცი მათხოვრის, დეიდა ნენეს, საშუალებით ავითარებს. ის ქალაქის შუაგულში „ჩქაფ-ჩქუფით“ მომავალი მდინარის ხიდის ყურეზე ზის, „შავი ხილაბანდის ქვეშ ჭანჭურის ჩირივით დამჭკნარი სახით და უკბილო ღრმილებზე შეკეცილი ტუჩებით. გახუნებული თაღხები გამხდარ სხეულზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ტოტებგადაკაფულ ჩირგზე შავი ძაბა გადაეფარებინათ“. მას დახმარებისთვის ჰქონდა ხელი გამოწვდილი. რა იმალება ამ თაღხების ქვეშ? საითკენ მიჰყავს მწერალს თავისი მკითხველის ფიქრები?

უამრავ გულგრილ ადამიანს ჩაუვლია მოხუცისთვის: „ბევრი უგულო უკანმოუხედავად ჩაუვლიდა ამ მოხუცს, ზოგი კი მაშინ გაიღებდა ხელგამოწვდილი მოხუცისთვის რამეს, როცა გრძნობდა, რომ უკან ვიღაც მოდიოდა ან წინ ვიღაც შეხვდებოდა, რომ დაემტკიცებინა თავისი გულშემატკივრობა, თორემ წყალობის გამღები არ იყო“. საინტერესო პერსონალია ნაწარმოებში მოხუცის ჩუმი და სევდიანი შვილიშვილი, მამით ობოლი და დედისგან მიტოვებული, ღარიბი, მაგრამ თავმოყვარე გოგონა, რომელიც დიდებას მათხოვრობას ძალიან განიცდის და ხშირად ტირის, მაგრამ როცა „ვახშმად მხოლოდ ფაშარ პურის ნატეხებს, ხან ბოლიწოს, ხან შინდის შეჭამანდს, ხან მახობელას მიირთმევენ“, იცის, რომ სხვა გამოსავალი არ არის. გოგონას, რომელსაც სახელიც კი არა აქვს ნაწარმოებში, რადგან იგი ზოგადი სახეა, ძალიან უყვარს ლიტერატურა. განსაკუთრებით კი პოეზია და იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“. „ბუნების კარს“ გაშლიდა და გატაცებით ეწაფებოდა სანუკვარ მოთხრობებს. ის თითქოს სტრიქონების გაბმულ მავთულებზე მერცხალივით ჭიკჭიკებდა. ხშირად თახჩიდან გამოკრეფილ „ნაკადულის“ ფურცლებს ჩაჰკირკიტებდა და, წააწყდებოდა თუ არა შეუდარებელ შემოქმედის გაზაფხულივით ატეხილ ფიქრებს, ჩიორასავით უცემდა გული“.

„ნენეს ზღაპრებში“ ამბის თხრობისას გვხვდება ე.წ. ლირიკული გადახვევები, რომლებშიც ავტორი ბევრ საკითხზე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს. მაგალითად: „დიდი მიქარვაა, თითქოს ვინმეს ტანჯვა ასპეტაკებდეს. პირიქით, დაუსრულებელი წამება და ურვა აკუზიანებს, ფიტავს, ასახიჩრებს ადამიანს. უფრო მეტიც, ამხეცებს, აბოროტებს, აანჩხლებს და მთელი სიცოცხლე ყურებდაჭრილი ძაღლივით იღრინება“. იქნებ არის კიდევ ამ აზრში სიმართლის მარცვალი, ღირს ამაზე დაფიქრება, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მის მოსაზრებაზე: „...არც ის მჯერა, თითქოს გენიოსები უკვდავ ქმნილებებს იმ დროს ქმნიდნენ, როცა კუჭი შიმშილით უხმებოდათ და ზურგზე ცხრაპირ ტყავს აძრობდნენ“. ამ აზრს რომ დავეთანხმოთ, რა ვუყოთ ფიროსმანს, ტერენტი გარნელს და მრავალ სხვას, რომ არაფერი ვთქვათ უცხოელებზე?!

დასავლეთევროპელი ლიტერატურის პროფესორის სახით მწერალმა დახატა არაპროფესიონალი, რომელიც, რაც კი იცის, ყველაფერს ერთმანეთში ურევს. მის ნაცოდვილარს არავითარი ღირებულება არა

აქვს: „მეფე ლომს დამთხვეულ კამეჩად გადააქცევდა და ჰამლეტს ფარშავანგის ბუმბულებს ტანისამოსზე დაუბნევდა, ოტელოს მაროკოელი მენახშირისგან ვედარ გაარჩევდი და ლაურას ფლორენციელი გომბიოსგან. ჩვენი პროფესორი ისეთი ავი თვისებისა იყო, რომ დიდი ამყოლი გახლდათ ლიტერატურული ჭორების“.

მოთხრობაში გამოყვანილი უარყოფითი პერსონაჟების ხასიათის ჩვენებითა და ანალიზით დაგმოიბლია ზოგიერთი ადამიანის უსინდისობა, უნამუსობა, სიხარბე და სხვა მანკიერი თვისებები. აი, თუნდაც მეგობრის ბიძა, „კრიჟანგი“, „წუწურაქი“, „ხარბი“, „გაუმამღარი“ ადამიანი, რომელსაც მეტსახელად ჯორილელეტას ეძახიან (მეგობრის პროტოტიპი თავად ავტორია, ბიძაც საკუთარი ბიძაა). ამ ბოლომოდებული კაცის უნამუსობას საზღვარი არა აქვს. მწერალიც არ ზოგავს და შელამაზებლად აჩვენებს მის უზნეობას და უშნო კუდაბზიკობას:.

„...თუ ანაზადად უენო და მდაბიო ხალხში წამოიტყლარჭებოდა, აი, მაშინ უნდა გენახათ სეირი. მოშლილი არდანივით მოემართებოდა, ქატოთი გატენილი ტომარასავით იბერებოდა... აზდაუბდა ყბედობით ბულს აყენებდა და პირად ტუტუცურ აზრებს სასიქადულო მწერლებს ატმასნიდა. თავის ჭუჭყიან ლათაიებს ხან ჩახრუხამეს, ხან არსენ იყალთოელს მიაკერებდა. ერთი სიყვით, ამ გაქნილ მაჯლაჯუნას ყოველგვარ სისამაგლეზე ჭიპი ჰქონდა მიჭრილი და ხელი გაკვეთილი“.

უბრალო ხალხთან ამპარტავანი, ოჯახში უმაქნისი და დესპოტი, საჭირო დროს ფერს იცვლის – ფარისეველი და მლიქნელი ხდება. და აი, კიდევ ერთი ყურადსაღები დასკვნა: „ფარისევლობამ გადაარჩინა აურაცხელი ადამიანი ხიფათს, განსაცდელს, ლაჯზე ახევას, ყელის გამოლადვრას, ფარისევლობა ფითრივით შეზრდილია ცხოვრებას. ის ბალამწარესავით მეწლე როდია. ის ყველა ეპოქის ტოტემზე ყვავის. მლიქნელობას რა დააბერებს, ის კოკოზასავით უგია კაცთმდინარების ნაკადულს“.

ბიძა უსახლკაროდ ტოვებს ძმისშვილს (თავად ნიკოს), რომელიც გაზაფხულის ერთ მზიად დღეს გულსევდიანი მიუყვება ხიდს სიყრმის მეგობართან ერთად და ამ დროს მოულოდნელად გადაეყრება ნენეს. მოხუცმა უამბო, რომ შვილი მოუკვდა, რძალი ვიდაცას გაეკიდა და ახლა დაუძლურებული, მათხოვრობით არჩენს შვილიშვილს. ნენეს ისინი მიჰყავს სახლში, სადაც საოცარი სიღუბნური და ლამაზი გოგონა დახვდებათ.

პოეტი ნენეს ხელშია გაზრდილი, ამ წერა-კითხვის უცოდინარმა ქალმა შეაყვარა პოეზია: „ამ უცოდინარ ქალში ისეთი სიდიადე ელვარებდა, რომ გეგონებოდა, მისი ოცნების ჭერი ზურმეხტის თვლებით იყო მოჭედილი“. გოგონას გაახსენდა სტუმრის მიერ დიდებასთვის ყმაწვილობისას ნაჩუქარი ლექსების რვეული და ღარიბულ ქოხში პოეზიის ქარიშხალი დატრიალდა.

სანათის შუქზე კითხულობენ მგოსნის ყრმობისდროინდელ ლექსებს:

„პირველი თრთოლვა, როგორც შარბათი,

ეტიდან-ეტში იების გუბე,

დილით თივის ქვეშ სველი ბარათი:

რად მწერდი ლექსებს, რად დაიღუპე!“

(„ჩემი სოფელი“)

„ფხიზლობ, დადიხარ, ძილში ირევი,

კვვირობ, ეგ ცეცხლი სად დაგეტია,

რამდენი კაციც ცხოვრობს მიწაზე,

ქვეყნად იმდენი საგიჟეთია“.

(„ნაფოტები“)

„გამთენიისას წავიდნენ ქოხიდან სტუმრები, მძინარე გოგონას სახეზე სიმშვიდე და პოეზიის ნათელი ეფინა, ოთახში კი სტრიქონები დასეირნობდნენ“.

„ნენეს ზღაპრები“ ახალგაზრდა მკითხველს საშუალებას აძლევს, გაიზიაროს მგოსნის განწყობილება, პათოსი, შეხედულებები ადამიანებზე, სამყაროზე, პოეზიაზე. გაეცნოს მის აზრებს: „დიახ, ცივილიზაციის სარკმელიდან ზოგჯერ თვალებდაჰყეტილი ველურებიც იჭყიტებიან“, „დრო საუკუნის ჯახაჯუხში ჩაისრისება და ეგ ცხოვრებაც მოთავდება, როგორც ბალადა“ და კიდევ მრავალი ამდაგვარი.

ნიკო სამადაშვილზე – როგორც საბავშვო ნაწარმოებების ავტორზე, საუბარი მოკრძალებით გავბედე. რაც შეეხება მის შემოქმედებას, ის ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამუშავებული და შესწავლილი, რამდენჯერაც წაიკითხავ, იმდენჯერ რაღაც ახალს პოულობ მასში.

მინდა, დავასრულო მისივე სიტყვებით („თვალს არ ამორებად“):

„იწოდა კაცი ჩემი, მგზნებარე,

თან სიცოცხლეზე რჩებოდა თვალი,

ის მიდიოდა და მაინც კიდევ,

სულ სიცოცხლეზე ეჭირა თვალი“.

ლიტერატურა:

1. სამადაშვილი ნ., წუთისოფლიდან უკვდავებამდე, თბ., 1989.
2. სამადაშვილი ნ., ბეთანია, თბ., 1973.
3. სამადაშვილი ნ., „ზღვის საიდუმლოებანი“, თბ., 1947.
4. სამადაშვილი ნ., წერილები ვ. კოტეტიშვილისადმი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972.
5. სამადაშვილი მ., უცნობი ნიკო სამადაშვილი,
6. ბაბლოვანი ც., საბავშვო ლიტერატურა, რუსთავი, 1996.
7. ბოტკოველი ზ., „შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996, 12-19 VII.
8. გელაშვილი ნ., გადმორბენა სამყაროსკენ, აღმანახი ქართული მწერლობა, თბ., 1990, №3.
9. გელაშვილი მ., ნ. სამადაშვილის უცნობი წერილი ვ. კოტეტიშვილისადმი, ჟურნ., „კრიტიკა“, თბ., 1984, №2.
10. იმედაშვილი გაიოზ, „სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი ადამიანი“, ჟურნ., „ლიახვი“. თბ., 1982.
11. კვაჭანტირაძე მ., „მე ვარ წერტილი, სადაც თავდება სამყაროს უიმედობა“ ჟურნ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991.
12. კოტეტიშვილი ვ., ნ. სამადაშვილის გადარჩენილი ლექსები, ჟურნ., „მნათობი“, №2, 1986.
13. მეხრიშვილი ჯ., ქართული პოეზიის ხემძევალი, ჟურნ., „ცისკარი“, თბ., 1999, №12.
14. ნიშნიანიძე რ., „ნ. სამადაშვილის ცხოვრებიდან“ ჟურნ. „განთიადი“, 1988, №6.
15. ღვინიაშვილი ა., ნარკვევი ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
16. ჩაჩიბაია ა., თანამედროვეობა, მწერალი და მოზარდი თაობა, თბ., 1982.
17. ჩაჩიბაია ა., ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბ., 1978.
18. ჩხეიძე ო., პატარა წიგნები რევაზ მარგიანისა და ნიკო სამადაშვილის შესახებ, გაზ., „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 27, V.
19. ჯავახიშვილი დ., ნ. სამადაშვილის ლექსები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. თბ., 1973, 25, V.
20. ჯაფარიძე თ., ღამისთვის პოეზია, ჟურნ. XX ს. თბ., 1998, №9.

Medea Kvaratskhelia
Sokhumi State University
CHILDREN’S VERSES AND STORIES OF NIKO SAMADASHVILI
RESUME

The main outline of the actual biography of well-known Georgian poet of the 20th century, Niko Samadashvili, is very tragic.

N. SamadaShvili’s own published works run to only one volume displaying remarkable versatility and authentic literary feeling.

The poet greatly contributed to the development of the lyrical poetry especially with his verses relating to the biblical themes.

N. SamadaShvili’s views on religion, politics and aesthetical issues are traditional. All his life the poet’s interest was engaged in literary history and traditions of the Georgian classical poetry.

N. SamadaShvili’s view of the world has largely been influenced by the Georgian orthodox Church. Poet’s humanity, his sharp sense of the world’s wrongs and his gift distinguished by brilliant style marking him out as an outstanding Georgian man-of-letters.

N. samadasvili’s life in the big city provided him with a store of experience he drew upon for the material of his fiction. Tbilisi offered him what might be called laboratory conditions in which he made his superb investigations into the nature of man and the springs of human action.

The complex impressionism of Samadashvili’s style, his wide use of the “point of view” technique and the subjective nature of his poetic vision give his poetry a high stature with twentieth-century Georgian critics (T.Chkhenkeli, T.Tatishvili etc.).

It should be noted that Niko Samadashvili also created a lot of stories and tales.

He paints to youth the most beautiful pictures of the homeland. Children should not shame their parents. (“Sleep Tamaz”, “To Georgia”).

It is interesting his collection of stories “Mysteries of the Sea”. It includes a few small works being thematically a single whole. In his collection the author attempts to make children look into the mystery and beauty of the outside world. The writer develops his pedagogical views in the original story “Nene’s Tales”.

ქართველი მწერლები და კრიტიკოსები ვასილ ბარნოვის ნოველისტიკის შესახებ (ესკიზი)

აღწერს რა თელავში ალექსანდრე ყაზბეგთან ვასილ ბარნოვის შეხვედრას, ოთარ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში “ბარნოვი” წერს (ამ სიტყვათა განმეორება ყაზბეგის მცირე პროზასთან მიმართებითაც უპრიანია): “ქართველთა ჰომეროსმა, ყაზბეგმა, გრიგოლ ორბელიანის ბებერი ძვლებიც აღანთო, ახალგაზრდებს რაღას დამართებდა! სტრიქონსა და სტრიქონს შორის კითხულობდა ნამდვილ სათქმელს ბარნოვი: “არ დაივიწყო, რომ, სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გეცილებიან და არ დაანებო. მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთი მიწა-წყლის დაცვის დროს, მათი სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟღინთავს... გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისათვის არის გაჩენილი”¹.

ვაჟას, აკაკის მცირე პროზის მეტაფორულობა, ყაზბეგის თხზულებათა მძაფრი ტონი, ერთდროულად, ზარების დარისხებაცაა და მონატრებაც ძველი, ნათელი საქართველოსი, თავისუფალი, ზნემაღალი ქვეყნისა.

“ვასილ ბარნოვის (რომელსაც, სხვათა შორის, “სურათები ხევსურეთის ცხოვრებიდან” ყაზბეგმა დიდად მოუწონა და ურჩია, მოთხრობები დაერქმია მათთვის” - ო. ჩხეიძე) პროზაც გარდასული საქართველოს მონატრებაა “გარდაგულარძნილთა” (იოვანე საბანისძე), “დუქნად ქცეულ” (ვაჟა) საქართველოში.

მიმოიხილავს რა ვასილ ბარნოვის რომანებისა და მცირე მოთხრობების თემატიკას, ოთარ ჩხეიძე გამორჩეული ხელწერის მქონე პროზაიკოსის შესახებ წერს: “ჩაფლულიყო ვეება წარსულში, “ქართლის ცხოვრებაში” ჩაფლულიყო, საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება დაეხატა მცხეთის მამასახლისობიდან მოკიდებული თბილისის მეფობის დაცემამდისა. ქართლის ცხოვრება დაეხატა, სხვა ქვეყნებიც ჩაეთრია, ყველა ჩაეთრია, ვისაც ქართლი გადასჯაჰყოდა ან ბრძოლით, ან მეგობრობით. გამოეჭედა ქართველი გმირები, ძლიერი ხასიათები,... თვითონაც იმაში ჩასახლებულიყო, იმათი ვნებით გაბრუებულიყო, იმათი ფიქრით გათანგულიყო, დატანჯულიყო იმათი ტანჯვითა, თავისი სამყარო შეექმნა და სამუდამოდ იქ გადასულიყო, თითქოს გაქცეულიყო ამა ქვეყნიდან”².

შემთხვევითი როდი იყო ისტორიულ რომანთა, თუ მცირე პროზაულ ნაწარმოებთა თემატად საქართველოს ისტორიის არჩევა. ჯანსუღ კორძაია, ოთარ ჩხეიძის მსგავსად, კონსტატირებულს ტრადიციის აღორძინებად მიიჩნევს: “ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა გავილილი ისტორიულ ჟანრს საქართველოში. ბარნოვმა ღირსეულად განაგრძო ეს ტრადიციები, აღორძინა ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის, უძველესი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების მიღწევები და თავისებურებანი, “ქართლის ცხოვრების” მემკვიდრეთა უაღრესად ლაკონიური, დახვეწილი და ტევადი სტილი... სცადა არა საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების, ცალკეული საფეხურების მხატვრული ასახვა, არამედ შექმნა “ქართლის ცხოვრების” მხატვრული ეკვივალენტი, მოგვცა საქართველოს ისტორიული წარსულის ერთიანი მხატვრული გააზრებისა და წარმოსახვის წარმატებული ცდა”³.

ბარნოვის პროზა “ისტორიული სახელებით თრობა” (გ. გეგეჭკორი) როდი იყო – უპირველესად, მცდელობა იმის გააზრებისა, რანი იყვნენ ქართველნი, ბარნაველნი, ბარნოვებად რომ უპირებდნენ ქვეყას. კიკო ყანწარაშვილები (“ქოჩორა ხე”) ნიკოლაი კანცაროვებად ექციათ გიმნაზიაში, “ნამდვილ ნადირად” მოენათლათ (რუსულის არცოდნის გამო) “ვეფხისტყაოსნისა” და სახარების სინათლის მგზნები პატარა ქართველნი (ისღა დარჩენოდათ კიკოებს, საძულველი სასწავლებლის ფანჯრიდან ეცქირათ ქოჩორა ხეებისათვის: “ის ქოჩორა ხე მოჩანდა ხიდიდან და იმის დანახვა მოუწდა პატარას. იმ ხესთან გადადიოდა [მშობლიური სოფლისაკენ] მიმავალი გზა...”

¹ ოთარ ჩხეიძე, ბარნოვი, თბ., 1989, 37.

² იქვე, 345.

³ ვასილ ბარნოვი, რაინდი სული, ჯანსუღ კორძაიას ბოლოსიტყვაობა, თბ., 1991, 506.

ბევრჯერ გასჭირვებია ყოფა, ბევრჯერ დასჩაგვრ-ასტირებია გული. თავის ყუთში იმ ქოჩორა ხის რტოც კი ჰქონდა შენახული და ხანდახან დახედავდა, როგორც რამ საიმედო საუნჯეს”¹.

საოცრად ჰგავს ბარნოვის “ქოჩორა ხის” ფონიცა და სულისკვეთებაც აკაკის “ორი სიზმრისეულს.”

ოპიზრებისას ადარებდა ბარნოვის მარჯვენას სიმონ ჩიქოვანი, “ფრესკებსა ჰგვანან მისი ნახატები, ფრესკებივით შემოგცქერია რომანთა თუ ნოველათა გმირებო. გოგლა უარობდა, მიწიერნი არიან, მიწაზე უდგათ ფეხი, ქართული მიწით სუნთქავენ, გმირული სულითა და უჭკნობი მშვენებით აღვსილნიო”².

დიდ ისტორიას შესჭიდებოდა მწერალი.

“ისკანდერში” მემატიანეთა შთამომავალმა ეპოპეის ეპილოგი შექმნა, დახატა ქართველი მამულიშვილი, ვერასგზით რომ ურიგდებოდა “ჩრდილოეთიდან დამრულ შავ ნისლს.”

“ისკანდერს” საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტი – იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ იქმნება ყველა პირობა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოთა გაერთიანებისათვის. ქუთაისიდან ჩამოსული წარჩინებულნი, ქვეყნის ბედ-ილბაღზე მოფიქრალი დიდებულნი ქართლ-კახეთის, თბილისის მოედანზე შეკრებილი ხალხი, თვით ტახტის მემკვიდრე, გიორგი, გულმხურვალედ ევედრებიან ერეკლე მეორეს, გადადგას ეს ნაბიჯი... განსაკუთრებული მგზნებარებითა და სიფიცხით იცავს საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეას ალექსანდრე ბატონიშვილი, ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელიც კარგად ხედავს, თუ რა მოუტანა მის სამშობლოს ერთმორწმუნე ჩრდილოელმა მეზობელმა. ამიტომაც იბრძვის იგი, ყველა ხერხითა და საშუალებით, მომხდურთა წინააღმდეგ: სათავეში უდგას მთიულეთის აჯანყებას, ქმნის ამიერკავკასიის ანტირუსულ კოალიციას, წინამძღოლობს ჯარს ერევნის ბრძოლაში, აწარმოებს ფარულ მოლაპარაკებებს ნაპოლეონის ემისრებთან, აქეზებს ირანსა და თურქეთს რუსეთთან საომრად”³.

ბარნოვი ალევორიულად ხატავს საქართველოს ყოფას: “ჩრდილოეთისაკენ რომ მოსჩანდა შავი რამ ნისლი, ის მოზრდილიყო, უფრო ჩამუქებულიყო. ჩემს რჩეულ საქართველოს დასტანებია ქუფრი ბოროტი, – წარსთქვა მზემ ხმით უნაზესით, – მეზრდოლი!”⁴. მთავარი პერსონაჟი აცნობიერებს: “საქართველო და კავკასიონი ერთი მთლიანი შეუვალი ციხეა. მისი ნიადაგი სავსეა ყოველგვარი სიმდიდრით. ვინც ამ ქვეყანას დაიპყრობს, ის მიაყრდნობს ზურგს კავკასიონს და მცირე ხანში შეიქმნება ბატონად მთელის დასავლეთი აზიისა” [იქვე]

მარტოკაცი ვერასოდეს მოიგებს ბრძოლას. მაინც “მზის წილად” ხატავს ბარნოვი ალექსანდრეს, ვისაც სჯეროდა (და მიედგნა კიდეც): “ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის...”

უმზეოდ შთენილი, მზის წილხვდომილი, ქვეყნის მკვიდრნი მრავალი წლის შემდგომაც იმავე ოცნებას გაუთანგავს, რასაც მათი სულიერი წინაპარი – ალექსანდრე ბატონიშვილი. “მოგვთა კალოს” პერსონაჟები კალოსაკენ ეშურებიან, სადაც “ჯვარი ამოდის საფუძვლიდან და დაემხოზა ნიშნად გლოვისა, როცა საქართველოს ეუფლება მტერი, უსპობს თავისუფლებას... როცა აღსდგება სამშობლო მკვდრეთით, თავისუფლება – ჯვარიც აღიმართება... მზე ამალდება”⁵.

ნაწარმოები იმ ხანმოკლე ბედნიერების ჟამს ეძღვნება, როცა “განთავისუფლდა ტურფა ქვეყანა, თვითონ ეუფლა თვისსავე ყოფას, იხსნა თავი ვეშაპისაგან მყინვარეთისა, განერა იგი სასტიკ მონობას.” ეს მხოლოდ წამიერი გამონათება იყო. საქართველოს კვლავ “დაეტანა ქუფრი ბოროტი.” ქვეყნის ჭირისუფალს ისღა დარჩენოდა, აჩრდილთათვის ემღერა.

“ბარნოვი ტფილისს უმღერის და ტფილისელ აჩრდილებს. მისი რომანტიულად განწყობილი მეხანჯლეები, ხარატები, ჭონები, წვრილი ვაჭრები დღეს მართლაც აჩრდილებს დამსგავსებთან. ახალმა ყოფამ ისინი ააფორიაქა, მრავალი მთლად ამოაგდო კალაპოტიდან”⁶.

ამავე აჩრდილებს თავად კონსტანტინე გამსახურდიაც დახატავს, მათში უცხო თესლსაც შენიშნავს: “ქორული მზერით შევცქერი ხორაგით დატვირთულ ცხენოსნებს, მეურმეებს, მესახედრეებს, მეფურგონეებს, ქვეითებს. მე ვხედავ თემურ-ლენგის მეციხოვნე ჯარებიდან ჩამორჩენილ მონგოლებს, ინით წვერშეღებილ ირანელებს – ნარიყალას მეციხოვნე ჯარების ნაშიერთ, არაბების თარაქამების, ნიკოლოზ პირველის მალაგნების შვილის შვილის შვილის შვილებს. ისინი

¹ ვასილ ბარნოვი, ქოჩორა ხე, ქართული პროზა, ტ. XVIII, თბ., 1990, 23.

² ოთარ ჩხეიძე, ბარნოვი, თბ., 1989, 346.

³ გურამ გაგაშელი, პორტრეტი ისტორიული პიროვნებისა, “ლიტერატურული საქართველო,” 24-31 მაისი, 1996, 4.

⁴ ვასილ ბარნოვი, ისკანდერი, კრებული “რაინდი სული”, თბ., 1991, 434.

⁵ ქართული პროზა, ტ., XVIII, თბ., 1990, 331.

⁶ კ. გამსახურდია, ვასილ ბარნოვის “ტფილისის აჩრდილები”, თხზულებათა ანტომეული, ტ. 7, თბ., 1983, 489.

ამ დილით მეათასეჯერ შემოდიან ტფილისში, მაგრამ არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ კარაქი, კიტრი, ვაშლი, ყურძენი და ღუთმა ნესვი შემოაქვთ ტფილის-ქალაქის გაუმადარი კუჭის ამოსავსებად”¹.

ბარნოვის თხრობის მანერა ქართულია, ძველქართული, ნამდვილ-ქართული. მწერალმა “ძველი თუ ახალი ქართული პროზის გამოცდილებანი როდი იკმარა, ძლისპირნის, ფსალმუნთა თუ საგალობელთა, “ქართლის ცხოვრების” მელოდიები ჩაუფინა თავის რომანებსა თუ ნოველებს და გამოძერწა სრულიად განსხვავებული, საკუთარი, ახალი სტილი, წარუვალა ნიმუში, დიდი მაგალითი ახალი ქართული პროზისა, ახალი, მომხიბლავი”².

ბარნოვის პროზის გასაოცარ სიფაქიზესა და ლირიზმს კ. გამსახურდიაც უსვამს ხაზს: “ჩვენი საუკუნის ყურმილწვედნელ გნიაში ვასილ ბარნოვის სიტყვა იასა ჰგავს – ქარბუქისაგან ატორტმანებულ ტევრში მიყუჟულს”³. იქვე დასძენს, რომ ბარნოვს საკუთარი კოსმოგონია აქვს, საკუთარი მსოფლშეცნობა”, რაც ნათლად ჩანს მწერლის თხზულებებში და ქართულ კრიტიკაშიც ხაზგასმულია: “ღმერთი თვით სამყაროშია. ის მის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ხრწნადი, ნივთიერი არსებობა ეთეროვან არსებობაში გადადის, ეს უკანასკნელი – ზენივთიერში, ღვთაებრივში. ეს სიყვარულის შემწეობით ხდება (ამ ცნების ფილოსოფიური გაგებით). სამყარო ზნელი ქაოსი იქნებოდა, ბრმა ბედისწერას დაქვემდებარებული, რომ ყოვლისშემძლე სიყვარული არ ყოფილიყო, რომელიც მიწას და ზეცას აკავშირებს”⁴.

ვიოლეტა ცისკარიძეც აღნიშნავს ბარნოვის პროზის ამ არსებით თავისებურებას: “ბარნოვის ფილოსოფიური შეხედულებები ეფუძნება, ერთი მხრივ, ქართულ მითოლოგიას, მეორე მხრივ, იდეალისტურ მსოფლალქმას. მისთვის ღმერთი, კეთილი, ნათელი აბსოლუტი – არის სამყაროს პირველმიზეზი და საბოლოო მიზანიც. ამ ქვეყანას ღმერთი სიყვარულისა და მშვენიერების სახით ევლინება”⁵.

კონსტატირებული ესკიზია ქართულ კრიტიკაში ბარნოვის ნოველისტიკის რეფლექსიისა.

ბიბლიოგრაფია:

1. ბარნოვი ვასილ, რაინდი სული (მოთხრობები), თბ., 1990;
2. გავაშლი გურამ, პორტრეტი ისტორიული პიროვნებისა (ალექსანდრე ბატონიშვილი), “ლიტერატურული საქართველო”, 24-31 მაისი, 1996;
3. გამსახურდია კონსტანტინე, თხზ. ათტომეული, VII, თბ., 1983;
4. გამსახურდია კონსტანტინე, თხზ. ოცტომეული, I, თბ., 1992;
5. ქართული პროზა, XVIII, თბ., 1990;
6. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. V, თბ., 1985;
7. ქიქოძე გერონტი, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958;
8. ჩხეიძე ოთარ, ბარნოვი (ერი და ისტორია), თბ., 1989;

Nana Kutsia

Sokhumi State University

GEORGIAN WRITERS AND CRITICS ABOUT SHORT STORIES WRITINGS OF VASIL BARNOV RESUME

Georgian writers and scientists (Otar Chkheidze, Geronti Qiqodze, Violeta Tsiskaridze, Konstantine Gamsakhurdia, Guram Gavasheli) note about the outstanding Georgian novelist and short-stories writer Vasil Barnov (20th c.) by way of rendering the working of his characters` minds introduced in his works the so-called stream of consciousness technique recording the flow of their thoughts and sensations with all the complex associations attached to them.

More often than not these inner monologues are so deliberately erratic and so packed with allusions of all sorts as to be fairly incomprehensible to the general reader. In the writers texts naturalism is blended with symbolism to reflect national problems of the writer`s native country. The article reflects these issues.

¹ კონსტანტინე გამსახურდია, დიდი იოსები, თხზულებანი 20 ტომად, ტ. I (ნოველები), თბ., 1992, 169.

² ოთარ ჩხეიძე, ბარნოვი, თბ., 1989, 349.

³ კ. გამსახურდია, ვასილ ბარნოვის “ტფილისის აჩრდილები,” თხზ. ათტომეული, ტ. VII, თბ., 1983, 489.

⁴ გერონტი ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958, 326-327.

⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. V, თბ., 1985, 58.

რეალური და ირეალური სამყარო არჩილ სულაკაურის პროზაულ ნაწარმოებებში

არჩილ სულაკაური XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ. ამის დასტურია მისი შესანიშნავი პოეტური კრებულები, მოთხრობები, რომანები.

არჩილ სულაკაურის პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული თავისებურება სიზმრითა და წინათგრძნობით განპირობებული მოვლენების შესახებ თხრობაა, რომელშიც პერსონაჟთა ხასიათები უპირატესად მათ მიერ წარმოსახული ფანტაზიით წარმოჩინდება. მწერალი სათქმელს ხშირად ისე გვაწვდის, რომ მის „ამოსაცნობად“ დაფარული ქვეტექსტის ერთგვარი „გაშიფვრა“ გვჭირდება. ამ კუთხით საინტერესოა არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში სინამდვილისა და წარმოსახულის მიმართების საზღვრების დადგენა, მათი ურთიერთკავშირის მხატვრული ლოგიკა.

არჩილ სულაკაურის პროზაში ამბავი ისეა გადმოცემული, რომ ხშირად წაშლილია ზღვარი წარმოსახულ სამყაროსა და ყოფით სინამდვილეს შორის. პერსონაჟები ცხოვრობენ და მოქმედებენ როგორც რეალურ, ასევე თავიანთი ოცნებით შექმნილ, სიზმრისეულ გარემოში. აქ წარმოსახული რეალობას ენაცვლება, ავსებს, მისი გაგრძელებაა, ან პირიქით. ასეა ეს მოთხრობებში და რომანებში „ოქროს თევზი“, „თეთრი ცხენი“, „ლუკა“, „აბელის დაბრუნება“, „გაბო“ და სხვა.

სიზმრით ადამიანის ქვეცნობიერი სამყაროს გამოვლენის ფორმას არჩილ სულაკაური მიმართავს, როგორც ერთ-ერთ მხატვრულ ხერხს - განავითაროს სიუჟეტი ან გმირის ხასიათი ახალი კუთხით წარმოაჩინოს.

სიზმრის უცნაური ბუნების ახსნა სხვადასხვა მეცნიერთა კვლევა-ძიების საგნადაა ქცეული. „ვინ არ იცის - აღნიშნავდა, დ. უზნაძე, - რომ სიზმარში საოცარი ამბებისა და შემთხვევის მოწმენი ვხვდებით. იქ ემპირიულად შეუძლებელი და წარმოუდგენელიც რეალური სინამდვილის სახეს ღებულობს, იქ ყველაფერი ხდება და ხშირად ბევრი რამ ისეთიც, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის აზროვნებას. სურვილების-ნებელობის მოთხოვნილებების და მისდამი კრიტიკული დამოკიდებულების ნასახივ არ შემიჩნევა“ (უზნაძე 1958: 34). საინტერესოა, რომ ძველ ქართულ მწერლობაშიც აქცევდნენ ყურადღებას სიზმრის ბუნებას, მის არსს. იოანე პეტრიწი ასე აყალიბებს მიზეზებს, რომლებიც იწვევს სიზმრების ხილვას: „სამნი საქმენი სიზმართა გვაუწყებენ: პირველი იგი წმინდათა არს უწყება, ხოლო მეორე ეშმაკთა არს ბოროტი. და მესამე არს ნახსოვნი დღისისათა საქმეთა ხსოვნა, რაცა შემოთხვეოდეს ვის“ (პეტრიწი 1968). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სიზმარი „არს ძალი სულისა მშვიინგიერისაი და რა დაეძინოს სხეულსა, სული მშვიინგიერი და სული გონიერი არა მძინარე არს და სული გონიერი ზრახვენ თავსა შორის თვისსა და გონიერებითა განიცდის რაისცა“ (ორბელიანი 1993: 88). სიზმარი არჩილ სულაკაურის პერსონაჟებისათვის არის რეალობის ჩანაცვლების, მასთან დაპირისპირების საშუალება, სასურველი ორეული იმ გარემოსი, რომელშიც ისინი მოქმედებენ და ცხოვრობენ. მოთხრობებსა და რომანებში - „ოქროს თევზი“, „თეთრი ცხენი“, „ლუკა“, „აბელის დაბრუნება“, „გაბო“ და სხვა - სიზმარი და ხილვა საშუალებას აძლევს პერსონაჟს შეიქმნას ილუზია, რითაც დაუპირისპირდება იმ მიკროსამყაროს, რომელშიც დამაბულ ადამიანურ ურთიერთობებზე დამყარებული მოუწესრიგებელი ცხოვრებისეული გარემო.

ბერიკაცი - ძველი მემანქანე გაბო („გაბო“) სვანეთის უბანში მარტოდმარტო ცხოვრობს. მისი ერთადერთი იმედი პატარა შვილიშვილი გუგუტაა, რომელიც სუსტი ძაფივით აკავშირებს ამ სამყაროსთან მოხუცის სიცოცხლეს. გაბოს სიხარული და ბედნიერება წარსულში ჩარჩენილა, ამიტომაც მხოლოდ სიზმრისეულ ჩვენებებშია ბერიკაცი თავისუფალი, კვლავ ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე მოაგრიალეს ორთქმავალს, რომელსაც სამოცდაჩვიდმეტი ვაგონი აქვს გამოზმული, „გაბოს ტანგაუხდელს სძინავს, ძილში მატარებლები უხმობენ ისევ. გაბო, გა-ბო, გა-ბო? გაბრიელ? დაფეთებული წამოიჭრება და მიაყურებს. სახლი ზანზარებს, ფანჯრის მინები ზრიალებს. ეს უკვე ნამდვილი მატარებელია, ისეთი, თვითონ რომ დააქროლებდა ხოლმე ლიანდაგებზე. სივრცეში ორთქმავლის კივილისა და ბორბლების დგანდგარის ხმები დატოვა, ხმები საკვირველი სისწრაფით შორდებოდა ბერიკაცს და სადღაც შორს ინთქმებოდა - მძაფრი სუნი იგრძნო. დაგ-დუგ, დაგ-დუგ. გული უცემდა გაბოს... გზა მიეცით, მატარებელი მოდის, ძველი, ბებერი მატარებელი ქშენით, ქოთქოთით, დაგადუგით მოდის... მემანქანე სემაფორს გახედავს, დამეში მწვანე თვალი ანთია. გზა გახსნილია, მოდის დგან-დგარით, გრიალ-გრიალით... წინ დიდი სადგური ეგებება, ნათელი, მაღალი ბაქნებით ეგებება დიდი სადგური. გზა, ... გზა! მოდის ძველი,

ბებერი მატარებელი" ("გაბო")*. სიზმარი ბერიკაცს იმიტომ უყვარს, რომ, რასაც იგი ელტვის, მხოლოდ მისთვის მისაწვდომი, იქ მშვიდდება მისი დრამატული ვნებათაღელვა.

ასევე მრავლისდამტევი და ფსიქოლოგიურად დამაბულია ლუკას ფანტაზია ("ლუკა"). ნაწარმოებში მოზარდის ცხოვრება არ არის დატვირთული მარტოოდენ ირეალური განცდებით. იგი მოქმედებს, იბრძვის თვითდამკვიდრებისათვის, ისწრაფვის ახლის შეცნობისაკენ. რომანის ჩარჩო თითქმის იმეორებს ცხოვრებას.

ამდენად პერსონაჟი არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ ფიქრების, ოცნების გარემოთი გაუცნობიერებელი იმპულსებით. მწერალი მოგვითხრობს ამბავს, ისე, როგორც ეს სინამდვილეში ხდება. ამბის ქრონოლოგიური მდინარება არეგულირებს ნაწარმოების თითოეულ კომპონენტს. არჩილ სულაკაური საგანგებო ყურადღებას აქცევს სიუჟეტის განვითარების მოტივირებას, როცა ერთი მოქმედება მეორესთან მიზეზშედეგობრივად არის დაკავშირებული. მაგრამ, ხშირად, თხრობაში ამბის მოსალოდნელ განვითარებას წინ უსწრებს სიზმარი და ხილვა, როგორც მომავლის მაუწყებელი და მიმანიშნებელი. ასე, მაგალითად; ობოლ ბიჭს დედის სიმღერა ესმის:

“მოწყდა, მოეშვა, თავი საკუთარ მკლავზე მიასვენა. ოთახის სიღრმიდან სიმღერა მოესმა, ალბათ დედა მღეროდა:

“მოუხოხეთ, ბატონებო, ბატონებო, მოუხოხეთ...

ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ჰყენია”...

ლუკამ დიდი მწვანე მინდორი დაინახა, ყვავილებით მოფენილ მინდორზე თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი გამოჩნდა. თხის ჯოგში ერთი ლამაზი თეთრი თიკანი შეკუნტრუშდა და შეხტა” (“ლუკა”). ლუკას სიზმარი ერთგვარად წინასწარმეტყველებს იმაზე, რომ ბიჭის მომავალი სასიკეთოდ წარიმართება, მაგრამ ისიც მინიშნებულია, რომ ამ სიკეთემდე მისაღწევად მსხვერპლად შეწირვის, ტარიგის გზა ექნება გასავლელი. მწერალი ასახავს ობოლი ბიჭის განცდებსა და ღრმა დრამატიზმით აღსავსე ბავშვობის წლებს. ბიჭის მშფოთვარე სული თავშესაფარს ხშირად ირეალურ სამყაროში პოულობს. იგი თავს აფარებს სიზმრისეულ ზმანებებსა და ხილვებს, სადაც მისი პიროვნება თავისუფალი და ამაყია. ბიჭებთან ჩხუბის შემდეგ ლუკა წარმოსახულ სამყაროში ახორციელებს მას, რაც სინამდვილეში ვერ შეძლო.

სიზმარში დროის შეგრძნება გაუქმებულია, წუთში შეიძლება მთელი საათის სათქმელი ჩაეტიოს. საგნები ჰიპერტროფირებულია. ზოგი სიზმარი ისე შეარყევს პიროვნების ფსიქიკას, რომ მის მეხსიერებაში წლების მანძილზე ცოცხლობს. ამ მხრივ საინტერესოა დათო ნათიშვილის სიზმარი (“ოქროს თევზი”). იგი აშკარად შეიცავს წინასწარმეტყველურ მინიშნებას, რომლის ახსნასაც ავტორი მთელ რომანის მანძილზე ცდილობს:

“დათოს თვლელმა მოერია... ქუდეების მაღაზიაში მირიანი, ნიკო კორინთელი და დათო, რატომღაც, ერთად შევიდნენ. დათოსათვის ქუდი უნდა ეყიდათ... ნიკო კორინთელი მაინც შევიდა დახლში და ქუდეების გადმოლაგება დაიწყო. მერმე ყველა მათგანის მორგებას ცდილობდა დათოს თავზე. ყველა ქუდი პატარა იყო, ნიკო კორინთელი მაინც ახურავდა. დათო წვალობდა, იტანჯებოდა. ბოლოს სულ პატარა ზომის ქუდი ამოარჩია მირიანმა. ნიკომ ძალით ჩამოაცვა ეს ქუდი დათოს. ქუდი შუბლსა და კეფაზე უჭერდა, სუნთქვა აღარ შეეძლო, თანაც ტკივილის გამხელა აკრძალული ჰქონდა”. ცუდად აუხდა დათო ნათიშვილს ეს სიზმარი. ნიკო კორინთელმა ათასგვარი შემოვლითი გზებით სცადა დათო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, „თავისი ქუდი მოერგო მისთვის“, მაგრამ დათო დროზე მიუხვდა ავკაცობას და ჩამოიშორა.

მწერლის პოეტური ბუნების თავისებურება სიზმრის თხზვაშიც ვლინდება. სიმბოლოებითაა დატვირთული პატარა ბიჭის სიზმარიც მოთხრობაში “ბიჭი და ძაღლი”.

მოთხრობაში აღწერილი სიზმრით არჩილ სულაკაურმა კარგად გვიჩვენა პატარა გიას რთული ურთიერთობა გარესამყაროსთან, მისი ბრძოლა გადარჩენისათვის. აქ სიზმარი სუბიექტის, სიზმრის მნახველის ცნობიერებითაა შექმნილი და გარკვეულ ბიძგს იძლევა სიუჟეტის შემდგომი განვითარებისათვის. არჩილ სულაკაურის პერსონაჟების მომავალი ბედი უმეტესად სიზმრებითაა გაცხადებული. ამ გზით მწერალი ახერხებს ნაწარმოებში ემოციური მუხტის შენარჩუნებას, რითაც დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ყოველივე ეს კი აშკარად ანიჭებს მის პროზას პოეტურ ელფერს, მაღალმხატვრულ ღირებულებას.

ყველა ზემოთ დასახელებული სიზმარი თითქმის დასრულებული, ცალკე ამბავია, რომელიც სიმბოლოებითაა დატვირთული. სიზმარში ნანახი საგნები, განცდილი ამბები მეორდება პერსონაჟის ცხოვრებაშიც, ამიტომ იგი მომავლის წინასწარმეტყველებაა; მაგრამ ზოგჯერ პიროვნებას არ ესმის

* აქ და სხვაგან არჩილ სულაკაურის მხატვრული ტექსტების ციტირებისას, დავასახელებთ მხოლოდ ნაწარმოების სათაურს.

ხილვის იდუმალი ენა, ვერ იგებს განგების საიდუმლო ნიშნებით მეტყველებას, სიზმრის სახით ნაწინასწარმეტყველები მომავლის შესაცნობად მისი გონების კარი დახშულია, იგი რეალობის ტყვეა.

არჩილ სულაკაურთან სიზმარი არის შემაერთებული სამსჯავლი წარსულსა და მომავალს შორის. სწორედ ასეთი სიზმარი იხილა მოთხრობის - “ჟამი დასვენებისა” - გმირმა გურამმა. მოთხრობაში აღწერილი სიზმარიც პერსონაჟის მომავლის აშკარა წინასწარმეტყველებაა. ამავე დროს სიზმარში განფენილია გურამის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნათა და ლტოლვათა საფუძველზე შექმნილი განწყობილებანი. მთავარი გმირისათვის სიზმარში ნანახი მდგომარეობა მისთვის სასურველია და მისაღები. საგულისხმოა, რომ სიზმარი, გარკვეული ინდივიდუალურობითაც არის დადგასმული. იგი ხელს უწყობს პერსონაჟის ხასიათის გახსნას - მიუთითებს მის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა სიზარმაცე, უმოქმედობა, ცხოვრების სრულიად არცოდნა და ზოგჯერ გულუბრყვილობა. აღსანიშნავია, რომ: “სხვადასხვა განწყობის აღმოცენება ჩვენში მაშინაც ხდება, თუ დღის განმავლობაში ჩვენ ვღებულობთ ძლიერ ან მრავალჯერად შთაბეჭდილებებს და ამ ძლიერი შთაბეჭდილებებით განმტკიცებული განწყობილების მოქმედება შეიძლება თავისთავად ხდებოდეს არა მხოლოდ სიფხიზლეში ოცნების სახით, არამედ ძილის დროსაც, სიზმარში. საქმე ის არის, რომ განწყობა გარკვეული აქტივობისათვის შინაგანი მზაობაა, რომელიც ძილის მდგომარეობაშიც შეიძლება იყოს შენარჩუნებული და სათანადოდ მოქმედებდეს კიდევ” (უზნაძე 1958: 123).

თითოეული სიზმარი, რომელიც მწერლის მიერ ნაწარმოებებშია აღწერილი. გარკვეული მხატვრული მიკროკომპოზიციის მქონეა, რადგან გააჩნია თავისი მცირე სიუჟეტი. არჩილ სულაკაურს თავის მოთხრობებსა და რომანებში შემოჰყავს ისეთი პერსონაჟებიც, რომლებსაც თავიანთი კონკრეტული მხატვრული მიზანდასახულობა გააჩნიათ - იდუმალების ნიშნით არიან აღბეჭდილნი. ასეთნაირნი არიან საბა და ანანო რომანიდან “თეთრი ცხენი”. ბერიკაცი ანანოს შესახებ ოზოს ეუბნება: “ეგ დედაკაცი გულთმისანია, სხვა წყალი აქვს გადასხმული”. ოზო, რომელიც სიტყვა “გულთმისანს” ზღაპრული გმირების გაზვიადებულ ეპითეტად მიიჩნევდა, დაფიქრდა, რადგან “ეს უცნაური სიტყვა ეხებოდა რეალურად არსებულ ადამიანს”. “სხვა წყალი აქვთ გადასხმული”, აგრეთვე, ჯორჯაძეს და ბოგდანას რომანიდან “ლუკა”.

სიზმრები, ბავშვური წარმოდგენები, სულით ავადმყოფი პერსონაჟების ხილვები არჩილ სულაკაურის ბელეტრისტიკაში გამოხატავენ ადამიანებისათვის ჯერ კიდევ ბოლომდე მიუწვდომელ ქვეცნობიერ ლტოლვათა დაბინდული სიღრმეების იდუმალების მშვენიერებას, გადავიწყებულ, მაგრამ პიროვნების ინდივიდუალობის განმსაზღვრელ მძაფრი ვნებების სილამაზეს. ასეთი რიგის მშვენიერება და სილამაზე აზრსა და ძალას აძლევს, საერთოდ, ადამიანთა არსებობას და, საერთოდ, ცხოვრებას. პერსონაჟთა არაცნობიერი ფსიქიკა ინახავს პირველყოფილ, უცოდველ და მითოსურ წარმოდგენებს, სიცოცხლის განცდის არაჩვეულებრივ უნარს, რითაც მწერალს გადავყავართ თანამედროვეობიდან მითოსურ სამყაროში.

ლიტერატურა:

1. სულაკაური ა., მოთხრობები, რომანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975;
2. არჩაძე ლ., იყო და არა იყო რა (არჩილ სულაკაურის შემოქმედება), 16-23. IV. 1999;
3. სულაკაური ა., მოთხრობები, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1986 ;
4. სულაკაური ა., შემოდგომის მზე, ლექსები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985;
5. სულაკაური ა., ლირიკული საუბრები, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1990;
6. გაჩეჩილაძე გ., სამი სილუეტი, „ლიტერატურული საქართველო“, 1986;
7. გვერწითელი გ., ტრადიციულობაც და სიახლეც, „მნათობი“, №9, 1981;
8. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი., სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე), წიგნი II, გამომცემლობა „ნეკერი“, 2010;
9. უზნაძე დ. შრომები. II ტ. გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ., 1958.

Maia Melanashvili

Sokhumi State university

THE REAL AND THE SURREAL WORLD IN ARCHIL SULAKAURI PROSE WORK RESUME

One of the most important literary features of Archil Sulakauri prose is a narration of events, stipulated by dreams and premonition, where the character and nature of the personage are introduced mostly by their imaginary fantasy. The author often gives us information in such a way, that in order to understand it, the subtext needs decoding.

From this point of view, it is interesting to determine the limits of connection between the reality and imagination in the works of Archil Sulakauri, to spot the literary logic of their interrelation.

In the prose of Archil Sulakauri, the story is often told in such a way, that the border between the imaginary world and everyday reality is wiped off. The characters live and work both in the real world and in the dreamy atmosphere, created by their dreams. Here the imaginary is replaced by the reality, fills it up, works as a continuation to it, or the other way round. The same happens in the stories and novels “Golden fish”, “White horse”, “Luka”, “The Return of Abel”, “Gabo” etc.

Archil Sulakauri appeals to one of the literary methods, particularly he addresses to the form of revealing the subconscious world of a person by means of dreams, in order to develop the plot, or to show the character's disposition from the different point of view.

Dreams, childish imagination, insane people's dreams in the belles-lettres of Archil Sulakauri express the inaccessible subconscious longing for the beauty of the mysteriously blurred depth, they express forgotten, but the beauty of strong temptations, that defines a person's individuality. Such kind of delight and beauty give sense and power to the existence of humans, and generally, living. The unconscious mind of the characters keeps primitive, innocent and mythological images, unusual ability to feel the life, and the author takes us from the present time to the mysterious world.

ციალა მესხია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარტოობის ტაძარი

დათა გულუას პოეტური კრებული „მე მაინც მიყვარს“ (გამომცემლობა „პეტიტი“, თბ., 2009) უჩვეულო მოვლენაა ჩვენს სალიტერატურო სივრცეში... წიგნის უზენაესობითა და ქრისტიანული რწმენით ნასაზრდოები მზეჭაბუკის დაფრთიანება ბედნიერად მიდიოდა. ლამაზი ბავშვობით, უმანკოებით, ფერად ზღაპრებად. სკოლის უკანასკნელმა წარმატებულად დაიწკრილა: „გემშვიდობები ყრმობის აკვანო, და სიჭაბუკე შენ ალავერდო!“... და ცხოვრების გზაზე სულ მალე სტუდენტს (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი) დახვდა კარიბჭე, გზა მამაცთა და მამიებელთა. უფალმა ოქროს კალამი უბოძა მზეჭაბუკს, გადიოდა ლამაზი დღეები, თვეები და „კეისარს კეისრისაო“ და „კახაბრული კახაბერსო“. ბევრი გასახარ-საამაყო ჰქონდა. ღრმად ჰქონდა შესისხლხორცებული ის, რომ ცხოვრებას თვალი თუ მოუხუჭე, ვერ გაივლი, უგულოდ ფიქრიც არ შეიძლება, მას კარგად ესმოდა ისიც, რომ ცხოვრებას ხელით სატარებელი ადამიანი არ უყვარს და არც მოცდა! „...ყოველთვის მოცდას ვუცდიდი, ნეტამც არ მომეცადა“ (დავით გურამიშვილი). დათა იტყვის: „მე კი ძვირფასო, გამაწამებს მტარვალს მოცდა, მოცდა, რომელიც თან მოიტანს ღამეთა ხეთქვას“.

დათა დრო-ჟამის უმშვენიერესი ქმნილება იყო. ნატიფი და დახვეწილი გემოვნება, ნამდვილი გრძნობები და ემოციები გამოარჩევდა პოეტს, რომელსაც გაგვიყვებოდა უყვარდა „ის სასწაული, თეთრი კვიცივით უცებ რომ გარბის“.

ბევრი მისი სტრიქონი ფრთიან ფრაზასავით გამახსოვრდება. „აკი მარტოდენ მდიდარ სულიერ სამყაროში იზადება მელოდია, რომელიც შემდეგ ლექსის სახით განსახიერდება“ (აკაკი გაწერელია).

„და გთხოვ, პოეზია, ნუ მიმატოვებ, კაბადონს ნუღარ მოსტაცებ მზეს“- მერამდენედ გიწივის ყურში, და, ნათლად გრძნობ რომ დათა ნატიფი გემოვნების პოეტია, სულის არისტოკრატი, რომელიც რაღაც საოცარი სიმშვიდით, მაგრამ აბორგენული გულით გვაწვდის საკუთარ სულში არსებულ სამყაროს და პოეტური ჭეშმარიტებით ცდილობდა დაეცხრო ჩვენი დღევანდელი სატკივარი... დათა გულუა ნ. ბარათაშვილის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის და ნიკო სამადაშვილის პოეტური მემკვიდრეა თავისი ნიჭითა და ტრაგიკული ხვედრით... ეს მის პოეზიაშია მარტოობის ტაძრები, ორღანის სევდიანი ჰანგი და პოეტის სასოწარკვეთილი, მაგრამ შემართული ხმა: „ვინ მომპარა მზე“... რა მართებულად ბრძანებს დანტე ალიგიერი: „რადგან რამდენადაც სული ჩემი უზადო ქმნილა, იმდენად უფრო მაცისკროვნებს ნათლის სამოსი“ (დ. ალიგიერი, 1941, 322-20).

დათას პოეტური სახეები და სიყვარულით ათრთოლებული გულის სიმები ჩვენს წინაშე ფართოდ აღებენ კარებს დაელექტრონებულ წამში. მეჩვენება, თითქოს მასში დრო კარგავს თანმიმდევრობას, -

გუმინ, დღეს, ხვალ მოკლებულნი არიან მნიშვნელობას, თითქოს ჩამოზღვავდებიან გონებრივი ტაძრის კედლები, დრო და სივრცე ეხუტებიან, ეხლართებიან ერთმანეთს და ჩვენს ფეხქვეშ ფენენ ცოცხალ ხალიჩას, რომელიც გვეფერება ათასხელება ბალახით და რომელიც ათასთვალეობა წყლით გვამშვიდებს. ლექსი დათასთვის სიყვარულის დარად აქტია, რომელშიც დაბადება და სიკვდილი თანხმობაშია და ერთსულ და ერთხორცქმნილნი გვევლინებიან. „ლექსი ესაა სულთან განხორციელებული სიყვარული, დარჩენილი სურვილად“ (რენე შარი), ხოლო პოლ ვალერის სიყვარულისა და პოეზიის მსგავსებაზე ამბობს: „შენ სამყაროს აძლევ ყოველთვის ერთსა და იმავე სხეულს, შენი სხეულის შენა ხარ მსგავსი“.

დათა გულუას პოეზიაში ყველაფერი ამაღლებულია, ღვთაებრივი და უმწიკვლო. მარტოობის ტაძრის კარებზე კი მუდამ სიყვარულის ბოქლომი ეკიდა... ის გახლდათ ბედის მაძიებელი პოეტი, მაგრამ ვერა და ვერ პოულობდა გასაღებს, რომელიც თავად მის სულიერ სამყაროში ეგულებოდა. „აღარ დამისხათ, ღვინოს არ დავლევ, რადგან თასები გაბზარულია, მე ვეძებ ჩემი ბედის გასაღებს, რომელიც ჩემში დაკარგულია“ („უსწორმასწორო გზები“...). აქაა უმშვენიერესი ოცნებები, ათრთოლებული გული, სპეტაკი და მშვენიერი ქალწულის ნაზი გრძნობა. მისთვის სიყვარული ადამიანური გრძნობის უმაღლესი გამოხატულებაა. მზეჭაბუკი პოეტი გამუდმებით მზის სხივებით დაწნული გვირგვინით, ხელში სიყვარულის თასით იდგა მეგობრებს შორის და პოეზიით ათრთოლებული, გულით ჩურჩულებდა: „ძილის დროს ღამე ქსოვდა განედებს ამ სიყვარულის მბრუნავ გლობუსზე და მუდამ სიზმრად, სიზმრად გამეფებ, როცორც სიმები მეფობს ჩონგურზე“ („შენამდე“).

ჭაბუკის უსპეტაკესი გრძნობებით სავსე გულს სჯერა, რომ სატრფოს „თვლების ბორდო ვარდები გზიდან ჩაჩეხავს სიკვდილის ურემს“, რამეთუ ეს სამყარო დიადია სიყვარულით, რომლითაც მოწყალების გამო შენისა ბრწყინავს და იწვის იგი, ვითარცა მარადიული შუადღე“ (ნ. ავგუსტინე, 1990, 15-16).

დათას ოცნება გლობალურია, შეიძლება ხშირად აბსტრაქტული, ყოფა ხომ კონკრეტულ საგანთა ერთობლიობაა. სწორედ ყოფა, ჩვენი მწარე სინამდვილე ეუბნებოდა პოეტს ბევრ რამეზე უარს და მისი ოცნებები და სურვილებიც შიშველი ეკლებით იკაწრებოდა „საგანთა უარით“, ოცნებებისა და იმედების მსხვერვეთ, რომელიც მას არ ეძლეოდა. ხშირად კი არა, უფრო მეტად მისი ოცნებები და იმედები იმსხვერუდა და დათა მაინც ხატებით, პოეტური ხატ-სახეებით აზროვნებდა და ფიქრობდა. თუ ჩავუღრმავდებით მის ყოფით სამყაროს, შევამჩნევთ ერთი შეხედვით უცხო და ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუთავსებელ ფრაზებს. მაგალითისთვის მინდა შემდეგ სტრიქონებს მოვუხმო: „ცას ჩამოენგრა ღრუბელთა კიბე, თითქოს ცელავდი გრძნობების ზვინებს. მახსოვს, მარადის ტკბილი ich liebe როგორ ძერწავდა მომავლის ცვილებს და ტყვიას, ეულს, როგორ ეძინა ღულაში გაჩრილს, საფანტის საბნით, როგორ სცვიოდნენ თმები კეფიდან, როგორ სკდებოდნენ ვარდები კანით...(„ich liebe, ანუ წარსული ნირვანა“).

პოეტის მეხსიერებას არ ძალუძს წაშალოს ტკბილი განცდა იმ გრძნობისა, რასაც ich liebe, „მე შენ მიყვარხარ“ ჰქვია. „მზეჭაბუკ პოეტს, როგორც მარადიულ სიყვარულთან წილნაყარს, მართლაც შეეძლო სატრფოს შვერილ ღაწვზე დამდნარი ამბორი შხამად წარმოედგინა და აქვე პოეტურად მიენიშნებინა ტანალეწილი იანვრის ნაძვის მარადიულობაზე და ხმელ ფოთოლთა ვალსის ჩქამით გამოეხატა თავისი განცდები გადაჯაჭვული იმედთან, უკეთესის მოლოდინთან და კეთილი ფიქრების დაგვირგვინებასთან (ც. მესხია, 2012. 10-12).

დათა გულუა გრაალის მცველ ერთ-ერთ რაინდად მესახება, ჭეშმარიტებაა ის, რომ გრიგოლ რობაქიძის რომანში „გრაალის მცველნი“ თასის მცველებად მწერლობის, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლები, სულიერი ინტელექტუალურობით გამორჩეული ადამიანები გვევლინებიან.

გრაალის საიდუმლოებაში ჩაწვდომის დაუმცხრალი სურვილით გულანთებული პოეტი თავის ნაფიქრ-ნაგრძნობს გულწრფელად გაგვიმხელს: „სულთა მღვიმეებს აკლდა კანტანტა, ლექსის ქსოვილში სიტყვის ნეკნები, მე დამისველდა გუმინ ბალადა ცრემლით, ხის ტკბილი, თეთრი მერქნებით („სველი ბალადა“). -აქ ცხადად იკვეთება ჭაბუკი პოეტის სულიერი ტრაგიზმი, რომელსაც მთელი სამყარო გარემოუცავს. ხის ტკბილი, თეთრი მერქნები კი სულისშემძვრელი სიმბოლოა ყოველი სულიერისა, რომელიც ოცნებების დრამატული სინამდვილით აზორგებულ განცდას უკავშირდება.

დათა გულუას სათნო, უკეთილშობილესი ბუნება და უნატიფესი სული ზედმიწევნით ესიტყვება იმ ზნეკეთილობას, იმ ზეაწეულ პათოსს, რომლითაც გამოირჩევა ჩვენი პოეზია, ამიტომაც მის ლექსებში სულისშემძვრელ განცდებთან და გრძნობებთან ერთად შინაგანი წონასწორობის უიშვიათესი ნაკადიცაა და საღ ემოციათა უჩვეულო მუხტი იგრძნობა. ის მტკიცე ნებელობით, საოცარი მიმტვევლობით იძირება ბიბლიაში, ღმერთისაგან ბოძებული ზეციური ჰანგებით იოკებს „სევდის ბჯღალით“ გასენილ გულს.

„ქრისტიანი ხელოვანის ხატოვანი აზროვნება ხშირად მისტიკურ სფეროში შედის, ქართული ჰიმნოგრაფიებიც სესხულობენ მოტივებს ქრისტიანული მისტიკის საგანძურიდან, რადგან ესთეტიკური აღქმა ახლოს დგას ბავშვის გულუბრყვილო ხედვასთან, სამყაროს მითოლოგიურ აღთქმასთან, რელიგიურ ცდასთან“ (ფარულავა, 1982, 68-18).

დათა გულუამ ერთხელ და სამუდამოდ შეისისხლხორცა ნიკო სამადაშვილისეული სახე-სიმბოლოების ელვარება, პოეტური ფერების სიმფონია. ჰოდა, ჩემი ღრმა რწმენით, არის რაღაც უთვალავ-ალეგორიული, ეკლესიური თუ საერო, ისტორიული და ყოფითი სურათებიც, ცისა და მიწის კავშირი, სიცოცხლის, სილამაზის, სიკვდილის მშვენიერების განცდა საერთოა ორივე პოეტისათვის.

ცნობილი ფაქტია, რომ 1987 წელს, 13 თებერვალს, გამართულ ნიკო სამადაშვილის სადამოხე ზვიად გამსახურდიამ მისი შემოქმედება ნიცშეს ლექსებს შეადარა, ხოლო ირაკლი კოსტავამ არაჩვეულებრივი ლექსით მიმართა სევდის პოეტს: „რა კაციც იყავ, რითი ცოცხლობდი, მე არც კი ვიცი, ჭიხვინებს ლექსი, გაუხედნავი ველურ კვიციცით“.

როცა დათაზე საუბრობ, არ შეიძლება ნ. სამადაშვილის კრებული „წუთისოფლიდან უკვდავებამდე“ არ გაგახსენდეს, საიდანაც მგოსნის ყრმობისდროინდელი ლექსი შემოგანათებს: „პირველი თრთოლვა, როგორც შარბათი, ეტიდან ეტში იების გუბე, დილით თავის ქვეშ სველი ბარათი, რად მწერდი. ლექსი რად დაიღუპე. ფხიზლობ, დადიხარ, ძილში ირევი, ვკვირობ, ეგ ცეცხლი რად დაგეტია, რამდენი კაციც ცხოვრობს მიწაზე, ქვეყნად იმდენი საგიჟეთია“.

ასეთივე ტკივილით შეწუხებული დათა წლების შემდეგ გულიდან ამოხეთქილი სტრიქონებით შეეხმანება მისი ბედისწერის პოეტს: „მე მაგონდება თოვლის გუნდები, გამკაცრებული დღეები ზამთრის და დაფერფლილი გრძნობები ნაცრის. მე წამოვვარდი დილას შლეგივით, ავადმყოფივით მივვარდი საწერს და ამიხველდა ლექსი ჭლექივით, უსიყვარულოდ თვით ისიც არ წერს“.

დათას ლექსები ნიკო სამადაშვილის პოეტური სტრიქონებივით საშუალებას აძლევს მკითხველს გაიაზროს მგოსნის პათოსი, მისი სევდიანი განწყობილება და გაითავისოს მისი ტკივილები. ნიკო სამადაშვილი და დათა თითქოს ერთი სხეულის ნაწილებია, ბევრი რამაა მათ შორის საერთო და, რაც მთავარია სიყვარული, სიყვარული სიცოცხლისა, სიკვდილის უმშვენიერესი დღესასწაული და ჭეშმარიტი პოეზიით გატაცება.

როცა დათას სტრიქონები „და ამიხველდა ლექსი ჭლექივით, უსიყვარულოდ თვით ისიც არ წერს“ წავიკითხე ნ. სამადაშვილის სტრიქონები ამოტივტივდა ჩემი გონებიდან: „შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს და ღვთისმშობელი აკვანს“ ან კიდევ „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამოწყარო“.

და ისევე როგორც ოქროსფერი შემოდგომა (რომელიც ხშირად ნ. სამადაშვილის სულში ფორიაქს იწვევდა) თავისებურად ახალი დროა წლისა და თავს უყრის წინარე დროის ხვავსა და ბარაქს, ასევე დათას პოეზია შედეგია მისი ბედის წინამორბედების ტერენტი გრანელისა და ნ. სამადაშვილის დამამშვრალი ღვაწლისა ქართულ პოეზიაში.

და მაინც, დათას ხელწერა საოცრად ორიგინალურია და სრულიად განსხვავებული, სამყაროსთან დამოკიდებულება იდუმალებითა და კრძალულობით გამორჩეული. აი თუნდაც: „გრუხუნი, ელვა, მძიმე ბელტები, დღეს ალიონი კვლავ ძუ მგელია, სამარეებზე დგანან კელტები, გულის ტაძარში თვლემს ოფელია... და ჩვენი სულნი შეშად აწყვია თვით ეკვატორის ცეცხლის განედზე, და დღეს ხომ კვართად ომი გვაცვია, პლანეტას აწვიმს სისხლის მალეზე“.

ეს ლექსი მწვავე ნოსტალგიაა წარსულზე, ბედნიერ ცხოვრებაზე. მის პოეტურ თვალს შეუნიშნავი არ რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვით გამოწვეული სევდა და სულის ტკივილი. დათას ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ ძმათა შორის ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ომის მიზეზით წინაპრები იმ ქვეყანაში მეორედ კვდებიან, ხოლო უფლის ხმასა და სიჩუმეში ცრემლი და ვაება მატულობს. ძმათა შორის ატეხილი ბრძოლისას უფალი არც ერთს არ ემხრობა და ამიტომაც ორივე მხარე წინასწარაა განწირული. ძმების სისხლით აფორაჯებული ბრძოლის ველზე ერთადერთი გამარჯვებულია იუდას შორეული მემკვიდრე, ანუ ბოროტება, უღმერთობის ბნელ ქვესკნელში შობილი ძალა, რომელმაც ერთი ქვეყნის შვილები ერთმანეთის მკვლელებად აქცია.

მზეჭაბუკი დაუფარავად ამბობს: „ხვალ ვატერლოო? იქნებ, მარაბდა... სივრცე, მშრალია, დევებო, მშრალი, ჯვარს აცვეს ქრისტე, დარჩა ბარაბა, გრაალთ სისხლია, წმინდანთა ჟღალი“ („სველი ბალადა“).

მზეჭაბუკმა კარგად იცის, რომ გრაალი ქრისტეს სისხლის, უკვდავების სასმელის შემცველი თასია. წმინდანთა ჟღალით დასერილი სხეულიდან სისხლი მოთქრიალებს. ვინც ამ სითხეს მოსვამს, ყველა ცოდვა მიეტევება, ცოდვილნი ამ თასს ვერ დაეუფლებიან.

აკაკი ბაქრაძე წერილში „ბრძოლა გრაალისათვის“ აღნიშნავს: „ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა და იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს... მწერლობის ამოცანა კი ის არის დაეხმაროს ხალხს გრაალის დაცვაში“.

ქართული მწერლობის ისტორია 1921 წლიდან ერთი მხრივ არის ბრძოლა გრაალის დაცვისათვის და მეორე მხრივ ბრძოლა გრაალის დანგრევისათვის“. (ა. ბაქრაძე, 1969, 920-18).

ზვიად გამსახურდიას აზრით, გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი სულიწმინდით განსჭვალული ადამიანი“. (ზ. გამსახურდია, 1990, 240-25).

ვინ იცის, იქნებ მზეჭაბუკი პოეტი მარტოობის ტაძარში ხედავდა ამ სასწაულომოქმედ გრაალს, რომელშიც უფალი სასწაულებს ახდენდა და კარნახობდა იმ ლამაზ აზრებს, რომლებიც გულიდან გამონაჟურ სისხლიან ნაფლეთებად, პოეტურ სტრიქონებად იღვრებოდა ქაღალდზე.

ყოფნა-არყოფნის გაუსაძლისი ტკივილებით თავზარდაცემული პოეტი ფიქრით დაეხეტება ქაოსის ტევრში. როდის დასრულდება ნეტავი ეს საბედისწერო ფათერაკებით დანადგმული სავალი, როდის გამოჩნდება ახალი ნაპირი უდაბნოდ ქვეული სამოთხისა, როდის მოუშუშდება სიხარულს დამსხვრეული ფრთები, უიმედოა გაურკვევლობის ბურუსში მოხეტიალე პოეტის გული და გონება: როდის განათდება ქვეყანა ბოროტების მძლეველი სიკეთის ზეიმით?... უიმედოა. გაურკვევლობის ბურუსში მიმავალთა გული და გონება, და პოეტს მწარედ აღმოხდება „არც სიყვარულს, არც სიხარულს არ ჰქონიათ ერთი ზეცა. ღმერთო, მითხარ, რად წავიქეც? რად გამფანტა მოდგმის მხეცმა... („არც ცეზარს, არც ბრუტუს“).

პოეტი კარგად ხედავს იმ ჯოჯოხეთურ საფრთხეს, რაც ცხოვრების გზაზე ემუქრება, მაგრამ მაინც სჯერა სასწაულის, სევდიან სამყაროში ერთი ყვავილი რომ ენთოს, უფალი ამ ერთადერთი უკანასკნელი ყვავილისაკენ მოახედებს ცოდვილ ქვეყანას და თავადაც მედგრად გაუმკლავდება მითურ ურჩხულებს სცილასა და ქარიბდას. ამგვარი გრძნობების გარეშე, ალბათ, ასეთი სტრიქონები არ დაიწერებოდა: „უფალო, ერთო, ძლიერო, მთელო, უზენაესო ზღვათა და ცათა, შემინდე ჩემი ცოდვანი, ღმერთო და დამაბრუნე შენს მზისფერ ფართან“.

და კიდევ ერთი ლექსი-გალობა ფიქრისა და გულის აღსარებისა, მხურვალე ლოცვა უმანკო სულისა: „გადაგვირჩინე, ღმერთო, სულები თავზე გვენგრევა სიცოცხლე, ხედავ? მხოლოდ ვისაც გვწამს შენი სინათლის, დავრჩით ჭაობში სიწმინდის გედად“. („გადაგვირჩინე ღმერთო სულები“).

ჰოდა, „თუ ფიქრობ ისეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არ ჰქონდეს, ისეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო, მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთისოფლისა, დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან, სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა. უყურე გულგრილად, ამაყად და გწამდეს, რომ ისინი შეურჩენელნი არიან“ (ი. მეუნარგია, 1842, 30-32).

ნ. ბარათაშვილის ეს სტრიქონები გამახსენა დათა გულუას პოეზიამ, არა მარტო იმიტომ, რომ ისიც ძალიან ახალგაზრდა, ჭაბუკი გამოეთხოვა წუთისოფელს, არამედ იმიტომ, რომ ისიც სიკვდილ-სიცოცხლის, შუქისა და ჩრდილის, ირეალურისა და რეალურის სამანზე ცხოვრობდა... ნ. ბარათაშვილის ზღვარდაუდები გაქანება, ანუ მიზანსწრაფვა მოუთმენელი გონებისა, ცდილობს კაცობრიობის მზიანი დილის ადრე გათენებას. ამ მოუთმენლობაში, გაქანებაშია მისი გენიალობაც: პოეტი თავისი სულისკვეთებით უსწრებს ჟამთა სვლას და სახავს ადამიანის მომავლის, მისთვის ნაკლებად ნათელ, მაგრამ არსებითად რეალურ გზას (ზ. კილანავა, 2009, 269-9).

დათას სულის სიმაღლე, მისი მისტიურობა, იდუმალეობა, სიცოცხლის გაქრობის მრუმე ფიქრები აირეკლა ლექსში „რექვიემი“. ამოუწურავია ამ ლექსის ქვეტექსტები, რომელთა სიღრმეს ქვეცნობიერად იგრძნობს გემოვნებიანი მკითხველი. გარდაუვალ სიკვდილზე ფიქრმა დაბადა უმშვენიერესი პოეტური სტრიქონები: „და ის საფანტი, ჩემს გულზე, რომ მოსულა ნუშად, იყო გარდასვლა შემოდგომის თეთრი ღამესი, დაღწილი მაქვს თვალის ჭრილში საცქერი შუშა. და სიყვარულო, შენ ყოფილხარ ჩემი დანტესი“.

დათას მთელი ცხოვრება სიყვარულისა და სიძულვილის ჭიდილია, ცის და მიწის გამთლიანების ცდა. უღვთო ჭიდილი საკუთარ თავთან. ზომაზე მეტად სახრის გადაჭირება საკუთარ მხრებზე. ზემთაგონებაზე მიყურადებული პოეტი უკვდავების ნაპირს ეძებდა, სიხარულსა და აღტაცებას პოეზია ანიჭებდა: „მომაქვს თამარის ბაჯალლო კუბო და ტაჯ-მაჰალის თეთრი ლოდები. მე უკვდავებას ვეძახი უფრო, ვით ბეთჰოვენის ლურჯი ნოტები დო... დო... ლა.. ლა.. („ადამიანნო გამიღეთ კარი“).

აი ასეთი სიკვდილია დათასთვის სულის დღესასწაული. აქა პოეზიის მშვენიერებაც და მარადიულობაც.

დათა ჩვენთვის ყოველთვის დარჩება „სწრაფვად შინაგანი ამბოხისა, თვით ჩვენი საკუთარი თავის ახლად აღმოჩენისა და გონების ნიშნად. ეს ნიშანი დათას მზის ტაძარია, რომლის გუმბათზე დაცურებული მზის სხივები მიგვანიშნებენ თუნდაც სულ ერთი წამით ჩავწვდეთ მზეჭაბუკი პოეტის შინაგან სამყაროს...“ (გ. მესხია, 2011, 16-26).

დათას პოეზიაში ყველაზე მძაფრადაა სულის სილამაზე გამოხატული. აკი ლამაზი სულის ფრთებითაა შესაძლებელი დედაცაში შეღწევა, ნათელი ფიქრებით შემოსილი პოეტი ხედავდა ასტრალურ ორეულებს, სულს, სიცოცხლის დასასრულს, სიკვდილის აჩრდილს და მარადისობის მიზეზს ეთაყვანებოდა. ელტვოდა მთელ კოსმიურ სამყაროს და მისთვის ეს იყო სილამაზის დაუშრეტელი წყარო,

ამიტომაც მისი სული სიზმარშიც მოგზაურობდა და ნეტარებით სვამდა გაზაფხულის მათრობელა არომატს, წებოვანი კვირტებისა და გაფუებული მიწის, ლურჯი ია-იებისა და ყოჩივარდების სურნელს და სულგანაბული მიაყურადებდა სამყაროს დიადი ქოროს ჰარმონიულ ხმებს...“ (ც. მესხია, 2012; 65-45).

თვრამეტი წლის მზეჭაბუკმა ეკლიან გზაზე წამების წერით იარა. მისი პოეზია ჭაბუკური სულით ნაგები ტაძარია. ისეთივე იგავმიუწვდომელი და ძვირფასი, როგორც მისივე წმინდა განსასვენებელი ადგილი ნარიყალას ეკლესიის ეზოში. ეს მის პოეზიაშია ცრემლიანი გოდება, სასოწარკვეთა, მარტოობა, მოპარული მზით გამოწვეული სულიერი ძრწოლა და სულიერი განცდები. და მაინც, ტკივილამდე განცდილი ქართული ყოფა, გათითოთკაცებული საქართველო და ქართული ხასიათები.

დათას ხილვები ღვთის რჩეულის ხილვებია, რომლებიც კაცობრიობის ნათელ მომავალზე მიგვანიშნებენ: „დაფრინდნენ მერცხლები გვერდით, იდუმალ ფრთებს ჩუქნიან ერთუროს. მზეო, გავფრინდეთ, სულ ზევით, ზევით, სადაც შევხედავ მომავლის თეთნულდს“.

ლიტერატურა:

1. ნ. ავგუსტინე, აღსარება, თბ., 1999.
2. დ. ალექსიერი, ღვთაებრივი კომედია, 1931.
3. აკ. ბაქრაძე, რწმენა, თბ., 1969.
4. ბ. კილანავა, დამლევს ცდა ნ. ბარათაშვილის ნააზრევში, რჩეული შრომები, თბ., 2009.
5. ც. მესხია, მზის ესთეტიკა დ. გულუას პოეზიაში, ჟურნალი „მერმისი“, რუსთავი, 2011.
6. ც. მესხია, მზეჭაბუკი პოეტი (დ. გულუას ესთეტიკური სამყარო), თბ., 2012.
7. ც. მესხია, სიკვდილის ესთეტიკა დ. გულუას პოეზიაში, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ., 2012.
8. გრ. ფარულავა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პოეზიაში, თბ., 1982.

Tsiala Meskhia
Sokhumi State University
TEMPLE OF SOLITUDE
(Poetical Aspects of Data Gulua's Verses)
RESUME

Data Gulua continued literary traditions of Nikoloz Baratashvili, Terenti Graneli, and Niko Samadashvili. He repeated their tragic life and his poetical talent reflected theirs.

Eighteen years old poet left brilliant verses. His life-way was negation of dreams and wills-the most difficult way.

The poet adored his motherland, the heaven and the sea. The unique poetical world of the young author was the organic part of his soul, sense, and mind.

Aesthetical universe of Data Gulua reflects spiritual adventure of the author. The verses make us to think and realize them permanently.

Faith of the author is reflected in paradigms of “Sunshine”, “Loneliness Temple”, “Dream”, “Organ melody” “The Sun Anchor”, “Tear Order”, “Ivory Guitar”, “Blue Roses”, “The Sun Stags”, “Swan reign”, and others.

Intuition and mystic are the main defines of Data Gulua's poetry.

Using metaphors, symbols, enigmas and paradigms spoke the author about Spirit, Universe, spiritual and social lives, pains and sadness as well as his spiritual ancestor Terenti Graneli.

Poetry of Data Gulua is spiritual and intellectual reflection of modern life. The poetical way is endless.

რას ნიშნავს „სისხლის ცრემლები“ „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პოეზიის არსის განსაზღვრა და მისი სახეების კლასიფიკაცია. ამ საკითხებთან დაკავშირებით რუსთველოლოგიაში არაერთი გამოკვლევა არსებობს, მაგრამ, ჩვენის აზრით, ვერ მოხერხდება რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდის სწორი ახსნა პროლოგის მეოთხე სტროფის სიღრმისეული ანალიზის გარეშე

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

დავიწყეთ თვით ტერმინის ლექსიკური მნიშვნელობის ანალიზით: რას ნიშნავს „სისხლის ცრემლები“?

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „სისხლის ცრემლები იხმარება დიდი უბედურების, მძიმე განცდის გამოსახატავად: „ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო“ [1]

ეს განმარტება რომ ზუსტია, ამისი დამოწმება არაერთი მაგალითით შეიძლება თვითონ „ვეფხისტყაოსნიდან“: „სისხლი და ცრემლი თვალთაგან ჩამოდის გარე უარე“ (1691); „სისხლი და ცრემლი თვალთაგან სდის და მოწყობით მიღნია“ (1624); „არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?“ (787); „სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატეზი“ (267); „მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაცა მეტის მეტითა“; (712); „მას თანა-ჰრთვიდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“ (840); „მუნ დაადენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“ (1022) და სხვა.

როგორც ვხედავთ, „სისხლის ცრემლები“ პოემაში მხოლოდ მწუხარებას, ტირილს, ვიშა და ვაებას უკავშირდება. მოცემული შესიტყვება ასეა გაგებული „თიმსარიანშიც“: „მწარე სისხლისა ცრემლი შავთა წამწამთაგან შეხამებით ცვარ-ცვარა ჩამორეცხდა“. [2]

ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული სტროფის შინაარსობრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აქ მწუხარება, ცრემლი და უბედურება აბსოლუტურად გამორიცხულია. პირიქით, ის ქებაა, ქება კი აღფრთოვანებას, ამალეზულ განწყობილებას, ბედნიერების წუთებს უკავშირდება.

წინააღმდეგობა ტექსტის შინაარსსა და ტერმინის მიზანდასახულობას შორის აშკარაა. მითუმეტეს, როგორც ეს მიღებულია, პოემა თამარის ზეობის წლებშია დაწერილი, როდესაც მეფე-ქალი თავისი პიროვნული თუ საზოგადოებრივი მდგომარეობით უმაღლეს საფეხურზე იდგა.

აღნიშნული სტროფის ანალიზისას მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს დუმილით აუაროს გვერდი პირველ სტრიქონს და ყურადღება მესამე და მეოთხე სტრიქონებზე გადაიტანოს. არადა, დღემდე აუხსნელია პოეტის მეტაფორული გამოთქმა „სისხლისა ცრემლ-დათხეული“. საზოგადოდ კი ამ შესიტყვების შესახებ რუსთველოლოგიაში თითქმის ერთი აზრია გამეფებული: შოთა რუსთაველი ტირის სისხლის ცრემლებით და ამგვარად აქებს მეფე თამარს.

პოემის პირველი მეცნიერ-რედაქტორი ვახტანგ მეექვსე ამ სტროფთან დაკავშირებით წერდა: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლის ცრემლ დათხევით, ხამს პატრონის სამსახურისათვის კაცი სისხლის ცრემლითაც ტიროდეს და სისხლსაც აქცევდეს და აწ ამას უბნობს: თამარს ვაქებდეთ იმის ყმანი, რომელსაც მისის სამსახურისათვის სისხლის ცრემლი გვიქცევია და ჭირიც გვინახავს და აწ უბნობს: ეს თამარის ქება რომ ვსთქვითო, არ ავად გამორჩეული არისო“. [3]

იგივე აზრისაა ამ სტროფთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა: „პოეტი ამბობს: „მეფის თამარის ქებას ვიწყებ - მე, დამაფრქვეველი სისხლისა ცრემლითა! ქებანი თამარისი მე უწინამც მითქვამს და იგი არ იყო ცუდად შერჩეული: მელნად მე მაშინ მქონდა გიშრის ტბა (თამარის თვალები), ხოლო კალამი თვით მე ვიყავ, რჩეული ლერწამი (მიჯნურობის სევდით გალეული ლერწმის მსგავსად)! ვინც მოისმენს (იმ პირველ ქებით), მისი გული ლახვრით განიგმირება.“ [4]

ერთგვარი დაქვეება პოეტის ცრემლიან განწყობილებასთან დაკავშირებით თავის დროზე გამოხატა სვ. ქვარიანმა: „ნეტავ რად სტირის, რად მოსთქვამს ასე უცნაურად პოეტი თამარს? ნეტავ რა სჭირდა სატირალი ამ დიდებულ მეფეს, ამ ყველაფრით შემკულ ადამიანს? რად უწუხს ამრიგად შოთას გული თამარზე? ვითომ სიყვარულია ესა? ვითომ თავის მიჯნურობა ატირებს მგოსანს?.. შოთას რომ თამარი ჰყვარებოდა, ასე აშკარად და გაბედვით ვერ დამღერდა თავის გრძნობას, მასთან ამ ცრემლსა და გოდვას პირად სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს ცრემლი სულ სხვა ხასიათის ცრემლია“. [5]

მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ეს ცრემლი სხვა ხასიათის ცრემლია“, თუმცა ცდება ქების ობიექტთან მიმართების საკითხში. მას პოეტის ქების ადრესატად მიაჩნია არა სვებედნიერი მეფე ქალი, არამედ ტანჯული ნესტან-დარეჯანი ანუ „თამარ-გმობილი“, „უდანაშაულოდ გაქირდული“.

დღეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველა თანხმდება, რომ პოემის პროლოგის მე-4 სტროფის ქების ობიექტი არის მეფე თამარი.

ანალოგიურ თვალსაზრისს ვხვდებით სხვა ნაშრომებშიც: „როგორც ავთანდილი თინათინისათვის და ტარიელი ნესტანისათვის, რუსთაველიც თამარისათვის ცრემლდათხეულია, ხელქმნილია. მისთვის მკვდარია, დაუძლურებულია, გამიჯნურებული და ველად გაჭრილია. მას თამარის ქება უბრძანეს, იგი მხოლოდ თამარს აქებს, თამარია მისი სიცოცხლე“. [6]

როგორც ვთქვით, ის რომ, შოთა რუსთაველის ქების ობიექტი ღმერთის შემდეგ მეფე თამარი და დავით სოსლანია, სადავო არაა, მხოლოდ ერთი შეხედვით გაუგებარია, რატომ უნდა აქებდეს პოეტი სწორუპოვარ თამარს „სისხლის ცრემლებით“?

რას შეიძლება ნიშნავდეს „სისხლის ცრემლები“? – კითხულობს მკვლევარი გ. მურღულია წიგნში „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“ და იქვე შენიშნავს: „იქნებ როდესაც ეს სიტყვები იწერება, თამარი უკვე ცოცხალი აღარაა? ან იქნებ სამშობლოდან გადახვეწილი რუსთაველი (მის გამძევებას საქართველოდან დაჟინებით იჩემებს ხალხური ტრადიცია) უკიდევანო სევდის გამომხატველად მოიხმობს ამ მხატვრულ სახეს? კითხვა მრავალია, მაგრამ ზუსტი პასუხის გაცემა დღეს არსებული მონაცემებით ვერ ხერხდება“. [7]

ჩვენი აზრით, აქ სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. რუსთაველი სიმბოლოებით აზროვნების დიდი ოსტატია. ამ ხერხს იგი არ ღალატობს ციტირებულ სტროფშიც. დავიწყოთ პირველი სტრიქონით: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“... რომელიც აგრძელებს მსჯელობას თამარის შესახებ. პროლოგის მე-3 სტროფში რუსთაველი დავით სოსლანის ქებისთანავე (დავითი - თამარის ლომი), ქმნის თამარის მხატვრულ პორტრეტს: - „დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერი.“ მას მოსდევს სტრიქონი, რომელშიც გამოსჭვივის პოეტის ერთგვარი შიში: - „მას (თამარს) არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა“. ამ ტაეპის საინტერესო ახსნა მოგვცა თავის დროზე ი. აბულაძემ: „მე-3 ტაეპის შერი არაბული სიტყვაა და აღნიშნავს ლექსს, შაირს“. [8]

ესე იგი, შოთა შიშობს იმის გამო, რომ არ იცის (პოეტური თავმდაბლობა), თუ როგორ შეკადროს თამარს ქება შაირით, ლექსით. (პოემის შესავლის ქების ობიექტი ღმერთის შემდეგ ხომ თამარია). მე-4 ტაეპში „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა“. ი. აბულაძე „შერს“ მიიჩნევს არაბული „შეჰრეტ“-ის გავლენებულ ფორმად, რომელიც აღნიშნავს საგანგებოს, საუკეთესოს და ამ ტაეპის ასეთ შინაარსობლივ გაგებას იძლევა: „მისთა მჭვრეტელთა... ჭეშმარიტად უნდა მიერთვას მათ საგანგებო ყანდი“. [9]

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მიეძღვნა ეს ტაეპი, რუსთაველოლოგიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ვახტანგ მეექვსე „ლომში“ ხედავდა თამარს და თავის კომენტარებში წერდა: „აწ ამას უბნობს: რომელს ლომსა შვენის ასრე ხმარება შუბისა, ფარისა და შიმშრისა (შიმშერი სპარსულად ხმალია), რომ ამ ქალს, მეფეს, მზეს თამარს, დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერს ხმარება რომ უხდებისო და ახლა ამას დაღონებით ამბობს: ამისთანას ქება როგორ შევმართო (შემართვა შებედავს ჰქვიან) ამის მეტი. იმის მჭვრეტს (ყანდი შაჰრის ყინული არის; ეს შაჰრის ყინული რომ კაცს, მის მჭვრეტელს წინ ედვას, იმას ყურება ეყოფა) ის მართებს, მშიერსა მისცეს. მშიერად ვინც თამარს ვერ ნახავს, იმას უბნობს, ვინც ნახავს, იმის მნახავს ასე ეუბნება: ამისი ნახვა ხომ გასაძლომად გეყოფა, შაჰრის ყინულს რაღას აქნევთო!“. [10]. ეს თვალსაზრისი, რამდენადმე სხვაგვარად აღიქვს შემდგომი დროის მკვლევარებმა. გავრცელებული შეხედულების თანახმად, პოეტის მსჯელობა მიემართება დავით სოსლანს, თუმცა, ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ აქ პირველ სტრიქონში საუბარია დავით სოსლანზე, ხოლო შემდგომი სტრიქონები ეძღვნება თამარს, რომელიც არის ცენტრალური ფიგურა პოეტის ქებისა.

თუ ამ განმარტებებს თავს მოვუყრით სტროფის შინაარსი ასეთ სახეს მიიღებს: დაწვ-ბადახშოვან და თმა-გიშერ თამარს მეც არ ვიცი, როგორ შევასხა ხოტბა შაირით, ხოლო მისი მჭვრეტელები იმსახურებენ გამორჩეული ყანდის მირთმევას. პოეტს სრულიად გარკვეული პოზიცია აქვს თამარის მჭვრეტელთა მიმართ, მაგრამ იგი ერთგვარად კრთება და შიშობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა საშუალებით ჰკადროს თამარს ჯეროვანი ქება. და აი, პოეტის პასუხი მოცემულია მე-4 სტროფში, რომელშიც უკვე იხსენება ის, რა კითხვასაც პოეტი მესამე სტროფში წამოჭრის. აქ მოცემულია თამარის ქების საიდუმლო: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“. ესე იგი, პოეტი მეფე-ქალს უნდა აქებდეს ისეთი ლექსით, რომელიც მისი სისხლის ცრემლებით იქნება დაწერილი. ამისთვის კი აუცილებელია ქება სრულიად გამორჩეული სიტყვებით. ასევე გამორჩეული უნდა იყოს მასალა - გიშრის ტბა (და არა ჩვეულებრივი მელანი). სწორედ ამ გიშრის ტბას ჩაეწურება პოეტის სისხლიანი ცრემლი, რომელსაც ქალაღდზე გადაიტანს არა ჩვეულებრივი კალამი, არამედ ლერწამი - ნა რხეული. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეიქმნას ისეთი ლექსი, რომელსაც ადამიანის გულის განმგმირავი ძალა ექნება. ჭეშმარიტმა

ხელოვნებამ ხომ თავისთავად უნდა განგმიროს (საუკეთესო გაგებით) მკითხველი. „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

ვფიქრობთ, ამ სტროფში პოეტმა გაამჟღავნა თავისი შემოქმედებითი მეთოდი, კერძოდ, თუ როგორ უნდა შეიქმნას ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელსაც მკითხველზე დიდი ემოციური ზეგავლენის მოხდენა შეეძლება.

როგორც ცნობილია, შოთა ახალგაზრდა პოეტების ნაკლად მიიჩნევს იმას, რომ მათ „არ ძალუძთ სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“. პოეტს ჭეშმარიტ შემოქმედებად ის ავტორები მიაჩნია, ვინც შეძლებს მკითხველის გულის მონადირებას, განგმირვას, მაგრამ როგორ მიიღწევა ეს? ამაზე შოთას ცალსახა პასუხი აქვს:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

კიდევ ვიმეორებთ, სწორედ ამ სტროფში გააცხადა შოთა რუსთაველმა თავისი შემოქმედებითი მეთოდი. ესაა იდეა იმის შესახებ, რომ მწერალმა მთელი თავისი სული უნდა ჩააქსოვოს ნაწარმოებში, რათა შექმნას გულის სისხლით (გადატანითი მნიშვნელობით) დაწერილი სტრიქონები.

ამ იდეას რვა საუკუნის შემდეგ გალაკტიონი ასე ჩამოაყალიბებს: „მე სისხლით ვწერდი, გულის სისხლით და არა მელნით“. კ. გამსახურდია იგივე აზრს შემდეგნაირ ფორმულირებაში მოაქცევს: „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად და თუ მთელი ჯანი არ შეაღიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოვა ხელიდან“. ტიციან ტაბიძე კი თავისი სულის საიდუმლოს ასე გააცხადებს: „დაფასთან ვდგავარ და ვშლი ძველ ლექსებს, ცარცით კი არა სისხლით რომ ვწერდი“.

ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ნათელი ხდება, რომ ჭეშმარიტი ნაწარმოები „გულის სისხლით“ უნდა იწერებოდეს, სხვაგვარად ის ვერ იქნება პოეტის სულისკვეთების გამომხატველი. ეს იდეა რუსთაველმა რვა საუკუნის წინ ჩამოაყალიბა, ხოლო გასულ საუკუნეში მან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა.

სწორედ მეოთხე სტროფი წარმოადგენს შემდგომი სტროფის მეოთხე ტაეპის ერთგვარ გასაღებს, რომელიც ამავდროულად არის ბრწყინვალე აფორიზმი: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

როგორც შენიშნულია, ეს აფორიზმი ორგვარ გაგებას იძლევა: 1. პირდაპირი – ტექნოლოგიური „თვით აღმასსაც აწახნაგებს რბილი ტყვიის გრდემლი“, 2. ყველაზე უდრეკ პოეტსაც დაიმორჩილებს ნაზი მბრძანებელი (თამარ მეფე), რომელიც ქებას ათქმევინებს მას“. [11]

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა აფორიზმის მეორე განმარტება, რომლის მიხედვით ნაზი მეფე-ქალი იმორჩილებს უდრეკ პოეტს. ვფიქრობთ, აქ საქმე პირიქითაა, მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამაზე ვისაუბრებდეთ, თვალი გავადევნოთ აფორიზმის გაგების გზას.

თავის დროზე ეს საინტერესო აფორიზმი უაზრობად მიიჩნია ალ. სარაჯიშვილმა და ის ნაყალბევად გამოაცხადა. თითქმის იგივე აზრისა იყო აღნიშნულ აფორიზმთან დაკავშირებით იუსტინე აბულაძე. მას მიაჩნდა, რომ არსებული ფორმით აფორიზმი აზრს იყო მოკლებული. ამიტომ მან ეს ტაეპი შეცვალა ასე: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა“. ხოლო ცნობილი პოეტი და მკვლევარი კ. ჭიჭინაძე წერდა: შოთა „გვიხატავს თუ, რამდენად ლბილია, რა უნაზეს ფორმებშია მოქცეული მისი მაღალი ქალბატონის ღვთაებრივი ბუნება, ამავე დროს, რამდენად ხელშეუშმართავი და ლახვარით გამგმირავია მისი გავლენა ადამიანზე, თუნდაც ამ უკანასკნელის გული ქვასავით მაგარი იყოს. აქ შეიძლება ნაგულისხმევია დედოფლის მიერ ლბილად, გაღიმებით გამოთქმული სურვილი ხოტბის დაწერის შესახებ, რომელიც ბრძანებისა და მტკიცე კანონის სახეს იღებს მისთვის“. [12]

აღნიშნული ტაეპი უაზრო ფრაზად მიაჩნდა ასევე მიხაკო წერეთელს. აფორიზმის სწორი ახსნა აქვს მოცემული გამოჩენილ მკვლევარს ვიქტორ ნოზაძეს. ის წერს: „მაგარი ქვა არის ძვირფასი ქვა, თავისი ბუნებით უმაგრესი და მას ჰქვია აღმასი“.

ამ მაგარ ქვას ანუ აღმასს თლიდნენ განსაკუთრებული იარაღით.

მაგარი ქვა ანუ აღმასის სათლელი იარაღი იყო გრდემლი ტყვიისა. ტყვიის გრდემლი არის ლბილი.

გრდემლი ტყვიისა ლბილისა არის მაგარი ქვის ანუ აღმასის სათლელი იარაღი და ამ გათლას კი ეწოდებოდა „გატეხვა“... „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ ნამდვილია, თავის ადგილზეა, სწორია და გასაგები, შესანიშნავი თავისი აზრითა და პოეტური შედარებით!“ [13]

ვ. ნოზაძის დაკვირვება ტექნოლოგიური თვალსაზრისით ნამდვილად საყურადღებოა, თუმცა მკვლევარმა მოხმობილ ნარკვევში საჭიროდ არ მიიჩნია ამ საკითხის გავრცობა. კერძოდ, მან არ მიუთითა, თუ ვის მიემართება აღნიშნული აფორიზმი, ან მეტაფორულად რა დატვირთვა აქვს მას: „ამგვარი შედარება თუ ვის ეხება, ნესტანს ან თინათინს, როგორც ფიქრობდა ვახტანგ მეფე, თუ პოემის გარეშე

მდგომ პიროვნებას, თამარ მეფეს – ეს სხვა საკითხია და აქ არ განიხილება”. [14] არადა, სწორედ ეს სხვა საკითხია ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ აფორიზმში რუსთაველმა გამოხატა თავისი სულის საიდუმლო. მისი უდრეკი ბუნება იმდენად მოხიბლა მეფე-ქალის სიდიადემ, რომ გადააწყვეტინა შეექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც არა მხოლოდ მოვალეობის ტვიფრით იქნებოდა აღბეჭდილი, არამედ, რომელშიც პოეტი თავისი „სისხლის წვეთებს“ ჩააქსოვდა და ამით გასტეხდა, ესე იგი, ჭეშმარიტი სიტყვის ძალით, ანუ მაღალი პოეტური ოსტატობით მოინადირებდა თვით ყველაზე სკეპტიკოსი მკითხველის გულსაც კი.

ყოველივე ეს ერთი მთავარი მიზნისაკენ მიემართება – მხატვრული ნაწარმოები უნდა იქმნებოდეს დიდი შინაგანი წვის შედეგად, რომელშიც ავტორმა უნდა ჩააქსოვოს მთელი თავისი სული, იგი უნდა იწერებოდეს „სისხლის ცრემლებით“. სხვაგვარად ვერ შეიქმნება მაღალმხატვრული ნაწარმოები. მხოლოდ ამგვარად შექმნილ ნაწარმოებს, საკუთარი სისხლის ცრემლებით დაწერილ სიტყვას, შეუძლია მკითხველის გულის „განგმირვა“, ამ შემთხვევაში სიტყვა ის ტყვიის გრდემლია, რომელზედაც იჭედება დიდი მხატვრული ტილო, რომელმაც უნდა თავისკენ წამოიყვანოს მკითხველი, გასტეხოს მისი უნდობლობა და, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულმა, ნამდვილ ხელოვნებას აზიაროს.

ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ. 1960 წ; გვ. 1073
2. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979; გვ. 816
3. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, I, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო იოსებ მეგრელიძემ, თბ., 1879, გვ. 9
4. რუსთაველის კრებული, თბ. 1938 წ; გვ. 12
5. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, დასახ. გამოცემა, II, თბ., 1980, გვ. 125
6. ა . აბუანდაძე, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, თბ., 1994, გვ. 31
7. საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1992, გვ. 149
8. რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967; გვ. 74
9. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, დასახ. ტომი, გვ. 9
10. რუსთველოლოგიური ნაშრომები, დასახ. გამოცემა, გვ. 74
11. ვ. კუპრავა, რუსთაველის აფორიზმები, თბ., 1991; გვ. 11
12. ჟურნ. „მნათობი“, 1925 წ. #7, გვ. 203
13. ვ. ნოზაძე, თხზულებანი ათ ტომად, გურამ შარაძის საერთო რედაქციით, I, თბ., 2004, გვ. 325-326
14. იქვე.

Murad Mtvarelidze

Gori State Teaching University

WHAT DOES TEARS OF BLOOD MEAN IN “VEPHKHISTKAOSANI” (“KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN”) RESUME

The collocation Tears of blood (siskhlis tsremlebi) is represented several times in Vepkhistaosani and mostly is connected with hard spiritual condition of the poem's personages. In this regard, the exceptional part of the poem is its prologue. The collocation here must be considered not as an expression of hard spiritual condition of the author (as it is established in Rustvelology), but as a creative method of Shota Rustaveli. Using this method, Rustaveli states his consistent point of view about how to be created a highly artistic work, which will be able to attract readers.

This hypothesis gives us possibility to reconsider the point of view about poetics which was stated in 12th century's Georgian consciousness.

გორი XIX საუკუნის რუსულენოვან პერიოდიკაში

XIX საუკუნის რუსული პრესა განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდა ზოგადად ქართულის და, მათ შორის, გორის თემატიკის მისამართით. ამ პერიოდის ცენტრალური გამოცემები სისტემატურად უთმობენ ადგილს ახალ ამბებს გორიდან, ასევე სოციალურ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვა სფეროებში მიმდინარე მოვლენებს. ამ, საუკუნენახევარს გადაცილებულ, ფურცლებზე არაერთხელ შეხვდებით ქართლის შუაგულზე, გორზე დაწერილ გულიან სტრიქონებს.

"Я был совершенно доволен, отдыхая и нежась на роскошной зелени, под густой тенью и, в тоже время, очаровываясь чудными видами гор и лесов. Величественной картиной любуюсь из города Гори. Первый раз я приехал сюда в апрел, когда все подернуто густой зеленью и повсюду разлит воздушный аромат. С вершины суроваго Горис-цixe я увидел далеко разостлавшуюся горійскую равнину, по всем краям обрамленную неясной полосой гор и, прямо, на краю горизонта, громадный хребет Кавказа, то увенчанный снежными вершинами, то покрытый темными лесами..." [1]

გაზ. „Кавказ“-ის ფურცლებზე სისტემატურად ეთმობა ადგილი სოციალურ თემატიკას. ავტორები ძირითადად მკაცრი ზამთრის პირობებში გართულებული ვითარებისა და უგზოობის პრობლემებისაკენ მიუთითებენ. XIX საუკუნის გორში შემოდგომის ხშირი წვიმები და ზამთრის დიდთოვლობა განსაკუთრებულად წარმოაჩენდა გზების სავალალო მდგომარეობას. იმავე პერიოდის ჟურნალისტების სიტყვით რომ ვთქვათ, ასეთ დროს ქუჩები და გზები ჭუჭყის და ტალახის ჭაობებად გადაიქცეოდა ხოლმე. ბუნებრივია, ყოველივე ეს გორის მკვიდრთათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

"Закавказом, почти везде в низменных местах, зима считается весьма непостоянною. Город Гори лежит на 1872 Ф. выше морской поверхности, расположен на обширной плоскости, к северо-западу обрамленной центральным Кавказским хребтом, со стороны Черного моря и Кавказа подвержен частым ветрам и бурям, и потому зима должна бы иметь здесь более суровый характер. Но три года я живу в Гори и его зимы мало отличаются от Тифлиских. В прошлую зиму почти совсем не было снегу. В нынешнюю, до последней половины января она походила на осень: все, время шли сильные поливные дожди, сопровождаемые иногда бурями. Дороги и улицы были превращены в болота грязи. Все дома с плоскими кровлями, как бы хорошо оне ни были устроены, заливались водой. Словом, подобной дождливой зимы и старожилы не запомнят. Настоящая зима посетила нас неожиданно. Сначала, при ясной и тихой погоде настали морозы, доходившие до 15⁰ и продолжавшиеся целую неделю. 27 января небо подернулось облаками и на ночь начал выпадать снег, который, в продолжении трех суток, шел непрерывно, покрыв землю слишком на 3/4 аршина[2] и дав возможность кататься в саниах. Снег с тех пор идет часто и солнце редко показывается; по утрам и вечерам бывают чувствительные морозы, но днем от теплоты снег мало по малу тает" [3].

გაზეთი „კავკაზი“ მომდევნო პერიოდშიც არაერთხელ შეახსენებს გორის მაზრის ხელმძღვანელ პირებს მაზრის მცხოვრებთათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის- ინფორმაციული ვაკუუმისა და უგზოობის მოგვარების აუცილებლობის შესახებ, რაც თავის მხრივ, ბევრ უხერხულობასა და კითხვის ნიშანს მოუძებნიდა პასუხს.

"Г. Гори, 2 мая. Неоднократно было сообщаемо об отсутствіи сообщенія между Гори и другими городами, а также с разными пунктами Горійскаго уезда, но от этого дело ничуть не улучшилось; мы и теперь находимся в том-же положеніи и еще останемся в таком-же положеніи долго, если само правительство не войдет в положеніе здешних жителей" [4].

აღნიშნულ პრობლემას სხვა პერიოდული გამოცემებიც ეხმაურებიან. გაზ. „Тифлисскій Вестник“-ის ცნობით: "Гори-же, который больше всех других выигрывает от проведенія дорог, не принимает никакого участія в постройке их. Впрочем, все это оправдывают тем, что у Гори нет средств. Город беден..." [5]

გაზეთი „Тифлисскій Вестник“ განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება გორის მაზრაში გლეხთა უნუგეშო მდგომარეობის საკითხს. საილუსტრაციოდ მოტანილ სტრიქონებში ავტორი წუხს, რომ მიმდინარე ზამთრის განმავლობაში ჭირით და ციმბირის წყალუღით დაიხოცა პირუტყვი, გაიყინა ხეხილი. ყოველივე ამან შექმნა გლეხთა უნუგეშო მდგომარეობა, თუმცა ეს ნაკლებად აწუხებთ გორელ მემამულეებსა და სხვა მაღალი წრის წარმომადგენლებს, რომელთაც განუზრახავთ ბოლომდე მიიყვანონ გლეხთა გაკოტრების პროცესი.

"С некоторых пор я желал равнодушно относиться к различным явлениям нашей жизни, ибо вполне убедился, что все делается силою обстоятельств, и при тех обстоятельствах не тот, так другой сделал бы тоже самое, - следовательно, возмущаться нечего. Но видно сердце не камень: когда собственными глазами видишь, как отражается многое на беззащитной массе, безнаказанно доведенной до отчаяния и преступления, - невольно выйдешь из философского спокойствия.

На это грустное размышление навели меня мои случайные разезды по Горийскому уезду. Зима была чуть-ли не до конца апреля, - следовательно, слишком мало времени для вспашки под яровые посевы; за зиму вымерла скотина от чумы, сибирской язвы и янзуры; в более холодной части уезда высохли от поздних морозов ореховые и многие нежные фруктовые деревья. Положение крестьян отчаянное. Но видно этого мало для них, и эксплуататоры города Гори, неисповедимыми путями приобретшие крепостное право над уездом, возмели желание довершить картину разорения крестьян, созданную неблагоприятною зимою и скотским падежем" [6].

როგორც ვამბობდით, გაზ. „ტიფლისსკი ვესნიკი“ სისტემატურად აშუქებს გორის მაზრის გლეხთა მდგომარეობის საკითხს. ცდილობს დეტალურად გაერკვეს და ყურადღებით შეისწავლოს ადგილზე არსებული პრობლემური ვითარება, მისი წარმოქმნის მიზეზები და ცდილობს გამოსავალი გზების ძიებაშიც შეაშველოს ხელი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ უბრალო მოსახლეობას.

ავტორები მიუთითებენ, რომ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში გორში და გორის მაზრაში ხშირია გლეხებთან ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები, ისინი სრულფასოვან ადამიანებად არც კი მიიჩნევიან და მათი ისედაც მძიმე მდგომარეობა დღითიდღე კიდევ უფრო მძიმდება.

გლეხთა ერთი ნაწილი დანაშაულის გზით სამართლიანობის აღდგენას ცდილობს, ხოლო მეორე ნაწილს კი სამართლის პოვნაზე უიმედოდ ჩაუქნევია ხელი და წინააღმდეგობის გაწევის აზრსაც ვეღარ ხედავს.

„Впрочем, здесь в уезде [7] мордобитие вполне процветает, и даже рассказывают, что здесь еще неизвестна отмена телесного наказания и розги продолжают такие-же успехи оказывать, как и в приснопамятные времена заседательского самовластия...

Словом, здесь некоторым как у Христа за пазухою, а за то некоторым... Но стоит-ли об этих некоторых говорить. С ними даже чапары не хотят говорить, а прямо чешут зубы" [8].

ყოველივე ამის შემხედვარე, ავტორი სვამს კითხვას: „Видя все это в уезде, меня поражало: почему обыватели не решаются жаловаться на все это вышему начальству“ [9] და პასუხსაც მალევე შეიტყობს იქვე ახლოს მყოფი გლეხებისაგან, რომლებიც ბოლომდე ვერ ბედავენ საკუთარი ვარამის ამოთქმას. ვერ ბედავენ სიღატაკის, ჩაკეტილობის, გაუნათლებლობის გამო. თუკი ვინმე გადაწყვეტს ხმის ამოღებას, კონკრეტული საჩივრის ნაცვლად საუბარს იწყებს წლების განმავლობაში ჩაგუბებულ წყენაზე. სურს ყველაფრის ერთბაშად ამოთქმა, რაც, პირიქით, აშორებს ძირითად სათქმელს. ყოველივე ეს, სასამართლოს მოხელეთა შორის, იწვევს გაუგებრობას და ანტიპათიას. ამასთან, გლეხში ჩაბუდებულია შიში სასამართლოში მეზატონის გამარჯვებისას მოსალოდნელი მძიმე შედეგებისადმი და ამის თავიდან ასარიდებლად კვლავ დუმილს ამჯობინებს.

„Есть грузинская пословица, что рыба имеет много что сказать, но вода затыкает ей рот. Скажите на милость, где нам возится с людьми бывальными, с людьми привычными, с людьми, находящимися в своей сфере. Вы посмотрите на нас, всмотритесь по глубже: разве мы имеем еще человеческое подобие. Мы во-первых бедны, мы замкнуты, мы безграмотны, загнанны, вследствие чего мы одичали, огрубели, мы уже не умеем высказать то, чего желает и что нужно к делу. Когда мы являемся перед властью с жалобою, вся злоба, накипевшая в душе, все что мы терпим, все наши несчастия порываются наружу, нам хочется все зараз высказать, все как на ладони виложить и показать; а выходит, что, желая все сказать, мы вселдствие страха, вселдствие наплыва многих дотоле нам неизвестных чувств, - мы не умеем ничего сказать: вместо одного мы говорим другое; вместо мягких деликатных выражений, к которым привыкли власти, у нас вырываются грубости, шероховатости; вместо выяснения дела, мы затемняем его и всем этим мы вызываем антипатию... Решившись в крайности жаловаться, мы, когда эта крайность минует, забываем все, затем начинает овладевать нами страх и раздумье: а вдруг да противник наш будет оправдан? - что тогда, и тут мы стараемся друг на друга свалить вину, чтобы снять с себя ответственность. Подумайте теперь: следует-ли нам жаловаться? Какой-же это смельчак решится первый заявить жалобу? Ну и молчим. Молчим - значит все обстоит благополучно..." [10]

გორში მიმდინარე პროცესების გაშუქებისას XIX საუკუნის რუსულენოვანი პრესა ლიტერატურისა და კულტურის საკითხებსაც არაერთხელ შეხება.

პირველი, სცენისმოყვარეთა წარმოდგენის ფესვები გორში, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იანი წლების წიაღშია საძიებელი. მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ კიდევ ნაადრევია საუბარი გიორგი ერისთავის მიერ მუდმივი ქართული დასის აღდგენაზე [11].

1850 წელს ქართული თეატრის აღდგენის შემდეგ გიორგი ერისთავს გაორმაგებული ძალისხმევა სჭირდებოდა მის ფეხზე წამოსაყენებლად და საფუძვლიანი ბალავარის გასამყარებლად. სწორედ ამ მიზნით 1851 წლის მარტში მეფისნაცვალთან შემდგარ შეხვედრას, ვორონცოვთან ერთად ესწრებოდა გ. ერისთავი და დ. მეღვინეთხუცესიშვილი. „ამ შეხვედრის შემდეგ დიმიტრი დროებით გადადის თბილისში სამუშაოდ, იმ დავალებით, რომ გიორგი ერისთავისათვის „ქართული თეატრის გამართვა უნდა უნდა ეშველა. მეღვინეთხუცესიშვილი მარი ბროსეს ამ ამბავს შემდეგი სიტყვებით აუწყებს: „სამშაბათს დღეს დირექტორს თანამდებობის აღმსრულებელმან უ[ფალ]მან სჩერბინინმა და თავადმა გიორგი ერისთავმა წარმადგინეს მე კნიაზ ნამესტნიკთან (მ. ვორონცოვთან) კარგის რეკომენდაციით და მოახსენეს მის ბრწყინვალეობას, რომ შემდგომ მოგზაურობისა მე ვშველი და ვცდილობ ქართული ტეატრის გაწყობას. კნიაზ ნამესტნიკმა მიმიღო ალერსით და მიბრძანა: „... ახლა შენ უ[ნდ]ა დარჩე ტფილისში დროებით და უშველო გიორგი ერისთავს ქართული ტეატრის გამართვა. მე მალე გადმოგიყვან ჩემთან, ჩემს კანცელარიაში,“ და ამაზე მაშინვე უბრძანა მისმა ბრწყინვალეობამ სჩერბინინს მოახდინოს განკარგულება, დამნიშნონ მე მის კანცელარიაში. ...ახლა მე ვწერ ქართულს პიესებს და ვასწავლი წარმოდგენას ჩუწნს ახალ აკტორებს და აკტრისებს... ჩემს დაწერილ პიესებს სწავლობენ და წარმოდგენენ ქართულს ენაზედ მომავალ დღესასწაულებში“ [12].

საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში მიმდინარე ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, ბუნებრივია, მარი ბროსეს ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. გ. ერისთავის მიერ ქართული თეატრის აღდგენის ფაქტს დიდი რეზონანსი ჰქონდა პეტერბურგშიც. 1851 წლის 2 ივნისს იმპერიის დედაქალაქიდან მარი ბროსე სწერს თბილისში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს: „გთხოვ, საკუთრივ ეს შემატყობინოთ, ვინ არის ეს გიორგი ერისთავიშვილი, ქართული თეატრის აღმშენებელი, რომელმანცა კომედიები მისთვის სწერს ნუ უკუფ ეს ის არის გიორგი, ვისთანაც ნაცნობობა მქონდა გორში. კონასი და ოქროსი (ხაზგასმით) ძმა. მაშინ ამბობდნენ სტიხები (sic) სწერსო, მოშაირე არისო. თუ არ შევცდი მომიკითხე დიდის პატივისცემით“ [13].

XIX საუკუნის პრესა ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა არამარტო ახლად აღდგენილი ქართული თეატრის თემას, არამედ მოყვარულ სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ ცალკეულ წარმოდგენებსაც. 60-70-იან წლებში, როდესაც თეატრი ფეხს იკიდებს, მდიდრდება რეპერტუარი და იზრდება კვალიფიციურ მსახიობთა კვალიფიკაციაც და რაოდენობაც შედარებით ხშირდება რეგიონებიდან მიღებული ცნობებიც გამოქვეყნებული „დროების“, „ივერიის“ და სხვა გამოცემების ფურცლებზე, რომლებიც იქ გამართული თეატრალური წარმოდგენების შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას [14]. მაგალითად: „ცხინვალი, 31 აგვისტო. ამ ცოტა ხანში გორში სამჯერ იყო ქართული წარმოდგენა. ერთი გორში და ორიც ცხინვალში...“ [15]

რაც შეეხება გორში 40-იან წლებში გამართულ წარმოდგენას, ამ მხრივ საინტერესო ფაქტი გამოიკვლია პროფ. ს. ხუციშვილმა [16]. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერებში, „ცნობილი მეცნიერის მარი ბროსეს არქივში მან აღმოაჩინა დიმიტრი მეღვინეთხუცესის ხელნაწერი პიესა საყურადღებო ცნობების დართვით პიესის დადგმის შესახებ. პიესის სათაურია: „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთა“, კომედია ერთ მოქმედებად. იგი წარმოუდგენიათ გორში საშინაო წესით 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს. წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღიათ გორელ თავადაზნაურთ, მათ შორის თვით ავტორსაც“ [17].

გორში მომდევნო წლებშიც იმართებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები, მათ შორის რუსულ ენაზეც, რომელთაგან ზოგიერთში მკვიდრ გორელებთან ერთად გორში დაბანაკებული რუსი ოფიცრებიც მონაწილეობდნენ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ფაქტს გამოეხმაურა გაზეთი „Кавказ“ საგაზეთო მასალაში „Воспоминания о прошлой зиме в Гори“.

„Сначала мы были взволнованы различными идеями, предположениями относительно того, что может ли быть в Гори театр? Увенчаются ли успехом хлопоты одного, затеявшего его первым? Если будет, то долго ли он продолжится? Сомнения, уверенность, согласія, разговоры pro и contra, волновали нас, и мы несколько не старались, из разных видов, скрывать всего этого перед хлопотавшим об устройстве театра. Очень многим казалось странным, и они часто говорили: что ему за охота так сильно хлопотать? Из-за чего он бежит?... Кто согласится пожертвовать покоем, и посвящать свободное время на чтение ролей, когда это время можно приятнее провести во-сне, или за преферансом? Наконец играть на сцене, выставя себя на общее мнение – фи! Где это видано? Положим, в Петербурге бывают благородные спектакли; но это в Петербурге, а здесь... Впрочем, бывают и в других городах. Но все-таки, кто же решится из нас выйти на

сцену, отдаться на произвол суждения об себе другим, хотя бы это было даже и для пользы человечества, для бедных. Нет, это большой шаг со стороны тех, кто решится..." [18]

გორზე გამოქვეყნებული მასალების სიუხვით სხვა პერიოდულ გამოცემათა გვერდით «Кавказ»-ი ერთ-ერთი გამორჩეულია. მას მხედველობიდან არ რჩება გორის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ისეთი მოვლენებიც კი, როგორებიცაა ქალაქში კლუბის გახსნა, კულტურული ღონისძიებების და ლიტერატურული საღამოების გამართვა და ა.შ. 1870 წელს იგი სიხარულით აუწყებდა მკითხველს: „Гори. В последних числах декабря у нас открылся клуб. Мы с нетерпением ждем возможно-скорейшего осуществления устава относительно устройства при клубе библиотеки и читальни. При этом желательно, чтоб и наши дамы посещали читальню. От чего бы за просто, хоть и с работой, приходиться им иной раз в клуб почитать, поделиться мыслями, взглядами..."

На днях у нас разнеслись слухи, что в зале клуба устроятся популярные беседы по практической химии и ботанике. Дай-бог, чтоб эти слухи оправдались" [19].

ზოგადად, XIX საუკუნეში საქართველოში არსებული პრესა საგანგებო ყურადღებას აქცევდა ქართულ დღესასწაულებსა და ხალხურ სანახაობას. ვფიქრობთ, ხსენებული თემებისადმი ასეთი დამოკიდებულება აიხსნებოდა წეს-ჩვეულებების, სხვადასხვა სანახაობების, ტრადიციების დაცვის სურვილით და ეროვნული კულტურის ინტერესებიდან მომდინარეობდა. თუ გავითვალისწინებთ, ხსენებულ პერიოდში, საქართველოში არსებულ ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას და მისით გამოწვეულ უმძიმეს შედეგებს, ამგვარი მცდელობანი - ქართველი ხალხისათვის შეენარჩუნებინათ ეროვნული თვითმყოფადობის ცალკეული ნაწილები მაინც, უდავოდ კეთილშობილური ჩანაფიქრი და შესაშური საქმიანობა გახლდათ.

ქართლში გამართული ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური დღესასწაულის - გერისთობის შესახებ „Закавказский вестник“-ი წერდა, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა მთელი ქვეყანა. გერისთობა წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი რელიგიური დღესასწაულია და ქართლში გამართულ დღესასწაულთა შორის მასშტაბურობით გამოირჩევა. მომლოცველების შემხედვარე ადამიანი იფიქრებს, რომ აქ მთელი ქართლი შეიკრიბა. ცხოვრებაში მსგავსი სანახაობის ხილვა იშვიათადაა შესაძლებელი.

„В них принимает участие не один, не два, не несколько ближайших приходов, а чаще целая страна. Между такими праздниками едва ли не первое место занимает Геристоба, праздник во имя Св. Великомученика и Победоносца Георгия, в Карталинии. В нынешнем году я первый раз решился посетить этот праздник... В Карталиний ежегодно совершают много праздников, из них многие очень замечательны, но все-таки не второй степени, как Геристоба. Смотри на богомольцев, собирающихся на этот праздник, невольно подумаешь, что вся Карталиния сошлась здесь; а о торжестве нечего и говорить. Во всю свою жизнь подобного вряд ли где нибудь увидишь" [20].

ამავე სტატიაში აღწერილია გორის რაიონის სოფელი არბო. არბოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და სოფელში გერისთობის მიმდინარეობის პროცესი.

საგაზეთო მასალაში „Корреспонденция "Кавказа" მოთხრობილია ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის [21] სამლოცველოში ალექსანდრე გრიბოედოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდისა და პედაგოგთა და უფროსკლასელ მოსწავლეთა შეკრების, ასევე საქართველოს განმანათლებელის და მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისა და საღვთო ლიტურგიის შესახებ.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში ვიდრე სამასწავლებლო სემინარიის გახსნის გადაწყვეტილება საბოლოო ფაზაში შევიდოდა, ამ საკითხით ცენტრალური პრესაც დაინტერესდა. „დროება“ წერდა: „კავკასიის სამასწავლებლო მთავრობას ამჟამად სჯა აქვს იმის თაობაზედ, თუ სად უნდა გაიხსნას ეს მეორე სამასწავლებლო სემინარია... სხვადასხვა ქალაქები და სოფლები ჰქონიათ მხედველობაში, მაგრამ ბოლოს კი გორზე და ქუთაისზე შეჩერებულან" [22].

გორი და ქუთაისი აღმოჩნდა ის ქალაქები, რომლებიდანაც ერთ-ერთში სემინარია უნდა გახსნილიყო. თუ რატომ შეჩერდა არჩევანი გორზე, საგულისხმო მსჯელობაა წარმოდგენილი მ. კეკელიძის ნაშრომში „გორის სამასწავლებლო სემინარია“.

გორმა და ქუთაისმა კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს მიმართეს წინადადებით, რომლებითაც მთელ რიგ შეღავათებსა და დახმარებას ჰპირდებოდნენ, თუკი სემინარია მათ მიერ შემოთავაზებულ ადგილებში გაიხსნებოდა. ამ პირობების გაცნობის შემდეგ სამეფისნაცვლოს მთავარი სამმართველოს უფროსს ი. ნევეროვი სწერდა: „სასწავლო დაწესებულებების გახსნისათვის აუცილებელია ისეთი ადგილის ამორჩევა, სადაც ქართველებისა და სომხების მოსწავლე კონტიგენტთან ერთად, იქნება შესაძლებლობა სემინარიაში მუსულმანი მცხოვრებლების ბავშვების შესვლისა; მასასადამე აუცილებელია, შეძლებისდაგვარად შერჩეულ იქნეს ამ მხარის ცენტრალური ადგილი. მაგრამ იმის გამო, რომ ამ დაწესებულებამ უნდა მოამზადოს სოფლის მასწავლებლები, მოუხერხებელი იქნება მისი გახსნა

დიდ ქალაქში, რადგან სასურველია, ახალგაზრდები დარჩნენ ისეთ გარემოში, რომელიც უბრალო იქნება და მათთვის მკვეთრ განსხვავებას არ შექმნის სოფლის პირობებში საცხოვრებლად გადასვლის დროს. ამ მიზნით მე მივაღწიე სემინარიის დირექტორი დივარი და თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორი ლოღობერიძე თბილისის ახლო-მახლო ადგილებში მომავალი სემინარიისათვის ბინის შესარჩევად...

ამავე დროს გორის ქალაქის საზოგადოებამ, აგრეთვე დეპუტაციის მეშვეობით, განმიცხადა თავისი სურვილი ქ. გორში სემინარიის გახსნისა, რისთვისაც მხედველობაში აქვთ ბინა ერთ კერძო სახლში, რომელიც ჩემ მიერ მივლინებულმა დირექტორებმა შესაფერისად ცნეს სემინარიისათვის. გარდა ამისა თბილისის გუბერნატორმა გადმომიგზავნა გორის ქალაქის საზოგადოების, თებერვლით დათარიღებული განაჩენი, რომლითაც საზოგადოება კისრულობს დაგვიქირაოს ბინა 1500 მან. წელიწადში, ხოლო, თუ ქირა იმ თანხაზე მეტი იქნება, მას თვით საზოგადოება გადაიხდის.

... ორივე წინადადება ქუთაისისა და გორისა განიხილა ჩემდამი დაქვემდებარებულმა სამზრუნველო საბჭომ და ხმების უმრავლესობით მოიწონა სემინარიის გახსნა ქ. გორში. იმ პირობების თანახმად, რომლებიც წამოაყენა ქალაქის საზოგადოებამ“ [23].

გახსნის დღიდან გორის სამასწავლებლო სემინარია აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არსებობის სხვადასხვა ეტაპზე არაერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახდა.

გაზ. „Кавказ“ იუწყება ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში მოწყობილი ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ღონისძიების შესახებ. სემინარიის ეკლესიაში საღვთო ლიტურგიის შემდეგ ალექსანდრე გრიბოედოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი გაიმართა. პანაშვიდის შემდეგ სემინარიის დარბაზმა უმასპინძლა მოწაფეებს, პედაგოგებს, გორის ანასტასიას ქალთა პროგიმნაზიის უფროსკლასელებს და მოსწავლეთა მშობლებს. სემინარიის დირექტორმა ს. სტრელეცკიმ დამსწრეთ გააცნო პოეტის ცხოვრება, დაახასიათა ა. გრიბოედოვი, როგორც დიპლომატი, პოეტი, ავტორი ცნობილი თხზულებისა „ვაი ჭკუისაგან“.

„8-го января в домово́й церкви за кавказской учительской семина́рии после божественной литургии совершена была панихида по Александре Сергеевиче Грибоедове, а после панихиды в зале семина́рии состоялось собра́ние учащих и учащихся семина́рии, учительниц и учениц старша́го класса́ женской Гори-Анастасіевской прогимна́зии [24] и некоторых родителей учащихся. На этом собра́нии директор семина́рии д.с.с. С. Н. Стрелецкі́й [25] познако́мил прису́тствовавших с жизнью незабвенна́го на́шего поэ́та, релье́фно охарактеризовал его личность, как дипло́мата, а также, в особеннoсти, как поэ́та, автора «Горе́ от ума». Г. директор мастерски разобрал это гениальное произведе́ние, иллюстрируя свои сужде́ния прекра́сными и меткими стихами-послови́цами знаменитой комедіи. Собра́ние окончилось о́коло 3-х часов пополу́дни“ [26].

ასევე: „14-го января, в день празднованія св. равноапостольной Нины, просветительницы Грузіи, в той-же церкви по случаю храмового праздника было совершено после божественной литургии молебствие с провозглаше́нием многолетія Их Императорским Вели́чества́м и всему Царствую́щему Дому. На литургии и на молебствии прису́тствовали уча́щие и уча́щиеся закавказской учительской семина́рии и много молящихся“ [27].

და მაინც, XIX საუკუნის საქართველოში არსებულ რუსულ პრესაში გორის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია დიმიტრი ბაქრაძის „გორის ციხეს“, რომელიც ორ ნაწილად გამოქვეყნდა გაზ. „Кавказ“-ის ფურცლებზე.

ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის დასრულების (1850) შემდეგ იწყებს უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. ერთხანს მოღვაწეობდა გორის სამაზრო სკოლაშიც.

დ. ბაქრაძე აქტიურად თანამშრომლობდა კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიასთან. მისი ინიციატივით შეიქმნა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება (1873), კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება (1881). ილია ჭავჭავაძესთან და დიმიტრი ყიფიანთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში.

დ. ბაქრაძის ინიციატივით სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის მიზნით შეიქმნა (1889) თბილისის საეკლესიო მუზეუმი. დაჯილდოებული იყო რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედლით.

ნაშრომში „Горис-цихе (Историческіи очерк)“ მითითებულია, რომ გორის ციხის ისტორია ნაკლებადაა ცნობილი. მისი დაარსება უძველეს დროსთანაა დაკავშირებული. ფრანგი მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს აზრით, გორის ციხის სიძველეზე მიუთითებს მისი აგებულების ბიზანტიური სტილი, რაც გამოიყენებოდა საქართველოში სპარსული სტილის შემოღებამდე. ვახუშტის სიტყვით,

გორის ციხე ითვლებოდა ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო თავშესაფრად არაკეთილმოსურნეთა შემოსევების დროს.

„Исторія Горис-цихе нам мало известна. Мы знаем только, что возвышеніе, на котором он построен, дало названіе городу, раскинутому кругом, так как гора на языке грузинском означает холм и что постройку замка должно относить к древнейшим временам. По словам французскаго путешественника Дюбуа де-Монпере, то что ест самага стараго в Горис-цихе, сложено в византійском вкусе, употреблявшемся в Грузіи до введенія персидскаго стиля, и построено на манер Тамарис-цихе в Имеретіи и Пуцунды в Абхазіи. По словам Вахушта, о Горійском замке говорится в летописях грузинских в начале VII в. Как-бы ни было, видно однако что Горис-цихе считался во все времена одним из самых надежных пунктов против непріятельских нашествій“ [28].

ავტორს მხედველობიდან არ რჩება წვრილმანი დეტალები. საუბრობს გორის ციხის მშენებლობისათვის გამოყენებულ მასალაზე, აფასებს მის იერ-სახეს, სტრატეგიულ ადგილმდებარეობას. საგანგებოაა გამახვილებული ყურადღება ციხის ინტერიერზე: „Площадь внутри замка составляет неровную почву, особенно вздувшуюся посредине. Она усеяна развалинами от древних жилищ, которыя шли вдоль стен и следы которых весьма явственно заметны и тепер. Посредине площади находится глубокая яма, обложенная осыпающеюся ныне штукатуркой и служившая резервуаром для дождевой воды. Крутой спуск по террасам, на северо-западном отлоге, тоже весь загроможден массами обломков и руин; оне очень затрудняют ваше движеніе, если вдобавок в это время дует ветер, который здесь весной и летом бывает весьма часто“ [29].

წარმოდგენილი თხზულების მეორე ნაწილში წარმოდგენილია საინტერესო მსჯელობა გორის ციხის ძირითადი დანიშნულების, მფლობელთა ვინაობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ.

მტრების გამოჩენის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, საქართველოში არსებული ციხესიმაგრეების უდიდესი უმრავლესობის მსგავსად, გორის ციხე სამხედრო რეჟიმზე გადადიოდა და თავშესაფარს აძლევდა გორის მოსახლეობას. კომენდანტი ატარებდა მიმზამის ტიტულს და ვალდებული იყო დაეცვა ციხესიმაგრე და ხალხი.

„При вести о появлении врагов, Горис-цихе, по примеру большей части замков в Грузіи, обыкновенно принимал воинственный вид и давал убежище горійским жителям. При Иракліе II, сколько известно, им управляли, последовательно, сначала два Діасамидзевых [30], и потом Георгій Циціанов [31]. Комендант насил титул мимбаша [32] и обязан был защищать замок и людей. В его распоряженіи находились пороховой магазин, бывшій у самой церкви, и два орудія, из которых одно имело довольно большіе размеры; орудія эти хранились здес еще в 1848 году, ибо их видел академик Броссе и списал с них надписи...“ [33].

ამრიგად, XIX საუკუნის რუსულენოვანი პერიოდული პრესა ყოველთვის საგანგებო ინტერესს ავლენდა შიდა ქართლის, კონკრეტულად კი ქალაქ გორის თემატიკისადმი. ავტორები საფუძვლიანად აშუქებენ აქაურ სიახლეებს. წარმოდგენილი მასალები მნიშვნელოვანია რეგიონის ისტორიის სრულყოფილად შესწავლისა და არსებულთან შედარებით სრული სურათის შესაქმნელად. განსახილველად მოცემული ტექსტები საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართლის შუაგულის კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების, რელიგიური ცხოვრების, სოციალური ყოფის და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ფაქტების შესახებ. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან გაზეთები: „Кавказ“, „Тифлисскій Вестник“, „Закавказскій Вестник“ და ა.შ.

ლიტერატურა:

1. გაზ. „Кавказ“, 1853, №72;
2. არშინი - ძველებური რუსული სიგრძის საზომი, უდრის 71,12 სანტიმეტრს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე;
3. გაზ. „Кавказ“, 1854, №12 (Письмо из г. Гори, 7 февраля, 1854);
4. გაზ. „Кавказ“, 1882, №126 (Корреспонденціи «Кавказа»);
5. გაზ. „Тифлисскій Вестник“, 1875, №61 (Из Горіискаго уезда);
6. გაზ. „Тифлисскій Вестник“, 1875, №61 (Из Горіискаго уезда);
7. იგულისხმება გორის მაზრა;
8. გაზ. „Тифлисскій Вестник“, 1875, №70 (Из Горійскаго уезда);
9. გაზ. „Тифлисскій Вестник“, 1875, №70 (Из Горіискаго уезда);
10. გაზ. „Тифлисскій Вестник“, 1875, №70 (Из Горійскаго уезда);
11. თეატრალური ხელოვნება საქართველოში უძველეს წარსულში იღებს სათავეს. ერთობ განვითარებული გახლდათ ხალხური თეატრალური სანახაობა - „ბერიკაობა“, მოგვიანებით - „ყეენობა“. შუა საუკუნეებს ეკუთვნის სასახლის კარის თეატრი, ნიღბოსანთა წარმოდგენები, ე.წ. „გაბაასებანი“.

XVIII საუკუნის ბოლო წლებისა და XIX საუკუნის დამდეგის პირმშოა გიორგი ავალიშვილის საერო თეატრი და სასახლის კარის თეატრი - „სახიობა“ დავით მაჩაბლის თაოსნობით. რაც შეეხება XIX საუკუნეს, ამ პერიოდში მრავლად იქმნებოდა ცალკეულ სცენისმოყვარეთა წრეები. 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული დრამატული თეატრი. რაც შეეხება ქართული პროფესიული თეატრის მუდმივ დასს, იგი აღდგა 1850 წელს მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით, რომელთაც სათავეში გიორგი ერისთავი ედგა.

12. ი. ალიმბარაშვილი, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი, 2013 (ხელნაწერი);

13. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი ფონდი, QD-986, საბ. 15 (დოკუმენტი მოგვაწოდა პროფ. ი. ალიმბარაშვილმა);

14. იხ. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი, 2011;

15. გაზ. „დროება“, 1875, VIII;

16. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, №20;

17. გ. ბუხნიკაშვილი, გორის თეატრი, თბილისი, 1965, გვ. 11;

18. გაზ. „Кавказ“, 1857, №39 (Летописи общественной жизни Кавказа, Воспоминания о прошлой зиме в Гори);

19. გაზ. „Кавказ“, 1870, №13 (Корреспонденция «Кавказа»);

20. გაზ. „Закавказский вестник“, 1854, №41 (Праздник Геристоба, 22 Августа, 1854 г.);

21. ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარია დაარსდა 1876 წელს. პირველი მეცადინეობა დაიწყო იმავე წლის 12 სექტემბერს. არსებობის მანძილზე სემინარიამ ასობით ახალგაზრდა მასწავლებელი მოამზადა, რითაც მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია როგორც საქართველოს, ისე კავკასიის სხვა ხალხთა სკოლებს. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის პირობებში, ეროვნული და სოციალური წნეხის მიუხედავად, პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგთა წყალობით, სემინარია ახერხებდა მოსწავლეთა შორის კეთილშობილური მისწრაფებების ჩანერგვას, გაღვივებას.

22. გაზ. „დროება“, 1876, №11;

23. მ. კეკელიძე, გორის სამასწავლებლო სემინარია, თბილისი, 1955, გვ. 9-10;

24. ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის დ. სემიონოვის ინიციატივით წამოწყებული ქალთა პროგიმნაზიის დაარსების საქმე დადებითად დაგვირგვინდა. გაზ. „Кавказ“-ის (1881, №198) ცნობით პროგიმნაზიის პირველ ხელმძღვანელად დაინიშნა მ. მაკაევა. გორის ქალთა პროგიმნაზიას მფარველობდა ანასტასია მიხეილის ასული ამილახვარი, რის გამოც სასწავლებელს მისი სახელითაც (ანასტასიას გორის ქალთა პროგიმნაზია) მოიხსენიებენ.

გორში ქალთა პროგიმნაზიის საკითხით არაერთხელ დაინტერესებულა XIX საუკუნის ქართული პრესა. საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი პერიოდული გამოცემების დასახელება: ა) „კვალი“, 1902, №29; ბ) „დროება“, 1880, №76 (სოფრომ მგალობლიშვილი (წაკოლა), ხმა პროვინციიდან, წერილი მესამე); გ) „დროება“, 1884, №109 (საგაზაფხულო წერილი); დ) „ივერია“, 1887, №69 (ახალი ამბავი); ე) „ივერია“, 1889, №37 (ახალი ამბავი); ვ) „ივერია“, 1889, №40 (ახალი ამბავი); ზ) „დროება“, 1881, №28 (გორის საქალბო პროგიმნაზიის გახსნაზე); „დროება“, 1881, №67 (თეოფილე ხუსკივაძე (თ. კვალითელი), გორი, 23 მარტს) და ა.შ.

25. გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის ს. სტრელეცკის დროს ყოველგვარი პედაგოგიური მოთხოვნა იქნა დარღვეული და ბავშვებს, რომლებსაც ჯერ მშობლიური ასოებიც არ ჰქონდათ გაცნობილი, რუსული ენის შესწავლას აწყებინებდნენ. ყოველივე ეს, ბუნებრივია, გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა მოსწავლეებს და ამგვარი მიდგომა ბევრისთვის ხდებოდა სწავლის შეწყვეტისა და სკოლის მიტოვების საფუძველი.

მ. კეკელიძის ნაშრომში „გორის სამასწავლებლო სემინარია“ (თბილისი, 1955) სტერლიცკის შესახებ ნათქვამია, რომ გორში გადმოსვლამდე ხონის სემინარიის (დაარსდა 1881) პირველი დირექტორი სერგი ნიკოლოზის ძე სტრელიცკი აძლევდა მოწაფეებს დიდ შეღავათსა და საშუალებას, რომ უკანასკნელთ, რაც შეიძლება მეტი ემეცადინათ და თავისუფლად ესარგებლათ სასწავლებლის მდიდარი წიგნთსაცავით, რომ ჯეროვნად განვითარებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ სახალხო მასწავლებლობისათვის. ის არამცთუ არ დევნიდა სასწავლებლიდან მშობლიურ ენასა და ელემენტს, არამედ აქეზებდა მოწაფეებს, რომ საფუძვლიანად შეესწავლათ ქართული ენა... ის არ ახშობდა მოსწავლეებში ნაციონალურ ელფერს, პირიქით ფასებდა მას, ახალისებდა მოწაფეებს და ატარებდა მათ ეროვნულ ტანსაცმელში... მაგრამ ეს კარგი თვისებები, რომლებიც სტრელეცკის დადებითად ახასიათებს, გორის სამასწავლებლო სემინარიაში გადმოსვლის (1884) შემდეგ ვერ შეინარჩუნა. დ. სემიონოვის მიერ შესანიშნავად დაწყებულ საქმეს სტრელეცკიმ გაღრმავებისა და განვითარების გზა აღარ მისცა. ცხადია, ის ამ შემთხვევაში მთლიანად მოქცეული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის რუსიფიკატორ იანოვსკის გავლენის ქვეშ.

იგი ისე გულმოდგინედ დევნიდა და ავიწროებდა ადგილობრივ ენებს, რომ იანოვსკი გორის სამსწავლებლო სემინარიის დათვალიერების შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავდა: „სიამოვნებით შევამჩნიე ის განსაკუთრებული სიბეჯითე, რომელსაც მიმართავს დირექტორი სტრელეცკი დაწყებითი სკოლების მოწაფე ინოვაციებს შორის სასაუბრო რუსული მეტყველების გასავითარებლად“ (გვ. 63-66).

26. გაზ. „Кавказ“, 1895, №16 (Гори, 15-20 января. Корреспонденция «Кавказа»);

27. გაზ. „Кавказ“, 1895, №16 (Гори, 15-20 января. Корреспонденция «Кавказа»);

28. გაზ. „Кавказ“, 1855, №48 (Горис-цихе, Исторический очерк, Дм. Бакрадзе);

29. გაზ. „Кавказ“, 1855, №48 (Горис-цихе, Исторический очерк, Дм. Бакрадзе);

30. როგორც XVIII ს. ბოლო პერიოდის საბუთებიდან ჩანს, გორის ციხისთავობა დიასამიძეთა გვარის სახელოდ გადაიქცა. ამ დროს ციხისთავებად ვხედავთ დიასამიძეთა გვარის შემდეგ წარმომადგენლებს: იოანეს, ტეტიას, იოვანეს, დიმიტრის (ე. მამისთვალისშვილი, გორის ისტორია, თბილისი, 1994, გვ. 254, ნაწ. I);

31. დ. ბაქრაძის თხზულების „Горис-цихе (Исторический очерк)“ მიხედვით, ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში გორის ციხის მინბაში - გიორგი ციციანოვი (ციციშვილი) მოგვიანებით ჩანს, როგორც მეფე გიორგი მეცამეტის ემიკადაბაში, სარდალი-ელეზისა, ქოლგირისა, მულანლოსა, ქოშქილისისა, აყლილისა, უზუნლარისა, დისილისა და ფამბაკისა. გარდაიცვალა 1850 წელს, ღრმად მოხუცი (პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა /აკ. გაწერელის რედ./, თბილისი, 1987, გვ. 249; 263), /ემიკადაბაში, ემიკასბაში, ემიკასლაბაში - თურქული წარმოშობის სიტყვა. აღნიშნავდა ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელს მეფის კარზე, მონათხუცესი/;

32. მიმბაში (მინბაში, ციხისთავი) - თურქული წარმოშობის ტერმინი, აღნიშნავდა ათასისთავს, მნიშვნელოვან ფიგურას გვიანი შუა საუკუნეების საქალაქო მმართველობაში. მისი უპირველესი მოვალეობათაგანი ციხეზე ზრუნვა გახლდათ;

33. გაზ. „Кавказ“, 1855, №49 (Горис-цихе, Исторический очерк, Дм. Бакрадзе. Окончание).

Aleksandre Mghebrishvili

Gori State Teaching University

GORI IN THE RUSSIAN JOURNALS OF THE XIX CENTURY RESUME

The Russian press of the XIX century showed special interest towards Georgian theme, particularly to Gori theme. Central editions of that period systematically place the news from Gori, and also social, scientific, literary events and other events that were in progress in different spheres. On the pages of more than a century and a half old journal, we frequently come across the cordial stanzas about the Kartli centre, Gori.

The social theme is systematically placed on the pages of the newspaper “Kavkaz”. The authors point out complicated situation and impassable roads in the terms of severe winter.

The newspaper “Tifliski Vestnik” pays special attention on the problem of inconsolable situation of peasants in Gori Region. It thoroughly investigates and studies the existing situation, its reasons and tries to help the common people in their helpless situation.

While highlighting current situations in Gori, the Russian press of the XIX century touched upon the literary and cultural problems.

The XIX century press always paid attention not only to the newly restored theatre theme, but to some performances, put by amateur producers. In 60-70s, when the theater was born, the repertoire became rich and the quantity and qualifications of the actors also increased. The information about the performances from the region became more frequent on the pages of the newspaper “Droeba”, “Iveria” and other newspapers as well.

The newspaper “Kavkaz” is noted for the abundance of the published information about Gori. It cannot but highlight such cultural events in Gori as setting up a club in the town, cultural and literary parties, etc.

Generally, the existing press in Georgia paid great attention to Georgian festivals and public shows in the XIX century. We believe that such attitude to the mentioned topics could be explained by the desire to preserve customs, different shows, traditions, and it resulted from the National Culture interests. If we take into consideration the existing colonization policy of tsarism in Georgia at that period and severe consequences, which it provoked, the attempts to preserve some parts of national originality are undoubtedly a noble idea and enviable business.

In the present work, a certain place is taken by Gori Teaching Seminary. From its first days of operating, it was actively involved in the public life and appeared to be an initiator and inspirer of many interesting activities on different stages of its functioning.

Among the existing information about Gori in the Russian press of the XIX century, a distinguished place is taken by Dimitri Bakradze “Gori Fortress”, which was published in the newspaper “Kavkaz” in two parts.

The author does not overlook the smallest details. He talks about the material for the construction of Gori Fortress, evaluates its appearance and strategic location. He pays great attention to the interesting discussion on the purpose of Gori Fortress, is interested in the personality of its owners and other important questions, which are given in the second part of the work.

Thus, the Russian press of the XIX century always paid great attention to Shida Kartli, particularly to the topics of the town Gori. The authors thoroughly highlight the news. The present materials are important for the entire study of the history of the region and to create a complete picture of that period. The given texts contain important news about Shida Kartli culture, literature, science, religious and social life, and other events and facts. The newspapers “Kavkaz”, “Tifliski Vestnik”, “Zakavkazski Vestnik”, etc. are noted for their active life.

ივანე მჭედელაძე, ნათია ამირეჯიბი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფუტურიზმი და (პოსტ)საბჭოთა კულტურული სივრცე საქართველოსა და უკრაინის გამოცდილება

მეოცე საუკუნის დასაწყისი კულტურის, მეცნიერების, ფილოსოფიის სფეროში დიდი გარდატეხებით ხასიათდება. ალბათ გადაჭარბებით არ იქნება ნათქვამი, რომ წინა საუკუნის მიწურულიდან ჩასახული ე.წ. გლობალიზაციური პროცესები სწორედ ამ პერიოდიდან იღებენ ინტენსიურ ხასიათსა და ფართო მასშტაბებს. სამყარო გაცილებით მრავალფეროვანი, ძლიერი და წინააღმდეგობებით სავსე გახდა.

პირველმა მსოფლიო ომმა, მარქსისტულმა თუ ნიცშეს ფილოსოფიურმა ტენდენციებმა ცივილიზებულ სამყაროში ახალი, შეიძლება ითქვას, დამაბული რიტმი დაამკვიდრა. მხატვრულ ლიტერატურაში ყოველთვის რეფლექსირდება სამყაროს განვითარების დინამიკა და, ბუნებრივია, ახალი საუკუნის დასაწყისის დამაბულმა რიტმმა კულტურისა და ლიტერატურის სფეროში შესაბამისი მარკერები გააჩინა. „ლიტერატურა წარმოადგენს კონცეპტუალურ რეფლექსიას რეალურად მიმდინარე პროცესებზე; კონტექსტი, რომლის წიაღშიც ყალიბდება მხატვრული ტექსტი, ყოველთვის პოულობს ასახვას ამავე ტექსტის აზრობრივ თუ გამომსახველობით შრეებში“ (რატინი, 2010:49).

1910-იანი წლებიდან საფრანგეთსა და იტალიაში ავანგარდული ტენდენციები და კულტურული სფეროს დუდილის ტემპერატურა სულ უფრო და უფრო მატულობდა, ფილიპო ტომაზო მარინეტისა და მისი მომხრეების, ასევე საფრანგეთში გიიომ აპოლინერის კულტურულ სარბიელზე გამოსვლამ შოკისმომგვრელი ეფექტი იქონია, ასევე შოკისმომგვრელი მანიფესტებითა და პერფორმანსებით. ევროპული ტენდენციები ყოველთვის განმსაზღვრელი იყო პლანეტის არც თუ მცირე ნაწილის ნაციონალური კულტურებისათვის.¹

ფუტურიზმი, როგორც მომავლის ხელოვნება, მეოცე საუკუნის დასაწყისის ავანგარდის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლინება იყო. რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფუტურიზმმა თავისებური მუტაცია განიცადა. რუსული კულტურა ერთგვარად განსაზღვრავდა თავის პოლიტიკურ გავლენაში მყოფი ქვეყნების კულტურების, როგორც სუბკულტურების ტენდენციებს. თუმცა მისი პროგრესული ხასიათი გარკვეულწილად დადებითი ეფექტის მომტანი აღმოჩნდა. რუსულმა

¹ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ კოლონიური მემკვიდრეობის მქონე ქვეყნების კულტურებს. ქართული და უკრაინული ლიტერატურა ერთდროულად ვითარდებოდა ჯერ ცარისტული, შემდეგ ბოლშევიკური კოლონიალიზმის პირობებში მთელი ორი საუკუნის მანძილზე. აბსოლუტურად სამართლიანი იქნება შეფასება, რომ ეს ნაციონალური ლიტერატურები სრულფასოვნად ვერ ვითარდებოდა, რადგან ისინი წარმოადგენდნენ იმპერიული კულტურული ველის მარგინესებს. დამყრობელი კულტურა ცდილობდა დაპყრობილი კულტურების მარგინალიზაციას, რაც ბუნებრივი ევოლუციის პირობებს მნიშვნელოვნად აფერხებდა. ამ პირობებში მთელი პროგრესული ნაწილი ხელოვანებისა ცდილობდა ევროპულ კულტურასთან ინტეგრაციას, მისი ტენდენციებისთვის ფეხის აწყობას, რამაც ცნობიერებაში „ევროპეიზმი“ გააჩინა, როგორც ერთადერთი საოცნებო და სასურველი მდგომარეობა, რომლისკენაც უნდა ილტვოდეს ყველა პროგრესულად მოაზროვნე. ეს დღემდე ასე გრძელდება. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ევროპას უდიდესი გამოცდილება აქვს კოლონიატორული პრინციპების დანერგვაში (საფრანგეთისა და ინგლისის გამოცდილება).

ფუტურიზმმა საქართველოსა და უკრაინაში ამ მიმდინარეობის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა.

ჩვენი კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ ფუტურიზმის როლი და მისი ადგილი შემდეგი პერიოდის ნაციონალური კულტურებისა და ეპოქალური ნოვაციების განვითარებაზე.

ადგილი წარმოსადგენია, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა ამ მიმდინარეობის მიმართ რა პოზიციასაც დაიკავებდა. 1971 წელს გამოცემულ ანდრო ჭილაიას წიგნში „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“ ფუტურიზმის შესახებ ვკითხულობთ: „ოქტომბრის რევოლუციამ სასიკვდილოდ განგმირა ეს დეკადენტური მიმდინარეობა“ (ჭილაია, 1971:489). ამ სიტყვების წინ უძღოდა უაღრესად საინტერესო ფაქტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დოკუმენტი, სადაც მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია კომპარტიის ყრილობაზე აქცენტებს აკეთებს საბჭოთა ლიტერატურასა და ავანგარდისტების, მემარცხენეების შესახებ: „... „ლეფლები“ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გათავისუფლდნენ მათთვის წარსულში დამახასიათებელი აზრებისაგან, გადავიდნენ საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე“.... დასასრულს ბერია მკაცრად შემოხაზავს საბჭოთა ლიტერატურის კონტურებს: „საბჭოთა მწერალი პირველ რიგში ის ადამიანი უნდა იყოს, რომელიც ყველაფერს საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალისტურ სამშობლოს, ლენინისა და სტალინის პარტიას მიუძღვნის“ (საარქივო მოამბე: 73-78). სამწუხაროდ, ახალგაზრდა უკრაინელი პოეტების მხოლოდ შემოქმედებითი მსხვერპლი არ აღმოჩნდა საკმარისი ბოლშევიზმის სამსხვერპლოზე, მათ საკუთარი სიცოცხლით მოუწიათ პასუხისგება თამამი ხელოვნების შექმნისთვის, ქართველებს კი მიძღვნა ლენინისა და სტალინის პარტიის შემოქმედებად „გარდაიქმნენ“.

პოსტსოცრეალისტური ლიტერატურათმცოდნეობა რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა – მას უნდა მოეხდინა სოცრეალისტური კანონების დეკონსტრუქცია, ამ რთულ პროცესს ბევრი დრო დასჭირდა. ამის შედეგად უკანასკნელ ათწლეულამდეც კი ჯერ კიდევ ნეგატიური დამოკიდებულებები არსებობდა ამ მიმდინარეობის მიმართ. ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“ უდიდესი გავლენა იქონია ახალი ტენდენციების ელვის სისწრაფით დამკვიდრებაში, რამაც საზოგადოებაში დიდი ინფორმაციული ნაკადი გააჩინა, შესაბამისად, კულტურული მეხსიერების გადასინჯვა ინტენსიურად დაიწყო.¹ როგორც კვლევამ გვიჩვენა, უკანასკნელი პერიოდის უკრაინული და ქართული ლიტერატურისმცოდნეობა ამ საკითხების მიმართ სხვადასხვა შეფასებებით გამოირჩევა. ასევეა ბეჭდური და სოციალური მედიაც. მიზეზს ვხსნით იმით, რომ ქართველი ფუტურისტი მწერლების უმეტესობამ „მოინანია“ საკუთარი ავანგარდული წარსული და „სახელმწიფო ლიტერატურის“ სამსახურში დაუღალავად იღწვოდა. ამ ფაქტორმა მათ რეპუტაციას ჩრდილი მიაყენა. კიეველი და ხარკოველი ავანგარდისტების ბიოგრაფია კი 1930-იან წლებში სრულდება, მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია. ესაა პროგრესული მოღვაწეების მთელი თაობა. ამ თაობის შესახებ პოლონელმა ლიტერატორებმა ეჟი გედროიცმა და იური ლავრინენკომ დამკვიდრეს ტერმინი „დაცხრილული აღორძინება“. „დაცხრილული აღორძინების“ ლიტერატურული მემკვიდრეობა მხოლოდ ლიტერატურული ღირებულებით არ ფასდება, ის ერთგვარი ნაციონალური იდენტობის მარკერია რეპრესიებით დასახიჩრებული უკრაინული მწერლობისათვის.

უკრაინული ლიტერატურა მუდმივად ცდილობდა რუსული ლიტერატურისგან დისიმილირებას და თავისი ორიგინალური ხასიათის წარმოჩენას. ამ კონტექსტში მოიაზრება უკრაინაში ფუტურისტული ხელოვნების დაბადება. ეს ლიტერატურული მიმდინარეობა უკრაინაში, საქართველოსგან განსხვავებით, ადრე ჩაისახა და უფრო შთამბეჭდავი და დიდი მასშტაბები მიიღო, ვიდრე საქართველოში. წინამდებარე კვლევის ცენტრალური მიმართულებაა 20-30-იანი წლების ახალი ტიპის ხელოვნების როლისა და მისი მემკვიდრეობის შეფასება ნაციონალური კულტურული სივრცისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა მოშორებული მანძილიდან გაცილებით უკეთ აღიქმება, ვიდრე ახლოს და იმავდროულად. ფუტურიზმის არსებობიდან უკვე მრავალი მოვლენა და საკმარისი დრო გავიდა მისი ხელახლა გადააზრებისა და შეფასებისთვის. დღემდე ამ საკითხზე არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს, უმეტესობა კი მაინც ნეგატიურად არის განწყობილი. ამ მიდგომის მიზეზი სრულიად გასაგებია, რადგან მათმა უმრავლესობამ „უმტკივნეულოდ“ (თუ შეიძლება ეს სიტყვა 30-იანი წლების პროცესების შეფასებისას ვიხმაროთ) დაივიწყა საკუთარი ავანგარდული წარსული და ახალი,

¹ გასულ წელს ამ საკითხებს მიუძღვნით ვორჟმოფი „*მეოცე საუკუნის ოცდამეათი წლების ლიტერატურული ავანგარდი*“, ილიაუნის წიგნების კაფე ლიგამუსში, სადაც ცნობილ ლიტერატორებთან, ლაშა ბაქრაძესა და გიორგი კეკელიძესთან, ერთად გაიმართა დისკუსია ამ მიმდინარეობის შესახებ. დისკუსიაში სტუდენტებთან ერთად ჩართული იყვნენ საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებიც. დისკუსიის შედეგად დაიბადა ერთი უმნიშვნელოვანესი შეკითხვა: იყო თუ არა რაიმე ფორმით პოსტსაბჭოთა ახალი კულტურა ან თუნდაც 80-იანების ანდერგრაუნდი ამ თამამი ხელოვნების კანონზომიერი გაგრძელება. შექმნა თუ არა მან პრეცედენტი და ტრადიცია შემდგომი პერიოდის თამამი ლიტერატურული მოვლენებისათვის. საკითხზე ვერ ჩამოყალიბდა ცალსახა პასუხი.

ახლა უკვე ბოლშევიკური ხელოვნების სამსახურში ჩადგა. უკრაინელი ავანგარდისტების განუსაზღვრელ პოპულარობას მათი ტრაგიკული ისტორიაც განსაზღვრავს, რის გამოც უკრაინული კულტურის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა მათი სახელები. ამ პერიოდის თბილისში კი სიმბოლისტებისა და ცისფერყანწელების პოპულარობასთან სიმონ ჩიქოვანის, ჟანგო ლოლბერიძის, აკაკი ბელიაშვილის ავტორიტეტი ვერასდროს ვერ იქნებოდა საპირწონე. ძმები ზდანევიჩებიც უკვე აღარ მოღვაწეობენ თბილისში.

ასეთი ტიპის კვლევისათვის, ვფიქრობთ, საუკეთესო მიგნებაა ის სამეცნიერო მოსაზრება, რომელიც წინ უძღვის უახლეს კრებულს „შედარებითი ლიტერატურის კრებული – 1“ (ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013). „შედარებითი ლიტერატურისადმი ინტერესი ქართულ სამეცნიერო სივრცეში საშუალებას იძლევა: უფრო ინტენსიური გახდეს ლიტერატურის ინტერკულტურული კვლევები და ამ გზით დაიდლოს კულტურული დახშულობა; ინტერდისციპლინარული, სხვადასხვა დისციპლინების ფარგლებში დამუშავებული მეთოდების მეშვეობით უფრო მრავალფეროვანი და მრავალწახნაგიანი გახდეს კვლევები; უფრო ფართო განმაზოგადებელი პოზიციიდან იქნას დანახული როგორც მსოფლიო, ისე ქართული ლიტერატურულ-კულტურული სინამდვილე.... გაზიარებული იქნას ის სააზროვნო და კულტურული გამოცდილება, რომლითაც სხვა ქვეყნები უმკლავდებიან ტრავმატულ წარსულს...“ (მამაცაშვილი-კობახიძე, წიფურია, 2013:15-16). ჩვენი საკვლევი პერიოდიც სწორედ ისეთ ტრავმატულ წარსულს უკავშირდება, რომელიც საერთოა ქართული და უკრაინული კულტურის ისტორიისათვის. თანამედროვე კომპარატივისტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სწორედ პოსტკოლონიური კვლევებია, რომელიც ფართომასშტაბიან ინტერკულტურულ მიდგომებს მოითხოვს. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ასეთი ტიპის შედარებითი კვლევები ჯერჯერობით ახალია, რომელიც კოლონიალური წარსულის მქონე ქვეყნების (საქართველო/უკრაინა) შედარებით ცდილობს ზოგადკულტურული და ისტორიული ასპექტების შეფასებასა და კულტურული მეხსიერების რეკონსტრუქციას.

უკრაინული ფუტურიზმი მნიშვნელოვნად განსხვავდება და ამავდროულად მსგავსებას ავლენს ქართულ ავანგარდულ-ფუტურისტულ ძიებებთან. ორივე ერთსა და იმავე პოლიტიკურ წიაღში წარმოიშვა და ტრაგიკულად დასრულდა. მოვშველიებთ ფაქტებსა და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის გამოცდილებას ორივე ქვეყნის მაგალითზე.

იმთავითვე უნდა განისაზღვროს ის სოციო-კულტურული სივრცე, სადაც მკვიდრებოდა ეს ეპატაჟური მიმდინარეობა. რომანტიზმისა და რეალიზმის, სიმბოლიზმისა და მოდერნიზმის ესთეტიკით ნასაზრდოები მკითხველებისა და ლიტერატურის ე.წ. „მომხმარებლებისთვის“, ზაუმის პოეზიის გამოჩენამ, გასაგებია, რომ არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია. ახალგაზრდა პოეტებისთვის თავის დამკვიდრება და საკუთარი ლიტერატურული პროდუქციის პროპაგანდა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ტარას შევჩენკოს,¹ ივან ფრანკოს ნაწარმოებების გვერდით, ადვილად წარმოსადგენია, რასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ფუტურისტებმა კი ყველაფერი ეს უარყვეს და ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენისთანავე მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. „ისევე როგორც სხვა ულტრამოდერნისტული გამოხატულებანი, ფუტურიზმიც საფუძვლებრივად უნდა მივიჩნიოთ, როგორც გარკვეულწილი პროტესტი ან მცდელობა პროტესტისა, რომელიც არა მხოლოდ ყოველივე კლასიკურისა და მოწესრიგებულის ანტაგონისტურ დაპირისპირებას წარმოადგენდა, არამედ საზოგადოებრივი მორალისა და იდეალის ეთნიკურ-ესთეტიკური ნორმების ანტიეთეზას წარმოადგენდა“ (პაიჭაძე, 2009:183).

1914 წელს, ოცდაორი წლის უკრაინელმა პოეტმა მიხაილო სემენკომ გამოსცა თავისი პოეზიის პირველი პოეტური კრებული „**Prelude**“. ლიტერატურათმცოდნეები ფუტურიზმის დაბადებას სწორედ ამ კრებულის გამოსვლას უკავშირებენ (მ. ნაენკო, მ. ტკაჩუკი და სხვები). მიხაილო სემენკო არის უკრაინული ფუტურიზმის უცვლელი ლიდერი. 1919 წელს მანვე შექმნა პირველი უკრაინული ფუტურისტული ორგანიზაცია „**ფლამინგო**“. მასში გაერთიანდნენ ახალგაზრდა უკრაინელი ხელოვანები-პოეტები ოლექსა სლისარენკო, გეო (გრიგორი) შკურუპი, ვოლოდიმირ იაროშენკო და მხატვარი ანატოლ

¹ანგარიში უნდა გაეწიოს მნიშვნელოვან მომენტს: ილია ჭავჭავაძის („მეცა მნიშვნავს და ერი მზრდის“) და ტარას შევჩენკოს („უკრაინელი ერის დიდი წინასწარმეტყველი“) განუზომელ ავტორიტეტს; მათი მკვეთრად გამოხატული ეროვნული ორიენტაცია და შეურიგებელი, სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი ანტიიმპერიალისტური პოზიციები. მათი შემოქმედების მიერ დამკვიდრებული ესთეტიკური ნორმები და ლიტერატურული გემოვნება, სამოქალაქო პოზიცია და სხვ. მთლიანად განსაზღვრავდნენ ამ ქვეყნების კულტურულ სივრცეს. აღნიშნულ კონტექსტში არამარტო ფუტურისტული პოეზია და პერფორმანსები განიხილება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ელენე დარიანის და პაოლო იაშვილის ბოჰემური ისტორიები და თბილისური ელიტის მკაცრი შეფასებები ელენე დარიანის შესახებ, თუმცა „დარიანული ციკლის“ ლექსებს ვერასდროს შეედრება „მანდი და შრომანა“. ასევე უკრაინულ კულტურაშიც, ლესია უკრაინკას ნოვატორული პოეზია, რის შესახებაც მისმა თანამედროვეებმა სკანდალური შეფასება გააკეთეს, რომ იგი იყო თანამედროვეობის ერთადერთი მამაკაცი პოეტი (ი. ფრანკო).

პეტრიცკი. მათი გაერთიანების საერთო პრინციპი იყო „ახალი ტიპის ხელოვნების, ე.წ. მოდერნის პროპაგანდა და ლიტერატურაში ხალხურობის მოტივების გაპროტესტება“ (ტკაჩუკი, 2014:8).

აღსანიშნავია ამ მიმდინარეობის კავშირი პოლიტიკასთან. ბოლშევიკური რევოლუციისა და შემდგომში უკრაინისა და საქართველოს ხელახალი ანექსიის შემდეგ, ახალფეხადგმულმა კომუნისტურმა სუპერსტრატმა იმძლავრა ლიტერატურაში. ფუტურიზმი, როგორც სიახლის მოყვარე და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის დაუღალავი ქადაგი, მნიშვნელოვანწილად კომუნისტური „ესთეტიკის“ გავლენის ქვეშ მოექცა (*ისევე როგორც მისი ფუძემდებელი ფილიპო ტომაზო მარინეტი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა პოლიტიკასთან, ფაშისტურ იდეოლოგიასთან; გიიომ აპოლინერი ფრანგ კომუნისტებთან; ვლადიმერ მაიაკოვსკის სოციალისტური რეალიზმისა და კომუნისტური პარტიის პრინციპებთან და სხვ.*). 1921 წელს ახალი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ოლექსა სლისარენკო ქმნის ახალ სახელოვნებო დაჯგუფებას კიევში „კომკოსმოსი“ (კომუნისტური კოსმოსი). კომკოსმოსის სახელს უკრაინელი ლიტერატურათმცოდნეები მიაწერენ მხატვრულ ტექსტებში კოსმიურობის შემოჭრას, რაც თავისთავად ფუტურისტული ესთეტიკით იყო ნასაზრდოები. ერთი წლის შემდეგ სემენკო ამ ჯგუფს გარდაქმნის ახალ ფუტურისტულ ჯგუფად, ახალი ავანგარდული სახელწოდებით „ასპანფუტი“ (პანფუტურისტების ასოციაცია). ამ ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ სემენკო, გეო შკურუპი, იულიან შპოლი (*მიკოლა იალოვის ფსევდონიმი*). ამავდროულად სემენკო ქმნის ხარკოვში ახალ დაჯგუფებას „პოეტ-ფუტურისტთა დამრტყმელი ჯგუფი“. ეს ყველაფერი იყო იმ პერიოდისთვის „სკანდალურად უბრალო“, მთელი კულტურული სივრცის გადატრიალება და ახალი, ევროპული ნაკადის გაჩენა ტრადიციული ეროვნული კულტურის წიაღში. სემენკოს ლექსი „სურვილი“ (1914წ.) ამის ერთ-ერთი დემონსტრაციაა: „*მე მსურს ყოველ დღეს ყოველი სიტყვა ახალი იყოს/ რატომ არ შეიძლება სამყაროს შემობრუნება?*“ აგრესიული ფუტურისტული ესთეტიკა უკრაინელი პოეტების ნაწარმოებში იყო გაბნეული, ისინი მანიფესტებით არ გამოირჩეოდნენ დანარჩენი სამყაროსა და, მათ შორის, ქართველი პოეტებისგან განსხვავებით. მიხაილო სემენკოსა და მათი ხედვები იყო წარსულის დეკონსტრუქცია და სრულიად თანამედროვე „მეტახელოვნების“ შექმნა. ლირიკას მომავლის ხელოვნები ბურჟუაზიულ ხელოვნებად მიიჩნევდნენ. წინა პლანზე წამოვიდა ავანგარდული დრამა, რომელიც ამ მეტახელოვნების ყველაზე მისაღები ფორმა აღმოჩნდა. ამ ასპექტში განსაკუთრებით აღსანიშნავია 20-იანი წლების უკრაინული ავანგარდული თეატრი და მისი ფენომენალური რეჟისორი, ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი – ლეს კურბასი. ლეს კურბასმა თეატრისა და ვიზუალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მან დააარსა თეატრალური სტუდია „ბერეხილი“.¹

ფუტურისტული პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გაურკვევლობასთან და ჭკუისმიდმიერ ტექტებთან ერთად, ტექნიციზმებისა და ურბანული ტექსტების გაჩენა იყო. მიხაილო სემენკოს ლექსი „ქალაქი“, უკრაინული ზაუმის კლასიკური ნიმუშია. ლექსი დაწერილია 1914 წელს, და როგორც ლიტერატურათმცოდნე მ. ტკაჩუკი მიიჩნევს, „მასში ყველაზე ნათლად ჩანს ავტორის პროტესტი შინაარსის წინააღმდეგ“ (ტკაჩუკი 2014:70) (*ფორმა vs შინაარსი – ავტ.*). ფუტურისტების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მახასიათებელი სწორედ ქალაქური ტექსტის გაჩენა უკრაინულ მწერლობაში, ისინი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ სოფლის, ბუნების პეიზაჟებსა და სოფლის ცხოვრების თემატიკას, რომელიც ასე პოპულარული იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინულ მწერლობაში. „იგი (*სემენკო – ავტ.*) გახდა პოეტი, რომელიც იყო მომღერალი ავტომობილებისა და ლოკომოტივებისა, ქალაქური ცხოვრებისა“ (ტკაჩუკი, 2014:72). ვფიქრობთ, ურბანული და ქალაქური ტექსტების დამკვიდრებაში მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. პოსტსაბჭოთა საზოგადოება და ლიტერატურათმცოდნეობა სწორედ ასეთ ექსპერიმენტებს მიიჩნევს ევროპეიზაციის ნაკადად უკრაინულ მწერლობაში და, ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანადაც. დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ ფუტურისტების პოზიცია არ მდგომარეობდა იმაში, რომ დაეწვათ მუზეუმები და ბიბლიოთეკები, მათი უსაზღვრო პროტესტი სწორედ ახალი ტენდენციების დამკვიდრებას ისახავდა იმ ეპოქაში, როდესაც ტოტალიტარული რეალობა აგრესიულ სტარტს იღებდა.

სემენკო ლექსში „ავტოპორტრეტი“ სიტყვების ვარიაციითა და გრაფიკის დახმარებით ქმნის პოეზიას სახელწოდებით ავტოპორტრეტი:

Хайль семе коми
ихайль кохайль альсе комих
ихай месен михсе охай

¹ სახელწოდება მოდის გაზაფხულის პირველი თვის – მარტის უკრაინული სახელწოდებიდან „березень“, დაარსდა 1922 წლის 31 მარტს კიევში. მისი სპექტაკლები ანშლაგით იდგმებოდა 30-იანი წლების ქართულ სცენაზე. 2011 წლის თბილისის თეატრალურ ფესტივალზე თანამედროვე „ბერეხილის“ რეჟისორის ოლექსანდრ კაშუნის სპექტაკლებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ეს არის სწორედ კურბასის ექსპერიმენტული თეატრის ტრადიციებზე დაფუძნებული XXI საუკუნის თეატრალური დასი.

МХ ИЛЬ КМС МИХ МИХ
Семенко енко нко Михайль
Семенко мих михайльсе менко
О семенко михайль!
О михайль семенко!

უკრაინელი ლიტერატურათმცოდნე მ. ნაენკო სემენკოზე მსჯელობისას იშველიებს ასეთ ფაქტს: 1934 წელს, როდესაც შეიქმნა საკავშირო მწერალთა კავშირი, სხდომის ერთ-ერთ დღეს დელეგატებს შორის მოულოდნელად გავრცელდა დაახლოებით ასეთი შინაარსის ბარათი: „ნამდვილი ჩვენი ლიტერატურა მოაქციეთ გისოსებში, თქვენ კი აქ ვინც შეკრებილხართ სულყველა ერთიანად უნდა მოგისროლოთ სანაგვეზე...“ სამი წლის მანძილზე უშიშროების სპეცსამსახურები „ემებდნენ“ ამ ტექსტის ავტორს, 1937 წელს დააპატიმრეს და გაასამართლეს სასჯელის უმაღლესი ზომით – დახვრეტა ქონების კონფისკაციით. სსრკ-ს სამხედრო პროკურატურამ 1937 წლის 17 აპრილს განაჩენი აღასრულა (ნანენკო, 2008:767). დასრულდა უკრაინული ფუტურიზმის ლიდერის მიხაილო სემენკოს ბოხოქარი ცხოვრება.

მიხაილო სემენკო ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი იყო, თუმცა ავანგარდულ-ფუტურისტულ ექსპერიმენტებში გეო შკურუპის თავისი ადგილი უკავია. 1922 წელს გამოქვეყნებული მისი კრებული „ფსიქოთეზა“ მოდერნისტული, ავანგარდისტული და რაც მთავარია ურბანისტული ტექსტების სინთეზს წარმოადგენს. გაცილებით ეპატაჟური აღმოჩნდა მისი მეორე კრებული „ბარაბანი“ (1923). შკურუპის ნოვატორულ პოზიციებს უკავშირდება ასევე მარინისტული ლექსების გაჩენა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ნეორომანტიკულ მიმდინარეობას მიაკუთვნებს. გეო შკურუპი ყველაზე ადრე მოექცა ბოლშევიკების ყურადღების არეალში. 1934 წლის დეკემბერში იგი ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ შეიპყრო და გაასამართლა. 1937 წლის 25 ნოემბერს სოლოვკის კუნძულზე დახვრიტეს.

ამ მსჯელობის კვალდაკვალ პოეტი და ლიტერატურათმცოდნე გიორგი კეკელიძე ქართული ფუტურიზმის და ფუტურისტების შესახებ გამოთქვამს მოსაზრებას: „ბესარიონ ჟღენტი, ზემოთხსენებული მანიფესტის ავტორთაგანი, სოციალისტური რეალიზმის მადიდებელი კრიტიკოსთ-კრიტიკოსი და უპირველესი ცენზორი გახდა. საკმაოდ დიდხანს ცეკასთან უაღრესად დაახლოებული ბესარიონი ლამის მარტო განსაზღვრავდა ქართული ლიტერატურის თამაშის წესებს და ეს თავის დროზე ფუტურისტი კაცი იმდენად უკირკიტოვებდა ყველას, რომ ერთხელ კ. გამსახურდიამაც კი ვედარ მოითმინა და მიაძახა: “შენ ჟღენტი ხარ თუ ჟვინტი ხარო!” ბესარიონ ჟღენტი შრომის წითელი ორდენის კავალერია.

სიმონ ჩიქოვანი, ყველაზე ცნობილი სახელი “H2SO4”-დან, მალევე შეეშვა საკუთარ “ორკესტრულ ლექსალობას”, “აიდა-ბაიდებს” და “მეკამეჩეების ურმულს”. მუშაობდა რედაქტორად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, წერდა ოსტატურ, მაგრამ ზაუმისაგან სრულიად დაცილ ლექსებს და პოემებს, ძირითადად, ისტორიულ პერსონაჟებზე და რეალიზმზე, ერთი სიტყვით, არაფრით გავდა კაცს, რომელიც ამბობს: „უარყოფთ წარსულს, რადგან იგი არის სამლოცველო ბებრების და მომკვდავების“. აქ ყველაფერი ქართულია, ან გნებავთ – ქართული საბჭოთა (კეკელიძე, <http://www.tabula.ge/ge/blog/55040-aortqlebuli-h2so4s-tragikuli-saqme>)¹

თბილისსა და კიევში ავანგარდისტული ხელოვნების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა. სამოქალაქო ომისა და მეგაპოლისებში არსებული ქაოსისგან რუსული ინტელიგენცია იმპერიის პერიფერიებში ცდილობდა თავის შეფარებას. ასეთი ქალაქები აღმოჩნდა სწორედ თბილისი, კიევი, ხარკოვი და სხვ. თბილისში ილია და კირილე ზდანევიჩების, ი. დეგენის და ი. ტერენტიევის, დავით კაკაბაძის (ფიროსმანი კიდევ სხვა განზომილებაა) მეთაურებით ხდება მთელი რიგი არტ კაფეების გაჩენა და მათ მიერ ამ კაფეების მოხატვა („Фантастический кабачок“, Ладья Аргонавтов). „ქვეყანა მართლაც იქცეოდა და მხოლოდ ტფილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა“, – წერდა გრიგოლ რობაქიძე 20-იანების თბილისურ ბოჰემურ ცხოვრებაზე. 1917 წელს ალექსეი კრუჩინიხმა ილია და კირილე ზდანევიჩებთან ერთად, ასევე სომეხ ფუტურისტ პოეტთან, ყარა დერვიშთან ერთად „ფუტურისტული სინდიკატი“ დააარსა. ზდანევიჩმავე დააარსა გამომცემლობა „უნივერსიტეტი 41“⁰⁰ სადაც იბეჭდებოდა უცნაური პროდუქცია – ლითოგრაფიული წიგნები, ზაუმური ლექსები კუბისტური ილუსტრაციებით, შპალერზე დაწერილი წიგნები და სხვ.

კიევისა და ხარკოვის ლიტერატურული ბოჰემა უაღრესად საინტერესო და იმ დროისათვის თანამედროვე მოვლენა იყო. უკრაინული პოეზიის დენდები იკრიბებოდნენ ნიკოლაივსკისა და ხრეშტიკის ქუჩის კვეთაზე მდებარე კაფეში „ХЛІАМ“ („художники, літератори, артисти, музиканти“), სადაც

¹ ჩვენ ბოლომდე არ ვიზიარებთ მოსაზრებას. აქ ყველაფერი ქართულია, ან გნებავთ – ქართული საბჭოთა. ცივილიზებულ სამყაროში მართლაც არსებობს დაინტერესება ქართული ავანგარდის ორიგინალური ფენომენის მიმართ. იხ. მერკვილაძე ია, მოდერნიზმი საქართველოში: საზღვრების ხელახალი მონიშვნა. www.lib.ge

პოეტური პერფორმანსები, ეპატაჟი ყოველდღიური მოვლენა იყო. აქ იკრიბებოდნენ როგორც უკრაინელი, ასევე რუსი პოეტები და მწერლები. ცნობილია, რომ ოსიპ მენდელშტამი აქ კითხულობდა თავის ლექსებს, მიხეილ ბულგაკოვს ეს კაფე მოხსენიებულიც კი აქვს რომანში „თეთრი გვარდია“ რუსული აბრევიატურით *ПРАХ* (поэты-режиссеры-артисты-художники).

ყოველი საუკუნის დასაწყისი სირთულითა და წინააღმდეგობებითაა გამორჩეული. ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეული უაღრესად რთული პროცესებისა და დინამიკურობის პიკზე აღმოჩნდა. საზოგადოებაში დაიწყო შეტევა პოსტსაბჭოთა დანაშრევების წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ არსებობდა. ფერადმა რევოლუციებმა უკრაინასა და საქართველოში ფაქტობრივად ახალ კულტურულ ნარატივს ჩაუყარა საფუძველი; ამ მხრივ საქართველოს გაცილებით ხელშესახები შედეგები აქვს. ახალი თაობა სწორედ ახალი კრიტერიუმებით მიუდგა წარსულის გადააზრებას. სოციალური მედიისა და ინტერნეტსაშუალებების ამოუწურავმა რესურსებმა ინფორმაციული ნაკადი კოლოსალურად სწრაფი და ადვილად ხელმისაწვდომი გახადა. უკრაინელი თანამედროვე კულტურული და სამეცნიერო ელიტა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 20-იანების ბოჭემური პოეზიის კვლევასა და პოპულარიზაციას.

თანამედროვე უკრაინელი ლიტერატურათმცოდნე თამარა გუნდოროვა, რომელსაც ეკუთვნის მეტად მნიშვნელოვანი ფუნდამენტური კვლევა „კიჩი და ლიტერატურა“ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ავანგარდის კიჩის ერთ-ერთ ნაირსახეობად განიხილავს: „ავანგარდის ფარგლებში ჩნდება წარმოდგენა ხელოვნების, როგორც ნივთის, საგნის ღირებულებაზე.... შემთხვევითი არ არის ის, რომ კიჩის შესახებ საუბარი, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დაიწყოს ავანგარდის შესახებ მსჯელობისას. ავანგარდი არა მხოლოდ იყენებს კიჩს, არამედ მას მნიშვნელოვან ბიძგს აძლევს განსავითარებლად. იგი თავისთავად შეიცავს კიჩს, როგორც ერთ-ერთ ელემენტს. თავის მხრივ, ავანგარდი ხელს უწყობს სილამაზისა და რეალისტური პასაჟების ნგრევას და ამავდროულად უმნიშვნელო ნივთებს იგი გარდაქმნის არტეფაქტებად (გუნდოროვა, 2008:185).

„გორკის მიერ მოგონილმა სოციალისტურმა რეალიზმმა“ (გ. გვახარია) ძალადობრივი გზებით მოუსპო საარსებო სივრცე თანამედროვე პოეზიის დენდებს. სოციალისტური რეალიზმი, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფო რეჟიმის სახელოვნებო განაყოფი, დაკავებული იყო „ახალი ადამიანის“ შექმნით, სადაც ავანგარდის, ფუტურისმის, თავისუფალი ექსპერიმენტების ადგილი არ იყო. ქართველი ფუტურისტი მწერლებისა და უკრაინელი ფუტურისტი მწერლების რაოდენობისა და მემკვიდრეობის შედარება გვარწმუნებს ამ უკანასკნელის უპირატესობაში. მათ გაცილებით ადვილად შეძლეს თავისუფალ კულტურულ სივრცეში ადაპტაცია. პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინულ ლიტერატურულ სარბიელზე ახალი ლიტერატურული დაჯგუფება გამოჩნდა სახელით „წითელი ფურგონი“ (*Червона фіра*), რომელშიც გაერთიანდნენ პოეტები სერგეი ჟადანი, როსტისლავ მელნიკივი, ივან ფილიპჩუკი. მათ საკუთარი თავი ფურტურისტების მემკვიდრეებად გამოაცხადეს და ჩამოყალიბდნენ ე.წ. „ნეოფუტურისტებად“. ჟადანი და მელნიკივი ლიტერატურათმცოდნეები არიან, რომლებიც სწორედ ავანგარდისტთა შემოქმედებას იკვლევენ. მათი პოეზია არანაკლებ ეპატაჟური და ავანგარდული აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა ნიჰილისტურ რეალობაში. საქართველოსაგან განსხვავებით, აქ ნათლად ჩანს ტენდენცია - მიმდინარეობა არ შეწყდა ცნობილი ძალადობრივი ხელოვნური მეთოდით. თავისუფალი სივრცის გაჩენისთანავე ის კვლავ აღმოცენდა ახალი ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად.

დამოუკიდებელ საქართველოში მსგავსი პრეცედენტი ნამდვილად არ გვხვდება. სოციალურ მედიაში ამ საკითხის შესახებ ერთი მნიშვნელოვანი შეფასება გვხვდება, რაც უდავოდ ყურადსაღებია: „გამოხდა ხანი, დროის გადასახედიდან უფრო ნათლად გამოიკვეთა 20-იანი წლების ავანგარდისტთა კვალი ლიტერატურის ისტორიაში, მათგან უმრავლესობამ, როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთ, შოთა ჩანტლადის საყვარელი სიტყვა - სქოლიო რომ გავიხსენოთ, სწორედ სქოლიოში გადაინაცვლეს, მათი სახელები ფაქტობრივად არაფერს ეუბნებიან დღევანდელ მკითხველს, მაგრამ სწორედ ისინი, თავიანთი გაუთავებელი წარუმატებელი ექსპერიმენტებითა და ძიებებით, მუდამ დინების წინააღმდეგ ოდროჩოდრო გზებზე სიარულით ამრავალფეროვნებდნენ და აცოცხლებდნენ ლიტერატურულ პროცესს, რათა არ მოეცვა ერთფეროვნებას, არ გადაზრდილიყო უსუსურობაში... (შემოქმედელი: <http://urakparaki.com/?m=4&ID=20946>).

მსჯელობის დასასრულს შეგვიძლია რამდენიმე დასკვნის გაკეთება, თუ რა როლი ითამაშა ამ ხელოვნურად შეწყვეტილმა მიმდინარეობამ ლიტერატურის ისტორიის განვითარებაში. თამარ ლომიძე ზაუმის ენის თავისებურებების შესახებ გამოთქვამს მოსაზრებას: „როგორც ჩანს, ფუტურისტული ტექსტების ეს თავისებურება (იგულისხმება ზაუმი - ავტ.) განპირობებულია იმით, რომ ისინი მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ „ცხელ კულტურას“ (კლოდ ლევი სტორის ტერმინი), რომელიც ხასიათდება ახალი ენების შექმნის ტენდენციით. „ცხელი კულტურები“ გამოირჩევა გამუდმებული სწრაფვით გამომგონებლობისაკენ, რაც შეიძლება მეტი ენერგიისა და ინფორმაციის წარმოქმნისა და მოხმარებისაკენ, განსხვავებით „ცივი კულტურებისაგან“, რომლებიც კმაყოფილდებიან არსებობის

მარტივი და მწირი პირობების რეპროდუქციით (ლომძე, 2011:47). ფუტურისტული რეალობა გახდა ერთგვარი ჰიპერრეალობა ბოლშევიკური ირეალური პრინციპების ფონზე.

ყველაზე ლაკონური და მისაღები განსაზღვრება ეკუთვნის დავიდ ბურლიუკს, რომელიც ფუტურიზმს უწოდებს არა უბრალოდ მიმდინარეობას, არამედ სამყაროსადმი დამოკიდებულებას. სამყაროსადმი დამოკიდებულების ამ მეთოდმა სიახლე შეიტანა დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებული კლიშეებით შებოჭილ საზოგადოებაში, რომლებიც თამამ ნოვაციებს არც თუ დადებითად ხვდებოდნენ, ისინი ცხელი კულტურით სწორედ ცივი კულტურების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

ლიტერატურა:

გუნდოროვა 2008: Гундорова Т. Кітч і література. Травестії. Київ: 2008.

კეკელიძე 2011: კეკელიძე გ. აორთქლებული H₂SO₄-ის ტრაგიკული საქმე. (<http://www.tabula.ge/ge/blog/55040-aortqlebuli-h2so4s-tragikuli-saqme>)

კოცარევი 2009: Коцарев О. Алкоголь, секс, епатаж: богемні витівки "Розстріляного відродження".

(http://texty.org.ua/pg/article/newsmaker/read/4847/Alkogol_seks_jepatazh_bogemni_vytivky_Rozstrilanogo_vidrodzhennja)

ლომძე 2011: ლომძე თ. სოსიურის ანაგრამათა თეორია და ენობრივი ექსპერიმენტები ფუტურისტულ პოეზიაში//სემიოტიკა#9, თბ.: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

მამაცაშვილი-კობახიძე, წიფურია 2013: მამაცაშვილი-კობახიძე ა., წიფურია ბ. შედარებითი ლიტერატურის ჟურნალი (წინათქმა), თბ.: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.

მოამბე 2011: ლავრენტი ბერია ქართველ მწერლებსა და ლიტერატურაზე //საარქივო მოამბე, 2011, #10.

ნაენკო 2008: Наенко М. Художня література України. Від міфів до реальності. Київ:2008.

პაიჭაძე 2009: პაიჭაძე თ. ფსიქიკის რევოლუციიდან - ფუტურისტულ ღამეებამდე. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები (II საერთაშორისო სიმპოზიუმი) მასალები (ნაწილი II), თბ.: 2009.

რატიაწი 2010: რატიაწი ი. ლიტერატურული დისკურსის მოდელები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში // სჯაწი 9. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

ტკაჩუკი 2014: Ткачук М., Українська література ХХ століття, Тернопіль: 2014.

შემოქმედელი 2009: შემოქმედელი დ. ავანგარდიზმი 20-იანი წლების საქართველოში (<http://urakparaki.com/?m=4&ID=20946>).

ჭილაია 1971: ჭილაია ა. ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ.: 1971.

Ivane Mchedeladze, Natia Amirejibi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

FUTURISM AND (POST) SOVIET CULTURAL SPACE IN THE EXPERIENCE OF GEORGIA AND UKRAINE RESUME

The article is about the extremely difficult and interesting period of the beginning of the twentieth century. This is the period when, in Georgian and Ukrainian history, the colonial models are changed: more aggressive colonial regime of new type - Bolshevik/Communist totalitarianism, change the Tsarist colonial regime. The totalitarian policy exerted its influence on the cultural sphere.

Futuristic art was created in the background of the crisis of social, political and cultural spheres. The publication discusses the scales of these avant-garde directions, young poets who made a certain turnover with their scandal performances and obscure, so called "Zaum" poetry in the postcolonial reality. The general traumatic past which was caused by so called "Great Terror" in prose of the 1920s-30s is analyzed. The majority of the Ukrainian futurists became the victims of the hell in 1937. But the Georgian avant-gardists changed the orientation and greatly contributed to the building of socialist realism. This factor significantly defines their status and historical value. The legacy and value of Georgian futurists cannot be compared with the status of Ukrainian poets. They came in the Ukrainian history with the name of "Shot Renaissance". Their legacy and history is one of the most important periods in the literature of the twentieth century. The article includes the latest materials of both Ukrainian and Georgian experts and critics in literature as well as social media and the Internet resources which take the greatest place in the discussion of modern culture.

საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში

მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის ქართული პროზის დიდოსტატის – ვასილ ბარნოვის (1857-1934 წწ.) შემოქმედების შესახებ ბევრი რამ დაიწერა საგულისხმო და მნიშვნელოვანი, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა სათანადო მეცნიერული სიღრმით ჯერაც არ არის შესწავლილი. ქართული ისტორიული რომანის ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენლის შემოქმედებაში ბევრი ისეთი პრობლემური საკითხია დასმული და გაანალიზებული, რომლებიც დღესაც უმწვავესი ფორმით დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის ნათელსაყოფად ამჯერად ყურადღება მწერლის შემოქმედებაში პოლემიკური სიმწვავეთ არაერთგზის დასმულ და გააზრებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს მინდა მივაპყრო, როგორცაა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობას მწერალი სისხლობრცეულად უკავშირებს ქრისტიანული სარწმუნოების უმნიშვნელოვანესი როლის ხაზგასმულ წარმოჩენას ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. თუმცა, ამისდა მიუხედავად, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორისეული შეფასებები ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ ჩვენში ფართოდ დამკვიდრებული შეხედულებებისაგან იმდენად რადიკალურადაც კი განსხვავდება, რომ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შეიძლება ზოგს მიუღებლადაც მოეჩვენოს.

სანიშნოდ მინდა რამდენიმე სიტყვით შევხუბო მოთხრობას “სვიმონ ხელი” (1895 წ.). XVI საუკუნის ცნობილი მეფის – სვიმონის გმირული ცხოვრების ამსახველი ეს ისტორიული მოთხრობა განსაკუთრებულ ყურადღებას, ჩემის აზრით, სწორედ იმით იქცევს, რომ ნათლად და არაორაზროვნად გამოხატავს მწერლის მსოფლმხედველობრივი მრწამსის ერთ-ერთ ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან მხარეს, როგორიც რელიგიასთან დამოკიდებულებაა.

ირანის შაჰის კარზე დატყვევებული სვიმონ მეფე უმძიმესი ალტერნატივის წინაშე დგას: მაჰმადიანური სარწმუნოების მიღების შემთხვევაში შაჰი მას კვლავ დაუბრუნებს სამეფო გვირგვინს, ხონთქრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარება და ქვეყანას ძველ ძლიერებას აღუდგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი არა მარტო მეფესა და მის თანამებრძოლთ ემუქრებათ საფრთხე, არამედ მთელ სამეფოსაც. მძიმე არჩევანის წინაშე დამდგარ სვიმონს გადაწყვეტილება ვერ მიუღია: “თუ სჯული დავიცვა, სამეფო გამოიხრდება, იქნება არსებობაც მოესპოს მას, - ფიქრობს იგი. – თუ თავს ვიდვა სამეფოს დაცვა, სჯული უნდა გავტეხო, რადგან მხოლოდ ამ პირობით განთავისუფლდება ყველანი” (ბარნოვი, 1, 1961: 82).

როგორც ცნობილია, ამდაგვარი მძიმე არჩევანის წინაშე ისტორიულად ხშირად მდგარან ხოლმე ჩვენი მეფეები და საკითხის ასეთ დასმაში ახალი არაფერია. საყურადღებო და მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ეს კი არაა, არამედ ამ ამბის შემდგომი გაგრძელება. განსაცდელში ჩავარდნილ სვიმონს ზაქარია მოძღვარი ესტუმრა. სპარსეთში წლობით ნაცხოვრები ამ მოძღვრის სახით მწერალმა თუმცა მეტად ფრაგმენტულად, მაგრამ უაღრესად საინტერესოდ გამოკვეთა სარწმუნოებრივი დოგმატიზმით შეუბოჭველი სასულიერო პირის ლიტერატურული ტიპი.

ყურანისა და მაჰმადიანთა სჯულის სხვა წიგნების გაცნობამ ძველი სპარსული რწმენის, ინდური მოძღვრების, ებრაული სჯულისა და ქრისტიანული ღვთისმეტყველების საფუძვლიანმა შესწავლამ და ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებამ ზაქარია მოძღვარი იმის აღიარებამდე მიიყვანა, რომ “ყოველი სჯულის დედააზრი ერთი და იგივეა, ყველა ეს მოძღვრებები თავიანთ არსებით ნაწილში ჰგვანან ერთმანეთს. ყველა ესენი აღიარებენ მიუწვდომელ არსებას, რომელიც არის შემოქმედი და დასაბამი კეთილის...”

ყველა სჯულისათვის ამ საერთო ჭეშმარიტების ქვეით იწყება გარჩევა მოძღვრებებში, აქვე იწყება ერთი ხალხის მეორისაგან სარწმუნოების მხრივ გაცალკეება და სიძულვილი, გარნა ეს მცირე ხარისხოვანი და დროებითი მოვლენაა. ბოლოს ეს განსხვავებანი უნდა მოისპოს და უმთავრეს ჭეშმარიტებამ უნდა შეაერთოს რწმენის მხრივ მთელი კაცობრიობა, მაშინ შეიქმნება ერთი სამწყსო ერთის მწყემსისა.

თუ ეს ასეა, მაშ განვითარებული კაცისათვის რად უნდა იყოს მომაკვდინებელი ცოდვა უარპყოს მცირეხარისხოვანი წესები რომელიმე სჯულისა, თუ ამას მოითხოვს სამშობლოს დაცვა? – ასე ფიქრობდა მოძღვარი და დაასკვნა, ერჩია სვიმონისათვის მაჰ-მადიანობის მიღება ხალხის დასაცველად” (ბარნოვი, 1, 1961: 83).

მართალია, ზაქარია მოძღვრის ეს თვალსაზრისი პრინციპულად არ შეესაბამება ქრისტიანული რელიგიური მოძღვრების კანონიკურ ნორმებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ეს კი არაა, არამედ ის ფაქტი, რომ თავისი არსით იგი დღესაც უაღრესად აქტუალური შეხედულებაა. აქვე მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ამ მოსაზრებას სასულიერო პირი გამოთქვამს, ღვთისმოსავი კაცი და არა სარწმუნოებრივი რწმენისაგან შორს მდგარი პიროვნება. ზაქარია მოძღვრის ამგვარმა რჩევამ საბოლოოდ გადააწყვეტინა მეფეს, თავისი თავი მსხვერპლად შეეწირა უფლისა და სამშობლოსათვის, ფორმალურად მაჰმადის რჯული მიეღო, კვლავ თავის ქვეყანას დაბრუნებოდა და მის სამსახურში ჩამდგარიყო.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში დასმულმა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემამ განსჯა-გააზრების ახალი მუხტი შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილ არაერთ ნაწარმოებში. ერთ-ერთი მათგანია გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1933 წელს, დაწერილი მოთხრობა “ისკანდარი”, რომელშიც XVIII საუკუნის ბოლო წლების საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობაა აღწერილი.

ვიდრე უშუალოდ ამბის თხრობას დაიწყებდეს, მწერალი ადვილად გასაშიფრი ალეგორიით აფასებს იმ საფრთხეს, რომელიც იმჟამად ჩრდილოეთიდან ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას. ამ შეფასებით იგი იმთავითვე არაორაზროვნად განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას იმ რთული პოლიტიკური მოვლენებისადმი, რომელთაც საქართველოს სამომავლო ბედი უნდა გადაეწყვიტათ. მეტი სიცხადისათვის გავიხსენოთ ეს ფრაგმენტი: “ჩრდილოეთისკენ რომ მოსჩანდა შავი რამ ნისლი, ის მოზრდილიყო, უფრო ჩამუქებულიყო.

– ჩემ რჩეულ საქართველოს დასტანებია ქუფრი ბოროტი, – წარსთქვა მზემ ხმით უნაზესით.

გარნა ამ ხმამ გრგვინვით აღავსო ზე-ცა, ქვე-მიწა.

– დასტანებია ბნელი საქართველოს!

– შავი ბოროტი საქართველოს!”

სწორედ ამ შეფასების ფონზე აღწერს მწერალი ქვეყანაში არსებულ მძიმე ვითარებას და აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავს იმ ინერტულობისა და პოლიტიკური წინდაუხედაობის გამო, რითაც, მისი აზრით, ამ ვითარების ცენტრში მოქცეული გვირგვინოსნის – ერეკლე მეორის მოღვაწეობა ხასიათდებოდა.

კერძოდ, ვ. ბარნოვი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს ისტორიულად ცნობილ შემდეგ ფაქტს: დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლობა საგანგებო მისიით ეწვია ერეკლეს, რათა დაბეჯითებით ეთხოვათ მისთვის ქართლ-კახეთის სამეფოსთვის ქვეყნის დასავლეთი ნაწილის შეერთება. ამით ისევ აღდგებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა და კვლავ დაუბრუნდებოდა მას ძველი სახელი და დიდება.

სამწუხაროდ, ერეკლე მეორემ ქართველ მამულიშვილთა ამ თხოვნას უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მას უკვე ჰქონდა გაკეთებული არჩევანი ქვეყნის მფარველ-პატრონად რუსეთის მოწვევის შესახებ. ერეკლე არათუ რუსთათვის მიცემული სიტყვის გატეხვის წინააღმდეგია, იმასაც კი შეცდომად მიიჩნევს, ეს კრება რომ გამართა და ქარველ პატრიოტთა “უსაბამო თქმები მოისმინა.”

ამით მთავრდება მოთხრობის პირველი ნაწილი. ნაწარმოების შემდგომ გაგრძელებაში კი ერეკლეს მემკვიდრის, ავტორის მიერ ისკანდარად წოდებული ალექსანდრე ბატონიშვილის, თავგადასავალია მოთხრობილი. რუსეთთან მიმართებით მას მამისაგან პრინციპულად განსხვავებული პოზიციის მქონე ალექსანდრე ამ სიტყვებით ევედრება მამას, არ გააწილოს სტუმრად წვეულნი: “მთელი ქართველობა შემოგვხვია გარს, გვედრება, როგორც ღმერთს, უსმინო, შეიერთო, დარაზმო და განაშენ, განთქმული მეფე ერეკლე, უარს ეტყვი მას?” მაგრამ, როგორც ითქვა, ერეკლე პრინციპულად სხვა პოზიციაზე იდგა.

გაწილებული ბატონიშვილი, რომელსაც ხალხი მეფის ნამდვილ მემკვიდრედ სახავდა, თავად ჩაუდგა სათავეში ქვეყნის ხსნისათვის გამართულ ბრძოლას. ამ მიზნით იგი ჯერ სპარსეთს ეწვია და ამ გზით ცადა რუსთა მოსალოდნელი ბატონობისაგან სამეფოს გადარჩენა. შემდგომ კი, საქართველოში დაბრუნებულმა, ქართველი პატრიოტების ლაშქარს უსარდლა და კავკასიის მთიელ ხალხებთან ერთად შეებრძოლა რუს-ქართველთა გაერთიანებულ ჯარს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და დამარცხებულმა ისევ სპარსეთს შეაფარა თავი.

ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავს ტრაგიკულ სიმძაფრეს ისიც სძენს, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქარს ერთობლივი ძალით დაუპირ-

რისპირდა რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარი. სამწუხაროდ, სამეფო კარზეც და ხალხშიც იმხანად ცოტას თუ ჰქონდა გაცნობიერებული ის ამბავი, რომ ამ გამარჯვებით საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას კიდევ ერთი საყრდენი გამოეცალა. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს მწერალი ღრმა შინაგანი გულისტკივილით, როცა გვამცნობს, როგორი სიხარულით შეეგება გიორგი მეფე რუს-ქართველთა გამარჯვებულ ჯარს, რომელსაც ძლევამოსილი კაცის სიამაყით შეუძღვა მშობლიური ქალაქის ქუჩებში.

მწერლის დაინტერესებამ საქართველოს ისტორიული წარსულით კიდევ უფრო მასშტაბური გამოვლინება ჰპოვა ვ. ბარნოვის მოთხრობაში “სახიფათო სიყვარული” (1908). ვ. ბარნოვის შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ ამ შემთხვევაში XVII საუკუნის ჩვენი ტრაგიკული ისტორია იქცა, კერძოდ, ხოსრო-მირზად წოდებული მეფე როსტომის ხელმწიფობის ხანა. გარდა იმისა, რომ ნაწარმოებში მხატვრული სისხლსავსეობით ცოცხლდება ისტორიული წარსულის ბევრი დრამატული ეპიზოდი, იგი საქართველოს ისტორიის არაერთი პრობლემისადმი ავტორის არატრადიციულ დამოკიდებულებასაც გამოხატავს ნათლად და მკაფიოდ.

ეს, პირველ ყოვლისა, ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა მიერ მაჰმადიანური სარწმუნოების მიღება-არმიღების პრობლემის ბარნოვისეულ განსჯა-გააზრებაზე ითქმის. მიუხედავად იმისა, რომ ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობა ქრისტიანული რელიგიის პრინციპებს ეფუძნება და მასკარგად აქვს გაცნობიერებული ამ სარწმუნოების როლი ჩვენი ხალხის ისტორიაში, მწერლის თვალთახედვა ამ მიმართულებით სწორხაზოვანი მაინც არ არის და იგი ზოგ შემთხვევაში გონივრული კომპრომისის მომხრედაც გვევლინება.

ეს ტენდენცია აშკარად ვლინდება “სახიფათო სიყვარულშიც.” მხედველობაში მაქვს ნაწარმოების ის ეპიზოდები, სადაც როსტომ მეფისა და სხვა ქართველ დიდებულთა გამაჰმადიანების შესახებაა მსჯელობა. მწერალი მათ მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხსნის და ამგვარ კომპრომისის ზოგჯერ ქვეყნისთვის დადებითი შედეგების მომტან გონივრულ უკანდახევადაც კი მიიჩნევს.

ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც “სჯულისა და მამულის ღალატს” ერთმანეთთან აიგივებდა და ყველას, ვინც ამ ნაბიჯს გადადგამდა, ქვეყნის მტრად თვლიდა, როსტომ მეფე და მისი თანამოაზრენი თავიანთ მოქმედებას ეროვნული ინტერესებით ამართლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში მთელი ძალითაა წარმოჩენილი მათი პატივმოყვარული პიროვნული ბუნება, იქვე იმასაც არაორაზროვნად ესმება ხაზი, ქრისტიანული სარწმუნოებისგან ზოგიერთი მათგანის განდგომა ეროვნულ-პოლიტიკური მოსაზრებით რომ იყო განპირობებული და არა სამშობლოსადმი ღალატით.

გავისხენოთ, მაგალითად, როგორ აფასებინებს მწერალი ამ ფაქტს ერთ-ერთ გამაჰმადიანებულ ქართველ დიდგვაროვანს: “სამშობლოს ღალატით კი არა სამშობლოს სიყვარულით მივიღეთ სხვა სჯული, წავიწყმიდეთ სული, რომ შეძლება მოგვეცემოდა დავხმარებოდით მამულს. ეს ერთადერთი გზა იყო ხელგახსნით გვემოქმედნა მამულის სასიკეთოდ. როგორ გავაგებინო, როგორ ვაგრძნობინო სხვას ჩემი გულის თქმა?!” (ბარნოვი, 2, 1961: 152).

სწორედ ამგვარი თვალთახედვით სჯის და აფასებს ვ. ბარნოვი როსტომ მეფის გამაჰმადიანების ფაქტს. მის მიერ წარმოსახული როსტომი ქართველ მამულიშვილთა უდიდესი ნაწილისაგან, უწინარეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ მაჰმადიანური რელიგიისადმი ლოიალურადაა განწყობილი და სპარსული ორიენტაციის მომხრედ გვევლინება.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და საქართველო ერთი რწმენის მიმდევარი სახელმწიფოები იყვნენ, როსტომ მეფის აზრით, ამ ქვეყნებში “ხასიათის, ჩვეულების, მისწრაფებისა და ისტორიის მიხედვით” იმდენად განსხვავებული “სხვადასხვა ჯიშის ხალხები ცხოვრობენ,” რომ ისინი ვერაფრით შეეთვისებიან ერთმანეთს. “სარწმუნოებრივი ერთობა” ამ შემთხვევაში “მხოლოდ მოძღვრების ერთობაა, ძირითადი ჭეშმარიტების ერთობა, თორემ თვით ხალხის რჯული და თავყანისცემა დიდად განსხვავებულია.”

როგორც ვხედავთ, როსტომ მეფის ეს შეხედულება ბევრი რამით მოგვაგონებს ნ. ბარათაშვილის “ზედი ქართლისას” ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – სოლომონ ლეონიძის ეროვნულ-სარწმუნოებრივ თვალთახედვას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ლიტერატურული გმირის მხატვრული სახე არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან, ეს მსგავსება, ვფიქრობ, აშკარად ხელშესახებია.

როსტომ მეფე კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთთან საქართველოს დაკავშირებას. იგი “პატარა საქართველოს დიდ ისტორიულ მნიშვნელობას” იმაში ხედავს, რომ განგებამ მას “ძლიერი კავკასიონის კარის დაკეტვისა და დაცვის” მისია დააკისრა. მის ამ მოსაზრებას სხვებიც იზიარებენ. მაგალითად, როსტომის ერთ-ერთი თანამებრძოლის აზრით, “ქართველები თავიანთ თავსაც დაღუპავენ და სპარსეთსაც, თუ დარიალის კარებს ახსნიან.” მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ რუსეთთან

საქართველოს დაკავშირების პერსპექტივას ასე არა მარტო სპარსული ორიენტაციის მომხრენი აფასებენ, არამედ ისინიც, რომელთაც ქრისტიანული სარწმუნოებისაგან განდგომა ქვეყნის ღალატად მიაჩნიათ.

ერთ-ერთი მათგანია ყაფლან არსიანელი, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება თეიმურაზ მეფის სურვილს, “გააღოს დარიალის კარები და ჩრდილოეთის ძალით დაამხო სპარსეთი.” ყაფლანის აზრით, ამის გაკეთება ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან საქართველოს სამეფო “ზიდად არის გადებული ჩრდილოეთსა და სპარსეთს შუა. ირანზე მიმავალმა ჩრდილომ საქართველო უნდა გადმოლახოს და რით არის მეფე დარწმუნებული, რომ იმ ბუმბერაზის მძიმე ნაბიჯი არ ჩასრესს ჩვენს სამშობლოს.”

განსახილველი პრობლემის თვალსაზრისით ერთ-ერთი მეტად საინტერესო ნაწარმოებია რომანი “ზაზართა სასძლო” (1919 წ.) მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების სიუჟეტურ საფუძვლად ზაზართა ხაკანის მიერ ქართლის მეფის – არჩილის ქალიშვილის – შუშანის მოტაცების დრამატული ამბავია ქცეული, მასში მწერალმა ის რთული ვითარებაც წარმოსახა მასშტაბურად, რომელიც საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებში სუფევდა VIII-IX საუკუნეებში.

ეს ის დროა, როდესაც საქართველოში სარკინოზთა ბატონობაა დამყარებული. სახელმწიფოებრივ მთლიანობასა და თავისუფლებას მოკლებული ქვეყანა თავგანწირვით იბრძვის ეროვნული თვითმყოფადობისა და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისთვის. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხი მარტოდმარტო აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში დახმარება მას ვერც ბიზანტიამ აღმოუჩინა და ვერც სპარსეთმა.

მართალია, არაბთა წინააღმდეგ სწორედ იმხანად ზაზართა მძლავრი სახელმწიფოც აწარმოებდა “საშინელ ომს,” მაგრამ საქართველოს მოკავშირედ ვერც იგი გამოდგებოდა, ვინაიდან ზაზართა ხაკანი “ფრიად ნაწყენი და გარისხებული იყო” ქართველებზე იმის გამო, რომ არჩილ მეფის ასულმა შუშანმა მას ცოლობაზე უარი უთხრა. “ეს პირადი სიმწარე გარდუვალ ზღუდედ იყო აღმართული” ორ ქვეყანას შორის, რის გამოც “ქართველთა მპყრობელნი ჩრდილოეთისაკენ იმედის თვალთ ვეღარ გაიხედავდნენ.”

ზაზართა ხაკანისადმი უარის თქმა რომანში ორი მთავარი ფაქტორითაა მოტივირებული: სარწმუნოებრივი სხვადასხვაობითა და იმ გარემოებით, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მუდამ დასაპყრობად მოილტვოდნენ საქართველოსაკენ. მართალია, ჩრდილოელ მეზობლებში ამჯერად ზაზარები იგულისხმებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ იმხანად ჯერ არც რუსეთის სახელმწიფო არსებობდა და რუსეთის ტერიტორიაზე არც ქრისტიანობა იყო გავრცელებული.

ამის მიუხედავად, მწერალი მაინც თვლის, რომ ჩრდილოეთისადმი მინდობა ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველი მოვლენაა. აი, როგორ გამოახატინებს იგი ამ თვალსაზრისს სამეფო კარის წარმომადგენელთა ერთგან: “ჩრდილოეთს მაინც ვერ მივუდგებით, თუნდაც დავმოყვრდეთ... ის მარად მოილტვის ჩვენ ქვეყნისაკენ.

– არც როდის არ შეიძლება მინდობა! შესაძლოა მხოლოდ განსაზღვრული ჯარის დაქირავება და გადმოყვანა იქიდან.

– მაშ, უარი უნდა ეთქვას ხაკანს: სჯული ეწინააღმდეგება ამ კავშირს; თვით სახელმწიფოს სარგებელიც ამასვე მოითხოვს, რომ ჩრდილოეთის საზღვრები მტკიცედა გვექონდეს დაცული.” (ბარნოვი, 6, 1962: 262).

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის დროს ეს ანტიჩრდილოური (იგივე ანტირუსული) პოზიცია ვ. ბარნოვის შემოქმედებაში არაერთგზის გამოიხატა ნათლად და არაორაზროვნად და ამ თვალსაზრისით “ზაზართა სასძლო” სულაც არ არის გამონაკლისი.

“ზაზართა სასძლოსადმი” ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მასში მწერალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისთვის საფუძვლის გამომთხრელი შინაური ძალების მხილვასაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. ამ კუთხით უპირველეს ყოვლისა აფხაზთა მეფეების მიერ გატარებული მზაკვრული პოლიტიკის ავტორისეული დახასიათება მინდა გავისვენო. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ამ დახასიათებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა და მთელი სიმწვავეთ წარმოაჩინა ის შენიღბული წინააღმდეგობა, რომელიც მეტ-ნაკლები ძალით თითქმის მუდამ არსებობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობასთან შინაგანად დაპირისპირებულ აფხაზურ სეპარატიზმსა და ქართულ ცნობიერებას შორის.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად, გავისვენოთ სათანადო ფრაგმენტები რომანიდან. არაბთა მიერ არჩილ მეფის სიკვდილით დასჯის შემდგომ ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული იოანე ბატონიშვილი დასავლეთ საქართველოში გადავიდა იმ იმედით, რომ აქედან დაიწყებდა ქვეყნის სიძლიერის აღდგენას. მაგრამ “იქაც ვერა ჰპოვა ტახტის მემკვიდრემ ისეთი ძალები, რომ-

ლებზედაც შესაძლო ყოფილიყო სამეფო ტახტის დამყარება.” შინაური შუღლისა და განთიშულობის გაღრმავებას მოხერხებულად უწყობენ ხელს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები. ამ თვალსაზრისით მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას იმ მზაკვრულ ურთიერთობაზე ამახვილებს, რომელიც ხაზარებსა და აფხაზებს შორის არსებობს.

პირველ ყოვლისა, სწორედ “ხაზარნი აღელვებდნენ და აქეზებდნენ აფხაზებს, რომ გასდგომოდნენ იგინი ქართველებს და დაეარსებინათ ცალკე სახელმწიფო თვით ხაზართა მფარველობის ქვეშ. ძალიანა სცდილობდნენ ხაზარნი ამ საშუალებებით მაინც დაეჭირნათ კავკასიონის კარებები, რადგან იცოდნენ, ვის ხელშიც იქნებოდა იგი გადმოსავალნი, იმისი შეიქმნებოდა გამარჯვება იმ სასტიკ და შეურიგებელ ბრძოლაში, რომელიც უკვე დაწყებული იყო ჩრდილოეთის მბრძანებელ ხაზართა და სამხრეთის მფლობელ აგარიანთა შორის.

ხაზართა შთაგონებით ლეონ აფხაზი აღარ დაემორჩილა იოანეს, არ აღიარა იგი მეფედ მთელი საქართველოსი და ისე ეჭირა თავი, როგორც მფლობელს ვინმე დამოუკიდებელს. იოანეს არ ძალუძდა განემტკიცებინა ამ კუთხეშიც ხელმწიფობა საქართველოსი: ხაზართა ხაკანი ზურგს უმაგრებდა აფხაზს, მარად მზად იყო შესაფერ დროს ჯარით დაჰხმარებოდა განდგომილს. იოანე ყოველ წუთს ელოდა ამ მხრიდან ღალატს. შემდგომში აკი კიდევ აისრულეს ხაზართ წადილი: ლეონ მეორემ, მმისწულმა ამ პირველი ლეონისა, ხაზართა მეფის ასულის ძემ, დაიპყრო ხაკანის დახმარებით მთელი აფხაზეთი და ეგრისი, უარყო ქვეშევრდომობა საქართველოს მფლობელისა და გამოაცხადა თავისი თავი მეფედ აფხაზეთისა.” (ბარნოვი, 6, 1962: 284).

როგორი სიზუსტით მიესადაგება ვ. ბარნოვის მიერ წარმოსახული ეს ვითარება დღევანდელ აფხაზეთში არსებულ მდგომარეობას! საკმარისია, ხაზართა მაგივრად ციტირებულ ფრაგმენტში რუსი ჩავსვათ, რომ მთელი სიცხადით დავინახოთ, მწერლის მიერ აღწერილი მოვლენა როგორი წინასწარმეტყველური სისწორით წარმოაჩენს იმ მზაკვრული პოლიტიკის არსს, რასაც სადღეისოდაც ატარებს რუსეთი აფხაზეთში.

იგივე უნდა ითქვას ლეკთა შესახებაც, რომელთა მზაკვრული და მოღალატური ბუნება მწერალმა შემდეგნაირად დაახასიათებინა ხაზართა სარდალ ბდუჩანს: “ლეკეთზე დაბრუნება შეუძლებელი სჩანდა. ბდუჩანმა გაიცნო იქაური ხალხი, ქვეყანა, საცალფეხო მთის ბილიკები და ვეღარ ენდობოდა ლეკებს: შესაძლო იყო ეღალატნათ მისთვისაც, როგორც უღალატეს თავიანთ მოკავშირე ქართველებს.”

ასეთი მახვილგონივრული წინასწარმეტყველებანი და შეფასებანი ვ. ბარნოვის შემოქმედებაში სხვაგანაც რომ საკმაოდ ხშირად გვხვდება, ეს “შურისგებიდანაც” (1928 წ.) ნათლად ჩანს, რომელშიც ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ საქართველოში არსებული ვითარებაა აღწერილი.

ქართველთა ჯარი ღვაჭაგის სარდლობით კავკასიონის გადაღმა მცხოვრებ ერებთან საბრძოლველად გაემართა. ამ გადაწყვეტილების მიღება იმანაც განაპირობა, რომ ბოლო დროს ისინი “ზოროტად მოისწრაფოდნენ გადმოდმისაკენ და ჯგუფ-ჯგუფად იწყეს გადმოსვლა ხალხის სამარცვად.” ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ასალაგმად წასულმა ლაშქარმა აფხაზეთს მიაღწია.

მწერლის თქმით, აფხაზებიც “იბერთა ტომნი არიან, მაგრამ შორეულნი. ვერა გრძნობენ ჩვენთან ერთობას.” ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხთა მსგავსად, ისინიც “ზშირად გადმოდიან სამეკობროდ ჩვენს მხარეს... იმედი აქვსთ გადაღმეულების: ჯიქეთში მალავენ ნადავლს, ნატაცები იმათაც ხომ აქეთ გადმოაქვსთ.”

აფხაზები საომრად მომზადებული შეხვდნენ იბერიელებს, მაგრამ ბრძოლა ვერ გაბედეს, რადგანაც “მიმავალი ჯარი არც დიდ საბაზს აძლევდა ბრძოლისას: არ ალაფობდნენ, არც არვის ეტანებოდნენ.

– გზად მივდივართ თქვენს ქვეყანაზედ. სამტრო არრა გვაქვს. თუ არ დაიშლით და დაგვესხმით, ძვირად დაგისვამთ.

ამაში აფხაზნი დარწმუნდნენ, როდესაც სცადეს რამდენჯერმე და დაზიანდნენ.” (ბარნოვი, 8, 1963: 357).

ქართველთა სიძლიერით შეფიქრიანებულმა აფხაზთა მთავარმა მთავარსარდალი ღვაჭაგი სტუმრად მიიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად სტუმარ-მასპინძელი ურთიერთობისადმი უდიდეს პატივისცემას გამოხატავდა, ერთიმეორეს მაინც არ ენდობოდნენ და “შირი თვალი ეჭირათ ერთმანეთზედ.” ნასადილევს აფხაზთა მთავარმა ღვაჭაგს თხოვა მათ ჯარში, რომელშიც “იბერთა ყველს თემებიდან იყვნენ მებრძოლნი,” რამდენიმე რჩეული აფხაზიც ჩაერიცხა. ღვაჭაგი მთავრის ამ წინადადებას გარეგნულად სიხარულით კი შეხვდა, მაგრამ “გულში იმას ფიქრობდა, მოშორებით ჩაეყენებინა იგინი ჯარში სხვადასხვა ადგილას.

– შესაძლოა, განზრახ მომიჩემა, რომ გზაში ან ბრძოლის ჟამს რაიმე ვნება მოგვაყენონ.

– საფიქრო არის! ჯამუშობასაც გასწევენ ეგენი. ეცდებიან ყველა ჩვენი ნაბიჯი აცნობონ თავიანთ მთავარს." (ბარნოვი, 8, 1963: 358).

ქართველთა ჯარმა წარმატებით დალაშქრა მეზობელ ხალხთა სამთავროები. მათი პირველი რისხვა ჯიქეთს დაატყდა თავს. შემდეგ ბრუხოელნი დალაშქრეს. ბრუხოელებმა დახმარებისთვის ალანელებს მიმართეს, მაგრამ ღვაჭაგმა დაასწრო, ოსეთში გადავიდა და ისინიც მკაცრად დასაჯა ორგულობისთვის.

საბოლოოდ, გამარჯვებული ქართველთა ჯარის მთავარსარდალი ამგვარი გამაფრთხილებელი სიტყვებით მიმართავს დატყვევებულ მოწინააღმდეგეთ: "გადმოვიარე ჩემი ჯარით თქვენი ქვეყნები. ჩაიხოცა ხალხი მრავალი, განადგურდა ბევრი სოფელი. სამტროდ თითონ თქვენ გამოგიწვიეთ: მტერს დაუჯერეთ, ამხედრდით ჩვენზედ, შეგვირყიეთ მკვიდრი საზღვრები... შორეული მტერი წავა, მეზობლები ერთადვე ვიცხოვრებთ. ხმლით გაგახსენეთ მე ეს მართალი!.. ბედისწერას დაჰმორჩილდით, მძებად დაგიჭერთ; თუ არადა უცილებლად სიკვდილი თქვენი!" (ბარნოვი, 8, 1963: 363).

როგორც ვხედავთ, მწერლის მიერ აღწერილი ვითარება ბევრი რამით დღევანდელ ვითარებასაც მიესადაგება ზუსტად და წინასწარმეტყველურად. ოღონდ ესაა, ქართველთა იმპაინდელი ჯარის სიძლიერე და სიმტკიცე, რის შედეგადაც ჩვენი მიწა-წყლის მისატაცებლად შემოსეული მტრების ალაგმვა გახდებოდა შესაძლებელი, სამწუხაროდ, დღესდღეობით უკვე აღარ მოგვეპოვება.

საქართველოს ისტორიული წარსულით დაინტერესებამ ვ. ბარნოვის შემოქმედებაში განახლებული ძალით იჩინა თავი ოციან წლებში. სწორედ ამ წლებში შექმნა მან ქართული რომანისტიკის ისეთი საინტერესო ნიმუშები, როგორებიცაა: "გიორგი სააკაძე" (1923-25 წწ.), "არმაზის მსხვერვა" (1925 წ.), "დედოფალი ბიზანტიისა" (1927 წ.), "ცოდვა სიჭაბუკისა" (1928 წ.), "თამარ მრწემი" (1929 წ.)...

ვ. ბარნოვის ამ რომანებში არა მარტო საქართველოს ისტორიული წარსულის ბევრი ეპიზოდი გაცოცხლდა მაღალმხატვრული ოსტატობით, არამედ, წინანდელ ნაწარმოებებთან შედარებით, მეტი სიმძაფრით გამოვლინდა მწერლის ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვა და ისტორიულ მოვლენათა განსჯა-გააზრება თანადროულ სინამდვილესთან მისადაგებული ფორმით.

როგორც ვ. ბარნოვის შემოქმედების თუნდაც ამ ფრაგმენტული გაანალიზებიდანაც თვალნათლივ ჩანს, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობის დროს მწერალი მკვეთრად გამოხატულ ანტირუსულ პოზიციაზე დგას და ჩრდილოეთთან კავშირს ჩვენი ქვეყნისათვის პრინციპულად მიუღებელ მოვლენად მიიჩნევს.

ლიტერატურა:

- ბარნოვი ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1, თბ., 1961.
ბარნოვი ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2, თბ., 1961.
ბარნოვი ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, თბ., 1962.
ბარნოვი ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 8, თბ., 1963.
ნიკოლეიშვილი ა. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ქუთაისი, 2000.

Avtandil Nikoleishvili
Akaki Tsereteli State University
**THE QUESTION OF GEORGIA'S POLITICAL ORIENTATION IN
VASIL BARNOV'S WORKS
RESUME**

In spite of the fact that a lot has been written about Vasil Barnov's works, his literary heritage has not been studied thoroughly and comprehensively. Barnov, who is one of the best representatives of the Georgian historical novel writing, puts forward many themes that are still very relevant and vital for our Georgian reality today. One of these themes includes the question of Georgia's political orientation. Short stories and novels, such as "Svimon Xeli", "Saxipato Sikvaruli", "Iskandari", "Xazarta saszi" - are especially interesting from this point of view. In these literary works the writer clearly takes the anti-Russian sentiment and warns against the union with Russia, arguing that it will bring negative consequences for the future of our country.

ტრილოგია „ბელადის“ ბედი

„მთვარის მოტაცების“ დასრულების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი რომანის წერა დაიწყო.

ეს იყო „ევროპა გალიაში“, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ევროპის სინამდვილე, ბრძოლა რესპუბლიკური ესპანეთისათვის, რაც მაშინ უაღრესად მოდური თემა იყო.

„ლიტერატურული საქართველო“ უკვე აქვეყნებდა ცალკეულ თავებს.

ლავრენტი ბერიას ეს რომანი არ მოსწონდა, მაგრამ მწერლის ჩანაფიქრს მიესალმა.

მწერალი პირობას აძლევდა ხელისუფლებას, რომ „მთვარის მოტაცების“ ნაკლს ამ რომანში გამოასწორებდა.

მაგრამ ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა:

1937 წლის 3 მარტს ცეკას პლენუმზე სტალინმა სახელმწიფო ტერორი გამოაცხადა – განსხვავებული აზრის პირებთან კამათი დასრულდა, მათი ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო.

15 მაისს, ქართველი ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე, ბერიამ იგივე თემა გაიმეორა და ქართული მასალებით, ქართული გვარ-სახელებით დააკონკრეტა, თავს დაესხა „ტროცკისტებს“, „ცისფერყანწლებს“, „ლეფელებს“, „აკადემიური ჯგუფის“ წევრებს, „არიფიონს“...

სხვებთან ერთად მწვავედ გააკრიტიკა კ. გამსახურდია, როგორც ფაშისტური ელფერის მებრძოლი ნაციონალისტი, თუმცა მწერლის დიდი ნიჭიც აღიარა და თქვა, საჭიროა მისი ხალხის სამსახურში ჩაყენება.

ამის შემდეგ დაიწყო კ. გამსახურდიას სასტიკი კრიტიკა. მწერალი თავს იცავდა, ხშირად სიტყვით გამოდიოდა, სტალინსა და ბერიას განადიდებდა, მიმართავდა ცეკას, მაგრამ ამაოდ.

შინსახკომში უკვე წამების შედეგად ათქმევინეს ლიდა გასვიანს, ბუდუ მდივანს, ნიკოლო მიწიშვილს, დავით წერეთელს, არჩილ მიქაძეს, დავით ლომინაძეს, გერმანე მგალობლიშვილს, ტიციან ტაბიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს და სხვა პატიმრებს, რომ კონსტანტინე იზიარებდა ფაშისტურ იდეებს.

პარალელურად პრესასა და მწერალთა კავშირში გაძლიერდა მწერლის დევნა. ალბათ, აგენტურის მონაცემებიც უხვად ექნებოდა ხელისუფლებას, რომელთაგან ზოგის ვინაობა ცნობილია.

დახვრიტეს მწერლის ორი ძმა – ალექსანდრე და ვიქტორი, პირველი მეუღლის – რებეკა ვაშაძის ძმა – სიმონი.

თითქოს გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა, რადგან უკვე დაპატიმრებული იყო მრავალი პარტიული მუშაკი თუ ხელოვანი, ვერავინ გაეგო, ვინ იყო დამნაშავე, ან – ვის რის გამო იჭერდნენ.

ასეთ დროს ბერიამ გამოიძახა კონსტანტინე და დაავალა დაეწერა რომანი სტალინზე.

ამ მნიშვნელოვან ფაქტს, რაც მწერლის სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავდა, თუ რა წყალქვეშა მდინარეა უძღოდა, ჩვენთვის უცნობია.

შეხვედრას ესწრებოდა ილია თავაძე, შემდეგში ცეკას მდივანი.

ეს იყო მაშველი რგოლი, რომელიც განწირულ მწერალს ხელისუფლებამ გადმოუგდო.

კონსტანტინეს უნდა აესახა ბელადის ბავშვობის წლები და რევოლუციური წარსული, კავკასიური პერიოდი ტურუხანის მხარეში გადასახლებამდე, ე.ი. 1913 წლამდე.

ამ დროს უკვე დაწერილია ბერიას მონოგრაფია სტალინის რევოლუციურ ბრძოლაზე (რისთვისაც ლენინის პრემია მიენიჭა), შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდამ“, გიორგი ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“, ალიო მირცხულავას „სამშობლო ბელადისა“ და ა.შ. ე.ი. მკვიდრდება სტალინის პიროვნების კულტი, სტალინის მესიანისტური სახე.

ბელადს განსაკუთრებით აინტერესებდა თავის მოღვაწეობის კავკასიური პერიოდის გაშუქება, თავისი როლის წარმოჩენა.

ბერიამაც ამიტომ მიაქცია ყურადღება ამ საკითხს, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მის ავტორიტეტს ბელადის თვალში.

მაგრამ ამ თემაზე მუშაობის ნებას ყველას როდი აძლევდნენ. აქაც ფილტრაციის მკაცრი პრინციპი მოქმედებდა.

ბერია კარგად იცნობდა კონსტანტინეს, მის ბიოგრაფიას, „მთვარის მოტაცებას“ და, მიუხედავად მწერლის სახელის საყოველთაო ანათემისა, სწორედ მას მისცა საპასუხისმგებლო დავალება.

წარმოიდგინეთ – როგორი საფრთხილო იყო სტალინის ცხოვრების ასახვა და ისიც 1937-1938 წლებში!

ცხადია, ბერია მხოლოდ თავისი ინიციატივით გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. იგი უეჭველად შეთანხმებული იქნებოდა თავად სტალინთან, რადგან რესპუბლიკის ხელმძღვანელს ყველა არხით მხოლოდ უარყოფითი ინფორმაციები მოსდიოდა კონსტანტინეზე. ქვეყანას კი მაშინ ფაქტიურად მართავდა არა ცეკა, არამედ – ჩეკა.

ბერია რისკზე ვერ წავიდოდა, მით უმეტეს, რომ მალე თვითონ გახდა რეპრესიების ობიექტი და მხოლოდ სწრაფმა მანევრირებამ იხსნა დაღუპვისაგან.

კონსტანტინე „მთვარის მოტაცების“ ავტორი იყო და ბერია ვარაუდობდა, რომ ეს ახალი წიგნიც წარმატებული იქნებოდა. ეს, ერთი მხრივ, ნიშნავდა ანტისაბჭოთა მწერლის ბოლშევიკების სამსახურში ჩაყენებას, მეორე მხრივ – მწერლის ოფიციალურ აღიარებას, მის არა მხოლოდ გადარჩენას, არამედ – შემოქმედებისათვის საჭირო პირობების შექმნასაც.

კონსტანტინემ მიიღო ხელისუფლების წინადადება, თუმცა ამბობდა, ასეთ დიდ პიროვნებაზე როგორ შევძლებ შესაფერი წიგნის დაწერასო, მაგრამ იყო რამდენიმე ფაქტორი, რაც გაუადვილებდა მუშაობას.

როგორც მოგეხსენებათ, კონსტანტინე ფრ. ნიცშეს სამყაროდან მოდიოდა. მას მუდამ აინტერესებდა დიდი, განსაკუთრებული, ზეციური ძალისა და უნარის პიროვნებები, რომელთაგან განსაკუთრებით ხიბლავდა რამდენიმე სახელი – ნაპოლეონი და გოეთე.

ახლა საშუალება ეძლეოდა, კიდევ ერთი დიდი პიროვნების ცხოვრება აესახა, მისი თვალთა დაენახა ეროვნული პრობლემატიკა.

გარდა იმისა, რომ მწერალი უმწეო მდგომარეობაში იყო, აქ კიდევ ერთი ფაქტორი მოქმედებდა: სტალინი ცხადდებოდა დიდ რევოლუციონერად, ჩაგრულთა მამად, რომელმაც შეცვალა ისტორიის მიმდინარეობა, ხოლო მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე, სისასტიკესა და ტირანიაზე არც საზოგადოებამ და არც კონსტანტინემ ჯერ არაფერი იცოდა.

კონსტანტინეს თვალში ბელადი წარმოდგა ნაციონალურ სტიქიონად, რომელმაც დაამხო რომანოვების რუსეთი, როგორც სავარსამიძემ სკანსკი – ჩრდილოეთის ტახტზე მჯდომარე.

31 ივლისს „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს ბესო ჟღენტის წერილს – „კ. გამსახურდიას შემოქმედებითი გზა“. კრიტიკოსი უარყოფითად აფასებს მწერლის ძველ ნაწერებს, მაგრამ იწონებს „მთვარის მოტაცებას“.

ცხადია, ბესო ჟღენტი ამ სტატიას თავისი ინიციატივით არ დაწერდა, რომც დაეწერა – არავინ დაბეჭდავდა.

ამის შემდეგ მწერალმა თავი დაანება რომანს „ევროპა გალიაში“. ეს რომანი დაუმთავრებელი დარჩა.

თავი მიაწვდა თანამედროვეობას და, თუ რამდენიმე თვის წინ აცხადებდა, მთავარი თანამედროვეობაა, ისტორიულ მასალაზე მუშაობა ნაკლებად საინტერესო – ახალმა სიტუაციამ სწორედ ისტორიაში გადაიყვანა.

აქ უფრო დაზღვეული იქნებოდა იდეოლოგიური გადაცდომებისაგან და ნაციონალურ განწყობილებასაც ბოლშევიკური ეპოქისათვის მისაღები კონტექსტი ექნებოდა.

ბელადს ორი წლის შემდეგ უსრულდებოდა 60 წლისთავი და წიგნი ამ დროისათვის გამოცემული უნდა ყოფილიყო.

კონსტანტინემ ისარგებლა ხელისუფლების კეთილგანწყობით და ბელადის თემაზე როდი დაიწყო მუშაობა, არამედ – ჯერ დაწერა „ხოგაის მინდია“, ხოლო 1938 წლის შემოდგომასა და 1939 წლის გაზაფხულზე – „დიდოსტატის მარჯვენა“.

შეიძლება ეგონა, რომ ხელისუფლება აღარ მოსთხოვდა პირობის განაღდებას. ბერია ხომ აღარ იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელი, მაგრამ ასე არ მოხდა და მწერალმა სწრაფად შეთხზა ტრილოგია „ბელადის“ პირველი წიგნი, თუმცა მასალებს ადრევე კრებდა და არჩევდა ხელისუფლების დახმარებით. ასევე ადრე ჰქონდა მოფიქრებული რომანის კონსტრუქცია, რასაც გაცნობილი იყვნენ სხვადასხვა ინსტანციაში.

კონსტანტინეს კრიტიკა შენელდა. მაგრამ არ შეწყვეტილა. არც უნდობლობა აღმოფხვრილა. ერთი მხრივ – დაიბეჭდა დიმიტრი ბენაშვილისა და აკაკი გაწერელიას ვრცელი, მხარდამჭერი, ობიექტური წერილები, მეორე მხრივ – 1938 წლის 2 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა სერგო გოგლიძემ ეჟოვსა და ბერიას გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი №47,289. კომისარი ითხოვდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, მათ შორის კონსტანტინეს, დაპატიმრების სანქციას.

ბერიამ ამ ბარათს მსვლელობა არ მისცა.

* * *

„დიდოსტატის მარჯვენა“ და „ბელადი“ 1939 წელს გამოიცა. „ბელადის“ ტექსტი სახელგამის წარმოებას ჩაბარდა 1939 წლის 2 ნოემბერს. დასაბეჭდად ხელი მოეწერა 9 დეკემბერს, ხოლო სასიგნალო ეგზემპლარები მზად იყო 15 დეკემბერს.

რედაქტორი იყო ილია თავაძე, ცეკას მდივანი, მხატვარი – ლადო გრიგოლია.

წიგნი წითელ ყდაში იყო ჩასმული, მდიდრულად გაფორმებული და საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი.

განმეორებით 1940 წელს გამოსცა „სახელგამმა“, მცირეოდენი ცვლილებით.

სომხურ ენაზე თარგმნა სურენ ავჩიანმა.

ამის შემდეგ ეს რომანი არ დაბეჭდილა, არც რუსულად თარგმნილა და არც მე-2 და მე-3 წიგნები დაწერილა.

* * *

„ბელადი“ ოსტატურად არის დაწერილი, დახვეწილია ენა და სტილი, კარგად არის დახატული ქართლის პეიზაჟები, ეფექტურად არის მოხმობილი ისტორიული რეალიები, საინტერესოა და დასახსომებელი ცალკეული პერსონაჟები (მაგ.: ლავროვი, მიხა ქილიფთარი, უფლისა, მამუკა და გაგა არაბულები), მაგრამ აკლია სიმძაფრე და შთაგონება. უფერულია ცალკეული დიალოგები და პერსონაჟები (მაგ.: ჯულაშვილის მშობლები – კეკე და ბესო).

„ბელადი“ უფრო გონებით არის შეთხზული, ვიდრე გულით, „დიდოსტატის მარჯვენის“ სტილური ინერციით.

წიგნში მთავარია სოსო ჯულაშვილის თვალთახედვის ფორმირების პროცესი, თუ როგორ ყალიბდება ყრმის ბუნებაში თავისუფლებისაკენ სწრაფვა და განსაკუთრებულობის შეგრძნება (სოსო ამირანია, დევებს ხოცავს, უნდა ქვეყანა გააოცოს, ქვეყანა გადააკეთოს, სიზმრად ხედავს ვახტანგ გორგასალს, სააკაძეს, ერეკლე მეორეს), რასაც წარმოქმნის ქართული ნაციონალიზმი და გმირული სული.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა წიგნის კონსტრუქცია და კონცეფცია.

ნაციონალიზმის გამომხატველია მოხუცი მიხა ქილიფთარი (პროტოტიპი – პავლე ინგოროყვა), ყოფილი ხალხოსანი, „ახირებული“ მწიგნობარი, რომელსაც 1801 წლის შემდეგ ქართველი ხალხი ისტორიიდან ამოშლილად მიაჩნდა და უკანასკნელ ბაგრატიონს მხოლოდ სიძულვილით ახსენებს.

მას ხუთი შვილი ჰყოლია და ხუთივე დაღუპვია.

აქვს დიდი, მაგრამ უსისტემო ცოდნა, ფენომენური მეხსიერება, მაგრამ ფაქტების მიღმა ვერ იხედება.

სამღვდელოება სძულს, თუმცა მე-11 საუკუნიდან ქილიფთარები ღვთის მსახურები ყოფილან. მის წინაპარს, შიომ ქილიფთარს, გადაურჩენია დავით აღმაშენებელი, როცა მეფე გელათის გალავნიდან გადმოვარდა.

სემინარიიდან რომ მოხსნეს, ატენში პატარა ბაღი და ვენახი გააშენა, როგორც სიზმარში კონსტანტინე სავარსამიძემ და ცხადში – ვახტანგ კორინთელმა.

პატარა სოსოს მიხამ შეაყვარა საქართველოს ტრაგიკული წარსული, აჩუქა „ვეფხისტყაოსანი“ და ასწავლა ქართული ანბანი.

პირველი სიტყვა, რაც სოსომ დაწერა, იყო „აგა“ და ეს სიტყვა არაფერს ნიშნავდა!

ასე არაფერზე (ლათინურად nihil, – აქედან – ნიჰილიზმი) არის დაფუძნებული ჯულაშვილის ცოდნა, რაც შეიძლებოდა სიმბოლურ ფაქტად ექცია მწერალს.

მიხა ქილიფთარი მეცნიერებასა და ცხოვრებაში ისევე წაგებულია და დამარცხებული, როგორც საქართველო.

მოხუცის გოდებასა და ისტორიის ბედისწერას ერთვის ხევსური არაბულების გმირული სული, სიძულვილი ბატონებისა და რუსებისადმი.

სოსოს ფეხი აადგმევინა უფლისა არაბულმა:

მოხუცმა გვიმრა ააფრიალა, რაც ჩვილს უცნაურ ფრინველად მოეჩვენა, ფეხი წადგა და წაეპოტინა.

ეს „უცნაური ფრინველი“ და მისი შეპყრობის ინსტინქტური სურვილიც შეიძლებოდა სიმბოლურ ფაქტად ქცეულიყო.

კომუნიზმიც ხომ ასეთი ქიშკირა და თვალსაჩუქარი აღმოჩნდა!

„ცუდი ხალხია რუსები“, – ეტყვის სოსოს თანაკლასელი „წარმართი“ გაგა არაბული, ვინც „სისხლსა და ფოლადს“ ეთამაშება.

უფლისა და მამუკა რუსების ხელით იღუპებიან, ისევე ისჯებიან, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველო.

უსამართლობის გრძნობას ყრმას კიდევ უფრო უმძაფრებს მასწავლებელი ლავროვი, რომელიც მოსწავლეებს ეუბნება – რქიანი ვირი და ჭკვიანი ქართველი არ შეხვედრიაო, თქვენ სულით რუსებად უნდა აღგზარდოთ!

თავისუფლებისაკენ სწრაფვას კეტავს არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ სოციალური ბარიერიც, რაც ორი ფუქსავატი ჭაბუკის – თამაზ ამილახვრისა და ზურაბ მუხრანბატონის სახით არის ნაჩვენები.

მათი ვერაგობა და მხეცობა დროის მოთხოვნათა შესაბამისად ჰიპერბოლიზებულია.

ავტორი არაფერს გვეუბნება ჯულაშვილის პირველ ეროტიკულ განცდებზე. ცხადია, იგი მხოლოდ პერსონაჟის ასაკით როდი იყო შეზღუდული. ბუნებრივია, ამ სფეროში ფანტაზირების უფლებას თავისთავს ვერ მისცემდა.

ამ დანაკლისს ავსებს თამაზ ამილახვრისა და ზურაბ მუხრანბატონის თავაშეგებული ვნება, რუსიკოს თვითმკვლელობის ცდა, რათა რომანში ყოფილიყო რომანული პასაჟები.

ტფილისში სასწავლებლად წასვლის წინ სოსოსა და მის მეგობრებს მიხა ქილიფთარი ანდერმად გადასცემს თავის მოწოდებას, იმ იდეას, რომელსაც თავს სწირავდა, მაგრამ ვერ ასრულებდა.

„ისეთი კოცონი უნდა გააჩაღოთ, მთელმა ქვეყანამ დაინახოს შურისგების ალი“, ე.ი. მომავალი რევოლუცია, იმპერიის დამხობა გაგებულია, როგორც ქართველთა შურისძიება რუსულ ძალმომრეობაზე!

წინა დღეს კი ბავშვებს ატენის სიონი აჩვენა, ცეცხლით გარუჯული, გაცრეცილი, წვიმიტა და ფრინველთა სკორეთი წაბილწული მეფეთა და წინაპართა სილუეტები.

ერთ კედელზე ამოკვეთილი წარწერა მე-11 საუკუნეში ორი ქართველის წამებას იუწყებოდა.

ეს ატენის სიონი და მორღვეული გაღავანი პერსონაჟთა თანამედროვე საქართველოა.

ასე ყალიბდება ყრმა ჯულაშვილის არსებაში თავისუფლებისაკენ სწრაფვა და ქვეყნის შეცვლის სურვილი.

ასე მთავრდება ტრილოგიის პირველი წიგნი.

* * *

„დიდოსტატის მარჯვენის“ გამო მწერალი ყრილობაზე ვალერიან გაფრინდაშვილი კონსტანტინეს ჯადოქარს ეძახდა, მაგრამ ოფიციალურად არ ჩქარობდა და არჩევდა „ბელადის“ პროპაგანდას.

კომპარტიის მე-13 ყრილობაზე კანდიდ ჩარკვიანი და ირაკლი აბაშიძე ახსენებდნენ „ბელადს“ და არა „დიდოსტატის მარჯვენას“. „დიდოსტატის მარჯვენა“ ჩრდილში მოექცა.

1940 წლის 7-9 იანვარს მწერალთა კავშირი სასწრაფოდ მოეწყო „ბელადის“ განხილვა.

მომხსენებელი იყო ახალგაზრდა კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი.

სიტყვით გამოვიდნენ – პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ლევან ასათიანი, დავით სულიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო ადამია, ბესო ჟღენტი.

წიგნს მაღალი შეფასება მისცეს, მაგრამ გამომსვლელთა სიტყვას აკლდა პათოსი, თითქოს ყველა რაღაც ვალს იხდიდა. თუ „მთვარის მოტაცების“ განხილვაზე შენიშვნები საკმაოდ იყო, აქ ყველა თავს იკავებდა.

დისკუტი ვრცლად გააშუქა „ლიტერატურულმა საქართველომ“.

9 მაისს უნივერსიტეტმა მოაწყო განხილვა, რომელიც გახსნა პროფ. არჩილ ხარაძემ.

ამჯერად განხილვა საზეიმო სხდომას უფრო ჰგავდა.

მომხსენებელი აქაც დიმიტრი ბენაშვილი იყო.

გამოვიდნენ – პროფ. მოსე გოგიბერიძე, პროფ. კონსტანტინე კაპანელი, დოც. ვ. კაკაბაძე, დოც. სერგი ჭილაია.

ხელისუფლება ხელს უწყობდა, რათა რუსულ ენაზე სწრაფად ეთარგმნათ „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ბელადი“.

ამ მიზნით მწერალი 1940 წლის თებერვალ-მარტსა და მაისში მოსკოვში იმყოფებოდა.

აქ იგი მიიღო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ, დიდხანს ესაუბრა და დაეხმარა, რათა წიგნების ტირაჟი გაეზარდათ. ეს კი ჰონორარის მომატებასაც ნიშნავდა.

როგორც ჩანს, იყო ცდა, რომ კონსტანტინე წარედგინათ ახლად დაარსებულ სტალინურ პრემიაზე, რათა ისიც ისევე წარმოეჩინათ საკავშირო არენაზე, როგორც ივანე ჯავახიშვილი და შალვა დადიანი.

მაგრამ ვითარება მაისში ძლიერ შეიცვალა. მოსკოვში ხელმეორედ ჩასულ მწერალს აღარ დახვდა გულთბილი ატმოსფერო. გამომცემლობამ ახალი რეცენზირება მოითხოვა, მაგრამ რეცენზენტები ვერ იშოვნეს.

წიგნების არათუ დაბეჭდვა, თარგმნაც კი მომავლისთვის გადაიდო.

„არეულია მათი თავი და ტანიო“, – წერდა გაბრაზებული კონსტანტინე აბაშელს.

სიტუაციის შეცვლის მიზეზი ის იყო, რომ სტალინს არ მოეწონა კონსტანტინეს რომანი, მე ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავიო.

მაგრამ უფრო ნამდვილი მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ მწერალს მოუხდა მოვლენების შელამაზება და ესთეტიზება. იგი ხომ რეალისტური სიზუსტით ვერ აჩვენებდა ჯულაშვილის ბავშვობას, დედას და მამას, სჭირდებოდა ფანტაზირება, პერსონაჟთა გამოგონება, ხოლო ზოგ რეალურად არსებულს ვერც ახსენებდა (მაგ.: სოსო ირემამეს).

სტალინისათვის არც ის უნდა ყოფილიყო მისაღები, რომ შოვინისტად გამოყვანილია რუსი ლავროვი, რუსთომოდულე ხევსური არაბულები, ნაციონალისტი მიხა ქილიფთარი.

* * *

სტალინმა ასევე გზა გადაუკეტა კონსტანტინეს კინოსცენარ „დავით აღმაშენებელს“, რომლის განხილვა მთელი წელი გრძელდებოდა (მაგ.; სახკინმრეწვში, მწერალთა კავშირში, სხვადასხვა პირთა მიერ).

ამ თემასაც ცეკას წინადადებით მოჰკიდა ხელი. საბჭოეთი ომისათვის ემზადებოდა და სჭირდებოდა პატრიოტიკა, ისტორიის ჰეროიკა, გმირული ბრძოლების სურათები.

სცენარი ყველამ დადებითად შეაფასა და ჰონორარიც ავანსად მთლიანად უნდა აეღო.

მაგრამ სტალინი ასე არ ფიქრობდა.

ბელადმა 1940 წლის 11 ოქტომბრის წერილში მხარი დაუჭირა ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარს გიორგი სააკაძეზე, რომლის მიხედვით მალე მიხეილ ჭიაურელმა ცნობილი ფილმი გადაიღო.

კინოს ხომ მაშინ ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა.

ცხადია, სტალინისათვის მონარქი დავით აღმაშენებელი ვერ იქნებოდა სანიმუშო მოღვაწე. მას უფრო გიორგი სააკაძე აინტერესებდა – ქართველ კონდოტიერ ბოლშევიკთა წინაპარი, ვინც დამპყრობელთა ჯარებს მოუძღოდა.

კონსტანტინეს კი ეგონა, რომ პარალელს გაავლებდა დავითსა და სტალინს შორის, რომ თითქოს ბელადმა ისე აღადგინა ქვეყანა მე-20 საუკუნეში, როგორც დავითმა მე-12 საუკუნეში. არადა – სტალინმა ხომ მშვენივრად იცოდა, რომ ეს ასე არ იყო. ამიტომაც ეჭვით უყურებდა დავით აღმაშენებლის თემას. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა მოგვიანებით, როცა კონსტანტინეს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს ქართველმა და რუსმა მწერლებმა, დააბრალეს რუსების იგნორირება, მეფეთ როლის გაზვიადება, არქაისტობა, ხალხის დაკნინება, გაუხსენეს ნაციონალისტობა.

დავით აღმაშენებლის სახეში სტალინი ქართული ნაციონალიზმის ფარულ პროპაგანდას ხედავდა. მაგრამ მოეწონა „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც მას, ბერიას დავალებით, სიმონ ჯანაშიამ გადასცა.

ბელადმა ეს რომანი ერთ ღამეში წაიკითხა და განთიადისას ბერიას დაურეკა, კონსტანტინე კარგი მწერალი ყოფილაო.

ამ ფაქტს აღნიშნავს ბრალდებული გენერალი და აკადემიკოსი პეტრე შარია, რომელიც ბერიას ზეობის ჟამს 1953 წელს მისი თანაშემწე იყო.

რაც შეეხება „ბელადს“, მისი დამთავრება მწერლისათვის არავის უთხოვია. ამას, ალბათ, არც ავტორი ნაღვლობდა, რადგან უკვე წერდა ახალ ტრილოგიას – „დავით აღმაშენებელს“, მაგრამ სტალინს კარგად ახსოვდა კონსტანტინე გამსახურდიას წიგნი, რომელსაც არ ახსენებდნენ, მაგრამ თავს ესხმოდნენ „დავით აღმაშენებელს“ და მის ავტორს, ომის შემდეგ ლამის შინაპატიმრობა დაუწესეს, თუმცა გამარჯვებული საბჭოეთის ბელადი მწერლის დაკავების ნებას არ იძლეოდა, მიუხედავად ჯერ კ. ჩარკვიანისა და შემდეგ ა. მგელაძის თხოვნისა.

Soso Sigua
Gori State Teaching University
TRILOGY 'LEADER'S FATE
RESUME

The first book of “Chief”- Trilogy of Konstantine Gamsakhurdia , was written on the instruction of L. Beria. The new publication appeared in 1939 for Stalin`s Anniversary.

The writing saved author from repressions. However, Stalin did not like patriot personages, anti- Russian aspiration, reflection of Stalin`s childhood itself. For this reason K.Gamsakhurdia did not write the following books.

ანტიკურობა გალაკტიონის ლირიკაში

გალაკტიონისთვის ანტიკური მითები შთაგონების საწყისია და აზროვნების არქეტიპული მოდელი. ეს არცაა გასაკვირი, რამეთუ უხსოვარი დროიდან კაცობრიობის ისტორიას მითოსური პერსონაჟები თუ უძველესი ანტიკური მითები განსაკუთრებულ მიმზიდველობას, იდუმალებასა და მომხიბვლელობას სძენენ. „ხელოვანის პოზიციას არ ახასიათებს მეცნიერული მდგრადობა. მითოსური სული და მასალა მარადადამიანურის პირველსახეს, პირველსივრცეს, პირველმოვლენას გვაზიარებს. ის ბუნებრივი, აუზღვრეველი ყოფიერების ზეიმია,“ - წერს მკვლევარი სოსო სიგუა [1, 127].

გალაკტიონი, სასულიერო სემინარიის მოსწავლე, ჩინებულად იცნობდა ანტიკურ მითებსა და ანტიკურ სამყაროს. ელადის სურნელება და გამჭვირვალე ფერები უხვადაა ჩაღვრილი მის პოეზიაში, აღმოსავლურისა და დასავლურის იდეალურ სინთეზსაც ვხვდებით:

„აქ ძველი არის ყველაფერი, როგორც სანსკრიტი,
მაგრამ ახალი მუდამ, როგორც აღმოსავლეთი...“ /“პოემა ვეფხვისა“/ [2, 37].
სხვაგან წერს: „ელადა, ელადა!
აქ სული ატარებს თვის მსუბუქ სამოსელს,
ასეთი სინათლით შუბლი უელავდა ვენერა მილოსელს“
/“შიშველი“/ [3, 56].

ვენერა მილოსელი - აფროდიტეს ცნობილი ქანდაკებაა, ნაპოვნია კ. მილოსზე. ამჟამად ლუვრშია. ესაა ბერძნული მარმარილოს ორიგინალი ელინისტური ეპოქისა /ძვ. წ. II ს./. სიყვარულის ქალღმერთს თავის დროზე ხელთ ეპყრა ვაშლი, კუნძულ მილოსის სიმბოლო, რომელიც ამჟამად დაკარგულია /ვენერა უხელოა/.

ანტიკურობის სურნელითაა გაჟღენთილი გალაკტიონის ლექსი „მარმარილო“:

„აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე...
აჰყვე ოცნებით მარმარილოს თლილ საფეხურებს,
სადაც ყოველ მხრით პრაქსიტელის თვალი გიყურებს“
[3, 54].

პრაქსიტელე - ათენელი სკულპტორი /ძვ. წ. IVს./, აფროდიტე კნოსელის, ხელიკისმკვლეელი აპოლონის, ნაბახუსევი სატირის ქანდაკთა ავტორი.

დიონისე - ბერძენთა /არაბერძნული, მცირეაზიული წარმოშობის/ მევენახეობისა და მეღვინეობის ღმერთი, იგივე რომაელთა ლიბერი, ზევსისა და სემელეს ვაჟი, მამის თეძოში გაზრდილი. სწორედ დიონისეს საკულტო სიმღერებზე (დითირამებზე) დაყრდნობით აღმოცენდა დრამა.

დიონისე გალაკტიონისთვის „მსოფლიო სულია“. ქართველ პოეტს მოსწონს მისი თავისუფლება, სითამამე, კოსმიური მეუფება, ექსტაზი, თრობით ღვთიურობამდე ამაღლება, რადგან თავადაც მუდამ მთვრალი იყო სიყვარულით, სიმღერებით, ვარდებით, ყვავილებით, ყვითელ ფოთლებით...

როგორც მერაბ კოსტავა აღნიშნავდა, „ქრისტესა და დიონისეს გაერთიანება იგრძნობა ვაზის ლერწისაგან შეთხზულ იმ ჯვარში, რომლითაც წმინდა ნინომ ქართველობა მოაქცია. ღვინო და ვაზი ხომ დიონისეს უკავშირდება და ამგვარი ჯვარის შექმნა - ეს არის ცდა წარმართობის ქრისტიანობასთან შეერთების“ [4, 73].

ანტიკურ საბერძნეთს, მცირე აზიასა და წარმართულ კოლხეთს ერთმანეთთან თრობისა და შვების მრისხანე ჭაბუკი ღმერთი დიონისო აკავშირებს, რომელიც ყოველ გაზაფხულს სმარაგდის თვალებით ანათებდა. კ. გამსახურდიას მიაჩნდა, რომ დიონისო აზიიდან იყო შესული ბერძნულ წარმართულ პანთეონში [1, 231].

მკვლევარი ვენერა კავთიაშვილი სტატიაში „დიონისურის“ გაგებისათვის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ წერს:

„გალაკტიონისათვის წარმართობა თუ დიონისეს კულტი მისაღები აღმოჩნდა, რადგან იგი მშობლიურ წარმართობას ენათესავება, რომლის მთავარი არსი ვაზსა და ვენახს უკავშირდება. ეს კი ისტორიულად ქართული ყოფის განუყოფელი ნაწილია, წარმართობა ქართველის პირველ შთაბეჭდილებათა, გულუბრყვილო რწმენათა და შეხედულებათა მთლიანობაა. ის სულის ყველაზე ღრმა

შრეა, რომლის ნამუსრევმა ჩვენამდე მოაღწია და ამით შემოინახა კიდევ შორეული წარსულის სურნელი“ [5, #26].

ნიცშესთან კი დიონისური საწყისი აპოლონურს უპირისპირდება. მას მიაჩნდა, რომ დიონისოს სადღესასწაულო პროცესია ინდოეთიდან მიემართება საბერძნეთისკენო.

გალაკტიონს ნიცშესავით არ დაუწყია ღმერთების გადაფასება. ის მუდამ ერთი ღმერთის მოთაყვანე იყო. მის შემოქმედებაში როგორც ქრისტიანული დასავლეთი, ისე ანტიკური სამყარო და მუსულმანური აღმოსავლეთია, მაგრამ ყველა დროის, ყველა ეპოქის აზროვნებაში ის ეძებდა პოზიტიურსა და თავისთვის მისაღებს.

შემოქმედების ადრეულ წლებში გალაკტიონისთვის დიონისური მთავარი იყო, თუმცა არც ბერძნული პრომეთე, იგივე ამირანი, ყოფილა უცხო. პოეტური ინდივიდუალობის ძიების წლებში, სწორედ მასთან პოულობდა პოეტი თავისი სულიერი მდგომარეობის ანალოგიას.

გალაკტიონის ყოვლისმომცველ პოეტურ სამყაროში დიდ ადგილს პოულობს ანტიკური სამყარო. მისთვის ელადა ფორმისა და შინაარსის მიუწვდომელი იდეალი იყო. ის თითქოს აშკარად ხედავდა უძველეს სახეებს ლექსში „ბუნება მოქანდაკე“:

„ხედავ ორფეოსს, ნიმფას, დიონისს, ნიჰთა მლოცვარი -
შორს რელიეფი კავკასიონის, გასაოცარი!“

ორფეოსი - ძველ ბერძნულ მითოლოგიაში იყო თრაკიის მეფის, ეაგრას, და მუზის, კალიოპეს, ვაჟიშვილი. იყო ევრიდიკეს სატრფო. აპოლონმა მას აჩუქა ოქროს ლირა. ის მონაწილეობდა იაზონის მეთაურობით არგონავტების მოგზაურობაში, კოლხეთის სამეფოში ოქროს საწმისის დასაუფლებლად. სწორედ ორფეოსის მუსიკამ შეუშალა ხელი სირინოზებს, რომლებსაც სურდათ არგონავტების ცდუნება.

ორფეოსის ხმა და ლირა მთელ საბერძნეთში იყო განთქმული: მას შეეძლო ადამიანთა გულის მოღობა და ცხოველების მოთვინიერება. როცა მას თრაკიელმა ქალებმა (როგორც ვირგილიუსი აღნიშნავს) თავი მოკვეთეს და ზღვაში გადააგდეს, მისი ზაგეებიდან კვლავ ისმოდა სევდიანი ჰანგები. სხვა ლეგენდის მიხედვით, ორფეოსი თვით ზევსის მიერ მეხით იყო მოკლული. ცნობილი ტილოებია: დიურერის „ორფეოსის სიკვდილი“ /1494/ და გუსტავ მოროს „ორფეოსის სიკვდილი“ [6, 431].

გალაკტიონის შეუდარებელი გენია ორფეოსს გვაგონებს. ი. კენჭოშვილის აზრით, „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი როგორც მინდა“ მითითური მგოსნის - ორფეოსის - პოზაა [7, 57]. კ. გამსახურდიას თქმით კი, თავად გალაკტიონი იყო „განუმეორებელი ორფეოსი ქართული სიტყვის მუსიკისა“ [8, 37].

ნიმფები - (ქართ. ფერიები) სტიქიური ძალების განსახიერება ქალიშვილების სახით, გეასაგან წარმოშობილნი, ცხოვრობდნენ ბუნების წიაღში, ნადირობდნენ არტემიდასთან ერთად, მონაწილეობდნენ დიონისეს ორგაიებში. ისინი შედიან კონტაქტში ადამიანებთან: ზრუნავენ მათზე, ეძლევიან გმირებს, ზოგჯერ ისინი ადამიანებს უგზავნიან შემლილობას, წინასწარმეტყველების ნიჭს, აღმაფრენას. მათ ხელოვნებაში გამოსახავენ ლამაზ, გრძელთმიან ახალგაზრდა ქალიშვილებად ყვავილების გვირგვინით [9, 220].

ძველი ელადა, აკვანი ევროპული ცივილიზაციისა, ვერონიკა-ბერენიკეს „წარბები მშვილდი და თმები-ძეწნა“ ელადისაკენ ეძახდა:

„მე სხვა ქალებს ვერ დავემალები,
მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,
მაგრამ სხვა იყო შენი თვალები
და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!“

/“დამწველი თავის სიმშვენიერით“/ [3, 307].

გალაკტიონის პოეზიაში წარსული მარადიული ფენომენია მისთვის. ის არა მარტო კარგად იცნობს ბერძნულ-რომაულ კულტურულ მემკვიდრეობას, არამედ ცდილობს, წარმოსახვითა და შინაგანი გრძნობით ჩააფიქროს და მოხიბლოს მკითხველი:

„ანტიკური თემატიკის დამუშავებისას გალაკტიონს სურდა, ბერძნულ-რომაული ფიგურებით შეექმნა ხელოვნური სამოთხე, რომელსაც თავს შეაფარებდა, გაექცოდა ყოველდღიურობასა და უხეშ მატერიალიზმს. ამასთანავე, ანტიკურობა პოეტისათვის საკუთარი ქვეყნის ისტორიულ-მითოლოგიური წარსულია... ანტიკურობა არის ის ორიენტირი, რომელსაც საქართველოს წარსული სიდიადე მსოფლიო კულტურის უმნიშვნელოვანეს ღირებულებებთან უნდა დაეკავშირებინა“ [10, 179-180].

ანტიკური თემატიკის მოცულობით გალაკტიონი ტოლს არ უდებს სხვა ქართველ პოეტებს. ლექსში „დაუმეგობრდა“ ადამიანისა და ბუნების დისჰარმონიის სურათია დახატული:

„იგი ყველაფერს უპასუხებს შურისძიებით,
რისთვის აქვს კიდევ რაღაც იმედი?
ბუნების ძალთა ტლანქი რისხვა ძველი ციების,
რაზედაც დღესაც სწუხს არქიმედი“

[3, 316].

არქიმედე - ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ცნობილი ბერძენი მეცნიერი, მექანიკოსი, რომლის აღმოჩენები ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებას აძლევდა ადამიანს. როდესაც რომაული ფლოტი მის მშობლიურ ქალაქ სირაკუზას დაემუქრა, მმართველმა ჰიერონმა სთხოვა მას, როგორც მეცნიერს, თავისი ნიჭი და ცოდნა მშობლიური ქალაქის დასაცავად გამოეყენებინა.

ანტიკურ აზროვნებაში, როგორც ვიცით, მკრეხელობად, ცოდვად ითვლებოდა ღვთიით მომადლებული ნიჭის გამოყენება ბუნებისა თუ ადამიანების წინააღმდეგ. არქიმედემ არ აპატიო საკუთარ თავს ეს „შეცოდება“ და რომაელთა განმეორებითი შემოტევის დროს აღარ უცდია თავდაცვითი სისტემის შექმნა. ის თანამოქალაქეებთან ერთად სირაკუზის აღების მსხვერპლი გახდა.

მიგვაჩნია, რომ ქეთევან გარდაფხაძე მართებულ დასკვნამდე მიდის, როდესაც მსჯელობს ამ საკითხთან მიმართებით:

„გალაკტიონისათვის ცნება „არქიმედი“ არის სიმბოლო იმ კაცობრიული ფიქრისა და წუხილისა, როგორ უნდა დამყარდეს ჰარმონია ბუნებასა და ადამიანებს შორის, როგორ უნდა მოხდეს ადამიანის თეორიული აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშეთანხმება ბუნებასთან დაპირისპირების გარეშე“ [10, 181].

გალაკტიონი ხარბად ეწაფება ანტიკურობას, რადგან მასში ხედავს იმ საზრდოს, რომლითაც იკვებება მისი უკვდავი პოეზია. ანტიკური საწყისი ნათლად ჩანს ლექსებში: „გვირგვინი სვეტის“, „მარმარილოს ვარდი“, „აკადემია“, „ოქროს თასი ორნამენტებით“... ეს ლექსები ძველი ბერძნული სამყაროს ასოციაციებს აღძრავენ.

ანტიკური ეპოქის წარმოსახვათა შემკვრელია ლექსი „ვარდები“/1927/:

„დე, ჰომეროსის და ჰესიოდეს
ფეთქდნენ ვარდები მაღლა ახრილი...
...რომელი ღვინი იყო უვარდო,
და ან - რომელი დღე საცნაური,
ან ანაკრეონს ვინ განუმარტოს,
რაა უვარდოდ დღესასწაული?“

[3, 284].

როგორც მკვლევარი ნესტან სულავა აღნიშნავს, გალაკტიონის სტრიქონებს „დაჰკრავთ სურნელი ჰომეროსის, ჰესიოდეს, ანაკრეონტის, ოვიდიუსის პოეზიისა, ბოტიჩელის, რაფაელის, ჯოტოს, ვან დეიკის, ლეონარდო და-ვინჩის ფერადოვანი პალიტრისა. მათი სულიერ-ინტელექტუალური მემკვიდრეობა გალაკტიონის მუდმივი თანამგზავრი და მაცოცხლებელია. თვით გალაკტიონი, უვრცესი, ღრმა და ფართო თვალსაწიერით, საკაცობრიო შემოქმედებითი სამყაროს, მსოფლიო კულტურის ერთ უთვალსაზიროეს წარმომადგენლად გვესახება, რომელსაც მშობლიური ქართული კულტურა კვებავს და აცოცხლებს, რომელიც ისეთივე წმინდა და ფაქიზი სულისა იყო, „როგორც უწვიმარ რიჟრაჟში ვარდი“ [11, 140].

მიგვაჩნია, რომ გ. ტაბიძის პოეტურ კრედოს უშუალო კავშირი აქვს ანტიკური სამყაროდან მომდინარე მთელ რიგ ცნებებთან და სახეებთან, რომელთაც პოეტი მიმართავდა, როგორც აზრის უფრო ღრმად და შთამბეჭდავად გამოთქმის საშუალებას.

ლიტერატურა:

1. სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, I, თბ., 1991, გვ. 127, 231.
2. ტაბიძე გ., თხზ. ორ ტომად, ტ. II, თბ., 1989, გვ. 37.
3. ტაბიძე გ., თხზ. ორ ტომად, ტ. I, თბ., 1988, გვ. 56, 54, 284, 307, 316.
4. კოსტავა მ., ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991, გვ. 73.
5. კავთიაშვილი ვ., „დიონისურის“ გაგებისათვის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, კრ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2005, #26 (ნაწილი II).
6. ლოსევი ა., ბერძნული და რომაული მითოლოგია, თბ., 1996, გვ. 431.
7. კენჭიშვილი ი., გ. ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა, თბ., 1974, გვ. 57.
8. გამსახურდია კ., გ. ტაბიძე, კრებული „სადღეგრძელო იყოს მისი“, თბ., 1973, გვ. 37.
9. მსოფლიო ხალხთა მითები ორ ტომად, ტ. II, მოსკოვი, 1991, გვ. 220 (რუსულ ენაზე).
10. გარდაფხაძე ქ., ანტიკურობა და გალაკტიონი, გალაკტიონოლოგია, I, 2002, გვ. 179-181.
11. სულავა ნ., გალაკტიონის ვარდთმეტყველება, გალაკტიონოლოგია, I, 2002, გვ. 140.

Tamar Sidamonidze
Gori State Teaching University
ANTIQUITY IN GALAKTIONI LYRIC
RESUME

One of the sources of literary heritage of Galaktion is antique myths. The relation between Georgian culture and world's poetry is clearly shown in his works. Georgian poetry, like equal, responds to the antique and Mediaeval Era.

ნათია სიხარულიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონის ადრეული ლირიკიდან
(„ელეგია” და „მახსოვს”)

გალაკტიონ ტაბიძის ადრეული შემოქმედება მეოცე საუკუნის დასაწყისშივე დაუკავშირეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკას. პოეტის ლექსების პირველი წიგნისათვის (1914) წამდგარებულ წერილში „სევდის მგოსანი“ ივანე გომართელი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ გალაკტიონი „ბარათაშვილს გამოეხმაურა და თვისი მკვნესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა“ (4, XI).

აზრი ორი პოეტის შემოქმედებითი სიახლოვის თაობაზე გასული საუკუნის 10-იანი წლების არაერთ სხვა წერილშიცაა გამოთქმული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს იყო საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულება. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი ავტორი, მაგალითად, მიხეილ აბრამიშვილი, უფრო განსხვავებების პოვნასა და ახსნას ცდილობდა.

გალაკტიონის მიმართება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასთან დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. ამ საკითხზე სხვადასხვა დროს წერდნენ სიმონ ხუნდაძე, აკაკი გაწერელია, შალვა რადიანი, ბესარიონ ჟღენტი, სერგი ჭილაია, რევაზ თვარაძე, აკაკი ხინთიბიძე და სხვები. საბოლოოდ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ გალაკტიონ ტაბიძეზე ყველაზე დიდი გავლენა ნ. ბარათაშვილის პოეზიამ მოახდინა, ის იყო მისი შთაგონების წყარო (16, 45).

ნ. ბარათაშვილთან გ. ტაბიძის მიმართების საკითხი უშუალოდ უკავშირდება პოეტის ადრეული ლირიკის გააზრებისა და შეფასების პრობლემას.

არსებობს ორი, ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი. ტრადიციული შეხედულებით, 1908-1914 წლები გალაკტიონისათვის ლიტერატურული შეგირდობის ხანაა (1, 111), მისი ლირიკა XIX საუკუნის პოეზიის ინერციას ექვემდებარება და სტილური სიჭრელითაა აღბეჭდილი (14, 13).

განსხვავებული თვალსაზრისის თანახმად, გალაკტიონის ადრეული ლირიკა პოეტის შემოქმედების განსაკუთრებული ეტაპია: თავისი პირველი წიგნის მიხედვით გალაკტიონი გარკვეული მსოფლადქმისა და სტილის დასრულებული პოეტია (5, 77). შესაბამისად – 1908-1914 წლების შემოქმედება სათავეა, ბუნებრივი გზაა „არტისტული ყვავილებისკენ“ (6, 319).

უმეტესობა იმ მკვლევართაგან, ვინც გალაკტიონის შეგირდობაზე მსჯელობს, როგორც წესი, ცალკეული სტრიქონების დამოწმებით შემოიფარგლება – ახალგაზრდა პოეტის რომელიმე ფრაზის სიახლოვით წინარე ავტორთა შემოქმედებასთან. ასე მაგალითად, ცნობილი გალაკტიონოლოგი რევაზ თვარაძე იმოწმებს სტრიქონებს გალაკტიონის ლექსიდან „ხომლი“ („ეხლაც კი მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში/ ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი“) და აღნიშნავს, რომ ეს სტრიქონები პირდაპირი რემინისცენციაა ბარათაშვილის ფრაზისა „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“... ამ შეხმანიების და მსგავსი შემთხვევების საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ეს მსგავსება გალაკტიონის შეგირდობას ცხადყოფს (8, 117).

ერთი, რომ რემინისცენცია გარკვეული ფუნქციის მხატვრული ხერხია და არა უბრალო დუბლირება, მხოლოდ ამ ნიშნით შეგირდობის მტკიცება გაძნელებს; მეორეც: გასათვალისწინებელია, რომ ბარათაშვილი, თავის მხრივ, რუსთაველს ეყრდნობა:

რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის... (10, 172)

საგულისხმოა გურამ ასათიანის მიგნებული პარალელი ბაირონთანაც:

**Со снежными горами он дружил,
Со звездами и со всемирным духом
Беседы вел! Старался он постичь,
Учась, вникая, магию их тайны,
Была ему открыта книга ночи... (2, 209)**

სრულიად ცხადია, რომ რუსთაველსა და ბაირონთან მსგავსება-სიახლოვის გამო ბარათაშვილის „მერანი“ შეგირდობის ნიმუშად არავის მიუჩნევია. ეს იმიტომ, რომ ერთია გენეტიკური კავშირი, მაგრამ გავლენა-შეგირდობაზე მსჯელობისათვის მთავარია ფუნქციური იდენტობის დადგენა.

„ზომლის“ შექმნისას გალაკტიონი, შესაძლოა, ამ სამი ტექსტიდან ნებისმიერით იყო შთაგონებული, მაგრამ, ვფიქრობთ, არსებითი ის არის, ვარსკვლავებთან საიდუმლოს განდობის/საუბრის პერიფერიული მოტივი პოეტმა თავისი ლექსის მთავარ თემად რომ აქცია.

თეიმურაზ დოიაშვილის გამოკვლევის – „გზა „არტისტული ყვავილებისკენ“ მეორე ნაწილი – „ტრადიცია და ნოვაცია“ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეთმობა. მკვლევარი განიხილავს გ. ტაბიძის ადრეულ ნაწარმოებებს და საყურადღებო ახსნას უძებნის იმ მსგავსებას, რაც გალაკტიონის ამა თუ იმ ფრაზას წინამორბედ პოეტთა, მათ შორის ნ. ბარათაშვილის, ტექსტებთან აკავშირებს. კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის: „საერთოდ, გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში თითქმის ყველა თემა ტრანსფორმირებულია ახალი ცნობიერების მიერ (ხაზი ჩემია – ნ. ს.) და ამ აზრით იგი ახალი შინაარსით აღბეჭდილი პოეზიაა (7, 492).

წინამდებარე წერილში გაანალიზებულია გ. ტაბიძის ის ორი ნაწარმოები, რომლებსაც ნ. ბარათაშვილთან გალაკტიონის მიმართებაზე მსჯელობისას ყველაზე ხშირად იმოწმებენ, როგორც გავლენის ნიმუშებს, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ მხრივ ბევრი რამ არის ხელახლა გასააზრებელი და დასაზუსტებელი.

“ელეგია” და “სულო ბოროტო”

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ გალაკტიონ ტაბიძის “ელეგია” (1914) ნიკოლოზ ბარათაშვილის “სულო ბოროტოს” გავლენით არის დაწერილი. ამ ფაქტზე ჯერ კიდევ 1914 წელს გაამახვილა ყურადღება ვ. ყიფიანმა, რომელმაც ჟურნალის “ცხოვრება და მეცნიერება” ფურცლებზე აღნიშნა: “ტაბიძეს ნ. ბარათაშვილის გავლენა ეტყობაო” და ნიმუშად ერთადერთი ლექსი – “ელეგია” დაასახელა (13, 11). მოგვიანებით შ. რადიანიც წერდა: “ამ ორი ლექსის შინაარსი, სიტყვიერი მასალა და პოეტური განცდა თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან” (9, 92). უფრო კონკრეტულია აკაკი ხინთიბიძე, რომლის აზრით გალაკტიონთან ცხადად იგრძნობა “სულო ბოროტოს” სტილისტური თავისებურებანი, მეტრი და რიტმი (18, 4).

თუ ამ ნაწარმოებებს, როგორც ამტკიცებენ, აქვს ერთნაირი შინაარსი, პოეტური განცდა, სიტყვიერი მასალა, სტილისტური თავისებურებანი, მეტრი და რიტმი, მაშინ ჭაბუკ გალაკტიონს მართლაც ეპიგონური ლექსი დაუწერია.

ვცადოთ საკითხში გარკვევა ტექსტებზე კონკრეტული დაკვირვების, შედარებითი ანალიზის გზით.

გალაკტიონის “ელეგიის” გაცნობისთანავე ნამდვილად რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი რომანტიკოსის “სულო ბოროტოსთან”. ორივე პოეტი ბოროტ საწყისს მიმართავს და ბრალდებას მსგავსია: წინამორბედი “ყმაწვილის ბრმა სარწმუნოების”, “სულის მშვიდობის” მოკვდინებასა და გაქრობაში ადანაშაულებს ბოროტ სულს, შთამომავალი კი ბოროტ დროს “სიყმაწვილის წრფელი სიამის” დამსხვრევასა და “ყვავილოვანი” ახალგაზრდობის მოწამვლას აბრალებს.

„ელეგიაში“ არის ბარათაშვილის ლექსში დადასტურებული არქაული ლექსიკური ერთეულები: მარქვი, წარიღე. “სულო ბოროტოდან” მომდინარეობს უმნიშვნელოვანესი

შემფასებლობითი ეპითეტი **ბოროტი** (“დროო ბოროტო”). ნ. ბარათაშვილის სხვა ლექსს (“ფიქრნი მტკვრის პირას”) გვახსენებს შესიტყვება “ცისა დასავალს”. შესაძლებელი ჩანს საუბარი სალექსო საზომთა იგივეობაზეც, თუმცა ბარათაშვილის თოთხმეტმარცვლადი (5/4/5) გალაკტიონთან გრაფიკულად მოდერნიზებულია (9 და 5).

მსგავსებასთან ერთად საანალიზო ლექსებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. უპირველესი და უმთავრესი განსხვავება პოეტურ განწყობილებაშია. „სულო ბოროტოს“ განსჯით-ზეაწეულ ინტონაციას გალაკტიონის ელეგიაში ინტიმურ-ლირიკული ხმოვანება ენაცვლება, რაც ლექსის სათაურშივეა მინიშნებული. თავიდანვე აშკარაა, რომ მსგავსი ინტენციის, მაგრამ განსხვავებული სულიერი წყობის ორი შემოქმედი გვესაუბრება.

ხუთსტროფიანი „სულო ბოროტო“ მთლიანად მიმართვაზეა აგებული, ერთთემიანია და კომპოზიციურად მონოლითური. გალაკტიონთან მიმართვის ინტონაცია მხოლოდ ერთ მონაკვეთშია, მთლიანად ნაწარმოები კი ბუნების თემასაც იერთებს. „ელეგია“ ასე იწყება:

**წვიმის წვეთები დასცურავენ
ფანჯრის მინებზე,
ქარი ვედრებით კარებთან დგას: –
“გამიღეთ კარი!”
რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი! (11, 168)**

ამგვარი დასაწყისი უცხოა “სულო ბოროტოსათვის”. აქ სრულიად განსხვავებული სულიერი კონსტიტუციის მქონე პოეტის მთრთოლვარე ხმა ისმის.

ამ ფონზე შემოდის „ელეგიაში“ „სულო ბოროტოსთან“ თანაზიარი ე.წ. მიმართვის პასაჟი, რომლის გამო ჭაბუკი გალაკტიონის ეპიგონობაზე საუბრობენ:

**დროო წყეულო, სად წარიღე
ჩემი ფიქრები!
დროო ბოროტო, სად დამარხე
ოცნება წყნარი?
მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა,
რომ მოგეწამლა
ყვავილოვანი სიყმაწვილე
და ჩემი ქნარი? (11, 169)**

შეუძლებელია, ბარათაშვილისა და გალაკტიონის ლექსებს შორის არ დავინახოთ ლექსიკური, სტილისტური, ინტონაციური მსგავსება, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავებაც არსებითია. აქ იგულისხმება არა მარტო “ბოროტი სულის” დაკონკრეტება “ბოროტ დროდ” და მისი მეტაფორიზაცია გესლიანი, მაცდური გველის სახეში, რაც საერთოდ არაა „სულო ბოროტოში“, არამედ უმთავრესი – ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი პოეტური ცნობიერება. ბარათაშვილი, კლასიკური რომანტიზმის წარმომადგენელი, მიუხედავად უკიდურესი იმედგაცრუებისა, ბოლომდე არ კარგავს ბედისწერასთან დაპირისპირების პათოსს, უნივერსალურ მასშტაბს, გალაკტიონის ლექსიდან კი დამარცხებული, ყოფით რეალობასთან შერიგებული ლირიკული სუბექტი გვესაუბრება, რომელიც ელეგიური ხმოვანებით მოთქვამს ოცნებათა დამარხვაზე, მოწამლულ სიყმაწვილესა და ქნარზე – პოეზიაზე.

მიმართვის პასაჟის შემდეგ გალაკტიონი „ელეგიაში“ კვლავ ბუნების სურათს უბრუნდება. ლირიკული პერსონაჟი თავისი განცდების ანარეკლს ბუნებაში ხედავს, რაც ტიპური რომანტიკული თემაა: ცის დასავალთან მოღუშული ღრუბელთა ჯარი იშლება, ქვითინებს ზეცა, ცაცხვის ხეები და ქარი... ჩნდება მოგონებებითა და ღვინით თრობის სურვილი. ეპიკურული განწყობა ბარათაშვილის შემოქმედებისათვისაც არ არის უცხო, მაგრამ გალაკტიონი, რომანტიკოსი პოეტისაგან განსხვავებით, თრობაში შვებას კი არ ეძებს, პირიქით – მწუხარებაში დანთქმის, ჩაღრმავების საშუალებას:

**ვსვამ განუწყვეტლად, ვსვამ რომ დავთვრე
მოგონებებით,
რომ მეც საზარლად ვიქვითინო**

“ელეგია” ამ სტრიქონებით მთავრდება:

სადა ჩემი ყვავილები,

სადა რწმენა?

ზეცა სასტიკო, მიპასუხე,

მითხარი რამე! (11, 169)

გამქრალი რწმენის მოტივი ნ. ბარათაშვილიდან მომდინარეობს (“რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება...”), მაგრამ ზეცისადმი – უფლისადმი, და არა მარტო ბოროტი სულისადმი, გამოთქმული საყვედური ახალი შტრიხია, რითაც „ელეგია“ კიდევ უფრო შორდება „სულო ბოროტოს“.

გ. ტაბიძის „ელეგია“, ვიმეორებთ, არაერთი ნიშნით უკავშირდება „სულო ბოროტოს“, მაგრამ მსგავსებაზე უფრო არსებითი ის, ერთი შეხედვით, მოუხელთებელი განსხვავებაა, რომელიც პოეტურ ცნობიერებათა დონეზე შეინიშნება. აქედან გამომდინარე, უფრო სამართლიანად მიგვაჩნია არა გენეტიკური სიახლოვის ხაზგასმა, გავლენასა და ეპიგონოზაზე საუბარი, არამედ ახალი ცნობიერების მიერ ტრანსფორმირებული ნიშნების წინ წამოწევა.

გალაკტიონს „ელეგია“ სისტემატურად შეჰქონდა თავის ტომეულებსა და “რჩეულებში”, რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ პოეტს ეს ლექსი უბრალო მიზანძვად კი არა, ტრადიციის გაგრძელებად, დამოუკიდებელ ნაწარმოებად ესახებოდა.

“მახსოვს” და “შემოღამება მთაწმინდაზედ”

ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენით დაწერილ ნაწარმოებად ითვლება აგრეთვე გალაკტიონის 1914 წლით დათარიღებული ლექსი “მახსოვს”, რომელსაც მკვლევრები (ა. გაწერელია, შ. რადიანი, ე. შუმანია) ტექსტების კონკრეტული შედარება-შეჯერების გარეშე მიიჩნევენ მიზანძვად ლექსისა „შემოღამება მთაწმინდაზედ“.

გალაკტიონის ნაწარმოების ვარიანტების გაცნობა დოკუმენტურად გვიდასტურებს, რომ „მახსოვს“, მართლაც, „შემოღამებისაგან“ მიღებული შთაბეჭდილებით არის შექმნილი: 1914 წლის კრებულში ლექსს “მთაწმინდაზე” ჰქვია, ერთ-ერთ ავტოგრაფში კი – “შემოღამება მთაწმინდაზე”. შეინიშნება შინაარსობრივი კავშირიც: ბარათაშვილის ლექსის ერთი სტროფი გარკვეული ცვლილებებით მეორდება გალაკტიონთან. შევადაროთ:

ბარათაშვილი:

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს სადამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი! (3, 88)

გალაკტიონი:

მახსოვს: ჩემ შემშლელ მწუხარების ჟამს
ჩემებრ მწუხარეს ვეწვეოდი მთას
და ღამე თავის სილამაზეში
შემომახვევდა მშობლიურ კალთას. (11, 193)

აქ კვლავაც დაისმის კითხვა: საკმარისია გენეტიკური კავშირი მიმზამველობაზე და, მით უფრო, ეპიგონოზაზე სასაუბროდ?

გალაკტიონის ლექსი სიახლოვეს ამჟღავნებს არა მხოლოდ „შემოღამებასთან“, არამედ სხვა ავტორთა ტექსტებთანაც. მაგალითად, ლანდშაფტი, პეიზაჟი ამავე ლექსში ამგვარად არის ასახული:

სევდიანი და დაფიქრებული
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,
სცურავდა მთვარე და თეთრი ნათლით
ივერცხლებოდა გარს არემარე.
თეთრი ზოლები შორი მთებისა
იკარგებოდნენ ცისა სიღრმეში

და ხის ფოთლები ფერხულს უვლიდენ
ნიავის ველურ სიხალისეში. (11, 193-194)

შენიშნულია, რომ ბუნების ეს სურათი ილია ჭავჭავაძის “ელეგიასთან” არის დაკავშირებული (17, 47):

**მკრთალი ნათელი სავესე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.** (15, 30)

მსგავსების მიუხედავად, გავლენაზე საუბარი აქ დაუშვებელია, რადგან სრულიად განსხვავებულია ღამისადმი დამოკიდებულება – ილიას „ელეგიის“ ლირიკულ გმირს სულს უხუთავს დუმილი („არსაიდამ ხმა, არსით ძახილი“), გალაკტიონის პერსონაჟი კი, პირიქით, ცდილობს არ გაიგონოს „კაცთა გულიდან ნაფეთქი ხმოზა“, რადგან მისთვის “ღამის სახე” ადამიანზე უფრო ახლობელია, მისი სმენა ციურ ძახილს უდარაჯებს:

**მე ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
ვინემ კაცისას, როცა ნარნარი
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,
ციდან ძახილი მესმოდა წყნარი.** (11, 193)

სრულიად ცხადია, რომ ტექსტობრივი მსგავსების მიუხედავად, პოზიციათა მკვეთრი სხვაობის გამო ამ შემთხვევაში გავლენაზე საუბარი არამართებულია. უფრო მეტიც, გალაკტიონი რომანტიკული მსოფლგანცდის სამზეროდან უპირისპირდება ილიას რეალისტურ თვალთახედვას, რაც ჭაბუკი პოეტის არსებაში მიმბაძველს კი არა, თამამ ოპოზიციონერს წარმოაჩენს.

გალაკტიონის ღამესთან მიმართების გამომხატველი სტრიქონები ბაირონის “მანფრედის” ერთ ფრაგმენტს გვახსენებს:

„... The Night
Hath been to me a more familiar face
Than that of man...” (19, 253)
(ღამის სახე ჩემთვის უფრო ახლობელი იყო,
ვიდრე კაცისა...)

საინტერესოა, რომ გალაკტიონის არქივში ინახება პოეტის მიერ ნათარგმნი „მანფრედის“ ფრაგმენტი:

კოლიზეიში
მანფრედის მონოლოგი
ვარსკვლავნი თრთიან... მთვარე დაცურავს
ნათელ-გაშლილი და მოკამკამე,
მთები ბრწყინავენ... ვიშ ამ შვენებას...
მიყვარს მე ეს მთა... მიყვარს ეს ღამე!
**მე ღამის სახეს უფრო მივსწვდები,
ვინემ კაცისას, როცა ნარნარი
ღამე ირთვება სილამაზითა,
მესმის სხვა ქვეყნის ძახილი წყნარი...** (12, 645)

გალაკტიონის „მახსოვს“ აშკარად ამ სტრიქონებით არის ინიცირებული, რასაც ადასტურებს ის, რომ ერთადერთ ავტოგრაფში (8688), რომელმაც ეს თარგმანი შემოინახა, ფრაგმენტი „მანფრედიდან“ და გალაკტიონის ლექსი ერთად არის წარმოდგენილი: ჯერ თარგმანი, ხოლო შემდეგ მისით შთაგონებული ორიგინალური ნაწარმოები. ამ სიახლოვით აიხსნება, თუ რატომ ენაცვლება ბარათაშვილისეულ **შემოღამებას** გალაკტიონთან **ღამე**.

და მაინც, როგორც არ უნდა იყოს გალაკტიონის ლექსის შექმნის იმპულსები, მისი თავდაპირველი სათაურები („შემოღამება მთაწმინდაზე“; „მთაწმინდაზე“) ცხადყოფს ბარათაშვილის შედეგთან შეხმიანებას. რომანტიკულად განწყობილი გალაკტიონის ყურადღება „შემოღამების“ შემდეგ სტრიქონებს უნდა მიეპყრო:

**აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიზნევიან!**

მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება...

მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს! (3, 89)

იდეალურ სამყაროში გაღწევის სურვილი დომინანტური მოტივია გალაკტიონის ადრეული ლირიკისა (6, 324). სინამდვილით უკმაყოფილო გალაკტიონის ლირიკული პერსონაჟისათვის, ისე, როგორც ბაირონის მანფრედისათვის, არსებობს “სხვა მხარე”, სხვა ქვეყანა, იდეალური, ოცნებისეული სამყარო:

ნუ დაღონდები... არსებობს მხარე,
სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის,
იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს
ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის... (11, 213)

ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამების“ ლირიკულ გმირს ადამიანური ცნობიერების შეზღუდულობის გამო შეუძლებლად მიაჩნია “ზენაართ სამყოფში” გაღწევა, გალაკტიონის “მახსოვს” კი ოცნებით ხატავს ამ “წარმტაც მხარეს”, პოეზიის გრძნებით შექმნილ იდეალურ ქვეყანას:

მეხატებოდა წარმტაცი მხარე,
რომლის არ არის ამ ქვეყნად ფასი,
რომელს ამშვენებს მთვარის ნათელი
და აფერადებს ვარსკვლავთ კისკასი. (11, 194)

ის, რაც არ ძალუძს დასაზღვრულ ცნობიერებას, შეუძლია ოცნებას, პოეზიას! – ეს არის ის კონცეპტუალური განსხვავება, რომელიც ორ ნაწარმოებს შორის შეინიშნება და რომელიც გალაკტიონის მიმზამველობას გამორიცხავს. ჭაბუკი პოეტი თითქოს საგანგებოდ, ალუზიის ხერხით მიგვანიშნებს “შემოღამების” პრობლემატიკაზე, რათა წინ წამოსწიოს თავისი განსხვავებული ხედვა, ხედვა იმ ახალი ტიპის შემოქმედისა, ვინც იმედებს პოეზიაზე, ხელოვნებაზე ამყარებს.

ამრიგად, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონის ნაწარმოებებს შორის მიმართება სცილდება პირდაპირი გავლენის საზღვრებს და, გენეტიკური კავშირის მიუხედავად, საქმე გვაქვს განსხვავებული პოეტური ცნობიერების მიერ ნაცნობი მასალისა და თემების კონცეპტუალურად ახლებურ გააზრებასთან.

დამოწმებანი:

1. ასათიანი გ., გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა (სიმბოლისტური პერიოდი). ჟ. ცისკარი, 1967, №8.
2. ასათიანი გ., ნიკოლოზ ბარათაშვილი. გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1975.
3. ბარათაშვილი ნ., თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968.
4. გომართელი ი., სევდის მგოსანი, წიგნში: “გალაკტიონ ტაბიძე. ლექსები”, ქუთაისი, 1914.
5. დოიაშვილი თ., გალაკტიონის პოეტიკის სათავეებთან (მეტრიკა, რითმა, სტროფიკა), კრებულში “ჭაშნიკი”. ქართული ლექსთმცოდნეობის საკითხები. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1984.
6. დოიაშვილი თ., გზა “არტისტული ყვავილებისკენ” (პირველი ნაწილი), კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 2004, XXV.
7. დოიაშვილი თ., გზა “არტისტული ყვავილებისკენ” (მეორე ნაწილი), კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 2005, XXVI.
8. თვარაძე რ., ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2001.
9. რადიანი შ., გალაკტიონ ტაბიძე, ჟ. მნათობი, 1940, №7.
10. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. გამომცემლობა „ლაშარი“, თბილისი, 1991
11. ტაბიძე გ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.
12. ტაბიძე გ., საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, წიგნი მერვე. გამომცემლობა „ლიტერატურის მატეანე“, თბილისი, 2005.
13. ყიფიანი ვ., გ. ტაბიძის ლექსები. ქუთაისი, 1914. ჟ. “ცხოვრება და მეცნიერება”, 1914, №1.
14. ჩხენკელი თ., წერილები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.
15. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი. „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბილისი, 1957
16. ჭილაია ს., გალაკტიონ ტაბიძის პოეზია. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი, 1951.

17. ხინთიბიძე ა., გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები. გამომცემლობა „გულანი“, თბილისი, 1992.
18. ხინთიბიძე ა., ქართული ლექსის მშვენიერება, გ. „თბილისი“, 1962, 19 ნომბერი.
19. Byron G. The Complete Poetical Work of Lord Byron. London, 1983.

Natia Sikharulidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

FROM GALAKTIONI'S EARLY LYRIC ("ELEGY" AND "REMEMBER") RESUME

The present paper analyses Galaktion Tabidze's early poems that evince closeness to the poetry of the popular Romantic poet Nikoloz Baratashvili.

Though his early works were considered to be written under the influence of Nikoloz Baratashvili, after the analyzing the poems we conclude that in spite of genetical relationship the material is in a new manner interpreted by different poetical consciousness in Galaktion Tabidze's poems.

ლუარა სორდია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ლიცენციების სამყაროში – „რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში უმთავრესია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი. ვფიქრობთ, ამის გათვალისწინება მოგვცემს პოეტის, ერთი შეხედვით, პარადოქსული აზროვნების გასაღებს, მისი ენიგმების, ლიცენციების, ეზოტერული ქვეტექსტების ამოხსნის საშუალებას.

„ათასის მხედველობის“ მქონე პოეტების მეფე არა მხოლოდ ემპირიული სამყაროს საგნებს, მოვლენებს, მათ შორის მიმართებებს აფიქსირებდა, არამედ ჰვრეტდა სხვათათვის „უხილავ-ფარულს“, დეტალებით მთელზე, ლოკალურით გლობალურზე, ეფემერულით მარადიულზე მიგვანიშნებდა. მისი მეტაფორული აზროვნების არეალში ექცეოდა ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური თუ ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რაზედაც ასე გაბედულად გააკეთა აქცენტი: „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“.

სიტყვის ჯადოქარმა ავდრის, ზამთრის, უამინდობის, თოვლის, ყინვის სახეთა ქვეტექსტებით გაგვიცნობიერა სამშობლოს ბედი თუ უბედობა. საკუთარი ერის მომავალი გაიაზრა მსოფლიოს მოვლენათა კონტექსტში, „კოსმიურ სიცივეს“, სულის გვაღვას, პლანეტის კატაკლიზმებს დაუპირისპირა ყოვლისშემძლე, მარადიული სიყვარულით დამუხტული ქართული სული, საღვთო სიბრძნე და საღვთო სიყვარული.

„არტისტული ყვავილების“ ავტორმა, ერთი მხრივ, „გაზაფხულისმაგვარი“ ქართული თოვლის მომხიბვლელობას გვაზიარა, სხვა გეოგრაფიულ არეალში კი იხილა „თოვლის სუდარა, თოვლის კუბო, ჯადოქარი სიცივე“.

რელიგიურ ჭრილში გაიაზრა „თოვლის მადონა, თოვლის ვარდები, იისფერი თოვლი, ლურჯი ფიფქი, ვარდისფერი თოვლი, ქალწული თოვლი“ და ჩვენი ზეციური დედა იხილა განუმეორებელი მეტაფორებით...

სხვაგან საბედისწერო თოვლით შემოსა ალვა, ნაძვი, ბილიკი, წყარო, ანუ ურწმუნოება დაუპირისპირა რწმენას, რადგან ალვა, ნაძვი, ბილიკი, წყარო საღვთო სახელებია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში (მოსია, 1995, 124).

პოეტმა „შავი თოვლით“, „ბნელი თოვით“ მიგვაახლოვა ღმერთის უარყოფელი ეპოქის შინაარსთან.

ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემების წარმოჩენა მოახერხა „არაწმინდა თოვლის, თოვლის სამსალის, ფიფქით მტრობის, მწუხარე თოვლის, საუკუნეთა თოვლის, ირიბი, აღმაცერი თოვლის“ სიმბოლოებზე აქცენტებით (სორდია, 2011, 259-280).

საგულისხმო ქვეტექსტების მატარებელია ყინულის გამოყენებით შექმნილი სახეები: „გაყინული მხედარი, გაყინული გული, გაყინული ცა, გაყინული ყვავილი, ყინულის სასახლე, ყინულის კოშკი, ყინულის ქალაქი, ყინულის მთა, ივლისისფერი ყინვის თასები“ (სორდია, 2011, 188-199).

გალაკტიონს აწამებდა „უამინდოთა სასტიკი სული“, „სული, აღსავსე სუსხით“, თვითმპყრობელობის საშინელი სუსხი.

კოდირებული სახეების შემცველია და ჩვენთან „დამძობილებული“ მტრის მხილებით გამოირჩევა „ოფორტი“ (ტაბიძე, 1994, 261-262).

ლექსის „ელვარე თოვლის მარხილი“ და „თეთრი ავდარი“ მიგნებული მინიშნებაა ჩვენი უბედურების რეკისორზე: „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი, ამ სივრცეებში მყავს დამარბული ზამთარი ცივი და ნაზავთარი“.

მეზობელი მონსტრის „ელამი მზე“, გაყინული მხედარი, სიჩუმე, ავბედითი ნაკვალევი და ძალადობით სამშობლოდ გამოცხადებული თოვლიანი იმპერია არის ლექსის ლირიკული პერსონაჟის გაუნელებელი სატკივარი: „რა სიჩუმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარი სამშობლოს დავიწყებას და თავისი თოვლიანი-ყინულიანი, უცხო ქვეყნის სამშობლოდ აღიარებას მოითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

შიფრით ნაწერი ლექსია „გული გრძნობს“ (ტაბიძე, 1988, 322). მასში მთავარ სათქმელთან გვაახლოებს „მწუხარე თოვლი“, მისკენ სვლის მიზეზად კი სახელდება „ფერადი გემი“: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს როსმე ბოჰემა. გული გრძნობს ღალატს“.

„მწუხარე თოვლი“ ისევ უბედურების მომტანი ტოტალიტარული სახელმწიფოს პაროლია, გემი (აქ – „ფერადი“) – ღვთისმეტყველთა განმარტებით, იგივე ძელია, ჯვარი ანუ ქრისტიანული რწმენა.

თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა“ (2,4) ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „რატომ აცვეს მაცხოვარი ჯვარს? – იმიტომ, რომ შენთვის, სულო კაცისაო, აუცილებელია ეს ძელი მისი დამდაბლებისა. შენს ამპარტავებაში შენ გეშინოდა მისი და ამის გამო შორს მოსცილდი მშობლიურ ქვეყანას. საერო ზვირთებმა წაშალეს მისკენ დასაბრუნებელი გზა და მხოლოდ ამ გემით ძალგდის შენ დაბრუნდე შინ. იგი თვით იქცა გზად, მაგრამ ეს გზა ზღვაზე ძევს, რომელზეც შენ ფეხით ვერ გაივლი, შენ გადაგიყვანს გემი, გადაგიყვანს „ძელი“ (ანუ ჯვარი), გწამდეს ჯვარცმისა და შენ შემდეგ დაბრუნებას“.

სიტყვა „ძელი“, „მორი“ მეტონიმიურად აღნიშნავს გემს (ავგუსტინე, 1985, 453).

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20).

ლექსი ქვეტექსტებით გვაუწყებს, რომ ერთმორწმუნეობის გამო მომხდარა თოვლის სამეფოსთან დაახლოება, მაგრამ მფარველი „ანგელოზის“ ნიღბით მოვლენილი ქვეყანა „ჯალათად“ ქცეულა, ღალატით ყოფილა დაღდასმული მისი „მფარველობა“.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ ალეგორიულად მხილებულია სატანური იმპერია, „მგმობარი მეგობარი“, „მტერი მეორე“, „საშინელი ავდრის, უამური ზამთრის“ სამეფო, „ნგრევა – ხოცვის“ ოსტატის ხრიკები.

„ქაჯეთის“ სახელით მონათლულმა ბოროტების იმპერიამ ჩვენს ქვეყანას მოჰპარა მშვიდობის წიგნი. წიგნი ღმერთის სიმბოლოა:

ბიბლიაში ძე ღმერთის მოვლინება აღიქმება, როგორც წიგნის სიტყვების გახმაინება (წიგნი მამადმერთი, სიტყვა – ძე ღმერთი): „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები“...

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ზნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,11,18).

„აღსარების“ ავტორი აცხადებს: „არასდროს არ დაიხვეა მათი წიგნი, არასდროს არ აიხვეა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიე უკუნიდან“ (ავგუსტინე, 1985, 217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკვარი წიგნი“, „დიადი წიგნი“ (დანტე, 1941, 383).

„მშვიდობის წიგნში“ წიგნის დაკარგვას მოჰყვა თოვლის, ნისლის გაბატონება, წყლის ამღვრევა, მახის დაგება, შეთქმულება, ღალატი, ხიფათი, აკლების მუქარა, „მკვლელთა თარეში“...

პოემაში ხაზგასმულია „წინანდელი იმედების“ დაღუპვა, ქართული „მიწის და ცის ნამცეცის“ მითვისების, ჩვენს „ტურფა სამოსახლოზე“ ვეფხვის გაბატონების სურვილი, მსხვერპლი, სატანის მოვლინება, ბადის განადგურება, მხეცების მოძალეობა.

წიგნი ჩრდილოელმა ქაჯმა გაიტაცა, ქაჯი არის რუსული ბოლშევიზმის ალეგორია. ქაჯი „ნგრევა – ხოცვის“ ოსტატია.

სულით გაღვიძებულმა ადამიანებმა განგაშის ზარი შემოჰკრეს, მიხედნენ უბედურების მიზეზებს, იპოვეს დაკარგული წიგნი (ღმერთი), მათ მიაგნეს „წმინდა გზას“ (ღმერთს) და ქვეყანა გადარჩა.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი არის „მშვიდობის „გზა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 59,8).

პოემაში საუბარია „თოვლის სამსალაზე“, „არაწმინდა თოვლზე“, რომელიც დადნა მზის ელვარებით.

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84; 12).

ვერაგი მეზობლის მუხანათობით მიუღწეველი ნაპირები თოვლით და ყინვით იმოსებოდა: „და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (თოვლით და ყინვით) (ტაბიძე, 1993,50).

გულს თოშავდა „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“ („ჩემს გულში დაჰქრის“) (ტაბიძე, 1977,259).

ეს ავბედითი, „ალმაცერი, ირიბი“, არამშობლიური თოვლი ცეცხლს აქრობდა სულში, იფანტებოდა თეთრი ფიქრები, იფერფლებოდა ხელნაწერი და პოეტი ნატრობდა იმედების, სინათლის მოვლინებას: „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება. გაიღო ფანჯარა. თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. იფანტება თეთრი ფიქრები. იფერფლება ხელნაწერი. ნუ ჩამიქრები და იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ („თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“) (ტაბიძე, 1988, 267).

თოვლში (თოვლის იმპერიის მარწუხებში) იმსხვერუდა იდეალები, ჩხოვდნენ ყორნები და თოვლი სილისთვის იმეტებდა იდეალს – ნოვალისის ყვავილს: „იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი. თოვლმა სილას მიაწვია ნოვალისის ყვავილი“ („ადარ არის მენესტრელი“) (ტაბიძე, 1988, 186).

ბედისწერამ „იანვრის მომედ“ აქცია პოეტი და იგი ჰგოდებდა: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჰკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“.

„დაფარული ცოდვების, დამალული ღალატის“ შედეგი იყო „შიშველი, თეთრი ყვავილი.“ ასევე პოეტი წუხდა „თეთრ ბეჭდების თვლებზე“.

ია მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა. ჩვენი ზეციური დედა მოიხსენება, როგორც „უბიწოებით შემკული ია“ (ვახტანგ VI, 1975, 45).

ბეჭედი, ზეცის ბეჭედი მარიამ ღვთისმშობელზე მიგვანიშნებს (მოსია, 1995, 124).

თვალი, ზეცის თვალი უფლის მეტაფორაა: „დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 321,9).

ლექსში მარადიული თოვლით, ღალატით ცნობილი მონსტრი სახელდებულია, როგორც „იანვრის თოვლი“ („სამრეკლო უდაბნოში“) (ტაბიძე, 1977, 83).

სხვაგან წუხილის მიზეზია „თოვლში ჩაფლული უნუგეშოდ შთენილი“, გაყინული ფოთოლი“ („ქარით დატირებული“) (ტაბიძე, 1982, 355).

„ელეგიაში“ „გაზაფხულის მზიან ჩრდილს“ გადაუღებელი თოვლი ენაცვლება (ტაბიძე, 1988, 86).

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმარეთში გაუჩინარებულა მთა, გაზაფხულზე გაყინულა ნაკადული, თოვლის ფიფქით დაფარულა ნაძვი („თეთრ თოვლის ქვეშ“) (ტაბიძე 1982,6).

მთა მარიამ ღვთისმშობლის სახელია და მომდინარეობს ბიბლიიდან (დანიელ წინასწარმეტყველი 2,34,247).

ნაკადული საღმრთო სიმბოლოა: „წყალს მივუღვრი ურწყულს და ნაკადულს გამომშრალ მიწას“ (ესაია წინასწარმეტყველი, 44,3).

ნაძვი სიცოცხლის ხის ანუ ღმერთის მეტაფორაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ: მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 17, 22).

„შავი თოვლი“ მთავარი აზრობრივი აქცენტის მატარებელი სახეა ლექსში „შემოდგომა უმანკო ჩასახვის მამათა სავანეში“: „ვეწვევი განდევნილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეს, იქ შავი თოვლით დამათოვს ჭკარტლი და ბურუსი თავანის“.

ლექსის ლირიკულ პერსონაჟს უდაბნოს ქარების ქროლვაში ჩაესმის ათეისტებისთვის უზენაესის მიერ გამოტანილი განაჩენი: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

„შავი თოვლი“ (ჭკარტლი, ბურუსი) ურწმუნოებაზე, გაუქმებულ ეკლესიაზე მინიშნებაა მიგნებული სახით.

„დომინოში“ „თოვლის ფერ-უმარილით“ „გაფითრება“ და „ფიფქით მტრობა“ გვაფიქრებინებს არაკეთილმოსურნე მეზობელზე (ტაბიძე, 1982, 203).

პოეტი აფრთხილებდა ღვთის მგმობელთ, უკეთურთ, ზეცის სისპეტაკე და სინათლე კი არა, „ზნელი თოვა“ და დემონ-ლუციფერთა ჯოჯოხეთში გაყიდული სულით არსებობა იქნებოდა მათი ხვედრი: „ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისა და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა, ქვეყანა ზნელი დემონებისა. მოკვდებით, ზნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ღანდი ლიუციფერის“ („ვერ გაიგონეს“) (ტაბიძე, 1982,332).

ასე სიმბოლურ-ალეგორიული, მრავლისმთქმელი სახეებით ამხილა პოეტმა ჩვენი ეროვნულ-რელიგიური, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ტრადიციები, ასე განუხრელად ემსახურა თემიდას, მაგრამ იყვნენ ქვეყნის სატკივრის მიმფუჩეჩებელი გულგრილი მედროვეები, რომლებიც იანვრის თოვლშიც „მაისის ვარდნი გაფურჩქნილის ხმით“ ღიღინებდნენ: „იანვარია. თოვლი ჰფარავს ქუჩებს და ბინებს, მაგრამ ვინაა, რომ ჯინაზე ასეთ ამინდის „მაისის ვარდნი გაფურჩქნილის“ ხმით მიღიღინებს?“ („70 წლის პოეტი ქუჩაში მიდის“) (ტაბიძე, 1993, 366).

სიცრუის აპოლოგეტებისადმი ირონიაა „ყვავის სიმღერა“: „თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“ (ტაბიძე, 1993,328).

ლექსში „თიბათვე გავიდა“ „გაიძვერა მოყვარე“ „მევახშის“ სახეში გვეცხადება, რომელმაც იყიდა სასახლე, მამული, ჭალები, და „გაყიდული“ ქვეყნის მკვიდრს ისლა დარჩენია, „ჩრდილოეთს“ ეწვიოს „კიდობნით“ (ტაბიძე, 1994, 114).

კიდობანი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა: „გიხაროდენ, კიდობანო ოქროვანქმნილო სულითა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა) (იკოსი 12) გალაკტიონის ლექსი დაწერილია 1916 წელს.

ყოველი ნამდვილი ქართველის სატკივრის სხვაგვარი ფორმით გაცხადებაა ლექსი „შავი ზღვის პირად“: „ტროპიკულ ხეებს, შავი ზღვის პირად, ვაზებს დახლართულს, რომ მიყვებოდით ზურმუხტისფერ ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“ (ტაბიძე, 1994, 114)

ეს სტრიქონები დაფიქსირებულია 1928 წელს.

1937 წელს პოეტს ისევ მონობის სიმწარე, ურწმუნოება, საკუთარ მამულზე დადებული ჩრდილოელი მტარვალი მხეცის ტორი აკვნესებდა: „არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა გულო, თუ ამგვარი გახდებოდა ცივი, უმამულო. და ამგვარად თუ სიცოცხლის მოკვდებოდა კონა – არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა“ („არ მეგონა“)(ტაბიძე, 1994, 374).

მიუხედავად თოვლისა და ეპოქის ავდრით გადახრილი ქუჩისა, პოეტი სასახლეში მაინც „სიხარულს“ მოელოდა („მთელი დღე ვგრძნობდი“) (ტაბიძე, 1977, 290) „სიხარული“ ქრისტეს სახელია.

იმედიანობის საფუძველი თოვლივით სწრაფწარმავალი ბოროტების დამარცხების, ჩვენი ქვეყნის სამართლიანობის რწმენა იყო: „... მაინც არ ჩაქრა ჩვენი სანთელი, ვამბობთ: ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი“ („მშვიდობის წიგნი“) (ტაბიძე, 1975, 351).

ორი საუკუნე ათოვდა და აწვიმდა ჩრდილოეთიდან ქართველი კაცის იდეალებს, მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ კარგავდა, რომ გამოიდარებდა, დადნებოდა ეს ავბედითი თოვლი: „საუკუნეთა თოვლო, ითოვლე, მაინც დადნება ეს ნათოვლარი“ („წარწერა ხოვლეს ორნამენტზე“) (ტაბიძე, 1993, 374).

პოეტების მეფის მიზანი იყო მუდმივ თოვლით შესუდრულ მთებზე ტიტანური ძალისა და სითბოს შეტანა: „... მალე მთებს და ველებს ტიტანივით მოვევლები, ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესუდრულ მთებს“ („ავრორა“) (ტაბიძე, 1993,75).

მართლაც, მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე და მკითხველის გულში გალაკტიონის მიერ ქვეყნის გასაგონად დაიწერა სამარადისო პოეტური სიტყვა („სიტყვა პოეტის“) (ტაბიძე, 1993, 121).

მიზანი იყო „ქალწული თოვლისკენ“, „ღრუბლებისკენ“ სწრაფვა, რათა „ცის კაბადონზე“ „მსოფლიოს შესახედავად“ აღებეჭდა საღვთო მცნება: „გიყვარდეთ!“ („ფანტაზია“) (ტაბიძე, 1977, 154).

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „მეგლი ქალწულებისა“ (გზა სამეფო, 2009, 10).

ჩვენი ზეციური დედის სახელია „ღრუბელი ნათლისა“ (სინური მრავალთავი, 1959, 200).

„ელვის ბილიკზე“ მავალი პოეტი ეთაყვანებოდა „თოვლის ვარდებს“ („ხან უფესკრულები, ხან მწვერვალები“) (ტაბიძე, 1977, 273), თოვლის მადონას – მარიამს („ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“).

ბიბლიის მიხედვით, ბილიკი, გზა საღვთო სახელია (ესაია წინასწარმეტყველი, 30,21,95), „თოვლის ვარდი“ – ღვთისმშობლის.

„დაუჯდომელში“ მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „ყვავილი უხრწნელი“.

გალაკტიონმა თოვლის სახის გამოყენებით გვიჩვენა ეროვნული ხასიათი: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაჟკაცსა-გული რკინის, აბჯარი – თუნდაც ხისა“. („პირველ აგვისტოს ღამით“) (ტაბიძე, 19773, 754).

საქართველოს ბედისა და მგოსნის სულის დასახასიათებლად ისევ თოვლის შემცველ ხალხურ ფრაზას მიმართა: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მტრის გემინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა. რას ნიშნავს იყო მგოსანი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა, მტრის გემინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა“ („რას ნიშნავს, იყო ქართველი?“).

პოეტმა ქართველი წარმოაჩინა, როგორც „არმოშიშარი ქარისა და თოვლისა“, მამულისთვის თავდადებული, მისი უპირველესობის მქადაგებელი: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა, ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება: „მამულს გული უპირველეს ყოვლისა!“ (ტაბიძე, 1988, 438).

ლიტერატურა:

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ., 1993
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. II, თბ., 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ., 1994
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 2 წიგნად, წიგნი I, თბ., 1988
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1975
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
7. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ., 1975
8. დანტე ალიგიერი, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1941.
9. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985.
10. სინური მრავალთავი, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.
11. დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, „გზა სამეუფო“, საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3-9 აპრილი, 2009.
12. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
13. ლუარა სორდია, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, თბ. 2011.

Luara Sordia

Sokhumi State University

IN THE WORLD OF POETRY LICENSE GALAKTION TABIDZE – “THAT THIS SNOW IS MY HOMELAND” RESUME

Main aesthetic principle of Galaktion Tabidze was polysemy of words – images, an indication of general details of the whole of the global – local visible the invisible, the epimeric – eternal.

Therefore poet the use of images of snow, ice, winter, bad weather shower the national – political and religious – philosophical problems.

In poetry Galaktion draws attention show meaning-ful diverse epithets: un clean show, grieving show, show centuries, indirect show.

Phrase that show is my birthplace is shown in a context that points to the neighboring Nordic snow-ice empire – the enemy of our state and our independence.

თინა შიოშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლარჯული ხალხური სააკვანო ლექს-სიმღერები

მსოფლიოს ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, საბავშვო ზეპირსიტყვიერება ღირსეული მამულიშვილების, ზნეობრივად სრულყოფილი მოქალაქეების აღზრდას ემსახურება, რაც, უპირველეს ყოვლისა, დედის უმთავრესი მოვალეობა და მიზანია. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია საბავშვო ფოლკლორის ერთ-ერთი არქაული და მარად ახალი უბანი – სააკვანო ლექს-სიმღერები, ეგრეთწოდებული „ნანები“ („იანნანები“), რომელთაც ცნობილმა რუსმა მკვლევარმა ო. კაპიცამ „დედათა ღირსება“ უწოდა (О.

Капица, 1992 : 37). „ქართულ ხალხურ სააკვნო ლექს-სიმღერებში ძალუმად აისახა ჩვენი ხალხის მდიდარი სულიერი პოტენციის გამოხატველი მოტივები“ (თ. შიომშელი, 2004 : 67), წარმოჩინდა ქართველი დედის ღირსსახსოვარი სახე.

ქართველი ხალხის ტვირთმძიმე ისტორიამ, გარეშე მტერთაგან გამუდმებულმა აგრესიებმა თუ შინაურმა შუღლმა და აშლილობამ თავისებური ღრმა კვალი დააჩნის სააკვნო ლექს-სიმღერებსაც, თუმცა, ქართველი დედის მიერ ყრმათათვის სამღერო საგალობლის უმთავრესი პათოსი და მისია დღემდე გაუხუნარია და პირველქმნადობის ხიზლით არის მოსილი. ამის ნათელი დასტურია არამარტო საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებული „ნანას“ ვარიანტები, არამედ, ისტორიული ძნელბედობის გამო, საქართველოსაგან მოწყვეტილი და დღეს თურქეთის რესპუბლიკაში შემავალი ისტორიული ქართული კუთხის – კლარჯეთის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემონახული სააკვნო ლექს-სიმღერები, რომლებიც მოპოვებულია 2007 და 2013 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში.

კლარჯი დედები თუ ბებიები მათ მიერ ნამღერ „ნანებში“ ტრადიციულად გამოხატავენ უნაზეს სიყვარულს ჩვილისადმი, უსურვებენ გაზრდას, კარგი შვილობის გაწევას, კაცად გახდომას, ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებასა და სხვა ადამიანურ სათნოებებს.

2007 წლის 4 აგვისტოს კლარჯეთის სოფელ ავანაში (ავჯილარი) 70 წლის ნურიე ეფენდოღლისაგან (ფაღავა) ჩვენ მიერ ჩაწერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში ხაზგასმით, საგანგებოდ არის წარმოჩენილი დასაძინებელი ყრმის წარმომავლობა: თურქულ გარემოში საუკუნეთა მანძილზე მცხოვრები დედები, თავიანთ რეპერტუარში ერთგვარად შეუვალები, ცდილან, არ დავიწყებოდა არც პირმშოსა და არც სხვა მსმენელს, რომ ის ქართველია და ამიტომაც მას „გააურად“ მოიხსენიებს. როგორც ცნობილია, „გააური“ მუსლიმთა შორის გავრცელებული სალანძღავი სიტყვაა და ნიშნავს ურჯულოს, ურწმუნოს, არამუსლიმანს, ქრისტიანს. მართალია, კლარჯელები კარგა ხნის გამუსლიმანებულნი არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიტყვა, რომლითაც თურქები მათ მიმართავდნენ იმიტომ, რომ ისინი ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ, მათთვისაც ქართველობის ტოლფასი ტერმინი იყო, ქართველობას ნიშნავდა და ამიტომაც, როგორც ჩანს, ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებას ეს სიტყვა ქართველობის მნიშვნელობით შემორჩა, რადგანაც სარწმუნოება მათ უკვე თურქების იდენტური აქვთ.

საანალიზო სააკვნო ლექს-სიმღერაში გამოთქმულია სურვილი ბავშვის გაზრდისა და კაცად გახდომისა:

ნანი, ნანი, ნანაჲ,
დეიძინოს ჩემი გააურმა.
ნანი, ნანი, ნანაჲ!
დეიძინოს, გეიზრდესა,
ნანი, ნანი, ნანაჲ!
გეიზრდეს და კაცი გახდესა,
ნანი, ნანი, ნანაჲ!

კლარჯეთის ულამაზეს სოფელ ბუჯურში (აქანთაშქოი) ჩვენ მიერ 2007 წლის 31 ივლისს 70 წლის ხატიჯე ილმაზისაგან (ქესკინოღლი) ჩაწერილ სააკვნო ლექს-სიმღერაშიც მთქმელი „გააურად“ მოიხსენიებს ბავშვებს:

ნანი, ნანი, ნანაჲ,
დეიძინოს აკვანაში.
ჩემი ზამეთი ნანაჲ,
ნანი, ნანი, ნანაჲ!
დეიძინოს ჩემი გააურებმა,
ნანი, ნანი, ნანაჲ!
ნენეჲ არა, ბაბოჲ არა,
ნანი, ნანი, ნანაჲ!
დეიძინოს აკვანაში,
ნანი, ნანი, ნანაჲ!

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ სააკვნო ლექს-სიმღერებში, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებში, გამოძახილი ჰპოვა საყოფაცხოვრებო ნიუანსებმაც. განსახილველ „ნანაში“ წარმოჩენილია, რომ დიდება აძინებს დედ-მამით ობოლ ბავშვებს და გულისტკივილით მიუძღერებს ამის თაობაზე („ნენეჲ არა, ბაბოჲ არა...“).

სოფელ კარტალში (თუთუნჯულერი) მცხოვრები 67 წლის ვილდან ერყილიჩისაგან (კუტუნოღლი) ჩვენ მიერ 2007 წლის 4 აგვისტოს ჩაწერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში, რომელსაც მთქმელმა „დაძინებისა“

უწოდა, გამოთქმულია ყველა ეპოქის დედებისათვის სანუკვარი ოცნება: დედას და მამას გაეზარდოს კარგი შვილი და დიდი კაცი გახდეს:

დეიძინოს და დეიძინოს,
გეიზრდეს ჩემი ბიჭი,
დიდი კაცი გახდეს!
დედაზე, მამაზე
კარგი შვილი იყოს!

ლექს-სიმღერას მთქმელმა მოაყოლა შენიშვნა: „ძველი დედაბრები გურჯულაჲ ეტყოდენ“.

ტრადიციისამებრ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ „ნანებში“, ისე კლარჯულ სააკვნო-ლექს სიმღერებშიც ბავშვს დროული და მშვიდი ძილის „საფასურად“ ტკბილეულს პირდებიან, ღმერთს (გამჩენელს) მის გაზრდას შესთხოვენ. ამის დასტურია 2013 წლის 6 აგვისტოს სოფელ მარადიდის ერთ-ერთ უბანში – ბალაბანაქედში 73 წლის ჰურიე ქურდარისაგან ჩვენ მიერ ჩაწერილი „ნანა“, რომელსაც ახლავს მთქმელის შენიშვნა: „–დაძინებინან მღეროდენ. დავაძინავთ და ჩვენი საქმე ვიქამთ“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლარჯული „ნანას“ ამ ვარიანტს პატრიარქალური ოჯახის კვალიც შემოუნახავს:

ნანინი, ნანი, ნანაჲდა!
დეიძინოს ჩემი ღარჭი,
გეიზარდოს ნენეით,
ბაბაჲთ, დიდი ნენეით!
დედეჲნა მოვდეს,
შექერინა მუუტანოს!
დიდი დედენა მოვდეს,
შექერინა მუუტანოს!
გეიზარდოსნა ჩემი ღარჭი,
ღმერთმა მიცოცხლოს, გამჩენელმა!
ნანინი, ნანი, ნანაჲდა!...

(შოიშვილი თ., მახარაშვილი გ., 2013 : 86).

კლარჯულ სააკვნო ლექს-სიმღერებში მშვიდი და დროული ძილის წინ საჩუქრად ჩვილისათვის, თუკი მას დედა არ (ვერ) აძინებდა, მოიაზრება, აგრეთვე, დაპირება იმისა, რომ დედა მალე მოვა: „ნანი, ნანი, ნანაჲ, მოვა შენი ნენეჲ“ (მთქმელი ვილდან ერქილიჩი (კუტუნოღლი), 73 წლის, მცხოვრები სოფელ კარტლაში (თუთუნჯულერი). ჩაიწერა თინა შოიშვილმა 2013 წლის 9 აგვისტოს). ტექსტს ახლავს მთქმელის შენიშვნა: „–ბაღანას დავტევდით, გუდუუჭირებდით აკვანში, ჩვენ ძროხებ მოვწველიდით“).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე კლარჯი დედები ბავშვებს აკვანში თითქმის აღარ აწვენენ. ჩემს შეკითხვაზე, ბავშვებს აკვანში თუ ზრდით-მეთქი, ქალბატონმა საბრიე გურსუიმ (65 წლის, მცხოვრები სოფელ ფეთექოიში) მიპასუხა:

„–მე რა ვი, მე აკვანში გავზარდე ღარჭები, ჰამა ჩემი რძლები არ აწვენენ“.

საინტერესოა, აგრეთვე, ჩვილის აკვანზე ახალგამომცხვარი პურის გადატეხის არქაული ტრადიცია, რაც ბავშვის დაბადებიდან მეშვიდე დღეს ხდება; ეს რიტუალი ქართული, ქრისტიანული გენეზისისაა და, როგორც ჩანს, ჩვენებურებმაც შეინარჩუნეს. 2007 წლის 29 ივლისს სოფელ ჯივანში (ჯვანში) მცხოვრებმა 85 წლის აიშე გორმეზმა (ჰელიმოღლი) გვითხრა:

„–ბავშვი რო დეიზადება, პურ გამუაცხოზდით, მეშვიდე დღეზე გამუაცხოზდით, ეზან ჩუუკითხავთ, რაცხან სახელი დაარქვანა. აკვანზე გუდუუტეხებდით პურ, „პურსავენ გასუქდი, წინ წამოი“.

სააკვნო ლექს-სიმღერის საყურადღებო ვარიანტები დააფიქსირა მკვლევარმა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წლის 5 აგვისტოს კლარჯეთის ულამაზეს სოფელ კაპარჭიეთში 2007 წლის 5 აგვისტოს. ერთი ვარიანტით, სათაურით „ნანდალიკო“ (ჩაწერილია 60 წლის ფერიე თოფლუს თქმით), ბავშვის დამძინებლად (და, შესაბამისად, „ნანას“ მომღერლად) მოიაზრება არა დედა ან ბებია, არამედ სხვა ოჯახის წევრი (მეზობელი, ნათესავი), რომელიც ახმოვანებს დედისეულ განწყობილებას:

ნანი, ნანი, ნანდალიკო,
დეიძინე და გეიზდიო!
შენი ნენეჲ ჩვენსას იყო,
შენ გაქებდა, მათალ იყო.
ნანი, ნანი, ნანდალიკო!

„ნანდალიკოს“ მეორე ვარიანტშიც (მთქმელი 60 წლის რემზიე ქოინჯუ) იგივე განწყობილებაა გადმოცემული, ოღონდ მასში კიდევ უფრო მაღალ რეგისტრშია წარმოჩენილი მთქმელისეული სიტბო და სიყვარული ჩვილისადმი, რომელიც ოქროდ და მარგალიტად მოიხსენიება:

ნანი, ნანი, ნანდალიტო,
შენ ოქრო და მარგალიტო!
შენი ნენეა ჩვენ სახში იყო,
შენ გაქებდა, მართალ იყო.

ყრმათათვის განკუთვნილი კლარჯული „ნანების“ ტექსტებში შესულია მშრომელთა საყოფიერო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მოტივები, ცალკეული ფრაზები, წახალისება აკვანში მწოლიარე ბავშვისა, სურვილი მისი დროულად დაძინებისა, რათა მშობლებს საშუალება მისცემოდათ შეესრულებინათ მათთვის განკუთვნილი სამუშაო. 2013 წლის 4 აგვისტოს სოფელ ქლასქურში, წკირმონეთის უბანში, 78 წლის მიერეე ქესუმისაგან ჩაწერილ დასაძინებელ სიმღერაში პირდაპირ არის მინიშნებული, რომ დედა ყანაში წასვლას ეშურება:

ნანი, კუკულო, ნანი,
დეიძინე, წევდეთ ყანაში!..

„ვეტყოდი და მევიკიდებდი კალათ, წევდოდი ყანაში. ნადი იყვენ, საქმობდენ,“ – დასძინა მთქმელმა.

კლარჯული „ნანების“ ტექსტებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული სააკვნო ლექს-სიმღერებში, გვხვდება საღალღობო, ყრმის გასათვითცნობიერებელი სტრიქონებიც, რითაც ბავშვის მსოფლმხედველობა იზრდება და მდიდრდება, ეჩვევა გარესამყაროს; ამგვარია ჩვენ მიერ სოფელ ბაგინში (ბალჯიქოი) 67 წლის მერიემ ქესქინქურთისაგან 2013 წლის 7 აგვისტოს ჩაწერილი „ნანა“:

ნანი, ნანი, ნანასა,
თავი მიაქ კატასა.

კლარჯულ სააკვნო ლექს-სიმღერებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში შემორჩა ტრადიციული ხალხური სააკვნო, ანუ ბავშვის დასაძინებელი ლექს-სიმღერები; ამ ნიმუშებს ჩვენებურები, ზოგადქართულის მსგავსად, „ნანას“, „დაძინებისას“ ეძახიან. მათში ჩაქსოვილია მშობლის უზენაესი სიკეთე, სიტბო და სიყვარული ჩვილისადმი, სურვილი კარგი მოქალაქის გაზრდისა, რაც ოდითგან ახასიათებს ქართულ სააკვნო ლექს-სიმღერებს და რაც კლარჯი ჩვენებურებისათვის მათი იდენტობის ერთ-ერთი გამოვლინებაც არის.

ლიტერატურა:

1. შიოშვილი თ., ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წიგნი II, ბათუმი, 2004.
2. შიოშვილი თ., მახარაშვილი გ., ჩვენებურთა ხალხური მარგალიტები. – ჟ. „ჭოროხი“, №5, ბათუმი, 2013.
3. Капица О., Детский фольклор, песни, помешки, дразнилки, сказки, игры. Ленинград, 1992.

Tina Shioshvili
Batumi Shota Rustaveli State University
KLARGIAN FOLK LULLABIES
RESUME

The old Georgian region Klargeti has been within the Turkish jurisdiction for centuries which made a great impact on spiritual and material culture of Georgians, living in the region. In spite of this, the folklore, preserved up to the present day, testifies, that their character, customs and traditions have not been changed much.

The Klargian folklore, like the whole Georgian folklore, has preserved poem-songs `Nana~, which have been dedicated to the common Goddess Nana in Georgian – Caucasian folk-ethnographical reality.

Klargian folk “Nana” are the organic part of the Georgian family-ritual folklore. The fact that Klargian folklore has saved these old Georgian national poem-songs demonstrates that Klargian chveneburebies way of live, character and traditions have not been changed much.

სარფი და ორად გაყოფილი სოფლის სევდა მამია ვარშანიძის შემოქმედებაში

სოფელ სარფს მდინარე ტიბაშა (იგივე ღალტიბა) ორად ჰყოფს. მდინარე სახელმწიფო საზღვარიცაა: გორაკის კალთებზე შეფენილი სოფლის ერთი ნაწილი თურქეთის კუთვნილებაა, მეორე – საქართველოსი. სარფელები ერთმანეთში ლაზურად საუბრობენ დღემდე (როგორც ამბობენ, საქართველოს ნაწილში – უკეთ) და გაყოფილ ნაწილებსაც ლაზურადვე უწოდებენ მელენი სარფს (გაღმა სარფს) და მოლენი სარფს (გამოღმა სარფს).

სარფი ორად 1921 წელს გაიყო, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სარფში მორაული ამბების მიხედვით - თითქოს საზღვარი უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო, მაგრამ შესაბამის კომისიას მდინარის სახელი აერია, ამით ისარგებლა თურქეთმა და საზღვრადაც ტიბაშა დადგინდა. ამგვარი სასაზღვრო ისტორიების სხვა ვარიანტებიც არსებობს, სინამდვილეში, ალბათ, არავის არაფერი შეშლია, მოსკოვსა და ანკარაში სრული გულგრილობით გადაწყვეტეს არა მხოლოდ ამ სოფლის, არამედ სამხრეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ბედი და ქართველი ხალხის აზრის მოსმენაც კი არ უცდიათ.

რაკილა პრობლემის ლიტერატურულ ინტერპრეტაციებს ვეხებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ უახლესი ქართული ლიტერატურის ზოგიერთ თავისებურებაზე: მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპები უგულვებელყოფდა ეროვნულ-პატრიოტულ მოტივს, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ აისახა სამხრეთ საქართველოს პრობლემა.

მართალია, კომუნისტური იდეოლოგიის კვალი თვალსაჩინოდ ეტყობა ბევრ ამგვარ ნაწარმოებს, მაგრამ ზოგჯერ საცნაურია, რომ იდეოლოგია საშუალებაა, საფარია პატრიოტული გულისნადების გამოსავლენად.

საყურადღებოა აჭარაში შექმნილი ვითარებაც: დედასამშობლოსთან მრავალსაუკუნოვანი განშორების შემდეგ, XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, მთელ რეგიონს მიეცა შესაძლებლობა, ზიარებოდა ქართულ კულტურას, ხელახლა გამხდარიყო მისი ნაწილი და მონაწილეობა მიეღო მის განვითარებაში. XX საუკუნეშიღა გამოჩნდნენ პირველი თაობის მწერლები, რომელთაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უნდა ეღვაწათ აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის. არსებითად, ეს პროცესი მწიფდებოდა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამდენად, 20-იანი წლებისათვის ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. მართალია, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, ადგილობრივი ძალები ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში, მაგრამ მიზანი ამისა იყო არა მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის ზრუნვა, არამედ კომუნისტური იდეოლოგიის მსახურთა აღზრდა. მწერალთა ორგანიზაცია ბათუმში სწორედ ამ დიქტატურის ქვეშ ყალიბდებოდა და, შესაბამისად, ახალბედა თუ გამოცდილ მწერალზე ერთბაშად რამდენიმე ფაქტორი ზემოქმედებდა, ყველაზე არსებითი მათგან, ალბათ, მაინც ქართული ლიტერატურული ტრადიცია იყო, რომელსაც პროლეტარული კულტურის უკიდურესი რადიკალიზმის ეპოქაში განსაკუთრებული აგრესიულობით ებრძოდა პროლეტმწერლობა. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ნებისთი თუ უნებლიედ, სწორედ ამ ფაქტორმა მოახდინა ყველაზე კეთილისმყოფელი გავლენა მწერლების ახალ თაობაზე და მანვე განსაზღვრა მამია ვარშანიძის პოეზიაში მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიოტული მოტივი.

მამია ვარშანიძე 1916 წელს დაიბადა, პირველი ლექსები კი 1933 წელს გამოაქვეყნა. იგი კარგად იცნობდა ადგილობრივი ინტელიგენციის იმ წრეს, რომელმაც გმირულად იბრძოლა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ერთიანობისათვის, იმისთვის, რომ სამუსლიმანო საქართველო დედასამშობლოს შერჩენოდა. ამ ბრძოლამ მაშინ შედეგი გამოიღო, მაგრამ დროებით – იგივე თაობა ქართული მიწების გასხვისებასაც მოესწრო... ამიტომ ბუნებრივია პოეტის შემოქმედებაში თავიდანვე გამოვლენილი ტკივილიც და ბრძოლის ჟინიც:

“მთებო, ნისლებო, გასწიეთ,
მსურს კლარჯეთს, შავშეთს გავხედო,
ჩვენია, განა გავსწირეთ,
ვინ არის, მანდ რომ თავხედობს?!
მე ვიცი, რაა კლარჯეთი,
რა სიბრძნის თესლი მითესა,
დავჯდები, სევდად დავჯდები,

გავედრებ ამ მთებს, იმ მთებსა.

... ჩემი ხართ, პირს ნუ მარიდებთ,
ჩემი ხართ, არ დაგეხსნებით,
მზივ სიყვარულით სათქმელო,
ო, მთებო დიდი მესხეთის”, – წერდა პოეტი (1936 წ.).

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ბუნებრივია სამხრეთ საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების სიმრავლე მამია ვარშანიძის შემოქმედებაში. თავადაც მიუთითებდა ხოლმე ამ ინტერესის შესახებ და იქვე განმარტავდა:

„ერთი გულით მიწოვია ძუძუ, განვკაცებულვარ მშობლიური მიწის მადლით, განმიცდია მშობლიური სულის მგრძნობიარე, მღელვარე მიმოქცევა და სუნთქვა, მისი ტანჯვა და სიხარული, ჩემი სათქმელი დამბადებია და ჩემებურად გაბედულად აღმომითქვამს.

ვიღაც ორჭოფულად ჩამძახის, - შენი მუზა თავს დასტრიალებს მხოლოდ სამხრეთ საქართველოს და ასე თავდადებული შენი ლტოლვა არ მომწონსო. ამ შენიშვნაში სიმართლის მარცვალაცაა. ზოგიერთი (არა მარტო პოეტი) ძალიან გაგვიტაცა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ტრაგიკულმა წარსულმა. თუმცა ამან მოგვცა დიდი მგზნებარებაც და დიდი პათოსიც, ურომლისოდ, განსაკუთრებით, პოეზია არ არსებობს. ამ უზომო ლტოლვამ შექმნა აგრეთვე ჩვენს შემოქმედებით სამყაროში ერთფეროვნებაც, რაც არაა სასურველ-მოსაწონი...” (ვარშანიძე 1976: 6)

„ერთფეროვნების” ხსენება არც შემთხვევითობაა და არც თავმდაბლობის გამოვლინება. იგი რეალობას ასახავს და ამავე დროს მიაწინებს იმაზე, რომ საბჭოთა მწერალს არ გააჩნდა შემოქმედებითი თავისუფლება და ვერ შეძლებდა ფაქტის თუ მოვლენის არსი ძირისძირამდე და ობიექტურად წარმოეჩინა. ერთფეროვნების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც ეს იყო... დაკვირვებული მკითხველი ამ ჩანაწერში ეპოქისათვის ნიშანდობლივი სხვა ქვეტექსტების ამოკითხვასაც შეძლებს. ამ ქვეტექსტებს კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენდა მაშინდელი მსოფლიოს გლობალური მოვლენები: ომამდელ პოეზიაში თვალსაჩინოა გაურკვეველი მოლოდინი, აღსავსე გულისტკივილით. ომის შემდგომ ძლიერდება ოპტიმიზმი, იმედი და რწმენა გაყოფილი სოფლის თუ ქვეყნის გამთლიანებისა, მოგვიანებით ომახიანი ხმა ისევ კნინდება, იმედი იშრიტება და ტკივილიღა რჩება.

სარფი ნაწილია მამია ვარშანიძის შემოქმედების ამ ხაზისა. ლირიკა იძლევა ემოციის გამოხატვის საშუალებას, თუმცა ამ შემთხვევაში ემოციას ყოველთვის დაჰყვება სევდიანი ტონი:

“მომნატრებია შენი ქართული,
გონიო ჩვენი, და სარფი ჩვენი,
ჩვენი ნატვრა და ცისკრის მნათობი,
ა, ეს მდინარე, ა, ის ჩანჩქერი...
რა ეშველება გულს გადაპოზილს?!
ო, როგორ მიყვარს სარფი, გონიო”.

ორად გაყოფილი სოფლის სევდა საზოგადოდ დამახასიათებელია ბათუმელ მწერალთა შემოქმედებისათვის, მაგრამ მამია ვარშანიძემ მაინც განსაკუთრებული სიმძაფრით ასახა ეს თემა:

”ჩვენი სარფი, ალბათ გაგიგონია,
დრომ მუხთალმა წელში შუა გადაჭრა...
რა დედული, რა მამული მქონია,
ცეცხლს მისცეს და მაინც ვერვინ გადაწვა...”

– წერს პოეტი („...შე ამ ბარის ხიზანი ნუ გგონივარ”). როგორც აღვნიშნეთ, ტკივილის ადგილს თანდათან იკავებს ოპტიმიზმი, რწმენა იმისა, რომ გაყოფილი სოფელიც გამთელდება და მთელი საქართველოც:

“ძმა ძმისთვის, შავი დღისთვის,
აბა ეს ხმალი რისთვისა,
ლაზური ხმალი კაშკაშა
ხელში აიღოს ვაჟკაცმა,
მზე ჩვენ, სიკვდილი ფაშასა!”
ხევსურეთიდან სარფამდე
შემოგვძახებენ ვაშასა...” (ვარშანიძე, 1950:27)

ეს იმედის ის ნაპერწკალია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. პოლიტიკურ ტენდენციას ყველაზე ფართოდ მწერლებმა, მეტადრე პოეტებმა აუბეს მხარი. ეს ცნობილი ისტორიაა და დეტალებს აღარ ჩავყვებით, მაგრამ ფაქტია, რომ მწერალთა ოპტიმიზმს კვებავდა იმედი, რომ საბჭოთა კავშირი პრინციპულად დააყენებდა მოკავშირეთა წინაშე სამხრეთ საქართველოს საკითხს,

მაგრამ ამ იმედს განხორციელება არ ეწერა და პოეტების ოპტიმისტური რიხიც თანდათან მიიკარგა პოლიტიკური პროცესების წიაღში... ამიტომაც, თუ ომისშემდგომ პერიოდში პოეტის მზერა ლამის სტამბოლამდე სწვდება:

„ნეტავ, ლაზო, შენი დროშა
იმ ნანგრევზე გაგეფინა,
ხმალშემართულს, შეუდრეკლად
სტამბულამდე გაგერბინა...”

60-იან წლებში ამ შემართებას მკაცრი რეალობა უპირისპირდება და ლირიკული გმირის გმინვადა ისმის:

„შენ მიმიხვდები ხვაშიადს გულის,
და ვდარდობ, განა გული მაქვს ტინის,
ახლოს ხარ, მაინც ხარ დაკარგული,
პატარა ღელე ჩვენს შორის ტირის.”

და კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი: აქ განხილული მასალაც ცხადყოფს, რომ პოეტი ცდილობს, დახატოს თურქეთის ქართველობის სამშობლოსკენ მისწრაფებაც, ბრძოლისთვის მზადყოფნაც. ეს ტენდენციაც აშკარად შეინიშნება მამია ვარშანიძის პოეზიაში და მასაც ყოველთვის როდი აზის საბჭოთა პროპაგანდის კვალი.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ორად გაყოფილი სოფლის თემას. პოეტის თქმით, „სარფი ლაზეთის ყურია” განაპირა ნაწილია მამა-პაპათა ბუდისა თუ დიდედის კალთისა. ახალი თაობისთვის ძნელი წარმოსადგენია არათუ თაობათა ტკივილის გაგება, არამედ გაყოფილი სოფლის ერთიანად აღქმაც კი. ამიტომაც მიმართავს ლაზ ბიჭუნას პოეტი:

“ჰოი, რა გითხრა მე შენი
ბაბუის ბედით დამწვარმა.
რათაო? აი, ხომ ხედავ,
გაღმით რომ მიწა ამწვანდა,
ის ლაზეთია ბიჭუნავ,
ეს სარფი მისი ყურია;
ის შენი პაპის ბუდეა,
მისი ნახვა არ გწყურია?
ოჰ, ჩემთვის ფიქრი ამაზე
ათიათასი წყლულია” (ვარშანიძე 1955:183).

ერთგვროვნების ერთ-ერთი საფუძველი ვახსენეთ ზემოთ: ლიტერატურის პარტიულობისა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე გასაკვირი არაა, რომ პოეტი გვერდს უვლის საბჭოთა ეპოქის ბევრ წყველაკრულვიან საკითხს. ეპოქაზე მითითება, ძალაუწიებურად, სტანდარტული პროპაგანდის ჩარჩოებში ეტევა – ამ ჩარჩოს თანახმად საბჭოთა სარფში მცხოვრები ლაზი ბედნიერია („მაშინ რომ სარფში გათენდა, იქ ლაზის გულიც გამრთელდა...”) და ჩაბმულია ე.წ. სოციალისტური შრომის ფერხულში. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ პოეტი მომავალში დასაფიქრებლადაც ბევრს უტოვებს ახალგაზრდა სარფელს („გაიზრდები და მიხვდები, რა ფიქრებს ავუბნევივარ”) და ამასთან, დანგრეული ციხე-კოშკების და ოდა-სახლების მოტივი გულწრფელი სევდითაა აღსავსე:

”...უსმინე ლამაზ ჩუქურთმებს,
ჩუქურთმა სევდით ჩურჩულებს,
– ოდასახლების საშვენად
ქართველმა კაცმა მაშენა
და თურქმა გადამაშენოს?!
ვაჰ, ჟამო დარდის ამშლელო!...” (ვარშანიძე 1994:74).

ტკივილს დაპყრობილი ტერიტორიები, გაღადებული დამპყრობლის თვითნებობა შობს. პოეტი აღწერს გაღმასარფელი გოგონას ტრაგედიას, მის უმწეო მდგომარეობას, რათა მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენოს ორადგაყოფილი სოფლის, უფრო კი მთელი სამხრეთ საქართველოს ყოფა.

”თოვლშიც და ბუქშიც მავალო
სისხლი წვეთ-წვეთად გიშრება,
შენი თვალები ილევა
და დაბლა ცვივა გიშრებად”.

პოეტს გულზე ლოდად აწევს ტანჯული სიცოცხლე სარფგადმელი გოგონასი, რომლის ქართველობა, თავისუფლება, სილამაზე, ახალგაზრდობა თურქ ადას შეუწირავს. გულქვას უმანდილოდ

დაუტოვებია და მშვიერ-მწყურვალს მონურად აცხოვრებს. ხსნა კი არსაიდანაა, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ღამეებს ცრემლით ტეხავს. პოეტს უჭირს გამოსავლის მოძებნა და ისღა დარჩენია, აღშფოთება გამოხატოს მოძალადის მიმართ:

“ღადარში უნდა ბორგავდეს,
ან ხმალის წვერზე აიგოს,
ვინც შენ გაგხადა ბოგანოდ
და ვინც ხალიჩად დაგიგო” (ვარშანიძე 1960:263).

თუმცა პოეტი მხოლოდ ბეჩავ ყოფაზე როდი მიუთითებს. მას ახსოვს წარსული დიდებაც და მით უფრო მძაფრდება რეალობის შეგრძნება:

„ლაზი! – ვჩურჩულებ გულისტკივილით,
მწყურია გაღმით გადამახება,
მე შენთან მინდა როკვა და ძილი,
და ლაჟვარდებში თვალის ახელა,
ვინ გაგარიდა შენს „დედაენას“,
რად გინდა ძმაო უცხოთ სესხება,
სხვა არ გვყოლია არასდროს მწვრთნელად,
ჩვენ აღვაშენეთ ოშკი მესხებმა”...

მამია ვარშანიძე ყოველთვის ახერხებს, მხატვრული შთამბეჭდაობით გადმოსცეს სათქმელი. საყურადღებოა, რომ სარფის (და საზოგადოდ, სამხრეთ საქართველოს) თემას პოეტი ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება. აქ ვერ შეხვდები ისეთ მეტაფორას თუ შედარებას, ეპიტეტს თუ რითმას, რომელსაც მხოლოდ მხატვრული სამკაულის ფუნაცია ეკისრება. პოეტი ლიტერატურის არსენალს მხოლოდ იმ მიზნით მიმართავს, რომ მკაფიოდ გამოხატოს სათქმელი და მკითხველს ბოლომდე შეაგრძნობინოს ტკივილი, რომელიც ესოდენ ტანჯავს მის სულს.

სარფის თუ სამხრეთ საქართველოს თემაზე სათქმელს რა გამოლევდა, მაგრამ საბჭოთა შემოქმედის თავისუფლება შეზღუდული იყო. მამია ვარშანიძემ შეძლო ორად გაყოფილი სოფლის სევდა შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებად ჩამოეყალიბებინა და გულწრფელი ემოციით გამოეხატა სატკივარი. მეტი ჩაღრმავების შესაძლებლობას კი ეპოქა არ იძლეოდა.

ლიტერატურა:

1. ვარშანიძე 1950: ვარშანიძე მ., “ჩემო სამშობლოვ”, ბათუმი.
2. ვარშანიძე 1976: ვარშანიძე მ., “ლირიკა”, ბათუმი,
3. ვარშანიძე 1955: ვარშანიძე მ., “მთის ყვავილები”, ბათუმი.
4. ვარშანიძე 1960: ვარშანიძე მ., “ჩემი ტაძარი”, ბათუმი.
5. ვარშანიძე 1994: ვარშანიძე მ., “ასეთი იყო”, ბათუმი.

Malkhaz Chokharadze, Manana Tavdgiridze
Batumi Shota Rustaveli State University

SARPI AND THE MELANCHOLY OF THE VILLAGE SPLIT INTO TWO PARTS IN THE WORKS OF MAMIA VARSHANIDZE RESUME

Mamia Varshanidze was born in 1916. He published his first poems in 1933. His works widely reflected tragedy of the South Georgia. Old Georgian territories now in possession in Turkey is the poet's pain that is artistically reflected in his works.

Sarpi is divided into two parts with state borders. One part belongs to Turkey while the other one is in the possession of Georgia. This work discusses Mamia Varshanidze's poetical works on the Sarpi topic. The poet managed to reproduce the melancholy of the village split into two in impressive fictional images and expressed his pain in sincere emotion. The era didn't give the more possibility to deepen the issue.

**ერთი ისტორიული ფაქტის ლიტერატურული ფიქცია: იაკობ გოგებაშვილთან -
(მეცხრამეტე საუკუნე), გრიგოლ აბაშიძესთან - (მეოცე საუკუნე),
დათო ტურაშვილთან - (ოცდამეერთე საუკუნე)**

ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოები ორიენტირებულია არა შორეული წარსულის სურათების ილუსტრირებულ ჩვენებაზე, რასაც ძირითადად შემეცნებით-ინფორმაციული ფუნქცია აკისრია, არამედ ისტორიული მოვლენების ფილოსოფიურ, ზნეობრივ გააზრებაზე. ისტორიული თემატიკისადმი ამგვარი მიდგომა ადასტურებს, რომ ხელოვანს უფლება აქვს დაესესხოს წარსული დროის სხვადასხვა ხალხების ცხოვრების ამსახველ მასალებს, მაგრამ ეს საკუთარი ეპოქის უფრო ღრმად და შინაარსიანად გააზრებას უნდა ემსახურებოდეს – ასე ფიქრობს მკვლევარი მარიამ მირესაშვილი, მოიშველიებს-რა ჰეგელის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ამ საკითხის შესახებ.

ასევე საინტერესოა ამ საკითხის შესახებ ცნობილი მეცნიერის ა. გულიგას აზრი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს ის შემთხვევაა, „როდესაც სინამდვილე განიხილება იმ პრიზმაში, თუ რამდენად ფასებულია იგი ადამიანისათვის“ [4, 10].

შრომაში შევეცდებით განვიხილოთ, თუ როგორ ახერხებს სხვადასხვა ეპოქის სამი მწერალი საქართველოს ისტორიის ერთი საჩოთირო ფაქტის ლიტერატურულ ფიქციას თავის ნაწარმოებში და რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამან ავტორს.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ეს გახსენება და ხელახლა თავისებურად ასახვა ემსახურება საკუთარი ეპოქის უფრო ღრმად, შინაარსიანად გააზრებას.

არის საქართველოს ისტორიაში ჟამთააღმწერლის მიერ მოთხრობილი ერთი საჩოთირო ეპიზოდი, როცა რუსუდანმა, დიდი თამარ-მეფის ასულმა, „დაივიწყა ღვთის შიში და სიძესა და ასულს მოსაკლავად გაუგზავნა მძისწული („ძმისა მისისგან გიორგისგან ანდერძით შევედრებული“ და ტახტის მემკვიდრე დავითი (დავით-ულუ), რათა „მერიტგან უზრუნველად ეპყრას მეფობა მას და მეს მის დავითს“. სიძემ და ასულმა კი „იხილეს იგი (დავით) და შეიყუარეს, თვის თანა დაიყრეს პატივითა და გურჯი-ხათუნ დედოფალიცა კეთილსა უყოფდა ყრმასა... და არა ისმინეს ბრძანება მკვლელბრივი მეფისა რუსუდანისი. და ფრიად პატივს ცემდეს დავითს“ - გვიყვება ჟამთააღმწერელი. ეს პატივით მიღება და მფარველობა არ შედიოდა რუსუდანის გეგმებში. ის ცდილობდა დავით ლაშას მის დაღუპვას, რათა საქართველოს ტახტზე ასულიყო მისი ვაჟი დავითი (შემდგომში დავით-ნარინი).

რაც შემდეგ ხდება დაუჯერებელია ღვთისმოსავი ქართველი ქალისგან, ამიტომ ისევ ჟამთააღმწერელს მოვუსმინოთ: რუსუდანმა „დაივიწყა სჯულიცა და ღმობა ნათესავთა და თვით შვილისა სიყვარული დედობრივი..... დაწერა წიგნი სიძესა თვისსა სულტანსა ყიასდინს თანა და ესრეთ მიუძღნო, ვითარმედ: ამისთვის მენება მოკვლა მძისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა მძისწული ჩემი დავითი თანაეყოფის, და ამისათვის არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისიო“. მემატანე შეძრწუნებულია რუსუდანის ამ მუხანათური საქციელით, რადგან: „ხოლო მიაწია რა წიგნი ესე რუსუდანისა სულტანის წინაშე, მყის აღშფოთდა სულტანი და შევიდა სახლსა სადედოფლოსა და უპატიოდ განითრია ცოლი თვისი მოფხურითა თმათათა და ფერხითა ძლიერად უხეთქნა პირსა მისსა შუენიერსა და ტანი ფრიადისა ცემისაგან სისხლისფრად იყო, ხატნი იგი, რომელნი სამარადისოდ აქუნდის სავედრებლად, წინაშე მათსა შეაგინნა და დამუსრნა“. დავით ლაშას მეს კი „მრავალნი ტანჯვანი შეამთხვენეს“.

მართალია გურჯი-ხათუნს „მალე აღუდგინა თავისი ზნეობრივი პრესტიჟი გაეჭვიანებული მეუღლი თვალში“ [6, 47], მაგრამ ეს რუსუდანს არ ამართლებს და მის საქციელსაც არამც და არამც არ „აზის ბეჭედი ზნეობითი სიმაღლისა და სიფაქიზისა“ [7, 40].

ასეთია ყველასთვის კარგად ნაცნობი მომენტი ჩვენი ისტორიისა. სამივე მწერალი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული, თავის ლიტერატურულ ჭრილში განიხილავს ამ ამბავს, თუმცა სამივე მწერლის – იაკობ გოგებაშვილის, გრიგოლ აბაშიძის, დათო ტურაშვილის – ნაწარმოებებში საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ერთი ისტორიული ფაქტი სხვადასხვა კუთხით ვერ განიხილება, რადგან არც ერთ მწერალს არ სურს შეცვალოს ქართლის ცხოვრებაში აღწერილი ამბავი. ყველა ცდილობს შეუღამაზებლად გადმოგვცეს ჩვენი ისტორიის ეს საჩოთირო მომენტი, მაგრამ, რადგან ყოველი ისტორიული მოვლენა თანამედროვეობასთანაც არის კავშირში,

რამეთუ ადამიანის ბუნება, საზოგადოებრივი კატაკლიზმებისა და ევოლუციის მიუხედავად, უცვლელი რჩება ათასწლეულების მანძილზე, ისტორიული რომანისტი „ისტორიაში ეძებდა თანამედროვეობის აშკარა ანალოგიებს, მაგრამ ეს როდი უშლიდა ხელს.... წარმოეჩინა წარსულის მოღვაწენი და მათი დიალექტიკური კავშირი თავის ეპოქასთან“ [4, 42].

როგორ აღიქმება ეს ფაქტი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მოთხრობილი ყმაწვილებისათვის, მეცხრამეტე საუკუნეში?

იაკობ გოგებაშვილი ბავშვის აღზრდის საქმეში უდიდეს როლს ანიჭებდა საყმაწვილო მოთხრობებს. იგი მოუწოდებდა საბავშვო მწერლებს, რათა თავიანთი გმირების ცხოვრება და მოქმედება მოეთხროთ ცალ-ცალკე ეპიზოდების სახით. ეს ეპიზოდები კი უმთავრესად ამოღებული უნდა ყოფილიყო სამშობლოს ისტორიიდან, რადგან ახალი თაობის ზნეობრივი აღზრდისათვის დიდ როლს თამაშობენ ისტორიული შინაარსის საყმაწვილო ნაწარმოებები. ეს ჭეშმარიტება შესანიშნავად ჰქონდათ გააზრებული მეცხრამეტე საუკუნის მწერლებსაც და განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილს, რომელიც საქართველოს ისტორიის თემებზე აგებული მოთხრობებით ცდილობდა მომავალ თაობაში გაეღვიძებინა პატრიოტული სულისკვეთება, რათა ისინი შემდეგში „კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყვნენ“ [2, 21].

რა იყო სიმძნელე იაკობ გოგებაშვილისთვის ამ მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ? კრიტიკოსები კი იზიარებდნენ მის თეორიას, მაგრამ მიაჩნდათ, რომ „საყმაწვილო წიგნების ავტორს მეტის-მეტე სიფრთხილე ჰმართებს, ვინაიდან ამ წიგნების მკითხველები, უმეტეს ნაწილად, ყმაწვილები არიან. შეიძლება ცუდად დაწერილმა საყმაწვილო წიგნმა სამუდამოდ გარყვანას და დაამახინჯოს ბავშვის ზნეობრივი ბუნება. გამოიყვანოს იგი საზოგადოების მავნე წევრად და ხორცმეტად“ - წერდა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წელს ი. ფერაძე [2, 26], საბოლოოდ კი დაასკვნის, რომ საყმაწვილო ნაწარმოებების გმირებად გამოყვანილნი უნდა იქნენ არა მარტო ბავშვები, არამედ დიდებიც, ოღონდ „ამათს მოქმედებას ჰქონდეს ბეჭედი ზნეობითი სიმაღლისა და სიფაქიზისა“ [2, 26].

კრიტიკოსს მიაჩნია, რომ იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმის ბავშვის ბუნების მოთხოვნილებანი, მისი სულიერი ცხოვრება, რომ გოგებაშვილის ყოველი ნაწარმოები ბავშვის ბუნების მოთხოვნილებებთან არის შეხამებული, რომ იაკობ გოგებაშვილი თავის ნაწერებში ერიდება სარომანო სცენებსა და ფაქტებს, რადგან კარგად იცის, რომ, ასეთი სცენები და ფაქტები ცუდ გავლენას მოახდენს ბავშვის ზნეობრივ განვითარებაზე.

ზურაბ ბოცვაძე, მიმოიხილავს-რა მეცხრამეტე საუკუნის საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის საწყისებს, განიხილავს ილია ფერაძის და თეოფილე ხუსკივაძის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობებზე. კრიტიკოსების მიერ განხილულია: „ასპინძის ომი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ივანანამ რა ჰქმნა“. ისინი ყურადღებას არ ამახვილებენ მოთხრობაზე- „ტახტის მემკვიდრის საარაკო თავგადასავალი“ (ამბავი საქართველოს წარსულიდან).

მხოლოდ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მოსთხოვა პასუხი „საკმაოდ ცხარედ - როგორ თუ რუსუდან დედოფალი უხერხული სახით წარმოაჩინეო“ [7, 36]. საზოგადოების გამგეობა მოითხოვდა „ან ეს პასაჟები ამოშალე ისტორიული მოთხრობიდან, ანდა მის გამოცემას ჩვენი სახელი ნუ წაეწერებაო“ [7, 36].

„იაკობ გოგებაშვილს კი ქარგა გადმოტანილი ჰქონდა „ქართლის ცხოვრებიდან“ და რუსუდან დედოფლის სახეს არაფრით არ შეაღამაზებდა“ - წერს როსტომ ჩხეიძე.

ეს იყო და ეს. მოთხრობაც გამოიცა და ზედმეტი ხმაური ამ ფაქტს არ მოჰყოლია. საბჭოთა პერიოდშიც ეს მოთხრობა რამდენჯერმე გამოქვეყნდა, მათ შორის წიგნში: „იაკობ გოგებაშვილი, „საგანძური“, წიგნი პირველი, მხატვრული ნაწარმოებები“, რომელიც გამოსცა „განათლებლამ“ 1982 წელს. „არავის აწუხებდა იაკობის სახელი, არავინ მოითხოვდა ამოვიღოთ ეს ნოველა იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ თხზულებათა ციკლიდანო“ [7, 30]. ავტორმა სხვა სახელოვან ქართველთა საგმირო საქმეების აღწერისას გვერდი არ აუარა რუსუდანის საძრახ საქციელს, თუმცა მაინც გაითვალისწინა მწერალთა და მოღვაწეთა შენიშვნები და რუსუდან დედოფალი, ნოველის ბოლოს, მომნანიედ გაისტუმრა იმ ქვეყნად, უმაღლესი სამსჯავროს წინაშე. იმის შესახებ, რომ რუსუდან დედოფალი სიცოცხლის ბოლოს ინანიებდა თავის უღირს საქციელს, ჟამთააღმწერელი დუმს. გასაგებია იაკობ გოგებაშვილის განზრახვა - ყმაწვილებმა რწმენა არ დაკარგონ იმ დროს, როცა თითქმის საუკუნის გაუქმებულია ქართული სახელმწიფოებრიობა, დამხობილია ბაგრატიონთა დინასტია, მაგრამ ხალხის ხსოვნაში ცოცხლობს უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მათ მიმართ. როგორც ჩვენც დავინახეთ, და, ალბათ, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც, იაკობ გოგებაშვილი ისტორიულ თემატიკას მომართვს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ის ანათემას კი არ გადასცა, მხოლოდ შენიშვნით დაკმაყოფილდა.

„თითქმის ოცი წელიწადი ვცხოვრობდი მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით“ - დაწერს სიცოცხლის ბოლოს გრიგოლ აბაშიძე. „არ აჭარბებს, მართლა ცხოვრობდა“ - ამას უკვე როსტომ ჩხეიძე დაწერს „გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფიულ ნატეხებში“, რომელიც 2013 წელს გამოიცა სათაურით - „დარდი ფარული“.

ქართული კრიტიკა ერიდება წარსული მოვლენების პირუთვნელ შეფასებას; ყველა ერთსულოვნად აღწერს იმ საშინელებებს, რაც ქართველ მწერლებს დაატეხა თავს ბოლშევიკურმა რეჟიმმა და სოციალისტურმა რეალიზმმა, მაგრამ არავის არ სურს კონკრეტული პიროვნების დასახელება, ერიდებათ შთამომავლებს და ამით ამართლებენ საკუთარ საქციელს. შეიძლება ეს მომენტი გასათვალისწინებელია, მაგრამ რომ არ ყოფილიყო ეს პატარა წიგნი, რომელიც დოკუმენტურ მასალებსა და პირად მოგონებებზე დაყრდნობით შეიქმნა, ვერ შევიტყობდით იმ მეხთატებას, გრიგოლ აბაშიძეს რომ დაატეხა თავს ოფიცოზმა, მწერალთა კავშირის დახმარებით და მისი უშუალო მონაწილეობით, „იმელის“ შენობაში გამართულ დისკუსიაზე.

გრიგოლ აბაშიძე იგონებს: „ირაკლიმ (აბაშიძე) მოამზადა ყველაფერი, თუმც თვითონ არ გამოჩენილა... როგორც სჩვეოდა“ [7, 26]. ამას სიბერეში უყვება მხცოვანი მწერალი ახალგაზრდა მეგობარს და იმედი აქვს, ის მაინც ეცდება დაარქვას ყველას თავისი სახელი, გააკეთოს ის, რაც თვითონ ვერ შეძლო, რადგან შიშში იცხოვრა, მთელი ცხოვრება დუმდა და მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს აღმოხდა: „რად გაუფრთხილდი ამდენხანს შენს თავს, / ვის უნახავდი, რას უნახავდი?!“ [7, 3].

გრიგოლ აბაშიძე ის მწერალია, რომელიც „არ შეეპუებოდა დიდ სახელებს, შინაგან პაექრობას გაუმართავდა და მათ მიერ დადგენილ ნაკადს თამამად აუქცევდა გვერდს“ [7, 20]. თუ გავითვალისწინებთ, ვინ არიან ის მწერლები, რომელთა დადგენილ გზას ასე თამამად უვლის გვერდს (ალ. ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა) გასაგებია ის ღვაწლი, რაც გრიგოლ აბაშიძეს მიუძღვის ქართული ისტორიული ბელეტრისტიკის გადახალისების საქმეში.

გამოქვეყნდა რომანი „ლაშარელა“, გამოქვეყნდა საქებარი წერილებიც, რაც განაწყობს ავტორს გააგრძელოს ტრილოგიად, მაგრამ „ამასობაში ქუფრი ღრუბლებიც შეიყრებოდა „ლაშარელას“ თავს“ [7, 29]. ცალკეულ კრიტიკულ შენიშვნებს ავტორი ადვილად უმკლავდება და აკეთებს განცხადებებს, თუ რამ გამოიწვია ოცდაორთაბახიან რომანში იმ 5-6 გვერდის ჩართვა „მკითხველთა ერთი ნაწილის გულისტკივილისა თუ, უფრო მეტიც, გულისწყრომას იწვევდა“, მაგრამ ქართველს ვერ გადაურჩა.

მკითხველთა ეს განწყობა კარგად გამოიყენა ირაკლი აბაშიძესთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელმაც ბრალდება ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენ უფლება გვაქვს, ისტორიულ გმირს ზედმეტი სიკეთე მივაწეროთ, მაგრამ ზედმეტი ცუდის მიწერის უფლება არ გაგვაჩნიაო“ [7, 32], და ამას ამბობს რუსუდანზე (ლაშა-გიორგისთან ერთად), რომლის „ღვაწლი“ პირუთვნელად აღწერა ჯერ კიდევ ჟამთააღმწერელმა.

რუსუდანზე აუგის თქმა ოფიცოზის ხრიკია-გაუსწორდეს მწერალს, ამ ფონზე გაუგებარია კონსტანტინე გამსახურდიას გაცემა: „მე ვიცნობ მის(გ. აბაშიძე) შესანიშნავ გემოვნებას და პირდაპირ გამოცა ამ ამბავმა, როგორ შეიძლება თამარის შვილების ასე განუკითხავად გამოსახვა..... ზოგიერთები ამბობენ, რომ თქვენი საქციელი ემსგავსება იმ კოსმოპოლიტი პროფესორის საქციელს, რომელსაც ჩვენ თავში ვურტყამთ“ [7, 32].

ოთარ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ გრიგოლ აბაშიძეს არ აპატიეს ისტორიული რომანი, რადგან „რაც შეეძლოთ დევნიდნენ საქართველოს ისტორიასაც და ისტორიულ რომანსაც.“ [7, 33]

ამ შემთხვევაში საქმე რთულად არის, რადგან „უნებურად ...გადაეჯახვა ერთმანეთს ხელისუფლებისა და საზოგადოების ინტერესები... შუაგულში.. „ლაშარელა“ მოიყოლიეს... და გამაფრთხილებელი თავდასხმა აუტოდაფეში გადაიზარდა“ [7, 34]. ეს პარადოქსია, როგორიც „სჩვევია მკაცრ პოლიტიკურ რეჟიმებს“ [7, 34].

და როსტომ ჩხეიძის ბუნებრივ კითხვაზე: - არავინ გამოგკომაცებიათ? გრიგოლ აბაშიძის პასუხი ასეთია: „რას ამბობ, რა გამოგკომაცება... მეც კი აღარ მოვიხდომე საკუთარი თავის დაცვა და შეხვედრის მიწურულსნაცარი დავიყარე თავზე და ვიბოდიშე ასეთი წიგნის დაწერისათვის... გადავრჩენილიყავ და სხვა რას დაგიდევდი!...“ [7, 36].

დათო ტურაშვილის რომანი „გურჯი-ხათუნი“ პოსტმოდერნისტულია და თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო „ბოლო ათწლეულის განმავლობაში პოსტმოდერნისტული კულტურის წიაღში ცხოვრობს“ [5, 259] და პოსტმოდერნიზმი კულტურული ეპოქების შემაერთებელი რგოლია, რომლითაც ერთმანეთს უკავშირდება სხვადასხვა კულტურული ეპოქა, დათო ტურაშვილის რომანიც ამართლებს ყოველივე ზემოთთქმულს და აერთიანებს სხვადასხვა კულტურულ ეპოქას.

თუ უმბერტო ეკოსაც მოვუსმენთ, რომ პოსტმოდერნიზმი არ არის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მკვეთრად შემოსაზღვრული მოვლენა, დათო ტურაშვილის ყველა პერსონაჟი თანამედროვეობაშია

გადმოსული და ისე გვიყვება ყველაფერს, რაც გურჯი-ხათუნის პიროვნებასთან არის დაკავშირებული. რომანში დარღვეულია ყველა ტაბუ და ყველა საზღვარი და რადგანაც პოსტმოდერნიზმის ყველა ტექსტი კოლაჟურია, შესაბამისად, მოგვითხრობენ ისტორიკოსი კახა ბუაჩიძე და ანაკუშ მაძიკუნიანი („ალბათ რუსუდან მეფის მსტოვარი“) ბატონი აკაკი გაწერელია და ლუკა მანტოვანი (კონიელი მისიონერი), მოლა ნასრედინის შვილიშვილი - ფატიმა ბინთი ნასრედინი და ჯუზეპე კარბონე, ელიზბარ ჯაველიძე და ჟამთააღმწერელი, ქალბატონი სამირა სინჯიკაშვილი (ქაიროს უნივერსიტეტის პროფესორი) და მევლანა.

რომანი ამართლებს როლან ბარტის ფორმულირებას: „თითოეული ტექსტი (მოდერნისტულ რომანში) წარმოადგენს ინტერტექსტს, წინა ტექსტები (წინა კულტურების ტექსტები და გარემომცველი კულტურების ტექსტები) მასში არსებობენ სხვადასხვა დონეზე მეტნაკლებად გასაგები (ნაცნობი) ფორმებით“ [5, 266]. ყოველივე აქედან გამომდინარე, დათო ტურაშვილის რომანი აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც შეიძლება მოვთხოვოთ პოსტმოდერნისტულ რომანს.

რომანი გამოირჩევა დაწერის ფორმის ორიგინალურობითაც. თუ გრიგოლ აბაშიძე ოცი წელი იცხოვრებს მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით, დათო ტურაშვილი, აეკვიატება თუ არა გურჯი-ხათუნის ხატება, ვერ მოისვენებს და ოსმალეთში გაფრინდება უნივერსიტეტელ მეგობართან, რომელიც ასევე დაინტერესებული ამ საკითხით და უნიკალური მასალაც აქვს შეგროვილი გურჯი-ხათუნის შესახებ. უფრო მეტიც, ის ინტერნეტის საშუალებით გამოიწერს ყველანაირ არსებულ ცნობას და პირდაპირ თბილისში გადმოგზავნის. დათო ტურაშვილსაც რაღა დარჩენია, უნდა დაჯდეს და დაწეროს ასევე ორიგინალურად: „დავით საყვარელიძის მიერ რეპეტიციებისთვის ნაქირავებ ოთახში, დიდ ფანჯარასთან მაგიდა მივდგი. ვწერდი ისე, როგორც იქვე ჩემ თვალწინ აშენებდნენ სახლს - ჯერ საძირკველს, მერე პირველ სართულს, მერე მეორეს, მესამეს“ [6, 5] და თუ მილორად პავიჩი წიგნის წერას არქიტექტურას ადარებს, დათო ტურაშვილის წიგნიც თბილისის ერთ-ერთ შენობასთან ერთად შენდება.

დათო ტურაშვილი თავად ქმნის ქაოსს, ეფექტს, ჰყვება დანაწევრებულად და, როგორც ჭეშმარიტ პოსტმოდერნისტულ რომანს შეეფერება, თვითონ არის ნაწარმოების გმირი, მისი შემაერთებელი სახე. ყველა პერსონაჟი დათო ტურაშვილია, რომელიც „დასცინის მკითხველის მოლოდინს, მის გულუბრყვილობას, მის სტერეოტიპულ აზროვნებას“ [5, 267]. მაგრამ ავტორს, როგორც ისტორიულ რომანს შეეფერება, დღევანდელია აწუხებს: „ყოველ ჩვენგანს ჰყავს თავისი გურჯი-ხათუნი, უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ქალები - ყველაზე სევდიანი ემიგრანტები დედამიწის ზურგზე, უსაშველოდ რომ ენატრებათ ეს უცნაური მიწა და მაინც სჯერათ, რომ კაცები აქ ისევ ის კაცებს ჰგვანან წასვლამდე რომ ახსოვთ. მათ არ იციან, რომ ჩვენ შევიცვალეთ, ყველაფერი სხვას და დროს დავაბრალეთ და დავივიწყეთ, რომ სინამდვილეში დრო ერთია და სხვა დრო არც არსებობს. არც ისტორია არსებობს და ის შვიდი საუკუნეც, გურჯი-ხათუნის ეპოქას რომ გვაშორებს, უბრალოდ გაქრა, და როცა დრო და მანძილი ქრება, მაშინ შეგიძლია იქ იცხოვრო, სადაც მოისურვებ, სადაც არასოდეს ყოფილხარ, მაგრამ შეგიძლია შვიდი საუკუნე იმ დროში გაიარო, რა დროსაც ერთი წიგნის წაკითხვას მოანდომებ და რაც მთავარია არ შეგეშინდეს“ [6, 5], არც ეშინია, გადადის საუკუნიდან საუკუნეში, სიმართლე კი ყველგან მხოლოდ ერთია: „რუსუდანმა დაივიწყა „ღვთის შიში“ და სიძესა და ასულს მოსაკლავად გაუგზავნა მძიმეული“ [6, 46]. ამასაც არ დასჯერდა და, როცა თამარმა და ყიასედინმა „არა ისმინეს ბრძანება.... მეფისა რუსუდანისა..... დაწერა წიგნი სიძესა თვისსა სულტანსა ყიასედინსა თანა“, რომელშიც სწერს: „ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა მძიმეული ჩემი დავითი თანაეყოფის, და ამისთვის არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისიო“ [6, 46]. დათო ტურაშვილი ვარაუდობს, რომ, იმ ტანჯვისა და შეურაცხყოფის შემდეგ, რაც აღმფოთებულმა სულთანმა მოაწია გურჯი-ხათუნის თუ დავითის თავს, რუსუდანი „უფრო შარლ დიდის „ბიზანტიური პორტრეტების“ პერსონაჟს მიაგავს, ვიდრე დიდი თამარის ეთიკური ტრადიციების მემკვიდრე ქართველ მეფეს, ხოლო მისი ასული - ნაწილობრივ მაინც - ქართული ჰიმნოგრაფიის გმირ მარტვილს“ [6, 46].

ამრიგად, სამივე მწერალი, საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთზე წერისას, იქნება ეს უფლისწულის საარაკო თავგადასავალი, გურჯი-ხათუნის სელჯუკთა ქვეყანაში გათხოვება, თუ ლაშა- გიორგის საბედისწერო სიყვარული, სარგებლობს ჟამთააღმწერელის ცნობებით. ვერც ერთი გვერდს ვერ აუვლის რუსუდან თამარის ასულის საქციელს, რომელმაც „საქართველოს ისტორიის კრიტიკულ პერიოდში - ხვარაზმელთა შემოსევისა და მონგოლთა ტირანიის ხანაში“ [6, 46], ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანა.

იაკობ გოგებაშვილმა ფაქტი არ შეცვალა, მაგრამ ამბის დასასრულს რუსუდანი მომნაწიე ქრისტიანად გაისტუმრა იმ ქვეყნად და მსუბუქი კრიტიკით „გადარჩა“.

არც დათო ტურაშვილმა შეცვალა ფაქტი, ფანტაზია კი იმ მხრივ გაშალა, თუ როგორ მოგვითხრობდა გურჯი-ხათუნის ამბავს სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე რამდენიმე პიროვნება, რომელიც გვერდს ვერ აუვლიდა რუსუდანის საქციელს. ამისთვის ის არავის გაუკიცხავს, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელია ხელოვნების კომერციალიზაციისაკენ სწრაფვა და ასეთი ნაწარმოებები იშვიათად არიან მაღალიდებურობით გამორჩეული, ამდენად მწერალსაც მკითხველი დიდ პრეტენზიებს არ უყენებს.

მხოლოდ კომუნისტურმა ოფიციალმა გამოიყენა ეს ფაქტი მწერლის დასასჯელად და უახლოესი ისტორიის უახლოეს შავ-ბნელ მომენტს კიდევ უფრო მრუმე ფერს აძლევს (ნებით თუ უნებლიეთ) დიდი მწერლის ამ „მეხთათეხაში“ მონაწილეობა.

ლიტერატურა:

1. აბაშიძე გრიგოლ, თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, ლაშარელა, დიდი ღამე, თბ., 1972.
2. ბოცვაძე ზურაბ, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის საწყისები, თბ., 1977.
3. გოგებაშვილი იაკობ, საგანძური, წ. I, მხატვრული ნაწარმოებები, თბ., 1982.
4. მირესაშვილი მარიამ, ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურებანი (XX საუკუნის II ნახევარი), თბ., 2005.
5. გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები, 2008.
6. ტურაშვილი დათო, გურჯი-ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა, თბ., 2011.
7. ჩხეიძე როსტომ, დარდი ფარული (გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფიული ნატეხები, თბ., 2013).

Marine Tsertsvadze

Gori State Teaching University

LITERARY FICTION OF ONE HISTORICAL FACT: WITH IAKOB GOGEBASHVILI (XIX CENTURY), WITH GRIGOL ABASHIDZE (XX CENTURY), WITH DATO TURASHVILI (XXI CENTURY)

RESUME

How do different epoch writers – Iakob Gogebashvili, Grigol Abashidze and Dato Turashvili manage to write a literary fiction about one awkward Georgian historical fact in their works and its possible results for the authors are discussed in the paper. This recollection and its peculiar depictions serve to analyze their own epoch more deeply and in an informative way.

All these three writers while writing about this part of the Georgian history (whether this is a fabulous adventure of the Prince, Gurji-Khatuni's marriage in the country of Senjuq or Lasha-Giorgi's fatal love affair) use the notices of a chronicler.

ნელი ჭამპურიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიური ისტორია“

იაკობ გოგებაშვილი პროფესიონალი საბავშვო მწერალია. მან გაამდიდრა საბავშვო ლიტერატურა რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის პრინციპებზე შექმნილი მოთხრობებითა და ლექსებით, გადმოცემებითა და ნარკვევებით. მან ასევე თეორიული საფუძველი შეუქმნა საბავშვო ლიტერატურის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეს. დიდ საბავშვო მწერალსა და პედაგოგს 60-იან წლებში დაუწყო „საღვთო მოთხრობების“ წერა, შემდეგ მიუტოვებია და 80-იან წლებში ისევ მიბრუნებია. მასში მოთავსებულია ძველი და ახალი აღთქმიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი. საყურადღებოა, რომ იაკობ გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურის საწყისებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ხედავს. ისინი მწერალს ცალკეული მოთხრობების სახით წარმოუდგებოდა, დაწყებული მამაზეციერის მიერ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს აღდგომამდე. ამიტომ მას მეორენაირად „ბიბლიურ ისტორიასაც“ უწოდებენ.

სულ ცოტა, ეს ყველაფერი ორი მიზნით იყო ნაკარნახევი. ჯერ ერთი, იმდროინდელ სასწავლებლებში ყველგან ისწავლებოდა „საღვთო რჯული“ და ეს მოთხრობები გაუადვილებდა ბავშვებს „ბიბლიის“ გაგებას და ათვისებას, მეორეც, ეს იყო საშუალება ახალგაზრდობაში ჰუმანიზმის, სიკეთის, რწმენისა და შეგნების დასაწერად. ამიტომ იაკობი იმ ეპიზოდებს არჩევს, რითაც მოზარდს ზნეობრივად აამაღლებს და გააკეთილშობილებს. მაგალითად, როცა ეგვიპტეში ღალატით გაყიდულ იაკობს მისევე მოძულე ძმები პურის სათხოვნელად მიადგებიან, შიშისაგან გონდაკარგულებს თვითონვე ანუგეშებს და დახმარებას გაუწევს. იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამს იოსების ამ სიტყვებს: „ნუ სწუხართ ჩემს გაყიდვაზე. თვით უფალმა მომიყვანა აქ თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად. გაეჩქარეთ მამაჩემთან და ახარეთ ჩემი დიდება ეგვიპტეში. ასევე მოსეს თავგადასავლიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მისი თავდადება მშობელი ებრაელი ხალხისადმი. როცა ლტოლვილებს გასაჭირი მიადგებათ, მოსე ევედრება ღმერთს: „უფალი, მე დამსაჯე იმათ მაგიერ, მათ კი ყველაფერი აპატიე!“

იაკობ გოგებაშვილის სპეციალურად ბავშვებისთვის შედგენილი ბიბლიური მოთხრობები - „ბიბლიური ისტორია“ 1989 წელს გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“. აღნიშნულ მოთხრობებში მწერალი ბიბლიური შინაარსის გადმოცემისას ზოგჯერ ამბის საკუთარ ინტერპრეტაციასაც იძლევა. იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიური ისტორიის“ კვლევისას გ. კვანტალიანი აღნიშნავს: „გოგებაშვილის ინტერპრეტაციაში კი სხვაგვარადაა, ხშირ შემთხვევაში იაკობი თავის განმარტებას, შეფასებას ან მოსაზრებას „თავს ახვევს“ მკითხველს, მაგრამ ამას ისე დიდოსტატურად ახერხებს, რომ თხრობის სიმწყრობე და ჰარმონიულობა არ ირღვევა“. [1, 45]. ძველი აღთქმის წიგნებში, როგორც წესი, ამბავი მოქმედებაში არის გადმოცემული. ფაქტები ძირითადად ავტორთა კომენტარების გარეშე მოთხრობილი. ბიბლიის ცნობილი სპეციალისტის, ზურაბ კიკნაძის შეფასებით: „ბიბლიური ავტორი არასოდეს იძლევა შეფასებას ადამიანის საქციელისას, იგი ალაპარაკებს გმირს ან აჩვენებს მის საქციელს“. [2, 112] „ბიბლიურ მოთხრობებში“ იაკობ გოგებაშვილს ზოგჯერ თავისი კომენტარები შეაქვს, სადაც ნათლად იკითხება თანამედროვეობის გამოძახილი და საღვთო რჯულის კავშირი ყველა ეპოქასთან.

შევხებით რამდენიმე ეპიზოდს:

1. „ისრაელთა მდგომარეობა ეგვიპტეში იოსების სიკვდილის შემდეგ“ (გვ. 52).

ისრაელის გამრავლებითა და გაძლიერებით შემოფოთებულმა ფარაონმა გადაწყვიტა მათი შევიწროვება და დაკნინება. ამ მიზნით აზრაამის შთამომავალთ მძიმე მონური შრომა დაუწესა, შემდეგ კი ბრძანა, რომ ყველა ახალშობილი ისრაელი ვაჟი მოეკლათ. ებრაელთა ტომი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. ამ ამბავს გოგებაშვილი ვრცლად და ორიგინალური ტექსტის მიხედვით გადმოგვცემს. შუა თხრობაში იგი ასეთ ჩართვას აკეთებს: „ფარაონები ჯერ ეცადნენ ევიპტელებთან შეერწყათ ისრაელნი და ერთი ხალხი გაეხადათ, დაუწყეს დევნა მათ ენას, სარწმუნოებასა და მათ ჩვეულებათა, სურდათ, რომ ისრაელთ დაევიწყებინათ თავიანთი ენა, სარწმუნოება, მაგრამ ისრაელთ საკვირველად უყვარდათ თავისი დედაენა და მტკიცედ იდგნენ თავიანთ სარწმუნოებაზედ, დევნამ უფრო მომეტებულად შეაყვარა ერთიცა და მეორეც. მართალია, მათ შორის გამოჩნდნენ ზოგიერთი მოღალატენი, რომლებიც ფულის გულისათვის და ჯამაგირიანი ადგილების მიღებისათვის გადაუდგნენ თავის ხალხს, მაგრამ ესენი იყვნენ სულით მდაბალნი, წუწკნი არსებანი, რომლების მოსხლეტა და განშორება ისრაელთათვის სასარგებლოც იყო, როგორც გადამდები ავადმყოფობით დასნეულებულის კაცის მოშორება კარგი **ჯანსაღებისათვის**.“

აღნიშნული ტექსტის ჭეშმარიტი აზრი ჩვენთვის ნათელია. იაკობ გოგებაშვილის ღრმა რწმენით, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დედაენისა და სარწმუნოების შენარჩუნებასა და გაფრთხილებას.

2. „მოსეს გაქცევა ფარაონის სახლიდან“ (გვ. 56-57).

ახალშობილი ისრაელი ვაჟი სიკვდილს რომ გადაერჩინა, დედამ ისე მოაწყო, რომ ფარაონის ქალიშვილს აპოვნინა „მიტოვებული“ ყმა. ხელმწიფის ასულმა ბავშვზე მზრუნველობა ითავა, გასაზრდელად ისევ დედას მიაბარა, რამდენიმე წლის შემდეგ კი იშვილა და დაარქვა მოსე. ბიბლიაში შემდეგ წერია: „როცა გაიზარდა მოსე, მივიდა თავის ტომებთან და ნახა მათი მძიმე შრომა...“ (გამ. 2.11-15) ბიბლიაში ფარაონის კარზე გატარებული ბავშვობის წლებზე არაფერია ნათქვამი. გოგებაშვილი კი თავის ვრცელ ვარიანტს სთავაზობს პატარა მკითხველს: „ბედნიერ მდგომარეობაში ჩავარდა ყმაწვილი მოსე ფარაონის სახლში. რასაც კი გული ინატრებდა, მის ხელქვეით იყო, რადგან ისე ჰყავდა ყველას მიჩნეული, როგორც ნამდვილი შვილი მეფისა. ამისთანა მდგომარეობაში სხვა უიმისო მიეცემოდა განცხრომით ცხოვრებასა, შეიქმნებოდა გულგრილი და ზურგს შეაქცევდა თავის ხალხსა. მაგრამ მოსე სრულიადაც არ მოიქცა ასე, იმას დედის ძუძუსთანავე ჰქონდა ჩანერგილი გულში სიყვარული თავისი ხალხისა, მისი ტანჯვა თავის ტანჯვად მიაჩნდა, მისი გული კვდებოდა, როცა ებრაელების ჩაგვრას ხედავდა, ან ესმოდა მათი წვალება. თავისი ხალხის გამოსნა და განთავისუფლება იყო უმთავრესი, პირველი საგანი მოსეს ფიქრისა. . . . უსწავლელი კაცი ბევრს ვერაფერს არგებს თავის ხალხსა, თუნდაც ძალიან გულითაც უნდოდეს მისი ბედნიერება. ამიტომ მოსე ძალიან ბეჯითი იყო სწავლაში. რაც კი მაშინდელმა

ეგვიპტელებმა იცოდნენ მეცნიერებისა, ყველაფერი მშვენივრად ისწავლა და მტკიცედ შეითვისა. იგი საფუძვლიანად ემზადებოდა მომავალი თავისი მოქმედებისათვის“. ამგვარად, ყმაწვილმა პატარაობიდანვე უნდა შეისისხლხორცოს სამშობლოს სიყვარული და პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე.

იაკობი ასწავლის მოზარდ თაობას, რომ მამულიშვილობა ადამიანის უწმინდესი ვალია, სამშობლოს ხსნის გზა ის არის, რომელიც მოსემ აირჩია „თავის ხალხთან ერთად მას ათასჯერ ერჩინა ტანჯვა, ვიდრე სიამოვნება ეგვიპტელებთან, თავისი ხალხის გულისათვის სიკვდილს იგი ათასჯერ ამჯობინებდა ბედნიერ სიცოცხლეს ეგვიპტელების სამსახურში. მოსე შეიქმნა ერთგული მოსარჩლე თავისი ხალხისა, რომელსაც მეტად სჩაგრავდნენ ეგვიპტეში. იგი ხმარობდა ყოველ ღონისძიებას, რომ შვება მიეცა ისრაელთათვის; მაღიმალ დასტოვებდა ხომე სასახლესა, დადიოდა ისრაელთა ქოხებში; ნუგუმსა სცემდა დაჩაგრულებსა, გულს უკეთებდა დაცემულებსა. ზოგს ფულითა შველოდა, ზოგს რჩევითა, ყველას ამხნევებდა, უქადაგებდა, რომ ერთი პირი ჰქონოდათ, ერთმანეთისათვის ეშველათ, ჰყვარებოდათ ჭეშმარიტი ღმერთი, სძულებოდათ კერპები და ამ გზით მოემზადებინათ თავისი თავი გამოსსნისათვის“ - ასეთ მარტივ და ლაკონურ ფერებში იძლევა იაკობ გოგებაშვილი ბიბლიის ინტერპრეტაციას.

3. „მოსეს მისვლა იოთორთან“ (გვ. 57-58).

აღნიშნულ თავში დიდი პედაგოგი მოსეს მოზარდებისათვის სათაყვანებელ, მისაბამ გმირად ხატავს. ამგვარად, სამშობლოს ერთგულებისათვის თავდადებული მოსე „შეიქმნა მოჯამაგირე და გახდა უბრალო მწყემსი. ამ ყოფაში ჩააგდო მოსე თავისი ხალხის სიყვარულმა, მისმა ერთგულებამ, დაივიწყებდა მას და დაადგებოდა სხვა გზასა, მაგრამ მოსე ასეთი სულმოკლე არსება არ იყო. მის გულში ისეთი ძლიერი ცეცხლი ენთო თავისი ხალხის სიყვარულისა, რომ მას უხაროდა კიდევ, რომ ისრაელთა გულისთვის ეწვალეზოდა და იტანჯებოდა“. იაკობ გოგებაშვილმა „ბიბლიურ ისტორიაში“ დაგვიხატა ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობით აღსავსე მოსეს სახე, რომელიც ამასთანავე გამოირჩევა მაღალზნეობრივი თვისებებით. „გოგებაშვილის მთავარ მიზანს (მაგრამ არა-ერთადერთს) მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალვა წარმოადგენს“ [1, 50]

იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიურ ისტორიის“ შინაარსი მეტად შეკუმშულია, გამოირჩევა სიუჟეტის სწრაფი მონაცვლეობით. სიუჟეტის თხრობისას აქცენტი გადატანილია ავტორისეულ შეფასებებზე, რომელიც ძირითადად პედაგოგიური თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი. აღნიშნული მოთხრობის ენა არის ლაკონური, მისაწვდომი, გამართული და ხალისიანი.

ლიტერატურა:

1. გ. კვანტალიანი, „რელიგიური აღზრდის პრობლემა კლასიკურ პედაგოგიურ მემკვიდრეობაში“, თბ., 1990.
2. ზ. კიკნაძე, „საუბრები ბიბლიაზე“, 1989.
3. ი. გოგებაშვილი, „ბიბლიური ისტორია“, 1989.

Neli Champuridze
Gori State Teaching University
“BIBLICAL HISTORY” BY IAKOB GOGEBASHVILI
RESUME

The great children's writer and pedagogue had started writing "bible stories" in the 60-ies, then had abandoned but in the 80-ies had continued writing them. All the important episodes from the Old and New Testaments are included in those stories. The writer had presented them as separate stories starting from the creation of the universe by the God till the Christ's resurrection. That's why they are also called the "biblical history". The writer sometimes gives his own interpretation of the biblical content in those stories. Often Iakob "imposes" on the readers his opinion, explanation or evaluation but he does it in such a talented way that the narrative coherence and harmony are not interrupted. In the books of the Old Testament, the story is given as usual in an act and the facts are narrated without the author's comments. The biblical author never evaluates the human behavior; he makes the character of the story speak or show his behavior. In order to introduce the idea of humanism, kindness, faith and consciousness among the young people, Iakob Gogebashvili adds his own comments in the "biblical stories" where one can clearly identify the echo of modernity and the link with the divine law with every era.

„შეკვეთილი მუზის“ საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოს ისტორიის ურთულეს პერიოდს დაემთხვა. ეს ის ეპოქაა, რომელმაც მწერლობა იდეოლოგიურ მარწუხებში მოაქცია, ვიწრო პარტიულ ინტერესებს დაუქვემდებარა და მწერლებს ერთადერთ შემოქმედებით მეთოდად აღიარებული სოციალისტური რეალიზმის მრუდე თარგით ხელმძღვანელობა დაავალა. ამან, ცხადია, შეზღუდა მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება, წაართვა მას მოვლენებისა და ფაქტებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უფლება და ოფიციალური სურვილის დაქვემდებარებულ, ე.წ. „შეკვეთილი მუზის“ მსახურად აქცია. აშკარა იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომლის პოლიტიკა სოციალისტური პრინციპებისადმი უპირობო მორჩილებასა და ადმინისტრაციულ ძალადობას ემყარებოდა, სიტყვაკაზმული მწერლობის იდეოლოგიურ იარაღად გამოყენებასა და თავისი მმართველობითი პოლიტიკის გავლენაში მოქცევას გეგმავდა.

მ. ჯავახიშვილი ერთი იმთაგანია, ვინც აქტიური ბრძოლა გააჩაღა არსებული სისტემის დასაგმობად, რომელიც ძალისმიერი მეთოდებით, „იდეალური წესრიგის“ სახელით, მარყუქს აბამდა ხელოვანს და აიძულებდა მას ხელისუფლების შეკვეთა უპირობოდ შეესრულებინა.

ახალი ეპოქა კი თავის შესატყვის, ძველისაგან თვისებრივად განსხვავებულ სულიერ ფასეულობას საჭიროებდა, რომელიც, ხელისუფლების აზრით, მხოლოდ ახალი იდეოლოგიის მქონე ადამიანებს – პროლეტარულ მწერლებს („შეკვეთილი მუზის“ მსახურებს) შეეძლოთ შეექმნათ. პ. ქიქოძე კლასიკური მწერლობის საბოლოო დამარცხებას მხოლოდ „პროლეტარული მწერლობის ჰეგემონიის დამყარებას“ უკავშირებდა (ქიქოძე 1930: 13). ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ მუშათა კლასიდან მწერლობაში ე.წ. გაწვევა გამოაცხადა. ამით აღშფოთებული მ. ჯავახიშვილი ამბობდა: გაწვევა ჯარში გამიგონია და არა მწერლობაშიო. მისთვის მიუღებელი იყო ამგვარი ღონისძიებებით მწერალთა რიგების გაზრდა-გაფართოება; მით უფრო, დარწმუნებული იყო, რომ ე. წ. „ახალწვეულები“, ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, ნამდვილ ლიტერატურას ვერ შექმნიდნენ, იმ უბრალო მიზეზით, რომ, ჯერ ერთი, ვერ გაეცნოდნენ ვიწრო პარტიული ინტერესებისა და ზედმეტად იდეალისტური მიზნებისადმი მორჩილებას. მეორეც, სათანადო ნიჭი და ინტელექტი არ ეყოფოდათ ისეთი ნაწარმოებების შექმნისთვის, რომელიც, ერთსა და იმავე დროს, რეალობასაც ასახავდა და მკითხველს სულიერ, ესთეტიკურ სიამოვნებასაც მიანიჭებდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ „შეკვეთილი მუზის“ მსახურები („პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“) აღიარა თავისი პოლიტიკის გამტარებელ ერთადერთ რეალურად დასაყრდენ ძალად და დანარჩენ ლიტერატურულ დაჯგუფებებში გაერთიანებულ მწერლებსაც მათი მეშვეობით დაუწყო ბრძოლა.

მ. ჯავახიშვილი ვერაფრით ეგუებოდა იმას, რომ საბჭოთა ეპოქა ნელ-ნელა კლავდა ქართულ სულს, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, უკვე აღარ ჩანდა არც ქართულ მწერლობაში, არც ხელოვნებაში და აღარც მეცნიერებაში, მათი დიდი ნაწილი, მწერლის აზრით, „მოსკოვის ნაბუშარი“ (ჯავახიშვილი 2011: 44) იყო. ხოლო ქართულ სულს მოკლებული, სახედაკარგული სიტყვაკაზმული მწერლობა ერის მეგზურის ფუნქციას რომ ვეღარ შეასრულებდა, ეს ეჭვს არ იწვევდა დიდ მამულიშვილში. „ჩვენი ეპოქა – რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა, ვინაიდან ჩემს თვალწინ კვდება ძველი ქვეყანა – დედა, ზოგისთვის კი უზენაესი სიხარულია, ვინაიდან იბადება შვილი – ახალი ქვეყანა. ამიტომ არის მგლოვიარე გუშინდელი პოეტი, ამიტომვე ხარხარებს დღევანდელი ჭაბუკი კომკავშირელიც (ჯავახიშვილი 2011: 212). უბის წიგნაკში გაკეთებული ეს ჩანაწერი ნათლად მეტყველებს ავტორის იმ მძიმე სულიერ მდგომარეობაზე, რომელიც განაპირობა „სულის ჭლეტით“ (ასე უწოდებდა სოციალიზმს მწერალი) (ჯავახიშვილი 2011: 304) შეპყრობილმა ეპოქამ, რომლის ლოზუნგი იყო: „ყველაფერი და ყველანი პოლიტიკისთვის“ (ჯავახიშვილი 2011: 149).

ეპოქის ამ თავისებურებამ ზნეობრივი გმირის ნაცვლად წინა პლანზე წამოსწია დეჰუმანიზებული, „დაგეშილნებისყოფიანი „რკინისკაცი“ („დამდნარი ჯაჭვი“), რომელსაც უპატრონოდ მიგდებულ ადამიანში აღარ შეეძლო კაცობრივი ნათესავის დანახვა და აღარც „კეთილი სამართელობა“. მწერალიც „დაქირავებულ ულავს“ („გივი შადური“) უფრო დაემსგავსა, რომელსაც, გ. ქიქოძის სიტყვებით რომ ვთქვათ: უნდა „ესდია და ექიხვინა რევოლუციის ეტლისათვის“ (გ. ქიქოძე „არიფიონი ჰერეთში“); რაც იმის მაუწყებელია, რომ მწერალს აზროვნება აეკრძალა და მონური მორჩილების მსხვერპლი გახდა. ხელისუფლების მცდარი ლიტერატურული პოლიტიკა ანტისაბჭოთა სულისკვეთების ყოველგვარ

გამოვლინებას გაშმაგებით ებრძოდა და, როგორც, ა. ნიკოლეიშვილი ამბობს: „მეტაშეობით ბედნიერი ცხოვრების ილუზიას“ ამკვიდრებდა (ნიკოლეიშვილი 2003: 47). ამ ეპოქისთვის მხოლოდ ბოლშევიკობა იყო პრივილეგიაც და ადამიანობის საზომიც. „მეზოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არ მიმაჩნია ადამიანად“ (ლორთქიფანიძე 1927: 41); „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა“ (ფეოდოსიშვილი 1926: 13); „სოციალიზმის ყველა მავნებელი დიქტატურის ტყვეით იყოს დახვრეტილი!“ (ნაროშვილი 1931: 21). მხოლოდ ამგვარ პათოსს ცნობდა საბჭოთა ხელისუფლება და აპლოდისმენტებსაც ამგვარი ფრაზები იმსახურებდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საბჭოთა მწერლობა მკვეთრად გაემიჯნა ლიტერატურის ჰუმანისტურ პრინციპებს. სწორედ ამას გულისხმობს მ. ჯავახიშვილი, როცა წერს: „ლიტერატურული ფაშიზმი ან ფაშისტური ლიტერატურა შემოვიდა ჩვენში“ (ჯავახიშვილი 2011: 200), რასაც მწერალი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისადმი ხელისუფლების ამგვარმა დამოკიდებულებამ, ბუნებრივია, ხელი შეუწყო, ეგრეთ წოდებული, „პარტიული მწერლობის“ გაფურჩქვნა-აყვავებას, რომელიც შორს იდგა ნამდვილი ლიტერატურისაგან. ეპოქალური სინამდვილის განმადიდებელი ნაწარმოებები (ანუ „შეკვეთილი მუზის“ პროდუქტი, მ. ჯ.), ა. ნიკოლეიშვილის თქმით, სამი მოსაზრებით იქმნებოდა: „ერთი – ბრმა ფანატიზმით, მეორე – კარიერისტული მიზანსწრაფვით და მესამე – ვითარებით ნაკარნახევი მწარე აუცილებლობით“ (ნიკოლეიშვილი 2003: 46). სწორედ პირველ ორ მიზეზთა გამო შეიქმნა: „ზაჰესიადა“, „სამგორიადა“, „ბამბიადა“, „სიმინდიადა“ და „ყამირიადა“, ე. ი. „ერზაცლიტერატურა“, – როგორც ამას უწოდებს ავ. ბაქრაძე.

ამავე მიზეზით მოინათლა დადებით მისაბამ გმირად ქრისტიანული სათნოებებისაგან განძარცვული „უღირსებო“ „ახალი ადამიანი“, რომელსაც ბოროტება სიკეთედ ეჩვენებოდა, ღალატი – პატიოსნებად და სიძულვილი – სიყვარულად. სამწუხაროდ, მხოლოდ ასეთი გმირები იმსახურებდნენ პროლეტარული კრიტიკის მადლიერებას, ხოტბასა და დიდებას. ლიტერატურული მოვლენების პარტიულ-სახელმწიფოებრივი დირექტივების კარნახით შეფასებამ, მწერლობა ვიწრო პოლიტიკურ იარაღად გადააქცია და დაფნის გვირგვინი უბოძა იმ „ქვემდრომ ფინაჩებს“ (ჯავახიშვილი 2011: 210), რომლებიც მაშინდელ ხელისუფლებას ესაჭიროებოდა თავისი პოლიტიკის გასატარებლად.

ხელისუფლება მწერლებისგან მოითხოვდა სოციალისტური ბანგით გაბრუებული ისეთი უსახური გმირების დახატვას, როგორებიცაა: ლუკა ვოლკოვი (ბ. ჩხეიძის „ფერო“, 1932 წ.), ლევან ქვაკირელი და პეტრე კაპანაძე (ი. ლისაშვილის „ვარდნილი“, 1933 წ.), თინა ზვიადაძე (ს. თალაკვაძის „გადასასვლელი“, 1933 წ.), გრიგოლ გიგაური (პ. ჩხიკვაძის „სართულები“, 1934 წ.) და სხვები. ხოლო გმირები, რომლებიც „ვითარებით ნაკარნახევი, მწარე აუცილებლობით“ იქმნებოდნენ, მათი სულისკვეთების იმჟამინდელ იდეოლოგიურ ნორმატივებთან შეუსაბამობის მოტივით, პროლეტარული კრიტიკის დევნისა და შევიწროების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ასეთი ბედი ხვდათ წილად მ. ჯავახიშვილის გმირებსაც, რომლებიც თუმცაღა შეემატნენ „ახალ ადამიანთა“ გალერეას, მაგრამ კომუნისტური კრიტიკის აღიარების ღირსნი მაინც ვერ გახდნენ. ესენია: დამპატიჟე-ოქროპირი („დამპატიჟე), აპოლონ რაპოლიძე („დამდნარი ჯაჭვი“), ზურაბ გურგენიძე („ქალის ტვირთი“), ცუცქია („თეთრი საყელო“) და მისთანანი, რისი მიზეზიც უვარგის მხატვრულ მეთოდში – სოციალისტურ რეალიზმშია საძიებელი. ეს უკანასკნელი ის მრუდე თარგი აღმოჩნდა, რომელიც მ. ჯავახიშვილს არ გამოადგა თავისი გმირების მხატვრულ სახეთა გამოსაძერწად.

„თავი დამანებეთ, თქვენი ცდა მე საეჭვოდ მეჩვენება, ... ხელოვნებას არ აძლევთ თავისუფლებას. მომინდებოდა, – ყვავილებს დავკრეფ ამ დაბურულ ტყეში, მივუძღვნი ჰიმნს თავისუფლებას, მაგრამ თქვენს ნებას არასოდეს დავმორჩილდები“, – ეს გერმანელი პოეტის – ლენაუს სიტყვებია, რომელიც ასევე ზუსტად გამოხატავს მ. ჯავახიშვილის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკისადმი. თუმცა მწერალი მაინც გახდა იძულებული გარეგნულად მსოფლმხედველობრივ კომპრომისზე წასულიყო და კონიუნქტურული ხასიათის წერილები გამოექვეყნებინა. მიუხედავად ამისა, მათში ყურადღებიან მკითხველს, როგორც ა. ნიკოლეიშვილი ამბობს, მაინც შეუძლია შეიცნოს, თითქოსდა, იდეოლოგიურ სამსახურში ჩამდგარი მწერალი, ეპოქის მიერ გაფეტიმებული სოციალური და პოლიტიკური პრინციპების გულწრფელი გამზიარებელი. სწორედ ამის გამო აფრთხილებს მკითხველს კრიტიკოსი: „რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ... ზოგ შემთხვევაში ავტორის მიერ აშკარად და თვალნათლივ გამოთქმულ შეხედულებასაც ბოლომდე არ უნდა ვენდოთ და ვერწმუნოთ“ (ნიკოლეიშვილი 2003: 368).

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა მწერლის მიერ „აღიარებული შეცდომები“ (ჯავახიშვილი 1964: 377), თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ეს იყო მწერლის ერთგვარი ტაქტიკა, ხელისუფლებასთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში თავის გადასარჩენად მოფიქრებული. ამ ბრძოლის ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია აგრეთვე ე. წ. „ქებითი კრიტიკა“. ამ პირობით სახელწოდებაში ა. ნიკოლეიშვილი

გულისხმობს მწერლის მიერ საგანგებოდ შექმნილ შთაბეჭდილებას, თითქოს იგი აქებს ამა თუ იმ მოვლენას, სინამდვილეში კი აკრიტიკებს და გმობს მას (ჯავახიშვილი 1980: 154).

უნდა ვთქვათ, რომ მ. ჯავახიშვილს დიდი რისკი და მოქალაქეობრივი გაბედულობა დასჭირდა შემოქმედებითი თავისუფლების შესანარჩუნებლად და იდეოლოგიური ტყვეობისაგან თავის დასახსნელად. მცდელობის მიუხედავად, იგი ვერ აქცევს „შეკვეთილი მუზის“ მსახურად, საბჭოთა ეპოქის პანეგირიკად და მეხოტბედ. საბჭოთა ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, მ. ჯავახიშვილი არ აღმოჩნდა შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ რიგებში, რომლის „მოთვინიერებასაც“ შეგნებულად და მიზანმიმართულად გეგმავდა ბოლშევიკური ხელისუფლება. ეს უკანასკნელი ორდენებითა და მედლებით, წოდებებით, სიგელებითა და სხვა წამახალისებელი ფორმებით აკოწიწებდა „წითელ ინტელიგენციას“ და მათი უკეთ მართვისა და გამოყენების მიზნით (სწორედ მათ შეარქვა ჯავახიშვილმა „ქვემდრომი ფინაჩები“) ცდილობდა მათში ამბიციურობის, უპირატესობის გრძნობისა და გამორჩეულობის განწყობილების გამძაფრებას. ამ ცდუნებას ცოტა თუ გადაურჩა, მათ შორის მ. ჯავახიშვილი, რომელიც ბოლომდე დარჩა შეურიგებელი ლიტერატურის ფსევდოფასეულობებისადმი.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა. (1990). მწერლობის მოთვინიერება, თბილისი: გამომცემლობა „სარანგი“.
2. კიკნაძე ვ. (1990). წამებული რაინდები, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“.
3. ლორთქიფანიძე კ. (1927). ღიმილი, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
4. ნაროშვილი ფ. (1931). პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია, თბილისი: გამომცემლობა „ტფილისის სახელგამი“.
5. ნიკოლეიშვილი ა. (2003). მიხეილ ჯავახიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ნარკვევები IV, ქუთაისი: „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
6. ქიქოძე პ. (1930). ანგარიში და კრიტიკა ათას ცხრაას ოცდაცხრა წლის ლიტერატურული პროდუქციის შესახებ, ჟურნალი „მნათობი“, № 1, თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა ტფილისი“.
7. ჯავახიშვილი მ. (1964). რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
8. ჯავახიშვილი მ. (1980). რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
9. ჯავახიშვილი მ. (2011). უბის წიგნაკებიდან ჩანაწერები, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
10. ჯავახიშვილი ქ. (1984). მიხეილ ჯავახიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

Manana Chichinadze

Akaki Tsereteli State University

ISSUES OF "ORDERED MUSE" IN THE WORKS OF MIKHEIL JAVAKHISHVILI RESUME

Mikheil Javakhishvili had to work during the period, when the literature came under the influence of ideological pliers and the party interests, that had forced writers to lead with rude principles of socialist realism. this, of course, took away the ability of expressing writer's own attitude and turned into the servant of the "ordered muse".

M. Javakhishvili is one of them, who actively acted against the Soviet government's literary politics. It was a big risk to keep a creative freedom and it also was connected with a civic courage. Despite several attempts, Soviet government could not tame him and he could not be turned into a servant of "ordered muse."

პოსტმოდერნისტული ტენდენციები გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში „მიჯაჭვული რაინდები“

ქართულ ლიტერატურაში პოსტმოდერნისტული ტექსტების შექმნა ინტენსიურად გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, თუმცა ამ მიმდინარეობის ცალკეული ნიშნები უფრო ადრინდელ ნაწარმოებებშიც გვხვდება. აღნიშნული მიმდინარეობისა და მისი ტენდენციების კვლევის პროცესში არც ერთ მკვლევართან არ შეგვხვდრია შემთხვევა გოდერძი ჩოხელის რომელიმე ნაწარმოების დამოწმებისა პოსტმოდერნისტული ტენდენციების დამკვიდრების პროცესის განხილვისას, რაც, ჩვენი აზრით, სამართლიანობას არის მოკლებული, რამდენადაც გოდერძი ჩოხელის ზოგიერთი ნაწარმოები ისეთ მკვეთრ ნიშნებს შეიცავს ამ მიმართულებით, რომ ამ ნაწარმოებთა განხილვა, როგორც პოსტმოდერნისტული ტენდენციის დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროთაგანი, უდავოდ საინტერესო იქნება. წინამდებარე ნაშრომში, ამ კუთხით, გოდერძი ჩოხელის მოთხრობა - „მიჯაჭვული რაინდები“ თავისუფლად შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოსტმოდერნიზმში გადაწყვეტილი ტექსტი და სრულყოფილი ნიმუში აღნიშნული მიმდინარეობისა. ვინაიდან, ერთ-ერთი განსაზღვრებით, როგორც ცნობილია „პოსტმოდერნიზმი არის კლასიკური ტექსტის ხელახალი წაკითხვა დეკონსტრუქციის გზით“.

აღნიშნული მოთხრობა აშკარად გამორჩეულია გოდერძი ჩოხელის სხვა ნაწარმოებებისაგან შინაარსითაც და ფორმითაც. მთავარ გმირებად გამოყვანილი არიან კლასიკური ლიტერატურის ცნობილი პერსონაჟები, მწერალმა გააცოცხლა ილიასეული ლუარსაბ-დარეჯანის წყვილი, მოურავი ბიჭი დათო, რომელთაც პარტნიორობს სერვანტესის დუეტი - დონ კიხოტი და სანჩო პანსა. პოსტმოდერნიზმისთვის კი „უცხო ტექსტები ერთდროულად იქცევა სხვის გამოცდილებათა და მიგნებათა საკუთარ ცნობიერებაში გატარების, გააზრების, გადაფასებისა და ინტერპრეტირების საშუალებად - ნედლ მასალად ახალი ტექსტის შესაქმნელად“ (წულაია, 2013: 32).

მოთხრობა შედგება პროლოგის, ხუთი თავისა და ეპილოგისაგან. შვიდივე ნაწილს საკუთარი ქვესათაური აქვს: 1. „შესავლის მაგიერ, ანუ ღია წერილი საქართველოს“; 2. „საქართველოო ლამაზო, ანუ ლუარსაბ თათქარიძის სამდურავი...“; 3. „სხვა საქართველო სად არის, ანუ რა სულელი ხარ, სანჩო!“; 4. „ერი გულადი, პურადი, ანუ ორი რაინდის შეხვედრა“; 5. „სიზმარი, ანუ საქართველოც სამოთხეა, სანჩო“; 6. „მიჯაჭვული რაინდები ანუ თავისუფლებას მტრები ჰყავს, სანჩო...“ ; 7. „პროლოგის მაგიერ ანუ იმის თქმა მინდა, რა მოხდება კავკასიონზე.“ მოთხრობის სათაურად „მიჯაჭვული რაინდების“ შერჩევა ასოციაციურად მითოლოგიისაკენ (პრომეთე-ამირანის სახისაკენ) მიგვახედებს, ხოლო ჩამოთვლილი თავების სათაურებიდანვე იწყება ავტორის პოსტმოდერნისტული „თამაში“, რადგან მათში ლაკონიურად არის გამოხატული ირონია და ორმაგი კოდირების ელემენტებიც. უზადო და ფაქიზი საყოველთაოდ ცნობილი გმირებისადმი გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება, იმდენად, რომ არც ერთი მათგანი არ არის ორიგინალობის კონტექსტიდან ამოვარდნილი და ყველას შენარჩუნებული აქვს პირველი ავტორის მიერ მინიჭებული მახასიათებლები. „ეპიზოდურად ჩანან გულდამყრელი მოხუცები - თოთიაი და დედაბერი. თხზულების ენობრივი ფაქტურა მრავალფეროვანია, დიფერენცირებულია ცოლ-ქმრის კახურით, ესპანელი იდალგოს არქაიზებულ-კეთილშობილური ქართულით, სანჩოს მდაბიურითა და მოხუცებულთა გულდამყრულით. მწერალი არ ღალატობს სტილიზაციის ჩვეულ ხერხს-გმირის მეტყველება ყოველთვის შეესაბამება მის სადაურობას, სოციალურ წარმომავლობას, განათლებას... გათვალისწინებულია პერსონაჟთა ხასიათები; მათი ფსიქოლოგიური პორტრეტები მათსავე იდიოსტილშია გამოხატული“ (ოჩიგავა, 2009: 40). გოდერძი ჩოხელი არა თუ არ ცდილობს პერსონაჟების ხასიათებში რადიკალურ ჩარევას, პირიქით, მეტად გონივრულად იყენებს მათ თვისებებს ახალი სათქმელისათვის, ექცევა რა კლასიკურ ტექსტებს, როგორც მასობრივი ხელოვნების ნიმუშებს. პოსტმოდერნიზმი კი, როგორც ცნობილია, ხშირად მანიპულირებს „კლასიკური შემოქმედებითი მემკვიდრეობით. კლასიკური ხელოვნების შედეგები პოსტმოდერნისტულ კონტექსტში კარგავენ ნორმისა და იდეალების ავტორიტეტს და, ფაქტობრივად, განიხილებიან როგორც მასობრივი ხელოვნების ნიმუშები. პოსტმოდერნიზმი აღარ ებრძვის ამ ავტორიტეტს, რადგან თავისუფალია სწორედ ავტორიტეტულობის ზეგავლენისაგან - ეს თავისუფლება ჯერ კიდევ მოდერნიზმის მიერ იქნა მიღწეული. ამიტომ წარსულის შედეგრი პოსტმოდერნისტულ კონსტექტში შეიძლება მოწოდებული იქნას ირონიზირებული ფორმით როგორც ბანალური, ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები ესთეტიკური

ფასეულობა“ (წიფურია, 2008: 281-282). თუმცა, მოდერნიზმშიც და პოსტმოდერნიზმშიც კლასიკური ტექსტის გამოყენება ახლის თქმისათვის, გარკვეულწილად, მაინც სიფრთხილის საგანია და სწორედაც რომ ავტორის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ლალი ავალიანი წერს: „პოსტმოდერნიზმი - ჩიხი თუ მომავლის ხელოვნება“, ასეთ ეჭვს გამოთქვამს: „იქნებ პოსტმოდერნიზმი ოდენ ჩიხიდან გამოსვლის მცდელობაა; მისი მთავარი მახასიათებლები ფასეულობათა გადაფასება და კლასიკისა თუ თანამედროვე თხზულებების ხელახალი წაკითხვა, გადაწერა და „გადამღერება“. გააჩნია, ვის როგორ „ემღერება“ (აქაც: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“ არის განმსაზღვრელი)“ (ავალიანი, 2008: 2).

კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა მოთხრობაში განვითარებული მოვლენებისა და მათი პირველადი პერსონაჟების მიმართება დროსა და სივრცესთან. დონ კიხოტი საქართველოში XX ს-ში მოდის მიჯაჭვულ გმირთან-ამირანთან შესაბამისობადა, მაგრამ, მწერლის გონივრული ირონიით, შებრძოლება ლუარსაბ თათქარიძესთან უწევს. „-ეგრე მოვიცევი, თქვენო უკავკასიონესო, - აღუთქვა სანჩო და ისევ ძუნძულით გაჰყვა უკან წელი ჩორთით მიმავალ როსინანტს. შორს მყინვარი ჩანდა, ხოლო თუშეთის მხარეს შვეულმფრენი მიფრინავდა“ (ჩოხელი, 2010: 25). ამ ციტატის უკანასკნელი, თითქოსდა სხვათა შორის თქმული წინადადებით მწერალს კიდევ უფრო უკიდურესობამდე მიჰყავს დროისა და რეალობის კონტრასტი მთელს მოთხრობაში.

აღსანიშნავია, რომ იკვეთება ავტორის ფრთხილი შემოსვლა ნაწარმოებებში, რაც ახასიათებთ პოსტმოდერნისტულ ტექსტებს: „შინაარსს - გამოხატოს წერის პროცესის სირთულეები ფორმის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ხორცი ორგვარად შეიძლება შეესხას - პირველი: ავტორი აკვირდება საკუთარ პერსონაჟს, რომელიც პროფესიით მწერალია, ან სურვილი აქვს, რამე დაწეროს და კალიდოსკოპური სიზუსტით აღწერს მის შინაგან განცდებს, ცნობიერების ნაკადს, ლიტერატურულ მიგნებებს, შინაგან განწყობასა თუ სულიერ მდგომარეობას, პედალირებას ახდენს გარემო პირობებსა და წერის სურვილის მაპროვოცირებლებზე; მეორე - ავტორი თვითრეფლექსიის გზით თვითვე გარდაისახება საკუთარი ტექსტის მთავარ პერსონად და თანმიმდევრულად აღწერს საკუთარივე ტექსტის ქმნადობის პროცესს.“ (წულაია, 2013: 31).

აღნიშნული ორი შესაძლებლობიდან, გოდერძი ჩოხელი ნაწილობრივ იყენებს ორივე მათგანს, კალიდოსკოპური სიზუსტით აღწერა პერსონაჟის შინაგანი განცდების ხშირად ჩანს მის ნაწარმოებებში, „მიჯაჭვული რაინდების“ შემთხვევაში კი ეს პროცესი მაქსიმალურად უახლოვდება პოსტმოდერნისტულ მიდგომას. „- ეე! - ამოიოხრა დარეჯანმა, - ჩვენ რაღა დაუშავეთ ილიასა.

- არაფერი, დარეჯან, რაკი ილიამ ჩემში ზოგადი ტიპი დაინახა, ეტყობა, შენი და ჩემი უშვილობითა მომავალი საქართველოს მტკიცეულ ადგილს შეეხო“ (ჩოხელი, 2010: 13). მეორე შესაძლებლობა კი, რომელშიც „ავტორი თვითრეფლექსიის გზით თვითვე გარდაისახება საკუთარი ტექსტის მთავარ პერსონად“, მოთხრობაში ასევე შეინიშნება პროლოგისა და ეპილოგის ნაწილში, სადაც მოთხრობაში დასახული პრობლემის არსზე, როგორც ავტორის სატკივარზე, თავად გოდერძი ჩოხელი მსჯელობს მკითხველთან: „მე კი იმიტომ გწერ ამ ღია წერილს, რომ ვიცი: შენი გზა სიკეთის გზაა, სიკეთიდან გამომდინარე და სიკეთეში მიმავალი. არ ვიცი, იქნებ დონ კიხოტივით ვიქცევი, ან იქნებ ლუარსაბ თათქარიძესავით გიკიჟინებ, გამრავლდი-მეთქი, მაგრამ მოხარული დაგრჩები, თუ ჩემში ამათ კეთილ თვისებებს დაინახავ და ჩემს გულისწყრომას საწყენად არ მიიღებ. ... ხოლო მე დიდი ილიასა და დიდი სერვანტესის წინაშე ბოდიშს მოვიხდი, რამეთუ მათი გმირები გავითავისე და მათთვის ჩვეული ბრწყინვალეობა მოვაკელი მათ არსებობას.

სიყვარულმა გამაბედვინა ეს.

მე ხომ ლუარსაბი და დონ კიხოტი ისე მიყვარან...” (ჩოხელი, 2010: 10; 47). ეს ავტორის საუბარია პირად განცდებსა და პერსონაჟებთან დამოკიდებულებაზე, რომელსაც იგი სწორედ მოთხრობის წიაღში ავითარებს.

საინტერესოა, რატომ აირჩია პრობლემის გამოხატვის ეს გზა გოდერძი ჩოხელმა, იქნებ იმიტომ, რომ სათქმელის ირონიულ და იუმორისტულ სტილში გაშლა საუკეთესოდ შეესაბამებოდა სწორედ მის მიერ შერჩეულ ცნობილ პერსონაჟებს და, შესაბამისად, მათ ხასიათებში ჩარევის საჭიროებაც პრაქტიკულად აღარ იარსებებდა? გოდერძი ჩოხელი, როგორც უდიდესი ჰუმანისტი, უთუოდ ამ განზრახვითაც იმოქმედებდა, ვინაიდან მისთვის პერსონაჟის ხასიათის რადიკალური რღვევა ადამიანის სულში ხელის ფათურის ტოლფასი იქნებოდა, სწორედ ამგვარი ნიუანსების გათვალისწინებით, ორიგინალურ კლასიკურ ნაწარმოებებთან ორგანული შერწყმით გამოხატვა ახალი თანამედროვე პრობლემატიკისა, ბუნებრივია, ერთიორად რთული სამუშაო პროცესი და ამოცანაა მწერლისათვის, მაგრამ მოთხრობის კითხვისას მწერლის ნიჭიერების ხარჯზე არც ერთ ნიუანსში არ შეინიშნება ეს სირთულე და, ზოგჯერ, შინაგანად იმდენად მყარია ასოციაციის შეგრძნება, რომ მკითხველი, პრაქტიკულად, განუწყვეტლივ მოგზაურობს ორიგინალური ნაწარმოებებიდან „მემკვიდრე“ მოთხრობაში და - პირიქით.

ამრიგად, ნათელია, რომ გოდერძი ჩოხელი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი ყველა მიმართულებით ინარჩუნებს მაღალ შემოქმედებით ხარისხს. კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ მწერალი შესანიშნავად იცნობს სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობას, განსხვავებულ სალიტერატურო ხერხებსა თუ მეთოდოლოგიას, მათ შორის, მისი პიროვნებისა და შემოქმედებისთვის, ერთი შეხედვით, რადიკალურად დისტანცირებულ მიმდინარეობებსაც, როგორიცაა ამ შემთხვევაში პოსტმოდერნიზმი. მიუხედავად ჩვენ მიერ წინა პლანზე წამოწეული ელემენტებისა ამ მიმართულებით, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გოდერძი ჩოხელი არ არის შინაგანად პოსტმოდერნისტი მწერალი, თუნდაც იმიტომ, რომ მასთან არსებითად არის შეუთავსებელი უღმერთობისა და „ღმერთის სიკვდილის“ ფილოსოფიური იდეოლოგია, მისთვის, პოსტმოდერნისტი მწერლებისაგან განსხვავებით, ყოველთვის უმნიშვნელოვანესია ნაწარმოების შინაარსობრივი და იდეოლოგიური მხარე, მისი ინტერტექსტის ფუნქცია არავითარ შემთხვევაში არ არის „კლასიკური ტექსტის საზრისის ნიველირება და დესტრუქცია, რამდენადაც ციტატას კლასიკური ტექსტიდან პოსტმოდერნისტი „ავტორი“ მოიხმობს არა საკუთარი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის გასამყარებლად, არამედ კლასიკური ტექსტის პაროდირების მიზნით, რითაც პოსტმოდერნისტი „ავტორი“ ხაზს უსვამს კლასიკური ტექსტის მსოფლმხედველობრივი დისკურსის სიმულკრობასა და არაარსებობას“ (ბრეგაძე, 2013: 402). მართალია, მოთხრობა გადაწყვეტილია ირონიულ-იუმორისტულ ხასიათში, მაგრამ სათქმელის არსი უაღრესად სერიოზულია, ერთი მხრივ, ეროვნული თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში: „საქართველო არც შავი ზღვიდან იწყება, არც კიდენა დარიალიდან, საქართველო დედიდან იწყება, უფრო სწორედ, მრავალშვილიანი დედებიდან“ (ჩოხელი, 2010: 11) - ეუბნება ლუარსაბი დარეჯანს და ააშკარავებს მწერლის საწუხარს ერის გამრავლების პროცესის სახიფათო დამუხრუჭების შესახებ. აღსანიშნავია ასევე, რომ ეს პრობლემა არაერთ სხვა ნაწარმოებშია გამოკვეთილი, მათ შორის, „სულეთის კიდობანში“. „ლუარსაბისა და დონ კიხოტის შეპირისპირებით კი მწერალმა მიანიშნა, რომ თანამედროვე, არხეინად ჩაყურებულ თათქარიძეთა ხელში ჩავარდნილ საქართველოს მარადიული რომანტიკოსების კეთილშობილება და უპირობო თავგანწირვა თულა გადაარჩენს“ (ოჩიგავა, 2009: 40), ხოლო დონ-კიხოტის შეგონებაში - „თავისუფლებას მტრები ჰყავს, სანაო“ - სინამდვილეში გამოკვეთილია მარადიული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემა ადამიანის თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობების ფსევდო ფასეულობებად ტრანსფორმირების თაობაზე.

ლიტერატურა:

1. ავალიანი, 2008: ავალიანი ლალი, „პოსტმოდერნიზმი - ჩიხი თუ მომავლის ხელოვნება? ” ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ , 20 ივნისი, თბილისი, 2008, გვ. 2-4
2. ბრეგაძე, 2013: კონსტანტინე ბრეგაძე, „ქართული მოდერნიზმი“, თბილისი, 2013, 435 გვ.
3. ოჩიგავა, 2009: ოჩიგავა მადლენა, „ზოგი დიალექტური თავისებურებისთვის გოდერძი ჩოხელის ენაში“, თბილისი, 2009, 53 გვ.
4. ოჩიგავა, 2009: ოჩიგავა მადლენა, „ზოგი სტილური თავისებურებისთვის გოდერძი ჩოხელის ენაში“, თბილისი, 2009, 59 გვ.
5. ჩოხელი, 2010: ჩოხელი გოდერძი, თხზ. ტ. III, თბილისი, 2010, 378 გვ.
6. წიფურია, 2008: წიფურია ბელა, „პოსტმოდერნიზმი“. ლიტერატურის თეორია, „XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 362 გვ.
7. წულაია, 2013: წულაია სოფიო, „პოსტმოდერნიზმისაგან თავდასაღწევად“, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ №5, 8 მარტი, თბილისი, 2013, გვ. 31-34

Giorgi Khorbaladze
Gori State Teaching University
POSTMODERN TENDENCIES IN GODERDZI CHOKHELI'S SHORT STORY
“CHAINED KNIGHTS”
RESUME

Creation of postmodern texts intensively begins in 1990s of the previous century in Georgian literature. However, other signs of this trend are shown even in earlier works. While researching these tendencies, we haven't met any case in Goderdzi Chokheli's works that are proven or discussed as the postmodern trend, and we suppose that this is not fair, because Goderdzi Chokheli's some works have so distinguished signs of this trend that discussing these works as one of the first sources of this tendency would be definitely interesting. In this regard, in the given work we

discuss Goderdzi Chokheli's short story – “Chained Knights”. In our opinion, this short story could be considered as the perfect creation of this trend – of postmodernism, because according to one of the definition “postmodernism is a re-reading of a classical text by deconstruction.”

ეკა ჯავახიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი და რუსეთის პოლიტიკა საქართველოში

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ იაკობ გოგებაშვილი „საქართველოს შეერთებას“ რუსეთთან დადებითად აფასებდა. აქ, ექვი არ არის, რომ ამ დიდი მოაზროვნის შეხედულება იმ ეპოქის შესაბამისი იყო, როდესაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის დაუსვამს კითხვის ნიშანი რუსეთის ძალადობრივ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ, არავის უსაუბრია რუსეთის მიერ კავკასიის ანექსიისა და ოკუპაციის შესახებ. მიუხედავად ამისა, იაკობ გოგებაშვილი მწვავედ აკრიტიკებდა რუსეთის ხელისუფლების იმპერიულ-შოვინისტურ დამოკიდებულებას ქართველი ერისა და მისი კულტურის მიმართ, ხმალამოღებული იბრძოდა საკუთარი ხალხის ინტერესების დასაცავად.

გოგებაშვილის აზრით, რუსეთმა მშვიდობა მოუტანა ქართველ ხალხს, რომელიც ექვსი საუკუნის მანძილზე, XII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, თავგანწირვით ებრძოდა გარეშე მტრებს. იმ ფაქტის გამო, რომ საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს, გოგებაშვილი თვლიდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მეტად უნდა დაეფასებინა ქართველი ხალხი და ეზრუნა მის კეთილდღეობაზე. დიდი პედაგოგი რუსეთს ხშირად ახსენებდა მასაც, რაც ქართველებისაგან მიიღო. ის წერდა: „რუსეთმა გაიფართოვა თავისი ტერიტორიები საქართველოს მიწა-წყლით, მტკიცედ დამკვიდრდა იქ და ქართველების აქტიური დახმარებით დაიპყრო ამიერკავკასიის სახანოები, შემდგომ დაიმორჩილა კავკასიის თითქმის მიუვალი ციხე-სიმაგრეები, აიძულა სპარსეთი და თურქეთი ქედი მოეხარათ მისი მძლავრი გავლენის წინაშე და თავისი ძალაუფლება დაამყარა და უაღრესად განამტკიცა შუა აზიაში. მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველები უაღრეს თავდადებულ ერთგულებას იჩენდნენ მეფე-იმპერატორის და თავიანთი ახალი სამშობლოს - რუსეთის მიმართ. თითქოს სამართლიანობა მოითხოვდა, რომ სრული თანასწორუფლებიანობით ესარგებლნათ თავიანთ ერთმორწმუნე რუსებთან ერთად, მაგრამ ეს ასე არ იყო“ (გოგებაშვილი, 1990, 223).

გოგებაშვილი აკრიტიკებდა რუსეთს, რომელმაც 60-იან წლებში, პოლონეთის აჯანყების შემდეგ, ქართველები დასაჯა არარსებული წინააღმდეგობის გამო. გოგებაშვილის აზრით, თითქოს ახდა კანცლერ გორჩაკოვის ნათქვამი, რომ პოლონელები რუსებს გააბოროტებდნენ სხვა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ. მართლაც, საქართველოში დაიწყეს იმ რეპრესიული ზომების გატარება, რაც პოლონეთში გაატარეს. გოგებაშვილს მოჰქონდა რუსეთის საეკლესიო და საერო ხელისუფლების ჰუმანური პოლიტიკის რადიკალურით შეცვლის მაგალითები. იხსენებდა რუს ეგზარქოსს - ევსევს, რომელიც „ქართველებს ეპყრობოდა პირდაპირ ამაღელვებელი სიმპათიით. რუსეთიდან თბილისში ჩამოსულ რუს ჭაბუკებს იგი უკანვე ისტუმრებდა და ასე ეუბნებოდა: თქვენ გამიფუჭებთ ჩემს ქართველებს, გაბრუნდით უკან რუსეთშიო. მაგრამ 70-იანი წლების დამდეგს, თბილისიდან პოლონეთში გადმოიყვანეს ორი მოხელე დიდ თანამდებობაზე და ისინი ყოველდღე მოდიოდნენ მეუფესთან და როგორ გგონიათ? მისი დამოკიდებულება ქართველებისადმი ისეთი შარიანი და უსამართლო გახდა, რომ უმალესი ხელისუფალნი იძულებულნი იყვნენ, გადაეყვანათ იგი უფრო დაბალ თანამდებობაზედ, სახელდობრ, მარტო კათედრის გამგედ“ (გოგებაშვილი, 1990, 223).

გოგებაშვილი თვლიდა, რომ კავკასიის მხარის მმართველად დიდი მთავრის - მიხეილ ნიკოლოზის ძის ყოფნისას, ის ლოიალობას იჩენდა ქართველებისადმი, ნიშნავდა მათ დიდ თანამდებობებზე, რაც რუს შოვინისტებს აღიზიანებდათ. მთავარი კი ის იყო, რომ ქართველი თანამდებობის პირნი ღირსეულად ასრულებდნენ მინდობილ საქმეს, ხშირად რუს მოხელეებზე უკეთესადაც. ამის მაგალითად მას მრავალჯერ ჰყავს მოხსენიებული დაღესტნის მმართველი ქართველი გენერლები - ლევან მელიქიშვილი და ნიკო ჭავჭავაძე. „როგორც კი მისმა იმპერატორობითმა უმადლესობამ დატოვა ეს მხარე, ანტიქართული მიმართულება ამოდის კალაპოტიდან და ფართო ნიაღვრად ედება ყველა უწყებას. და ამჟამად

ქართველები ყველაზე დაჩაგრული ეროვნებაა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნულ უმცირესობათაგან“ (გოგებაშვილი, 1990, 224).

იმპერიული ხელისუფლებისაგან ქართველების ჩაგვრის ფაქტები გოგებაშვილს თავის პუბლიცისტიკაში მრავლად მოჰქონდა. ერთ-ერთია წერილი - „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“, რომელიც დაწერა რუსულად, როგორც ჩანს, რუსულ პრესაში გამოსაქვეყნებლად. პირველად მისი სათაური იყო - „Положение Грузии“, შემდეგ დაუმატა - „Нинешнее положение...“, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გოგებაშვილის ფონდში ინახება. წერილი შესულია მწერლის სხვადასხვა გამოცემებში. პირველად, სიმონ შონიას თარგმანი, ათტომეულის III ტომში გამოქვეყნდა. ქართველების ჩაგვრის ფაქტად მწერალს მოჰქონდა სხვადასხვა თანამდებობებზე - სასამართლოში, სახალხო განათლების სისტემაში, კავკასიის ადმინისტრაციაში ხელმძღვანელად - არაქართველი მოხელეების დანიშვნის მაგალითები, ქართული ენის დევნა-შევიწროება, ქართველ გლეხთა მფლობელობაში არსებული მიწის სიმცირე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა და სხვ. მართალია, წერილს თარიღი არ უზის, მაგრამ მასში დასმული პრობლემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის XIX საუკუნის 80-იან წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს. განსაკუთრებით ხაზი ესმება ქართველთა სიმცირეს სასწავლებლებში, რის მიზეზადაც ავტორი არა ქართველთა უნიჭობას, არამედ მათ დაბალ სოციალურ მდგომარეობას, ეკონომიკურ შეჭირვებას და რუსული ენის გაბატონებას მიიჩნევს.

იაკობ გოგებაშვილი ზოგჯერ თანმიმდევრული არ იყო რუსეთის როლის შეფასებაში. წინააღმდეგობაში ვარდებოდა, როდესაც XVIII საუკუნის პოლიტიკური მიმოხილვისას ერეკლე II-ს სუსტ პოლიტიკოსად თვლიდა რუსეთთან საქართველოს სამეფოს შეერთების გამო, შემდეგ კი ამ ნაბიჯს საქართველოს გადარჩენის აუცილებელ საშუალებად მიიჩნევდა. წერილში - „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“ - იგი წერდა, რომ რუსეთმა საქართველოში დაამყარა აშკარად ანტიქართული მიმართულება. ერს უნდა ებრძოლა ეროვნულ უფლებათა აღსადგენად, რაშიც ქართველ ხალხს „მემარცხენე, პროგრესული რუსეთი“ უნდა დახმარებოდა. ეს თვალსაზრისი დღევანდელი გადასახედიდან კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა დიდი პედაგოგის სურვილი და მოწოდების პათეტიკა სავსებით გასაგებია და მისაღები. „დროა, გავაჩალოთ დაუღალავი, ფხიზელი დაცვა ჩვენის დათრგუნულის უფლებისა, საარსო მოთხოვნილებისა, გავაჩალოთ რა მართო ჩვენს ენაზედ, არამედ სახელმწიფო ენის ლიტერატურაშიაც (ე.ი. რუსულ ენაზე), გავაცნოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა დაწინაურებულს დასს რუსეთისას, დავიხმაროთ იგი და დავიბრუნოთ ღირსეული სახელი და ადგილი კავკასიონის ერთა შორის. დროა დაბალი ღობის მდგომარეობა სამარცხვინოთ მივიჩნიოთ ყველამ და მაღალ ღობედ ჩვენს გადაქცევას მხნედ და გაბედვით ვეხმაუროთ. დროა, თორემ ზევ და მაზევ გვიან იქნება“ (გოგებაშვილი, 1990, 834).

მაინც, რა აძლევდა გოგებაშვილს იმის იმედს, რომ რუსეთში მოვიდოდნენ ძალები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დაუჭერდნენ მხარს?

ძნელია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის მოძებნა. გოგებაშვილი ხომ არ იყო გულუბრყვილო, რომ ამ იმედისათვის რეალური მიზეზები დაენახა. მან ხომ, მაშინდელი ქართველი ინტელიგენციისგან განსხვავებით, კარგად შეამჩნია ორმაგი სტანდარტი ისეთი რუსი მოხელის საქართველოსადმი დამოკიდებულებაში, როგორიც ვასილ ველიჩკო იყო, არ გამოეპარა მისი ვორონცოვისეზური მართვის მანერა, დიპლომატიური დამყრობლური პოლიტიკა, მაშ, ვის ელოდა უფრო უკეთესს, ქართველების ინტერესების დამცველს. მემარცხენე ძალებიო, აკი თავად გვიპასუხა. თუმცა ისტორიამ დაგვანახა შემდგომი პერიოდის მანძილზე, რომ არც ერთი ძალა, არც ერთი პარტია და მიმართულება არასოდეს ყოფილა რუსეთში, რომელიც საქართველოს განიხილავდა როგორც დამოუკიდებელსა და ეროვნულად თვითმყოფად ქვეყანას.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რუსული გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ ქართველების წინააღმდეგ მიმართული პათოსით გაჟღენთილ წერილებს. განსაკუთრებით აქტიურობდა - „Петербургския ведомости“. გოგებაშვილს ამგვარ წერილებზე მკაცრი რეაქცია ჰქონდა და ყოველთვის სცემდა მათ პასუხს. განსაკუთრებით აღიზიანებდა ქართული გაზეთები, რომელიც იმეორებდა რუსული პრესის პროვოკაციულ განცხადებებს და ხშირად მათ აძლევდნენ მხარს. ამგვარი შემთხვევები ხდებოდა სოციალისტური მიმართულების გაზეთებში, რომლის პუბლიცისტები თვლიდნენ, რომ ქართველებს არ უნდა გაერჩიათ თანამომეფთაგან სომხები თუ სხვა ერები და ამტკიცებდნენ საქართველოში გარკვეული ჰომოფობური ჯგუფების არსებობას. გოგებაშვილი ამგვარ თვალსაზრისს გამოხატავდა და ამას მიზანმიმართულ ცილისწამებასა და ქართველი ერის დისკრედიტაციას უწოდებდა.

სტატია - „ცილისწამება ქართველებზე“ გაზეთ „ივერიაში“ მეთაურ წერილებად, ხელმოუწერლად დაიბეჭდა 4-12 იანვარს, 1903 წელს (გოგებაშვილი, 1903, 3-9). მისი ავტორობა დადგინდა, რადგანაც გოგებაშვილმა ის შეიტანა თავისი ხელით შედგენილ თხზულებათა პირველ ტომში 1910 წელს.

ავტორის კრიტიკის საგანი გახდა რუსულ პრესას აყლილი გაზეთი „ცნობის ფურცელი“, სადაც საუბარი იყო ქართველების ჰომოფობიაზე. ავტორი ფსევდონიმით - „გრუზინი“ წერდა: „დაე, მათ თავი გაუბჟუნონ ჩვენს ჭადრა-შერთულს ინსტიტუტებს, რომელნიც იმავე წამსვე შეიყვარებენ ყველას, ვინც კი ქართველს რაინდად მოიხსენიებს, სომეხს კი ამაგებს“ („ცნობის ფურცელი“, 1905, 3019). ამის პასუხად გოგებაშვილი იძლეოდა ახსნა-განმარტებას: „ცილისწამება „გრუზინისა“ და უსამართლობა „ცნობის ფურცლისა“ ერთთვისებისაა და მავნებლობით ერთმანეთს არ დაუვარდება. კიდევ ჰო, ჰო, რომ ამ დაწამებაში მცირეოდენი სიმართლე მაინც მოიპოვებოდეს, მაგრამ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ მთელს საქართველოში დიოგენის ფარნითაც ვერ მოძებნიან რუსთა ერის და სომეხთა ერის მოძულეთა. არიან ქართველებში მოძულენი ამა თუ იმ უღირსი სომეხებისა და რუსებისა, როგორც არიან მოძულენი სულმდაბალ ქართველებისა, მაგრამ რა აქვს ამას საერთო ეროვნულ სიძულვილთან?“ („ცნობის ფურცელი“, 1905, 3019).

გოგებაშვილი, როგორც თავისი ერის პატრიოტი, ყოველთვის იცავდა ქართულ ინტერესებს, აკრიტიკებდა რუსულ კოლონიურ პოლიტიკას. ის ხშირად აღნიშნავდა იმ სამწუხარო მოვლენას, როდესაც რუსეთში არსებული მანკიერი მოვლენები აუცილებლად გადმოდიოდა საქართველოში, რაც შეეხება სიკეთესა და პროგრესს, ამას რუსული ხელისუფლება ნაკლებად იმეტებდა კოლონიური ქვეყნისთვის. „მოგეხსენებათ, რომ ყოველივე სენი რუსეთისა ჩვენც უსათუოდ გადმოგვედება ხოლმე, - წერდა იგი. - მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იგივე არ ითქმის სიკეთის შესახებ. ბევრი სიკეთე რუსეთისა ჩვენ სიკეთედ არ გადაქცეულა, ბევრი რეფორმა კავკასიონის ქედს ვერ გადმოსცილებია. ეს ქედი, ადვილი გადმოსალახავი ყოველი ცუდისათვის, გამოუვალ საზღვრად შეიქმნება ხოლმე სიკეთის გადმონერგვისათვის. რუსეთმა მიიღო ერობა, ნაფიცთა სამართალი, დააარსა სახალხო ბანკები და სხვანი. ჩვენ კი არცერთი ეს დაწესებულება არ გვაღირსა“ (გოგებაშვილი, 1990, 39).

ამავე წერილში გოგებაშვილი საუბრობდა რუსეთისთვის პარლამენტის დაარსების სიკეთეზე, თუმცა ეჭვი შეჰქონდა, რომ იმავე სიკეთეს ეს საკანონმდებლო დაწესებულება ვერ მოუტანდა საქართველოს. ამას აფიქრებინებდა 60-70-იანი წლების რეფორმების ხასიათი, რაც საქართველოსთვის ვერ გამოდგა ისეთივე შედეგიანი, როგორც ცენტრალური რუსეთისთვის.

„ჩვენ, აგრეთვე, მოვისურვეთ, გულით ვინატრეთ პარლამენტის დაწესება რუსეთში, - წერდა გოგებაშვილი, - ოღონდაც რომ პარლამენტი დიდი ღვთის წყალობაა რუსეთისთვის, დიდად შეუწყობს ხელს მის წინსვლა-წარმატებას, განვითარებას, აყვავებას, მაგრამ ამ სიკეთეს ჩვენც მოგვითანს რუსეთის პარლამენტი?!“ - პუბლიცისტის ამ კითხვაში პასუხიც იკითხებოდა, პასუხი უიმედო და საქართველოსთვის მძიმე (გოგებაშვილი, 1990, 39).

არა მარტო რუსეთის მიერ წინა პერიოდში განხორციელებული პოლიტიკა იყო გოგებაშვილის პესიმიზმის საფუძველი, არამედ ევროპის დიდი ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის გამოცდილებაც. მას თავის წერილებში მოჰქონდა კიდევ ეს მაგალითები. ევროპული კოლონიალიზმი, რაც პატარა ერების ჩაგვრის ინსტრუმენტი იყო, გოგებაშვილს მიაჩნდა იმის მიზეზად, ეჭვი გამოეთქვა რუსული პარლამენტარიზმის მიერ დამორჩილებული ერებისათვის სიკეთის მოტანაზე. ის წერდა, რომ რამდენიმე საუკუნე იყო გასული მას შემდეგ, რაც ინგლისს პარლამენტი ჰქონდა, მაგრამ ამას ირლანდიელი ხალხისთვის სიკეთე და აღორძინება არ მოუტანია, არ გაუმდიდრებია იგი, პირიქით, ირლანდიის მოსახლეობის რიცხვმა ერთიორად იკლო. რომ არა ამერიკაში გადასახლებული მდიდარი ირლანდიელების მხარდაჭერა, მას განადგურება ელოდა, მაგრამ მათ აიძულეს ინგლისის ხელისუფლება, გამოეცხადებინათ ირლანდიის თვითმმართველობა, მისი ავტონომიის აღდგენაში ხელი არ შეეშალათ.

მეორე მაგალითად პრუსიის პარლამენტის მაგალითი მოჰქონდა, წერდა, რომ ეს პარლამენტი განთქმული მეცნიერებისა და რადიკალი პოლიტიკოსებისაგან შედგებოდა, მაგრამ ასეთი ადამიანებიც კი არაფერს აკეთებდნენ ადამიანის უფლებების დასაცავად პრუსიაში, პირიქით, მიწასთან იყო გასწორებული პოზიციის პოლონელთა უფლებები. ასევე ავიწროებდა, მისი აზრით, უნგრეთის პარლამენტი მასთან შეერთებულ ხორვატებს. წარსულისა და თანამედროვეობის მაგალითებით მას გამოჰქონდა დასკვნა, რომ „ყოველს პარლამენტში გამეფებულია მთავარი ერის ეგოისტური მიმართულება, ვიწრო ნაციონალიზმი და ეს ერი სარგებლობს თავისი დეპუტატების სიჭარბით, რათა შეავიწროვოს, შებოროტოს, შეასუსტოს, დაამციროს და მიწასთან გაასწოროს შემოერთებულნი, რიცხვით მცირე ერნი და სამაგიეროდ თავისი თავი გაამდიეროს, ააღორძინოს, შემჭიდროებული ერების ავლა-დიდება თვითონ დაისაკუთროს და სიმსუქნით აივსოს“ (გოგებაშვილი, 1990, 41).

ეს წერილი მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც რუსეთის პარლამენტი ის იყო, ისახებოდა, ჯერ მისი მუშაობის შედეგები ცნობილი არ იყო (გოგებაშვილი, 1905, 64). იაკობ გოგებაშვილმა თითქოს იწინასწარმეტყველა იმ წლების ვითარება, როდესაც სახელმწიფო დუმა მუშაობდა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ინტერესების დასაცავად, პირიქით, მათ გამოყოფდა რუსი ერისგან და „ინოროდებად“ აცხადებდა.

წერილში გოგებაშვილი გადმოგვცემდა თავის პოლიტიკურ კრედოსა და სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებებს. მისი აზრით, მეფე შეიძლება კაცთმოყვარე ყოფილიყო, პარლამენტი კი ამგვარი ვერ იქნებოდა. იგი წერდა: „მე უფრო მეტ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ: თვითმპყრობელი ხელმწიფე შეიძლება კაცთმოყვარე იყოს, მაგრამ ცენტრალური პარლამენტი კი ყოველთვის ყოფილა და არის გამომხატველი და წარმომადგენელი მთავარი ერის ეგოიზმისა. მთავარი ერის სიკეთით განმსჭვალული პარლამენტი უსულგულობას რომ იჩენს მცირე ქვეშევრდომ ერების შესახებ, ნამდვილი ფაქტია, ფაქტი საყოველთაო, სამწუხარო და მეტად საგულისხმიერო“ (გოგებაშვილი, 1990, 42).

იმას, რომ რუსეთის პარლამენტარიზმი თავად რუსეთს გამოდგომოდა და სხვა არარუს ერებს, მათ შორის ქართველებს კი - არა, გოგებაშვილს აფიქრებინებდა რუსი შოვინისტების პათეტიკა, მათი პოლიტიკა მცირე ერთა მიმართ. სწორედ ეს ადამიანები შედიოდნენ პარლამენტში და, რაღა გასაკვირია, რომ მათგან რაიმე სასიკეთოს არ მოელოდნენ ქართველი ერის პატრიოტი შვილები. გოგებაშვილი ამის გამო წუხდა: „თუ ასეთ ნაციონალურ ეგოიზმსა და შეუწყნარებლობას იჩენს ცენტრალური პარლამენტი განათლებულ ევროპასა და ამერიკაში, მით უფრო უნდა მოველოდეთ ამას რუსეთის ცენტრალური პარლამენტისაგან, სადაც დიდი უმრავლესობა დეპუტატებისა კუთვნილება იქნება მთავარი ერისა და სადაც ისინი სუვორინებს, კრუშჩევანებს, მეშჩერსკებს, კატკოვებსა და სხვა რეტროგრადებს ბანს მისცემენ ჩვენი გარუსების შესახებ. მას აჰყვებიან თვით რუსი რადიკალები, თვით სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ერთა მეთაურების მოტრფიალენი არიან და გაიძახიან: ძირს პარტია, ერთა ნაციონალიზმი და ავტონომია“.

გოგებაშვილი ერთგვარად წინასწარმეტყველებდა მომავალი რუსული პარლამენტის პოლიტიკურ-სოციალურ კრედოს, მის რეაქციულ პოლიტიკას ქართველი ერისადმი. მისი აზრით, რუსეთის პარლამენტი გააძლიერებდა რუსული ბიუროკრატის დაწყებულ საქმეს: გაამეფებდა საქართველოს სკოლებში რუსულ ენას, განდევნიდა დედაენას, არც სასამართლოსა და არც ადმინისტრაციულ დაწესებულებებში ქართველების დანიშნვას არ დაუჭერდა მხარს, „გააძლიერებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთიდან გადმოსახლებული რუსის მუჟიკების საშუალებით მიზნათ აქვს გარუსება საქართველოში. საქართველოსი-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეს პოლიტიკა არათუ ქართველებს არუსებს, არამედ სწადია გარუსება ტერიტორიისა, მიწა-წყლისა, ქართველ მესაკუთრეთა შემცირება და ბოლოს, გაქრობა. ამგვარ პოლიტიკას ადგია პრუსიის პარლამენტი პოზნანის მიართ და ბავშვობა იქნება ვიმედოვნოთ, რომ რუსეთის პარლამენტი არ იკადრებს ჩვენს შესახებ ამისთანა უდიერობას. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ჩვენ ვერ გავუწევთ იმ მედგარ წინააღმდეგობას საქართველოს გარუსების შესახებ, რომელსაც უწევენ პრუსიას პოზნანის პოლონელები, ჩვენზე უფრო განათლებულნი. მხნენი, ძლიერი ნაციონალიზმით აღფრთოვანებულნი და სამაგალითო ერთობით შეკავშირებულნი“ (გოგებაშვილი, 1990, 43).

გოგებაშვილი ღრმად აანალიზებდა ქართველი ერის მეგობრულ დამოკიდებულებას სხვა ერებთან, ეხებოდა და აკრიტიკებდა რუსი მოხელეების უსულგულო პოლიტიკას ქართველთა მიმართ. მისი აზრით, ჩვენი წინაპრები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ მთელს კავკასიაში. ეს დამოკიდებულება არც ცარიზმის ბატონობის ხანაში არ შეცვლილა. საამისოდ დიდ პედაგოგს მოჰქონდა ქართველი სამხედროების დაღესტნის მმართველად დანიშვნისა და მათი ავტორიტეტის მაგალითები (გოგებაშვილი, 1911, 261).

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებით უპირისპირდებოდა რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის გამტარებლებს, მათ, რომელთაც ქართველი ერის ასიმილაციის იარაღად რუსული სკოლის გამოყენება სურდათ. დიდი ქართველი ჰუმანისტი ამ იმპერიულ იარაღს უპირისპირებდა ეროვნულ სკოლას, რომლის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი თავად იყო (გოზალიშვილი, 1990, 123). მისი კრიტიკის საგანი იყვნენ არა მარტო შოვინისტი და აშკარა ანტიქართველები, არამედ ქართველებისადმი ერთგულად განწყობილი მოხელენიც, ისეთი, როგორიც გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო იყო. ის ველიჩკოს მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მხარეებს აანალიზებდა და ამგვარ მოხელეებს „მოყვარე-მტრებს“ უწოდებდა (გოგებაშვილი, 1904, 133).

იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება რუსეთის იმპერიული პოლიტიკისადმი სავსებით პასუხობდა დიდი ქართველი პატრიოტის, ილიას ერთგული თანამებრძოლის, ლიბერალ-დემოკრატი მოაზროვნის ეროვნულ ინტერესებს, წარმოადგენდა ჯანსაღ შეხედულებებს ხალხთა ურთიერთობისა და პოლიტიკური ინტერესების შესახებ, მათ შორის ურთიერთპატივისცემასა და გაგების მიღწევაზე. ამ შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, მათგან ბევრი რამ კვლავაც საგულისხმოა და გასათვალისწინებელი.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი, 1990, 223; იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტომი V, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1990;

2. **გოგებაშვილი, 1903, 3-9:** იაკობ გოგებაშვილი, „ცილისწამება ქართველებზე“, გაზეთი „ივერია“, №№3-9, 1903;
3. **„ცნობის ფურცელი“, 1905, 3019:** იაკობ გოგებაშვილი, „პატარა შენიშვნა უდიდეს საგანზე“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №3019, 1905;
4. **გოგებაშვილი, 1911, 261** - იაკობ გოგებაშვილი, „ქართველთა დამოკიდებულება სხვა ერების მიმართ“, „სახალხო გაზეთი“, №261, 1911;
5. **გოზალიშვილი, 1990** - შ. გოზალიშვილი, „ერის დიდი მოამაგე იაკობ გოგებაშვილი და მოწინავე საზოგადოებრიობა“, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1990;
6. **გოგებაშვილი, 1904, 133:** იაკობ გოგებაშვილი, „მოყვარე თუ მტერი?“, გაზეთი „ივერია“, №133, 1904.

Eka Javakhishvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
IAKOB GOGEBASHVILI ABOUT RUSSIAN POLICY IN GEORGIA
RESUME

Iakob Gogebashvili was a great Georgian teacher, and public figure in the nineteenth century. He positively considered "Georgia's accession to the Russia." However, he criticized the Russian government's Imperialistic and chauvinist policy of the Georgian nation and its culture. Gogebashvili fought against Russian officials and defending the interests of the Georgian Nation. His views about the relationship between nations and their political interests, including the achievement of mutual respect and understanding was correct Iakob Gogebashvili. Attitude toward Russia's imperial policy was identical to the addiction of Ilia Chavchavadze, the great Georgian Liberal - Democrat thinker and a patriot. The views of these two well-known public figure is still topical.

პედაგოგიკის სექცია
Section of Pedagogics

ნათელა ადუაშვილი
 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი

იაკობი, როგორც უდიდესი თანამედროვე და მისი თვალთ დანახული ვარიანი

„ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენი პატრიოტების მოქმედებისა და ნატურისა მოქცეულ უნდა იქნას არა უკან აზიისაკენ, არამედ წინ ებროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება მეცნიერება და გამოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი“ (ეს სტრიქონები 1882 წელს დაიწერა იაკობის მიერ)

გორის მახლობლად, ლიახვის პირას, ხალისიანად არაკრავებულ ფშანებითა და ბუღბუღების გალობით, გომურებიან პატარა სოფელ ვარიანში 1840 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, ქართულ პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და საზავშვო მწერალი, რომელსაც ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის იმ საამაყო შვილთა შორის, რომლებმაც დიდი ქმნილებითა და სამშობლოსადმი თავდადებულ სამსახურით უკვდავყვეს თავიანთი სახელი.

ჩვენი სოფელი (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით)

„ჩვენს სოფელს ვარიანი ჰქვია. მცხოვრებნი სულ გლეხები არიან. ას კომლამდე იქნებიან. ახლო-მახლო ცხოვრობენ, ქვითკირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგია. სხვები ცხოვრობენ, ან მიწურებში ან ქვა-ტალახა სახლებში. სახლებისვე გვერდით გადაკეთებული აქვთ ბოსლები და ბაკები. ამის გამო

სოფელს სისუფთავე აკლია. რადგანაც სოფელი მჭიდროდაა დასახლებული, ამის გამო პატარა ადგილი უჭირავს.

შიგ შუა სოფელში აშენებულია ქვითკირის საყდარი ღვთისმშობლის სახელობაზე, საყდრის ზეით და ქვეით ამოჩუხჩუხებს მიწიდან ორი ვებერთელა წყარო. ეს წყაროები ქვემოთ ერთდება და აჩენს მოზრდილ ფშანსა ამ ფშანში ბევრი თევზი ბუდობს, მათ შორის კალმახიც, ყველა თევზზე გემრიელი.

პატარა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა.

იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა, იქა ვტკბებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით. იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლის ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, იქაური მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მოვყავდი: იქ ვისწავლე ბევრი ქართული ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშობელი ხალხი, იქვე სასაფლაოზე არიან მარხიან ჩემი ძვირფასი დედ-მამა, ძმები, ნათესავები".

მუზეუმი

იაკობ გოგებაშვილს სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1958 წელს. გახსნიდან დღემდე მრავალმა ათასმა (მილიონზე მეტმა) დამთვალიერებელმა მოინახულეს მუზეუმი. უკანასკნელ წლებში კი საგრძნობლად გაიზარდა დამთვალიერებელთა რიცხვი.

გასულ 2013 წელს მუზეუმი დაათვალიერა 15000-ზე მეტმა დამთვალიერებელმა.

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი ფართო საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა. სისტემატიურად ვაწყობთ მოძრავ გამოფენებს, ვატარებთ სამეცნიერო სესიებს, ლექცია-საუბრებს, ღია გაკვეთილებს, ლიტერატურულ დილა - საღამოებს, ღონისძიებებს ყოველწლიურად ტარდება სახალხო ზეიმი „იაკობობა“. მუზეუმის ძირითად ფონდში ირიცხება 2500-ზე მეტი ექსპონანტი. ფონდი სისტემატიურად მდიდრდება ახალი ექსპონანტებით.

წელს მუზეუმს უტარდება კაპიტალური რემონტი.

სკოლის გახსნა ვარიანში

იაკობ გოგებაშვილი იყო პატიოსანი, ბრწყინვალე პიროვნება, ნამდვილი პედაგოგი, მწერალი, რომელიც თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა პედაგოგიის სიყვარულს (არტურ ლიასტი)

იაკობმა კარგად იცოდა, რომ ერთი მუჟა საქართველოს გადარჩენა, მხოლოდ განათლებით შეიძლებოდა, ამიტომ იაკობი თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს ურიცხავდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. რათა ამ საზოგადოებას ამ თანხით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაეხსნათ ქართული სკოლები და იქ სწავლა უფასო ყოფილიყო, რომ ყველას ღარიბსაც და მდიდარსაც შეძლებოდა წერა-კითხვა შეესწავლა.

იაკობი, მართალია, თბილისში მოღვაწეობდა, მაგრამ მას არც ერთი წამი არ დავიწყებია, თავისი პატარა მშობლიური სოფელი ვარიანი. იაკობმა თავის კუთვნილ ოთახში 1900 წელს გახსნა ორკლასიანი სკოლა, სადაც სასკოლო ავეჯი, სახელმძღვანელოები იაკობმა საკუთარი თანხით შეიძინა და გამოუგზავნა ამ სკოლას.

მასწავლებლად დანიშნა და გამოაგზავნა თავისი ძმისშვილი ალექსანდრე გოგებაშვილი. მასაც საკუთარი ხარჯებით უხდიდა ხელფასს, სკოლაში სწავლება უფასოდ მიმდინარეობდა და აი ასე უსასყიდლოდ შეასწავლა იაკობმა ვარიანელ გლეხის შვილებს წერა - კითხვა. „ასე, რომ, პატარა სკოლაზე ღარიბ ვარიანს გროშიც კი არ ეხარჯებოდა" (ი. გოგებაშვილი, ტ. IV, გვ. 505)

1900 წლიდან 1905 წლამდე ვარიანში პირველ ორკლასიანი სკოლის პირველი მასწავლებელი იყო იაკობის ძმისშვილი ალექსანდრე გოგებაშვილი.

1905 წ. რევოლუციის დროს სკოლა დაიხურა, გაიხსნა 1911 წელს და მასწავლებლად დაინიშნა იაკობის ძმისშვილი ქრისტიანე ბიბილური-კასრადისა, რომელიც მუშაობდა 1916 წლამდე.

1916 წლიდან - 1918 წლამდე (ვინმე) ნატაშა

1920 წლიდან - არჩილ კავლელაშვილი და ალექსანდრე გოგებაშვილი.

1921 წლიდან შეწყდა სწავლა და განახლდა 1924 წელს, ამ წლიდან მასწავლებლად იყო ვ. ბალამწარაშვილი.

1927 წელს იაკობის მიერ გახსნილი ორკლასიანი სკოლა გადაკეთდა ოთხწლედად, რომლის გამგე ყოფილა ვასილ მადრაძე.

ომი რომ დაწყებულა, შეიდწლედის დირექტორი სტეფანე ქარელი ომში გაუწვევიათ, სკოლის დირექტორად კი დაუნიშნიათ შესანიშნავი პიროვნება, განსწავლული და ენერგიული მარიამ ზარქუა.

დიდი სამამულო ომის წლებში სოფელში ჩამოვიდა და მასწავლებლად მუშაობა დაიწყო იაკობის მისწავლა შალვა გოგებაშვილმა.

1954 წელს ვარიანში აშენდა რაიონში პირველი ტიპური სკოლის ლამაზი შენობა, რომელსაც იაკობის სახელი ეწოდა. სკოლის მშენებლობა, რომელსაც მაშინ არც თუ ისე იოლი იყო პარტიის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის ივანე ყუჯიაშვილის ინიციატივითა და რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, გაბრიელ კეჩუაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მთელი რაიონის მონაწილეობით მიმდინარეობდა.....

დიდი იაკობის ღვაწლის შედეგი, მისი ოცნების ასრულებაა ისიც, რომ ჩვენთან სახელმწიფოებრივ ენად ქართული ენა დაკანონდა, და რომ ახლა ასე ფართოდ არის ყურადღება გამახვილებული ქართული ენის სიწმინდეზე. იაკობი თავისი მოძღვრებით თავის ენის დამკვიდრებაში უანგარო წვლილით მუდამ თანამედროვეა, ასეთად დარჩება, იგი მომავალ თაობებისათვის.

იაკობი

იაკობი 1863 წელს დაბრუნდა საქართველოში კიევიდან. 1865 წელს 25 წლის ჭაბუკი უკვე გამოსცემს წიგნს - „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, როგორც ამბობენ, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ასე ახალგაზრდა კაცი ადგენს სახელმძღვანელო წიგნს, ანბანის სახელმძღვანელოს, მაგრამ ასეთი გამონაკლისები, ალბათ, კაცობრიობის ისტორიამ იცის, საქმე გენიოსთან გვაქვს.

ღირსაცნობი ფაქტი : ლევ ტოლსტოის 43-44 წლის ასაკში შეუქმნია საანბანო წიგნი და სიამაყით უთქვამს: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანით“ სამარადისო ძეგლი დაგიდგით“. ამას ამბობს კაცი, რომელიც იმ დროს ავტორი იყო რომანისა, „ომი და მშვიდობა“. და იმავე პერიოდში წერდა „ანა კარენინას“, მაგრამ, რაც იყო საანბანო წიგნის ფასი ერისათვის, იცოდა დიდმა მწერალმა და ამიტომაც იწონებდა თავს.

ამ გადასახედიდანაც თუ შევაფასებთ იაკობ გოგებაშვილის პიროვნებასა და ღვაწლს, კიდევ უფრო კოლორიტულად წარმოაჩენდა მისი გრანდიოზული ფიგურა.....

იაკობ გოგებაშვილი იმ ერთეულ მამულიშვილთა რიგს ეკუთვნის, რომელსაც განგება მცირე ერს მეგზურად და მხსნელად მოუვლენს ხოლმე.

განგებით მოვლენილი იმთავითვე მამულის ტარიგად არიან გამზადებულნი და ასეთი ხვედრი ერგო იაკობ გოგებაშვილსაც, მშობელი ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობისგან ტკივილშლილი, რუსიფიკაციისა და უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლისაგან ქანცაცლილი მტკვარში გადაეშვა თავის დასახრჩობად, დევნიტ და შევიწროვებით არაქათგამოცლილს სულით დაავადებულთა განყოფილებაშიც კი მოუწია მკურნალობა, შემდეგ ჩაიძირა დაწვა თავის „გემები“, ზურგი აქცია სახელმწიფო სამსახურს და უკან არ მოუხდია, ყველა ნაფიქრი და ნააზრევი მთელი თავისი გული და გონება ეროვნული სახალისო სკოლის, მშობელი ხალხის განათლების საქმეს შეაღია, რის შედეგადაც იშენენ უკვდავი „დედა ენა“, დიდებული „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“ - გვირგვინი ქართული პედაგოგი აზრისა, მაგრამ არც ეს გზა გამოდგა იოლად სავალი, ამ გზაზეც ჯარად აღმოჩნდნენ უმეცარნი და მოშურნენი, რენეგატნი, ქართული საქმისა და ეროვნული სახალხო სკოლის „მოკეთენი“, შინაური თუ გარეშე მტრები.

თვით ოჯახი ვერ შექმნა, უცოლშვილოდ გადაეგო, მაგრამ მისი სიბოძო და სიყვარული თანაბრად ეფინებოდა ყველა ქართველს.

ერის სიყვარულში, მისი მომავალი თაობის აღზრდაზე ფიქრში დასრულდა იაკობის სიცოცხლე.

„დიდებული ადამიანო, ინუგეშე მით, რომ შენ ამაგს, შენ სახელს, არც-ერთი ქართველი არ დაივიწყებს. ვიდრე ქართველობა არსებობს ქვეყანაზე და, რამდენიც დრო გავა, უფრო ბრწყინვალე შარავანდედით შეიმოსება იაკობ განმანათლებელის უკვდავი სული“.

სიმღერის სიყვარული

სიმღერის სიყვარული ბავშვობიდანვე დაეუფლა იაკობის გულს და ცხოვრების ბოლომდე არ განელებია.

იაკობის განსაკუთრებული სიყვარული სიმღერისადმი არ ნიშნავს თითქოს დიდ პედაგოგს სულ სასიმღეროდ ჰქონდა საქმე. იაკობი ახალგაზრდობიდანვე მძიმე სენით - ჭლეტით იყო დაავადებული და მთელი სიცოცხლე ავადმყოფობდა. მკაცრ დიეტას იცავდა და თითქოს ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. ნიადაგ სიკვდილს მოელოდა და თავს დაოჯახების უფლებას არ აძლევდა. ათასი ტკივილი აწუხებდა ხალხის სატკივარისა და მუდამ გულდამძიმებული დაიარებოდა, მის კეთილ თვალებში ნალევლს ჩაებუდა და მის სევდას საზღვარი არ ჰქონდა, შემდგომ ერთმა მწერალმა „სევდის შვილი“ უწოდა. სიმღერა კი მისთვის შვება იყო, სულის მალამო, როცა მარტო დარჩებოდა, წაიმღერებდა და სიმღერა უქარვებდა დარდს.

„ამას სიმღერა ძალიან უყვარდა“, - იგონებს იაკობის ძმისშვილი შალვა გოგებაშვილი - სიბერეშიც, გარიჟრაჟზეც ხშირად გამოვლენილიყო მისი სიმღერას, გამკვირვებია, ამას, ვინ მღერის, „ოროველა“ საიდან ისმის მეთქი. წამოვმდგარვარ, შემხედნია ბიძაჩემის ოთახში, ვხედავ თავის გრძელ კაბაში გახვეულს, ფეხები ფლოსტებში წაუყვია, სეირნობს თავისთვის და ღიღინებს ტკბილად და საამურად.

იაკობი საოცრად მოწესრიგებული პიროვნება იყო. თავის დღეში მცირედენ უწესრიგობასაც კი არ შეიტანდა; არც სმა-ჭამაში, არც გართობაში, არც სეირნობაში, არც მოსვენებაში.

დასკვნა

ჩვენ ზოგადად გავადევნეთ თვალი იაკობის ღვაწლს, შეიძლება მეტი თქმულიყო ბევრი თქმულა და ითქმევა კიდევაც. თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ დღემდე ძალაში რჩება ვასილ ბარნოვის აზრი: „იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს....“

გადის წლები, ათასწლეულებიც, იცვლებიან თაობები, იცვლებიან მთავრობებიც და სოციალურ-პოლიტიკური წყობებიც, მაგრამ საუკუნე-ნახევრის წინათ იაკობის მადლიანი კალმით შექმნილ სწავლიების მეთოდიკას, პრინციპებს დრომ ვერაფერი დააკლო. იგი გამრავალფეროვანდა, გაფართოვდა, დაიხვეწა, (ეს ცხოვრების კანონია), მაგრამ ბაზისად და საფუძვლად მაინც ის „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვა, მნიშვნელოვანი პუბლიცისტური თუ მხატვრული ნაწარმოებები უდევს, რომლებიც კალამდალოცვილმა პედაგოგმა დაგვიტოვა. დღეს, როდესაც დაწყებითი კლასების სწავლებაში ძირითადად მაინც იმ საფუძვლებს ვუყენებთ, როგორ შეიძლება, რომ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მხოლოდ გასული საუკუნის კუთვნილებად გამოვაცხადოთ.

- დრომ, რომ ვერაფერი დააკლო იაკობის შემოქმედებას, სწორედ ამიტომაც გოგებაშვილი დიდი თანამედროვე;

- სანამ ქართული ენა და ერი (ეს ორი განუყოფელი ფენომენი) იარსებებს, გაუხუნარი იქნება იაკობის „აი ია“, შეუცვლელი იქნება ის პირველი წიგნი, რომლითაც მომავალი ქართველები დაიბრძნებენ;

- სწორედ ამიტომაც იაკობ გოგებაშვილი უდიდესი თანამედროვე, პირველთაგან პირველი მეზაირახტე, რომელიც დღესაც ჩვენს გვერდით დგას, რომელიც პრობლემების გადაწყვეტის მისეულ გზას გვთავაზობს.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ, 1954;
2. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბ, 1954;
3. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბ, 1955;
4. გიორგი გოგოლაშვილი, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა ინტელექტი, თბ, 2012;
5. დავით კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, 1940;
6. მოგონებები სოფელ ვარიანში მცხოვრები გლეხებისა.

Natela Aduashvili

House Museum of Iakob Gogebashvili

IAKOB - AS THE GREATEST CONTEMPORARY AND VARIANI, SEEN THROUGH HIS EYES RESUME

We have generally reviewed the merits of Iakob Gogebashvili, though it would be better to say more about this honoured person. However, we still fully agree with Vasil Barnov's opinion: "Iakob Gogebashvili was much greater figure than we can even imagine".

Many years have passed, and generations, governments and social-political conditions have changed, but Iakob Gogebashvili's teaching methods and principles developed a century and a half ago has not been affected by time, on the contrary they became more diverse, expanded and perfect (this is the law of life) but "Mother Tongue", "The Door to Nature" and other significant scientific or fiction works have remained as the main foundation, so that how can we declare that the pedagogical and social activities of I. Gogebashvili belongs to only the last century.

Time has not been able to negatively affect his works and that is why I. Gogebashvili is considered to be a modern outstanding person even up to the present day. Until the Georgian language and nation exist, Gogebashvili's "ai ia" will always be unfading, the primary book will be indispensable for the future generations.

That is why Iakob Gogebashvili is considered to be one of the most significant modern figures who still stands beside us offering his ways to solve problems.

ზნეობრივი აღზრდის სპეციფიკა

XXI საუკუნის განვითარების ერთ-ერთი ნიშანია ზნეობრივი განგაში. კაცობრიობის აზროვნებაში ნათლად გამოიკვეთა სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის რღვევის განცდა.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე მატერიალურ ფასეულობათა მოპოვებისა და დაგროვების ზღვარდადებულმა მისწრაფებამ საფრთხე შექმნა კაცობრიობის სულიერებას, რა აზრი აქვს ზნეობრივ ცხოვრებას. ან აქვს კი მას აზრი საერთოდ? ზნეობრივი იდეალები აშკარად შეიცვალა ეკონომიკური წარმატების სურვილმა, თუმცა ცნობილი ფაქტია, რომ ცალკეული ადამიანის სულიერების დონე განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების ხვალისდელი დღეს, დროის ცვალებადობას უძლებენ მხოლოდ მარადიული ზნეობრივი ღირებულებები. მათი ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალება კი სასწავლო დაწესებულებები, სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემა, საზოგადოებრივი ურთიერთობანი და, საერთოდ, ის გარემო, რომელშიც ყალიბდება პიროვნება.

აღზრდის პროცესს დღეს გაცილებით მეტი ევალეზა სულიერი განვითარების თვალსაზრისით, ვიდრე თუნდაც ანტიკურ ხანაში. როგორც ანდრე მორუა წერდა, „მომავალი საუკუნე ან სულიერების იქნება, ან არ იქნება საერთოდ.“

ნებისმიერი აღზრდის სისტემა უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ფილოსოფიურ სისტემებს, განსაკუთრებით მის ერთ-ერთი ნაწილს, ეთიკას. ეთიკას განსაზღვრავენ როგორც ფილოსოფიურ მიმდევარს ზნეობის შესახებ. თვითონ ზნეობა განიმარტება, როგორც ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება და ყოფაქცევის ნორმებს ამა თუ იმ საზოგადოებაში.

სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა ზნეობრივი აღზრდა. იგი გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბებული კვლევის წესების, ნორმების შეთვისებას და შესაბამისი ქცევების გამომუშავებას.

ზნეობრივ აღზრდას შორეულ წარსულშიც უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, რომ თურმე ძველი ბერძენი მასწავლებლებიდან კატეგორიულად ითხოვდნენ მათი შვილების ზნეკეთილობაზე უფრო მეტი ეზრუნათ, ვიდრე კითხვასა და მუსიკაზე.

ზნეობრივი აღზრდა ისტორიული ხასიათისაა. ზნეობრივი წარმოდგენები იცვლებიან საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად. ეს ცვლილებები არ ხდება სტიქიურად. მათი მიზეზია ეკონომიკისა და საერთოდ საზოგადოების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები. სწორად წარმართული ზნეობრივი აღზრდის პროცესი უზრუნველყოფს ზნეობრივი შეგნებისა და ქცევის ერთიანობას. მორალური აღზრდის მიზანია ადამიანში ისეთი აზრის დანერგვა, რომ ზნეობრივი მოქმედება გაცილებით მომგებიანია, ვიდრე არაზნეობრივი. დადებით ზნეობრივ თვისებებს ქადაგებდა საუკუნეების განმავლობაში რელიგია და სხვადასხვა მორალური ეთიკური თეორიები.

ეთიკური თეორიები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ზნეობრივი აღზრდა მთელი აღმზრდელობითი სისტემის განმსაზღვრელია. იგი ყოველთვის განიხილებოდა აღმზრდელობითი საქმიანობის კრიტერიუმად. ცნობილი გერმანელი პედაგოგი იოჰან ჰერმარტი აღნიშნავდა, რომ აღზრდის მთელი შინაარსი და ამოცანა შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს - ზნეობა.

აღზრდის პროცესი, რომელიც ადამიანზე მიზანდასახულ ზემოქმედებას გულისხმობს, არის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა. ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს სუბიექტების ურთიერთობას და შეისწავლება ეთიკის მიერ. აღზრდაში ვლინდება აღმზრდელის ზრუნვა და დახმარება აღსაზრდელისადმი. ამდენად, ეს პროცესი თავისთავად ზნეობრივია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობა არ იფარგლება მხოლოდ სხვებისადმი ზრუნვით და დახმარებით. ეს პროცესი აუცილებლად შეგნებული უნდა იყოს.

აღზრდის პროცესში თითოეული მონაწილის მოქმედება განსაზღვრულია პედაგოგიური ნორმებით და წესებით.

პედაგოგის მიერ წარმართული აღზრდის პროცესი მათ შორის ზნეობრივიც არ დაიყვანება სუბიექტის, როგორც ხელმძღვანელის, წარმმართველის და ობიექტის, როგორც მის მართავს დამორჩილებულის ურთიერთობაზე. აღსაზრდელისა და აღმზრდელის ურთიერთობა თავის თავში

მოიცავს სიყვარულისა და სიძულვილის, პატივისცემისა და უპატივცემულობის, ყურადღებულობისა და უყურადღებობის დიალექტურ ერთიანობას. ეს ურთიერთობები ყალიბდება თვითონ აღზრდის პროცესში და ვითარდება გარკვეულ ღირებულებათა მიღების ან არ მიღების რომელიმე ღირებულების წინ წამოწევის ან უკან გადაწევის. ამ დროს ყალიბდება შეფასებითი ურთიერთობები.

აღზრდელი, აღზრდელში უნდა ხედავდეს არა მხოლოდ ისეთ ობიექტს, რომელიც უნდა აღზარდოს და განათლება მიაღებინოს, არამედ მათ შორის უნდა არსებობდეს ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის, სიყვარულის ზნეობრივ-ღირებულებითი ურთიერთობები.

ზნეობრივი აღზრდა ორმხრივი ბუნებისაა, როდესაც ადამიანი ზრუნავს ზნეობრივ ღირებულებად განხორციელებაზე, ამ დროს ხდება თვითაღზრდის პროცესიც. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე: „შეიცანი თავი შენი.“

ზნეობრივი აღზრდის პროცესი ეყრდნობა ისეთ ზნეობრივ საშუალებებს, როგორიცაა საუბარი, რჩევა-დარიგება, გაკიცხვა, საყვედური. ამ საშუალებათა მოქმედება განპირობებულია აღზრდის პროცესის ობიექტური კანონზომიერებითა და რეალური სიტუაციით. ზნეობრივი აღზრდის წარმატება განპირობებულია იმით, თუ რომელი ღირებულებანი გამოდიან, როგორც საშუალებათა ღირებულებაში და რომელი როგორც მიზანი-ღირებულებანი, თუმცა ისიც გათვალისწინებულია ამ აღზრდაში ზნეობრივ ღირებულებათა სიმრავლეა ჩართული.

ზნეობრივი აღზრდის მრავალმხრივობა აუცილებლობით მოიცავს ზნეობრივ შეგნებას, რომელიც თავისთავში აერთიანებს ზნეობრივ მოთხოვნილებასა და ნებისყოფას და ზნეობრივ გრძნობას. ზნეობრივი აღზრდის სრულყოფა დაფუძნებულია ზნეობრივ ნორმებზე, მათ ცოდნა ადამიანს აძლევს საშუალებას მრავალი, სასიკეთო ნაბიჯი გადადგას, ან ზოგჯერ თავი შეიკავოს. სწორედ, ეს ნორმები აჩვენებენ ახალგაზრდებს საზოგადოებასთან, ოჯახთან, თანატოლებთან ურთიერთობას და მათ წესებს. მორალურ წესებთან ზიარება და მათი ცხოვრების წესად გადაქცევა დაუშვებელია მხოლოდ სიტყვიერი მოწოდებებით. ადამიანი თვითონ უნდა დარწმუნდეს მათ სისწორეში. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ახალგაზრდას, მან რეალურად უნდა დაინახოს თავის გარშემო - სკოლა, მასწავლებელი, გარემო და საზოგადოება მთლიანად.

ზნეობრივი აღზრდა თავის თავში აერთიანებს ისეთ ეთიკურ ღირებულებებს, როგორიცაა გულკეთილობა, გულისხმიერება, თავმდაბლობა, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა. დაუშვებელია, ამ ეთიკური ცნებების ცალსახა როლზე საუბარი, ისინი განიხილება კომპლექსურ მთლიანობაში.

ზნეობრივი აღზრდა მუდმივად ცვალებადი პროცესია, მაგრამ საწყისი ფორმა მაინც ბავშვობის ასაკია, რადგან ამ ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ზნეობრივი სრულყოფისთვის.

ადამიანს პიროვნების განვითარების სამი ძირითადი ასპექტი აქვს: ფიზიკური, გონებრივი და სოციალური. ზნეობრივი აღზრდა ამ უკანასკნელს ემსახურება. კერძოდ, პიროვნება მომზადებას საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართვას, თუმცა ამ საქმეში მნიშვნელოვანია თვითონ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზეგავლენა ადამიანებზე. თუ საზოგადოებრივი ურთიერთობები საწინააღმდეგო მაგალითს უჩვენებს პიროვნებას, თუ გარემომცველ სამყაროში ფასი არა აქვს სიმართლეს და პატიოსნების და ყველაფერი ერთეულთა უხეშ ძალაზეა დამყარებული, მაშინ მხოლოდ ზნეობრივი შეგონებანი მიზანს ვერ აღწევენ.

მე, შენ, ის - ურთიერთობა არის ნებისმიერი აღზრდის და მით უფრო ზნეობრივი აღზრდის მიზანი. პატივი ვცეთ ადამიანს ნიშნავს „შევხედოთ მას ყოველთვის, როგორც მიზანს და არასოდეს, როგორც საშუალებას“ - გვაფრთხილებდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი.

ლიტერატურა:

1. გ. ბანძელაძე, „ეთიკა“, თბ., 1980.
2. მ. ბანძელაძე, „ეთიკისა და საყოფაცხოვრებო ქცევის ზოგიერთი საკითხი“, ქუთაისი, 1998.
3. თ. კუკავა, „ეთიკა“, თბ., 1998.
4. მ. მალაზონია, „პედაგოგიკა“, თბ., 2001.
5. ნ. ვასაძე, „პედაგოგიკა“, თბ., 2000.

Manana Bandzeladze
Akaki Tsereteli State University
Darejan Chkhirodze
Kutaisi University

SOME SPECIFICATIONS OF MORAL UPBRINGING RESUME

One of the major characteristics of the 21st century development is moral alarm. The aspiration for gaining and accumulating material comforts has posed a serious threat to the spiritual values of mankind. An individual, exhausted by everyday problems, frequently raises the question whether there is any point in morality. In protest at such kind of thought the significance of moral upbringing is increasing. Family, educational institutions, political system, social relations and general environment are the key factors determining the formation of the personality. Moral upbringing is based on certain philosophical systems, especially on one of their branches – ethics – which is defined as the discipline dealing with moral principles. Morals constitute standards of good behavior and relationship between the people in a specific community. Moral upbringing carries historical nature and is changing with the development of society. The causes of the changing shifts in economy and social structure. Properly conducted process of moral upbringing leads to the unity of highly developed moral sense and behavior. Moral upbringing aims at convincing the human beings of the advantages of moral action over immorality. Moral upbringing contributes to the perfection of the social aspect of the person.

ნაზიკო ბერიკაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლა

კრიტიკული აზროვნება – პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი სტრატეგია

დღეისათვის პედაგოგთა მთავარი საზრუნავია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში, საგნობრივ ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან ერთად, მოსწავლეებს განუვითაროს პრობლემების გადაჭრის უნარი. იგი მოსწავლეებს არა მხოლოდ ყოველდღიური, ცხოვრებისეული მოთხოვნების მოგვარებაში გამოადგებათ, არამედ ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში სწავლის გასაგრძელებლად და მომავალ პროფესიულ კარიერაში წარმატების მისაღწევად. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია, განათლებისადმი ზოგადი მიდგომა, რომელიც პირველად გამოიყენეს კანადელმა სპეციალისტებმა. დღეს იგი გამოიყენება როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე ზოგადი განათლების სისტემაში. კვლევები ადასტურებს, რომ ამ მიდგომით განათლებამიღებული მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ პროფესიულ ცხოვრებასა და აკადემიურ სფეროში.

კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა დღესაც კი უპირატესობას მორჩილ და ზუსტი ციტირების უნარიან მოსწავლეს ანიჭებენ, ვიდრე კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარის მქონეს (**არტურ კროპლი, 2010:149**). პრობლემატიდან გამოსავლის მიზნით, ზოგიერთი პედაგოგი ამჯობინებს შესაძლებლობების მიხედვით მოსწავლეთა დაჯგუფებას. ამ მხრივ მოსწავლეთა დაჯგუფება, პირიქით, აღვივებს მოსწავლეთა შორის უთანასწორობის განცდას, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მეთოდი არ ემსახურება „ფართო შესაძლებლობებისა და დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა შორის ნაპრალის შევსებას“ (**რობერტ ჯ. მარზანო და სხვები, 2010:101**).

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს მოსწავლე არის პრობლემის გადამჭრელი, რომელიც ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძებს გამოსავალს და მისი მოგვარების საუკეთესო გზას. ასეთი სწავლა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ჩართულია აქტიურ სწავლაში, მუშაობს რეალური პრობლემების გადაჭრაზე, რის შედეგადაც სწავლა მისთვის უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. იგი იმუშავებს კოგნიტურ სტრატეგიებს, რომლების მას ეხმარება უჩვეულო, მოულოდნელი და არარუტინული სიტუაციის ანალიზში.

სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ წარმატებულ გზად მეცნიერები კონსტრუქციულ კამათს მიიჩნევენ. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, კომუნიკაციის ეს ფორმა ხშირად არ გამოიყენება, რადგან ადამიანები არ ფლობენ საკმარის ცოდნას, თუ როგორ უნდა წარმართონ კონსტრუქციული კამათი. არ გააჩნიათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება კონსტრუქციული კამათის ფორმა არაკონსტრუქციული კამათისაგან და ა. შ. კონსტრუქციულია კამათი, მაშინ, როდესაც მონაწილეები მიზნად პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ვარიანტის მოძებნას ისახავენ და ლოგიკურად გამართულად ასაბუთებენ მას. არაკონსტრუქციულად კამათი მაშინ ითვლება, როდესაც მონაწილეები ალოგიკურად მსჯელობენ და მიზნად მხოლოდ გამარჯვებასა და სხვის გადარწმუნებას ისახავენ (ალელიშვილი, 2010:102).

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სხვადასხვა საგნით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირება. ამ დროს იზრდება მოსწავლის მოტივაცია, რადგან მოსწავლე ახალ ცოდნას იძენს გამიზნულად. ეს ავითარებს ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, ამგვარი სწავლისას მცირეა ლექციის ტიპის გაკვეთილების რაოდენობა. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ და ითვისებენ ახალ ცოდნას, ხოლო მასწავლებლის როლი ძირითადად დაიყვანება ფასილიტატორის ფუნქციაზე.

პრობლემების გადაჭრა არის რთული მოქმედება, რომელიც სააზროვნო უნარ-ჩვევებთან ერთად გულისხმობს პიროვნების ემოციურ მომზადებას, ნებისყოფას, კომუნიკაციის უნარს და ა. შ.

პრობლემის გადაჭრის ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა კრიტიკული აზროვნებითი მიდგომები. შესაბამისად, ფორმალურ განათლებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთათვის ლოგიკური აზროვნების სწავლებას, ერთადერთი სწორი, ლოგიკური პასუხის მოფიქრებას, არასწორი ნაბიჯების გამორიცხვას და მხოლოდ სწორ პასუხზე ორიენტირებას. სწორედ ეს არის კრიტიკული აზროვნება. ამის გარდა, არსებობს შემოქმედებითი მიდგომა, რომელიც მიმართულია იდეების მოძიებაზე, შესაძლებლობების გამოვლენაზე, მრავალი და არა ერთადერთი შესაძლო სწორი პასუხის მოფიქრებაზე (ჯანაშია და სხვ. 2008:7).

კრიტიკული აზროვნება არის აზროვნების ის სახე, რომელიც პრობლემის გადაჭრას, მის ფორმულირებას, დასკვნის გამოტანასა და გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება. იგი არის მიზანმიმართული პროცესი, რადგანაც ორიენტირებულია „კონკრეტულ სასურველ შედეგზე“.

რეფლექსური აზროვნება არის კრიტიკული აზროვნების ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეხება ანალიზისა და დასკვნების გამოტანის პროცესების გააზრებას.

გააზრების პროცესში მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ, აცნობიერებენ და აკონტროლებენ საკუთარი სწავლის პროცესებს. ამ დროს ისინი აფასებენ, თუ რა იციან, რა სჭირდებათ, რომ იცოდნენ და როგორ უნდა აითვისონ ეს საჭირო ცოდნა. კრიტიკული აზროვნების რეფლექსური პროცესების საშუალებით მოსწავლეს ეძლევა იმის შესაძლებლობა, დაიხიოს ერთი ნაბიჯით უკან და გაიაზროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზები, ის, თუ როგორაა მოგვარებული ეს პრობლემა. ასევე ის, რა სტრატეგიები გამოიყენა სასურველი მიზნის მისაღწევად.

კრიტიკული აზროვნება არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც მოიცავს ერთდროულად ორ ან მეტ განსხვავებულ მოსაზრებაზე ფიქრს, სხვადასხვა მოსაზრების გაგებას, რაიმე შეხედულების დასაბუთებას სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე და იმის გაცნობიერებას, რომ სხვასაც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი განსხვავებული მოსაზრება.

კრიტიკულ აზროვნებას ადამიანი მიმართავს არსებული მოსაზრების „ჰეგემონიის“ ღირებულების დასადგენად. ამ დროს არსებითია არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და, შესაბამისად, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნის გაკეთება-მოსაზრების შეცვლა ან ახალი მოსაზრების მიღება. კრიტიკულ აზროვნებას ასევე უწოდებენ „ლოგიკურ“ ან „ანალიტიკურ“ აზროვნებას.

ლოგიკური აზროვნება მსჯელობის სახით მიმდინარეობს. მსჯელობა აუცილებლად გულისხმობს რამდენიმე ცნებას შორის მიმართების დამყარებას და დასკვნის გამოტანას. დასკვნა აზროვნების პროცესია, რომელიც რამდენიმე მსჯელობას შორის მიმართებიდან გამომდინარეობს. არჩევენ დასკვნის სამ ფორმას:

ა) ინდუქცია ან ინდუქციური დასკვნა - კერძო მსჯელობიდან ზოგადის გამოყვანა;

ბ) დედუქცია, ანუ დედუქციური დასკვნა - ზოგადი მსჯელობიდან კერძო მსჯელობის გამოყვანა;

გ) ანალოგიით დასკვნა - ერთი კერძო მოვლენიდან ანალოგიური კერძო მოვლენის შესახებ დასკვნა.

ამგვარად, კრიტიკული აზროვნების გასააქტიურებლად შექმნილი ამოცანები მოსწავლეს უნდა აძლევდეს ასეთი ტიპის დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

პრობლემური ამოცანის გადაჭრა კრიტიკული აზროვნების გამოყენებით ქართულ ლიტერატურაში:

მაგალითი: არჩევანის გაკეთება: შედარება-შეპირისპირება, პრობლემაზე შეხედულების შეცვლა; შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება.

აქტივობის მიზანი: პრობლემის შეფასება სხვადასხვა ისტორიულ, სოციალურ-კულტურული და რელიგიურ კონტექსტში. დაწერეთ წიწოლას აღსარება.

აქტივობის პირობა: წარმოიდგინეთ, რომ წიწოლა თავს იმართლებს თანამემამულეთა წინაშე, ხსნის, რატომ გაიქცა ბრძოლის ველიდან.

აქტივობის მასალა: ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“, ეპიზოდი: „წიწოლამ ლაფით გაგვთხიფა, გაგვექცა ცოდვილიანი“.

პრობლემის გადაჭრის ეტაპები: პრობლემის გადაჭრა კრიტიკული აზროვნების ამოქმედებით.

1) გაიხსენეთ ეპიზოდი, რომელშიც ლაპარაკია წიწოლას ბრალის შესახებ: „წიწოლამ ლაფით გაგვთხიფა, გაგვექცა ცოდვილიანი“, გაანალიზეთ წიწოლას ბრალეულობა, ვინ არის ის, მოღალატე, მომმეტა გამყიდველი, თუ უბრალოდ მხდალი ადამიანი, რომელსაც ბრძოლის, სისხლისღვრის შიშმა დაძლია.

2) აირჩიეთ ერთ-ერთი ამ ვარიანტთაგან, ან წარმოადგინეთ თქვენი ვარიანტი. თქვენ მიერ არჩეული თვალსაზრისი დაასაბუთეთ არგუმენტებით (მაგ.: „იგი არაა გამყიდველი, ის უბრალო მშიშარაა, ეს კარგად ჩანს თემის სიტყვებიდან“ და ა. შ.)

3. გამოთქვით თქვენი აზრი იმის შესახებ, შეეხო თუ არა წიწოლას დანაშაული კონკრეტულად ვინმეს, რატომ არის თემი ასეთი მკაცრი წიწოლას მიმართ (შდრ. „წიწოლას დანაშაული აწეულია გამდინა“).

4. გაიხსენეთ ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია წიწოლას დედის გოდება და გამოკვეთეთ მისი სათქმელი, რაზე წუხს იგი:

5. გაიხსენეთ ის გარემო, რომელშიც ავტორი წიწოლას ხატავს. ჰყავს თუ არა მას ვინმე თანამდგომი, რატომ? დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი.

კრიტიკული აზროვნების სწავლებასთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი პრინციპი, ცოდნის მრავალმხრივი ფორმების შესახებ, არსებული თეორიიდან გამომდინარეობს:

1) დეკლარირებული ცოდნა საჭიროა, თუმცა ეფექტური პრაქტიკული მოქმედებისათვის არასაკმარისი. მოსწავლეებმა ცოდნის გამოყენებისა და მისი კონკრეტულ სიტუაციებთან შესაბამისობის დადგენის სტრატეგიები და პროცედურებიც უნდა შეისწავლონ.

2) მიუხედავად იმისა, რომ პრობლემების გადაჭრისათვის ზოგადი სტრატეგიები არსებობს, უმეტესად პრობლემის გადაჭრის უნარი პროცესების საბაზისო ცოდნის მასშტაბებსა და ორგანიზებაზეა დამოკიდებული.

კრიტიკული აზროვნება პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ფორმაა. ამ ორ ცნებას შორის ის განსხვავებაა, რომ კრიტიკული აზროვნება ღია ან „არასწორად ჩამოყალიბებულ“ პრობლემებზე მსჯელობებს მოიცავს, მაშინ, როცა პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევა უფრო ვიწრო მასშტაბისაა, უმთავრესი განსხვავება კი, მაინც დასკვნის (გადაწყვეტილების, ჰიპოთეზის) მიღების შემდგომ მიმდინარე პროცესებშია. კრიტიკული აზროვნებისაგან განსხვავებით, პრობლემის გადაჭრის პროცესს ის მეცნიერები სწავლობენ, რომლებიც კოგნიტური სისტემაზე მუშაობენ.

პრობლემის გადაჭრა გონებრივი აქტივობაა, რომელიც არადადამაკმაყოფილებელი მდგომარეობითაა გამოწვეული და სასურველი „სამიზნე მდგომარეობის“ მიღწევისკენაა მიმართული. როგორც კრიტიკულ აზროვნებაში, ასევე პრობლემების გადაჭრის პროცესში, ადამიანი აგებს და ხვეწს პრობლემური სიტუაციის „მოდელს“. პრობლემის გადაჭრის ამოცანის წინაშე დადგომისას, ადამიანი არსებულ მდგომარეობას ანალიზებს, გამოავლენს შემზღუდველ ფაქტორებს, აგროვებს ინფორმაციას, აყალიბებს ერთ ან მეტ ჰიპოთეზას და საბოლოო მიზნის მისაღწევამდე ამოწმებს ჰიპოთეზას (**ჯანაშია და სხვ., 2008:10**).

კოგნიტურ ლაბორატორიებში, პრობლემების გადაჭრის პროცესის შესახებ მიმდინარე კვლევებში, როგორც წესი, შეიძლება ბევრი რთული პრობლემა წამოიჭრას, თუმცა, სწორი გამოსავალი ყოველთვის არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მიდგომების შეზღუდული სპექტრი (შესაძლოა, მხოლოდ ერთი) შეესაბამება. ასეთ პრობლემებს „კარგად ჩამოყალიბებულ პრობლემას“ უწოდებენ. მეორე მხრივ, კრიტიკული აზროვნება მოიცავს ინდუქციურ მსჯელობას ან მსჯელობას „არასწორად ჩამოყალიბებულ პრობლემებზე“, რომელთა გადაჭრის არაერთი გზა არსებობს. ამდენად, კრიტიკული აზროვნების მიზანი არა პრობლემის გადაჭრის პოვნა და განხორციელება, არამედ სიტუაციის ან საკითხის დამაჯერებლად წარმოდგენაა.

ერთი შეხედვით კომპიუტერის ხანაში უფრო და უფრო მეტი ინფორმაცია და მონაცემებია ხელმისაწვდომი, რომელთა დახმარებითაც ადვილი შესაძლებელია აღნიშნულ პრობლემებზე რეაგირება და მათთან თავის გართმევა, თუმცა, ინფორმაციის ჭარბი რაოდენობა ან მონაცემების სიუხვე, შესაძლოა

თავად გახდეს პრობლემების წყარო, რადგან ჩვენგან მეტი და მეტი ინფორმაციის უფრო მეტად დაჩქარებულ დროში დამუშავებას მოითხოვს (ჰარგრივსი, 2010:21).

პრობლემის წარმოდგენა, ან „სიტუაციური მოდელი“ ისეთი არგუმენტის ან განაცხადის სახით შეიძლება, რომელიც სრულყოფილად მოიცავს ხელმისაწვდომ ინფორმაციას. არგუმენტის დადასტურება ან შემოწმება შეუძლებელია, იმის მიუხედავად, თუ როგორია მისი არსი: იქნება ის ლიტერატურული ან ხელოვნების ნიმუშის ინტერპრეტაცია, პოზიცია სადავო საკითხთან თუ რთული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. ამდენად, აუცილებელია, არგუმენტი სათანადო მსჯელობით და ფაქტებით იყოს გამყარებული. არგუმენტის გამყარების პროცესი ყველაზე მკაფიოდ განასხვავებს კრიტიკულ აზროვნებას პრობლემების გადაჭრის პროცესისაგან.

ამდენად, მიუხედავად იმისა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის პროცესი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, გადაკვეთის წერტილები ბევრია, რაც პრობლემების გადაჭრისა და მასთან დაკავშირებული პროცესების კრიტიკულ აზროვნებასთან ურთიერთკავშირში განხილვის გონივრულობას ასაბუთებს.

კრიტიკული აზროვნებისათვის საჭირო პროცედურული ცოდნა ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და საკითხის გარშემო კომუნიკაციების ფორმების ცოდნა მოიცავს.

ლიტერატურა:

1. ჯოან გ. ქარფისი, კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში, კრებულში: „სტატიები განათლების საკითხებზე“, თბ., 2010;
2. არტურ კროპლი და დევიდ კროპლი, შემოქმედების სტიმულირება შეფასების მეშვეობით, კრებულში: „სტატიები განათლების საკითხებზე“, თბ., 2010;
3. ს. ჯანაშია, შ. სამაგლიშვილი, მ. წერეთელი და სხვ., პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისათვის, ნაწ. II, თბ., 2008;
4. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინი ი. ფოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში, თბ., 2009;
5. ნინო ალელიშვილი, როგორ წარვმართოთ კონსტრუქციული კამათი, კრებულში „დიალოგი+ალმანახი“, ტ. II, თბ., 2010;
6. ენდი ჰარგრივსი, სწავლება ცოდნის საზოგადოებაში: განათლება გონიერებისათვის, კრებულში: „სტატიები განათლების საკითხებზე“, თბ., 2010.

Naziko Berikashvili

Gori Municipality Tiniskhidi Public School

CRITICAL THINKING - ONE OF THE STRATEGIES FOR SOLVING OF PROBLEMS RESUME

The article reviews the students' critical thinking, as one of the problematic issues of the educational system and teaching-learning process.

Students' motivation of problem-based learning and its involvement in the learning process is analyzed, based on the relevant literature and personal teaching experience. The main strategies of problem -solving, the main features of critical thinking: the aim of the activity, activity condition, problem solving stages. Critical thinking, as one of the form problem-solving, the use of modern technologies in the process, its benefits and challenges in terms of surplus information processing.

უცხოური ენის შესწავლის სტრატეგიების დეფინიციები და კატეგორიზაცია

თანამედროვე უცხოური ენების სწავლების მეთოდთა მიისწრაფვის მოქნილი, პლურალისტური, მრავალმხრივი გადაწყვეტილებებისკენ. ამიტომ შემოდის ცნებები: უცხოური ენის სწავლების სტრატეგია და ტექნოლოგია. ჯერჯერობით არ არსებობს კომუნიკაციურ მიდგომაზე უკეთესი, რაც სახელმძღვანელოშია განხილული, მაგრამ არსებობს სწრაფვა უცხოური ენის სწავლების ოპტიმალური სტრატეგიისა და ტექნოლოგიისკენ. მომავალი მეთოდური სისტემა ვერ იქნება ვერც შეგნებულ-პრაქტიკული, ვერც აუდიო-ვიზუალური, ვერც ინტერაქტიული და სხვა. ის უნდა იყოს მთლიანი, რაციონალური, ეფექტური; უცხოური ენის სწავლების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ხერხსა და მუშაობის ყველა იმ ფორმას, რაც ისტორიულად სხვადასხვა მეთოდურ მიმართულებებს მიეწერებოდა, უნდა იყოს მოქნილი, დიფერენცირებული, ითვალისწინებდეს უცხოური ენის სწავლების სხვადასხვა პირობას. იმ გარემოებებს, რომელთაც შეუძლიათ სწავლების შედეგებზე გავლენის მოხდენა. სწავლების სტრატეგია უნდა გამოვლინდეს სწავლების მიზნებში, ამოცანებში, კომუნიკაციურ შინაარსში, სამეტყველო აქტივობის სახეების, ცოდნის, ჩვევებისა და უნარ-ჩვევათა შეფარდებაში კონტროლის, მოსწავლეთა პიროვნული, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებაში და სხვა. ამ ვითარებაში უცხოური ენის მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება; იგი უნდა იცნობდეს სხვადასხვა მეთოდურ ხერხს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, უნდა იყენებდეს უცხოური ენის სწავლების მიზნის შესაბამის ტექნოლოგიებს (გიორგობიანი, ლ., კახიშვილი, ლ., მაცხოვნაშვილი, გ., ქვლივიძე, რ. 2004).

ამჟამად არსებობს კომუნიკაციურ პრინციპზე დამყარებული უცხოური ენის სწავლების სტრატეგია და ტექნოლოგია და უცხოური ენის სწავლების სისტემა ჰიპოთეზის დონეზე. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია უცხოური ენის სწავლების სავალდებულო და დამატებით მეცადინეობათა ერთმანეთთან დაკავშირება, შერწყმა, როდესაც გამოყენებულ იქნება ალტერნატიული მეთოდური მიმართულებები ინფორმაციის მოცულობის გასაფართოებლად მომავალში, მოსწავლეთა ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით; მეთოდების ცვლა განპირობებული იქნება სწავლების ელექტრონული საშუალებებით, ინტერნეტით, სატელეფონო საუბრებით უცხოურ ენაზე, ინდივიდუალური მიკროკომპიუტერის არსებობით, ე. წ. ორგანიზერ-თარჯიმნების მონაწილეობით, რაც შეცვლის უცხოური ენის სწავლებისადმი ტრადიციულ მიდგომას, სწავლების პრინციპებს, მეთოდებსა და ხერხებს.

დღეისთვის პროფესიული თვისებები ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი უნდა დაეფუძნოს მასწავლებლისა და მოსწავლეების ჰუმანურ ურთიერთობებს, რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ერთი საგანმანათლებლო სისტემიდან მეორეზე, პიროვნულ-კომუნიკაციურად ორიენტირებულ სწავლებაზე, თანდათანობით გადასვლის შესაძლებლობა, რაც უცხოური ენის სწავლებაში შექმნის ჰუმანისტურ და პედაგოგიურ ორიენტაციას, პიროვნების განვითარებისა და თვითგანვითარების პირობებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას, რომელიც განსაკუთრებულ კავშირშია სწავლის შედეგიანობასთან, წარმოადგენს ე.წ. სწავლის სტრატეგიები. ამ საკითხზე არსებობს რიგი ნარკვევებისა. ავტორები სხვადასხვანაირად აჯგუფებენ მათ. ჩვენ შევეცდებით მიმოვიხილოთ სტრატეგიების შესახებ არსებული ლიტერატურა მეტ-ნაკლები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

უცხოური ენის შესწავლის სტრატეგიის განსაზღვრებისას, სხვადასხვა მკვლევარი იყენებს განსხვავებულ ტერმინებს და განსხვავებულ ცნებებს. აქედან გამომდინარე სხვადასხვა მკვლევარი თავისებურად განსაზღვრავს უცხოური ენის შესწავლის სტრატეგიას.

სწავლის სტრატეგიებია „ოპერაციები“, რომლებიც გამოიყენება მოსწავლის მიერ, რომელიც ეხმარება მას ენის ათვისებაში, აგროვებს, აღადგენს და იყენებს ინფორმაციას, სპეციალური მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მოსწავლის მიერ, ისწავლოს უფრო ადვილად, სწრაფად, უფრო ხალისიანად, ეფექტურად და ახალ სიტუაციებში გამოსაყენებლად (ოქსფორდი, 1990ბ).

შმეკის (1988) მიხედვით, სტრატეგია არის პროცედურათა სისტემა რაიმეს შესასრულებლად. სწავლის სტრატეგიები არის „ქცევა ან აზროვნება, რომელსაც მოსწავლე იყენებს სწავლის პერიოდში და რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე“.

რუბინი (1981) განსაზღვრავს სტრატეგიებს, როგორც ტექნიკას, რომელიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს ცოდნის მისაღებად.

ბიალისტოკის (1981) მიხედვით, უცხოური ენის შესწავლის სტრატეგიები არის ოპტიმალური ინფორმაციის გადასამუშავებლად და ამით მოსწავლეს შეუძლია განამტკიცოს ენის შესწავლის უნარი. მან გამოყო ოთხი სახის სტრატეგია: 1) ფორმალური პრაქტიკა; 2) ფუნქციონალური პრაქტიკა; 3) მონიტორინგი; 4) დასკვნა.

სწავლის სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს გახდნენ უფრო დამოუკიდებლები. დამოუკიდებლობა მოითხოვს შეგნებულ კონტროლს თითოეული მოსწავლის კერძო სასწავლო პროცესებზე. სწავლის სტრატეგიები აგრეთვე იზრდება იმისდა მიხედვით, რამდენად შეუძლია ინდივიდს წარმატებით შეასრულოს დავალება, ან დავალებათა სერია.

სწავლის სტრატეგიები არის სწავლებადი და დადებით შედეგს იძლევა მოსმენაში, მეტყველებაში, კითხვასა და წერაში. სხვადასხვა ენის შესწავლის კვლევებში სტრატეგიის სწავლება წინ უძღვის უფრო დიდი სტრატეგიის გამოყენებას, მოტივაციის გაზრდას, სტრატეგიის ცოდნას და დადებით დამოკიდებულებებს.

სტრატეგიის სწავლების ეფექტურობა ვლინდება კულტურულ ბექგრაუნდში. კვლევის მიხედვით, სტრატეგიის სწავლება შეიძლება მიმართული იყოს ემოციის მართვისკენ და სწავლის სტილის წარმოქმნაზე.

სტრატეგიისთვის სტუდენტებს ნამდვილად სჭირდებათ ცოდნა, უნდა იყვნენ გულწრფელები. ტერმინი—სრულად ინფორმირებული სტრატეგია—პლუს—სწავლების კონტროლი გამოხატავს მთავარ სინამდვილეს ისეთი სწავლებისა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ენის გაკვეთილზე. კვლევების უმეტესობა მიუთითებს, რომ სტრატეგიული სწავლება არ უნდა იყოს სესიური ხასიათის, ის ინტეგრირებული უნდა იყოს როგორც რეგულარული სწავლის ნაწილი.

ამჟამად ენის დაუფლების ყველაზე პოპულარული კლასიფიკაცია რებეკა ოქსფორდის ეკუთვნის. ეს არის: კოგნიტური, მნემონიკური, მეტაკოგნიტური, კომპენსატორული, ემოციური, სოციალური სტრატეგიები. თითოეული სტრატეგია შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ:

კოგნიტური სტრატეგია, რომელიც ეხმარება მოსწავლეს შექმნას და გაზარდოს ასოციაციები ახალ და უკვე ნაცნობ ინფორმაციას შორის. კოგნიტური სტრატეგიის მაგალითებია: კონტექსტის გაგება, ანალიზი, დასაბუთება ინდუქციურად და დედუქციურად, სისტემატური შენიშვნები და ინფორმაციის რეორგანიზაცია. კოგნიტურ სტრატეგიებში შედის სპეციფიკური საღი გზების სწავლების სიმტკიცე, ასევე წყაროები გამოიყენება სწავლების განსამტკიცებლად, როგორიცაა ლექსიკონების გამოყენება, ახალი ინფორმაციის დაკავშირება ძველთან. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს კოგნიტური სწავლების სტრატეგიების განვითარებაში, როგორიცაა ანალიზი, სინთეზირება და დასაბუთება.

მნემონიკური (დამახსოვრების) სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს დააკავშირონ ახალი საკითხი უკვე ნაცნობთან. ეს არის საჭირო ინფორმაცია გასახსენებლად. მაგ.: ხმით (რიტმში), სხეულის მოძრაობით (ფიზიკური რეაქცია, სადაც მასწავლებელი აძლევს დავალებას ინგლისურად და მოსწავლეები მას ასრულებენ ფურცელზე ან დაფაზე). მნემონიკური სტრატეგიები უნდა გამოეყოს შემეცნებით სტრატეგიებს. შემეცნებითი სტრატეგიებისგან განსხვავებით, მნემონიკური სტრატეგიები ხელს არ უწყობს ღრმა ასოციაციებს, მაგრამ ის აკავშირებს ერთ საგანს მეორესთან. მნემონიკური სტრატეგიები ხშირად დგას პირველ საფეხურზე ლექსიკური ერთეულების სწავლისას ან გრამატიკული წესების სწავლისას.

მეტაკოგნიტური სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს თავი გაართვან: 1) როგორც მოსწავლეებმა; 2) საერთო სასწავლო პროცესებში; 3) სპეციფიკურ სასწავლო დავალებებში. მეტაკოგნიტური სტრატეგიების ერთი ჯგუფი ეხმარება ინდივიდებს შეიცნონ საკუთარი თავი უკეთ, როგორც ენის შემსწავლელი.

სწავლის სტილი არის ფართო მიდგომა, რომელიც თითოეულ მოსწავლეს შეაქვს უცხოური ენის სწავლაში ან ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტაში. სწავლის სტილის მაგალითებში შედის ვიზუალური, აუდიტორული, კინესთეტიკური, გლობალური, ანალიტიკური, ინტუიტიურ-რაციონალური. სწავლის სტილის ცოდნა ეხმარება მოსწავლეებს სტრატეგიების არჩევაში, რომელიც ერგება მათი სწავლის სტილს. მეტაკოგნიტური სტრატეგიების სხვა მიმართულება დაკავშირებულია სასწავლო პროცესის მართვასთან ზოგადად და შეიცავს ინდივიდუალობასთან არსებულ წყაროებს, წყვეტს, თუ რომელი წყაროები არის ფასეული მოცემული დავალებისთვის, სასწავლო გეგმის სიას, კარგი სასწავლო ადგილის პოვნას და შექმნას და ა. შ. ეს მიმართულება ასევე შეიცავს საზოგადო მიზნების არსებობას ენის სწავლისთვის. უცხოური ენის სწავლა შეიძლება შეფერხდეს, თუ მიზნები არამკაფიოა ან სავარაუდო. სხვა მეტაკოგნიტური სტრატეგიები აგრეთვე ეხმარება მოსწავლეებს მოცემული ენის დავალებების განხილვაში და არა საერთოდ ენის შესწავლის პროცესში. მეტაკოგნიტური სტრატეგიების ეს მიმართულება შეიცავს სხვა ტექნიკას, წყვეტს დავალების - კავშირის - მიზნებს ენის შესწავლასთან,

ყურადღებას აქცევს დავალებას, იქვე გეგმავს საფეხურებს ენის დავალებებში, მიმოიხილავს შესაბამის სიტყვათა მარაგს და გრამატიკას, პოულობს დავალებებს შესაბამის თემებზე და წყაროებზე, წყვეტს, თუ რომელი სხვა სტრატეგიები შეიძლება იყოს ხელსაყრელი და იყენებს მათ, ირჩევს ალტერნატიულ სტრატეგიებს, აწესრიგებს ენობრივ შეცდომებს დავალების განმავლობაში. მეტაკოგნიტურ სტრატეგიებში შედის დაგეგმვა და სწავლის მიმართულების საერთო დონე, ფიქრი სწავლის ირგვლივ, მეტყველების ან წერის მონიტორინგი და შეფასება თუ რამდენად კარგად ასრულებს მოსწავლე მოცემულ დავალებას.

კომპენსატორული, გასაუმჯობესებელი სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს იმ ცოდნის შევსებაში, რაც მათ არ იციან. გასაუმჯობესებელ სტრატეგიებში შედის სინონიმები, უხვსიტყვაობა და შესტიკულაცია.

ემოციური (affective) სტრატეგიები შეიცავს ინდივიდის გრძნობებს (მაგ.: შფოთვა, სიბრაზე, კმაყოფილება) და იძლევა ცოდნას უცხოური ენის დეტალებზე ან დავალებებზე. ემოციური სტრატეგიები გავლენას ახდენს კულტურაზე. ზოგიერთი კულტურის მიხედვით ხდება საკუთარი გრძნობების დაკავშირება სწავლებასთან. შფოთვამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი რეაქცია უცხოური ენის შესწავლის პროცესში. მოცემული ემოციური სტრატეგიები შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს შიშის გადალახვაში, იმ გზებით, როგორიცაა, მაგალითად: ღრმა სუნთქვა, სიცილი, საუბარი („მე ვიცი, რომ მე შემოიძლია ამის გაკეთება!“, „მე ახლა უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ადრე“) და სიამაყე.

უარყოფითმა დამოკიდებულებამ შეიძლება შეამციროს მოსწავლეების მოტივაცია და ზიანი მიაყენოს უცხოური ენის შესწავლას, მიუხედავად ამისა, დადებითმა დამოკიდებულებამ შეიძლება საპირისპირო რამ გააკეთოს. ემოციური სტრატეგიების გამოყენება, რომელიც გამოცდის აზრებს და დამოკიდებულებას, არის სასარგებლო მაგ.: ნებისმიერი ენის შესწავლისთვის, მასწავლებლისთვის და კლასისთვის.

სოციალური სტრატეგიები აადვილებს სწავლას და ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ იმ უცხოური ენის კულტურა, რომელსაც ისინი სწავლობენ. სოციალური სტრატეგიების მაგალითებია: კითხვების დასმა უფრო მეტი გარკვეულობისთვის ან კონკრეტული ფაქტის დასამტკიცებლად, ასევე დახმარება სთხოვო მეგობარს და სწავლა კლასის გარეთ. სოციალური სტრატეგიები არის გადამწყვეტი უცხოური ენის შესწავლაში. სოციალურ სტრატეგიებში შედის ურთიერთობა ხალხთან. აქ სწავლის სტრატეგია მოწმობს იმ ცვლილებებს, რომლებსაც მოსწავლე ახორციელებს უცხოური ენის სწავლების პროცესში. სოციალური სტრატეგიები გულისხმობს სწავლას ურთიერთობით, როგორიცაა მეგობრებთან ერთად მუშაობა, ან დახმარება სთხოვო მასწავლებელს (კარტერი, ნუნანი, 2001).

სხვა სტრატეგიები, როგორიცაა ინდუქციური ლოგიკის გამოყენება, განსაზღვრავს გრამატიკულ წესს, ან ქმნის გონებრივ ასოციაციებს ახალ სიტყვასა და უკვე ნაცნობს შორის. სხვა ტექნიკაც გამოიყენება, ინტერვიუები, ზეპირი მოხსენებები დავალების შესრულებამდე, სტრატეგიული დღიურები და სტრატეგიული ანკეტა, როგორიცაა სტრატეგიული ინვენტარი ენის შესწავლისთვის (ოქსფორდი, 1990).

ოქსფორდმა (1990), გამოყო მთავარი კვლევის შედეგების (ცხრილი 4.1.) ექვსი კატეგორია, სადაც შედიოდა დამახსოვრების, საკომპენსაციო, კოგნიტური, მეტაკოგნიტური, სოციალური, ემოციური სტრატეგიები, რომლებიც დაყო ორ ძირითად ჯგუფად, პირდაპირი და არაპირდაპირი სტრატეგიები. პირდაპირ სტრატეგიებში ის გულისხმობდა იმ მენტალურ პროცესებს, რომლებიც შესასწავლ ენაზეა მიმართული, არაპირდაპირში – ხელს უწყობს ენის ათვისებას დაგეგმვის, რეგულაციის საშუალებით.

ცხრილი 4.1: რ. ოქსფორდის ენის შესწავლის სტრატეგიების სისტემა (ოქსფორდი, 1990)

ტიპი	ძირითადი სტრატეგიები	მეორეხარისხოვანი სტრატეგიები
პირდაპირი სტრატეგიები	1. მნემონიკური სტრატეგიები	ა) მენტალობის შექმნა. ბ) იმიჯების და ხმების შექმნა. გ) მიმოხილვა. დ) მოქმედება.
	2. კოგნიტური სტრატეგიები	ა) პრაქტიკა. ბ) ინფორმაციის მიღება და გაანალიზება. გ) ანალიზი. დ) სტრუქტურის შექმნა.
არაპირდაპირი სტრატეგიები	3. საკომპენსაციო სტრატეგიები	ა) გამოცნობა. ბ) ნაკლი საუბარში და წერაში.
	4. მეტაკოგნიტური სტრატეგიები	ა) კონცენტრაცია სწავლის მიმართ. ბ) სწავლის დაგეგმვა. გ) სწავლის შეფასება.
	5. ემოციური სტრატეგიები	ა) ღელვის შემცირება. ბ) თვით-გამხნელება. გ) ემოციების მართვა.
	6. სოციალური სტრატეგიები	ა) შეკითხვების დასმა. ბ) თანამშრომლობა. გ) ემფატია სხვებთან ერთად.

მკვლევარებმა კონცეპტუალიზაცია უნდა მოახდინონ უცხოური ენის შესწავლის სტრატეგიებში, რომლებიც შეიცავს სწავლის სოციალურ და ემოციურ მხარეებს უფრო მეტად ინტელექტუალური ხაზით. უცხოური ენის შემსწავლელი არ არის კოგნიტური და მეტაკოგნიტური მექანიზმი, ის არის სრულფასოვანი პიროვნება.

მასწავლებელს შეუძლია აწარმოოს კვლევა, რათა უკეთ გაიგოს თავისი სტუდენტები და გაითვალისწინოს ის სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეებს სჭირდებათ.

არსებობს ბევრი აქტიური სტრატეგია, რომელიც მოსწავლემ უნდა გამოიყენოს ეფექტური სწავლებისთვის. მოსწავლეები სტრატეგიების შესწავლით პოულობენ გზას გაზარდონ თვალთახედვის არე სოციალური ურთიერთობისთვის. მაგ.: ელვინ ჰეთის (1978) მიხედვით, ისინი ავითარებენ ტექნიკას კარგი საუბრისთვის.

ნებისმიერი სახის სტრატეგიული სწავლების წარმატებაში მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს თითოეული ინდივიდის წარმატება.

ლიტერატურა:

1. გიორგობიანი, ლ., კახიშვილი, ლ., მაცხოვრებელი, გ., ქვლივიძე, რ. 2004. უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდика. თბილისი.
2. Bialystok, E. 1981. The role of conscious strategies in second language proficiency. Modern Language Journal, 65, 24-35.
3. Carter, R., and Nunan, D. 2001. The Cambridge Guide to Teaching English to Speakers of Other Language. Cambridge University Press.
4. Hatch, E. 1978. Second language acquisition. Rowley, Mass.: Newbury House.
5. Oxford, R. L. 1990. Styles, strategies, and aptitude: Connection for language learning. In T. S. Parry and C. W. Standsfield (Eds.), Language aptitude reconsidered (pp.67-125). Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.

6. Oxford, R.L. 1990b. Language learning strategies: What every teacher should know. Boston: Heinle & Heinle. URL Retrieved January 25, 2010.
7. Rubin, J. 1981. Study of cognitive processes in second language learning. Applied linguistics 11: 117-31.
8. Schmeck, R. R. 1988. Learning strategies and learning styles. Plenum, New York.

Rusudan Gogkhia

Ekvtime Takaishvili Teaching University

DEFINITIONS AND CATEGORIZATION OF FOREIGN LANGUAGE LEARNING STRATEGIES RESUME

The strategies research tool by Rebecca Oxford is currently the most popular in the international space. That is the critical question of the role of foreign language teaching strategies for pedagogy. Famous metaphor, "cultural iceberg" (Oxford, 1996) about shows that many aspects of culture: values, perceptions, beliefs exist beyond the surface of consciousness, other aspects operate in the operating area. Culture often plays an important role in learning styles and strategies that are adopted by many cultures. (Oxford, 1996).

The importance of culture is reflected in the concept of situational cognition, which means that the cognition is the deployed activity in time and space, in which develops skills. It is inseparable from learning; it is an integral part of learning.

Learning a foreign language is within a given cultural context. In this respect, it is not only the transmission process of learning, but always transformation.

ხათუნა დოლიაშვილი

გორის №7 საჯარო სკოლა

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება

ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხოური ენის სწავლებისა და უცხო კულტურის მიწოდების ალტერნატიულ მეთოდებს. ანტიკურ ხანაში ვარაუდობდნენ, რომ უცხოური ენისა და ამასთანავე კულტურის შესწავლა მიზანშეწონილი იყო მიზნობრივ ქვეყანაში. შუა საუკუნეებში მრავალი ადამიანი არაერთ უცხოურ ენას ფლობდა, თუმცა კი ცნობილია, რომ სამონასტრო სკოლებსა თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სისტემურად მხოლოდ ლათინური ენა ისწავლებოდა, სხვა დანარჩენ უცხოურ ენებს კი ადამიანები ამ ენაზე მოსაუბრე ხალხთან კომუნიკაციით ითვისებდნენ ვაჭრობასა თუ სხვა პროფესიულ სფეროებში. XVIII-XIX საუკუნეებში კი თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ოჯახებში გუვერნანტი ქალბატონები თავიანთ მშობლიურ ფრანგულ ენაზე ისტორიას, გეოგრაფიას და სხვადასხვა საგნებს ასწავლიდნენ აღსაზრდელებს და აღსაზრდელებიც „ბუნებრივი“ გზით ითვისებდნენ უცხოურ ენას. გარკვეულწილად ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში, უფრო მეტად კი XVIII-XIX საუკუნეებში შეგვიძლია ვეძებოთ ბილინგვური საგნობრივი გაკვეთილის ძირითადი პრინციპების საწყისი, რაც გამოიხატებოდა ენის ინტერკულტურული სწავლების მეთოდებში, ასევე ენისა და საგნის ინტეგრირებულად სწავლებაში, კერძოდ კი უცხოურ ენას ადამიანები იყენებდნენ სხვადასხვა პროფესიული საქმიანობებისთვის.

ეს ნაშრომი ეხება ბილინგვური განათლების ერთ-ერთ ეფექტურ ფორმას, რომელიც დასავლეთში საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების სახელითაა ცნობილი. ორი საგნის გამოყენება სასწავლო პროცესში მასწავლებლის მხრიდან სერიოზულ მომზადებას მოითხოვს. მოსწავლეების მიერ ორივე ენაში მაღალი კომპეტენციის მისაღწევად და ამასთანავე საგნის შინაარსის ასათვისებლად კლასში სტრატეგიული საგაკვეთილო და ენობრივი დაგეგმვა აუცილებელია. ხშირად მოსწავლეები სასწავლო საგანს ვერ ითვისებენ მეორე ენის შეზღუდული ცოდნის გამო, რაც მათი აკადემიური ჩამორჩენის მიზეზიც ხდება; ამასთანავე საგნობრივი პედაგოგები შიშობენ, ინტეგრირებულ გაკვეთილზე ენობრივი კომპეტენციების ამაღლებისთვის გარკვეული დროის დათმობა დააზარალებს ეროვნული სასწავლო გეგმას მოცემულ საგანში (მათემატიკაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში და ა. შ.), რომლის დაფარვაც სავალდებულოა ყველა საგანში. ნაშრომში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები

საგნობრივი პედაგოგებისთვის, თუ როგორ დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილი, რა ტიპის აქტივობები გამოიყენონ ასეთი გაკვეთილების ჩატარებისას და რა პრობლემებს შეიძლება წააწყდნენ. სასწავლო საგნის შინაარსისა და ენის ათვისების ინტეგრირება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც მასწავლებელმა უნდა შეასრულოს. ეს მართლაც რთული პრობლემაა, რომლის გადაჭრაც მხოლოდ მასწავლებელთა თანამშრომლობის შედეგად არის შესაძლებელი. სწავლების ენისა და სასწავლო საგნობრივი შინაარსის ინტეგრირება ნიშნავს ენობრივი კომპონენტების საგნობრივ გაკვეთილებში ჩართვას. ინტეგრირებული მიდგომა აგებს ხიდს მეორე ენის გაკვეთილებსა და საგნობრივ გაკვეთილებს შორის. ამ მიდგომის გამოყენების შედეგად ორი დადებითი შედეგი მიიღწევა: მეორე ენისა და სხვა სასწავლო საგნის მასალის (საგნობრივი შინაარსის) ათვისება. სასწავლო საგნის გაკვეთილზე მასწავლებელი სასწავლო მასალას მოსწავლის შემეცნების დონის შესაბამისად ასწავლის, ხოლო მოსწავლის ენის ცოდნის დონის შესაბამისად ირჩევს **საკომუნიკაციო აქტივობებს**; ასე რომ, ენა იქცევა მასალის ათვისების საშუალებად, ინსტრუმენტად და არა **სწავლების საგნად**. ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება რამდენიმე უმნიშვნელოვანესი უნარის განვითარებას მოითხოვს პედაგოგისაგან: ეს ერთნაირად ეხება როგორც მეორე ენის პედაგოგს, ასევე სხვა საგნების მასწავლებლებსაც: **1. მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებლების გამოყენება** - რათა მეორე ენის მასალა შეძლებისდაგვარად მარტივად აღსაქმელი გახდეს, მასწავლებელმა ინფორმაცია შემეცნების მრავალფეროვანი მასალის გამოყენებით უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს: რეალური საგნების, ცხრილების, გამოსახულებების, დიაგრამების, ასევე დემონსტრირების, წინასწარ წაკითხვისა და წერის სტრატეგიების გამოყენებით. **2. მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ორგანიზება** - სწავლების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლე, მისი ინტერესები და საჭიროებები. მოსწავლე არის აქტიური ობიექტი, მასწავლებლის ფუნქციაა, მოსწავლეების თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის ცოდნის მიღების პროცესში აქტიურ ჩართვას შეუწყოს ხელი. მასწავლებელმა სამუშაო ისე უნდა დაგეგმოს, რომ მოსწავლეს ანალიზის უნარი განუვითაროს, რაც ასათვისებელი მასალის შემდგომში გამოყენებისთვის არის აუცილებელი. ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებას სერიოზული მომზადება ესაჭიროება: უპირველესად, განსასაზღვრია როგორც საგნობრივი, ასევე ენობრივი მიზნები. გასააზრებელი და დასაგეგმია თითოეული აქტივობა. ინტეგრირებული მიდგომის დაგეგმვისთვის უპრიანია მომზადების შემდეგი ხერხი: სანამ ინტეგრირებული მეთოდის გამოყენებას დაიწყებდეს, საგნის მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა ხერხებს იყენებს მეორე ენის პედაგოგი თავის გაკვეთილებზე. ამ ინფორმაციის მისაღებად მასწავლებლები ერთმანეთის გაკვეთილებს უნდა დაესწრონ და კლასში მუშაობის პროცესს დააკვირდნენ. რასაკვირველია, კარგია, თუკი საგნისა და ენის მასწავლებლები წინასწარ იქნებიან მომზადებულები ტრენინგის გზით. ენისა და სხვა სასწავლო საგნის მასწავლებლებმა, ერთად მუშაობის დროს, უნდა დაადგინონ ენობრივი სირთულეები და მოსწავლისთვის საჭირო უნარები, რომლებიც შესაბამისი საგნის მასალის ათვისებისთვის არის აუცილებელი (მაგალითად, სახელმძღვანელოს წაკითხვის უნარი; სავარჯიშოების რვეულში დავალების შესრულების უნარი; სხვადასხვა ტერმინის მნიშვნელობის გარკვევის უნარი; საკუთარი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების უნარი და სხვა). შემდეგი ნაბიჯი საგნობრივი და ენის მასწავლებლის ერთობლივი მუშაობის პროცესში იმ პრობლემების დადგენაა, რომლებიც შესაძლოა შეექმნათ მოსწავლეებს ამა თუ იმ მასალის (იგულისხმება საგნობრივი მასალა) ათვისებისას. ასეთი სახის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, იმის გამო, რომ სახელმძღვანელოების ან სხვა, დამხმარე ტექსტების ლექსიკა ზედმეტად რთულია. ასეთ შემთხვევებში მეორე ენის მასწავლებელი ეხმარება საგნობრივ პედაგოგს თვალსაჩინოებების შედგენაში, სადაც მაქსიმალურად გამარტივებული იქნება შესასწავლი აუცილებელი ტერმინები და ის მარტივი ენობრივი კონსტრუქციები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოვლენას მეორე ენაზე, ძირითადი სათქმელის გადმოცემას ქართულად. საგნობრივმა მასწავლებელმა უნდა დაადგინოს თავისი საგნის სწავლების პროცესში ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი სიტყვების ჩამონათვალი. მეორე ენის მასწავლებელთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს ამ სიტყვების სწორად გამოყენების უნარი. შესაძლოა, ძალიან გამოადგეთ ძირითადი სიტყვების მოსწავლეებისათვის წინასწარ გაცნობა. მასწავლებელს შეუძლია, გაკვეთილის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ისეთ სიტყვებზე, რომელთაც შეუძლიათ მოსწავლეთა აზროვნება სწორი მიმართულებით წაიყვანონ, დაეხმარონ მიზეზშედეგობრივი კავშირის პოვნასა და პასუხების მოძიებაში. როგორც არაერთხელ ითქვა, ინტეგრირებული გაკვეთილის ახსნისას აუცილებელია მრავალფეროვანი ვიზუალური მასალის გამოყენება; მაგალითად, შეიძლება ქაღალდზე ამოწერილი და ამოჭრილი, ქართულ ენაზე შესრულებული საჭირო ტერმინების მიკრობა. ეს დამატებითი ინფორმაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება დარჩეს ვიზუალურ მასალაზე განთავსებული. როცა დარწმუნდებით, რომ მოსწავლეებმა ახალი ტერმინები აითვისეს, მიკრობილი ფურცლების მოხსნა შეგიძლიათ. ასევე მასწავლებელმა უნდა შექმნას სიტუაციები, რომლებშიც მას შეუძლია დარწმუნდეს, რომ მოსწავლეები

ახალ ტერმინებს სრულად დაეუფლნენ. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა დაისახოს უმნიშვნელოვანესი მიზნები და სწორედ მათ მოარგოს შესაბამისი მასალა, რათა გამოუსადეგარი წერილმანებისა და დეტალების სწავლებას აარიდოს თავი. საგნის მასწავლებელს შეუძლია მოძებნოს ალტერნატიული სასწავლო წიგნები ან სხვა მასალა, რომელთა განმარტებებიც უფრო შესაბამეხა მეორე ენის ათვისების პროცესში მყოფ მოსწავლეებს. ასევე მასწავლებელს შეუძლია უკვე არსებული ტექსტების მოსწავლის ენის ცოდნის დონის შესაბამისად ადაპტირება; არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა პირველ რიგში ძალიან მარტივად აღსაქმელი მასალის მომზადება ახალი თემის სასწავლებლად, ხოლო შემდეგ გაკვეთილებზე ენობრივი მრავალფეროვნების თანდათანობითი ზრდა, სანამ თემა სრულად იქნება ათვისებული. ძალიან მნიშვნელოვანია გაკვეთილის დასაწყისში მიზნები დაფაზე დაიწეროს და ქართულ ენაზე ხმამაღლა დავასახელოთ (შესაძლებელია, მოსწავლეებსაც გავამეორებინოთ ეს მიზნები). სასარგებლო იქნება ასევე იმის განმარტება, რომ ეს გაკვეთილი წინა და შემდეგ გაკვეთილებთან მჭიდრო კავშირშია. სანამ მოსწავლეები რაიმე სამუშაოს შესრულებას შეუდგებიან, მასწავლებელმა მათ სავარჯიშოს სრული აღწერა უნდა გააცნოს: სასურველია, პედაგოგმა შეძლოს ამ აღწერის ქართულ ენაზე წარდგენა, თუმცა, გავითვალისწინოთ, რომ პირობის გაგება უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და მშობლიური ენის გამოყენების შეზღუდვა ამ კომპონენტში მიზანშეუწონელია. ამის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს მისცეს უფლება, ეს დავალება საფეხურებად თავად შეასრულონ. ეს ხერხი განსაკუთრებით მათემატიკისა და სხვა ზუსტი მეცნიერებების სავარჯიშოების შესრულებისთვისაა ხელსაყრელი. საჭიროა, რომ მოსწავლეებს თანამშრომლობისა და კლასში სამუშაოდ ურთიერთკავშირისთვის წინაპირობა შეეუქმნათ. ყოვლად დაუშვებელია, რომ მასწავლებელმა მხოლოდ ლექციის ფორმატი გამოიყენოს - თვითონ ილაპარაკოს ბევრი, ხოლო მოსწავლეები პასიურები იყვნენ; მოსწავლეების დამოუკიდებელ, წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობა საუკეთესო ფორმა ინტეგრირებული სწავლებისათვის. ისინი აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი გაკვეთილის ყველა მონაკვეთში. ამ შემთხვევაში მოსწავლეები კარგად აითვისებენ როგორც საგნობრივ მასალას, ასევე გაიუმჯობესებენ ენის ცოდნას. მასწავლებელმა ხელოვნურად უნდა შექმნას სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ, საგნის შესაბამისი ლექსიკა გამოიყენონ და საგნობრივი შინაარსის შესახებ საკითხებზე ისაუბრონ, ამავდროულად წერილობით გამოთქვან აზრი ქართულ ენაზე. ენის ათვისების პროცესში მოსწავლეები საუბრისას შეცდომებს უშვებენ. ეს ბუნებრივი მოვლენაა. ბილინგვალური მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოსწავლეებს ესმით ინფორმაცია და არ უნდა მიექცეს გადაჭარბებით დიდი ყურადღება ორთოგრაფიისა და სტილისტიკის ასპექტებს. რა თქმა უნდა, მასწავლებელმა თავად სწორი ფორმა უნდა შესთავაზოს, მაგრამ მისგან გამართული მეტყველების მოთხოვნა გაუმართლებელია. მთავარი როლი ენის სწორად გამოყენების ათვისებაში ენის მასწავლებელს უჭირავს და არა ამა თუ იმ საგნის პედაგოგს. ინტეგრირებული გაკვეთილის წარმატებული შედეგისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორად და გემოვნებით შერჩეულ აქტივობებს. აირჩიეთ აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, თავად აღმოაჩინონ ახალი ინფორმაცია; მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ორგანიზებაში და შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობას უგეგმავს. საბუნებისმეტყველო მიმართულების ან სოციალურ მეცნიერებათა გაკვეთილებზე დიდი წარმატებით შეიძლება იმ ხერხების გამოყენება, რომლებშიც მოსწავლეები პროექტის მეთოდით იკვლევენ თავისივე არჩეულ თემას. მასწავლებელი მოქმედებს როგორც კოორდინატორი - მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, ეძებს მის მიზეზებს, ატარებს კვლევებს ან ექსპერიმენტს და პრობლემის გადაწყვეტის გზებს ეძებს. ენის ცოდნის დონე, აზრის გასაგებად გამოთქმის უნარი და პროექტის შემუშავების პროცესში სხვების აზრის გაგება იძენს კონკრეტულ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამ დროს შესაძლებელია ქართული ენის - როგორც ინფორმაციის მოგროვების, მონაცემთა დამუშავების, არგუმენტირების საშუალებად გამოყენება. რეკომენდებულია, მასწავლებელმა გამოიყენოს აქტივობები, რომლებშიც მოსწავლეებისთვის ნაკლები ინფორმაციის მოძიება იქნება საჭირო: ამ ტიპის აქტივობებს მიეკუთვნება როლური თამაშები, სიტუაციური, კითხვა-პასუხების სავარჯიშოები, პრობლემების გადაწყვეტა. თითოეულ მოსწავლეს (კლასში ან ჯგუფში) აქვს ერთი ან ორი ინფორმაციის ფრაგმენტი, რომლებიც სავარჯიშოს შესასრულებლად არის აუცილებელი, მაგრამ არ არის საჭირო ინფორმაციის სრულად მიწოდება. მოსწავლეებმა ერთად უნდა იმუშაონ, უნდა გაცვალონ ინფორმაცია. ამ ხერხით მათი მეტყველების და აზროვნების უნარის გავარჯიშება და ენის დონის გაუმჯობესება შეიძლება. თემის ათვისების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსმენის აქტივობებს: თემის შესაბამისი მასალის მოსმენა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, განეწყონ თემაში ჩაღრმავებისთვის. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს შეიძლება რაიმე სიმღერა, ლექსი ან თუნდაც მოკლე მოთხრობა შესთავაზოთ და ამის შესახებ გაუჩინოთ მოტივაცია, რომ მოკლედ ისაუბრონ ამ საკითხზე. საკმაოდ რთული საკითხია კონკრეტული აქტივობისა თუ, საზოგადოდ, გაკვეთილის შეფასება ინტეგრირებული სწავლების პროცესში; აქვე დგება ერთი პრობლემა, რომელიც დამატებით თავსატეხს უჩენს პედაგოგს:

როცა მოსწავლე ვერ ასრულებს ამა თუ იმ დავალებას, გასარკვევია, ეს ხდება საგნობრივი შინაარსის არასრულყოფილად ათვისების თუ ენობრივი კომპეტენციების დაბალი დონის გამო... ეს პრობლემა მართლაც მნიშვნელოვანია და მთელი რიგი შეფასებითი აქტივობებისა უნდა გამოიყენოს პედაგოგმა, რათა დასვას ზუსტი დიაგნოზი, გამოარკვიოს მიზეზი, თუ რატომ მოხდა მიზნის მიღწევის პროცესში შეფერხება. ეს ცალკე თემაა და საგანგებო მსჯელობას მოითხოვს.

ლიტერატურა:

ბეიკერი, 2010 - კ. ბეიკერი, ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის საფუძვლები; თბილისი, „საიმედო“, 2010.
ივეინა, 2009 - ე. ივეინა, საგნობრივი შინაარსისა და სწავლების ენის ათვისების ინტეგრირება გაკვეთილზე; ბილინგვური განათლება; სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის; თბილისი, 2009.
უილიამსი, 1996 - WILLIAMS, Cen, 1996, Secondary education: Teaching in the bilingual situation. შარაშენიძე, 2010 - ნ. შარაშენიძე, ტრენინგები ინტერკულტურული და ბილინგვური სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიაში, ჟურნალი „ბილინგვური განათლება“, თბილისი, „საიმედო“, 2010, №1.

Khatuna Doliashvili

Gori VII Public School

INTEGRATED TEACHING OF THE SUBJECT AND THE LANGUAGE RESUME

The work deals with one of the most effective form of bilingual education which is known in the West as an integrated teaching of a subject and a language. Two subjects which are used in the teaching process require serious preparation of the teacher. Strategic planning is necessary in order to get high results in students' achievements in both subjects. This issue provides specific recommendations for teachers, especially how to plan an integrated lesson, what type of activities to use to conduct it and what problems they could be encountered. The integration of two subjects is one of the main aims of educational process that should be effectively performed by a teacher.

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზმნის ზოგიერთი კატეგორიის (პირთა რაოდენობის) სწავლება ბაკალავრიატში

ზმნის პირის შესწავლა პირის ნაცვალსახელთა განმეორებას უკავშირდება. ფსიქოლოგიიდან და მეთოდებიდან ცნობილია, რომ ზმნის “პირისა და რიცხვის ამოცნობაში პირის ნაცვალსახელები საიმედო ინდიკატორებს წარმოადგენენ” (5:38).

უმადლეს სკოლაში ქართული ენის სწავლების დროს ჯერ კიდევ სადავოა: ჯერ ზმნის პირი და რიცხვი უნდა ვასწავლოთ, თუ ზმნის პირთა რაოდენობა ერთ ფორმაში. მ. თალაკვაძე ასეთ რიგს იცავს: “სუბიექტური პირები და მათი ნიშნები მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში, პირის ნიშანთა ორმაგი გამოხატვა, პირთა რაოდენობა ზმნის ერთ ფორმაში, ზმნაში წარმოდგენილ პირთა გარჩევა, ობიექტური პირის ნიშნები, პირთა დაჯგუფება” (1:10). ეს თანამიმდევრობა ავტორს მოტირებულ აქვს იმიტომ, რომ სწავლებაში დაცული იქნება ადვილიდან მწელზე გადასვლის მოთხოვნა, მართალია, საკითხი საშუალო სკოლაში ზმნის სწავლებას ეხება, მაგრამ ასეთი თანამიმდევრობა ბაკალავრიატშიც გამართლებულია.

დაწყებითი სკოლისა და V-VII კლასის პროგრამით მოსწავლეებმა იციან ზმნის უღლება პირსა და რიცხვში, სუბიექტური პირის ნიშნებისა და რიცხვის ნიშნების გამოყოფა (ვ-ხატავ, ხატავ, ხატავ-ს, ვ-ხატავ-თ, ხატავ-ენ...), სკოლაში მიღებული ცოდნის განმეორების შედეგად, არავითარი დაბრკოლება არ გვხვდება იმ მხრივ, რომ სტუდენტებს ზოგადად გავაცნოთ ჯერ პირთა რომელობა, შემდეგ რაოდენობა და როგორობა ზმნის ერთ ფორმაში, შემდეგ გადავიდეთ პირის ნიშანთა გაცნობაზე.

3. არნ. ჩიქობავა, რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, "ახალ სკოლისაკენ, 1929, №9-10
4. Жуков С.Ф., "Психология усвоения глагола как части речи, вопросы психологии усвоения грамматики и орфографии, М., 1964

Manana Mikadze
Akaki Tsereteli state University
TEACHING PERSON OF THE GEORGIAN VERB
RESUME

The verb is a word which expresses action or state. The finite form of the verb can be predicate of a sentence. It agrees with the subject in Person and Number.

From the point of view of the morphological characteristics as well as syntactic functions, the verb cannot be viewed as a homogeneous class of words.

Georgian verb is very rich by morphological categories. Among them Person and Number are the main Categories. Georgian verb has Subject person and Object person. Object person may be direct and indirect. All persons have its marks (suffixes or prefixes) in the verb. Person may be I, II and III. In Georgian verb may be by one subject and one or two objects (direct and indirect). The subject and the object are marked morphologically.

There are three main classification of verbs: morphological, semantical and functional. The main principle of the morphological classification is that Georgian verbs have Person, Number, Preverb transitive, time mood, aspect, "seria and mtskvrivi" (cthb f vorhdb), voice, version, contact, corn, and s.o.

Verb can also be grouped according to their general semantic meaning, which is more abstract than the lexical meaning if each verb.

According to the functional meaning verb always is the predicate of the sentence.

The article is about teaching person of the Georgian verb. Here shows the way and methods of teaching and is given special system of exercises.

ლელა სარალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ

იაკობ გოგებაშვილი დიდი ქართველი პედაგოგი და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მან მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის, ერის სამსახურს შეაღწია. მადლიერმა ქართველმა ხალხმა იგი, თავის „დედა ენასთან“ ერთად, უკვდავების შარავანდედით შემოსა და სალოცავ ხატად გაიხადა. გამოჩენილი ქართველი მოღვაწის თვალსაზრისი ისეთ მნიშვნელოვან და საჭირობო საკითხებზე, როგორცაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული კონცეფცია, ქართული ენის უფლებრივი მდგომარეობა, ქართული ეკლესიის, როგორც ეროვნული იდენტობის და სახელმწიფოებრივი იდეის გადარჩენის მძლავრი იარაღის როლი, სოციალური უფლებები, ასევე მისი ლიბერალურ-დემოკრატიული შეხედულებები, დღესაც მეტად აქტუალურია. იაკობ გოგებაშვილს იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც რუსული კოლონიური პოლიტიკა და რუსეთის რეაქციული ძალები ცდილობდნენ ქართველი ერის დაშლას სვანებად, მეგრელებად და სხვა კუთხურ-ტომობრივი ნიშნით, დიალექტზე მოლაპარაკეთ არაქართველებად აცხადებდნენ და ცდილობდნენ საქართველოდან მოეწყვიტათ აფხაზეთი, შიდა ქართლი, სამეგრელო, სვანეთი, აჭარა. ის არ ეგუებოდა რუსულ რეჟიმს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოწინააღმდეგეებს საკადრის პასუხს აძლევდა. იაკობ გოგებაშვილმა კარდად იცოდა, რომ „...ტერიტორიის ხელიდან გამოცლა და დაკარგვა ყველა უბედურებას აღემატება, მეტადრე იმისთანა ერისთვის, რომელიც ცხოვრობს მარტო მხენელ-მთესველობით... ტერიტორიის დაკარგვა სავსებით უდრის ამისთანა ერის აღმოფხვრას...“ [1, 2].

იაკობ გოგებაშვილი თვლიდა, რომ კუთხური განსხვავება, საქართველოს მრავალფეროვნება, მისი სიძლიერის ნიშანია. იგი გმოზდა სხვა ერისადმი სიძულვილის გამოვლენას და საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებების დამცველი იყო. ცილისწამებად მიიჩნევდა ქართველთა მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს სხვა ერის წარმომადგენელთა შევიწროვებასთან დაკავშირებით. იგი მიუთითებდა, რომ საქართველოში ზედმეტად დაკანონდა და მყარ ტრადიციად იქცა სხვა ერის შემწყნარებლობა, რის გამოც ქართული ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვების ხელში აღმოჩნდა.

იაკობ გოგებაშვილმა საქართველოს ისტორიის დავიწყებული ფურცლები ხელახლა გადაშალა და ყმაწვილების სულიერ საზრდოდ აქცია. თავის სახელმძღვანელოებსა და წერილებში, მან შეძლო ისტორიული ფაქტები ხალხისთვის გასაგები ენით გადმოეცა და პოპულარული გაეხადა. ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად იაკობი ერის თავკაცი იყო. იგი დღენიდავ ქართველი ხალხის მომავალზე ფიქრობდა და ხალხის უკეთესი მერმისისთვის იბრძოდა. თავის სამოქმედო პროგრამის შესახებ იაკობ გოგებაშვილი წერდა: „კარგად მოგეხსენებათ, რომ საზოგადო ასპარეზზე მოქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გარკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით, აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით და ამასთან მხოლოდ ახორციელებს ამ თავის მიმართულებას, პროგრამას“ [2, 244]. იაკობ გოგებაშვილს თავისი მოღვაწეობის პროგრამაც და მიმართულებაც თავიდანვე ჰქონდა გარკვეული და ისიც კარგად იცოდა, რომ ამ პროგრამის განხორციელება გაბედული, თანმიმდევრული მოქმედების გარეშე შეუძლებელი იყო. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „რას ვიცავდი და როგორ ვიცავდი ჩემის ორმოცი წლის სალიტერატურო მოღვაწეობაში, ეს კარგად იციან მოსწრებულმა მკითხველებმა. ვიცავდი უმთავრესად: თვითმმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედაენაზე, ქართულის ეკლესიის განთავისუფლებას, ანუ ავტოკეფალიას, ქართულის ტერიტორიის გადასვლას ქართველის გლეხების ხელში და სხვ. ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გაბედულებით, ერთიანი მიმართულებით და შინაარსით. და ვერც ერთი ცილისწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალს ნაწერებში თუნდაც მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას. მე გამოვედი საზოგადო ასპარეზზე შემუშავებული პროგრამით, ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტის ოდენადაც არ მიღალატნია არც ერთხელ, არასდროს. მე არასდროს არ დამვიწყებია, თუ რისი შემძლეა ჩვენი პატარა ერი. „მაქსიმუმი შესაძლებლობებისა“, ასეთი იყო ჩემი დევიზი, და არასდროს შეუძლებელზე ჩვენს ერს არ ვაქეზებდი, რადგანაც ცაში წეროების დევნა საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ყველა შინაური ფრინველიც კი ხელიდან გამოეცალოს ხალხსა და თვითონაც სიკვდილის გზას დაადგეს“ [3, 286].

იაკობ გოგებაშვილი საქართველოს რუსეთთან შეერთებას დადებითად აფასებდა, რაც იმით აიხსნება, რომ მისი ეს შეხედულება დროის შესაბამისი იყო. მაშინდელი კოლონიური რეჟიმის პირობებში რთული იყო ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ხმამაღლა საუბარი. მიუხედავად ამისა, იგი მწვავედ აკრიტიკებდა რუსეთის ხელისუფლების იმპერიულ-შოვინისტურ პოლიტიკას ქართველი ერისა და მისი კულტურის მიმართ. მან საქმით დაამტკიცა სამშობლოსთვის თავგანწირვა. იგი ამხელდა ცარიზმის უმკაცრეს რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მიუთითებდა ქართველთა გაუგონარი შევიწროვების, დევნისა და რეპრესიების ფაქტებზე, საქართველოს ტერიტორიაზე რუსების მასობრივ ჩამოსახლებაზე. იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტერიტორიული ერთიანობის საკითხს და ტერიტორიის ხელიდან გამოცლას ქვეყნისთვის დიდ უბედურებად, ერის გაქრობის ტოლფასად მიიჩნევდა. იაკობი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას უმთავრესად მიიჩნევდა და სწამდა, რომ ხალხის განვითარება-გაძლიერება ეროვნული პრინციპების განვითარების გარეშე ყოვლად შეუძლებელი იყო. იგი წერდა: „...ადამიანი მაშინ იმოსება შესაბამისი ძალ-ღონით, როდესაც აღიზრდება ისე, როგორც მოითხოვს მისი თავისებური აგებულება – ფიზიკური და ფსიქიური. მითუმეტეს ეს უნდა ითქვას მთელს ერზე. ერი თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოძებნით ისეთ მაგალითს, რომ ერს ეღალატოს თავისი ეროვნებისთვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს...“ [4, 11].

იაკობ გოგებაშვილი მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში, რამაც შემდგომში სათავე დაუდო ქართული ტერიტორიების დაშლა-დანაწევრებას. 1907 წელს იგი წერდა: „ამჟამად აფხაზეთს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დაამორონ იგი საქართველოს, გაიმართვონ და გადაიბირონ თავისკენ. მეორენი, მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზეთისა ქართველებთან. ეს ორი მოწინააღმდეგენი სხვადასხვა ხერხებს ხმარობენ თავისი წადილის მისაღწევად... პირველნი სწერენ და შესაბამის საქმეებსაც აკეთებენ – ქმნიან ფაქტებს და ამ ფაქტების ძალით იმედი აქვთ ლელო გაიტანონ. მეორენი მხოლოდ ბუზღუნებენ, სჩივიან, წერენ კორესპონდენციებს გაზეთებში, სადაც თავის უკმაყოფილებას აცხადებენ – საქმით კი არაფერს

აკეთებენ. ამ დალოცვილებს დავიწყებით ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ უკუღმართის საქმის ძლევა, შეიძლება მხოლოდ წარმართი საქმით და არა ცარიელი სიტყვით, ფაქტის გაქარწყლება ძალუძს მარტო ფაქტსავე და არა ლიტონს სიტყვასა. ისტორიული ერთობის დამცველთა აფხაზთა და ქართველთა შორის რიგიანად ვერ შეუგნიათ, რომ ძველებური ხერხებითა და ტაქტიკით ახლა აღარ ძალუძთ ფონს გავიდნენ, რომ ახალი გარემოებანი ახალს ტაქტიკას თხოულობენ. რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ტაქტიკა? მის პასუხად ერთობის მოციქულებს გავუზიარებ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის – ოსების მოქმედებას უკანასკნელ ხანებში. ამათ ისარგებლეს ქართული „დედა ენით“ და მოკლე ხნის განმავლობაში შექმნეს „ოსური დედაენა“. რადგანაც სურათების დამზადება დიდ ხარჯს ითხოვს, მეზობლურად ითხოვეს ქართველებისაგან კლიშეები, რომელნიც მათ სრულიად უფასოდ დაეთმოთ. სრული თვე არ იქნება გასული, რომ „დედა ენა“ დაბეჭდეს და მოკლე ხანში მოფინეს ხალხში. ზედ მიაყოლეს თარგმანი ქართული საყმაწვილო მოთხრობისა. პირველად გადათარგმნეს სომხებსავე „იავნანამ რა ჰქმნა?“, ითხოვეს წერა-კითხვის საზოგადოებისაგან მოთხრობის კლიშეები და შეუდგნენ ბეჭდვასა. თარგმნიან აგრეთვე ქართულიდან სხვა მოთხრობებსაც...“ [5]. იაკობ გოგებაშვილი ამ მაგალითის მოყვანით ურჩევს აფხაზ ძმებს, თუ რეალურად რა გზას უნდა დაადგნენ პოლიტიკანების გასაცურებლად და თავიანთი მისწრაფების განსახორციელებლად. იგი ურჩევს მათ: „...აფხაზური დედა ენა დაბეჭდონ არა იმ მახინჯური ანბანით, რომელიც შეუთითხნიათ პოლიტიკანებსა, არამედ ისტორიული აფხაზური ანბანით, რომელიც ქართული ანბანიც არის და რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი უსლარი აღიარებს უსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის. ეს ანბანი ხატავს ყოველ ხმას აფხაზური ენისას და ზედ გამოჭრილია მასზე. მარტო იგი იხმარებოდა მრავალი საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში და შესისხლხორცებულა მასთან. ყველა ამის გამო, კითხვის შესწავლა, განათლების მიღება იხსნის მათ იმ მავნებელი განმარტოებისაგან, რომელსაც უმზადებენ პოლიტიკანები მახინჯური ანბანით“ [5].

იაკობ გოგებაშვილი აფხაზი ხალხის გადარჩენის მომავალს საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობაში ხედავდა. რადგან, როგორც იგი ამბობს: „...თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით; მეტსაც შეიტყობენ. მაშინ აფხაზეთი სათავეში უდგა მთელ დასავლეთ საქართველოს, რომელსაც აფხაზეთის სახელმწიფო ერქვა, მაგრამ როცა ისტორიის უკუღმართმა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და გაამარტოვა, აფხაზები უკან უკან წავიდნენ, დაეცნენ, გაველურდნენ, რიცხვით მეტად შემცირდნენ და ახლა, წინანდელის მოზრდილი ერის ნაცვლად, წარმოადგენენ ერთ მუჭა თემს, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკანებმა გააცალკევეს, გაიმარტოვეს და მოსწყვიტეს საქართველოსა. მტკიცე კავშირი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს...“ [5]. 19–ე საუკუნის 80–იან წლებში განსაკუთრებით დიდი რეზონანსი მოჰყვა ი. გოგებაშვილის სტატიების სერიას გაზეთ „ტბილისსკი ვესტნიკ“-ის ფურცლებზე, რომელიც მიძღვნილი იყო აფხაზეთის მიწა-წყლიდან აფხაზების ოსმალეთში მასობრივად გადასახლების საკითხებისადმი. იაკობ გოგებაშვილი საუბრობდა იმ საფრთხის შესახებ, რასაც რუსეთის კოლონიური პოლიტიკა უქმნიდა ქართველ ხალხს. მან პრინციპული მიდგომა გამოიჩინა რუსეთის მიერ აფხაზეთის და სხვა ქართული ტერიტორიების კოლონიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რასაც მკაცრად ამხელდა მის მიერ გამოქვეყნებულ წერილებში.

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას. იგი წერდა: „რამდენადაც ხალხი დაბლა დგას აზრებით და განვითარებით, იმდენად უფრო ლატაკია სიტყვებით, ფრაზებით, საოცრად პატარა ლექსიკონი აქვს“ [6].

1909–1910 წლებში თბილისში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ნაციონალურ საკითხში რადიკალურ გზას დაადგა. მასში შედიოდნენ თავად იაკობ გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, პ. სურგულაძე, ს. ყიფიანი, ა. ყიფშიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ვ. გუნია, მ. წერეთელი და სხვები [7, 74]. ისინი გამოსცემდნენ გაზეთს სახელწოდებით: „ერი“, რომელსაც ცენზურისაგან შეწუხებულნი ხშირად უცვლიდნენ სახელს. შემდეგში ამ ჯგუფის წევრთა ხელშეწყობით დაარსდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

იაკობ გოგებაშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ორი დიდი გოლიათის – ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის გვერდით იდგა და მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას შეაღია. მათმა თავდადებათ, საერთაშორისო ფაქტორებთან ერთად, შემდგომში ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიის კლანჭებისგან საქართველოს გათავისუფლებას. თავის პუბლიცისტურ წერილებში დასმული საკითხების მნიშვნელობით, იაკობ გოგებაშვილი ჩვენს თანამედროვედ გვევლინება. მისი შეხედულებები ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის შესახებ მეტად

აქტუალურია, რადგან საქართველოს ტერიტორიის 20% დღესაც დროებით უცხო ძალის მიერ არის ოკუპირებული. სამწუხაროდ, დღეისათვის ისტორია კრემლის გეოპოლიტიკურ სამსახურშია ჩაყენებული. იაკობ გოგებაშვილის ნააზრევს, ქართველების მოძმე ერებთან თანაცხოვრების შესახებ, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებში ქართველები მათ მტრებად არის წარმოჩენილი.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი, 1910.
2. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებათა, ტ. 3, თბილისი, 1954.
3. იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, თბილისი, 1955.
4. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი, 1910.
5. იაკობ გოგებაშვილი, „პოლიტიკანობა აფხაზეთში“, გაზეთი „წყარო“, 1907.
6. იაკობ გოგებაშვილი, „პასუხად „კვალის რაზმსა“, „ივერია“, N213, 1894.
7. ალექსანდრე მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984.

Lela Saralidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

IAKOB GOGEBASHVILI ABOUT TERRITORIAL INTEGRITY OF GEORGIA RESUME

Iakob Gogebashvili was the famous Georgian figure, the founder of the scientific pedagogy in Georgia and one of leader of National-Liberation Movement. His activities were in the period, when Russia try Georgia's partition off ethnic minorities. His views off the important issues like the country's territorial integrity, national concept, the legal status of the Georgian language, Georgian church's role, his liberal-democratic opinios are still more important. Iakob Gogebashvili attached particular importance to the preservation of country's territorial Integrity and strongly criticized Russian colonial regime. The loss of territory he considered such as the great trouble for country and disappearing of nation. He believed that the nation's progress was impossible without development of national principles. He denounced of facts of strictest Tsarist Russian policy, alleged Georgians harassment, persecution and repression, Russian mass settlements in the Georgian territory. Iakob Gogebashvili felt that the angular difference of Georgia, his diversity, its strength means. He condemned the hatred towards other nations and was defender of the rights of national minorities living in Georgia. He pointed out that Georgia has legalized over-tolerance and a strong tradition of other nations, which is why a large part of Georgian territory to capture it.

Iakob Gogebashvili our contemporaries stand. His views about the country's territorial integrity is still relevant today, as it is still 20% of the territory of Georgia temporarily occupied by a foreign force.

ზურაბ ტიელიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი ბუნების კანონებისა და მოვლენების შესახებ

ბუნების ცოდნა მისი კანონების შეცნობის გარეშე შეუძლებელია, რაც დასტურდება ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების მაგალითზე და, მით უმეტეს, მეოცე საუკუნესა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის მეცნიერული წარმატებებით აღნიშნულ პერიოდში. „ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა,“ – აღნიშნავდა დიდი პედაგოგი და განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი და თავისი მოთხრობების კრებულის „კონა“-ს წინასიტყვაობაში მიუთითებდა: „ბუნების ცოდნა და მისი დამორჩილება შეადგენს ერთს უმშვენიერეს ბურჯს ადამიანის, ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას.“ საზოგადოებისაგან განსხვავებით ბუნებას უფრო შეურყენელი კანონები გააჩნია, აღნიშნავდა იგი, ადამიანი სწორედ ამ კანონებზეა დამოკიდებული. თუკი იგი კარგად შეისწავლის და გაცნობიერდება მათში, მაშინ უფრო გონივრულად წარმართავს თავის

შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ მოქმედებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ისჯება ბუნების ძალებისაგან უფრო მეტად, ვიდრე დამნაშავე სახელმწიფო აპარატისაგან.

ბუნების კანონების შეცნობა რამდენადმე გამწვანებულია იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ძირითადად მიწათმოქმედებით არის დაკავებული, მათ შორის ქართველები, რომელთა სასოფლო-სამეურნეო მოსავალი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ადამიანის შრომაზე და, მეორე მხრივ, ბუნების თვისებებზე - ბუნებრივ პირობებზე. ადამიანი, რომელსაც შეცნობილი არა აქვს ბუნების ეს თვისებები, იმის მაგივრად, რომ იგი გამოიყენოს, პირიქით, ებრძვის მათ და თავის თავს ავნებს, - აღნიშნავდა დიდი პედაგოგი.

იაკობ გოგებაშვილი დღენიადაც ცდილობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცოდნით შეეიარაღებინა ახალგაზრდობა და არა მხოლოდ ახალგაზრდობა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა მთელი მისი შემოქმედება, რაც კი მიემდვნა ბუნების კანონებისა და მისი მოვლენების ახსნას მის მიერ გამოქვეყნებულ მოთხრობებსა თუ კრებულებში („ბუნების კარი“, „დედა ენა“ და სხვ.). „დიახ დიდია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ცოდნისა, განათლებისა, იგი იმდენადვე საჭიროა ერის არსებობისათვის, რამდენადვე ჰაერი სუნთქვისა და სიცოცხლისათვის“, - წერდა იგი.



აი, როგორ იწყებს მომავალი თაობის შეიარაღებას ბუნების ელემენტების ცოდნით იაკობი, როდესაც წელიწადის დროებს მიმოიხილავს, რაც ძირითადად დამახასიათებელია ზომიერი განედის ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოსათვის. იგი სითბოსა და სიცოცხლის წყაროს მზეს მოიხსენიებს თავდაპირველად და აღნიშნავს: ზამთარში

„მზე თუმცა ათბობს, მაგრამ ძალიან ნაკლებად..., გვიან ამოდის, ადრე ჩადის, დღე ძალიან პატარაა, ღამე კი მეტად დიდი. ...მზე თავის სხივებს ალმაცერად აგზავნის“. დიახ, დღეს მეცნიერებაში ცნობილია, რომ ჰავის, ანუ კლიმატის თავისებურება ამა თუ იმ ქვეყანაში დამოკიდებულია მზის სხივის დაცემის კუთხის სიდიდეზე, - მართი კუთხით დაცემა ცხელი ჰავის ჩამოყალიბებას განაპირობებს, მახვილი კუთხით დაცემა კი ცივი კლიმატისას (ზ. ტ.). ამის საილუსტრაციოდ იაკობს საქართველო და რუსეთი მოყავს: „საქართველოში ზამთარი ცხელი არ იცის, ბევრი-ბევრი სამი თვე..., რუსეთში ზამთარში ხუთ-ექვს თვეს გასტანს...“, აღნიშნულ გარემოებას კი სწორედ საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა გეოგრაფიულ განედზე მდებარეობა განაპირობებს, ანუ ეკვატორიდან მათი დაშორება. საქართველო ეკვატორთან უფრონ ახლოსაა, ვიდრე რუსეთი და ამ უკანასკნელში მზის სხივის დაცემის კუთხე უფრო მახვილია, ამიტომ კლიმატი (ჰავა) განსხვავებულია, უფრო მკაცრია (კლიმატ-ლათინურად დახრილს ნიშნავს, აქედან წარმოსდგება სიტყვა „კლიმატი“. ზ. ტ.).

მიმოვიხილოთ მოკლედ, თუ როგორ შეჰყავს ბავშვის და არა მხოლოდ ბავშვის მეხსიერებაში იაკობს წლის დროების თავისებურებანი და ელემენტები, რომელთა ცოდნა ესოდენ აუცილებელია, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობისათვის მომავალ მათ საქმიანობაში: „...ხმელი ზამთარი (უთოვლო და ცივი. ზ. ტ.) ჭირნახულს ძლიერ ახდენს..., როცა ნათესს ზევიდან თოვლი ადევს, უფრო თბილად და სალად ინახება და ზაფხულში კარგი მოსავალი მოყავს...“. ზამთარში „მწვანედ მარტო ფიჭვი და ნაძვი მოსჩანს..., არსადა ჩანს არც ბუზი არც კოლო. უმეტესი ნაწილი ფრინველებისა ამ დროს თბილ ქვეყნებში ატარებს ცხოვრებას..., ნადირთა უმეტესი ნაწილი ზამთარში ბუნაგებსა, სოროებსა და ფულუროებს მოსძებნის ხოლმე..., ...დიდი სიცივის დროს ხანგრძლივ ძილს ეძლევიან.“ „... სიმშობისაგან გაცოფებული მგელი მთელი დღედაღამე ტიტველ მინდორში დარბის, მაგრამ ბევრს ვერაფერს შოულობს.“ „... მეცხვარეს ცხვარი მყარ ბოსელში ყავს..., ...მეღორეს ღორი საღორეში უმწყვდევია.“ „... თუ გლეხკაცს მართლა საქონელი როგორმე გარეთ დარჩა ..., უთუოდ მშვიდი მგლის წერა გახდება. ზამთარში გლეხკაცს ბევრი საქმე არა აქვს, მაგრამ უსაქმოდ არც ახლა რჩება. ზაფხულში და შემოდგომაზე პური და ღვინო მოამზადა..., ... შეშა მარხილით მოაქვს...“

ნამდვილად მეცნიერული საფუძველი უდევს საფუძვლად დიდი პედაგოგის აზრს, როდესაც აღნიშნავს: „ცხრა მარტს (ახალი სტილით 23 მარტს. ეს დღე ბუნიონად - დღედამსწორობად იწოდება. ზ.ტ.). დღე-ღამეს სრულიად უსწორდება და გაზაფხული ამ რიცხვიდან იწყება... (ეს უფრო გამართლებულად გვეჩვენება, ვიდრე გაზაფხულის დაწყება 1 მარტიდან. ზ. ტ.). ამ დღიდან მზე

უფრო და უფრო გვიახლოვდება, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მაღლა-მაღლა მიდის... დღე დიდდება, ღამე კი თანდათან პატარავდება..., ამიტომ ქვეყანა თანდათან თბება...”

ამის შემდეგ გოგებაშვილი მთელი გულისყურით აღწერს გაზაფხულისათვის დამახასიათებელ ძირითად თავისებურებებს: „მდინარეები ადიდდნენ, მინდვრები მწვანითა და ყვავილებით არის მოფენილი, რუსეთში კი ისევ თოვლი ძევს, სპარსეთში ამ დროს გაზაფხულია გაჩაღებული. კეთილი მერცხლებიც გვეწვივნენ, ტოროლაც მოსულა. წეროები, ბატები და იხვები მაღლა ჰაერში დამწკრივებულნი ჩრდილოეთისაკენ მიდიან. ბულბულიც... ლექსებს დასძახებს, ფუტკარი ტკბილ წვენს აგროვებს. ნადირმაც გამოიღვიძა. დათვმა, ზღარბმა ციყვმა და სხვებმა ბუნაგებს, ხის ფულუროებს თავი დაანებეს და ტყეს, ჭალას მოედვნენ..., ეს დრო ადამიანისათვისაც დიდად სასიამოვნოა..., წმინდა შეზავებული ჰაერი მთელ სხეულს სიცოცხლით უვსებს..., სამუშაოდ გაემზადდნენ, ზოგი ურემს მართავს, ზოგი გუთანს ამზადებს, ზოგი ფარცხსა სწნავს, ვისაც ვენახი დამარხული ჰქონდა ვაზები ააყენა, გასხლა და სარები შეუდგა. გუთნებიც შეიბა. ჰფარცხავენ და სთესენ სიმინდსა, ქერსა, ფეტვსა, შვრიასა, ლობიოსა და სხვ. ბოსტნები დაბარეს, კვლები გააკეთეს და დათესეს: კარტოფილი, ხახვი, ცერცვი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო და სხვ.“



კვლავაც მეცნიერული, ბუნებრივ-ზონალური ელფერი დაკრავს აზრს, როდესაც გოგებაშვილი ზაფხულის დადგომის შესახებ აღნიშნავს: „ზაფხული თიბათვიდან (ახალზე 22 ივნისი. ზაფხულის ნაბუნიონი. ზ. ტ.) იწყება, ამ დროს უდიდესი დღეებია: თოთხმეტი საათის განმავლობაში მზე ცას არ შორდება..., რამდენადაც ჩრდილოეთისაკენ არის ქვეყანა, იმდენად ზაფხულში პატარა ღამე იცის, მაგ.: პეტერბურგში ღამე ზაფხულის დამდეგს სულ 4 საათია. შემდეგ ისევ წარმოჩენა ზაფხულის თავისებურებებისა: „საშინელი სიცხე, პაპანაქებაა. ფრინველები მინდორში გაიშალნენ. საქონელი ისევ ველზე საძოვრად გავიდა. უხარიათ გლეხებს, როცა ჰაერში ღრუბლები გაჩნდება..., ხშირ წვიმას დაუშვებს, მაგრამ წვიმას ხან მოჰყვება ხოლმე სეტყვა, რომელიც ქვეყნისათვის ამოხრებელია, ხეხილის ნაყოფს აყრევინებს, ვაზის მტევნებს ჰბერტყავს, ნათესს მიწაზე აქცევს, ჰქელვს, ანადგურებს. ვაშლი, მსხალი და ატამი ჯერ კიდევ მკვახე და მწვანეა..., ფუტკარი ტკბილ წვენს აგროვებს, მარწყვი დამწიფდა. ფრინველებმა ბარტყები ახლა გამოჩიკეს. გლეხკაცს თივის თიბვის დრო მოუვიდა. ჯერ ცელი არ გაუგდია ხელიდან მკის დროც დაუდგა..., გლეხი მკას მარტო არ შეუდგება, მუშას შეჰყრის ხოლმე..., ამდენი მუშაობა აწევს გლეხკაცს, მაგრამ მაინც მხიარულად არის..., იმიტომ, რომ ზაფხულის მუშაობა მთელ წელიწადს ჰკვებავს“.



შემოდგომის აღწერას იაკობ გოგებაშვილი ისევ და ისევ დიდი მნათობით იწყებს.



ისევ მეცნიერულს მიმართავს: „ცხრა თიბათვიდან მზე სამხრეთისაკენ ბრუნდება,...“ „მზე რამდენადაც სამხრეთისკენ მიდის იმდენად სხივებს ალმაცერად გვიგზავნის..., ...დღე მცირდება, ღამე კი მატულობს..., ... სიცხოვლე მას ცოტა-ცოტათი აკლდება..., თერთმეტი ენკენისთვისათვის (ახალზე 23 სექტემბერი, შემოდგომის ბუნიონი ზ. ტ.) დღე და ღამე სწორდება.“ „...წამსვლელი ფრინველები... შორს მოგზაურობისთვის ემზადებიან. შემოდგომაზე ბაღებში ბევრნაირი ვაშლი და მსხალი ჯერ კიდევ შეხუნძლული სდგას, მაგრამ ისინიც მალე მოიკრიფება. ყურძენიც... მწიფდება. ხეებს ფოთლები უყვითლდება და ძირს სცვივა. შემოდგომაზე გლეხკაცს საქმე ცოტა არა აქვს. ხნულში წყალი უნდა ჩაუგდოს, პური დათესოს და დაფარცხოს. ამ დროს გუთანიც უბიათ იმათ, ვისაც კი გაზაფხულზე და ზაფხულში ანეული საკმაოდ ვერ მოუხნავს. მერე უნდა მინდორში გამხმარი სიმინდი მოჭრას. გოდრებს სწნავენ, ქვევრებს რეცხავენ. მთელი ჯალაბობა დილით ადგა და მთლად ვენახისაკენ სიამოვნებით გაემგზავრა..., ბავშვებიც კი აკვნიანად თან წაიყვანეს. ყმაწვილები აკიდოებს სჭრიან, ერთად ჰკრეფენ და ჯაგნებს აკეთებენ. ყურძენი საწნახელში დასწურეს და ტკბილი ქვევრებში ჩაასხეს. ასე რომ გლეხკაცმა ზაფხულში პური შეინახა, შემოდგომაზე ქვევრებში ღვინო ჩაასხა“ (პური და ღვინო ჩვენი არსობისა. ზ. ტ.). „შემოდგომაზე გლეხკაცს მაინც უფრო ცოტა და მსუბუქი საქმე აქვს, ვიდრე ზაფხულში და ეშურება ქეიფი გასწიოს. ამ დროს დღესასწაული ბევრია. ქორწილების გაჩაღებაც სოფლებში სწორედ შემოდგომაზე იცინა.“ „...შემოდგომა ქალაქებშიც სცვლის ცხოვრებასა. ... გარეთ უფრო ძვირად გამოდიან..., უფრო ბევრს დადიან თეატრში, კონცერტებში და სხვადასხვა კრებებზე“.

ბუნებრივი მოვლენების მეცნიერულ ახსნას ემსახურება ასევე გოგებაშვილი თავის საგანმანათლებლო ნაწარმოებებში. განვმარტოთ ნათქვამი მაგალითებით: „ცისარტყელა... მზის სხივებისაგან წარმოსდგება, მზის თეთრი სხივი მარტივი არ არის, ამას შეადგენს შვიდი ფერი: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მტრედის ფერი და ცის ფერი. როცა ეს შვიდივე ფერი ერთად არის შეერთებული, მაშინ მზის სხივს თეთრი ფერი აქვს. მაგრამ თუ წყლის ნამები ბლომად მოდის მაღლიდან ქვევით და ამ დროს იმათ მზე მოადგა, მაშინ მზის სხივი, წყლის ნამში გავლის დროს, შვიდ ნაწილად განიყოფა, თვითეულს ფერს ცალ-ცალკე დავინახავთ და ცისარტყელას მსგავსი მოვლენა გაჩნდება.“ აი ასე ნათლად წარმოგვიდგენს იგი თეთრ ფერს, რომელიც თავისი შინაარსით რთულ ფერს წარმოადგენს და იგი წყლის წვეთში გავლისას შესაძლებელია დაიშალოს და ცისარტყელას სახით წარმოჩინდეს.

ბუნებაში არსებობს ნამის მოვლენაც. ამჟამად კლიმატოლოგიაში ცნობილია, რომ, რაც უფრო მაღალი ტემპერატურის მქონეა ჰაერი, მით უფრო მეტი წყლის ორთქლის შეკავება შეუძლია მას (მაგ.: +40°-ზე 51 გრამის, +20°-ზე 17 გრამის, 0°-ზე 5 გრამის და ა. შ. ზ. ტ.) და თუკი მოხდება ჰაერის უეცარი გაცივება, მაშინ ცივი ჰაერი იძულებულია ზედმეტი ტენი უეცრივ მოიშოროს და იგი სწორედ ამ დროს გამოიყოფა ჰაერიდან ნამის სახით. ეს ხდება ძირითადად დილის საათებში მოწმენდილი ცის პირობებში. როდესაც ისმის კითხვა, მართლა ზეციდან ხომ არ ცვივა ნამი, გოგებაშვილი ამას მეცნიერულად ხსნის, როდესაც აღნიშნავს: „...ეგ ტყუილია, ნამი აი როგორ ჩნდება: დღისით, როცა თბილა, მიწიდან და მცენარეებიდან ჰაერში ორთქლი ბლომად ადის. თუ ღამით ბევრად უფრო ცივა, ვიდრე დღისით, მაშინ ხეები და სხვა მცენარეები ბევრ სითბოს კარგავს და ცივდება..., იმაში მყოფი ორთქლი იკუმშება, წყლის ცვარებად გარდაიქცევა და ეს ცვარები ამ ცივ საგნებზე დაეცემა“ (ნამის სახით. ზ. ტ.). აქვე საუბრობს თრთვილის მოვლენაზეც: „თუ ღამე ისე ცივა, რომ მიწა და მცენარეები სითბოს სრულიად ჰკარგადს (ე. ი. ჰაერის ტემპერატურა 0°-ზე დაბლა ეცემა. ზ. ტ.), მაშინ ნამი გაიყინება და თრთვილად გაჩნდება“.

მეცნიერულ დონეზეა ახსნილი სეტყვის წარმოშობის მოვლენაც, როდესაც დიდი პედაგოგი მიუთითებს: „სეტყვა ... მოდის, უფრო მაშინ, როდესაც ძლიერ ცხელა. სეტყვა ჩნდება შემდეგი სახით: როცა მაღლა ღრუბლებიდან წვიმა წამოვა და გზაზე იმას დაუხვდება ძლიერ ცივი ჰაერი ან ქარი, მაშინ წვიმის ნამები იყინება და დედამიწაზე სწრაფად რახა-რუხით ცვივა, რაც უფრო მსხვილი წვიმა მოდის ზევიდან, იმდენად უფრო მსხვილი სეტყვა ჩნდება.“ პედაგოგი აღნიშნავს ასევე სეტყვის უარყოფით შედეგებზე და აცნობიერებს მოზარდებს: „...სეტყვა საშინლად აოხრებს ყოველს მოსავალს და დიდ ზარალს აძლევს მხენელ-მთესველს, ზოგჯერ ფრინველსაც ხოცავს. ...სეტყვის ღრუბელი ადვილი

საცნობია: იმასა აქვს თეთრი ან ყომრალი ფერი, გვერდები ოღრო-ჩოღრო, თითქო ვისმე გამოუგლეჯიაო. ...სეტყვა ჩნდება ყოველთვის დღისით, ღამით კი ძალზე იშვიათად მოვა ხოლმე“.



დღევანდელ სრულფასოვან მოსაზრებას ემთხვევა გოგებაშვილისეული თოვლის წარმოქმნის მოვლენაც: „ზამთარში წყლის ორთქლი, როცა თბილი ჰაერიდან ძლიერ ცივს ჰაერში გადავა, ნამებად გადაქცევას ვეღარ ასწრებს და უცებ იყინება. ... ჯერ მსუბუქია, მაგრამ მერმე მისი ნაწილები ერთმანეთთან შეერთდება, დამძიმდება, დედამიწაზე თეთრად ჩამოცვივა.“ საინტერესოდ ხსნის იაკობ გოგებაშვილი ქუხილის, ელვისა და მეხის წარმოშობის ბუნებრივ მოვლენას: „ქუხილი, ელვა და მეხი ზაფხულის მოვლენანი არიან და სხვა დროს ვერა ვხედავთ, ამათი მიზეზი ელექტრონული ძალაა. ... ორი ხე რომ ერთმანეთს დიდხანს ღონივრად ვახახუნოთ, სითბოს გავაჩენთ..., შევამჩნევთ, რომ ეს საგნები არამც თუ გახურდება... თავისთან მიიტაცებს და მიიკრავს ქალაღის პატარა ნაჭრებსა და კიდევ პატარა ასეთ რამეებსა. ...უწინდელმა ბერძნებმა ამისთანა ძალა შეამჩნიეს მხოლოდ ქარვაში, რომელსაც ბერძნულად ელექტრონი ჰქვია. ...ახლა მეტნაკლებად ყველა საგანში აღმოაჩინეს. ...კატაში ეს ძალა ძლიერ ბევრია მოგროვილი. ამ ოთხფეხს რომ ბნელაში ბალანზე ხელის სმა დაუწყო, რაღაც ტკაცატკუცს გაიგონებ და პატარ-პატარა ნაპერწკლებიც გამოჩნდება. აი ეს ნაპერწკლები არის ელექტრობა... ელექტრონობა რკინის მავთულში ერთ წამს გაირბენს ხოლმე, ამიტომ ტელეგრაფი მოიგონეს: ...გაუშვებენ მავთულში, ერთ წამს ათას ვერსს გაირბენს, დაწერს ქალაღზე ეთგვარს საგულისხმო ნიშნებსა და ამ სახით აცნობებს, რაც საჭიროა. ...სწორედ ეს ელექტრონული ძალა აჩენს ცაში ელვასა, ქუხილსა და მეხსა. ...ეს ძალაა მთების წვერებზე, საყდრის გუმბათებზე, კოშკებსა და ციხეების თავზე და სხვაგან. ამ წვეროკინებთან ჰაერის ორთქლს შეხება აქვს, ამიტომ აქედან ამ ორთქლში ადის ელექტრონული ძალა (აორთქლება ხდება მხოლოდ თბილ ჰაერში. ზ. ტ.) და ორთქლიდან კიდევ მალა მყოფ ღრუბლებში ვრცელდება. ...ცხელ დღეში ცაში ღრუბლები აირევა, მხოლოდ მაშინ იჩენს თავს ელექტრონობა. ღრუბლები ამ დროს ერთმანეთს ეხლება, ეხახუნება და ამიტომ გაჩნდება ხოლმე ელექტრონობის ნაპერწკლები: რამდენიმე ნაპერწკალი შეერთდება ერთად და ერთი ღრუბლიდან მეორე ღრუბლებისკენ გარბის და ანათებს. ამას ვემახით ჩვენ ელვას. როცა ელექტრონობის ნაპერწკალი ერთი ღრუბლიდან მეორე ღრუბლისაკენ მირბის, ან მიწისაკენ დაეშვება, მაშინ საშინელი ძალითა და სიჩქარით არღვევს ჰაერსა, ჰაერი მოძრაობაში მოდის და გრიალი გააქვს (ქუხილი. ზ. ტ.). ელვა და ქუხილი ერთს დროს ჩნდება, მაგრამ, რადგანაც სინათლე უფრო ჩქარია ხმაზე, ამიტომ ჯერ ელვას ვხედავთ, მერე ქუხილი გვესმის... ხანდიხან ელექტრონობის დიდი ნაპერწკალი მიწისკენ დაეშვება ხოლმე და საშინელი ძალით დაეცემა, რასაც მოხვდება..., ყველაფერს ამსხვრევს: შენობას არღვევს, ხეებს შუაზე აპობს, ცხოველებსა და ადამიანებს ერთს წამსა ჰკლავს. ... უბრალო ხალხს რომ ჰკითხო, გეტყვის, მეხი დიდი ქვა არის და ზეციდან ვარდებაო.



ხალხს ის ატყუებს. რომ ელექტრონობით გამდნარი ქვიშა, როცა ცივდება, გრძელ ქვებად იქცევა და ეს ჰგონიათ მათ მეხი. ... ისა სჯობია, რომ კაცმა ჭექა-ქუხილის გადავლას მაღალი ხის მახლობლად დაუცადოს, თვითონ ხის ძირში კი არ უნდა მივიდეს, ოთხისა ან ხუთი საყენის სიშორეზე უნდა დადგეს.

თუ ამ დროს ელვა მახლობლად გაჩნდება, ამ მაღალი ხისაკენ გაექანება და შიგ გაივლის, ადამიანს კი არაფერს ავნებს, რადგან მოშორებით იდგება.“ გოგებაშვილი მიწისძვრის მოვლენასაც ეხება და აღნიშნავს: „მიწისძვრა არის მეტად საშინელი მოვლენა... მეცნიერების გამოკვლევით, ჩვენი დედამიწა მთლად მყარი და ცივი არ არის. მაგარი და ცივი მას აქვს მხოლოდ დედამიწის ზედა პირი, კანი; შუაგული კი მისი არის სრულიად გამდნარი საშინელი სიცხისაგან..., დედამიწა ჰგავს კვერცხსა..., იმ განსხვავებით, რომ კვერცხი მთლად ცივია, დედამიწას კი გული მეტად ცხელი აქვს..., გულში წყალი და ბევრი ორთქლი დაგუბდა. ეს ორთქლი, რასაკვირველია, საშინელი ძალით დაიწყებს მაღლა წევას..., ცხადია, რომ ამ დროს დედამიწა იმ ადგილას, სადაც ორთქლი ქვემოდან აწევს, უნდა გაქანდ-გამოქანდეს, უნდა ავიდ-დავიდეს, ერთი სიტყვით, მიწისძვრა უნდა მოხდეს.“



გოგებაშვილი მიწისძვრის გამოწვევის ამგვარ საფუძველს თვითონვე აძლევს ახსნას, როდესაც მიუთითებს: „შენიშნულია მეცნიერთაგან, რომ თორმეტის საუკუნის სიღრმეზე დედამიწაში ზამთარ-ზაფხულს ერთნაირი სითბო ტრიალებს... დარწმუნდნენ, რომ ყოველ თვრამეტ საუკუნს იმ ადგილის ქვემოთ, სადაც ზამთარ-ზაფხულს ერთი და იგივე სითბოა, თითო გრადუსი სითბო ემატება.... სამოცდათორმეტის ვერსის სიღრმეზე... ამისთანა სიღრმე ტრიალებს..., რომ... გამდნარი ნივთიერება... ამოდის ზოგიერთი მთის ნაპრალებიდან (ვულკანი. ზ. ტ.). ამოხეთქა მთების ნაპრალებიდან მოხდება ხოლმე უმეტეს ნაწილად ზღვის მახლობელს ქვეყნებში შუაგულს ხმელეთში, ზღვების მოშორებით ეს ორი მოვლენა (მიწისძვრა და ვულკანი. ზ. ტ.) ძალზედ იშვიათია.“

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილი თავის, უპირველეს ყოვლისა, საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული ხასიათის მეცნიერულ-პოპულარულ სტატიებსა თუ კრებულებში, რომელთა მნიშვნელობა 5-10 წლისა და უფრო მეტი ასაკის მოზარდებისათვის დღევანდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამჟამადაც აქტუალურია და არ დაუკარგავს თავისი საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ემოციური, ზემოქმედებითი მნიშვნელობა, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბუნების კანონებისა და ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენის წარმოშობასა და მის რეალურ ხასიათს. ჩვენი აზრით, საქართველოს, განსაკუთრებით კი პირველი საფეხურის სასწავლო დაწესებულებებში, აღნიშნული ლექსმოტივის განგრძობა, მათი სწავლების თვალსაზრისით, დღესაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986.
2. თავზიშვილი გ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1960.
3. იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, ტფ., 1913.
4. ლორთქიფანიძე დ., დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი (დაბადებიდან 120 წლისთავის გამო), თბ., 1960.
5. ლორთქიფანიძე დ., ქართული კულტურის მარგალიტი – ი. გოგებაშვილის „დედაენა“, თბ., 1976.
6. ჯიბლაძე გ., იაკობ გოგებაშვილი – ახალი ქართული პედაგოგიკის მამა, თბ., 1976.
7. ლორთქიფანიძე დ., გურგენიძე დ., ნ. ალანიაქსე, ტ. 3, თბ., 1978.

Zurab Tielidze

Gori State Teaching University

IAKOB GOGEBASHVILI ABOUT LAWS OF NATURE AND NATURAL PHENOMENA RESUME

The paper deals with some issues of laws of Nature and Natural Phenomena in Iakob Gogebashvili works, the importance of teaching them to 5-10 year-old children is still relevant in today's educational institutions, and it hasn't lost its educational, upbringing and emotional influential meaning.

ისტორიზმის პრინციპი ალექსანდრე რაზმაძის სახელმძღვანელოში „მუსიკის ისტორიის ნარკვევები უძველესი დროიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე“

სტატია ეძღვნება ქართველი მუსიკოსის ალექსანდრე რაზმაძის მიერ დაწერილ პირველ რუსულენოვან ევროპული მუსიკის ისტორიის სახელმძღვანელოს.

ძალზე დასაინათ, რომ ევროპული მუსიკის შესახებ პირველი სახელმძღვანელო ქართველი მუსიკოსის მიერ დაიწერა არა საქართველოში, არამედ რუსეთში, თუმცა მე-19 საუკუნისთვის მუსიკალურ-თეორიული აზრის ჩამოყალიბების პროცესები საქართველოშიც იყო დაწყებული. ახალი ქართული პროფესიული საკომპოზიტორო ხელოვნება სწორედ გარკვეულ თეორიულ წინაპირობებს დაეფუძნა. „ამ ეპოქაშიც მუსიკალურ-ესთეტიკური კულტურის აღმავლობას თეორიული აზრი უძღოდა წინ“, ¹ სამოციანელთა იდეოლოგიაში გამოხატული ეპოქის მსოფლმხედველობრივი პოზიცია ჭეშმარიტად ევროპულ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, ისევე როგორც შემდგომ ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლა. იაკობ გოგებაშვილი წერდა, რომ საქართველოში ევროპეიზმის საფუძველი იყო „ევროპული განათლება, ევროპული მეცნიერება და საუკეთესო მხარენი ევროპის პოლიტიკურის და სოციალურის იდეალებისა... ახალი საქართველო მოქცეულ უნდა იქნას არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ“. ² წინამდებარე ანალიზიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ჩვენი ეროვნული ცნობიერებისთვის სიმპტომატური უნდა იყოს სახელმძღვანელოს დაწერა ევროპული მუსიკის შესახებ რუსეთში აღზრდილი ქართველის მიერ. ალექსანდრე რაზმაძე დაიბადა და გაიზარდა პენზაში (რუსეთი), 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, რომანტიკოსი პოეტის, სოლომონ რაზმაძის ოჯახში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი რუსული პოეზიის, მათ შორის პუშკინის ლექსების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია. ქართულთან ერთად რუსული მწერლობის სიყვარულით აღზრდილმა ალექსანდრემ მოგვიანებით ბრწყინვალედ შეისწავლა რუსული მუსიკაც. მიუხედავად ამისა, მეორე სამშობლოს მუსიკალურ ყოფას მხოლოდ რუსული საოპერო თეატრის შესახებ დაწერილი ნარკვევებით გამოეხმაურა, სახელმძღვანელოს თემად კი დასავლეთევროპული მუსიკა აირჩია. როგორც ჩანს, ეროვნული თვითგამორკვევის საუკუნეში, თვით გადასახლებაში პატრიოტულად აღზრდილი ქართველიც ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული რჩება. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ეროვნული ცნობიერებისთვის ასე ტიპიური ევროპული მხატვრულ-სააზროვნო სისტემისადმი მუდმივი გენეტიკური მგრძნობიარობა.

ნაშრომი მოსკოვში რუსულ ენაზე, კონსერვატორიაში წაკითხული კურსის საფუძველზე დაიწერა, მაგრამ ვფიქრობთ, მართებული იქნება თუ მას საბოლოო ჯამში ქართული სამუსიკისმცოდნეო მეცნიერების განვითარების ისტორიულ პერსპექტივაში განვიხილავთ. ალექსანდრე რაზმაძე პირველ რიგში ქართველი მუსიკისმცოდნეა, რომელსაც ბედმა არგუნა სამშობლოსგან იძულებით გადასახლებულ ქართულ ოჯახში დაბადებულიყო, განათლება კი რუსეთსა და გერმანიაში მიეღო. ემიგრაციაში მყოფი ქართველების ღვაწლიც ქართული კულტურის ორგანული ნაწილია.

საქართველოში პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მეტად საინტერესო პროცესები, რომელთაც გზა გაუკვალეს მუსიკისმცოდნეობის ჩამოყალიბებას. როგორც მეცნიერების დარგი იგი საქართველოში მეოცე საუკუნეში აღმოცენდა, მაგრამ სამუსიკისმცოდნეო აზრის განვითარებას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. გარკვეული მოსაზრებანი ქართული მუსიკის ირგვლივ ჯერ კიდევ ქრისტიანული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლის პეტრე იბერის, შემდგომ იოანე ბაგრატიონის და დავით მაჩაბელის ნაშრომებში გვხვდება. ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლაში უდიდესი წვლილი ქართული საერო პროფესიული სკოლის წარმომადგენლებს მიუძღვით. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილამდე მუსიკის თეორიის და ისტორიის საკითხების მეცნიერული კვლევა არასისტემატიზებულ, ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და არ ემყარებოდა შესაფერის მეთოდოლოგიას.³ ივანე ჯავახიშვილმა დავით მაჩაბელის, პოლიევქტოს კარბელაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ზიგფრიდ ნადელის ღვაწლის გათვალისწინებით, 1938 წელს შექმნა ქართული მუსიკის სახელმძღვანელო, რითაც გზა გაუკვალა

¹ ინგა ბახტაძე, ქართული კულტურა- დასავლეთი, თბ., 2001, გვ. 254

² იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, თბ., 1952, გვ. 373-374

³ ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, „ხელოვნება“, თბ., 1990, გვ. 34

ქართველი მუსიკისმცოდნეების მონოგრაფიულ ნაშრომებსა თუ სახელმძღვანელოებს. ¹ ამ პროცესის ფონზე, რაოდენ საამაყოა, რომ ჯერ კიდევ 1888 წელს ქართველმა მკვლევარმა მსოფლიო მუსიკის ისტორიის უზარმაზარი კურსი მოამზადა.

ალექსანდრე რაზმაძე გახლდათ იურისტი, პიანისტი, კრიტიკოსი. კომპოზიტორი, ლიტერატორი, მუსიკისმცოდნე. იგი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუსრულებია. მან სწავლა ლაიფციგის კონსერვატორიაში განაგრძო. მუსიკის თეორიის განხრით მისი პედაგოგი მორიც გაუპტმანი იყო, საფორტეპიანო ხელოვნებას კი იოჰან მოშელესის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე მოღვაწეობდა სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში როგორც მუსიკალური კრიტიკოსი. ² „კრიტიკულ წერილებსა და ფელეტონებში ა. რაზმაძე ღრმა ცოდნასთან ერთად პროგრესულ დემოკრატიულ განწყობილებას ამჟღავნებდა. მისი კრიტიკა ყოველთვის მახვილგონივრულ და პრინციპულ ხასიათს ატარებდა.“ ³ იგი ავტორია სხვადასხვა სამუსიკისმცოდნეო ნაშრომების და, თურმე, გარკვეული პერიოდი გი დე მოპასანის ნაწერების თარგმნითაც იყო გატაცებული. დასაწვინა, რომ დაიკარგა ან სულაც გამიზნულად განადგურდა ალექსანდრე რაზმაძის არქივი მამის ლექსებსა და სხვა ლიტერატურულ მასალებთან ერთად, რაც, სავარაუდოდ, მრავალ საინტერესო მოვლენას მოჰყვანდა ნათელს სახელოვანი ოჯახის მოღვაწეობის შესახებ. ⁴

მოსკოვის კონსერვატორიაში ალექსანდრე რაზმაძე ამ კონსერვატორიის დამაარსებელმა, ნიკოლაი რუბინშტეინმა მიიწვია. მათი შეხვედრა სწორედ ამ უკანასკნელის ინიციატივით მოხდა კიონიგსბერგში. ქართველი მეცნიერის ინტელექტით, განათლების დონით მოხიბლულმა რუბინშტეინმა ალექსანდრე რაზმაძე თავდაპირველად ფორტეპიანოს, შემდეგ კი სხვა დისციპლინების პედაგოგადაც მიიწვია. ⁵ 1869-75 წლებში ალექსანდრე რაზმაძეს მიჰყავდა მუსიკის ისტორიის, ფორტეპიანოს, პარტიტურის კითხვის კურსები. ⁶ 1870 წლიდან განაგრძებდა მუსიკის ისტორიის კათედრას და გახლდათ კონსერვატორიის პროფესორი, სამხატვრო საბჭოს წევრი.

საგულისხმოა და საამაყოც, რომ მოსკოვის კონსერვატორიაში მუსიკის ისტორიის კურსზე მან შეცვალა ერთ-ერთი უდიდესი რუსი მუსიკისმცოდნე გერმან ლაროში. ⁷ სწორედ ამ ორსემესტრიანი სალექციო კურსის საფუძველზე დაიწერა მისი სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს 4 ვრცელ მონაკვეთს. I ნაწილში მიმოხილულია უძველესი ცივილიზაციების მუსიკა, II ნაწილი ეთნობა დასავლეთ ევროპის მუსიკას საოპერო სტილის ჩამოყალიბებამდე, III ნაწილში გაანალიზებულია საოპერო სტილი და მუსიკის განვითარება მე-18 საუკუნის ჩათვლით, IV ნაწილი ეთნობა ვენის კლასიკოსებისა და პირველი თაობის რომანტიკოსების შემოქმედებას, ასევე საოპერო ჟანრს XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. სახელმძღვანელო დაყოფილია მონაკვეთებად იმ გლობალური პროცესების მიხედვით, რომლებიც ევროპული მუსიკალური აზროვნების მენტალური ცვლილებების ფაზებს ასახავენ. ასე მაგალითად, საოპერო ჟანრის წარმოქმნამდე მუსიკა მთლიანად რელიგიურ ორიენტაციას ეფუძნება, იმ დროს, როდესაც ოპერამ მუსიკის ყველა ჟანრში დაამკვიდრა თეატრალური დრამატურგიის კანონები და სრულიად ახალი „ჟანრული ეკო-სისტემა“ წარმოშვა.

სახელმძღვანელოს თავებს თან ერთვის დანართები, რომლებიც წარმოადგენს სანოტო მაგალითებსა და მათ თეორიულ ანალიზს, ერთგვარ ინსტრუქციას.

გარდა თავისთავადი საგანმანათლებლო ფუნქციისა, სახელმძღვანელოს გააჩნია ისტორიული მნიშვნელობა – მისი წყალობით მუსიკის ისტორია საბოლოოდ ჩამოყალიბდა ცალკე დისციპლინად. როგორც ცნობილია, იმხანად მოსკოვის კონსერვატორიაში (სამემსრულებლო ფაკულტეტებს) ასწავლიდნენ კომპლექსურ საგანს – ენციკლოპედიას, რომელიც კომბინირებულად მოიცავდა მუსიკის თეორიის, ისტორიის, კონტრაპუნქტის, ორგანოსტრობის საკითხებს. ეს მრავალპლანურობა რაზმაძის ნაშრომში უდავოდ აისახა.

მხატვრულ-სტილური პროცესების ანალიზი, ისტორიული ცნობების, წყაროების დამოწმების თანმიმდევრობა შესრულებულია ისტორიზმის პრინციპის დაცვით და ეფუძნება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ლოგიკას. წიგნის ყოველი თავი წინა თავების პრობლემატიკიდან ამოზრდილი საბაზისო დებულებით იწყება, დასკვნით განმაზოგადებელ დებულებაში კი საკითხის შემდგომი პერსპექტივები გამოკვეთილი.

¹ ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, „ხელოვნება“, თბ., 1990

² http://mirslovarei.com/content_music/razmadze-a-s-66325.html

³ ქართული მუსიკის ისტორია, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1990, გვ. 83

⁴ <https://burusi.wordpress.com/2009/08/08/სოლომონ-რაზმაძე>

⁵ <http://www.mosconsv.ru/ru/book.aspx?id=127832&page=127834>

⁶ История грузинской музыки, საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, თბ., 1998, გვ. 38

⁷ <http://www.mosconsv.ru/ru/book.aspx?id=131310&page=131313>

მსჯელობის პროცესში ავტორი ხშირად იმოწმებს ციტატებს წმიდა მამათა წერილებიდან და კომპოზიტორების ნააზრევებიდან, რაც საკუთარი კონცეფციის უფრო მკაფიოდ წარმოჩენას ემსახურება. ციტატები თუ სხვა სახის წყაროები მსჯელობის პროცესში იმდენად ორგანულადაა ჩართული, რომ ნაშრომის მაგისტრალური ხაზის შეგრძნება არსად იკარგება.

წიგნის ოთხივე თავი მეტყველებს პრაქტიკოსი მეცნიერის ერუდირებულობასა და პროფესიონალიზმზე. პედაგოგიური ალღოს წყალობით ავტორი იმხანად სრულიად უცნობ ინფორმაციას ძალზე მარტივი ენით გადმოსცემს, რათა გაუადვილოს სტუდენტს ურთულესი ტექნოლოგიური პროცესების აღქმა და ზღვა მასალის ათვისება.

ნაშრომის დადებით მხარედ მიგვაჩნია ისტორიული მიმოხილვის გამყარება მუსიკის თეორიის ასპექტებით, რაც იმდენად დაბალანსებულია, რომ სქოლასტიკური ანალიზის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

წიგნში გვხვდება მრავალი მუსიკოსის გვარი, ტერმინი, სახელწოდება, უნიკალური ბიოგრაფიული მონაცემი, რომლებიც შემდგომი თაობის მკვლევარების ნაშრომებში უკვე იკარგება ან ბუნდოვანდება. ამ კუთხით რაზმადის წიგნი საარქივო მასალადაც კი შეიძლება აღვიქვათ, რადგან თავის დროზე ავტორმა ამა თუ იმ კომპოზიტორის შესახებ მასალა უშუალოდ პირველწყაროებში მოიძია; როგორც ცნობილია, პირველი 20 ლექცია (მასალის მესამედი) მომზადდა ლაიფციგსა და მიუნხენში, სადაც მკვლევარს თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი პრაქტიკულად ყველა აუცილებელ მასალაზე. ლაიფციგში განსწავლის წლებს და გერმანულ წიგნებზე დაყრდნობას არაცნობიერად შესაძლოა ერთგვარი ტენდენციურობა გამოეწვია, მაგრამ რაზმადე სხვადასხვა ქვეყნების კულტურებს სახელმძღვანელოში თანაბარი დოზით წარმოაჩენს.

ყურადღებას იპყრობს ინფორმაცია საორკესტრო პრინციპების განვითარების შესახებ, ავტორი განმარტავს, თუ როგორ იწვევდა ახალი მხატვრულ-სააზროვნო სისტემა ინსტრუმენტული ჟღერადობის განახლებას. მკვლევარი მოიხმობს ციტატებს საკრავიერი მუსიკის შესახებ დაწერილი უნიკალური ტრაქტატებიდან, რომლებიც შეიცავენ ინსტრუმენტებზე დაკვრის რეკომენდაციებსა და ინფორმაციას აპლიკატურის შესახებ. ასეთი ვრცელი მონაკვეთები ინსტრუმენტული მუსიკის შესახებ, ერთი მხრივ, განაპირობა მოსკოვის კონსერვატორიის სწავლების მაშინდელმა სისტემამ, როდესაც პედაგოგი ყველა მუსიკალურ დისციპლინას კითხულობდა, მეორე მხრივ, შემდეგმა ფაქტორმა; საქმე იმაშია, რომ ალექსანდრე რაზმადის პედაგოგი გახლდათ გერმანელი მევიოლინე, კომპოზიტორი და თეორეტიკოსი მორიც ჰაუპტმანი. ამ უკანასკნელმა კი საშემსრულებლო და საკომპოზიტორო განათლება ლეგენდარული მევიოლინის, დირიჟორის და კომპოზიტორის ლუი შპორის ხელმძღვანელობით მიიღო. ლუი შპორი (პირველი გერმანული რომანტიკული ოპერის „ფაუსტის“ ავტორი) ისტორიული მნიშვნელობის პიროვნება გახლდათ, რომელმაც დირიჟორობისას პირველად გამოიყენა სადირიჟორო ჯოხი ტაქტების დასათვლელად.¹ იგი ფლობდა უნიკალურ ინფორმაციას სიმებიანი საკრავების შესახებ და ის, რაც ამ საკითხებზე საუბრისას გვხვბლავს სახელმძღვანელოში, სწორედ ლუი შპორის თაობიდან თაობისთვის გადაცემული ცოდნა და გამოცდილებაა.

მეცნიერული სიზუსტით გამორჩეული სახელმძღვანელო ავტორის კიდევ ერთ თვისებას ჰყენს ნათელს. ალექსანდრე რაზმადე ესთეტი მკვლევარია, რადგან ნაწარმოებების ანალიზისას მუსიკის სილამაზის კატეგორია მუდმივი მსჯელობის საგანია.

ვინაიდან ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს სახელმძღვანელოს ცალკეული თავების დეტალური აღწერა, მხოლოდ გარკვეულ საინტერესო დებულებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და ორიგინალობა.

ერთ-ერთი პირველი მოსაზრება, რომელმაც ყურადღება მიიქცია, ეხება ებრაული სინაგოგური გალობის როლს ქრისტიანული მუსიკის ჩამოყალიბებაში. ალექსანდრე რაზმადე თვლის, რომ პირველი ქრისტიანების სისხლში მუსიკისადმი ებრაული დამოკიდებულება გამოსჭვივის, ქრისტიანული მუსიკის საფუძველიც არა რომაული, არამედ ებრაული მუსიკაა და იქვე მიზეზებსაც განმარტავს. ავტორის აზრით, ეს ისტორიული შეცდომა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასწორდეს. რაზმადე ძალზე ტევად ინფორმაციას გვაწოდებს ებრაული წარმომავლობის კომპოზიტორების გენიალოგიის შესახებაც. გერმანულ გარემოში ჩამოყალიბებული მეცნიერის მხრიდან ეს მართლაც რევოლუციური ნაბიჯი იყო, რადგან მე-19 საუკუნის გერმანიაში კულუარულ დონეზე უკვე გამოკვეთილი იყო ამ ერისადმი დუალისტური დამოკიდებულება.

ქრისტიანული მუსიკალური მეტყველების თავისუფლების ხანის დასაწყისის მკვლევარი პაპი გრეგორის მიერ დამკვიდრებულ გალობას უკავშირებს, რომელმაც აღადგინა და განავრცო წინამორბედის

¹ A history of western music, J. Peter Burkholder, Donald Jay Grout, Claude V. Palisca, Eighth edition, W.W Norton & Company, New York. London. 2013.

– ამბროსი მედიოლანელის საგალობლების სტილის საუკეთესო ნიმუშები და მსახურებიდან ამოღებული გალობის ეს ტრადიცია მივიწყებას გადაარჩინა.

კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება; ავტორი საფუძველშივე გამორიცხავს საოპერო ჟანრის წარმოშობას მადრიგალიდან, რომელიც ოპერის წანამდღერებად მიაჩნიათ ხოლმე. მისი აზრით, მადრიგალის, როგორც პოლიფონიური ნაწარმოების ნებისმიერი ხმა სათქმელს მხოლოდ სხვა ხმებთან ერთად გამოხატავს. მადრიგალის ნებისმიერი ხმა, როგორც არ უნდა გამოეყოს კონტექსტს და ცალკე იმღერებოდეს, ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი, რადგან იგი კონტექსტურია. ოპერის დაბადებისთვის კი საჭირო იყო მუსიკას ჭეშმარიტი მონოდიურობის სტადიისთვის მიეღწია.

ავტორი აღნიშნავს, რომ გლიუკმა და მოცარტმა ოპერის იტალიური მოდელის კრიზისი ამავე მოდელის ძლიერი მხარეებითვე დაძლიეს – გლიუკმა დრამის და მუსიკის ორგანული სინთეზით, ხოლო მოცარტმა კი ამ სინთეზის გარდა იტალიური მელოსის სილამაზითაც.

ძალზე ხატოვნადაა დახასიათებული ის პროცესი, თუ როგორ ჩამოაყალიბა სიყრუემ გარემომცველი სამყარო ბეთჰოვენს. რაზმამდე აღნიშნავს, რომ კომპოზიტორმა სიმფონიებით უფრო დიდი სათქმელი გაგვიზიარა, ვიდრე თვით სიმფონიის ჟანრმა შეძლო ეს. მკვლევარმა გაგვაცნო ბეთჰოვენთან დაახლოებული პირის მოშელესის მოსაზრება, რომლის თანახმად, ღმერთის მიერ კაცობრიობის განკარგულებაში გადმოცემული ყველა ნიჭი ბეთჰოვენის ტვინში აღმოჩნდა, რის გამოც რომანტიკოსების მოღვაწეობის შეფასებისას ათვლის წერტილი სწორედ ბეთჰოვენის მუსიკაა.

საგულისხმოა მოსაზრება როსინის, დონიცეტის და ბელინის ოპერების შესახებ, რომელთაც დაასრულეს ფრანგული და გერმანული გავლენებისგან სრულიად თავისუფალი იტალიური ოპერის ეპოქა, ხოლო ვერდის ოპერებს აფასებს, როგორც მაიერბერის და ვაგნერის ზეგავლენით სახეცვლილ იტალიურ მოდელებს.

ნაშრომი დაწერილია სტუდენტის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. ეს უპირველეს ყოვლისა ვლინდება დასკვნებში, რომელიც არა იმდენად ნაშრომის დებულებების შეჯერებაა, რამდენადაც ამ სახელმძღვანელოს დაწერის მოტივაციის და აუცილებლობის არგუმენტირება. რაზმადის აზრით, ნაშრომი აუცილებლად გამოიწვევს პოლემიკას, რასაც წინასწარ უპირისპირებს კონტრარგუმენტებს.

ალექსანდრე რაზმადემ დაამსხვრია გარკვეული სტერეოტიპი, რომელიც უკავშირდებოდა მუსიკის ისტორიის კურსის დაწყებას რენესანსის ეპოქიდან. მის მიერ შემოთავაზებული კურსი მოიცავს მუსიკალური ხელოვნების მიერ განვლილ მთელს ისტორიულ პროცესს უძველესი ცივილიზაციებიდან თანამედროვე მუსიკამდე, ამგვარად, წინარეჟისტიანული ეპოქის სხვადასხვა ქვეყნებისა და თავად ქრისტიანული ქვეყნების მუსიკა ხელოვნების ამ დარგის ერთიანი ისტორიის პერსპექტივაშია წარმოჩენილი.

„მუსიკალურ ხელოვნებას ამ ეპოქებისა ა. რაზმადე განიხილავს შინაგანი ისტორიული განვითარების პროცესში, კავშირში საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, მხატვრულ კულტურასთან, ამა თუ იმ ერის ნაციონალური ფსიქიკის თავისებურებებთან კავშირში“.¹

რაზმადე საკუთარ გადაწყვეტილებას ამყარებს უდიდესი ავტორიტეტის აუგუსტ ვილჰელმ ამბროსის მუსიკის ისტორიის სახელმძღვანელოს (1865 წ.) დამოწმებით, რომელიც იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოიაზრებს მუსიკის ისტორიის კურსს.

ავტორი განმარტავს კიდევ ერთ საკითხს, რომელიც, მისი აზრით, აუცილებლად გახდება პოლემიკის თემა. კერძოდ, კითხვას თუ რატომ არ ეხება აღმოსავლეთ საქრისტიანოს ეკლესიის პროცესებს, მკვლევარი პრაგმატულ პასუხს სცემს. ავტორი ასაბუთებს, რომ რუსულ რეალობაში აღმოსავლეთ ევროპის საეკლესიო გალობის კურსი იკითხება მსოფლიო მუსიკის ისტორიის კურსის პარალელურად და სახელმძღვანელოც დაწერილია.

ავტორი განმარტავს იმ ფაქტსაც, თუ რატომ სრულდება ნაშრომი შუმანის შემოქმედებით და არა შემდეგი თაობის კომპოზიტორების--ლისტის, ვაგნერის, ბერლიოზის მუსიკის ანალიზით. რაზმადე თვლის, რომ ამ სამი ბუმბერაზი კომპოზიტორის შემოქმედება უზარადაზარი მასალაა, რომელიც ჯერ კრიტიკულ ანალიზს მოითხოვს და აუცილებლად უნდა გაემიჯნოს მუსიკის ისტორიის კურსს, როგორც უახლესი მუსიკა. ამავე მიზეზით ხსნის მისი თანამედროვე რუსი კომპოზიტორებისთვის გვერდის ავლასაც. ამგვარად ავტორი თვლის, რომ სახელმძღვანელოს სივრცეში მოსახვედრად მუსიკა ჯერ ისტორიულად უნდა მომწიფდეს, ქრესტომათიულ მასალად ქცევისთვის კი კრიტიკულ ანალიზსა და ფილტრაციას მოითხოვს. მეცნიერს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სახელმძღვანელო არ არის ვისიმე ექსპერიმენტული მოსაზრებების გამოხატვის სივრცე. სახელმძღვანელოს მეთოდოლოგია აპრიორი

¹ Т. Хуровили, О. А. С. Размадзе, в сб.: Пути интернационализации музыкальной культуры, Русско-грузинские музыкальные связи, Тбилиси: Издательство «Хеловнеба», 1984, გვ. 171

განსაზღვრავს იმას, რომ მასში ის ნაწარმოებები უნდა შევიდეს, რომელთაც ისტორიული გადაფასების მტკიცებულებები პროცესები გაიარეს და სასწავლო პროცესში აპრობირებაც მოახდინეს.

ნაშრომი ბოლოვდება რომელიმე კონსულტაციის საანგარიშო ტექსტით, რომელსაც უფლებამოსილების სხვა პირზე გადაბარებისას წარმოთქვამდნენ ხოლმე - „მე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო, დაე იმათ, ვისაც ხელეწიფება, უკეთესად გააკეთონ ეს“. ¹

რაზმაძის სახელმძღვანელოს კონცეფცია, მეთოდოლოგია და სტილი შენარჩუნდა შემდგომი თაობის რუსი მკვლევარების – მიხაილ ივანოვ-ბარეცკის, რომან გრუბერის, ივან სოლერტინსკის, ტამარა ლივანოვას მიერ, რომელთაც მსოფლიო მუსიკის ისტორიის და ევროპელ კომპოზიტორებზე დაწერილი მონოგრაფიული წიგნების მოდელად ამ ნაშრომსაც მიმართეს. რუსი მუსიკისმცოდნეების წიგნები კი შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ქართული მუსიკისმცოდნეობისთვის პრაქტიკულად ერთადერთი დასაყრდენი წყარო აღმოჩნდა. კომუნისტური რეჟიმის პირობებში დასავლური მუსიკისმცოდნეობა ჩვენთვის მისაწვდომი მხოლოდ რუსული მუსიკისმცოდნეობის გზით იყო. ამგვარად, პირდაპირი თუ ირიბი გზით ალექსანდრე რაზმაძემ გავლენა ქართული სამუსიკისმცოდნეო აზრის განვითარებაზეც მოახდინა.

ლიტერატურა:

ინგა ბახტაძე, ქართული კულტურა - დასავლეთი, თბ., 2001

იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ.1., თბ., 1952

ქართული მუსიკის ისტორია, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1990

ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, „ხელოვნება“, თბ., 1990

История грузинской музыки, საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, თბ., 1998

А. С. Размадзе, Очерки истории музыки древнейших времён до половины XIX века, в четырёх частях с двенадцатью нотными приложениями. Москва: Издание А. Г. Кольчугина, 1888

Т. Хуршвили, О А. С. Размадзе, в сб.: Пути интернационализации музыкальной культуры, Русско-грузинские музыкальные связи, Тбилиси: Издательство «Хеловნება», 1984

A history of western music, J. Peter Burkholder, Donald Jay Grout, Claude V. Palisca, Eighth edition, W.W Norton & Company, New York. London. 2013

http://mirslovarei.com/content_music/razmadze-a-s-66325.html

<https://burusi.wordpress.com/2009/08/08/სოლომონ-რაზმაძე>

<http://www.mosconsv.ru/ru/book.aspx?id=127832&page=127834>

<http://www.mosconsv.ru/ru/book.aspx?id=131310&page=131313>

Gvantsa Ghvinjilia

V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

PRINCIPLE OF HISTORICISM IN A TEXTBOOK BY ALEKSANDRE RAZMADZE “MUSIC HISTORY ESSAYS FROM ANCIENT TIMES TO MID-19TH CENTURY” RESUME

The article is dedicated to the first Russian language textbook about European music history written by Aleksandre Razmadze, which was prepared on the basis of a two-year course of lectures delivered by him at the Moscow Conservatoire. Besides an educational function, this textbook has a historical importance too; due to this work, music history has finally been established as a separate discipline and it was separated from a complex subject – encyclopedia, which combined the issues of music theory, history, counterpoint and orchestra. Analysis of artistic-stylistic processes presented in the textbook, confirmation of historical information and archival materials are based on the principle of historicism and the logic of cause and effect relationship. Each chapter of the book starts with a basic thesis, which logically stems from the problems described in previous chapters; moreover, each chapter ends with a conclusive generalized thesis, which outlines further perspectives of the issue.

Aleksandre Razmadze has broken a certain stereotype about the truthfulness of fragmental course of music history, which, in the best case, was beginning with Renaissance epoch. The course offered by him covers the entire historical process passed by music art from ancient civilization to modern music that portrayed ancient music of non-Christian countries and Christian music in a uniform historical perspective of this branch of art. In his textbook the author does not touch on creative works of modern European and Russian composers, because he believed that this music was not historically mature to find its place in the textbook. It required critical analysis and filtration to turn into

¹ А. С. Размадзе, Очерки истории музыки древнейших времён до половины XIX века, в четырёх частях с двенадцатью нотными приложениями. Москва: Издание А. Г. Кольчугина, 1888, გვ. 740

a chrestomathy. The scientist had realized that a textbook is not the space for expressing somebody's experimental opinions. The methodology of a textbook a priori provides for including only musical materials approbated in educational process that have passed through painful processes of a historical reassessment. The concept, methodology and style of this textbook have been maintained by Russian researchers of successive generation, who referred to this work as a model of world music history and a monographic book written about European composers. The works by Russian musicologists appeared to be the only source for Georgian musicology established later. Thus, directly or indirectly Aleksandre Razmadze exerted influence on the development of Georgian musicological opinion.

დარეჯან ჩხიროძე
ქუთაისის უნივერსიტეტი
მანანა ზანძელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკოლოგიური განათლება და განათლების ეკოლოგიზაცია

ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს წინაპირობას იმ სისტემისა, რომელიც ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებასა და ფორმირებას ისახავს მიზნად.

ეკოლოგიური განათლება უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სიცოცხლეს, ხოლო ხარისხიანი გარემო ადამიანის ჯანმრთელობასა და არის ცივილიზაციის განვითარების გარანტია. აქედან გამომდინარე, ყველა სოციალური საკითხი აზრს კარგავს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ადამიანის არსებობისთვის და განვითარებისთვის აუცილებელი გარემო პირობები. ეკოლოგიური განათლება საერთო-საგანმანათლებლო სისტემის არა მხოლოდ ცალკე სტრუქტურული ერთეულია, არამედ ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

ლიტერატურა და ხელოვნება კულტურის ფასეულობათა ასათვისებლად არის საჭირო, ბუნების მეტყველება - ბუნების კანონზომიერებათა შესაცნობად, ეკოლოგიური განათლება იძლევა სიტუაციების მიზეზშედეგობრივ ანალიზის შესაძლებლობას. ამას ემატება თითოეული ადამიანის მომხმარებლური დამოკიდებულება გარემოს მიმართ, გაუცხოება, რაც გარემოსთან ნაკლები კონტაქტით გამოიხატება. ამდენად ეკოლოგიური განათლება ზრდის პასუხისმგებლობას გარემოს მიმართ.

ეკოლოგიურ განათლებაში უწყვეტი როგორც ცოდნის ფორმირების პროცესი მოიაზრება, ასევე აღზრდა-განვითარება, რომელიც თითოეული მოქალაქის ეკოლოგიური კულტურისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების განვითარებისთვისაა მიმართული.

სპეციალისტები პასუხისმგებლობას განიხილავენ, როგორც კავშირის უნივერსალურ ფორმას, პიროვნულისა და საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულებას და ასევე ადამიანის ძირითად განმსაზღვრელ მახასიათებელს. პიროვნების ფორმირება უშუალოდ კავშირშია იმ ჩვევების გამომუშავებასთან, როგორიცაა პასუხისმგებლობა როგორც საკუთარი ქვეყნისა და ახლობლების მომავალი თაობების, ასევე შენი მხარისა და, საერთოდ, პლანეტის წინაშე.

ეკოლოგიური პასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირშია ისეთ პიროვნულ მახასიათებლებთან, როგორიცაა თვითკონტროლი, ე.ი. კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავისა გარემოს მიმართ, ასევე უმთავრესია მორალის შენარჩუნება გარემოსთან მიმართებაში, ნებისმიერ სფეროში დასაქმებული ადამიანების ეკოლოგიური მომზადება, ატესტაცია. ამ მომზადების გარეშე შეუძლებელია ადამიანის დასაქმება. ამდენად ეკოლოგიური განათლება მოითხოვს ერთიანი, უწყვეტი ეკოგანათლების სისტემის ჩამოყალიბებას, რაც თანამედროვე განათლების სისტემის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით.

ძირითადად ეკოლოგიურ განათლებას და განათლების სისტემის ეკოლოგიზაციას განასხვავებენ. ეს ორი სისტემა ერთმანეთს ემსგავსება და ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ეკოლოგიური განათლება ესაა სხვადასხვა დონეზე ცოდნის უწყვეტი მიღება და მისი მიზანმიმართული გამოყენება. ეკოლოგიური განათლება არის ცოდნა იმ სისტემების შესახებ, რომელიც არსებობს ჩვენში და ჩვენს გარეთ. რაც იძლევა საზოგადოებისა და გარემოს ნორმალური ურთიერთფუნქციონირების გარანტიას.

ეკოლოგიურ განათლებაში გამოიყოფა ორი მიმართულება: ჯანსაღი გარემო და ჯანმრთელი ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის სულისკვეთების დანერგვა და მომავალი სპეციალისტების იმ

პროფესიული ცოდნით აღჭურვა, რომელიც შეისწავლის ბუნებრივი და ანთროპოგენული ეკოსისტემის არსებობის კანონზომიერებებს. ამ მიმართულების ორივე საფუძველში დევს ეკოლოგიური კანონზომიერებები და შემცენების პრინციპები.

განათლების სისტემის ეკოლოგიზაციაში მოიაზრება იმ ეკოლოგიური იდეების, ცნებების, პრინციპებისა და მოდგომების დახასიათება, რომელიც განიხილება სხვადასხვა დისციპლინებში. ასევე ეკოლოგიური ცოდნით აღჭურვა, სპეციალისტების მომზადება სხვადასხვა საქმიან სფეროში. ეკოლოგიური განათლების მიზანია, რომ ახალგაზრდა მომავალ სპეციალისტებს დაანახოს ცოდნის ყველა სისტემის ურთიერთკავშირი, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ სასწავლო პროცესი განიხილებოდეს, როგორც მთლიანი პროცესი. ადამიანმა თავისი თავი წარმოიდგინოს არა ცალკე, არამედ სამყაროს მთლიან ნაწილად, მიღებული ცოდნა არ წარმოადგენდეს სამყაროს შესახებ მხოლოდ ინფორმაციათა ნაკრებს. სამყაროსთან მისი სენსომატორული ორიენტაციით გამოიმუშავოს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც გარემოს დაცვით და მასზე ზრუნვით იქნება გამსჭვალული, აგრეთვე სწავლებას იმ პასუხისმგებლობაზე, თუ რა ელოდება გარემოსგან და – პირიქით.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ეკოლოგიური განათლება მკაფიოდ გამოკვეთილი დისციპლინათა შორის ხასიათს ატარებს. სკოლაში ეკოლოგიური განათლება იყოფა სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე მოსწავლეები ეცნობიან ბუნების კომპონენტებს, ურთიერთობებს. მეორე ეტაპზე ადამიანისა და გარემოს ურთიერთობას, ხოლო მესამე ეტაპზე ამ ზემოქმედების მიზეზშედეგობრივ კავშირებსა და ეკოლოგიურ პრობლემებს.

პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეკოგანათლება ძირითადად მეცნიერულ კვლევებზე მიღებული ცოდნის, მისი გამოყენებისა და ორიენტაციის გამოიმუშავებას ისახავს მიზნად საქმიანობის ცალკეულ სფეროში.

ეკოგანათლება უწყვეტი და დინამიური პროცესია, რომელიც იწყება და მოიცავს: ოჯახი - სკოლამდელი - სკოლის - პროფესიული მომზადებისა და უმაღლესი პროფესიული განათლების ეტაპებს. ეკოგანათლების მიღება ხელმისაწვდომია ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის ასაკისგან დამოუკიდებლად. ეკოგანათლება სამყაროს, განიხილავს როგორც ერთიანს და ითვალისწინებს ამ ერთიანობის მდგრადობის შენარჩუნებას ყველა დონეზე.

ცნობილია, რომ განათლების სისტემა ყოველთვის ჩამორჩება სამეცნიერო გამოგონებებსა და კვლევებს, მაგრამ არ შეიძლება ეს გავრცელდეს გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაზეც, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, რამეთუ ის მოითხოვს ოპერატიულობას და ჩამორჩენათა აღმოფხვრას. ეკოლოგიური განათლება მომავალში სასურველია განიხილებოდეს არა როგორც დანამატი, საგანთაშორისი კავშირი, არამედ როგორც განათლების სისტემის განვითარებისა და განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი ორიენტირი, რაც უზრუნველყოფს სამყაროს ერთიან მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობას.

საზოგადოების საარსებო გარემოს მდგომარეობის შესახებ ცოდნა ეკოგანათლებით მიიღწევა და ითვალისწინებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე ეკოგანათლების პროპაგანდას.

ეკოგანათლება მასებში უზრუნველყოფს ეკოკულტურისა და ეკოცნობიერების ჩამოყალიბებას, რაც მდგრადი განვითარების წინაპირობაა.

წლების განმავლობაში ჩვენი საინიციატივო ჯგუფი ეკოგანათლების მეშვეობით ახორციელებდა ეკოკულტურის ამაღლებას საუბრებითა და ტრენინგებით (გამარჯვების მუნიციპალიტეტი) სასურველია მსგავსი ინიციატივა განხორციელდეს მთელი ქალაქის მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს ქუთაისის ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად ქცევას.

ეკოგანათლების განხორციელებას ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ახალგაზრდა მოხალისე ჯგუფების ჩამოყალიბება, ეკოპატრულის, სამოსწავლო და სტუდენტური ეკოქსელების სახით. საინფორმაციო ტექნოლოგიებით ეკოდილოგების გამართვა სხვადასხვა დონეზე, საერთაშორისო კავშირების დამყარება, აქციები, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით და სხვა ღონისძიებები.

ლიტერატურა:

1. ნ. მ. მამედოვი, ი. თ. სერგეევი, ეკოლოგია, თბ., 1996.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა და პროგრამები, თბ., 2005.
3. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2007 წ. 8 აპრილი თბ.
4. კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ 2007 წ. 28 მარტი
5. კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 2004 წლის 21 დეკემბერი
6. ნორჩ გეოგრაფთა სკოლა - განათლება, თსუ, თბ., 2007.

Darejan Chkhirodze
Kutaisi University
Manana Bandzeladze
Akaki Tsereteli State University
ECOLOGICAL EDUCATION AND ECOLOGY OF EDUCATION
RESUME

Eco-Education implies continual process of acquiring knowledge, as well as upbringing and development attended to forming and evolving eco-culture and responsibility for ecology in every citizen.

Experts consider responsibility universal form of contact, - interaction between society and individual, and the major defining characteristic of person.

Formation of an individual is directly connected with working out the habits, like responsibility for future generation and generally, the whole planet, the whole universe.

გულნარა ჯიომვილი
სსიპ ატენის საჯარო სკოლა

იაკობ გოგებაშვილი და თანამედროვეობა

იაკობ გოგებაშვილი იმ კლასის პედაგოგთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ნააზრევიც საოცრად ეხმიანება დღევანდელობას. მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს წარმოადგენს ზრუნვა საქართველოს ბედნიერებისათვის. ამასთან ერის მომავალს, მის ხსნას მშრომელი ხალხის ღვაწლში ხედავს და ღრმა ოპტიმიზმით შეპყრობილს სჯერა, რომ მის სამშობლოს ბედნიერი მომავალი აქვს: „ბევრს არ სწამს მომავალი ქართველი ერისა და სიკვდილს უწინასწარმეტყველებს მას, – წერს იაკობი – მაგრამ, მათ რომ გაიცნონ, თუ რა გამრყენელს და უდიერს ბიუროკრატის ხელში იყო იგი საუკუნის განმავლობაში, და მიუხედავად ამისა, მან შეირჩინა ძალა ბრძოლისა, იგინი ირწმუნებენ ამ ერის მომავალს.“¹

დიდი პედაგოგი XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. მას მიაჩნდა, რომ ერის უპირველესი ნიშანი ტერიტორიული მთლიანობაა, რომ მოსწავლე განსაკუთრებით მძაფრად უნდა გრძნობდეს და სწავლობდეს თავისი ქვეყნის ბუნებას, უნდა იცოდეს ეს ბუნება და გულში მისდამი ღრმა სიყვარული უნდა ჰქონდეს აღბეჭდილი. ამას მოწმობს იაკობის საოცრად ნათელი მსჯელობა იმის შესახებ, რომ მიწა-წყალი „ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია.“²

დღეს კი ზოგი ორატორი თუ პუბლიცისტიკის ავტორი ისე მსჯელობს, როგორც იაკობის მიერ გაკრიტიკებული სომეხი მდივანოვი, რომელიც ქართველ ბავშვებს ასწავლიდა, რომ სამოთხე სწორედ შიგ შუა სომხეთში იყო, ნოც სომხეთში დასახლდა წარღვნის შემდეგ და სწორედ მან ააშენა ჩვენი ქალაქი ნახიჩევანიო. ასე, რომ უძველესი ქალაქი სომხებს გვეკუთვნისო.

საოცრად ობიექტურად შეაფასა მდივანოვის მოღვაწეობა იაკობმა. მან თქვა: „სულელი კაცი პატრიოტებშიც სულელიაო.“

შეიძლება სხვა საკითხში შეცდომაც გვეპატიოს, მაგრამ ეროვნულ საკითხში, პატრიოტობაში სისულელე არ გვეპატიება. ამისათვის არც უნდა გვჭირდებოდეს დიდი პედაგოგის გაფრთხილება. თითქოს ძილში ჩაესმაო იაკობ გოგებაშვილის გაფრთხილება, დღეს გაღვიძებულმა ქართველმა ერმა სწორედ თავისი მიწა-წყალი მოიკითხა, მოიკითხა და ნახა, როგორ გაუყიდათ მისი მიწა ფარულად თუ ცხადლივ, შინაურებსა თუ გარეულებს, ძვირად თუ იაფად. მოითხოვა გაყიდულის ნაწილი, მტკიცედ ჩაეჭიდა გასაყიდად გამზადებულს, მოითხოვა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, თვალი გაუსწორა ნათელ მომავალს და აქაც ღვთიური ბრწყინვალეობით აღიმართა ჩვენს წინაშე დიდი მოძღვარი, რომელმაც გვიჩვენა, თქვენი საამაყო წარსული შეისწავლეთო უპირველესად. „ისტორია მოძღვარია ერისაო, ხოლო მოძღვრებას ისტორიის მოთხრობანი მაშინ გაუწევენ მოსწავლეთ, როცა იგინი გარკვევით და ნათლად

¹ გოგებაშვილი ი., რჩული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 531

² გოგებაშვილი ი., რჩული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 277

დახატავენ მათ თვალწინ, თუ რა უშლიდა და უმართავდა ხელს ჩვენს ერსა წარსულში, რისგან სუსტდებოდა და ეცემოდა იგი ძირსა და რისგან ძლიერდებოდა, მაღლდებოდა და ძალ-ღონით ივსებოდა.“¹ დიად, იაკობ გოგებაშვილის მდიდარი პუბლიცისტიკა შეიცავს გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ერი უნდა გათვითცნობიერებული იყოს, უნდა ჰქონდეს ნათელი ეროვნული თვითშეგნება, მან უნდა იცოდეს, „რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, რათა აწმდგომი თავისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალიც სანატრელი მოამზადოს.“² როდესაც თანამედროვე ეროვნულ მოძრაობას ჩავუღრმავდებით, აშკარად ვგრძნობთ იაკობის სუნთქვას, ვგრძნობთ, როგორ ბრწყინვალედ გაუგია მისი დარიგება ქართველ ხალხს. მის „დედაენაზე“ აღზრდილი ახალგაზრდობა დღეს ეროვნული მოძრაობის ავანგარდში დგას, არნახული შემართებით იბრძვის საქართველოს თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისათვის.

საქართველოს მთლიანობის იდეა გოგებაშვილის მთელ პუბლიცისტიკას წითელ ზოლად გასდევს. საინტერესოა, რომ 1907 წელს საქართველოში დაახლოებით ისეთივე ეთნოკრიზისი იყო, როგორც დღეს არის და აფხაზეთის საკითხიც ისე იდგა, როგორც დღეს დგას. თვითონ იაკობის ერთ-ერთ სტატიამი ვკითხულობთ: „ამ ჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგი საქართველოს, გაიმარტივონ და გადაიბირონ თავისკენ, მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან.“³

იაკობი, რა თქმა უნდა, საქართველოსა და აფხაზეთის ერთიანობის მომხრეა და მისი სტატიიდან ჩანს, რომ არაფერს დაიშურებს, რათა დაეხმაროს საქართველოს ერთიანობის დამცველთ. იგი ურჩევს ამ ერთიანობის დასაცავად ფარად და ხმლად იხმარონ აფხაზური ანბანი, „დედაენა“ (აფხაზური), ქართულ ლიტერატურულ ქმნილებათა აფხაზური თარგმანები და ისტორიული ფაქტები ქართველ-აფხაზთა ძმობისა: „თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში ტკბებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით“,⁴ – წერს დიდი პედაგოგი და თავისი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი სრულყოფილებით ცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ აფხაზ-ქართველთა საკითხის მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით შეიძლება. მან იცის, რომ სიმართლე საქართველოს დამცველთა მხარეზეა და ამ უკანასკნელთაგან მოითხოვს ფაქტები დაუპირისპირონ ფაქტებს. იგი ძალიან მოკლედ მიმოიხილავს აფხაზეთის ისტორიას და ფაქტებით გვისაბუთებს, რომ აფხაზ-ქართველთა გათიშვას აფხაზეთისათვის უფრო მძიმე შედეგები მოჰყვება, ვიდრე ქართველთათვის. ალბათ, ცუდი არ იქნებოდა, აფხაზეთში შექმნილი დღევანდელი ვითარების გაჯანსაღებისათვის მეზრდოლთ, ყურად რომ ელთ იაკობის ეს შეგონებანი. საყურადღებოა აგრეთვე მისი შეხედულება საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენლებთან დამოკიდებულებაზე: „ჩვენ, ქართველებს მხურვალედ გვსურს, როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება. მოვალენი ვართ, იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებისათვისაც... ქართველები ყველა საუკუნეში ზეიმობდნენ ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობას“⁵ – ამბობს გოგებაშვილი და შემდეგ მოჰყავს ფაქტი საქართველოს ისტორიიდან იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელი ხშირად სომხურ ტაძარსა და მაჰმადიანურ მეჩეთშიც დადიოდა, სადაც ისმენდა ღვთისმსახურებას მათს ენებზე. მას მიაჩნია, რომ მაშინ ქართველთა სამეფოში არ იყვნენ „გერები და ბედკრულნი“ და სწორედ ამიტომ თავიანთ სამშობლოს ყველანი ისე იცავდნენ, როგორც ღვიძლი შვილები. ასე ასაბუთებს წარსულში საქართველოს მთლიანობისა და ძლიერების საიდუმლოებას და აყენებს ხალხთა მეგობრობის პროგრესულ იდეებს საქართველოს სინამდვილისათვის. როცა ვეცნობთ იაკობ გოგებაშვილის ამ იდეებს ვგრძნობთ, რომ იგი საოცრად ეხმიანება ჩვენს თანადროულობას. იმდენად ზუსტია მოვლენების შეფასება მის ზოგიერთ სტატიამი („აფხაზეთის შესახებ“, „პოლიტიკანობა აფხაზეთში“ და სხვა), რომ მათი ჩვენს პრესაში თანამედროვე ავტორის ხელმოწერით დაბეჭდვის შემთხვევაშიც ისევე პროგრესულად გახმიანდება, როგორც თავის დროზე ხმიანდებოდა ქართულ თუ რუსულ პრესაში.

დიდად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის ძვირფას მემკვიდრეობაში მშობლიური ენის შესახებ შექმნილი პუბლიკაციები და ის სახელმძღვანელოები, რომლებიც მშობლიური ენის შესწავლის ან ამ ენაზე სწავლების მიზნით შექმნა. მართლაც ის რად ღირს, რომ 50 წელს მეტხანს ემსახურებოდა ქართველთა მშობლიურ ენაზე აღზრდას და სახელმწიფოებრივი დღესაც მოქმედებს მისი „დედაენა“. იაკობ გოგებაშვილი

¹ გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, 1940, გვ. 121

² იქვე.

³ გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, 1940, გვ. 173

⁴ გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, 1940, გვ. 174

⁵ გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, 1940, გვ. 201

მშობლიურ ენაში ხედავდა უდიდეს აღმზრდელობით ძალას, როგორც მოსწავლეთათვის, ისე ხალხისათვის. ამ აზრს იგი ყოველთვის იცავდა თავის მრავალრიცხოვან შრომებში და მამაცურად იდგა ქართული ენის დაცვის სადარაჯოზე. მისი მოსაზრებანი რომ გაეთვალისწინებინათ საქართველოს განათლების მუშაკებს, მაშინ აღარ შეიქმნებოდა ისეთი აბსურდული ვითარება, როგორიც შეიქმნა არაქართულ სკოლებში, რაც იმაში გამოიხატა, რომ არაქართული სკოლებიდან მთლიანად განდევნეს ქართული ენა. დიდი პედაგოგი თავის დროზე მოითხოვდა, რომ სკოლებში დაენერგათ ქართული ენის უცვლელი სწავლება. იგი ამის საჭიროებას იმით ასაბუთებდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს, რომელთაც ქართული არ უსწავლიათ, საქართველოში უნდა დაეწყოთ მოღვაწეობა. გამოფხიზლებულმა ქართველმა ხალხმა იგრძნო, თუ რა მართალი იყო დიდი ქართველი პედაგოგი და მოითხოვა ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსი. ეს მეტია, ვიდრე იაკობის მოთხოვნანი. ასეთ რამეზე დიდი პედაგოგი შინაგანად თუ იოცნებებდა მხოლოდ, ხმამაღლა ვერც გამოთქვამდა მას, რადგან მაშინ სახელმწიფო ენად კანონით რუსული ენა ითვლებოდა. მაგრამ თუ ღრმად გავერკვევით მის შეხედულებებში აღმოვაჩენთ, რომ იაკობი ჩვენი ერის დღევანდელი მოთხოვნების წისქვილზე ასხამს წყალს. ამ მოთხოვნებს უმზადებს თეორიულ საფუძვლებს.

იაკობ გოგებაშვილი ამბობდა, რომ საქართველოში ბავშვებს დედაენის შესწავლისთანავე აწყებიან ბუნებრივ უცხო ენის შესწავლას. მისი აზრით, მშობლიური ენის შესწავლაც მეტად მძიმე საქმეა ბავშვებისთვის და უცხო ენის სწავლება, მისივე ტერმინი რომ ვიხმაროთ: წელს მოსწყვეტს პატარას. ამ დებულებას ასაბუთებს იმით, რომ ერთბაშად ბავშვს უნდა მიეცეს მხოლოდ ერთი სიძნელე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი თანამედროვე სკოლის საჭირობოტო საკითხის განხილვა უკისრიაო დიდ პედაგოგს. განა დღეს იგივე მდგომარეობა არ არის ქართულ სკოლებში? ჯერ ბავშვს საკუთარ ენაზე წერა-კითხვა არ უსწავლია, ინგლისურს აჩეჩებენ, ხოლო 4-5 წლის შემდეგ, როცა ინგლისური ენის ანბანის ყველა ასო არ იცის, ზემოთ დასახელებული იაკობისეული მიზეზებით, ახალ უცხო ენას, რუსულს, უმატებენ. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ქართულ საშუალო სკოლებს ჩვენი მოსწავლეების დიდი ნაწილი ისე ამთავრებს, რომ ინგლისურსა და რუსულ ენას საერთოდ არ ფლობს; არადა, დღემდე ათასჯერ მეტს ზრუნავდა სახელმწიფო რუსული ენის შესწავლაზე, ვიდრე ქართულ ენაზე. იქნებ ყური დაგვეგდო იაკობ გოგებაშვილისათვის და ამით უცხო ენათა სწავლებასაც მოეგო და ქართულისასაც.

მეტად დამაფიქრებელი ფაქტი ისიც არის, რომ სხვა საგნებით და ენების შესწავლით გადატვირთულ მოსწავლეს ყოველთვის უჭირდა და დღესაც უჭირს მშობლიური ქართულის შესწავლა. „განა ხუთი-ექვსი წლის ბავშვს შეუძლია დედაენას გულისყური საკმაოდ დაუდოს, როდესაც ამავე დროს ხუთს სხვა საგანს მას სტენიან გონებაში და ყოველ ნაბიჯზე აგრძნობინებენ, რომ ეს საგნები არიან უმთავრესნი და დედა-ენა კი მარქაფაა, რომელიც ბავშვმა შეიძლება სრულიადაც არ იცოდეს.“¹

ბევრი მოსაზრება იაკობ გოგებაშვილისა თანამედროვეობის პირდაპირ კრიტიკად ისმის. ასე მაგალითად: ჩვენ მოსწავლეს მივეცით უფასო სახელმძღვანელო, თან გავაფრთხილეთ: მთელი წლის განმავლობაში უნდა იხმარო და ისევ ახლი ჩავგვებარო, რადგან 5 წელს აღარ გამოვა ეს სახელმძღვანელო. მივადწიეთ ამას?

– არა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შეუძლებელია ხუთ წელიწადს ატარო სკოლაში სახელმძღვანელო, სახლშიც იხმარო და ორი წლის განმავლობაში არ შემოგებრდღვნას ხელში. ეს იცოდა იაკობ გოგებაშვილმა და გვირჩია კიდეც, არ ჩავვედინა ასეთი სისულელე. აბა, დავუგდოთ ყური მას:

„შევიდა ბავშვი სკოლაში და მას მისცეს ხელში შეერთებული დედა-ენა... ერთი ცალი შეერთებული დედა-ენა ერთ წელიწადზე მეტს ვერ გასძლებს თვით ფრთხილი ბავშვის ხელში. მეორე წელიწადს ახალი ეგზემპლარის ყიდვა უთუოდ მოუხდება.“²

ჩვენ ბავშვებს წავართვით ამ ახალი ეგზემპლარის ყიდვის საშუალება და ფაქტიურად დაფლეთილი წიგნების ამარა დავტოვეთ ისინი.

არც ფასიან სწავლებას უჭერს მხარს იაკობ გოგებაშვილი. დღეს კი ზოგი პედაგოგი ფასიანი სწავლების მომხრეა და ამით ღარიბთა შვილებისთვის ხურავს უმაღლესი სასწავლებლის კარებს. ის, რაც ასე ნათელი იყო იაკობ გოგებაშვილისათვის 100 წლის წინათ, დღეს განათლების მესვეურთ ვერ გაუგიათ. არადა როგორ გასაგებად წერს დიდი იაკობი: „სიღარიბე უშლით ქართველებს სწავლის ფასის გადახდას (რაო, დღეს გავმდიდრდით? გ.ჯ.) და შვილების შენახვასაც ქალაქ ადგილას გიმნაზიის კურსის გათავებამდე... და ამიტომ იძულებულნი არიან გათავებამდინე გამოიყვანონ ხოლმე შვილები

¹ გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. IV, 1990, გვ. 85

² გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, 1940, გვ. 121

სასწავლებლიდან.¹ აი, საით მივყავართ ფასიანი სწავლების მომხრეებს. მდიდართა შვილებს ისედაც აქვთ უპირატესობა განათლების მიღების საქმეში და საჭირო აღარ არის დამატებითი ბარიერების შექმნა ღარიბებისათვის.

და ბოლოს მინდა აღვნიშნო გოგებაშვილის დამოკიდებულება ახალგაზრდობისადმი. მას მიაჩნია, რომ ახალგაზრდობა „ყველგან და ყოველთვის ასულდგმულს ცხოვრებას, შეაქვს მასში ხალისი და ენთუზიაზმი.“² ახალგაზრდობის შესახებ მის ასეთ მართებულ შეხედულებას მთლიანად ადასტურებს ჩვენი დღევანდლობა. დღეს ხომ ეროვნული მოძრაობის ცენტრში სწორედ ახალგაზრდობა დგას. სწორედ ის აძლევს ამ მოძრაობას სიცოცხლისუნარიანობას, ძალასა და შემართებას.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები, ტომი II, 1940.
2. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტომი IV, 1990.
3. გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები, ტომი IV, 1940.

Gulnara Jioshvili
Gori Municipality Ateni Public School
IAKOB GOGEBASHVILI AND MODERNITY
RESUME

The sphere of Iakob Gogebashvili's thinking is very significant. The subject of his life is every issue of people's lives. With the same zeal he protects widow-orphans, the poor and churches, schools and Georgian language, Georgian nation and other nations. He expresses more progressive views about country's territorial integrity and religion, bureaucracy and bribery, financial operations and civil society organizations. His pedagogical, philosophical, juridical and economic views are actually even today, they are very important and can be used as a dictionary in modern conditions.

¹ გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, 1940, გვ. 534

² გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, 1940, გვ. 17